

780 /
1990 / 2

ISSN 0134 - 9848

1990 / 2

საუნაქე

პარტი-აპრილი

№ 231
(2)

ქართული
კინოფორმის





მიკალაოიუს ჩიურლიოზისი. მუვილდოსანი

საუნჯე

მარტი
ნაკრები

წიგნი (95)
ბიბლიოთეკა



შინაარსი

პროზა და პოეზია

ნიკოლაე ასინძე. მოთხრობები. თარგმნა თამარ ჩიქვაძემ	3
უილიამ შექსპირი. შეუვარებულის ჩივილი. პოემა. ინგლისურიდან თარგმნა ვიორჯი ნიშნიანიძემ	89
ართურ შნიცლერი. მოთხრობები. გერმანულიდან თარგმნა დავით კაკაბაძემ	98
ედუარდ ბალაზოვი. ლექსები. წიგნიდან: „სიტყვა სიჩუმისა“. თარგმნა ვაჟა ეგრისელმა	148
სალომეა ნერისი. ლექსები. თარგმნა დინარა კასრაძემ	155
ეჟი ანჯევესკი. ფერფლი და ალმასი. რომანი. გაგრძელება. პოლონურიდან თარგმნა ვიორჯი მაჭუტაძემ	158
იოსებ გროდსკი. მოგესალმებით არსაიდან... თარგმნა ბათუ დანელიამ	257
ფელიქს ბახჩინიანი. ლექსები. ციკლიდან: ქართული კვირა. სომხურიდან თარგმნა რენე კალანდიამ	271

წერილები

სიორენ კირკეგორი. ესთეტიკოსის აფორიზმები. თარგმნა უჩა შერაზადიშვილმა	278
დავით კაკაბაძე. ართურ შნიცლერი — სიუვერულისა და სიკვდილის მწერალი	289
დანიელ გოლუშანი. ბუდას მოძღვრება მედიტაციაზე და ცნობიერების მღვთობა- ობაზე. გერმანულიდან თარგმნა ლაშა დადიანმა	294
მაია გოშაძე. სამხრეთული მითის მოტივები ტენესი უილიამსის დრამატურგიაში	310
ავთანდილ ვაკთაგავა. გენიის ანუ ერთპიროვნების ორსახეობა	316



ქართული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი:
სოთა ნიჟნიანიძე

გივი ძნელაძე (მთ. რედ. მოადგილე)

ნანა დარჩია (პგ. მდივანი)

სარედაქციო კოლეგია:

ჯემალ აჯიაშვილი

მზია ბაძრაძე

ბაჩანა ბრატვიანი

ნოდარ გურაშვილი

მაგალი თოდუა

ნოდარ კაკაბაძე

რენე კალანდია

გიორგი ნიჟნიანიძე

დალი ფანჯიკია

ნიკო ყიასაშვილი

დავით წერეთელი

გარეკანზე: მიქალაიუს ჩიურლიონისი. სამყაროს უმჯობესი

მხატვარი ა. თოდრაძე, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, ტექნიკური კ. იმნაიშვილი
გამომცემები ნანა ბაძრაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, კარლ მარქსის ქ. №1.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.
განყოფილებათა გამკვეები — 72-26-30

გად. წარმ. 22. 03. 90 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 13. 06. 90 წ., ქაღალდის ზომა 70 X 108¹/₁₆
საღრ. თ. 25,51. სისტ. თ. 28, სიღებების გატ. 28.7. ტირ. 10 000. შუკვ. №711.



თარგმნა თამარ ჩიჯავაძემ

ბრანწი

019.51

- პროფირ, ალო, შენა ხარ, პროფირ?
- მე ვარ, ონის.
- ისინი სად არიან?
- სამსახურში წავიდნენ.
- შვილიშვილმა დაიძინა?
- რა დროს დაძინებაა, ონის, ახლახან გაიღვიძა... ნეტავ, თერთმეტზე დაიძინებდეს.

— ჰო, ჰო, ჩემებიც შუალამემდე არ იძინებენ. საჭმელი ვაჭამე, და ახლა მეორე ოთახში თამაშობენ. იმდენი სათამაშო აქვთ, თვითმცლელი მანქანა ვერ გადაზიდავს სამ დღეს. ვეუბნები ჩემებს, ქალიშვილსაც და სიძესაც: რატომ ატანთ-მეთქი ქარს ამდენ ფულს, მე თავის დროზე არც ერთი სათამაშო არა მქონია, მაგრამ არ მოვმკვდარვარ-მეთქი. გუთნით ვთამაშობდი, ცხენით, მათრახით და ჩემზე ბედნიერი კაცი არ იყო. წუთით რომ დარჩებოდა სადმე მამაჩემის მათრახი, მაშინვე ვეცემოდი და ჰაერში დავუწყებდი ტყლაშუნს, ან ცხენს გადავუტყლაშუნებდი გავაზე. რა სიხარული იყო! გუთანზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ერთხელ, არ ვიცი, დაიღალა მამაჩემი თუ ჩემი სიმარჯვე უნდოდა ენახა... ერთი სიტყვით, მიატოვა გუთანი და დამიძახა, აბა, ონის, ერთი შენი ძალა მაჩვენეო! ხელი ხელზე მომკიდა და გუთნის ტარზე წამავლებინა, ოჰ, ჩემო ძვირფასო პროფირ, იმ დღეს ჩემს სიცოცხლეში არ დავივიწყებ; ცა... ღვთის ფერხთით ტოროლა გალობს, ცხენი უღელს ეწევა, მე კი კვალი გამყავს. ხელისგულები გამოიფლიანდა... ყელი გამიშრა!.. ახლაც არ ვიცი. მიყურებდა მამაჩემი თუ არა. ახარებდა შვილის სიყოჩაღე თუ მიწვანადვის ძირას და მიიძინა... მე კი ბედნიერი ვიყავი და... გეკითხები; აბა, რა სიხარული აქვთ აქ ქალაქელ ბავშვებს? თუ გინდა, ჩემი შვილიშვილები ვთქვათ, პროფირ, დილიდან დაღამებამდე ხის კურდღელს ეთამაშებიან. დააქერ კუდზე ხელს და კატასავით დაიწყებს კნავილს. ერთხელ მაინც თუ უნახავთ ცოცხალი კურდღელი? არ უნახავთ. ღმერთმანი, არ ვიცი რა გამოვა ამათგან... მისმენ, პროფირ? ა, რატომ არ იღებ ხმას?

- გისმენ, გისმენ.
- ხმას რატომ არ იღებ? სწორი არა ვარ?
- სწორი ხარ, ონის...

თავ. სსრ კ. მარქსის
სახ. საბ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

- აქამდე არ მიკითხავს შენთვის, ეწევი?
- ვეწევი, ონის, აბა, როგორ არ მოვწევ?..
- აი, ეს მესმის, მაგრამ თამბაქოს სად შოულობ? ფაბრიკისა/ ეწევი?
- არა, ონის, ფაბრიკისა ხველას მაწყებინებს.
- ბაკონს სად შოულობ?
- ეგ რაღაა?
- არ იცი? წეკოა, ასეთი ჭიშის თამბაქოა. დიდი ფოთოლი აქვს, კვერცხის გულივით ყვითელი. ჩვენში ბაკონს ეძახიან.
- ჰოო... ჩვენშიაც ასე ეძახიან, მე ბალკონი მომესმა. აბა რა უნდა მოვწიო, მხოლოდ ბაკონს ვეწევი.
- ოჰ, პროფირ, ჩემო კეთილო, ერთი ბეწო ბაკონი მიზიარე, ყურები მისივდება, გულ-მუცელი მეწვის! ჰო, ჰო, მამატიე, პროფირ, მთლად გამოვშტერდი, ტელეფონით როგორ მომცემ, ა?
- შენ ბაკონს არ ეწევი, ონის?
- კი, პროფირ, მაგრამ სად ვიშოვო? ჩემებმა ქალაქში რომ ჩამომიყვანეს, პირველ ხანებში ბაკონის გარდა არაფერს ვეწეოდი, სხვა რამეზე ცხვირს ვიბზუებდი. ჯერ ერთი, სახლიდან ნახევარი ტომარა წამოვიღე, მერე კარგა ხანს სიძე მამარაგებდა. მერე კი... მოკლედ ფაბრიკისაზე გადავედი... შენ ის მითხარი, ბაკონს სად შოულობ.
- ბაზარზე, ონის.
- ბაზარზე ახლაც იყიდება თუთუნნი?
- ფრთხილად თუ იქნები, კი...
- ჩემი სიძე რა ხანია შეუბნება, ბაზარზე თამბაქოთი ვაჭრობა აკრძალულიაო. გესმის? პირველ ხანებში თვითონ ყიდულობდა, ახლა კი...
- მოწვევის ნებას თუ გაძლევენ, ონის?
- ცოდვას ვერ ვიტყვი, მაძლევენ. შენ რა არ გაწევიანებენ?
- მხოლოდ აივანზე, თანაც არავინ არ უნდა დამინახოს...
- არა, ჩემებს არა უშავთ, არ მიშლიან, ალბათ იმიტომ, რომ თვითონაც ეწევიან. სიძეც ეწევა და ქალიშვილიც. ზოგჯერ ყველანი ერთად გავაბოლებთ და ისე გაიბუღება ხოლმე ყველაფერი, თითს ვერ მიიტან თვალთან. ესე იგი, შენ ბაკონს ეწევი, პროფირ?
- ჰო, ონის. აი, ახლაც მოიცა ერთი, ფანჯარა გავალო, ბოლი გავიდეს.
- კარგი, ჩემო კეთილო, ერთს მეც გავაბოლებ...
- მოუკიდე, ონის?
- ფუჰ, სიმინდის ფუჩეჩზე უარესია. ჯობდა პირში არ ჩამედო. სინდისს გეფიცები, მერჩია მცოდნოდა, რომ შენ სადღაც, ქალაქის ბოლოში, ბაკონს ეწევი, ვიდრე ამ სისაძაგლეს აქ ვახრჩოლებდე. ისევ ეწევი?
- ამ წუთში?
- ჰო.
- ფრჩხილებამდე ჩავიდა.
- თუ ღმერთი გწამს, არ ჩააქრო, ერთი ჩემს სახელზე მოქაჩე.
- მერე შენ რა, ონის, მე რომ მოვწევ? როგორმე ბაზარზე უნდა გახვიდე და იყიდო. მართალია, ცოტა ძვირია, მაგრამ შოვნით, იშოვება.
- არა, პროფირ, ფუჭი ლაპარაკია. ექვსი წელია, ერთხელაც არ ვყოფილვარ და იქ ახლ. მკვდარს თუ წამიღებენ, არ ვიცი. ჩემებს ხომ კაბიკს ვერ

გააგდებიან. ცოდვას ვერ ვიტყვი, მაძლარიცა ვარ, ჩაცმულიც და დასტრულიც, მაგრამ ხელთ არაფერი მაქვს. შენ გაგიმართლა, ცოტა ხალხი დაიკლაქში ხარ და ბაზარზე დადიხარ...



— იმიტომ დავდივარ, ონის, რომ ჩემებს ჩანთების თრეკინგის მასწავლეს გზა და მიდიის...

— ბაზარი ახლოს არისო, არა? მითხარი.

— ჰო, ჩემდა საბედნიეროდ... კვირაში ერთხელ დავდივარ ბაზარში და ასე მგონია, სოფელში ვარ-მეთქი.

— ნუღა გამახსენებ, პროფირ... ყელი მიშრება, ნელ-ნელა მავიწყდება კიდევ სოფელიცა და სოფლელებიც... შენ, ეს იგი, ბაზარზე შენებურებს ხვდები, ელაპარაკები.

— არა, ონის, პირველ ხანებში მეც მაგაზე ვოცნებობდი, მაგრამ ჩვენებურები აქ არ ჩამოდიან, ბელცაში დადიან, ის უფრო ახლოსაა, პირველად კი დიდი იმედი მქონდა, ვინმეს შევხვდები-მეთქი, რძალი ჩანთას რომ მესროდა და დამიძახებდა, აბა, ჩქარაო, მიხაროდა. არა, ონის, ჩვენებური არავინ მინახავს. ზანგებსაც კი შევხვედრივარ, ჩვენებურებს კი ვერა და ვერა.

— მოიცა პროფირ, ზანგებთან რა მესაქმება... იცი რა მინდა? შენებურებს არ შევხვედრიხარ, მაგრამ იქნებ ჩემი სოფლიდან ჩამოდიან? ა? რატომ არ უნდა ჩამოდიოდნენ? აქამდე არ მიფიქრია და ახლა ელვასავით გამკრა თავში... პროფირ, ჩემო ძვირფასო, საყვარელო, გევიდრები, გაიკითხე რა? ბაზარში როდის უნდა წახვიდე? დღეს რა დღეა?

— სამშაბათია, ონის.

— ოჰ, კვირამდე ვერ მივალწევ, გამიგე, ონის? კვირას იკითხე ბაზარში ზარაზრენელი ხომ არავინა ხართ-თქო, თუ საჭირო იქნეს, დაიყვირე კიდევ, ნუ შეგრცხვება, არ შეიძლება, ერთი კაცი მაინც არ იყოს ჩემი სოფლიდან, თუ ვინმე ნახო, უამბე ჩემზე, გამიწიე მეგობრობა, შოლდანი გაახსენე, უთხარი, ჯერ ისევ ცოცხალია-თქო, ისიც უთხარი, რომ...

— ონის, მისმენ, ონის?

— გისმენ, პროფირ.

— რა მოგივიდა, რატომ გაჩუმდი?

— არა, პროფირ, ვფიქრობ არაა საჭირო შენი შეწუხება.

— ეგ არაფერი, მაგრამ მეეჭვება, შენი სოფლელები იყვნენ იქ... შენ ხომ მთლად ჩრდილოეთიდან ხარ, მე მგონი, თქვენებურები ბელცამდეც ვერ აღწევენ.

— მეც მაგას ვფიქრობდი...

— არა, მე მაინც აუცილებლად ვიკითხავ.

— კარგი, მაგრამ, ვინმე რომ აღმოჩნდეს, რა უნდა უთხრა? კურკელსა და სხვის საცვლებს რომ ვრეცხავ? მთელი დღე ბავშვებს რომ ვუწმენდ უკანალებს?

— ნუ დარდობ, ონის... აი, შენ მე ბედნიერი მიწოდე, თავისუფალი ფრინველი ხარ, ბაზარში დადიხარო, რძალმა რომ მითხრა, ბაზარში უნდა იაროო, თავდაპირველად გამიხარდა, მეც მეგონა, თანასოფლელებს შევხვდები-მეთქი, მაგრამ ახლა, სიმართლე ვითხრა, რაც შემხვდება, უცბად ვიყიდი ხოლმე და შინისკენ გამოვრბივარ, სირცხვილითაც მოვეკვდები, ჩემმა სოფლელებმა რომ დამინახონ ჩანთებით ხელში, არა, ონის, სახლში უნდა დავბრუნდე, ჩემს სახლში, გაიგე?

— ნურც შენ დადგები, პროფირ, ცუდ ხასიათზე. შენც რომ დაგკარგო, რალა მეშველება? ხომ დაგპირდი, ადრე თუ გვიან რამეს გავხსნებ-მეთქი. აი, ნახავ! დიდი ხანია გადავწყვიტე.

— ამ ქალაქში ცხოვრება აღარ შემიძლია, ონის, აი, ტელეფონზე მელა-პარაკები, ჰოდა, მკითხე 'ა დამემართა გუშინ.



— პროფირ, გცემეს? პროფირ...

— არა, ონის, ეს მეტისმეტი იქნებოდა... ისე ვთქვი, რაც გუშინ იყო, ის ხომ გუშინწინაც იყო. ვგეა, ჩემებს არ მოსწონთ, ასეთი რომ ვარ.

— შვილიშვილის გამო?

— არა, შვილიშვილი რა შუაშია. რაც გუშინ მოხდა, ალბათ ჩემი ბრალია, მაგრამ რაში ვარ დამნაშავე, ვერ გამიგია. მთელი ცხოვრება ისე ვლაპარაკობდი, როგორც ახლა ვლაპარაკობ. რძალი კი შავ დღეს მაყრის. ჰამეთ — არ შეიძლება, მიირთვიო უნდა თქვაო. მოფსის მაგივრად — პატარა ქენიო. ფეხსალაგი თუ ვახსენე, მაშინ ხომ ქვეყანა დაიქცევა.

— სწორია, სანკვანძი უნდა თქვა.

— ეხ, ონის, გუშინ შვილიშვილს ვეთამაშებოდი, იატაკზე ვისხედით ჩვენს ოთახში. ოჰ, ჩემო კურკანტელა-მეთქი, ვუთხარი, საზამთრობანას ვთამაშობდით. ამის თქმა და, მეორე ოთახში ჩემი რძლის ყვირილი გაისმა, ღმერთო, რისი გულისთვის უნდა ვიტანდე ამ კაცსო! მაშინვე მივხვდი, ჩემზე ამბობდა. რამდენ ხანს უნდა გავუძლო ამ ტანჯვასო? ვაჟიშვილის ხმა არ ისმოდა, ეტყობა, მოგვიანებით შემოვიდა, რადგან რძალი აქვითინდა. — რა დაგიშავა, მარა? რას გადაეკიდე? ბავშვს ეთამაშება და ეთამაშოს, რა გინდა! — რა დაგიშავა? ერთი გაიგონე, როგორ ელაპარაკება ბავშვს... მე არ მინდა, არ მინდა, გესმის? ჩემი შვილი გლებუქად გაიზარდოს! და კარიც დაჯახუნდა, მაშინვე ჩვენს ოთახში, უფრო სწორად, შვილიშვილის ოთახში შემოვარდა. ჩვენ კი იატაკზე ვსხედვართ და თვალსაც არ ვახამხამებთ. გარშემო წითელი და მწვანე ქალაქები გვიყრია — ვითომ საზამთროებია. იმან კი ფეხი დააბაკუნა და დაგვიღრიალა, ეს რა ამბავიაო? არადა, არაფერი ამბავი არ იყო. ჩემმა ბიჭმაც ასე უთხრა, — რა მოხდა, მარა? საზამთრობანას თამაშობენ. მეც ასე ვთამაშობდი ბავშვობაში, ოღონდ ჩვენ საზამთროებს ტალახისაგან ვაგუნდავებდით... შენს სოფელში კი არ თამაშობდნენ ბავშვები საზამთრობანას? მაშინ კი იფეთქა ჩემმა რძალმა. — ღმერთო ჩემო, საიდან მოიგონე, შე იდიოტო! ჩემს შვილს ტალახში ამოგანგვლის უფლებას მივცემ? რამდენჯერ გითხარი, ამ სახლში სოფელი არ ახსენოთ-მეთქი. და დაიწყო და დაიწყო... ისეთი ამბავი დატრიალდა რო... აბა, მითხარი, რა წავახდინე, რა დავაშავე? ისე არ ვამბობ სიტყვებს, როგორც უნდა ვამბობდე? დავბერდი და რალა დროს ჩემი შეცვლაა...

— ეჰ, პროფირ, როგორც ჩანს შენები ისინი არიან... ინტელიგენტები.

— ოხ, ონის, უბედურება მჭირს...

— ჩემებიც ინტელიგენტები არიან, ფულსაც კარგად აკეთებენ, მაგრამ რალაც სიტყვების გამო გულს არ მიწყალებენ. ჰმ „მოფსი“ არ მოსწონს! მე ვიყო შენს ადგილას, ისეთს ვეტყვოდი, რო ქვეშ ჩავაფსმევიინებდი, ის კი არა და...

— ჩუმად, ონის, ტელეფონში არავინ გაიგონოს...

— ალო, ონის, შენა ხარ?

— მე ვარ, პროფირ.



- ახლა შე გირეკავ, მარტო ხარ?
- მარტო ვარ, რა იყო?
- უპ, ოფლმა დამასხა...
- ხომ გითხარი, პროფირ, ნურათრის გერიდება, როცა გინდა მაშინ დამირეკე, შენ გერიდება, არ მინდა შენს რძალს გადავეყარო... უსიამოვნება არ შეგამთხვიო, ის კი არადა, შენს ბიჭსაც არ მინდა ტელეფონზე შევხვდე... შენ კი როცა გინდა, მაშინ დამირეკე...
- მეც ეგრე ვარ, ონის, შენი სიძე...
- რა ჩემი სიძე, აბა ერთი კრინტი დაძრას...
- დარეკვაზე არ ბრაზობს? შენ კი რატომღაც მეშინია, ესე იგი, შინ არ არიან?
- არა, რაღაც გინდოდა გეტქვა...
- რაღაც მინდოდა მეთხოვა, ოლონდ არ გაბრაზდე.
- რატომ უნდა გავბრაზდე, პროფირ? რაც გინდა მთხოვე, როცა გინდა დამირეკე, რაც გინდა იყოს, შენ დიდი ხანია ქალაქში ვცხოვრობ, რაშია საქმე, თქვი, თქვი, ნუ აჭიანურებ...
- ოლონდ არ გაბრაზდე, ონის.
- ღმერთმანი არა, რა პატარა ბავშვივით იქცევი.
- რამდენიმე დღე არ დამირეკო, ონის.
- რაო, რაო, რა თქვი, პროფირ?
- სიკეთე მიყავ და რამდენიმე დღე ნუ დარეკავ, ონის...
- სოფელში მიდიხარ, პროფირ? ბოლოს და ბოლოს გაგიშვებს? მოდი ერთი ჩაგპროშტნო, პროფირ... ღმერთო ჩემო, ხედავ, როგორ გაგიმართლა? ვის გავუზიარო ჩემი სიხარული, კაცისშვილი არ არის, უპ, პროფირი სახლში მიდის, სოფელში! აი, ძმაო, ეს უკვე მაგარი საქმეა! როგორ დაიყოლიე თქვენები? მოიცა, ჯერ ის მითხარი, რამდენი დღით მიდიხარ.
- ონის...
- ნუ მაწყვეტინებ, მომისმინე, რას გეტყვი: წადი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მაგრამ ჩამოხვალ თუ არა, მაშინვე დამირეკე! იცოდე, მთელი ეს დღეები შენზე ვიფიქრებ. სანამ შენს ხმას არ გავიგონებ, მკვდარივით ვიქნები...
- მოიცა, ონის...
- გაჩუმდი, შე უბედურო! თვითონ არ იცი, ვინა ხარ ამ წუთებში... შენ... შენ... მოიცა, პროფირ, სული მომათქმევინე, ღმერთმანი, თავბრუ დამესხა... პროფირ!
- კი, მაგრამ, ონის...
- გაჩუმდი, პროფირ!.. იმის თქმა გინდა, რომ მხოლოდ რამდენიმე დღით გაგიშვებს? მერე რა, ეგეც კარგია და ნუ წუწუნებ! როდის მიდიხარ? ეს დაწყველილი ასფალტი უნდა კოცნო, ასეთი ბედნიერება რომ გერგო წილად. პო, აი რა, მისმინე და არ შემაწყვეტინო! ეს დღეები ისე მოიქეცი, არც რძალი გაანაწყენო და არც შვილი, თორემ ხომ იცი, შეიძლება გადაიფიქრონ. შენ კაცი კი არა ღმერთი ყოფილხარ, რაკი ეგენი დააჯერე, რომ თუნდაც რამდენიმე დღით გაეშვი სოფელში. ოპ, შენ ეგ არასოდეს მეღირსება.
- ონის, ონის, შენ პირის გაღების საშუალებასაც არ მაძლევ... არსად არ მივდივარ, არსად, გაიგე? ახლა დაწყნარდი. არც დღეს მივდივარ, არც ხვალ და ალბათ ვერც ვერასოდეს ვეღარ წავალ...

— მოიცა, რას ამბობ, შენ თვითონ არ მითხარი. რამდენიმე დღეს ნუ დამირეკავო? როგორ თუ არ მიდიხარ? მისმენ, პროფირ? პროფირ, ტირი-ხარ? პროფირ, ონისი ვარ, შენი ქალაქელი მეგობარი, პროფირ, მისმენ?

— ნუ ყვირი, ონის, ჩემო ძვირფასო, მესმის...

— კი მაგრამ რომ ტირი?

— ვტირი, ონის, ვტირი... აქამდე მეგონა როდისმე მაინც დავალწევდი თავს მაინც ამ საშინელებას, სოფელში დავბრუნდებოდი, ახლა კი... სახლი გამიყიდეს, ონის, გამიყიდეს, გაიგე?

— გაჩუმდი, პროფირ, ეს დაუშვებელია!

— გაყიდეს, ონის, გაყიდეს...

— რას მეუბნები, ის ხომ შენი სახლია?

— თურმე დიდი ხანია, გაუყიდიათ, ონის, ყველაფერი გაუყიდიათ, ყვე-
ლაფერი, რაც მებადა და მიმალავდნენ, გუშინლა გამომიტყდა რძალი...

— პარაზიტები!.. შენებიც ისეთივე პარაზიტები არიან, როგორც ჩემები. ჩემებმაც ისე არა ჯნეს?

— შენებმა გითხრეს მაინც, შეგითანხმდნენ, ესენი კი...

— კი მაგრამ მომატყუეს, ქალაქში სამოთხეაო... შენს უკითხავად მაინც როგორ გაყიდეს...

— გაყიდეს ონის, ჩამოშიყვანეს თუ არა, მეორე კვირასვე გაუყიდიათ... მიმალავდნენ, გუშინ რომ ჭერმის კურკა არ დამკარგოდა...

— რა კურკა! სახლზე მიაშვე, რა დროს კურკაა!

— კურკის მეტი არაფერი დამრჩენია ცოლისგან, ონის, როცა შევეულ-
დით, იმ საცოდავმა სახლის წინ ჭერმის ხე დარგო. გვინდოდა, ის ყოფილი-
ყო ჩვენი სიყვარულის მოსაგონარი, ხან მე ვრწყავდი ნერგს და ხან ცოლი.
გაზაფხულზე გავსხლავდით ხოლმე, შემოდგომაზე თივით შევფუთავდით...
იზრდებოდა ჩვენი ხე. დღეებით კი არა, საათობით იზრდებოდა და ჩვენც
შვილივით შევხაროდით. მერე რა ლამაზად ჰყვაოდა, რა გემრიელი ნაყოფი
ჰქონდა! მაგრამ იმ ხეს ნაყოფისთვის კი არა, სიყვარულის გულისთვის ვე-
ლოლიავებოდით. მართლა შვილივით ვუვლიდით, ცოლი რომ გამომიტყდა,
ფეხმძიმედ ვარო, მეორე ხე დაერგეთ. გადავწყვიტეთ სახლის წინ ჭერმის
ბალი გაგვეშენებინა, რაკი ამ ერთმა ხემ ბედნიერება მოგვიტანა. მოკლედ,
ვთქვით და ავასრულეთ კიდეც. ბიჭი რომ შეგვეძინა, ნერგმა უკვე ნაყოფი
მოგვცა. სამი სიხარული გვექონდა სახლში: დიდი ჭერმის ხე, პატარა ჭერმის
ხე და ბავშვი. მე და ჩემი ცოლი ყოველთვის ვამბობდით, ჩვენ სამნი კი არა,
ხუთნი ვართო. სუფრას რომ მივუსხდებოდით, ჭერმებსაც ვეძახოდით. ჰოდა,
ისინიც ჩვენს გვერდით იზრდებოდნენ, იზრდებოდნენ და რა მადლიანად იზ-
რდებოდნენ! ასე ვცხოვრობდით, ონის, დიდხანს, სანამ ცოლი არ მომიკვდა.
ვერ აგიწერ, რა უბედურება იყო ეს ჩემთვის. ამას ისიც დაუმატე, რომ დი-
დი ჭერამიც გახმა. ჰო, ონის... ავტირდი, მერე ცრემლი შევიშრე და შვილსა
და პატარა ჭერმის ხეზე გადავიტანე მთელი მზრუნველობა. პატარა ხე უკვე
ლონიერი იყო, ჰყვაოდა კიდეც და ნაყოფსაც ისხამდა. ახლა უკვე სამნი
ვცხოვრობდით. მაგრამ ბიჭი გაიზარდა და ქალაქში წამოვიდა სასწავლებლად.
მერე ცოლიც აქ შეირთო და იშვიათად ჩამოდიოდა შინ. მაშინ მეორე ხემაც
დაიწყო ხმობა, გინდა დაიჭერე და გინდა — არა... ვიცი ონის, ხე ადამიანი
არ არის და გრძნობა არა აქვს. არც კაცთან ერთად სიკვდილი შეუძლია, მაგ-
რამ დამიჭერე, ხმობა დაიწყო. ჰოდა, აი ერთ დილას აივანზე გამოვედი და

მკვდარი ხე დავინახე. რა თქმა უნდა, დავლონდი. ისე ვუყურებდი, როგორც შვილს, რომელიც უფრო და უფრო იშვიათად ჩამოდოდა ჩემ საწინაშედ. ერთხელ გამხმარ ფოთლებში ქერამი დავინახე: მსხვილი, მწიფე, საოცრად ლამაზი... და იცი, ონის, ისევე ავტირდი. გესმის, შვილმა სულ დაძვინჯა... მოკლედ ავიღე ამ ქერმის კურკა და გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ ვაძვინჯო ცოლის მოსაგონრად. ოღონდ გაზაფხულს უნდა დავლოდებოდი, რომ მიწაში კურკა ჩამეფლო. შვილმა ქალაქში რომ ჩამომიყვანა, თან წამოვიღე, ცხირსახოცში მქონდა გამოკრული. გუშინ, თითქოს განგებ იყო, დამეკარგა, ონის!

— მესმის შენი პროფირ, როგორ დაკარგე, კაცო?!

— აბა რა ვიცი, საღამოს შევნიშნე. ჩემებს სტუმრები ჰყავდათ, გვერდით ოთახში ისხდნენ. ცხირსახოცში კურკა რომ ველარ ვნახე, ყვირილი ავტეხე, დანილა, დანილა-მეთქი. შვილს ვეძახდი, თანაც გამწარებული ვეძებდი კურკას. საწოლქვეშაც შევიხედე, ბალიშების ქვეშაც, შვილიშვილსაც ვკითხე... ის ტიროდა, მე კი ვეძებდი და ვყვიროდი, დანილა, დანილა-მეთქი! — ოთახიდან ხარხარი მესმოდა. ესენი მე სუფრასთან არ მეძახიან, მაგრამ გული არ მწყდება. ახალგაზრდები არიან, სხვა რამეებზე ლაპარაკობენ. დანილას ვეძახდი და კურკას ვეძებდი. ასე მეგონა, უიმისოდ ვერ ვიცოცხლებდი. — გესმის, როგორ ღრიალებსო? ეცა რძალი ვაყიშვილს. ღმერთმანი, ასე თქვა, მისმენ, ონის? შვილიშვილი ტიროდა და მეფიცებოდა, მე არ ამიღია კურკაო. გესმის, როგორ ღრიალებს შენი გამოჩერჩეტებულიო? — ჩემზე თქვა ყველას თანდასწრებით. — რა მოგივიდა, რას აყვირდიო, — შემომიბტია შვილმა. კურკა! ვყვირი და ისევე ვეძებ. — რა კურკა? — მეკითხება და ვხედავ, რომ ბრაზდება. რას იზამ. სწორია, სტუმრები ჰყავს და მე კი კურკით გავუწყალე გული. უარესი კიდევ ის იყო, რომ დამავიწყდა და დანილა დავუძახე.

— შენს შვილს ხომ დანილი ჰქვია, პროფირ.

— კი, მაგრამ ცოლი დენის ეძახის და მეც მაიძულებს.

— ეგ რალაც ჩვენებური სახელი არ უნდა იყოს!

— ჩვენებურია თუ არა, სულ ერთია. ქალი თუ მოინდომებს... ჰო, იმას გეუბნებოდი, შემოვარდა შვილი და, — რა კურკაო, — დამიყვირა. — შენ რა ჯიბრზე იქცევი? შენ გამო ხალხი დამცინის. — მე სულ გადავირიე, — რომელი ხალხი, კურკა დავკარგე-მეთქი. — შვილმა ხელი ჩაიქნია, — სუფრასთან ველარ მივბრუნდები, დამცინებენ. ყველანი დენად მიცნობენ და შენ კიდევ დანილათი საქმე გააჭირე. ღმერთმანი, არ ვიცი, რა გიყო, მამაჩემო.

— კურკა! დანილა, კურკა! — ვყვირი მე. ამ დროს კარი დაჯახუნდა და რძალი შემობრძანდა. — რომელი კურკაო! — ის კურკა-მეთქი! — ო, რა ცუდად ვიყავი!.. — გესმით, დანილა, ჩვენი ქერმის უკანასკნელი კურკა მქონდა შენახული. დედაშენის სახსოვრად ვინახავდი, მსხვილი კურკა იყო. — იმდენი ვიყვირე, ყელი ჩამიხჩა... მერე რა, ონის... იცი, ჩემმა ყურებმა რა გაიგონეს? — ჰა, ჰა, ჰა. შენ ახლა მიჩურინელობაც დამიწყე, ბებერო უქნარა? მაშ იცოდე, რომ ის კურკა მე შევკამე. დიან, დიან, რას დაქაჩე თვალები? იატაკზე ვიპოვე, ქუსლით გავტეხე და შევკამეო... თვალი გამისწორა და ისე მითხრა.

— შვილმა რა თქვა?

— შვილმა რა... ერთი მიაფეთა.

— მოაფეთა? მე მაგ გველის წიწილას ფეხით გავსრესდი. მასეთი ქალი ცოცხლად უნდა დამარბო. ძუკნა! ომის დროს მაგნაირებს ხვრეტდნენ...

— ოპ, ონის, ნეტა ჩემთვის დაერთყა შვილს. სილა რომ გააწნა, რძალმა მხოლოდ ეს უთხრა. — ასე არაა! წავლენ სტუმრები და მოვლავარაკები. თქვენ კი, თქვენ... — ახლა მე მომიბრუნდა, — დენის ხლებით არ უთქვამს, თქვენს სახლს წირვა გამოვუყვანეთ, გავყიდეთ. ახლალა მრჩვედნ, მწაიდან გვყავს მანქანაო? ჰო და, ნულარ დამირეკავ, ონის. ჩვენთან ყველაფერი ყრჩაზეა. იმ დღეს ბიჭი იატაკზე იწვა. დილით კი ერთმანეთისთვის ხმა არ გაუციათ. ასეა, ონის... აბა, რა დღეში ვიქნები, ონის? იმის იმედით ვცოცხლობდი, როდისმე მეთქი... ახლა რაღა დამრჩა? ერთი ეს მითხარი, ჩემო კეთილო, ასე შეიძლება? სახლი როგორ უნდა გაეყიდათ?..

— შენ ხარ, პროფირ?

— მე ვარ, ონის.

— ახლა მე გირეკავ... შინ არ არიან?

— არა.

— ოფლმა დამასხა და ეგაა... არ მინდა, მაგათ ყბაში ჩაგაგდო, პროფირ, ნამდვილი გმირი ხარ. სიმართლე გითხრა...

— კარგი, ონის, რაც იყო, იყო. ყველაფერი გაივლის.

— რას ამბობ, მაგათ ყოველ ნაბიჯზე ჭკუის სწავლება სჭირდებათ, რომ აღარ გაიმეორონ. მე მაგალითად. ვერ გავიქცეოდი სახლიდან.

— არც მე გავქცეულვარ. ონის.

— როგორ არ გაქცეულხარ. მთელი დღე თუ გეძებდნენ.

— კიბეზე ვიჭექი...

— შენ გგონია, ეს ცოტაა? შენ კიბეზე იჭექი და მაგათ გიჭებოვით მთელი ქალაქი შემოირბინეს. შენი რძალი, ოფლში გაიხვითქა, არა! რამე რომ მოგსვლოდა, მაგათ კარგი დღე არ დაადგებოდათ. სახლის გაყიდვა როგორ გაბედეს... შენ ეს მითხარი, რაღა ამ აურზაურის მესამე დღეს გადაწყვიტე გაქცევა?

— უბრალოდ. გამოვედი ბინიდან და წავედი. შუა კიბეზე ჩამოვჭექი და დავფიქრდი, სად წავიდე, ვილას ვჭირდები-მეთქი?

— ნუ ლაპარაკობ, ღმერთმანი, გმირი ხარ... თქვენთანაც წვიმს პროფირ?

— წვიმს? ერთი გავიხედო... მართლა წვიმს, მე კი არ ვიცოდი.

— კოკისპირულად წვიმს...

— შეილიშვილს ვაქმევდი და არც შემინიშნავს...

— მე კი ვიდექი ფანჯარასთან და ვფიქრობდი. რა ხანია, წვიმა არ ყოფილა ქალაქში. ღვარად მიედინება ასფალტზე.

— მე ძალიან მაღლა ვცხოვრობ, ონის. ასფალტს ვერც კი ვხედავ.

— რომელ სართულზე ხარ, პროფირ. რამდენი ხანია ერთმანეთს ველაპარაკებით და არც ერთხელ არ მიკითხავს, რომელ სართულზე ცხოვრობს შენი შვილი.

— გგონია, მე ვიცი?

— როგორ არ იცი, მადლობა ღმერთს, ნახევარ წელიწადზე მეტია, ქალაქში ცხოვრობ. სახლში ლიფტი გაქვთ?

— ეგ საჭმელია?

— არა. ფანერის ყუთივითაა. შეხვალ შიგ და მაღლა სართულებზე აგიყვანს.

— ააა!.. პატერნოსტერი? რძალი და შვილი მაგას პატერნოსტერს ეძახიან.

— ოპ, ინტელიგენტები! ჩემები ლიფტს ეძახიან. პოდა, შიგ რომ ჯდება, რომელ ლილას აჭერ ხელს?

— ეეხ, ონის! პირველ ხანებში საერთოდ არ გამოვდიოდით გარეგანად რე ბაზარში რომ დამიწყეს გაშვება, რა თქმა უნდა, პატერნოსტერში ვჯდები, მაგრამ მარტოს მეშინია და შვილს ჩავყავარ, რომ დავბრუნდები, ქვევიდან ვეძახი, ჩამოვა და ამიყვანს ხოლმე. ესენი შეჩვეულები არიან. კიბეზე სიარული აღარც კი იციან... იმიტომაც ვერ მიპოვეს მაშინ.

— არა, პროფირ, ლიფტს უნდა შეეჩვიო, ამაზე ადვილი რაა. წითელ ლილას უნდა დააჭირო ხელი, ოღონდ, როცა შავია, მაშინ გაიღება კარი, შეხვალ და შენი სართულის ლილას დააჭერ ხელს. პირდაპირ შენს კართან მიხვალ. უკვე დროა, ძმაო, დრო. მოხერხებულია, მერე კიდე, რა იცი, რა ხდება, ვთქვათ, შინ არავინ არი, ან, ღმერთმა დაიფაროს და, შვილიშვილს რაიმე გაუჭირდეს ეზოში, რა ვიცი, კიდევ, რამდენი რამ, სანამ კიბეზე ჩახვალ, საათი გაივლის, ახლა აღარც მუხლი გიჭრის. ხომ სწორი ვარ?

— ამბობენ, ზოგჯერ მოწყდება ხოლმე, ლიფტით.

— ათასში ერთხელ.

— ზოგჯერ კარმა იცის ჩაკეტვაო. შეხვალ და ვეღარ გამოხვალო. ისევ ფეხით ჯობია.

— სანამ შეეჩვევი, კი ჯობია, გგონია, ჩემთვის ადვილი იყო? მეც მეშინოდა. კარი რომ გაიღებოდა, ცალფეხს შევეყოფდი და იატაკს ვსინჯავდი. პირველად ვიდექი და ვფიქრობდი, უცბად სიძე მომეპარა და მუხლიც ამომარტყა, ნუ გძინავსო. სანამ გონს მოვიდოდი, უკვე ქვევით ვიყავი.

— ამას თავი დაეანებოთ და იცი, რატომ დაგირეკე? შვილთან ჯერ არ გილაპარაკია?

— ველაპარაკე, ონის.

— მერე?

— ის შენს სიძეს ელაპარაკა და იმან უთხრა, მოვიფიქრებო.

— ძალღიშვილი! რაა მოსაფიქრებელი? სულ რამდენიმე საათზეა ლაპარაკი.

— მეც ასე ვუთხარი.

— ჩვენ ერთი საათიც გვეყოფოდა, პროფირ. შევხვდებით, ერთმანეთს შევხედავთ... რამდენი ხანია, ტელეფონზე ვლაპარაკობთ და ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა ვნახოთ ერთმანეთი. არა, პროფირ, რაღაცას ავუტეხავ თავს. აი, ნახავ.

— კარგი, ნუ ცხარობ, რაკი თქვა მოვიფიქრებო, ყველაფერი კარგად იქნება. მთავარია, ისინი შეხვდნენ ერთმანეთს. გაიცნონ ერთმანეთი და მერე შეთანხმდებიან.

— მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ აბა, დაუკვარდი სიძე რას ამბობს. მოვიფიქრებო. რა არის აქ მოსაფიქრებელი? ფულს ხომ არ ვთხოვქ მონასტრის ასაშენებლად? ერთმანეთთან შეხვედრის ნება გვინდა დაგვართონ.

— ქალიშვილთან მოლაპარაკება არ გიცდია? იქნებ იმან უთხრას ქმარს, ქალებმა იციან თავის მოქონვა.

— ეპ, პროფირ, ჩემი ქალიშვილი შენ ვაჟიშვილს არა ჰგავს, ქალიშვილია ცეცხლი, თორემ სიძეს კიდევ არა უშავს. ვცადე, როგორ არ ვცადე, მაგრამ რა გამოვიდა? — ვის უნდა შეხვდე? რატომ უნდა შეხვდე? კოლექტი-

ლი ცხვირი არ ჩამოუყვია სოფელში და, რომ დავინახე, ბედნიერებისაგან ავტირდი... წარმოგიდგენია? ამას არც წინათ ვეცოდებოდი; წელიწადში ერთხელ ძლივს მომინახულებდა. მერე კი სულ მთლად მიმატოვა. ერთხელ წერილს თუ გამომიგზავნიდა, ასე და ისეო, კარგად და ჯანმრთელად ვარო და ცოცხალი რომ ვნახე, მეგონა სიხარულისაგან მოვკვდებოდი. მერე კი ვიხსენებოდა არც სოფელშია სახარბიელო. ჰოდა, აი ჩამობრძანდა ვაჟიშვილი, ვენახიდან დავინახე. დანილა, შენა ხარ-მეთქი? მე ვარ, მეო, გადავეხვიეთ ერთმანეთს, გადავკოცნეთ... ვილაპარაკეთ აქეთურზე, იქეთურზე და... თურმე იმიტომ ჩამოსულა, რომ ქალაქში წამოვეყვანე.

— ჩემებიც ასე...

— ჯერ არ მინდოდა, გესმის? გაგონებაც არ მინდოდა. აქ ცოლი მყავს დამარხული, შენი დედა და მეც მის გვერდით უნდა დავიმარხო-მეთქი. იმან კი ეშმაკურად დამიწყო, გვიჭირს მამაჩემო, პატარა ბავშვი გყავს. დამტოვებელი არავინ არისო. ბაგაში ცოლს არ უნდა მიბარება — სად სახლში გაზრდილი და სად ბაგაშიო. თითქოს სწორია, მაგრამ მე მაინც ჩემსას გავიძახოდი, იქ რა უნდა გავაკეთო? სახლს ვერ მივატოვე. მერე ბალი? საფლავი. არა, ვერ წამოვალ-მეთქი, მერე მეზობლები შეგროვდნენ, თითო ჭიქით დალოცეს შვილის ჩამოსვლა და მე მომიბრუნდნენ. — პროფირ, ეს შენი შვილია და შენ თუ არა, აბა ვინ მიეხმარება? მერე შვილიშვილი გყავს. ზოგი ნატრულობს შვილიშვილს. შენ ღმერთმა მოგცა და მისი გაზრდა არ გინდაო? აქ ჩამომიყვანონ-მეთქი. ნუ სულელობ, ქალაქელ ბავშვს ამ ტალახში რა უნდაო. წადი, პროფირ და ღმერთს მადლი შესწირე, ასეთი ნასწავლი შვილი რომ გყავს და მშვენიერი შვილიშვილიო. ხომ ბევრჯერ გითხარი, ონის, შვილმა შვილიშვილიც ჩამოიყვანა. გოგონამ ტირილი დაიწყო და შვილი ისევ მომიბრუნდა, ეს ხომ დროებით არის, მამა. სახლს დავეკეტავთ, ან ვინმეს ჩაეპარებთ, ფულს გადავუხდითო. ფული რა საკადრისიაო, აყაყანდნენ მეზობლები. ყველაფერს მივხედავთ და მოვუვლით, პროფირ, თღონდ შენ შვილს პატივი ეცი და წაპყევო. მეც დავუჯერე... ახლა სად წავიდე, ონის, სახლი რომ გამიყიდეს?

— ოხ, პროფირ, ნეტა გამიშვან და ვისთანაც გინდა, იმასთან ვიცხოვრებ სოფელში. ყველა სიხარულით მიმიღებს. შეიძლება, ვილაც-ვილაცებმა დამივიწყეს კიდევ? მაგრამ მე ძველებურად ვიმუშავე...

— მართალი ხარ, ონის. განა მე არ შემიკედლებენ თანასოფლელები? იქ ძველი მეგობარი მყავს, ომისდროინდელი. ახლა ავადაა, ხელები წაერთვა, აღარც ფეხები ემორჩილება... ისიც მირჩევდა, წაპყევო. რისთვის ვიბრძოდით, პროფირ, შენ შვილს რომ ეცოცხლა იმისთვის, არა? ხომ სწორია... სწორია-მეთქი. ჰოდა, რაკი ცოცხალია, უნდა მიეხმარო, ეს ჩვენი მოვალეობაა. სამარის კარამდე შვილებზე უნდა ვიზრუნოთ... ეს ჩვენი ჯვარია. ჩემი ცხოვრება არ აეწყო ასე... შენ მაინც წადი, პროფირ...

— რატომ გაჩუმდი?

— როგორც ჩანს, ასეთი ბედი გვქონია, ონის.

— სწორი ხარ, პროფირ. არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ რა ვქნა. გუშინ ჩემი ყურით გავიგონე, სიძემ რომ უთხრა ქალიშვილს, ჩვენმა ბრანწმა მეგობარი იშოვა, ისიც ამნაირიაო. ოჰ, პროფირ, არ მინდოდა მეთქვა, როცა მივხვდი, რომ ერთმანეთს არ შეგვახვედრებდნენ, სისხლად ამივარდა თავში. მინდოდა საშინელება ჩამედინა. მთელ ქალაქში თავი უნდა მომეჭრა ამათ-

თვის. აივანზე გავსულიყავი და ღრიალი ამეტება, მაგრამ თავი შევიკავე. მოხუცი ვარ და რომ მოვკვდე, სირცხვილს ჭამენ-მეთქი. მაშინ მომივიდა აზრად: მორჩა, შიმშილობას გამოვაცხადებ. გახსოვს, შენ გირჩევდი, ახლა მე თვითონ ვსინჯე, მაგრამ არაფერი კარგი არ გამოვიდა. რას გადაამეკიდეთ? დღეიდან ლუქმას არ ჩავიდებ პირში-მეთქი! და ეგრევე ისტაქსე დაწვებოდა. ქალიშვილს ხელები აუკანკალდა, მე კი ვზივარ და ხმას არ ვიღებ. მთელი კვირა, თვე, წელიწადი ვიქნები ასე, მაგრამ არ დაგნებდებით-მეთქი. ან გამოშვით ჩემ მეგობართან, ან... მაშინ ჩემმა სიძემ ძალიან მშვიდად თქვა, მომიტანე, სილვია, ჯამით „ბლინჩიკები“, ერთი ვნახოთ, როგორ არ შეჭამსო... არ მინდა გითხრა, პროფირ, როგორ მომექცნენ. სიძემ იატაკზე წამომაქცია, ძალად გამიღო პირი და არ მომეშვა, სანამ ყველა არ გადამაყლაპა. ახლა მიდი და იშიმშილეო. ამათ მაგივრად მრცხვენია. პროფირ, აი, ნახავ, ისეთ რამეს ჩავიდენ... შვილიშვილს აქამე?

- არა, დრო კია...
- მიდი, მიდი, აქამე...

- შენ რეკავდი, ონის?
- როდის?

— რა ვიცი, მთელი დღე რეკავს ვიღაც, მაგრამ ისინი სახლში იყვნენ და ტელეფონთან ვერ მივედი. ყურმილის ალბის მეშინოდა, ესენი კი არ ჩქარობდნენ.

- გლანძლავდნენ?
- ცოტას...

— სიშარტლე მითხარი, პროფირ. ჩვენ ერთმანეთთან დასამალი არაფერი ვვაქვს. ბრაზობენ, როცა გირეკავ, არა?

— ჰო, ონის, რა დასამალია, ბრაზობენ. რძალმა ისმინა, ისმინა ტელეფონის ზარი, მერე კოვზი დაახეთქა მაგიდაზე და გავიდა.

- ღმერთო ჩემო, სადილის დრო იყო?
- ჰო, დაახეთქა კოვზი და ხმა არ ამოუღია, ისე შეიკეტა ოთახში.

— რა დანაშაულია, ხანდახან ერთმანეთთან საუბარი თუ მოგვინდებოდა? გუშინ, მაგალითად, მინდოდა გამეგო, ბაზარზე ბალი შემოვიდა თუ არა. რა არის ამაში ცუდი? შენ ხომ დადიხარ ბაზარზე და...

- მდააა...
- მაგათ სამსახური აქვთ, მეგობრები ჰყავთ, კინოშიც დადიან და ჩვენ? ძალიან გაბრაზდა?

— კოვზი დააგდო და მერე აღარ მობრუნებულა სუფრასთან.

- შეილმა რა თქვა?

— არაფერი, ხმის ამოუღებლად დაამთავრა საჭმელი, მაგრამ ვხედავდი, ისიც უკმაყოფილო იყო. — რას იბერებით? ვკითხე შვილს, — რა მოხდა მერე თუ კაცი ტელეფონზე მირეკავს? მაპატიე, ონის, სიბოროტით არ მითქვამს, ხომ იცი, ამ ქალაქში მარტოობა რა არის. სკამზე ძლივს დავმაგრდი, მინდოდა, წამოვმბტარიყავი, ჯანდაბაში გამესტუმრებინა და ყურმილს ვცემოდი, რომ შენი ხმა გამეგონა. იქნებ რამე გიჭირდა... იმან კი — ბრაბ, კოვზი დაახეთქა. შვილი კი ჭამს და ხმას არ იღებს. იქნებ ის არც არის, რა თვალს მარილებ-მეთქი? შვილმა თვალი თვალში გამიყარა და მითხრა — ის არ არის? მაშ, ვინ უნდა იყოს? — შვილისაც მესმის — უბედურია... დი-

ლიდან სალამოდე იმ თავის აკადემიაშია, დამე კი ქალაქებში თავჩარგული. ჩემთვის სად სცალია.

— მეტი არაფერი უთქვამს?

— არა, საჭმელი დაამთავრა და წავიდა... ვატყობდი, ლუკმა ძლიერს და დასდიოდა ყელში.

— ყველაფერი იმ ძუქნას ბრალია.

— ვისი? ჰოო... იცი, ონის, მე იმისიც მესმის. ახალგაზრდები არიან და ქვეყნის საქმე აქვთა ორივენი მთელი დღე მუშაობენ და შინ რომ მოდიან, დასვენება უნდათ...

— მაშინ რაღას იზამდნენ, ესენი რომ ბავშვებთან ისხდნენ, მე და შენ კი ქალაქში დავსეირნობდეთ, თეატრსა და კინოში დავდიოდეთ, მეგობრებთან ვატარებდეთ დროს.

— ეჰ, ჩვენ უკვე ბებრები ვართ, ონის...

— ბებრები კი ვართ, მაგრამ ჩვენიც ხომ უნდა ესმოდეთ? ერთი ჩემმა სიძემ მომცეს შენიშვნა და იცი რას ვუზამ? სახეში შევაფურთხებ და წავალ, ნუ გგონია, შიმშილობის ამბავმა ასე ჩაიაროს.

— მართალი ხარ, ონის, შენ მტკიცე ხასიათი გაქვს. მე კი რძალს სალამსაც ვერ ვაძლევ გაბედულად. დავინახავ თუ არა, ენა მეზმის.

— საქმეც ესაა, ქედს ვიხრით მათ წინაშე, ენა გვებმის. გამოვკვებეთ, გამოვზარდეთ და... ერთად წავიდნენ?

— რას ამბობ!.. ახლა ერთი სამი დღე ხმას არ გასცემენ ერთმანეთს.

— მაპატიე, პროფირ, რომ წავიდოდნენ, მერე უნდა დამერეკა, მაგრამ ისე მეჩქარებოდა რაღაცის თქმა...

— ვიცოდი, შენ რომ რეკავდი.

— სამჯერ, ოთხჯერ დავრეკე, მაგრამ მივხვდი, კარგად რომ არ იყო საქმე და მოვეშვი. იცი, რა უნდა მეთქვა?

— გისმენ, ონის.

— ჯერ ეს მითხარი, თუ იცი, შენი შვილი კიდევ ხომ არ ელაპარაკა ჩემს სიძეს?

— არ ვიცი.

— ხომ დაგპირდა, ახლა მაგაზეა დამოკიდებული. იცი, წუხელ რაზე ვფიქრობდი? ხომ შეიძლება, რომ სულაც მეზობლები ვართ? რატომ არ შეიძლება! იქნებ ქუჩის ერთ მხარეს შენა ხარ და მეორე მხარეს მე, ან იქნებ სულაც ერთი კედელი გვყოფს და არ ვიცით?

— რას ამბობ, ონის!

— რა იყო, აი, ერთმანეთს ვურეკავთ და... შენ იცი საიდან რეკავ? კი ბატონო, ქალაქი დიდია, მაგრამ იქნებ ჩვენ სულ ახლოს ვცხოვრობთ ერთმანეთთან?

— ონის, ასე რომ იყოს...

— მოიცა, ნუ ჩქარობ... მე მთელი დამე არ მიძინია ამაზე ფიქრით.

— კარგი რა, ონის, ასე რომ იყოს, დავაკაკუნებდი კედელზე და გაიგონებდი.

— სწორედ ამაზე ვფიქრობდი დილაამდე.

— ღმერთო ჩემო, შენ კედლის იქით ხარ და მე არ ვიცი? მოდი, დავაკაკუნებ და თუ გაიგონო, მაშინვე მიპასუხე, კარგი ონის?

— გაიგონე?

- უკვე დააკაკუნე?
- სამჯერ, მოიცა, კიდევ დავაკაკუნებ... მოიცა, ფეხზე გზვიხადო...
- იქნებ იმ კედელზე არ აკაკუნებ... მოდი ყველგან დააკაკუნე, არა, მოიცა, მე დავაკაკუნებ და შენ მისმინე.
- რა პქენი, ონის, დააკაკუნე?
- არ გაგიგონია? მოდი უფრო მაგრად დავაკაკუნებ. ერთმანეთს რომ დავუძახოთ
- ონის!!!
- პროფირ!!!
- ონის!!!
- პროფირ!!!
- ეს უნდა გეთქვა, ონის?
- ესეც, პროფირ, და კიდევ, იქნებ რაიმე შემთხვევამ ჩემს მხარეს გადმოგაგდოს-მეთქი.
- არა, ონის, კარგად არც მესმის, რას მეუბნები, მე ხომ ერთი ზედმეტი ნაბიჯის უფლებაც არა მაქვს, მარტო ბაზარი და უკან...
- მოიცა, პროფირ, ვიცი, რომ სახლიდან შორს არ მიდიხარ, მაგრამ ხომ შეიძლება, შვილთან ან რძალთან ერთად ჩვენს კვარტალში მოხვდე, უბრალოდ, რაიმე შემთხვევის გამო...
- მერე?
- ხოდა ვიფიქრე, უბედურება იქნება, გვერდით რომ ჩამიაროს და ვერ ვიცნო-მეთქი. იქნებ ერთხელ მაინც შევხვდეთ, ერთხელ მაინც შევხედოთ ერთმანეთს, რა ვიცი, როდის მოელაპარაკება ჩემი სიძე შენს ვაჟიშვილს. ცხოვრება კი მიდის...
- იქნებ შევხვდეთ, როდისმე...
- როდისმე... როდის იქნება ეს როდისმე, პროფირ?
- მდააა...
- ამიტომ გირეკავდი, შემთხვევით ჩემ მხარეს რომ მოხვდე, უსათუოდ უნდა ვნაბოთ ერთმანეთი, შენ უნდა იცოდე, როგორ მომძებნო.
- მე ხომ ქალაქი არ ვიცი.
- სწორედ მაგიტომ გირეკავ, ჩემი პოვნა რომ შეძლო, ესე იგი, შენ ნამდვილად არასოდეს არ ყოფილხარ აქეთ?
- ხომ გითხარი...
- მაშ ასე, იმ ადგილს, სადაც მე ვცხოვრობ, რიშკანოვკა პქვია.
- რიშკანოვკა?
- კო.
- რიშკანკის რაიონი რომ არის, ვიცი.
- ნუ აურევ, რიშკანკის რაიონი რესპუბლიკის ჩრდილოეთითაა. მე ქალაქის რაიონზე გეუბნები, რომელსაც რიშკანოვკა პქვია, გაიგე?
- რიშკანოვკა.
- მთავარია, ეს სახელი არ დაგავიწყდეს, როგორც კი თქვენები იტყვიან რაღაცის საყიდლად მივდივართო, მაშინვე პქითხე, რიშკანოვკაში ხომ არ მიდიხართ-თქო.
- იქ რომ მოხვდეს კიდევაც, გგონია, რძალი შენთან წამოსვლის ნებას დამრთავს?
- მოიცა, მოსვლა აუცილობელი არ არის... წინასწარ დამირეკე, როგ-

ორც კი გაიგებ, რომ შენც მიპყავხარ რიშკანოვკაში ჩანთების სათრევად, და-
მირეკე და მაშინვე ჩამოვალ. მოიცა, ყურმილი არ დადო. შენ ხომ არ ეცი,
სად ვცხოვრობ, როგორ აგისხნა... ფოსტა იცი რიშკანოვკაზე?



- საიდან!
- რიშკანოვკის უნივერსალი?
- ონის...

— გასაგებია, საიდან გეცოდინება? ისე, ფოსტა და უნივერსალი ერთმა-
ნეთის გვერდითაა. უნივერსალიდან პირდაპირ ჯოხით გადასწვდები ფოსტას.
მე კი ზედ ფოსტის თავზე ვცხოვრობ. დარეკვას ვერ მოასწრებ და მე უკვე
უნივერსალთან ვიქნები, კუთხეში. შენ რამე დაიჭირე ხელში, რომ გიცნო. მე
ყოველთვის უკაკარდო კები მხურავს. შენ?

- ოხ, ონის თავი ამტკივდა.
- რატომ, პროფირ, გეშინია, რომ ვერ მიცნო?

— ჯერ ერთი, არ მჯერა, როდისმე თქვენ მხარეს თუ მოვხვდები. ამას
არასოდეს არ მივყავარ თან. მარტო ბაზარში მგზავნიან, სხვაგან არსად. ერ-
თხელ კი ვავიგონე, ჩემმა შვილმა უთხრა რძალს, მოდი, ესეც გავასეირნო-
თო, მაგრამ იმას სიბრაზისაგან ხმა ჩაუწყდა, ამასთან ერთად? ამასთანო? —
მაშინვე გაიხალა და დაწვა.

- მართლა ასე თქვა, ამასთანო?
- ხო, მე თვითონ ვავიგონე.
- ოხ, მაგათი დედა...
- ონის, ონის, მისმენ?
- ვისმენ, პროფირ.
- სად დაიკარგე?

— ავლელდი და სკამიდან გადავარდი. ასე, როგორ ლაპარაკობენ მოხუ-
ცზე, ა? ქუჩაში გლებთან გავლა ესირცხვილებათ და მაგათ ორმოცდაათკილო-
იან ჩანთებს რომ დავათრევთ, შვილებს რომ ვუზრდით და სადილებს ვუმ-
ზადებთ, ამისი არა რცხვენიათ არა?

— ასე ნუ ამბობ, ონის... ესენი ანალგაზრდები არიან, ჩვენ კი? სიმარ-
თლე თუ გინდა, მე თვითონ ვერ შევძლებდი მათთან ერთად ქუჩაში სია-
რულს; ჩაცმულ-დაბურულები არიან, გამოპრანკულები.

— ჩაგაცვან და შენც გამოპრანკული იქნები.

— ნუ ბრაზობ, ონის, ტანსაცმელზე არ ვჩივი... მაგაზე არ არის ლაპა-
რაკი. მინდოდა მეთქვა, ტყუილუბრალოდ ვერ ვივლი-მეთქი ქუჩაში. ესენი
კი მიდიან და მოდიან ქუჩის თავიდან ბოლომდე...

— ქონი მოეძალათ და სეირნობენ...

— არა, ჩემები მსუქნები არ არიან.

— სული აქვთ დაქონიანებული. ვიცი მაგათი ამბავი... თუ გინდა, ჩემი
სიძე, სამსახურში დადის, უფროსია და არაფერს აკეთებს. მხოლოდ ხელს
აწერს და ბეჭედს ურტყამს ქაღალდებს. ესაა სამუშაო? სალამოს კი მობრძან-
დება, წამოწვება დივანზე, დაიჭერს ხელში გაზეთს და ხვნეშის. გეკითხები,
რა ახვნეშებს? სულს უწვალებს ქონი, გინახავს როდისმე, გლები გამოდიო-
დეს სასეირნოდ მუშაობის მერე?

- გეყოფა, გეყოფა... რაღაც უნდა მეკითხა... ჰო, სადილზე ამბობდი...
- რომელ სადილზე?

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



- სადილებს გამზადებთო...
- ასე არ არის? ბავშვებსაც ვზრდით და...
- მათი მზარეულიცა ხარ?
- აბა რა, ეგაა, ჩემი ხელით არ ვაქმევ, თორემ... შენ არ აკეთებ სა-
დილს? ნიკოლაე ენიწეაძე
- არაა! სამზარეულოსთან ახლოსაც არ მიშვებენ, ჩხალს არ მოსწონს. მაგის ხელით გაკეთებულს ვერ შევქამ, შავი ფრჩხილები აქვსო.
- ჩემებმა კი ხარივით შემაბეს უღელში. დაიცა, ამათ ვუჩვენებ, სე-
ირს!..
- ნუ ნერვიულობ, ონის, ჩვენ მოხუცები ვართ, ესენი კიდე, რაც უნდა იყოს, მაინც ჩვენი შვილები არიან..
- კი მაგრამ ზომა უნდა იცოდნენ.
- ბიჭის უკმაყოფილო არა ვარ, „ბულკივითაა“.
- მოიცა, პროფირ, რაღაც ჩამოვარდა.
- პროფირ, ისევ მე ვარ, არ მოსულან?
- არა.
- ჩემებიც წავიდნენ, ძალად გავრეკე. სადილი არ მოეწონათ და იცი რა ქნეს? ხელაღლა გამაკეთებინეს. კინალამ ქვაბი გადავამხე თავზე. მინდოდა მეთქვა, აქ რესტორანი არ გახლავთ, ნაირნაირები რომ დამიკვეთოთ-მეთქი. მაგრამ ხმა არ ამოვიღე... გესმით, ჩახლილ ერბოკვერცხს არ მიირთმევენ!
- ჩვენთვის ხომ უკეთესია, ხმას რომ არ ვიღებთ.
- არა, ჩემო ძვირფასო, აი, ნახე რა სეირს ვუჩვენებ, დღეს იმიტომ არ ამოვიღე ხმა, რომ მალე წაბრძანებულიყვნენ... შენ რას აკეთებდი?
- ნუ მკითხავ, ონის!
- შვილიშვილმა დაიძინა?
- დაიძინა.
- რას ოხრავ, გუშინ საღამოს რატომ არ დამირეკე?
- ტელეფონისთვის არ მცხელოდა.
- ბავშვს ხომ არ მოუვიდა რამე?
- ბავშვს არა, მადლობა ღმერთს, იმას არაფერი უჭირს. ცოტა თითი აქვს დაჩირქებული თორემ ისე ჯანმრთელი ბავშვია.
- ხომ გითხარი, თუ ავად გახდეს, მაშინვე დამირეკე, არ მოგერიდოს-მეთქი. აბა, რა მოგივიდა?
- არ მინდა, ონის, ჩემი ოჯახის ქუჩუი გარეთ გავიტანო...
- შენც ნუ გაიტან, მე მიოხარი...
- მაშინ მოკლედ გეტყვი, გუშინ გადავწყვიტე, ღომი გამეკეთებინა ჩემ-
თვის.
- შენ არ მიოხარი, რძალმა ქვაბი გადამიგდო?
- გუშინწინ ბაზარზე ვიყავი და ახალი ვიყიდე- ვიფიქრე, ღომს შევ-
ქამ და მერე თუ უნდა, ისევ გადააგდოს-მეთქი ქვაბი. რა ხანია კბილები არა
მაქვს და ულომოდ როგორ გავძლო. ვიყიდე ქვაბი, სიმინდის ფქვილი, ცხვ-
რის ყველი, თუკილა მოიძებნება ცხვრის ყველი, იმიტომ რომ...
- მოიცა, პროფირ, რა ღირს ახლა ცხვრის ყველი?
- წინა კვირას ხუთი ღირდა, ახლა — შვიდი. მოკლედ მოვემზადე ღო-
მის გასაკეთებლად. გოგომ დაიძინა, მე ქვაბში წყალი ჩავასხი, მარილი ჩავ-
ყარე, მერე ფქვილი და ის იყო უნდა მომერია ქვაბისთვის, რომ კარი ჯახუ-

ნით გაიღო და სამზარეულოში რძალი შემოვარდა. ღმერთმა იცის, საიდან გაიგო, საქეიფოდ ემზადებო, და...

— ასე გამოწმებს?

— ჯანდაბას მაგისი თავი... გამოვარდა იტაცა გულზე ხელე და დაიწყო, ვაიმე ხალიჩები, ვაიმე, ავეჯიო, მეც შემეშინდა, განა ლომი ხალხებს უკვებს? გაგიგია, ასეთი რამე? არ მინდა სახლში მიმწვარი ლომის სუნი იდგესო. მე ვუთხარი, არაფერი ჩამწვარა და არც დამწვრის სუნი იქნება-მეთქი. გააგებინებ რამეს? სტაცა ქვაბს ხელი და ჩემი ლომიანად გადამიგდო. ახლა ფანჯრიდან გადააგდო ქვაბი და ხელებიც გვარიანად დაიწვა. ასე გაიქცა სამსახურში, ხელებდაბანდული. ისიც არ ვიცი, იქნებ ქვევითაც დაფუფქა ვინმე...

— მაპატიე, პროფირ, მაგრამ ეგ ხომ ქალაქელი არ არის და ვითომ რატომ არ უნდა ჭამოს ლომი?

— ჰო, სოფლელია და მშობლებიც ძალიან წესიერი ხალხია, უფრო სწორად, წესიერები იყვნენ, რადგან ახლა... სოფლელი რომ არის, იმიტომ ამბობს, იმდენი მაქვს ბავშვობაში ნაჭამი, რომ ლომის დანახვაზე გული მერევაო, მაგრამ შენ ხომ იცი, ონის, რას ნიშნავს ჩვენთვის ერთი ლუკმა ლომი.

— რას ამბობ, ერთი ლუკმა ლომი ხოხოზიკითა და... არა, ყველი ახლა ძვირია, აი, მანეთ-ნახევარი რომ ღირდა...

— მე რძეში ვაწებ ხოლმე.

— რძითაც შეიძლება.

— ესენი არ ჭამენ და მეც...

— ჩემებმა კიდე აიკვიატეს, კუჭის ყველა დაავადება ლომის ვიტამინების ნაკლებობიდან მოდისო. რომელიღაც ნაცნობ ექიმს კი უთქვამს, ლომი სასარგებლოა და არა მაწყინარო.

— ჩემებს კი სულ სხვა პოლიტიკა აქვთ...

— რა უნდა ქნა, პროფირ, უქვამოდ?

— ქვაბშია საქმე? ქვაბს კი ვიშოვი, მაგრამ ახლა შვილიც აღარ მანებებს ლომის გაკეთებას. რძალმა რომ პირველად გადამიგდო ქვაბი, ბიჭმა მითხრა, ლომი თუ გინდა, ისე მოხარშე, მაგან არ გაიგოსო. ახლა კი, მისი დამწვარი ხელები რომ ნახა, ისე განრისხდა, ასეთი არასოდეს მინახავს. ღრიალებდა, რას აიკვიატე ეს ლომი, გითხრეს, პური ჭამეო და ჭამე, როგორც ყველა ჭამს, და ისე გაიჯახუნა კარი, კინალამ სარკმელი ჩამოვარდა. საღამოს სუფრასთანაც არ მიმიწვიეს. არც მინდოდა. გოგონამ ერთი ათჯერ მაინც მოირბინა, ტიროდა, შენ თუ არ შეჭამე, არც მე შევჭამო. მაგრამ არ წავედი. იმათ არც დაუძახნიათ... ისევ არ ელაპარაკებიან ერთმანეთს, ოღონდ აქიდან წამიყვანა და სულ ერთია, სადაც წავალ. მაგრამ სად წავიდე? მითხარი, ონის, რა ვქნა?

— განა მე კი დამრჩენია რამე ამ ქვეყანაზე, პროფირ? შვილიშვილები რომ არა... — აი, ნახავ, რას ჩავიდენ... რაკი გადავწყვიტე...

— ერთადერთი, რაც ამ ქვეყნად დამრჩენია, შენა ხარ, პროფირ...

— უფრო სწორი იქნება, ეს ტელეფონიო, რომ თქვა.

— სწორია, ეს ტელეფონი... ადრე თუ გვიან, ერთმანეთს უნდა შევხვდეთ, პროფირ, სხვანაირად არ შეიძლება.

— უნდა შევხვდეთ, ონის, მაგრამ როდის, რანაირად?

— ერთხელ კიდევ სთხოვე, ის მაინც შვილია შენი. იმას შეუძლია... ვი-

ცი სხვადსხვა ადგილას რომ მუშაობენ, მაგრამ ორივენი ხომ უფროსები არიან, უფროსებს კი ყოველთვის ეხერხებათ შეთანხმება. სიბჭე, პროფირ, მე კი არაფერი გამომივა. გაზეთში თავჩაჩინდრულს ოხვრის მუტი არაფერი დასცდება...

— გუშინ მინდოდა მეთხოვა, ონის, მაგრამ ამ ~~სიტყვების~~ ამბავიც გუშინ მოხდა.

— მდაა...

— არ ვიცი, რა ვქნა, მშია და ლუკმა არ გადამდის ყელში...

— თავს ნუ იწვალე და მოხარე ლომი.

— არ შემიძლია, ლომის ქვაბიც აღარა მაქვს.

— სხვა ქვაბში გააკეთე.

— ერთხელ ჩაიდანში ვსინჯე, რა ამბავი იყო!.. თანაც მეშინია, ისევ რომ დამაცხრეს თავზე?

— იქნებ დღეს მაინც ვეღარ მოიცალოს შენთვის მაგ ქაჯმა.

— რომ მოიცალოს? გუშინ ღრიალებდა, ხვალიდან, ესე იგი, დღეიდან, ყოველდღე შეგამოწმებ და თუ კიდევ შეგნიშნე მსგავსი რამე, შენს მოხუცობას არაფრად ჩავაგდებ და ლომიან ქვაბს თავზე ჩამოგამხობო.

— მდა... რას გაჩუმდი?

— შენ თქვი რამე, ონის. იცი, წუხელაც არ მეძინა, არ მეძინება და რა ვქნა... ვერაფრით ვეჩვევი. შენ ამბობ, დრო გაივლის და ყველაფერი დალაგდებაო, მაგრამ რამდენი თვე გავიდა და მე ჯერ ადამიანივით არ დამიძინია. წუხელ კვნესა ხომ არ გაგიგონია, ასე, საათის ორზე თუ სამზე? ყველას ეძინა, სიჩუმე იყო, მე კი მეჩვენებოდა, თითქოს ქალაქის ქუჩებში ვიღაც გოლიათი დადიოდა... ოხრავს, კვნესის, რაღაცაქ მღერის ჩუმად... მიჩუმდება და ისევ იწყებს... ოპ, რა ღამეები იყო, ონის, სოფელში დაინახე, წუხელ როგორ მიცურავდა მთვარე მინდვრებისკენ?

— იცი, რაზე ვფიქრობ, პროფირ? რა ბედნიერი დღე იყო, მე და შენ ერთმანეთი რომ გავიცანიოთ ტელეფონით.

— ჩემთვის რაღა იყო? არ ვიცი, როგორ მოიფიქრე. ჩემთან დარეკვა... არ მიცნობდი... ისიც კი არ იცოდი...

— რამდენჯერ ვიამბე, პროფირ, ჩემები რომ წავიდოდნენ, მივუჯდებოდი ხოლმე ტელეფონს და ვრეკავდი და ვრეკავდი შემთხვევით ნომრებზე. ვფიქრობდი, არ შეიძლება ერთი კაცი მაინც არ შემხვდეს-მეთქი ჩემი მხრისა. მაგრამ ქალაქი დიდია, ვრეკავდი, ვრეკავდი ტყუილუბრალოდ. ზოგი ბრაზობდა, ზოგი იცინოდა და ყურმილს მიკიდებდა. მე კი ვოხრავდი და ისევ ვრეკავდი. ახალგაზრდას თუ შევხვდებოდი, რაღაცას გავეხუმრებოდი. მოხუცი თუ იყო და, მით უმეტეს, მოლდავურად თუ ლაპარაკობდა, მანამ არ მოვეშვებოდი, სანამ სადაურობას არ მეტყოდა. რას არ მეუბნებოდნენ, როგორ არ მიპასუხებდნენ ხოლმე, რომ იცოდე, სიცილით მოკვდები, ზოგი კარგა მაგრა შემაგინებდა და ყურმილს დამიხეთქებდა. მე არ ვბრაზობდი და ისევ ვრეკავდი. ზოგჯერ არ მეძინებოდა, ავდგებოდი და ჩუმად ვკრეფდი ნომრებს. ზოგიერთი ქალი მეკითხებოდა, როგორი გარეგნობისა ხართ, რამდენი წლისაო. ახალგაზრდებიც მეკითხებოდნენ, ღმერთმანი...

— ხომ შეიძლებოდა, ონის, მაშინ ყურმილი არ ამელო!

— არა, პროფირ, არ შეიძლებოდა ეს ჩვენი ბედი იყო.

— იქნებ ასეცა... მაგრამ წარმოიდგინე, რა მოხდებოდა ტელეფონთან

რომ არ მოვსულიყავი... ვიფიქრე, ეს ჩემი ბიჭია, ან რძალი-მეთქი, აქ რომ ჩამომიყვანეს. პირველ ხახუბში დღეში ასჯერ მირეკავდნენ. ხან მკვლი, ხან რძალი მაკვში როგორ არისო, ეტყობა, ეშინოდათ. ბავშვს რომ მიტოვებდნენ. პოდა, ან ერთი იქნება ან მეორე-მეთქი.

ერჩენული

— მე კი გავიგონე თუ არა შენი ხმა, იმ წამსვე მივხვდები შენს ხმას კაცი, ის სული, რომელსაც ვეძებდი... თითქოს ჩემი დიდი ხნის მკვდარი ძმის ხმა გავიგონე, რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ?...

- ღმერთო ჩემო, რა უული ვიქნებოდი, შენ რომ არ დაგერეკა მაშინ?!
- უნდა შევხვდეთ ერთმანეთს, პროფირ.
- პო, ონის.

— აუცილებლად... ახლა კი მოიხარე რამე და უსათუოდ შექამე, ჩვენს ასაკში მარხულობა მავნებელია. კიდევ დაგირეკავ, კარგი? აბა, ჯერჯერობით...

- ონის, მე ვარ, ალო!
- შენა ხარ, პროფირ? მოიცა, არაფერი მესმის! რა ჯანდაბა ემართება ამ ტელეფონს, ახლა გესმის?

- მესმის, მესმის!
- ალო, პროფირ, გესმის? ყურმილი არ დაკიდო! კვირა დღეს მაინც მთლად საშინელებაა ეს ტელეფონი.

- შეხი მესმის, ონის, ახლა მე მისმინე.
- ცუდად მესმის...
- ყურადღებით მისმინე.
- ოპ, თითქმის არაფერი მესმის, რაა... ჩვენს შეხვედრაზე ამბობ?
- ყურადღებით მისმინე...

— რა? შენი ფარაონი ჩემსას ელაპარაკა ჩვენს შეხვედრაზე? აი, ეს მესმის, ეს, ჩვენ რომ გვეკადრება, ისაა... მე და შენ მაინც იღბლიანები ვართ. ღმერთმანი ღამის ვიმღერო! ვმღერი კიდევ, გესმის?

- მომისმინე, ონის, ბოლოს და ბოლოს... მე მგონი, ამ შეხვედრაზე ფიქრმა შეგშალა.

— არაფერი არ მესმის, პროფირ, არა-ფე-რი! ხმამალა ილაპარაკე! ესე იგი, შეხვდნენ ერთმანეთს ყრუ და ენაბლუ? გარკვევით მითხარ, როდის ვხვდებით? ჩემს სიძეს ხომ გაზითაც ვერ ამოპგლეჯ სიტყვებს... გუშინ შეთანხმდნენ? ხმამალა, პროფირ!

- ონის, ძვირფასო, ხომ არ ვაგიყდი, საიდან მოიტანე ვითომ... რაც ძალი და ღონე მაქვს ვყვირი, რომ როგორმე გაგაგონო, ყურადღებით მისმინე, მისმინე?

— რა საჭიროა ტყუილუბრალოდ ყვირილი, პროფირ, შენ მხოლოდ დრო მითხარი, დღე, საათი და ადგილი... გაიგე? ნუ ყვირი, სულ ერთია, არ მესმის, ხმადაბლა და გარკვევით ილაპარაკე! ალო! მე ვარ, მე, გესმის!

- შენ ხარ, ონის? მაშინ მისმინე ყურადღებით... გესმის?
- მესმის.
- რატომ გგონია, რომ ჩემი შვილი შენს სიძეს მოელაპარაკა, მისმინე?
- ახლა მესმის, პროფირ...

- მაშ, რატომ არ იღებ ხმას?
- როგორც ჩანს ვერ შევხვდებით ერთმანეთს, მე კი შეგონა...
- ონის, ძვირფასო, მისმინე, მთლად ოფლადა ვარ გაღვრილი... რაქო მისმენ, ბარემ ვიამბობ, რა შემეძობხვა.

— ისევ ფეხი გტკივა? რატომ სდუმხარ? ისევ გტკივა? მარილი, პროფირ, გაიგე? მარილი. მუხლიდან კოჭამდე მარილი მოიყარე. კიდევ უკეთესია, ორ კბილ ნიორს თუ დანაყავ, მარილში აურიე, ჩვარში გამოკარი და მაგრად დაიზილე იმითი ფეხი... ისე გააკეთე, როგორც გეჩვენებდნენ მეუბნებოდნენ, მომიხდაო. ახლაც სინჯე.

— ო, სულსწრაფი ხარ, ონის. დამაცადე... ფეხში არაა საქმე... დიდი მადლობა რჩევისთვის, მაგრამ ფეხი არ მაწუხებს... ჩემზე არ გეუბნები...

— ღმერთო ჩემო, შვილიშვილი გაგიხდა ავად?

— ღმერთმა დაიფაროს, ეგლა მავლია... შვილიშვილი ჭანმრთელადაა.

— აბა, რა ატირებს? აქაც კი მესმის მაგისი ღრიალი.

— რა ვიცი, რა აღრიალებს. რას არ ვხლავოროთობ, როგორ არ ვწვამო მავის ჭმევაზე. ნამცხვარი მივეცი, კარაქიანი პური, ბალი, პამიდორი, მურაბიანი არაყანი — შენც არ მომიკვდე! გინდა თუ არა, მანანის ფაფა მიხდაო.

— მანანის?

— პო, შეეჩვია და... სად ვუშოვო ახლა? რძიანი ატრია გავუცხელე, არ მიირთვა, რძეში პური ჩავუფხვენი, გადამიფურთხა. ვერ გამიგია, რა არის ასეთი ეს მანანის ფაფა? დედამისმა ეს საქმელი დამიტოვა, ეს კიდე! ფაფას მთხოვს. მანანის ფაფა თუ არ მიჭამია, ვერ გავიზარდე? არც არასოდეს მიჭამია და არც არის საქირო. შვილიშვილი მეუბნება, რძით აკეთებენო, მაგრამ რა უნდა ჩავყარო ამ რძეში, მომკალი და არ ვიცი. მიშველე რამე, ონის, თორემ საცაა სახლიდან გავიქცევი. მთელი საათი ხბოსავით ბლავის. შენთან დარეკვის მეშინოდა. სიძეს არ შევხვდე-მეთქი...

— ცოტა წავთელიმე...

— მაპატიე, რომ შეგაწუხე. ღვთის გულისათვის, მირჩიე, როგორ მოვაძუწინო პირი.

— მანანის ბურღული გაქვს?

— რა?

— სახლში მანანის ბურღული არა გაქვთ?

— ბურღული? ესე იგი, ფქვილი?

— თუ გინდა ფქვილი იყოს, ოღონდ მანანის, წმინდა, ძალიან წმინდა ბურღულია, სულ ფქვილსა ჰგავს. თეთრია, პარკებით იყიდება... გაქვს ასეთი რამე თუ არა.

— რა ვიცი. ალბათ აქვთ. ამათ ყველაფერი აქვთ. ცოტა ხანს მოიცადე, სამზარეულოში ვნახავ... ალო! ონის!

— გისმენ, პროფირ, იპოვნე?

— რალაც პარკი ვნახე, მაგრამ არ ვიცი, ის არის, თუ არა.

— კითხვა არ იცი?

— ოხ, ჩემი კითხვა...

— ხოლო... მაშინ ცოტა ძნელია... გაიგე, რა გითხარი? წმინდა თეთრი ბურღულია, ფქვილივით... გააჩუმე ეგ გოგო, თორემ სათქმელს თავს ვერ ვუყრი. პროფირ, პროფირ, სად წახვედი? რა მოგივიდა, გამიბრაზდი?

— ხომ მითხარი, ბავშვი გააჩუმეო.

— დაწყნარდა?

— სამზარეულოში ჩავკეტე.

— არ დაიწვას რამე. მარტო ნუ მიატოვებ, ბავშვი მაინც ბავშვია.



- ღმერთო, მიშველე... მაშინ მოიცადე...
- პროფირ, პროფირ!
- მაპატიე, ონის! სამზარეულოდან გამოვაორიე. იქ გაზი ენთო და აბა-
- ზანაში ჩავკეტე.
- აბაზანაც საშიშია, წყალში არ ჩავარდეს.
- მოიცა... კარადაში შევტენე...
- არ გაიგუდოს, კაცო. ხო, ფაფაზე გეუბნებოდი...
- მიშველე რამე, თორემ სახლში აღარ დამედგომება, რაღაც კი ვიპოვნე,
- მაგრამ სიმინდის ფქვილსა ჰგავს.
- წაიკითხე, რა აწერია პარკს... არ გრცხვენია, პროფირ, კითხვა რომ
- არ იცი?
- რამდენიმე ასო კი ვიცოდი, მაგრამ სიბერე ვერაფერი სიკეთეა...
- ასო მ იცი?
- ვიცი, ვიცი...
- ა?
- ეგ კი ვიცი.
- ნ?
- კუდი რომ აქვს?
- არა!.. შეილიშვილს თუ არ დააწყნარებ, ვერაფერს აგიხსნი... გამო-
- იტანე სამზარეულოდან, რა პარკებიცა გაქვს.
- შენთან?
- ფუჰ! ტელეფონთან მოიტანე. ვნახო, რომელი რა არის.
- მოიცა, ცოტა კიდე დამრჩა... უკვე ყველაფერი მოვიტანე.
- ახლა მოძებნე, რომელიმე პარკზე ასო მ იქნება დაწერილი..
- აჰა. არის! არა, ეს რძე ყოფილა. მ არა? ვიპოვნე.
- რა აწერია?
- მ
- მერე?
- ა
- მერე?
- ნ
- აკი კითხვა არ ვიციო? მე მგონი შენ ფაფის მოხარშვა არ იცი...
- არ ვიცი, ონის, არასოდეს მოუთხოვია შეილიშვილს და...
- გულს ნუ გაიტეხ, პროფირ, წინათ არც მე ვიცოდი... არ ვიცოდი სად
- იყო ბურღული, როგორ იხარშებოდა, ახლა კი... რეცხვას არ იკითხავ? გმირ
- დედას შეშურდება... მოკლედ, ჩაასხი ქვაბში ცოტა რძე, ისევ მოდი ტელე-
- ფონთან და გეტყვი, მერე რა უნდა ქნა. დადგი ქვაბი ცეცხლზე?
- დავდგი.
- ერთი კათხა ეყოფა. ქვაბი ხომ არ აავსე?
- არა, ერთი კათხის მეტი არც ყოფილა.
- ასევე... რძე რომ ადუღდება, ბურღული ჩაყარე. ნახე, ხომ არ ადუღ-
- და? დუღს?
- ბუშტუკებს უშვებს.
- კარგი, აიღე ერთი მუჭა ბურღული და შიგ ჩაყარე... ხუთ წუთში ფა-
- ფა მზად იქნება, ოღონდ მორევა არ დაგავიწყდეს.
- ასე ადვილად კეთდება?

— მიხედე, მიხედე, მალე დუღდება! მე ტელეფონთან დაგიცდი... პაპიროსს მოვწევ, როგორაა საქმე?

— მორჩა! ამდენ ხანს მიცდიდი?

— საქმე მაინც არა მაქვს და... შეილიშვილებსა და სხვებს შენი რას შერება? დაწყნარდა?

— დაწყნარდა, რომ იცოდე, ონის, როგორ მიხსენი გაჭირვებისაგან. მთლად ოფლადა ვარ გაღვრილი, რა დღეს მაყრის?!... აბა, სამოცი წლის კაცს თავდაყირა დგომა შემიძლია?

— რა ბზიკა უკბინა?

— ჰკითხე, ასეთი არასოდეს ყოფილა... მამასავით გააკეთეო, ვეუბნები, არ შემიძლია-მეთქი, არ შეგიძლია და ტელევიზორს გავტეხავო. ხელში გასაღებებს ატრიალებს, დედ-მამამ მიაჩვია გასაღებებით თამაშს. არ შემიძლია-მეთქი, ლილიანა, კარგი ბავშვები ასე არ იქცევიან. იქცევიანო, მიპასუხებს და რაც ძალი და ღონე აქვს გასაღებებს იჭნევს... მივჩერებივარ მის ხელს და ოფლად ვიღვრები... ეკრანს რომ მოარტყას, ნამსხვრევების აჩრეფას ვერ ავუვალ... ჩემს ცხოვრებაში არა ვმდგარვარ თავდაყირა, ხელებით იატაკს ვეყრდნობი, ცალ ფეხს მალლა ვწევ. მეორის აწევასაც ვცდილობ, მაგრამ გაგიგონია? ხომ იცი, ფეხი მტკივა... ის კიდე გაპკივის, ასე არა, მამასავით გააკეთეო! ჩემთვის რომ შეგეხებდა, ონის... ახლა ახალი უბედურება...

— ცხვირი გაიტეხე?

— ნეტა ცხვირი გამეტეხა, სურათი ჩამოაგდო და გატეხა, წარმოიდგინე, რა მელის ამ საღამოს?

— იცი რას გეტყვი, პროფირ? მიაფურთხე მაგათ, თუ არ მოსწონხარ, ისევ სოფელში გაგაგზავნონ.

— სად, ონის... შენ ხომ იცი...

— შენ რომ დამირეკე, ნამძინარევს მეგონა რომ... გესმის?

— ჩემი ბიჭი ხომ ელაპარაკა, ონის, შენს სიძეს, ღმერთმანი, დაიფიცა. თუ არა გჯერა, შენი თანდასწრებით დაეურეკავო.

— ასე რამ მოალობო?

— შეიძლება იმან, რომ გუშინწინ სამჯერ მოუწიათ ჩემთვის ექიმის მოყვანა...

— აკი ექიმმა თქვა, სერიოზული არაფერი აქვსო?

— არ ვიცი, ყველაფერი გამისინჯა, მერე დიდხანს ელაპარაკა შეილს, მის მერე, ბიჭი რალაც სხვანაირად შექცევა, რძალიც... უფრო თბილად...

— იმიტომაც დაგტოვეს ისევ ბავშვთან?

— კარგი რა, ონის, დღეს კვირაა და სასეირნოდ წავიდნენ, მოკლედ, გიმეორებ, ჩემი შეილი ელაპარაკა შენს სიძეს.

— ჩემმა სიძემ კი უთხრა, კიდევ უნდა მოვიფიქროო...

— შენ უკვე იცი?

— არა, ჩემს სიძეს კარგად ვიცნობ.

— არა, ონის, ასე ნუ ამბობ... აი, ნახავ, ბოლოს და ბოლოს, ჩემი შეილი დაითანხმებს, თითქმის დაითანხმა კიდევ. ესაა, კიდევ უნდა დავფიქრდეთ, თქვა, მივლინებაში მივდივარ, მართლა მიდის?

— უკვე წავიდა.

— აი, ხომ ხედავ, სწორი უთქვამს, რომ დაბრუნდება, ჩემი შეილი ისევ დაურეკავს, რას იტყვი, ა, ონის?

- არ დაგავიწყდეს, რომ ჩემი ქალიშვილიც არსებობს.
- სხვა დროისთვის გადავდოთ, ონის, კარს აღებენ... მერე კრძევის სურათი... გავრბივარ...
- ჰმ, ეს საწყალი კი შეხვედრაზე ფიქრობს...
- პროფირ, მისმენ, პროფირ? რა სჭირს ამ ტელეფონს! ალო!
- ონისი ხარ?
- ხო მე ვარ... ისევ მე გირეკავ...
- სად დაიკარგე, კაცო, გირეკავ, გირეკავ და...
- გაჩუმდი, პროფირ, ჯობია იკითხო, საიდან მოვედი...
- საიდან?
- მილიციიდან.
- მილიციიდან? ღმერთო ჩემო, რა ჩაიდინე?
- მე მგონი, დღეს გადავიტანე ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე დღე.
- შვილიშვილები?
- არა, თუმცა შეიძლება შვილიშვილებსაც შემთხვეოდით რამე... გესმის... მომეჩვენა, რომ ქუჩაში დაგინახე!
- არა, ონის, დღეს ქუჩაში არ გამოვსულვარ... შენ ხომ იცი, თითქმის არ გამოვდივარ გარეთ.
- ახლა კი ვიცი, მაგრამ აბა, შენ ყოფილიყავი ჩემ ადგილას! წარმოიდგინე, მიდიხარ ქუჩაში და უცბად დამინახე, რას იზამდი?
- ალბათ სიხარულისგან შევხტებოდი!
- აი, მეც შევხტი დღეს სიხარულისგან.
- ასე რატომ სუნთქავ?
- როგორ ვსუნთქავ?
- თითქოს ხრიალებ... ცხენივით. აბა, ყური მიუგდე!
- შეიძლება, პროფირ, აქამდე ვერ მოვსულვარ გონზე... შვილიშვილებთან ერთად სასეირნოდ გამოვედი და... უცბად შენ დაგინახე, შორიასლოს მიდიოდი.
- ხომ გითხარი, ონის, მე არ ვიყავი-მეთქი.
- ახლა კი ვიცი, მაგრამ მაშინ არ ვიცოდი, დაგინახე და დაგიძახე.
- სხვა კი გმოდგა!..
- აბა, რა ვიცოდი, მხარზე აქვარიუმი გედგა. ღმერთო, ჩემო, ის არის-მეთქი, ჩემს თავს ვუთხარი, ამას წინათ არ მითხარ, აქვარიუმი ვიყიდეო?
- ონის...
- მოკლედ, გადავწყვიტე, რომ შენ იყავი, ოდნავ მოხრილი, გახუნებული ქუდი გეხურა, კორძებიან ჯოხს დაბჭენილი...
- შენი აზრით ასეთი ვარ?
- უჯობოდ დადიხარ, პროფირ? ქუდი არ გახურავს? არც მოხრილი ხარ?
- დამშვიდდი, ონის, იმდენი ხანია შეხვედრას ველოდებით, რომ მგონი ცოტა გონება დაგისუსტდა. უნდა შევურიგდეთ აზრს, რომ... მოკლედ, მოგელანდა.
- მე ხომ არასოდეს მინახიხარ, პროფირ... არც შენი სახე ვიცი, არც თვალები და არც სიარული. მაგრამ გიმეორებ, დაგინახე თუ არა, ვთქვი, ეს პროფირია-მეთქი. ბავშვები ეზოში მივატოვე და გამოგედევნე, ბავშვები



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყვირიან, ჯღავიან, მე კი პროფირ-პროფირის ძახილით მოგდევ.

— ის ხომ მე არ ვიყავი, ონის...

— შეიძლება, პროფირ, მაგრამ ხომ გეუბნები, ბავშვებისთვის ნაწინი უნდა შეყიდა და უცბად დაგინახე. დიდი წყლით სავსე, აქვს თუ არა მიგქონდა თევზებიანად. შიგ ბალახიც იყო... მგონი თევზებზე-მეტრად ალაბი იყო. აქვარიუმი ისე დიდი იყო, შემეშინდა, მეგონა, ასფალტზე დაგივარდებოდა და დაიმსხვრეოდა. თანაც შვილი წარამარა გაჩქარებდა.

— გადაწყვიტე, რომ შვილიც მახლდა?

— ის არ იყო?

— ხომ გითხარი, ონის, მე არ ვყოფილვარ. ან შვილი საიდან იქნებოდა, სამსახურშია. ბავშვი კიდევ სულის მოთქმის საშუალებას არ მაძლევს.

— ახლა კი მესმის, პროფირ, მაგრამ მაშინ ყრუ ვიყავი და ბრმა, ჩემ წინ მარტო შენ გხედავდი, მარტო შენ გამჩნევდი. ყველაფერი მივატოვე და გამოგეკიდე. რამდენი ხალხი იყო, ნუ იტყვი, მაგრამ მე არაფრის მეშინოდა, არც იმის შემშინებია, გზა ამებნევა-მეთქი, ყველაზე უფრო იმან გამაოცა, რომ ძალიან ჩქარა მიდიოდი. აი, თურმე როგორი ყოფილხარ, ვფიქრობდი და უკან მოგდევდი. ბიჭზე უფრო მკვირცხლად მიაბიჭებდი. მოხუცი კი არის, მაგრამ ჩემზე მსუბუქად დადის-მეთქი, მიხაროდა კიდევ...

— გაიგე, ის მე არ ვიყავი, კაცო! ნეტა ჩემი სიარული გაჩვენა, ერთ დროს კი დავდიოდი კარგად, მაგრამ რაც ექიმმა გამსინჯა, ხშირად სუნთქვა მეკვრის, მკერდშიც თითქოს რაღაც მეწვის...

— აქი ჯანმრთელი ვარო, მეუბნებოდი...

— ექიმმაც ასე მითხრა, მაგრამ მეწვის და რა ვქნა. წინათ კი, წინათ მართლა კარგად დავდიოდი, შენ როგორ დადიხარ არ ვიცი, მაგრამ მჯერა, ჩემზე უკეთესად იქნები.

— თავს ნუ ისაწყლებ, პროფირ, არ არის საჭირო... ხომ დაგინახე... დაგინახე, და მაშინვე გამოგეკიდე. ძალიან მსუბუქად მიდიოდი. თუმცა კი მეგონა, საცაა აქვარიუმი დაუვარდება-მეთქი, ის საზიზღარი ხელის კვრით გაჩქარებდა უკნიდან, თორემ უკეთესად ივლიდი. მაგრამ ის შენი ვაჟბატონი თითქმის გარბოდა, თანაც განკარგულებებს გაძლევდა, ვიფიქრე, აქვარიუმი რომ დაუვარდეს, ცუდი დღე დაადგება-მეთქი.

— ასე რატომ ლელავდი, ონის, ის ხომ სხვა იყო.

— სხვა იყო!.. აბა, ჩემ ადგილას წარმოიდგინე თავი... მოგდევ სირბილით და მოგძახი, პროფირ, დამიცადე, აქვარიუმს წაგაღებინებ-მეთქი. ვიფიქრე, აქვარიუმი შვილიშვილმა გააფუჭა და რძალმა ახალი აქვარიუმის ყიდვა დაგავალა.

— რძალიც სამსახურშია, ონის.

— გასაგებია, მაგრამ მე ვიფიქრე, აქვარიუმი გაგიფუჭდათ, შენა და შენი შვილი ახლის საყიდლად გამოგგზავნათ და თქვენ კი აქ, ჩემ რაიონში იშოვეთ. მინდოდა მოგშველებოდი. ტროლეიბუსში რომ ახვედი და ჩემკენ თავიც არ მოაბრუნე, ფანჯარაზე დავიწყე ბრაახუნნი... ნუთუ ვერ მხედავდი? ვიცი, ვიცი. შენ არ იყავი... მაგრამ მაშინ ხომ არ ვიცოდი, რა ჭირი მეცა, რა მალრიალებდა, ან ფანჯარას რატომ ვუშენდი ხელებს, არ ვიცი. იქ კიდევ ვილაცამ ყვირილი ატეხა, ჭურდი! ჭურდი! დაიჭირეთ! გააჩერეთ ტროლეიბუსიო! მე ვერ გავაჩერე ის კაცი, ვერ ავუხსენი, რომ არავის არაფერი მოუბარავს ჩემთვის, არავითარი ჭურდი არ არის-მეთქი. ის კაცი ჩემზე ახალგაზრ-

და იყო, გამასწრო და ტროლეიბუსს გადაუდგა წინ. — რა მოხდა? — ყვირის მძლილი. — ქურდი! ქურდი! — იძახის ახალგაზრდა, თიანჭოს ქურდი, ვინც ფული მომპარა, სალონში ყოფილიყო. მინდოდა, ყველასთვის ამეხსნა, რაც მოხდა, მაგრამ ვერავის გავაგებინე. მძლილმა კარი გააღო, ახალგაზრდა ტროლეიბუსში შევარდა. იმას სიკეთე უნდოდა ჩემთვის და ზის ვინც ვინც შენი ნებით გამოდი, სანამ ძალით გამოგათრევდეთ, იყვირა. ვინ უნდა გამოსულიყო? სად? რატომ?.. მაშინ დავინახე შენი სახე მოქანცული და შეშინებული, ფეხზე ძლივს იდექი. — მე? ფული მოვიპარე? — იმეორებდი შენ. ის კი მკრძანებდა გებლაუჭებოდა.

— დაწყნარდი, ონის, ის ზომ მე არ ვიყავი.

— მე კიდევ ვყვირი, ხელი გაუშვი-მეთქი! — მინდა ყველაფერი ავუხსნა, მაგრამ იმან საფეხურიდან ჩამოგათრია. აქვარიუმი დაიმსხვრა, ხალხი ღრიალებს, შენი შვილი უკან იმალება. მილიციაც მოვარდა. მაპატიე პროფირ, ასე მოხდა, რა ვიცოდი, ეს ახალგაზრდა ასე თუ გადაირეოდა... რა ჩემი ბრალია... ვიცი, ვიცი, მაგრამ გაჩუმდი და მაპატიე... მაშინ რა ვიცოდი... მილიციელმა ორივენი წაგვიყვანა და ის ახალგაზრდაც მოგვაყოლა. გიხსნიდი, გეუბნებოდი, ჩემი ბრალი არ არის-მეთქი. შენ კი არც მისმენდი. პროფირ, მე ონისი ვარ, ნუთუ ვერ მცნობ? ონისი ვარ, ყოველდღე რომ გირეკავდი ტელეფონზე, ისა ვარ, ვისაც უნდა შევხვედროდი-მეთქი. შენ კი თავიდან მიშორებდი. მერე მილიციელს დავუწყე ხვეწნა, — ეს კაცი არ არის დამნაშავე, არ არის ქურდი, არაფერი მოუპარავს. ჩემი მეგობარია! ჩემი მეგობარია! მეგობარია...

— ონის, ახლავე დაწყნარდი, გესმის? ღვთის გულისათვის, გემუდარები. მოერიე თავს. წყალი მოსვი. ამ საუბარს შემდეგისათვის თუ გადავდებთ, კარგი იქნება. ჩვენს ასაკში ასეთი ღელვა არ შეიძლება, გესმის? დალიე წყალი?

— არ მინდა, პროფირ, ზომ გეუბნები, უმძიმესი დღე მქონდა... არაფერი არ მინდა, თავბრუ მესხმის...! მკითხე საიდან მოდიხარო და მეც გიპასუხე, მილიციიდან-მეთქი.

— დაწყნარდი, ონის, დიდხანს იყავი იქ?

— გვარი ჩაიწერეს, მისამართი... ათი მანეთის გადახდა მოუწევს სიძეს.

— ათი მანეთის? რისთვის?

— წესრიგის დარღვევისათვის.

— ღმერთო ჩემო, ყველაფერი ჩემ გამო მოხდა.

— საიდან უნდა მცოდნოდა, პროფირ, რომ ის კაცი შენ არ იყავი? ის საცოდავი სკოლის დარაჯი აღმოჩნდა. ვინ იცის საიდან ჩამოვიდა კომინიოვში დირექტორთან ერთად, რომ მოსწავლეებისთვის აქვარიუმი და რაღაც სასკოლო ნივთები ეყიდა. აი, ესაა მთელი ამბავი... შენ რას აკეთებ?

— რას უნდა ვაკეთებდე, მთელი დღე ვრეკავდი და შენ არ იყავი... მოკლედ, შენმა სიძემ „ჰო“ თქვა.

— არ გამაგიჟო, პროფირ! დაიფიცე, თუ გატყუებდე, დავბრმავდე-თქო.

— ფუჰ, აჰა! თუ გატყუებდე, დავბრმავდე. შაბათისთვის დაგვრთეს ნება.


— უნდა ვიტყვო პროფირ, უკვე ვტირი... როგორ უნდა შევხვედეთ ერთმანეთს, რაც მე სისულელეები ჩავიდინე? შენ ზომ იცი ჩემი სიძე... ნეტავ რისთვის გავჩნდი ამ ქვეყანაზე?



ქართული
ბიბლიოთეკა

- იქნებ სიძემ ვერც გაიგოს?
- რას ამბობ!.. დღეს რა დღეა?
- ხუთშაბათი.
- ესე იგი, თრი დღე კიდევ დაგვრჩა...
- მოიცა პროფირ, თვითონ არ ვიცი რას ვაკეთებ... ტელეფონიც ისევ ურეეს... ახლა გესმის?
- მესმის... რა თქვი?
- არ ვიცი, რა ჩავიცვა-მეთქი. შენ უკვე ჩაცმული ხარ?
- ახლა ვიცვამ... შვილმა თავისი ჰალსტუხიც კი მომცა. ვეუბნები, არ მინდა, რაც მაცვია, იმით წავალ-მეთქი, მაგრამ არაო, ასე ლამაზი არ არისო. ფეხსაცმელიც მომცა, ცოტა კი მიჭერს, მაგრამ არა უშავს... შენ მზადა ხარ?
- თბ, პროფირ, თან სუფრას ვალაგებ და თან ვიცმევ. ამით გასვლას ველოდები.
- ასე ხმადაბლა რატომ ლაპარაკობ, ხომ დაგვრთეს ნება?! სიძეს ის ხომ არ გაუგია?
- არა, ჯერ არა!
- აბა, რისი გეშინია?
- არ მეშინია, მაგრამ იმათ წასვლამდე რაღაცები უნდა გავაკეთო. ჩემმა სიძემაც მომცა თავისი შარვალი, მაგრამ ვერ ჩავიცვამ, დამცინებენ...
- ცოტა გაინძერი, ონის, ჩემები უკვე წავიდნენ... იცი, რა მიხარია! გოგონაც თან წაიყვანეს, კინოში წავიდნენ... მისმენ? ეტყობა სუფრას ალაგებს... რა ექნა? ერთხელ კიდევ ჩავიხედო სარკეში? უხერხულიც კია მოხუცი და ჰალსტუხი. არა, უნდა გამოვიცვალო... გაბრაზდნენ რა... ე, ონის...
- ნუ ყვირი, სიძე რაღაც მოლუშული მიდი-მოდის.
- ხომ თქვი, არ იცისო...
- კი, მაგრამ მე ხომ ვხედავ...
- მზიარული როდის გყავდა? შენ არ ამბობდი, მარტო გაზეთებს კითხულობს და ხვნეშისო. ალბათ თავის თავზე მოსდის ბრაზი, ნება რატომ დაგვრთო.
- არ ვიცი, არ ვიცი, იბღვირება კი და... სადილის წინაც გაზეთს კითხულობდა, სადილის დროსაც ხვნეშოდა და ხვნეშოდა. ახლა კი გაბერია, ჩაიცვა და მოლუშული ჩამდგარა კარში.
- ნუ გიკვირს, ასეთი ახალგაზრდობაა ახლა... კიდევ კარგი, ჩემებმა გოგო რომ არ შემომატოვეს. იმედი მაქვს შენც უშვილიშვილოდ იქნები...
- პო, ესენიც იმათ მიჰყვებიან.
- აი, ხედავ, ონის, ჩვენ კიდევ ვაგინებდით, აყები არიანო...
- ავი ძალლიც დარაჯობს სახლს...
- კარგი ახლა, ისევ ძველს ნუ იხსენებ. გიხაროდეს, ერთმანეთის ნახვა რომ გვედირსა როგორც იქნა.
- მიხარია, პროფირ.
- გული ვიჯეროთ ახლა სეირნობით.
- მე მთელი დღით კი არ მიშვებენ, პროფირ, მხოლოდ! ორი საათით.
- ორი საათიც კარგია. შეიძლება ცირკში წავიდეთ. ბიჭმა ბლომად მომცა ფული, სამი მანეთი. რას ვლავობთ ამდენ ხანს, მზადა ხარ თუ არა?
- მოიცა, უკვე გადიან

— ღმერთო ჩემო, რას აქიანურებენ, როგორ არ ესმით, რომ შეხვედრა გვაქვს დანიშნული? ნებას თვითონ გვრთავენ და თვითონვე გვაყოფენ. არ შეეძლოთ, დღეს მაინც რომ აელაგებინათ სუფრა?



ეროვნული
ბიბლიოთეკა

- წავიდნენ, პროფირ!
- წავიდნენ?
- მორჩა, ახლა მეც შემიძლია, გამოვიდე!
- მაშინ მეც გამოვდივარ, მოიცა, ონის.
- მოგივიდა რამე? მე შადა ვარ. მაგრამ იცოდე, ისე მაცვია, როგორც სიძემ მიბრძანა. არ დამცინო, კარგი.
- რატომ უნდა დაგცინო... რაღაც მინდოდა მეტქვა... ღმერთო ჩემო, მთლად ბავშვებივითა ვართ ატაცებულები.
- კარგი, პროფირ, დროა, დრო!..
- დრო კია, მაგრამ სად უნდა შევხვდეთ ერთმანეთს? მოჩქარეს დაავიანდესო... ხომ გაგიგონია?
- როგორ თუ სად უნდა შევხვდეთ?
- პო, სად, აი, გამოვედი ქუჩაში, მერე საით წავიდე? შენ იცი საითაც უნდა წახვიდე?
- შენს შესახვედრად.
- შესახვედრად!.. მერე ქალაქი იცი?
- საიდან, პროფირ?
- მე მით უმეტეს...!
- რას ჩამოვყარეთ ყურები, ჩქარა მოიფიქრე, სად შევხვდეთ ერთმანეთს. დრო გადის, კაცო.
- ფოსტა იცი რიშკანოვკაზე?
- რატომ მეკითხები?
- თუ იცი, პირდაპირ იქ მოდი, მეც იქვე ვცხოვრობ.
- მანდ როგორ უნდა მოვხვდე? ჩქარა, ონის, მოიფიქრე რამე.
- რა მოვიფიქრო, თავი თუ არ ფიქრობს? აი, ვდგავარ ბებერი მაიმუნით გამოპრანჭული და რა ვქნა! არ ვიცი; მომკალი და არ ვიცი, მოდი, ბაზართან შევხვდეთ.
- კიშკართან!
- მოიცა, არც ერთხელ რომ არ ვყოფილვარ იქ? როგორ მოვიდე?
- ფული გაქვს?
- მომცა სიძემ რაღაც ხურდა, აი, ოცდაცხრა კაპიკია, თანაც იმდენი ბგრიხა და იმანჭა... ჭერ ორმოცდაათი მომცა, მერე გადაიფიქრა...
- თუ არ გეყოფა, მე დაგიმატებ. ტაქსი დაიჭირე. ჩემები მთელი დღე ტაქსით დაჰქრიან... უთხარი ბაზართან მოგიყვანოს, მე გადავიხდი.
- პროფირ, მოიცა, ყურმილი არ დაკიდო, მეშინია.
- გეყოფა, თორემ დრო გადის...
- ვთქვათ, მოვედი ბაზართან, იქ როგორღა გიპოვო?
- მიპოვი!
- ამიტომ ვღელავ, როგორ უნდა ვიცნოთ ერთმანეთი, თუ მე შენ არ მინახიხარ არასოდეს და შენ — მე არ გინახივარ?
- რა უბედურება გვჭირს, როგორც იქნა ნება დაგვრთეს და ახლა შეხვედრას ვერ ვახერხებთ. ვიყვიროთ კიშკართან, შენი ქუდი დაიხურე უკარკარდო.



თუ არა, ბოლოს და ბო-
ლოს. მე გამოვდივარ.
ნიკოლაე უსინევიჩი

- სიძემ თავისი ქუდი მომცა...
- ეგ იქით მოისროლე და შენი მოძებნე.
- ახლავე მოვძებნი.
- ოხ, ონის, როგორ აქიანურებ. გამოდიხარ თუ არა, ბოლოს და ბო-
ლოს. მე გამოვდივარ.
- კეთილი მგზავრობა, პროფირ, ვიპოვე!
- კეთილი მგზავრობა, ონის!..

- ონის?..
- პროფირ!..
- რატომ არაფერს ამბობ, ონის?
- შენ რატომ არაფერს ამბობ, პროფირ?
- არაფრის თქმა არ გინდა?
- რა უნდა ვთქვა?
- ორი დღეა გირეკავ და გირეკავ.
- რატომ?
- როგორ თუ რატომ?
- ნუ ბრაზობ, პროფირ... რატომ მირეკავ?
- იცი რა, ონის... არა, მოიცა... ხმადაბლა ვილაპარაკებ, რომ გაბრაზებულ-
ლი არ გეგონო, მაგრამ ეს რასა ჰგავს, მე გეძებ, გირეკავ, შენ კი მეუბნები,
რატომო, მიპასუხე, რატომ არ მოხვედი?
- რისთვის?
- ონის, ავად ხომ არა ხარ? ასე რატომ მელაპარაკები?
- როგორ უნდა გელაპარაკო?
- ონის, შენა ხარ? ბოდიში, სხვაგან მოვხვედი. მაპატიეთ, ხმა მივამს-
გავსე..
- მე ვარ, მე... სწორად მოხვედი... მერე რა?
- ონის ჩემო ძვირფასო, საყვარელო, ასე ნუ მელაპარაკები, გეხვეწები.
მეც შენსავით მოხუცი ვარ... ხომ იცი, ამ ქალაქში შენს მეტი არავინა მყავს...
ყველაფერი მიცახცახებს, ხელებიც, ფეხებიც.
- მაპატიე, პროფირ...
- მითხარი, რა მოხდა? რატომ არ მოხვედი? იცი როგორ გელოდი?
ვერც კი წარმოიდგენ, რა დღეში ვიყავი. ხალხი ისე მიყურებდა, როგორც
გიჟს. ხან ერთ ჭიშკართან მივრბოდი, ხან მეორესთან. აქ თუ არ არის, იქ
იქნება—მეთქი, მივრბოდი და მოვრბოდი. სულს ველარ ვითქვამდი. ბოლოს
ბაზრის შუაგულში დავდექი და ღრიალი მოვრთე: — ონის, ონის, აქა ვარ,
ძვირფასო! — სხვებიც ამყვნენ და ჩემსავით ყვიროდნენ. მხედავდნენ, ჭკუა-
ზე არ ვიყავი. მიხვდნენ, ისეთ ვინმეს/ ვეძახდი, უიმისოდ სიცოცხლე არ შე-
მეძლო. მოლდავეთის რომელი კუთხიდან არ იყვნენ მოხუცები, შემომეხვი-
ნენ და, დავბრმავდე, თუ გატყუებდე, ყველა შენს სახელს/ იძახდა: — ონის,
აქ არის შენი მეგობარი, სადა ხარ, კაცო, სადა!
- გაჩუმდი, პროფირ!
- როგორ გავჩუმდე, ონის!..
- გაჩუმდი!
- მინდოდა მეთქვა...
- გაჩუმდი, მოდი გავჩუმდეთ.

— კარგი გაჩუმდეთ, თუ გინდა...! ვყვიროდი, გეძებდი, ყველა მსჩქანაში ვიხედებოდი...

— პროფირ!

— გაჩუმებული ვარ, უკვე გაჩუმებული ვარ... მაგრამ მინდა მსჩქანაში ვიხედებოდი... ტელეფონზეც გირეკავდი. ტელეფონი ცოტა გვიან ღვივდა, მაგრამ მინდა მსჩქანაში, ოთხი, ხუთი საათი გავიდა და მე ისევ ბაზარში დავბორიალობდი. ბაზრის ჭიშკარი რომ დაკეტეს, მხოლოდ მაშინ გამახსენდა ტელეფონი. შე; სულელო-მეთქი, ვუთხარი ჩემს თავს, მაშინვე უნდა დამერეკა... იქნებ რამე მოხდა... არა, მაინც რა მოხდა? რა მოხდა, ონის, მითხარი.

— არაფერი...

— რატომ არ მოხვედი? რამდენი თვე, დღე, ღამე გვიოცნებია ამ შეხვედრაზე... ყურმილი რატომ არ აიღე... რამე თუ მოხდა, გადავდებდით შეხვედრას... შენი სიძე იღებდა ყურმილს, მაგრამ არ მინდოდა, დავლაპარაკებოდი, მოკლედ, დავბრუნდი სახლში, მაგრამ რა სანახავი, იცი? რძალსაც კი შეეშინდა. დამინახა თუ არა, იყვირა, მე კი არა, ქმარს უყვირა, აჰა, სიამოვნება გინდოდა მიგვენიჭებინა, არა? ახლა კმაყოფილი ხარ? შეხედე რა საჭაფსო. ბიჭსაც შეეშინდა, რა მოგივიდა, მამა, რა მოხდა? რა უნდა მეთქვა, რომ ვერ შევხვდით ერთმანეთს? რომ არ მოხვედი? რძალი კი ქაქანებდა: — მორჩა, ფეხს ველარ გადაადგამს სახლიდან..

— პროფირ!..

— მესმის, ონის, გიჭირს. გადაყლაპე ცრემლი და გაჩუმდი. ჩემსავით მოიქეცი, მაგრამ მაინც მიპასუხე, რატომ არ მოხვედი? მინდა ვიცოდე, რა მოხდა? ჩაცმული იყავი, გამოვდივარო, თქვი...

— პროფირ, ჩემო თვალის სინათლეგ... იმ წყეულმა...

— სიძემ? ასეც ვიცოდი! კი მაგრამ ხომ თქვი, უკვე წავიდნენო?

— წავიდნენ, მაგრამ ქვევით რომ ჩავედი, იქ მიცდიდა...

— მერე? თვითონ არ დაგრთო ნება? ხომ დაჰპირდა ჩემს შვილს, ორი საათით გამოვუშვებო, სხვა რაღა უნდოდა?

— გაჩუმდი, პროფირ, კარი დავკეტე, კიბეზე ჩავედი... ვხედავ მიცდის. მოხდა რამე, შვილო-მეთქი? — ვეკითხები, მან კბილებში გამოსცრა — დიან, მოხდა... სად მიბრძანდებით?

— ხომ დამრთეთ ნება? — ვეუბნები და შეშინებული ვუყურებ, რადგან არ ვიცი, რა მელის. სიძემ პირდაპირ კბილებში მტკიცა ის ქალაღი, — ეს რა არის? შენ თურმე ქუჩებში დახეტიალობ, მილიციას ეჩხუბები და მე ფული ვიხადო?

— ონის, შენ ხომ...

— გაჩუმდი, პროფირ, გაჩუმდეთ...

— ახლა რა უნდა ვქნათ, ონის?

— ჩუმად უნდა ვიყოთ.

— ისე ვიყოთ ჩუმად?

— ჰო, ისე ვიყოთ.

— ერთხელ კიდევ რომ გვესინჯა, ონის?

— მე უკვე გამიჩერდა გული, პროფირ, კმარა, გემუდარები. მოდი ასე ვიდგეთ ჩუმად.

— დიდხანს?

— დიდხანს, პროფირ. დიდხანს...

- დაინახე, წუხელ როგორ მიცურავდა მთვარე მინდვრებისკენ?
- გაჩუმდი, პროფირ.
- გაჩუმებული ვარ.



ცოლის ზართვა

მე მგონი, მოქალაქენო, სწორედ დღეს ჩავიდენ გმირობას, აი, კარს მივხურავ თუ არა მაშინვე. ერთი საათიც არ იქნება გასული, და გამომიჭერს ხელში გაზეთი რომ მექნება აღებული... ეს ხომ დედაკაცი არ არის, ნამდვილი ლოკატორია, წინასწარ იცის, რითი ვსუნთქავ, რა მესიზმრება. არადა, თუ რამეს მართლა მოჰკიდებ ხელი, წასულია შენი საქმე. ისევე ვერ იზილავ გმირობას, როგორც საკუთარ ყურებს. რომელ გმირობაზეა ლაპარაკი. მთელი ცხოვრება ხმას ვერ ამოიღებ, თავისუფლად ვერ ამოისუნთქავ და სამარის კარამდე სიყვარულის მონად დარჩები.

ჰოდა, ასე ჩემო კარგებო! კაუჭით გადავრაზე კარი... ახლა თავისუფლად შემიძლია, კიდევ ერთხელ გადავიკითხო გაზეთი.

— დედა, მამა ჩაიკეტა!

ჰო, ჰო, ეს ჩემი ბიჭუნები გაბლავან, შინაური პარტიზანები. ამათ ვერც მარსზე დაემალები და ვერც მთვარეზე.

— დედა, გესმის? მამა ჩაიკეტა!

მე მოვკვდე, კარი თუ გავაღო. თუ უნდათ შემოამტვირონ.

— ჩაიკეტა და კითხულობს.

ახლა თეფში თუ მოასკდა კედელს, ეს იმას ნიშნავს, კარის გაღებას ითხოვს. გატეხილი თეფში დიდ წამოწყებათა საწყისების მანიშნებელია. პირადად ჩემთვის მსხვრევის ხმა იერიშის დაწყების სიგნალი, სტარტის აღების მაუწყებელია.

რატომ არ იღებს ხმას?

სსს!.. სამზარეულოშია. ეტყობა დღეს არ არის ბრძოლის ხასიათზე, ეტყობა კისრამდეა საქმეში ჩაფლული. ნეტა სულ არ ელეოდეს საქმე...

— რა თქმა უნდა, ჩაიკეტა. მე კი ჭურჭელი უნდა ვრეცხო! ეგ კითხულობს, მე კი სულელივით...

არა, არც ისე მოუცლელია. მიდი, ილაპარაკე, თქვი, რაც სათქმელი გაქვს. დღეიდან, მე მგონი, ყველაფერი ახლებურად აეწყობა. დღეიდან! დიდ საქმეთა აღსრულებისათვის ვარ მზად და ვერაფერს დამახვევინებს უკან. მეგობრები კიდევ, შე საცოდავო, არც კი იცი, რა მოგელის. ასე... რომელ გვერდზეა ეს დაბეჭდილი? რაღაც პატარა შენიშვნასავითაა, უცბად მომხვდა თვალში. აი, აქ არის! ეს თურმე წერილი ყოფილა. ერთხელ კიდევ უნდა გადავიკითხო, გულმოდგინედ... ყურადღებით... ამ ადგილამდე ყველაფერი მშვენივრადაა, შემდეგ? ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც გუშინ გავიგე! ბავშვი წერდა, სერგეი ჰქვია. ესე იგი სერიოჟკა. მისამართი არ წერია? ო, უტვინო, მთავარი დაგავიწყდა? გაგიგიათ? გადაწყვიტო, ნაბიჯის გადადგმა გაბედო და საქმის დასაწყისშივე გაწბილებული დარჩე. მერედა რატომ? ჩემივე უტვინობის გამო. მოკლედ, წერია თუ არა მისამართი? ბენტერა სერიოჟკა! წერილის გაზეთში დაბეჭდვა მოიფიქრა და მისამართი კი დაავიწყდა?.. სადაა ის

ადგილი? მეოთხედ ვკითხულობ. არაფერი მესმის. თვალეზე ბინდი მეკვრის. რაღაც ოციოდე; სტრიქონია და თითქოს უღრან ტყეში ვიყო. ისე დავიბენი. თავიდან დავიწყებ. აი, სათაური... ასეე... ესეც წერილის დასაწყისი... აი, აქ კი თავის დედაზე წერს. უყურე ამ მამაძაღლს, პირი შაურიანევიყო აქვსო... ალბათ შაურიანის ხელა აქვსო, ასე უნდა გავიგოთ... თუმცა მზას არ უფხვან ძებ... ჰო, რასკ ვეძებდი? მისამართს! მისამართი არ არის!.. კი მაგრამ უმისამართოდ როგორ შეიძლება?

დაუძახე, ჩახეთქოს!

იმედი მაქვს, ხვდებით. ვის ეკუთვნის ეს მგზნებარე მოწოდება. სწორია. ჩემს მშვენიერ, ჩემს უნაზესს, ჩემს საუკეთესო ნახევარს. მის ხომ პედაგოგიური აქვს დამთავრებული. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მოსწავლეებთან ნამდვილი აღმზრდელივით იქცევა. სამაგიეროდ. მე ვყავარ ცხვარივით დაბრიყვებული. „მოდი, ჩახეთქე“. „გასკდი, შენო მუცელი ვნახე გამსკდარი!“

— მოდი, ჩახეთქე!

აი, ამისი პედაგოგიკის ნაყოფი. ეს ჩემი პატივცემული ვაჟია. უფროსი, ჭიკე, უფროსი თუ ასე ელაპარაკება მამას. არც უმცროსმა რიკემ იცის მასზე ნაკლები მოწიწებით მომართვა.

— ჩახეთქე, მოდი!

ჩემი ძვირფასი შვილიკო!

ჯანდაბას ასეთი სიცოცხლე. ასე ვცხოვრობდი, ასე ვცხოვრობ და ასე უნდა ვიცხოვრო. ვერაფერს ვიზამ! სულ ერთი წუთის წინ უბედნიერესი კაცი ვიყავი, თქვენ წარმოიდგინეთ. ეროვნული გმირი. ახლა? მაინც რა ეშმაკად არ მიაწერა ამ სერიოფამ მისამართი? ყველაფერი აღწერა — დედიკოც. სახლიც სოფლის განაპირას. მისამართი კი დაავიწყდა. მერედა, რა იდეა მქონდა. ჰოდა, რა თავს იტკივებ. რას მიედ-მოედები, რომელ გეგმებზე ლაპარაკობ... ნურც იჭიმები, სულერთია, არაფერი შეიცვლება. საქმეს მოიმატებ და მეტი არაფერი, ერთი წუთის წინ ნირვანაში ვიყავი. ახლა კი... ნუ ელოდებით, მოქალაქენო! დღეისთვის განზრახული გმირობა ტექნიკური მიზეზების გამო გადადებულია...

— დაგიჩოქოთ? გირჩევნია. გამოდი!

ჩემი ევრიდიკა.

მოიცათ, მოიცათ! არის გამოსავალი. ევრიკა და არა ევრიდიკა! სად შევჩურთე გაზეთი? რა მაგარი ვარ?! ასეთ დროს რედაქციაში დარეკავენ ხოლმე. რედაქციას მისამართი აქვს. ვაშა! ვივა! ბანზაი! გკოცნი, ძვირფასო რედაქცია და შენც, სერიოფკა კარტოშკა! დიაბ, მოქალაქენო, ყველაფერი მოგვარებულია, გმირობა განრიგის მიხედვით მოხდება. ახლა ვნახოთ, როგორ იმღერებს ჩემი პატივცემული მეუღლე. წინასწარ ვიცი, ეს არც მისთვის იქნება ხელსაყრელი და არც ჩემი მატანტალებისთვის... მერე რა? დღეიდან როგორც გინდათ. ისე იცხოვრეთ. ჩემო ძვირფასებო!

— რაო? ჭამა არ გინდა?

— გიმეორებ, არა მშია, ყელამდე მაძლარი ვარ!

სწორს ვეუბნები. შიმშილით არა მშია, უნაირნარებოდ კი გავძლებ როგორმე.

— უნდა ჭამო! აბა, რისთვის ვიკლავ თავს სამზარეულოში? გამოდი! გამოვდივარ.

— მიდი, ჩახეთქე!

კი ბატონო, რა საჭიროა, ზედმეტი ხმაური? გავლექავ ძალად რაღაცას თუკი ამასა და იმ თაღლითებს სიამოვნებას მივანიჭებ. ესენი რომ მოუთმენ- ლად ელოდებიან, როდის დასწვდება დედა თეფშებს. ის ქურჭლის მსხვრე- ვას დაიწყებს, ესენი აკივლდებიან — ნამდვილი კაიფები.

— აი, უკვე ვზივარ... მომიტანე საჭმელი... ზიზღიყიყიყა

— რა გაღრიალებს? შენ კიდევ ბედავ ამ სახლში ხმის აწევას? სარეცხი მანქანა გატეხე! სიციცხლე გამიმწარე! ბავშვები დაამახინჯე... დედაჩემზე აღარაფერს ვამბობ...

ღმერთო ჩემო!.. მიმაკყლეთინა მაგიდით კედელზე ყველა და კარი- სკენ გავქანდებოდე, მაგრამ ჩემოდანს რა მოვუხერხო?

თუმცა, რა დროს ჩემოდანია? ცოცხალმა რომ გავასწრო ისიც საქმეა... დამაცადე, ჩემო ძვირფასო, არც დაგესიზმრება, ისეთი რამე მაქვს მოფიქრე- ბული. პატიოსან სიტყვას ვიძლევი, შენზე ასჯერ უარესიც რომ იყოს, მაინც არ დავბრუნდები.

— სად მიდიხარ! ხორცი?

— უკვე შევქამე.

— არ შეუქამია! — რიკე კოვზს თეფშში ურევს. — აი კომბოსტოში ჩა- უმაღავს... — ხორცის ნაჭერს ისევ ჩემს თეფშში აბერტყებს. მე მთლად კომ- ბოსტოთი ვარ შეთითხნილი, არა უშავს, ცოტაც და... თავისუფლების ეამი ახლოვდება.

— ახლა კომპოტს მოვიტან.

და მაშინვე უმატებს.

— სადილის შემდეგ სასეირნოდ წავილთ.

არა ჩემო სიხარულო, სეირნობას გამოვეთხოვე, რა თქმაქ უნდა, საქმე მაქვს.

— შექამე?

— ვერ ხედავ?

— ქოლგა არ დაგავიწყდეს, დღეს დიდხანს ვისეირნებთ!..

ხო, მართლა, ქოლგა დამჭირდება, რომ მზემ არ დამკრას... აფსუსს, ადრე ვერ მოვიფიქრე, დელტაპლანივით გამოვიყენებდი, ახლა კი ბაგირი მზადაა და ქოლგით ექსპერიმენტს არავითარი აზრი არა აქვს. წინ! ერთ ბოლოს ბატარეას გამოვაბამ და ქვევით... ქვევით!.. ღმერთო ჩემო! ვაის გავეყარე და ვუის შევეყარე! რამდენი ხალხი შეგროვილა!

— თავის ჩამოღრჩობას აპირებს!..

— ქურდია, ბინა გაუძარცვავს.

— ეტყობა, ჩემზე ამბობენ.

ერთი მაგათიც!..

ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო. მთავარია, არ აეჩქარდე. გაზეთის საქმე მოწესრიგებულია... სამწუხაროა, მაგიდაზე რომ დამრჩენია, მაგრამ არა უშავს... ამხანაგები დამეხმარნენ რედაქციიდან. არავითარი სიყალბე, წერილი ნამდვილია. ყოჩაღ. ჟურნალისტებო! დიდხანს ჩიუტობდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც დაწერეს მისამართი. მხოლოდ ეს მკითხეს, სერიოზულადა გაქვს ასეთი ნაბიჯის გადადგმა გადაწყვეტილიო? ეს სუბერსერიოზული საქ- მეთა-მეთქი, ვუთხარი. ა, ბატონო, ინებეთ! რაიონი, სოფელი... ქალაქი რომ არ დამიკარგავს... ისე კი ძალიან ცხელია ვაგონში, ეს ჯარისკაცებიც რომ შე-

უსვენებლივ აბოლებენ?.. ტამბურში ხომ არ გავსულიყავი?

კი, ტამბურში გაცილებით უკეთესია.

ახლა კი გავაანალიზოთ მდგომარეობა. სწორად მოვიქეცი თუ არა? რა თქმა უნდა! ეს ექვეები საიდანღაა? ან ამდენი ყოყმანი რა საქირია. ზოგიერთი სიცოცხლეს ტოვებს. მე კი — ცოლს, რისი მეშინია? ბოლომდე და ბოლომდე — მიმიყვია. შენთან ერთად, ერთსა და იმავე დღეს მოვკვდები-მეთქი. ჰოდა, რაკი ასეა, მაშინ წინ! თმის დამკარგავები თმის ღერს მისტირიან. რუბიკონი გადალახულია, კენჭი ნაყარია, ხიდები დამწყვარია. ახლა მთავარი იმ მეორესთან გამოცხადებაა. უნდა ვალიარო, საკითხი დელიკატურია. ასე თუ ისე, ის მაინც უცხოა. არასოდეს არ გვინახავს ერთმანეთი... მაშინ გაზეთში რაღას აქვეყნებდა?.. მეორეს მხრივ, მომწონს ასეთი გაბედულება. ძალ-ღონე მოიკრიბა და დაწერა... მე მგონი განცხადება თავისი შედგენილია. იმ ბუნთულა სერგეიმ კი უბრალოდ ხელი მოაწერა. ხომ არ შეიძლება ამ ბუნთუხას არაფრის გამო მოსვლოდა აზრად და დაეწერა, რომ მამამ ოჯახი მიატოვა... რომ დედას პირი შაჰრიანს მიუგავს... ჩემი ყაჩაღანები თავისით ვერ მოიფიქრებდნენ ამას.

— შვებულებაში მიდიხართ? — ვეკითხები ჯარისკაცებს. ისინიც ტამბურში დგანან ჩემ გვერდით. რაღაც ხომ უნდა ვუთხრა, სულ ჩუმად ყოფნა უხერხულია. ერთი მათგანი ცეცხლისფერი წითურია. მეორეს იხვივით ცხვირი აქვს. ორივენი ეწევიან.

— არაა! ჩვენ უკვე... როგორ გითხრათ... თავისუფლები ვართ.

ჰო, რაზე ვფიქრობდი? როგორ უნდა წარვუდგე? ალბათ ყველაფერი დაუფარავად უნდა ვუთხრა. დაახლოებით ასე: ქალბატონო, თქვენი სახელი არ ვიცი, ჩემი საქმე ასე, და ასეა... უხერხული მდგომარეობა შემექმნა... მყავდა ცოლი, ორი შვილი... ვერ შევეწყვე, გაზეთი წავიკითხე და მოვედი... რატომ არ უნდა დამთანხმდეს? მოზრდი არა ვარ, გარეგნულად არა მიშავს... მართალია, ჩემს ცოლს არარაობად მივაჩნივარ, მაგრამ, სინამდვილეში ჯერ კიდევ შემიძლია რაღაც-რაღაცების გაკეთება. ამას დავუმტკიცებ კიდევაც. მაგრამ უკაცრავად, ცოლს კი აღარ დავუმტკიცებ... რაიმე იცოდეთ, უკვე ყველაფერი წარმოდგენილი მაქვს. სოფელი, სიწყნარე... სახლი, ეზო, მე, ის. ჰაერი. სერიოზულა მოშვიების ბუდეს აკეთებს, დაღამდა? — დაწეჭი. გათენდა? — ადეჭი... რად მინდოდა, ამდენ ხანს ქალაქში რომ ვიღრჩობოდი. ახლა კი ვაგონში დაბრუნების დროა და — ჰაიდა, გვერდითა საწოლზე, დილას კარგად! უნდა გამოვიყურებოდე. სასიძო სასიძოს უნდა ჰგავდეს.

ეს ოხერი ძილი რომ არ მეკარება... დიდი ხანია, მატარებლით არ მიმგზავრია. ბორბლები ღრჭიალებენ, ვაგონი მაჯანჯლარებს. ეს ჯარისკაცებიც რომ არ აპირებენ დაძინებას!.. ეტყობა ჯარში ვერ მოამთავრეს სათქმელი.

— მე ასე ვფიქრობ, მივალთ, ვნახავთ, არ მოგვეწონება და — უკან გამოვბრუნდებით.

- თუ მოგვეწონა?
- რა?
- ვთქვათ და ორივეს მოგვეწონა...
- რას იკრიჭები? ასეც შეიძლება მოხდეს.
- მერე?
- რა მერე? დაგიტოვებ. მეგობარი არაა ხარ. ჯარისკაცური მეგობრობა

კი...

— ნაღია?

ეს რა ხდება, ხალხო! როგორც ჩანს, ჩვეფლავდი ეს იგი, ესენიც იქ მოდიან, იქნებ იქ არ მოდიან? როგორ არა, ორივეს გაზეთი უჭირავს ხელში. აქამდე როგორ ვერ მივხვდი, მე კრეტინი კი დასაძინებელი ვაყვები.

— სისულელეა, — ჩემდაუნებურად ვთქვი მე.

— რა თქვით, ბიძაჩემო? — ჩემი საწოლისკენ შემოვიხედი.

— რა უნდა მეთქვა?

— რა ვიცი, რაღაც თქვით

— ყოველივე ეს სისულელეა-მეთქი.

— გაზეთში დაბეჭდილ წერილებზე ამბობთ?

— თქვენ ასე არ ფიქრობთ?

ჯარისკაცებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ჰო, მე ასე ვამბობ, სულელი თუ წამოეგება ამ ანკესზე, მთელი ამბავი თითონ გაზეთის თანამშრომლებმა გამოიწოვეს თითებიდან, მაგათ ხომ თემა აქვთ — ოჯახის განმტკიცება, ჰოდა, აი იმათაც ისროლეს ყუმბარა.

— თქვენ წაიკითხეთ?

— არც წავაკითხავ... ვილაციისგან მოვისმინე: „ბავშვს მამა ჰირდება“... თუ რაღაც ამის მსგავსი.

— ჩვენ კი მისამართიც გვაქვს, ხაწილიდან დავრეკეთ და ყველაფერი გვითხრეს, ახლა პარდაპირ იქ მივდივართ

— ორნი მილიხართ ერთად?

— მოვრიგდებით... ვისაც თვითონ მოიწონებს, იმისი ბედი იქნება.

მეც მეტოქეები გამომიგზავნა რა ომერთმა! ერთი წითურია და მეორე იხენისკარტა. სამაგიეროდ ახალგაზრდები არიან, ღონიერები.

— თვითონვე პელოტ მარყუჟში თავს? ქალიშვილები გაწყდა?

— რატომ მარყუჟში? ორი ბავშვი არც ისე საშიშია

— ორი?

— აბა, თქვენ ერთი გგონიათ?

მე ერთი მეგონა.

— მათხოვეთ რა გაზეთი?

ორია...

— ორი ხუმრობა საქმეა? მეც ორი მყავს, საკუთარი, და არა სხვისი, —

— სასტიკად ვლელავ, — ნუთუ თქვენს სამშობლოში ლამაზები არა გყავთ? ქვრივი უნდა წაიყვანოთ?

ხარხარებენ, იკრიკებიან.

— ორი ბავშვი კისერზე ჩამოკიდებული ორი აგურია, ერთს უყიდი პერანგს — მეორესაც უნდა, ერთს ფეხსაცმელს უყიდი — მეორესაც უნდა.

— მერე რა, ვიმუშავებთ, ჩვენ ტანკისტები ვართ, აბა შეხედეთ, რა კუნთები გვაქვს. — იხენისკარტა მკლავს ივარწახებს და ამხანაგს ამხნევებს, — მიდი შენიც აჩვენე!

ცხრაჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი. რამდენჯერ ვუთხარი ჩემს თავს: დაფიქრდი, აწონ-დაწონე ვარიანტები... აბა, შენი დაფიქრება, ახლა თუ გინდა, თავი ჩამოიღრჩე! რა უნდა ვქნა?

არ მერჩია, ამელო ქოლგა და სასეირნოდ წავყოლოდი ოჯახს?

აბა, აი ის სოფელიც!

ეს კაცები რაღად შეგოვოვილან?

ან ჯარისკაცები რას იღრიჭებიან... ჩემზე უთითებენ. მერე რა, რომ ერთად ვიმგზავრეთ...

— სიძე! — იქაქება იხვნისკარტა. — გინდოდა ჩვენთვის მოგესწრო და აითესე? მატარებლიდან გადახტი?



ერყუნული
ჩამოვედნი

ოხ, თქვენი!.. ახლა ყველა გაიგებს, რისთვის... — მიდი, მიდი, პატარძალი ლოდინით დაიქანცა.

თავს უნდა მოვერიო, სხვა გამოსავალი არ არის, ჯერ ერთი ძალიან პატარა სოფელია, ქუდის ხელაა. მეორეც — სახლი გზაჯვარედინზე დგას, ასე რომ, გინდა, არ გინდა, ყველას თვალში ეჩხირები, ამიტომ დამალვას აზრი აღარა აქვს, სისულელეა... ოღონდ ეს ვერ გამიგია, ამდენ ხალხს რა უნდა ჭიშკართან, საქორწინო მაყრიონია თუ რა ჯანდაბაა, რაში გავყავი თავი?! მერედა, ეს ყველაფერი ტყუილი რომ იყოს? ა? მაიმუნობა?! იქნებ ვილაცამ შტერულად იხუმრა და ახლა ამ ქალის მთელი ნათესაობა შეგროვილა ქმრის მეთაურობით, რომ ჭკუა მასწავლონ მე გამოთაყვანებულს? ტყუილა არ უხარიათ ამ ჯარისკაცებს, იოლად გადარჩნენ, მოკლედ, ეს თუ ის სახლია, რომელზედაც წერ-რად? არ გამოგივიდა! ტანკისტებში ყოველთვის წესრიგია! გასაგებია?

— გამარჯობათ... — გვერდულად და ცოტა მორცხვად ვუახლოვდები ხალხს. უკეთესია, თავხედი თუ არ მოვეჩვენები. თანაც, არც კი ვიცი, ვის ვესალმები, ახარხარებულ ჯარისკაცებს თუ სხვა კაცებს, მდუმარედ რომ მიქვრეტენ.

— გაუმარჯოს! — ხელს მიწვდის წითური, — მოტყუება გინდოდა, კამრად? არ გამოვიდა! ტანკისტებში ყოველთვის წესრიგია! გასაგებია?

ოფლს ვიწმენდ.

— არა უშავს, ბიძაჩემო, მამშვიდებს იხვნისკარტა, — არ დაგიგვიანია, გაიტანი... — ხელით მანიშნებს კაცების ჯგუფზე, — ესენიც სასიძოები არიან, ოღონდ მოგასწრეს... ბიჭებო, ჩამოართვით ბიძას ხელი... — სიამოვნებას ანიჭებს ჩემი გამოთაყვანებული სახე — რაო, ბევრია? არ მოელოდი, ამდენი მეტოქე თუ გეყოლებოდა? ტურნირის მოწყობას გთავაზობ, თუმცა კონკურსი — „აბა ჰე, ბიჭებო“ ჯობია!

მე შენ გიჩვენებ კონკურსს, ლაწირაკო! სახლში ცოლ-შვილი მყავს, ეს კი კონკურსზე მელაპარაკება...

წითური ისევ ჩემთვის იცლის.

— ნება მიბოძეა, მოგახსენოთ! მისამართი შემოწმებულია, მაგრამ სასიძლო არ გახლავთ, ათესილა, მშობლებთან წასულა მეზობელ სოფელში. ბავშვები მიმყავსო, უოქვამს. ჰო, მართლა! ორი კი არა, სამი ბავშვი ჰყოლია!

— რა?

როგორც ჩანს, მე ძალზე მართალი კაცი ვარ და რასაც ვფიქრობ, ხელად მეტყობა სახეზე, ასეა თუ ისე, ყველა ხარხარებს, გასაგებია, ჩემთვის ყველაფერი დაკარგულია, მაგრამ იბტიბარი არ უნდა გავიტებო.

— მე აქ ცოლის შესართველად არ მოვსულვარ...

ხელახლა ახარხარებული ხალხი რომ წყნარდება, ერთი საკმაოდ წესიერი გარეგნობის კაცი მიახლოვდება და ხელს მკიდებს.

— ნუ ცხარობ ძმობილო, ყველა გაგვაცურეს და ახლა ხაფანგში ვართ გაბმული, საეჭვო საქმეა... დიასახლისი ორი დღეა არ ჩანს, ახლა კიდევ ეს მესამე ბავშვი!.. პირადად მე სამ ბავშვს ვერ გავწვდები, დაბოლოს, განა

შემიძლია, ისეთ ქალს დავუკავშირდე, რომელმაც უკვე მოასწრო ჩემი მოტყუება?

— თქვენ ესაუბრეთ ქალს?

— თვალითაც არ მინახავს, მაგრამ წერილი... იქ კორუპცია ნათქვამი, სამი კი აღმოჩნდა.

— მაგრამ ნუ დარდობთ, — საუბარში ერევა იხვნისკარტა, — ის ქალი თქვენ არ წამოგყვებათ, მე ვირთავ ცოლად, ასე რომ, ყოველგვარი საზრუნავი უცბად გეხსნებათ...

დაგვცინის! ნეტა იცოდეს, რა დღეში ვარ, ჯერ მანქანით ვიარე, მერე ურმით, მერე ფეხით... მდინარის გადალახვაც კი მომიხდა! არა, უკან დახვევა არ შეიძლება.

აი რა, ცეცხლი უნდა დავანთო...

ჭიშკრის წინ ლობის გასწვრივ პატარ-პატარა კოცონები ანთია, ორ-ორი, სამ-სამი შემოსხდომიან გარშემო და დინჯად საუბრობენ.

— ღამეა და კაციშვილის ჭაჭანება არაა... დაღამებული არ არის, რომ წვეებიან და გათენებამდე დგებიან...

სარძლო კი არა და არ ჩანს... რა თქვი, რა ჰქვიაო?

— მგონი ფილომელაო...

არ არის დრო, ყველაფერს წერტილი რომ დაესვას? კმარაო, უნდა უთხრა საკუთარ თავს, შემობრუნდე, და გაიქცე... გაიქცე, სანამ გვიან არაა, სანამ იდაყვზე არ გიკბენია, თვითონ განსაჯეთ, განა რაც მე მაქვს, იმის გაცვლა ღირს იმაზე, რასაც აქ ვხედავ? ჯერ სოფელი სოფელს არა ჰგავს, ერთი ბეწო ხუტორია, საოცარია, რამდენი თჯახიცაა, იმდენი კაცია, არც ერთი ზედმეტი, ფილომელა კი არ ჩანს, და ვერც ვერაფერს გეტყვის, დაბრუნდება თუ არა როდისმე, აქაც რაღაც მამაძაღლობაა... მესამე ბავშვზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სასტუმრო მაინც იყოს ახლომახლო ან, უკიდურეს შემთხვევაში სასადილო, ამბობენ, ბუფეტის მსგავსი რაღაც არისო, მაგრამ სასიძოებს მთლიად გამოუცარიელებიათ, აღარც პური და აღარც კონსერვებია.

— მე აქედან წასვლის ამბით დავინტერესდი... — წელან რომ კაცი მაწყნარებდა, წკირით კარტოფილს ფლავს ლადარში, — აქედან სადგურში მოხვედრა მთელი პრობლემაა, ყველაზე დიდი კაცი აქ ბრიგადირია, თვითონ წყვეტს ყველაფერს, მაგრამ უარი მითხრა, ზედმეტი მანქანა არა მყავს, სადგურში რომ წაგიყვანოთო, ვინც სამი დღე კოლმეურნეობის მინდორში იმუშავენ, მას წაგიყვანო, მუქთად მანქანას ვერაფერს მიიღებსო, ისიც თქვა, ვიც-ვიც-ვიცები უსაქმურობისაგან სისულელეებს აპყოლიან, ჩვენთან კი სარეველა სიმინდს გვისპობსო, პატრონი არ არის, თორემ საცემები ხართო... ასეა ჩვენი საქმე, სხვა გამოსავალი არ არის, ან ფეხით უნდა გაიარო ორმოცდაათი კილომეტრი, ან სამი დღე უნდა წაიმუშაო, მე მუშაობა გადავწყვიტე...

— მარტო შენ, სულ ერთია, მაინც არ მოგცემენ მანქანას... შენიშნა მეზობელ კოცონთან მიფიცხებულმა კაცმა.

— ვითომ რატომ?

— ასე უთხრა ერთ ჩემს ამხანაგს, ის გუშინ ჩამოვიდა და გუშინვე უნდოდა დაბრუნება, გაძვრა, გამოძვრა, მაგრამ იმასაც ასე მოახსენეს, იმუშავეო, ბრიგადის შელოწიწება უნდოდათ, მაგრამ ვერ მოახერხეს, ჰოდა, აღვა

ის ჩემი ამხანაგი და ფეხით წავიდა წუხელ. ხვალ დილას ძლივს მიაღწევს ადგილამდე. მთავარია, ჩრდილოეთისაკენ გეჭიროს გეზი, რადგან სხდვური ჩრდილოეთითაა.

— კი, მაგრამ ორნი რატომ ჩამოხვედით? — ცნობისმოყვარეობას ვერ ფარავს ჩემი ძმაცაცი, თუკი შეიძლება, ასე ეწოდოს, — ხომ არ გეჩივრებოდა, რომ ქალი ერთი იყო, გაზეთში ხომ ეწერა?

— ვიცოდით, მაგრამ ვიფიქრეთ, იქნებ მეორეც მოიძებნოსო, ორივენი კვრივები ვართ, ქარხანაში ვმუშაობთ, ხმაურში... ქალაქიც მოგვებზრდა, რა თქმა უნდა, ამ ქალის გარეშეც შეიძლება, სოფელში გადაბარგება, მაგრამ ადამიანს უჭირს ყველაფრის ერთად გადაწყვეტა. ეს განცხადება რომ წავიკითხეთ, საშუალება გაგვიჩნდა... უფრო სწორად — მიზეზი..

— არა უშავს. — ეუბნება ჩემი ძმაცაცი. — როგორმე დავიძვრენტ თავს, ოღონდ ერთი კაცის შეამხანაგება მაინც დაგვჭირდება, რაკი ასე ძნელია მანქანის შოვნა...

ის შეწუხებულა, დანაღვლიანებული... ფეხზე დგება, სახეს ქვემოდან კოცონის შუქი უნათებს, ზემოდან — ვარსკვლავები.

— ხალხნო, ნუთუ არაფის არ გინდათ მუშაობა?

გამოვეხმაურო თუ არა? ჰა, გადაწყვიტე! მქონდა სახლი, მაგიდა, საწოლი, კერი მქონდა... რაზე ვცვლი ყოველივე ამას? გამოტვირნებული ვარ... აბა, იფიქრეთ, გავქალარავდი კაცი და კეთა ვერ ვისწავლე. დანარჩენებისთვის იქნებ ღირს კიდევ, ზოგი კვრივია, ზოგი უცოლო, ზოგი ჭარისკაცია. მაგრამ მე?.. ქვეყნის კიდევში მოვედი. სხვის კოცონს ვეფიცები და დანახშირებულ კარტოფილს ველოდები, ხვალ რაღას მივირთმევ?

რა ხმაური ატყდა, ნეტავ რატომ მოიყარა თავი ყველამ იმ კოცონთან, სადაც ჭარისკაცები ისხდნენ?

— ვილაც აქაური მოვიდა! — მიხსნის ერთი და თან გარბის.

— რა? რა ამბავია?

— ჩუ!

— რა ხდება?

— გაჩუმდით, რაღაც უნდა თქვას...

აქაური აწოწილი ბიჭია, გამხდარ კისერზე თავისუფლად ჰკიდია პალსტუხი.

— რა შეიძლება გითხრათ ფილომელაზე. — დიდის ამბით იწყებს ის და ჩერდება.

ფილომელა, ფილომელა... ჩემს ცოლს ანეელა ერქვა, რომელი სახელი უფრო ლამაზია? ეპ, რა სისულელეებზე ვფიქრობ, ანეელა ზოგჯერ მართალია, რომ შეუბნება, თავის ნაცვლად კომბოსტო გაქვსო.

— რა შემიძლია გითხრათ ფილომელაზე... — იმეორებს პალსტუხიანი ტიპი და უბერავს, მბეუტავ კვარს იღებს და აქეთ-იქით აქნევს. — ტუჩები მართლა ლამაზი აქვს, გაზეთში სწორი წერია, ულამაზო ქალები აქ საერთოდ არა გვყავს... ახლა ის ხელახლა უნდა გავათხოვოთ და ეს არც ისე ადვილი საქმეა. ჩვენ აქ ზუსტად იმდენი კაცი გვყავს, რამდენი ოჯახიცაა, ვინმე თუ წავიდა, ან, ღმერთმა დაიფაროს და, მოკვდა, უკვე პრობლემაა, თუ იცით, კიდევ ბევრი ჩამოვა?

— ვინ? — ვერ გაიგო ვილაყამ, მოლად კნობებიანი და „ელვა“ შესაჯრავეებიანი ტანსაცმელი რომ აცვია.

— სასიძოები, სხვა ვინ?! — ტიპი მექანიკურად კიდებს ხელს კნობებზე, უხსნის და უკრავს „ელვა“ შესაკრავებს. მერე მეზობლისაკენ ბრუნდება, ჭიბიდან ავტოკალამს უღებს და ატკაცუნებს. — მდაა... მოკლედ, ქმარმა მიიტოვა. ელოდა, ელოდა, მაგრამ რამდენ ხანს შეიძლება ელოდოს ქალი? იმანაც ადგა და გაზეთში დაწერა.

გინგლიჩიძე

— თვითონ კი არა, შვილმა დაწერა. — აზუსტებს ვილაც.

— სწორია, — განმარტავს ტიპი, — შვილს არ შეეძლო გულგრილად ეცქირა დედის სიმარტოვისათვის.

— „მე მჭირდება მამა!“

— გაზეთი აქვს ვინმეს?

ერთდროულად რამდენიმე ხელი უწვდის ტიპს გაზეთს. ის თითქოს არ ამჩნევს, ვილაცას ქუდს ხდის, გულმოდგინედ ისინჯავს თავზე, ისევ პატრონს უბრუნებს და იქაურობას ეცლება. ყველა პირდაღებული რჩება.

— ვითომ რა უნდოდა ეთქვა?

— ეშმაკმა იცის!

— შენ ეგა თქვი, ჩვენ რა უნდა ვქნათ?

რა უნდა ვქნა?! ჩიტებს სძინავთ, კალიებსაც სძინავთ, მე, კი სადმე მისაწოლი ადგილიც არა მაქვს.

— იქნებ ეზოში შევსულიყავით? — გვთავაზობს ვილაც, — შევიდეთ და თუ მოვა, ბოდის მოვუხდით. ბოლოს და ბოლოს, ადამიანები ვართ... სიბნელეში სახეებს ვერ ვარჩევ, ლაქებივით ჩანან.

— დავიძინოთ, დავიძინოთ! — იმეორებს ვილაც და თან საიდანღაც დათრეულ თივას ატრიალებს ხელში.

— ხვალაც რომ არ მოვიდეს?

— დავიძინოთ, დავიძინოთ...

ნეტა საიდან მოაქვს თივა? აი, თურმე სად ყოფილა!.. როგორც მიხერხდება, ისე ვთავსდება და თვალებიც მეხუჭება. მოვლემარეს ვილაცის შეკითხვა მესმის.

— ფილომელას მეგობარს რა ჰქვია?

მეგონა, ყველას დიდი ხანია ეძინა, მაგრამ უკაცრავად! ყოველი კუთხე-კუნკულიდან ჩურჩული ისმის. ან რა დაგაძინებს, როცა თავში ერთი და იგივე აზრი გიტრიალებს. ვაითუ, ყოველივე ეს სიცრუეა და მახე გვაქვს დაგებულნი.

— რა მახე უნდა იყოს? გაზეთებში სიცრუეს არ ბეჭდავენ! იქ ყველაფერი პირდაპირაა ნათქვამი...

— როგორ არ ბეჭდავენ, ზოგჯერ შეცდომაც გაეპარებათ. მახსოვს, ერთხელ საშინელი ამბავი მოხდა. ნეკროლოგი დაიბეჭდა, ასე და ასეო სიკვდილმა უდროოდ გამოაკლო ჩვენს რიგებს... რა გვარი იყო? გერასი, მგონი, და კიდევ რაღაცები. კაცის სიკვდილს რომ გაიგებ, თუნდაც არ იცნობდე, რაღაც გული გიმძიმდება. ოხერია ეს ცხოვრება! ცოცხლი ხარ — გეჩქარება, მოკვდები — მაინც გეჩქარება... სულ ფაცა-ფუცში ხარ. ჰოდა, დაბეჭდეს ეს ნეკროლოგი გაზეთში და ატყდა ერთი ალიაქოთი, ტელეფონებზე რეკვა. ხუმრობა საქმეა? კიდევ ერთი გერასი აღმოჩნდა, ისიც იგივე ინიციალებით. მოკლედ აერიათ. ცოლმა წაიკითხა თუ არა, გულწასული იქვე გაიშლართა, თუმცა ქმარი გვერდით ეჯდა, ძლივს მოასულდებრა ქმარმა, ცოლი კი ეუბნება, შენ არა

ხარო. რას ჰქვია, არა ვარ. აი, ხომ ხედავ, წყალს გაშხეფებო. ცოლს უბასუხ-
ნია, რაკი გაზეთში წერენ, გარდაიცვალაო, ესე იგი, სწორია...

— მერე?

— რა მერე, მერე ველარ ცხოვრობდა ქმართან. ტიროდა, მუხლებზე
უჩოქებდა, არწმუნებდა, მიყვარხარო, მაგრამ ცხოვრებით ველარ ცხოვრობდა
იმასთან. ღმერთმა ნათელი დაგაყენოსო, ეუბნებოდა... ასე რომ, ჩვენც მოვეს-
წრებით ამ განცხადების უარყოფას.

აი, სულელი! რა უარყოფაზეა ლაპარაკი, როცა ყველაფერი სწორია? სა-
ხლი არის. დიასახლისი მოვა და პირი შაურიახივით ექნება...

— შენ ისა თქვი, რა იქნება. ის თუ აზრზეც არ არის რა ხდება...

— მისი მეგობარი ამბობს. ყველაფერი იცისო.

— შენ ელაპარაკე?

— ნუ დაგავიწყდება, რომ მე გუშინწინ ჩამოვედი. პოდა, იმან მითხრა,
ფილომელამ იცის გაზეთის შესახებო. ტიროდა, შვილმა თავი მომკრაო და
სირცხვილის გამო მშობლებთან გაიქცა, მეზობელ, სოფელშიო... ბავშვებიც
წაასხაო!

— ეტყობა, მიხვდა, რომ ბევრი შეეგროვდებოდიო.

— რა თქმა უნდა!.. გაზეთი, მოგეხსენებათ, დიდი ძალაა... აი, რამდენმა
ხალხმა მოიყარა თავი.

— ჩუმად, მგონი ტელევიზორი მუშაობს...

— დღეს სამშაბათია?

— სამშაბათია.

— დღეს ხომ ჩვენები ბერძნებს ეთამაშებიან!..

ერთი ამათ დამიხედეთ, არშიყი გულშემატკივრები, ამათ რა ესაქმებათ
ფილომელასთან!.. ხელად არ შეელიენ ფეხბურთის გამო, სიმართლე გითხრათ,
ამ პატჩს მეც სიამოვნებით ვუყურებდი, შინ, ოჯახთან ერთად... მგონი, სენტ-
მენტალისტი ვხდები, სახლი, ოჯახი, ტელევიზორი! რაც აქ ხდება, ყველაფე-
რი სისულელეა, სისულელე! როგორ დავიძვრენ თავს ამ ამბიდან? სადმე მშე-
ნებლობაზე მომიწევს მოწყობა. შინ დაბრუნებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.
მარტო რომ ვიყო, რალაც შანსი მექნებოდა, ახლა კი... თანაც ბევრი ახალ-
გაზრდაა, თუნდაც ის ჯარისკაცები, მაგრამ ჯარისკაცები არ შეეფერებიან ფი-
ლომელას. იმას სწორედ ჰკუადამჯდარი, სოლიდური, ოჯახურ ცხოვრებაში გა-
მოცდილი კაცი სჭირდება. საყრდენი სჭირდება, აი, როგორიც მე ვარ. მშრო-
მელი, ვინც არ სვამს და კაპივს არ ხარჯავს გარეთ. გარდა ამისა, მეც მყა-
ვდა შვილები და ბავშვების ჩხავილს შეჩვეული ვარ. მის ადგილას რომ ვი-
ყო, არჩევანს ჩემზე შევაჩერებდი.

— ეი, მოდით, აქ ვილაცას პორტატიული ტელევიზორი აქვს.

— რა ანგარიშია, ახალგაზრდავ? რას გატრუნულხარ ლობესთან?

მოდით და სინჯე დაძინება, არავის არ სძინავს, არავის, თითქოს ამ ოხერ
სოფელში ტელევიზორის საყურებლად ჩამოვედით.

— რა ანგარიშია?

— გაჩუმდით რა, არაფერი ისმის.

„ძვირფასო ტელემაყურებლებო, ჩვენთვის შეიძლება ამ წლის ყველაზე
უფრო მღელვარე წუთებია. ჩვენს ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში
გასვლის რეალური შანსი აქვს...“

— ესე იგი, ჩვენებს მიჰყავთ ანგარიში?

— ერთით ნოლია!

„დარტყმა! ისევ დარტყმა! თქვენ დაინახეთ, ძვირფასო ტელემაყურებლებო, ჩვენმა საფეხბურთო იღბალმა ერთი მილიმეტრით როგორ ჩაუქროლა მოწინააღმდეგის კარის ძელს. აი, ბლოზინი რალაცას უჩვენებს მსაჯს... ოოო... არბიტრი ბლოზინსაც, ყვითელ ბარათს უჩვენებს...“

სახლში მეც ვღელავ ხოლმე საპასუხისმგებლო ტიტულს, მაგრამ თავს ვიკავებ. ყვირილი თუ დავიწყე, ცოლი ბრაზობს და ვალაამის სახედარს მეძახის. არ ვიცი, საიდან მოიტანა ეს გამოთქმა, ალბათ პედინსტიტუტიდან. მეტიმეტად შეურაცხყოფელი კია. მირჩევნია, უბრალოდ ვირი დამიძახოს... ღმერთო ჩემო, ბერძნები გვიტევენ...

— აბა, სასიძოები როგორ არიან?

მოულოდნელობისაგან შევკრთი. ფილომელა! ორ ნაბიჯზეა ჩემგენ. მოხდენილია, ტანზე კაბა შემოტმასნია, ილიმება, თანაც ახალგაზრდაა.

— საღამო მშვიდობისა, — ვამბობ და ფეხზე წამოდგომას ვცდილობ.

— ეს ის არ არის, ჩურჩულებს ვილაც სიბნელეში, — მისი ამხანაგია.

მე ისევ შევკრთი. აი, უკვე გარს შემოერთყნენ. ტელევიზორი კი ჩვენს ზურგს უკან იხლიწავს ხმას, რა თქმა უნდა. ეს ფილომელა არ არის, ფილომელა ბავშვებიანად მშობლებთანაა წასული, ამას კი ხელში თოხი უჭირავს.

— ახალი რა იცით? — კითხულობს კაცი, რომელმაც პირველმა იშოვა თივა. ჩემკენ ბრუნდება და ხმამაღლა მეკითხება — არ იცი, ამას რა ჰქვია?

— ფილომელა არ არის სახლში? — გაოცებულია ქალი, — მე პირდაპირ მინდვრიდან მოვდივარ. — სახეზე მაცქერდება და გულლიად მილიმის.

— როგორც ეხედავ, სასიძოების პოლკს შეჰმატებიან.

რატომღაც ყველა მე მომჩერებია თუმცა, დაცინვას ვერავის ვამჩნევ.

— ბოლოს და ბოლოს როდის დაბრუნდება? — თავს ველარ იკავებს ვილაც. — ტყუილუბრალოდ ვცდებით და თქმითაც არავინ არაფერს გვეუბნება. ავი თქვით, დღეს მოვაო!

— ასე მითხრა და რა ჩემი ბრალია... თქვენ ნუ ნერვიულობთ, მოვა, არსად დაიკარგება.

ახალგაზრდა ქალი ცბიერად ილიმება და წასვლას აპირებს.

— დაწოლილიყავით, დაგეძინათ.

— ნუთუ თქვენც გვტოვებთ? — ყურებამდე გაეხა პირი იხვნისკარტას, თოხი ჩამოართვა და გალანტურად გამოსდო ხელი.

— ჩვენ ხომ აღამიანები ვართ, ახსნას იწყებს ვილაც. — ყველანი ვმუშაობთ... რალაც ორი დღით ავიშვით თავი... ამდენი დრო სადა გვაქვს, რალაც კონკრეტული ხომ უნდა ვიცოდეთ...

მე მხოლოდ ახლა ვაკვირდები ჩემი მეტოქეების სახეებს, ჯარისკაცებს კარგა ხანია ვიცნობ. აი, იმასაც, უკან დაბრუნებისთვის წამუშავენას რომ აპირებს. ეს ბევრის მნახველი ჩანს, თანაც ბედნიერი არ უნდა იყოს. იქნებ მაგანაც ჩემსავით მიატოვა ოჯახი და ახლის შექმნას აპირებს. ან ეს სათვალეანი ვთქვათ, მოიცათ, ეს აქამდე რატომ ვერ შევამჩნიე. პალსტუხი უკეთია, ტყავის ყვითელი ქურთუკი აცვია... ალბათ სადმე ლობის ძირას ეძინა. ლაპარაკით კი ისე ლაპრაკობს, არტისტი გვეგონებათ.

— როგორ დავეძინოთ, ძვირფასო ქალიშვილო, როცა ასეთი დელიკატური საქმისთვისა ვართ მოსული? კაცი ფეხზე უნდა შეხვდეს ქალს, ან რაინდივით ცხენზე ამხედრებული, სათვალეანი ქუდს იხდის და თავს ხრის.

— მაშინ! ტელევიზორს უყურეთ. — ფილომელას ამხანაგი თოხს მხარზე იდებს.

თივიანი კაცი ისევ აჩერებს მას, ჩვენც ვუახლოვდებით.

— მინდოდა შეკითხვა...

— შეკითხეთ...

— პირის დაბანა სად შეიძლება...

— ცოტა რამ მაინც გვითხაროთ მის გემოვნებაზე... როგორც ქალმა ქალ-

ზე...

— ფილომელას გემოვნებაზე?

— ჰო, მინდა ვიცოდე, იქნებ! ჩემი ტიპის კაცები არ მოსწონს? მაშინ,

ტყუილუბრად რისთვის ვკარგავ დროს?

— მთავარია კაცი არ სვამდეს! აი, როგორი გემოვნება აქვს. — ქალი-

შვილმა გაიცინა.

— რათ, რა თქვა? — ჩაეჩხირა ვიღაც.

— ფილომელას ისეთი ქმარი უნდა, ვინც არა სვამსო.

— მაშ, თავი ქუდში მქონია, მე არ ვსვამ.

— „არის! არის!“

— ყოჩაღ! ჩვენებმა ერთიც გაიტანეს.

„ძვირფასო ტელემაყურებლებო, ასეთი ვოლის შემდეგ, როგორც იტყვინ, სიკვდილი მშვიდად შეიძლება, ოთხი წამი გააშორებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს, მოგვილოცავს!“

სინდისს ვფიცავ, აქ ყველანი გიყვები ვართ, მორჩა, ხვალ მივდივარ, ახლა კი ძილი... ძილი... ოღონდ თივაზე არ გავიყინო... არც არაფერი მაქვს, შიგ რომ გავეხვიო!.. ერთი გამოსაველია, თივა ზემოდან უნდა დავიყარო, ფეხსაცმელი უნდა გავიხადო, ფეხებზე ცეცხლი მიკიდია, სადგურში ხომ არა ვართ, ასეე... ფეხსაცმელი თავქვეშ... მორჩა, სანამ ჩამეძინებოდეს, ვარსკვლავებს დავითვლი, ერთი, ორი... სამი... ოთხი... ოპ, დამავიწყდა... არა, მაინც მომიწყვეს ადგომა, სულ ერთია, დილაამდე ვერ გავძლებ, ავღგები ბარემს..

ყურის დაგდება რომ ლამაზი არ არის, ვიცი, მაგრამ, სინდისს ვფიცავ, დამნაშავე არა ვარ. უბრლოდ გვერდზე გავედი, ღობის კუთხეში... იქ კი ფილომელას ამხანაგი მიყუყულა იმ ტიპთან ერთად, თივა რომ ჩაბლუჯა, ხედავთ? ასეთი მარჯვე თუ იყო, ვერც ვიფიქრებდი, ერთი ამ კოტიტა ღიპიანს დამიხედეთ!

— კიდევ ერთი ნაბიჯი და იცოდე, დავიყვირებ, — აფრთხილებს ქალი. ისე კი, ხმა მაინცა და მაინც მკაცრი არა აქვს, უფრო სწორად იპრანკება. ალბათ არც დაიყვირებს.

— ხელები გასწი!..

— ისეთს რას ვაკეთებ?

თავს ნუ ისულელებ... თქვენ ყველა მისი ვულისთვისა ხართ ჩამოსულე-

ბი.

— ვგრე გეგონოს!..

— ხელეპი-მეთქი! ვის ვეუბნები...!

— აი, მე ჩამოვედი და შენ გიპოვნე...!

— მოდი და ელაპარაკე ამას! ყველანი ფილომელაზე ხართ შეყვარებულნი და ზღაპრებს ნულარ მიყვები, თანაც გიმეორებ, კიდევ ნახევარი ნაბიჯი და სახლში წავალ!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიპიანს კი ვითომ არც ესმის, არც ენას აჩერებს და ხელებსაც აფითვ-
რებს.

— ვალიარებ, დანარჩენებით მეც მისი გულიწოდის ჩამოვედი, მაგრამ
თუ კარგ ქალს შევხვდებოდი...

— მერე მე რა შუაში ვარ?

— შენზე ვფიქრობდი-მეთქი, ვერ მოგატყუებ, რადგან არ გიცნობდი,
მაგრამ დაგინახე თუ არა, მივხვდი, აი სად ყოფილა ჩემი ბედნიერება-მეთქი!
გახსოვს, ჩვენს გასარეკად როგორ გამოხვედი მისი სახლიდან?

— გაბრაზებული ვიყავი...

— რატომ?

— შენ ვერ გაიგებ. — ამბობს ახალგაზრდა ქალი და ფილომელას ჩაბ-
ნელებულ სახლს გაპყურებს.

— მშვენივრად მესმის, იმიტომ იყავი ჩემზე გაბრაზებული, რომ ყველა-
ზე მაგრად მე ვაბრაზუნებდი კიშკარზე!

— სწორია, გიყვივით აბრაზუნებდი.

— იმხელა გზა გამოვიარე, მეგონა, მარტო ვიქნებოდი, აქ კი ხედავ, რა
ამბავია? ჰოდა, მეც ავნერვიულდი, მაინც არ მესმის, რატომ გვაგდებდი, გა-
ხეთში ხომ იყო დაბეჭდილი...

— ჰო, ფილომელას მართლა უნდოდა მეგობრის პოვნა, მაგრამ, როგორ
გავაგებინო.. გასწი ხელები! ვინ იცის, იქნებ სადაც შენ ცხოვრობდი, ათი
ქალი გყავს...

— ვინდა პასპორტი გიჩვენო? ახალშობილივით სუფთაა.

— თქვენ ყველას სუფთა პასპორტები გაქვთ...

რა, ვინმე შეგიჩნდა?!

— თბო, რატომ გასცეხლდი? ერთი ამას დამიხედეთ, უკვე ექვიანობს
კიდეც! ცოტა ქვეიანად იყავი, თორემ...

— იცოდე, არ მომწონს ქალები, რომლებიც... ალბათ ხვდები... მოკლედ,
მომეწონე — ჩემი ხარ, მოგეწონე — შენი ვარ. ჰოდა, ახლავე უნდა მითხრა,
ამ წუთში, აბა, გამომართვი პასპორტი, უბეში შეინახე, მე არაფრის მეშინია.

— ჰმ! სახელი მაინც მითხარი... შენ დილასაც მომეწეებე ქასთან, პირიც
ვერ დავიბანე, ისე მიყურებდი, თითქოს შეჭმას მიპირებდი, გუშინწინაც წრი-
ალებდი კიშკართან...

— მიბასუხე!.. შენ არც მაშიმ გაგიცია ხმა, სწორედ იმიტომ დაველოდე
ყველას დამინებას, რამე რომ არ ეფიქრათ გამოგიტყდები და, არ მინდოდა,
სხვებსაც შეენიშნე, ცოტა ექვიანი ვარ, მაგრამ ვინც არ ექვიანობს, იმას არც
უყვარს... ბოლოს და ბოლოს, რომ არ მიყვარდე, არც ვიექვიანებდი, რატომ
არ აღებდი კარს?

— სახლში არ ვიყავი...

— არ მიყვარს, ქალი რომ იტყუება, ცოლად გირთავ და მინდა...

— მოიცა, ჯერ არ გათხოვივარ.

— რაკი თვალი დაგადგი, ჩათვალე, რომ გათხოვილი ხარ. პასპორტი მო-
გვიცი?

— არავითარი პასპორტი არ მჭირდება.

— კარგად კი მელაპარაკები, იქნებ გყავს ვინმე?
როგორ გითხრა...

— არც მაინტერესებს... როცა ქალი მომწონს, ყველაფერზე თანახმა ვარ... — ლიპიანი ქალს ეხვივა. — შენც ქმარი სად არის ახლა?

— ამერიკაში ერთი, არაფერაღირსი ქმარი არა მყავს.

— მოიცა, აქ ვიღაც აქვეყნებური რაღაცას ყვებოდა ფილომელაზე, მართო ფილომელაა უქმარო და იმიტომ დაბეჭდა გაზეთშიო. თუმცა მისმა ბიჭმა დაბეჭდა...

— ნუ ბოდიშობ, რაც თქვი სწორია...

— ესე იგი, თვითონ დაწერა? უოჩაღ!

— ხელები სადა გაქვს?

— თვითონ იცო...

— მოკლედ, რა გქვია?

— არ მოიქვამს? ეორჯი.

— ეორჯი...

— არ მოგწონს? ხვალვე შევიცვლი.

— მეტისმეტად ჩქარი ხარ, ეორჯ.

— ასეთი ვარ, ერთი, ორი და მორჩა, რომ ვიტყვი, გათავებულია. შენ რაღა გქვია?

— ნატაშა!

— ო, ეს ჩემი საყვარელი სახელია, ჩემთვის ყველა ქალი ნატაშაა.

— არ მოგწონს?

— რას მბობ! ყურს ვიოცნებებ... მაგრამ მოიცა, ჩვენ რაღაც სხვაზე ვლაპარაკობდით, პო!.. ესე იგი, წერილი ბიჭს არ დაუწერია?

— ყველაფერს მოგიყვები, როგორც იყო, ოღონდ ძალიან გთხოვ, ხელები გასწიე, ოღონდ არავის უთხრა, მე და ფილომელას ბევრჯერ გვისაუბრია ჩვენს მდგომარეობაზე, ორივენი ახალგაზრდები ვართ, თითქოს არც გარეგნობა გვაკლია, ცხოვრება კი მიღას... 'და აი, ერთხელ გადავწყვიტეთ, ამის შესახებ გაზეთში დაგვეწერა, რჩევა გვეკითხა... ხომ წერენ ხოლმე ქალები და ქმრებსაც მოულობენ ამბობენ, ქალაქში ამას სპეციალური ბიურო ემსახურებოთ, მე ვიცი, ერთმა ქალმა ასე მიაგნო თავის ბედნიერებას, მერე ამბობდა, რედაქცია მხოლოდ ცხოვრების მოწყობაში კი არა, პირველი სიყვარულის ბოვნაშიც დამეხმარაო, თანაც ამას მაშინ ამბობდა, მეორედ რომ გათხოვდა, პოდა, ჩვენც გადავწყვიტეთ წერილი დაგვეწერა... ორი რვეული გავაფუჭეთ და, ვერა და ვერ გადავწყვიტეთ წერილის ვაგზავნა, მისი ბიჭი კი სულ ჩვენ ახლოს წააღებდა, შენ პატარა თქვი და, ჩვენზე მეტი იციან, ისიც ადგა და თითონ დაწერა...

— როგორც ეხვდები, შენც უქმრო უნდა იყო, ორივეს გეინდოდა, დაგვეწერო, მაგრამ რაღაც არ მჯერა, სულ ასე არ უნდა იყოს.

— როგორ გითხრა, გათხოვილი ვიყავი...

— პასპორტში გეწერა?

— დამაცადე... რომ არ მომწონებოდი, არც არაფერს გეტყოდი...

— კარგი, ყველაფერი მითხარი და გაბატეებ.

— საბატეო არაფერი მჭირს, ასე გამოვიდა... თუმცა რა გამოვიდა... ჩამოვიდა ერთი ჩვენებური ოფიცერი შვებულუბით... ბებერი გენერალი...

— გენერალს გადაეკიდე?

— არა, ერთი!.. მის შოფერს, სადილიც კი ვავმართეთ, მაშინ დედა ცოცხალი იყო, ვავმართეთ სადილი და მოვილაპარაკეთ, მაგრამ იმას კიდევ



ორი წელი უნდა ემსახურა ჯარში. ახალი გაწვეული იყო. დარჩა აქ სანამ გენერალი ისვენებდა. მერე კი...

— ხელი არ მოგიწერიათ?

— არა. მაგრამ...

— რა მაგრამ. ისევ ელოდები?

— შემოდგომაზე უნდა ჩამოვიდეს... ასე იწერება.

— გადაყარე ეგ წერილები. სხვა საიდუმლოცა გაქვს? ყველაფერი ახლავე თქვი. მე ყველაფრის პატიება შემიძლია. თუ არ მატყუებენ. მაგრამ დასჯაც ვიცი, თუმცა საკმარისია. ახლა ჩემზე. როგორც გითხარი, უორეი მქვია. ოცდაჩვიდმეტი წლისა ვარ. ემსახურობდი ფლოტში, დურგალი გახლავარ. თქვენს კოლმეურნეობას დურგლები არ სჭირდება?

— ოო... რა გაუხარდება ბრიგადირს?! არც ერთი დურგალი არა გვეყავს.

— მოკლედ ასე... დურგალი ვარ. დედაჩემმა სახლი დამიტოვა, მაგრამ ჩვენ იმას გავყიდით... ახლა კი წავედით! რას გაჩუმებულხარ? გაგაბრაზე რითიმე? იცოდე. მე ასეთი კაცი ვარ. გაეზომე — გავქერი. ვთქვი და — ავასრულე. ამ წუთიდან ხელებზე ჩქმეტა აღარ გამიბედო.

— მაპატიე. მაგრამ ვერ შეგიშვებ.

— ვერ გავიგე!

— ფილომელა... მე...

— ჰო. გასაგებია, გეუხერხულება მისი. ეს ძველი სიმღერაა! ახლა ისე მოვიქცეთ, როგორც ზრდა დასრულებულ ხალხს შეეფერება. ვითომ პირდაპირ შენთან მოვედი.

— არა. მაგაზე არ ვამბობ... არ შემიძლია... გესმის... არ შემიძლია და მორჩა!

— გადაწყვეტა არ შეგიძლია? გასაგებია. ქალის გული ჩემთვის გადაშლილი წიგნია. მოიფიქრე. ხუთი წუთი გეყოფა?

— რა უცნაური ხარ...

— რამე ისე ვერა ვთქვი. როგორც საჭიროა, თუ რაიმე სხვაქ მიზეზი არსებობს?

— სხვა არაფერი... მე მომწონხარ... ხელები! ახლა გვეყოფა. ხვალ დილა ადრიანად მინდორში უნდა წავიდე.

ნატაშა კარს აღებს და ხურავს. საკეტი ჩხარუნობს.

მესიზმრება. მელანდება თუ რა მჭირს?

— ჩუმად...

მესმის ქალის ჩურჩული. ლანდსაც ვამჩნევ... მეორესაც.

— დიდი ხანია სძინავთ, ნუ გეშინია...

არა, ეს არც სიზმარია და არც ბოდვია... არც მოლანდება. ფეხბურთის მოყვარულები ისე ხმამაღლა და აზარტულად არჩევდნენ წინა მატჩს, რომ გავებრაზდი, მოვხვეტე ჩემი თვა და გავერიდე, ბალის ლობესთან მივწეკი. და აი, ინებეთ, ბატონო, პირდაპირ თავზე მადგას ორი ქალი. ერთი ნატაშაა, იმას უკვე იცნობთ. მეორეს სახელის თქმისაც მეშინია. დიახ, დიახ. მიხვდით, ფილომელაა. აბა, სხვა ვინ უნდა იყოს! ორივენი ფილომელას ბალის ლობეზე გადმოძვრნენ. სცოდნოდათ არ მძინავს, მაგრამ კი დაფეთდებოდნენ. ვაითუ, ფეხი დამაბიჯონ! უკეთესია თვალები დაეხუჭო! მაგრამ როგორ დაეხუჭო, როცა მე პირველი მამაკაცი ვარ. რომელმაც ფილომელა ვიხილე?

— ოპ, ნატაშა, — ჩურჩულებს ის და თითისწვერებზე მოდის, — არ ვიცი, როგორ დავიძვრენ თავს აქედან...

— რა მშიშარა ხარ, ფილომელა, რისი გეშინია.

ესე იგი, ის არის, ნამდვილად ის!

— ვაიმე, გესმის?!

— ჩუმად!..

ლანდები მშორდებიან. კარი კრიალებს. ახლოს მივდივარ, აივანზე ვილატ მოკუნტულა და ხვრინავს. ხოხვით მივდივარ ფანჯრამდე.

— ტყუილა ბრაზობ, ფილომელა... შენ ადგილას რომ ვიყო... ოპ, ნეტა მართლა შენ ადგილას ვიყო, ამდენი კაცი როდის გეხვია გარშემო? მერე რა კაცები!..

— გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს... რა სირცხვილი ვქამე?!..

— რატომ ბრაზობ, ბოლოს და ბოლოს, მე არაფერში არა ვარ დამნაშავე.

— დამნაშავე არა ხარ, მაგრამ დაგიჯერე და შენთან დავიმალე, ახლა ტანსაცმლის გამოცვლა მინდა და ქურდივით უნდა გადავძვრე საკუთარ სახლში.

— შე სულელო, დამალვაც არაა საჭირო.

— სერიოჟკა მყავს მოსაკლავი... დაბრუნდეს ერთი ბებიაამისიდან!..

— ჯერ ერთი, ჩუმად ილაპარაკე, ხალხი არ გაადვიძო, მეორე — ბიჭი არაფერში არაა დამნაშავე, ის დაწერა, რაზეც მე და შენ ბევრჯერ გვილაპარაკია.

— ჩვენ ხომ ვხუმრობდით... ისე კი მართლა ურიგო არაა, ქალს ქმარი რომ ჰყავდეს.

— შენც ადექი და ამოირჩიე, სულ ცოტა ოცდაათი კაცი მაინც იქნება. არ ვიცი რა ვქნა, რა ვიფიქრო, მაგრამ გამოგიტყდებით, მომწონს ამ ქალის ოხვრა, იმიტომ რომ ჩემი ცოლის ოხვრა ყმუილს უფრო ჰგავს.

— მოვწიოთ? — ეკითხება ნატაშა.

— თავი დამანებე, ხომ იცი, მერე რა ცუდად ვხდები, ერთ-ორ კაბას ავიღებ და წავიდეთ, მეშინია...

— გინდა, გავიდუ აივანზე და დავიძახო, აქ არის-მეთქი? — უცებ ეუბნება ნატაშა.

— ღმერთო ჩემო, გაგიყდი?

— მაშინ, მოწიე...

ასანთი ინთება.

ფანჯრის ქვეშ კედელზე ვარ მიწოლილი. აქ საიდან გაეჩნდი? ან გარეთ რატომ არის ასეთი ყაყანი?

— კიდევ ჩამოვიდნენ!.. — ისმის ხმები.

მამ ასე... ისე ხომ ცოტანი ვიყავით და კიდევ მოგვემატნენ.

ჭიშკართან საბარგო მანქანა დგას. ძარადან სამი ტიპი მოძვრება, თანაც ერთს ვიტარა მოაქვს. ეტყობა, დილის მატარებელს ჩამოჰყვნენ და მანქანამაც გაუმართლათ. მხიარულად არიან, ხარხარებენ.

— შეხედეთ! — მუცელზე იჭაჭება ვიტარისტი, — ერთი ძალღს ჩახუტებია და ისე სძინავს.

მართლა ძალღთან ერთად სძინავს და არც აპირებს გაღვიძებას.

— ჩამოდით, ჩამოდით! — მძლოლი კარს აჯახუნებს, საფეხურიდან ხტება და ზორბალს ფეხის წვერს ურტყამს.



ტიპები არ ჩქარობენ.
 — არა ძმაო, ყველაფერი გასაგებია, ჩვენ უკან ვბრუნდებით.
 — კი, მაგრამ აქ არ გინდოდათ ჩამოსვლა? — უყვირის/ მძლოლი. —
 აი, სოფელი. აი, სასძლოს სახლი...
 — მიაბრუნე, მიაბრუნე და გარეკე!
 — შეჩერდი!.. — დამთხვეულივით ყვირის ერთ-ერთი სასიძოთაგანი, —
 მეც წამიყვანეთ. წამიყვანეთ. ბიჭებო...
 მაგრამ მანქანა უკვე გაქრა ლამაზ ზმანებასავით. აი, უკვე ფერდობს მი-
 უყვება და თანდათან პატარავდება. მხოლოდ გიტარისტის უხამსი სიმღერა
 კიდია ჰაერში მტვერ-ბუჩქივით:

კატას კუღში ხელი ვსტაცე,
 მოვაწყვიტე ძირში.
 ძმებო, კარგ ხასიათზე ვარ:
 სატრფო ვნახე ძილში.

თავჩაქინდრული ვდგავართ, ერთმანეთს აღარც კი ვუყურებთ. მგონი ახ-
 ლაღა მივბვდით, რა უაზრო ამბავში გავებით, ვნახოთ, რა იქნება.

და თითქოს განგებაათ, ცხოვრება რომ უფრო მწარე გვეჩვენოს, ნატა-
 შას სახლის კარი იღება და ზღურბლზე ღიბიანი გამოდის, უკან სახეგაბადრუ-
 ლი ნატაშა მოსდევს. ღიბიანი შინაურულად იღებს თოხს და ნატაშას აწედის.
 მეორეს თვითონ იღებს მხარზე და ისე მიაბიჭებენ, თითქოს ცა ქუდად არ
 მიაჩნდეთ და დედამიწა ქალამნად.

აგერ, კაცი ძალს ჩახუტებია და სძინავს. ეს ის კაცია, გუშინ რომ გა-
 უნარდა, ფილომელას მსმელები არ უყვარსო. ახლა კი, ეტყობა, გაღეშილა,
 მის გვერდით ორი ცარიელი ბოთლი აგდია. აი, სასიძო მესმის!.. ნეტა რას
 იტყვის, რომ გაიღვიძებს?

— აჰა! მესმის ნაცნობი ხმა, — აი, შინ დაბრუნების კიდევ ერთი მსუ-
 რველიც.

ეს კი ის კაცია, გუშინ ამხანაგს რომ ეძებდა, მინდორში წასამუშავებლად.
 მან ფილომელას სახლის გვერდით თოხს მოჰკრა თვალი, მხარზე გაიღო და
 ნატაშასა და ღიბიანს გაჰყვა.

შემედლო დაეწეოდი, მაგრამ აღარ მინდა. ამ ამბის დასასრულის ნახვა
 მაინტერესებს.

— აი, ერთი გიყიც!..

— აბა?

— აგე, აგე, მინდორში...

არც ისეთი გიყია, მოტოციკლეტით მოდის!..

სასიძოებიდან ყელაზე მეტად ჯარისკაცები მომწონს. ვინ ტანსაცმელს
 წმენდს, ვინ ბაღში დახეტილობს, მოტოციკლეტისტი ძრავაში აფათურებს
 ხელებს, ჯარისკაცები კი ისე იქცევიან, თითქოს ისევ სამხედრო სამსახურში
 იყვნენ, წელამდე გაშიშვლებულან და ვარჯიშობენ.

— ადე-ქით! — ბრძანებას იძლევა წითური.

— გისმენთ, ამხანაგო რიგითო ჯარისკაცო! — უპასუხებს წამომხტარი
 იხენისკარტა.

— სირბილით გამომ-ყევ! — ორჯერ უვლიან ეზოს გარშემო, ორჯერ, სა-

მკერ აბტებიან ლობეს, უკან ბრუნდებიან, ვაშლის ტოტს ეკიდებიან და ისევ განაგრძობენ სირბილს.

ადგილობრივი მოსახლეობა მხარზე თაბგადებული გვივლის შორიანად და გასაყიდი პირუტყვებით გვათვალისწინებს. ჩვენ უხერხულად ვგრძობთ თავს. ჯარისკაცებს კი ფეხებზე არა ჰკიდიათ...

— ჩქარი ნაბიჯით იარ!.. თავი მაღლა... ერთი, ორი... ერთი, ორი...

სათვალისწინებელი აშკარად უკმაყოფილოა ჯარისკაცების საქციელით. ეზოს ყოველ შემორბენაზე ფეხებზე აბტებიან. ის კი მიწაზე გამოტილა და, გგონია წამოდგომის თავიც არა აქვს.

— აქ რა, კახარმა ხომ არ გგონიათ?

— ადე, ადე, ძველო! — იძახის წითური და სირბილს განაგრძობს.

— მომყე, პაპა ტრიფონ! — უმატებს იხვნისკარტა. — ერთი, ორი! ერთი, ორი!

ვილაც ჯარისკაცებს ექომაგება.

— ტანვარჯიში კარგი საქმეა!..

— სწორია. — ჭკუას არიგებშ წითური. — ქალის დაპყრობა თუ გინდა, ძლიერი უნდა იყო. კუნთები უნდა გქონდეს. ღონე, ხორცი!

რამდენიმე სასიძო, მათ შორის ასაკოვანნიც, მორბენალებს უერთდებიან. სათვალისწინებელი კი ისევ მიწაზე წევს და თეორეტიკოსობს.

— კუნთები ცხენს ჭირდება. ჭეშმარიტმა მამაკაცმა ქალი ინტელექტით უნდა დაიპყროს.

— მაგასაც ვნახავთ! — ბანალურ კამათს ამთავრებს იხვნისკარტა, — იწეჭი, ძველო, იწეჭი...

თქვენი აზრით, შე რაღა უნდა ვაკეთო? ვფიქრობ, ნამდვილი მამაკაცი, უწინარეს ყოვლისა, მეურნე უნდა იყოს. აი, იქ ბალის ლობეა გადანგრეული, წავალ და შევაკეთებ.

ერთი კი ნაღდად ვიცი — ფილომელა სახლშია. რაკი ღიბიანმა ღამე ნატყუარაზე გაათია, ფილომელა შინ იქნება. ჰოდა, დამინახოს, რა კაციცა ვარ და ისე შემაფასოს, როგორც მეკუთვნის. ლობეს შევაკეთებ და კიდევ გამოვნახავ რამეს. ქალებს უყვართ მშრომელი კაცები. აი, ხახვის გამარგვლა შეიძლება... ღმერთო ჩემო, რა მაგრად მშია...

ეს მოტოციკლისტი შემშლის პირდაპირ. ლამის არის ტვინი წაიღოს. მგონი მეათედ მოდის და ერთს და იგივეს მეკითხება, თქვენც იმ საქმეზე ხართო? არა-მეთქი, მე სხვა საქმეზე ვარ. რა საქმეზეო? დიასახლისის ნათესავი ვარ-მეთქი, ვეუბნები. პოო... გამცილდება. პაპიროსს მოსწევს და ისევ მომადგება. გარე ბიძაშვილი ხართ, თუ?.. არა, მე ყვავი ჩხიკვის მამიდა ვარ, ბიძაშვილი თუ ხარ, სალაპარაკო მაქვსო. არა, კაცო, მე ისე, სამეურნეო საქმეში ვეხმარები-მეთქი! კარგი, ბატონო, არ გინდათ, მაგრამ მაინც მოგახსენებთო. ერთი დელიკატური თხოვნა მაქვს თქვენთან. ერთი-ორი სიტყვა შემაწიეთ დიასახლისთან. სამაგიეროდ მოტოციკლეთს გაჩუქებთო. ეს როგორ იქნება-მეთქი, ჯერ ქალი არ გინახავთ და თქვენ მოტოციკლეთს იმეტებთ, ეს არაფერიაო, მითხრა. შეძლებული კაცი ვარ, ცოლს შევირთავ თუ არა, მანქანას ვიყიდით. არა-მეთქი, ამ საკითხზე ვერაფერს ვეტყვი, უხერხულია. ის კი მეუბნება: კარგად დაფიქრდი, მოტოციკლეთები ქუჩაში არ ყრია, თქვენ ბავშვების ამბავი თუ გადარდებთ. ბავშვებისთვისაც საკმაოდ მაქვს სახსრები...

— არა, მაპატიეთ და, არ შემოძლია, — ვეუბნები და კიდევ უფრო ვბრები ლობესთან.

— შეხედეთ, ეს ის არის? — მოულოდნელად მეჭოთხება მოტოციკლისტი.

თითქოს მიწა გამისკდაო, ნუთუ ფილომელამ გამოსველა გაბედავსა? — სად არის?

— სად არის? — იმწამსვე მესმის მრისხანე ხმა და ისეთ საშინელ ხასიათზე ვდგები, როგორზეც დიდი ხანია აღარ ვყოფილვარ, — სად არის?

რომ დამხვრიტონ, მაინც ვერ ვიტყვი, როგორ მოვასწარი ფილომელას სახლის სხვენზე ასვლა.

— მაჩვენეთ, მაჩვენეთ! — ყვირის ჩემი ცოლი და გაზეთს აფრიალებს, — ერთი მაგისი სახე დამანახვეთ!

ღმერთო ჩემო, ბავშვებიც აქ არიან! ეს რა ხდება! რა ხდება!

— მაჩვენეთ, ეგ გათახსირებული! მომაგნეს აქაც მომაგნეს...

თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ჩემს ცოლს წინ ნატაშა აეტუზა, ეს საიდანლა გაჩნდა?

— ააა! — ღმუის ჩემი პატივცემული მეუღლე. — აჰა, მაშ, ეს შენა ხარ?

— მიშველეთ! — ყვირის ნატაშა.

— არა, არა, ეს ის არ არის, — ქალების გაშველებას ცდილობს წითური ჯარისკაცი, — თქვენ საიდანლა გაჩნდით, დედილო?

— მე? მე? — „დედილო“ მოქნეულ გაზეთს ურტყამს თავში. — აი, ვინა ვარ! აი, აი! ქორწილი გაქვთ გაჩაღებული, არა?

— აბა, აბა! — ღრიალებს მოვარდნილი ჟორჯი, — ეს ჩემი ცოლია, ხელი არ ახლო თორეე...

ჩემი მეუღლე ხმას დაბლა უწევს.

— რა ვიცოდი, მეგონა, ეს ის ქალბატონი იყო.

— ქალბატონი ჯერ არ არის აქ. — ინფორმაციას აწვდის წითური. — თქვენი ქმარი კი რომელია? როგორც ჩანს, თქვენ ვილაცის ცოლი ხართ.

ჩემი ცოლი აქეთ-იქით იხედება.

— ეტყობა, დაიმალა, არ ჩანს.

კაცები გარს შემოერთყენ, ხარხარებენ, ელაზღანდარებიან.

— კარგად შემომხედეთ, მე ხომ არა ვარ?

— სურათი არა გაქვთ თან?

— სურათი არ წამომიღია!

— მაინც როგორი გარეგნობისაა? აქ ვინლა არ იყო... ზოგიერთები უკვე წავიდნენ კიდეც. — გულმოდგინედ უხსნის სათვალთან. ისე კი, სხვათა შორის, ნამდვილი მამაკაცები აქ დარჩნენ, მიბოძეთ თქვენი ხელი.

ცოლს აღმური ედება და ხელს არ აძლევს.

— დარწმუნებული ვარ, აქ არის, აი, ეს გაზეთი მის მაგიდაზე ვიპოვე...

— მოვძებნით, — აწყნარებს სათვალთან. — მაგრამ, მაპატიეთ და, რად გინდათ ასეთი ამორალური ქმარი? კაცი რომ ასეთ ქალს მიატოვებს...

ცოლი პასუხის გაცემას ვერ ასწრებს, ეზოში ისევ აურზაური იწყება.

— ერთიც მოგვემატა, — ერთად ყვირიან სასიძოები, — მოდი, მოდი, ჭაბუკო, შენლა გვაკლდი.

და მართლაც კიშკარს ახალი პრეტენდენტი უახლოვდება, სუსტია, ჩოფურა, დაბნეული ათვალეერებს ხალხს და ქეჩოს იფხანს.

— თქვენ ვინა ხართ?

— ჩვენ სასიძოები ვართ. — წინ გამოდის იხვნისკარტა,

— ვისი სასიძოები?

— აქაური დიასახლისის, ფილომელას საქმროები ვართ.

ეს განცხადება, ეტყობა, კკუაში არ უჭდება ახალმოსულს. ცოფიან მგელივით აცეცებს თვალებს და უცბად ქვას იღებს ხელში.

— აბა, აქედან მოუსვით!

ჩგუფი იფანტება. მხოლოდ წითური ჭარისკაცი არ იბნევა. უკანიდან ეცემა ნაყვავილარს და ძირს ახეთქებს.

— გაგიყდი თუ რა მოგივიდა?

იწყება ალიაქოთი. შეხლა-შემოხლა, გინება, ახლა კი კარგი დღე დაადგება ჩოფურას!

უცებ კარი იღება, ღმერთო ჩემო, ეს ფილომელაა! ის მოჩხუბრებს შუაში უვარდება და გაცეცხლებული ისვრის მათ აქეთ-იქით, ძუ ლომია, ნამღვილი ძუ ლომი!

— არ გაბედოთ ხელის დაკარება, ჩემი ქმარი! — გაჰკვივის იგი.

ყველაფერი დაინგრა, ყველაფერი!

— კაცები უკან იხევენ, ფილომელა კი ფრთხილად იწვენს მკლავებში ქმარს და სახლისკენ მიჰყავს.

— ჩემო ძვირფასო, საყვარელო, ბოლოს და ბოლოს მაინც დამიბრუნდი?

ფილომელას მკლავებზე გადაწოლილი ჩოფურა ცინგლს იწმენდს და უღონოდ იქნევს ხელს.

— უთხარი, წავიდნენ. — მოითხოვს კირვეულად.

ოდისევსის დაბრუნება! მუნჯი სცენა.

მე, მე რაღა ექნა?

ანუელას! ჩემი ხელი აქვს ჩაბლუჯული და პატარა დამნაშავე ბიჭივით მიმათრევს. მერე ეს ყველაფერი დღისით, მზისით ხდება, ყველას თვალწინ.

— ხელი გამიშვი!

— ხელი გაგიშვა? დღეიდან ჯაკვს ჩაგაბამ და ისე გატარებ, სადაც წავალ, იქ წაგიყვან, გადმოადგი-მეთქი ფეხი!

— ბავშვი ხომ არა ვარ, ბოლოს და ბოლოს, კაცი ვარ!

— კაცი? შენ?

ჯობია, ხმა არ ამოვიდო.

— ხმას მაინც ნუ იღებ! ჯიკე! რიკე!

— რა იყო, დედიკო!

— არ ჩამომრჩეთ შეილებო, მამას მიხედეთ, ამ ბებერ ულაცს...

— სიძე! — მამრანებს ჯიკე.

— სიძე! — იმეორებს რიკე.

უკვე სამუდამოდ დამერქვა სიძე.

— აბა, ყოჩაღად, ბავშვებო, გვაგვიანდება!

— ჩვენ ყოჩაღადა ვართ, დედა.

— ყოჩაღადა ვართ.



— ფეხს ნუ შაბიჯებთ! — კბილებს ვაღრჭიალებ. — ისეთს გაგარტყამთ.
რომ...

დედა. შამას ჩვენი გარტყმა უნდა!

— დედა. შამას ჩვენი გარტყმა უნდა!

— ამას? — ამკარად დამციხის ანეულა. — ცოლი მუშტს უშენს კარს. ჯიკე და რიკეც ეხმარებიან.
წაგაწვევით!

იქნებ ციმბირში მომეხერხებინა?

— გაინძერი!

ეს სად მომიყვანა?! ბრიგადის კანტორაში? ღმერთო ჩემო! მაგრამ მგონი, გადარჩენილი ვარ. კარს კლიტე ადევს.

— გააღეთ! — ცოლი მუშტს უშენს კარს. ჯიკე და რიკეც ეხმარებიან, როგორც შეუძლიათ.

— ვინ გინდათ? — ისმის უკანიდან.

ახოვანი კაცი „გაზიკს“ მიყრდნობია.

— თავმჯდომარე!

დავუშვათ. მე კარ თავმჯდომარე...

— თქვენ? თქვენა ხართ უფროსი?

ნუთუ ცოტა მორიდებულად მოქცევა არ შეუძლია?

— კოქვათ, ასეა. თქვენ თვითონ კი ვინა ხართ? — მშვიდად უპასუხებს კაცი.

— მე? არა, შენ ეს მითხარი, შენ ვინა ხარ! რატომ გყავს სოფელში გათახსირებულები?!

— რომ!

— თქვენს ანგრუვენ! გახუთებში წერილებს აქვეყნებენ! ბავშვებს აობლებენ...

— აი, თურმე რაზე ლაპარაკობთ... კაცი ქუდს იხდის, იქიდან თხელი თეთრი ცხვირსახოცი ამოაქვს და შუბლს იწმენდს. ისეთი კაცი ჩანს, თავზე ადვილად არავის დაისვამს. ასე თუ ისე, ჩემი ცოლით მოხიბლული არ უნდა იყოს. — იცით რა, ჯობია ცოტა წესიერად ილაპარაკეთ. ფილომელა ჩვენი წარმოების მოწინავეა, ერთ-ერთი საუკეთესო! მუშაა, თანაც, როგორც ვიცი, თქვენშიც აწყობილი უნდა ჰქონდეს საქმე.

— რაო, ჩაგაკმეხდინეს ხმა?

— მოწინავე? — არ ცხრება ჩემი ძვირფასი მეუღლე, — არსად დაგეკარგოთ ეგეთი მოწინავეები. შენ რაღას იმალები კარს უკან? გამოდი! — ახლა მე შეუბნება.

— მე მეძახი?

— გამობრძანდი!

— აჰა, გამოვედი, აჰა...

— აჰა, დატკბით, — თითს მკრავს ცოლი. — სასიძო! საბრალო შეყვარებული... ეს ყველაფერი იმის ბრალია...

— კაცი, ასე მგონია, თანაგრძნობით მიყურებს, მერე ხელს ჩაიქნევს და მანქანაში ჩდება.

— შეჩერდით! — ანეულა წინ უდგება მანქანას. — საითკენ მიდიხართ?

— სამუშაოდ, რას მიბრძანებთ, დავდგე და მაგის ყურებით დავტკბე? ჩემზე ამბობს.

— მანქანა მოგვეციოთ სადგურამდე.



ქართული ენის ინსტიტუტი
საქართველოს ენის ინსტიტუტი

მეტი საქმე არა მაქვს, სადაა მანქანები, ვინც არ მუშაობს, ის მანქანით ვერ წავა.

„გაზიკი“ იძვრის.

— „გაზიკი“ იძვრის.

მანქანა მუხრუჭდება.

— იცით რა, თუ ფეხით სიარული არ გნებავთ, აი ის ფაშატი შეაბით საზიდარში და ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

— მერე მძღოლი? ფუტ. შეეტლე!

— ახლა შეეტლეები აღარ არიან. სადგურამდე ჩახვალთ, მერე ცხენი გამოხსენით და საბალახოდ გაუშვით, ოღონდ დაბორკვა არ დაგაფიწყდეთ.

„გაზიკი“ მტვრის ბულში გაუჩინარდა.

— რას გაშეშებულხარ? — მეცა ანეელა, — დაიჭირე ცხენი!

გავიქეცი.

— დაბორკვა... მესმის მისი ბურტყუნი ზურგს უკან. — დაბორკვა!.. ეს რაღას ნიშნავს?!

თავს გამიტეხავენ ეს მამაძაღლები. სტვენას არე მაკმარებენ, თან ქვებსაც რომ მესვრიან? ანეელა კი ვითომ ვერაფერს ხედავს, ზურგშექცევით ზის და ცხენს უწრუბუნებს. ეტყობა, უხარია, შინ რომ მივდივარ, იქ კი ისეთ ცეცხლს შემინთებს, რომ ვერარა მილიცია ვერალა მიშველის.

— სიძე, სიძე, შე ძველო!

კიდევ კარგი იმდენი თივა მაინც ყრია, რომ ზედ წავიფარო. წარმოგიდგენიათ? ხელ-ფეხ ვათოკილი მივყავარ.

მე მგონი, სოფლის ყველა ბავშვი, ყველა ცინგლიანი ლაწირაკი მოვიდა ჩვენს სანახავად.

— რა ფიტულივით ზინარ, გადაუჭირე მაგათ მათრახი... — ვიხვეწები ცოლს. — აქედან მოუსვით ოქვე!

— ბავშვებს ნუ უყვირო!

— ქული წამაძრეს!

— ნეტა თავიც მიეყოლებინათ... წყნარად იწეჭი, თორემ გიცხუნებ ამ მათრახს! გადმოხედვის ნება ვინ მოგცა, არ ვეყო, რაც იპარპაშე? არ ვეყო?

— სიძე! სიძე!

— გარეკოს მაინც! ცხენი ფეხებს ძლივს მიათრევს, ჭიკე და რიკე ჩემ გვერდით სხედან და ხელში რაც მოხვდებათ, ბავშვებს ესვრიან, არ გეგონოთ, მამას იცავენ, უბრლოდ ერთობიან, აი, რიკემ ჩემი ქული ესროლა, იმათ ისევ აქეთ გადმოაგდეს, მერე ისევ ჩემებმა.

არა, რაღაც უნდა მოვუხებრხო თავს, სიცოცხლე ხომ ერთხელ ეძლევა ადამიანს, ბედნიერი არც წინათ ვყოფილვარ, მაგრამ ახლა ყველაფერი დაინგრა, ყველაფერი... დღვიდან, რაც არ უნდა გავაკეთო, ყველაფერი ცუდად მოეჩვენებათ. ყურებში უკვე მესმის მომავეალში ნათქვამი ჩემი მზეთუნახავის სიტყვები: „ისევ გინდა აითესო?“ ან: „კოლის მერთვა ხომ არ გადაწყვიტე?“ ან: „რა თქმა უნდა, სხვები უფრო ღიმაზები არიან!“ რიკესა და ჭიკეს მამუზღრობასაც უფრო ფართო ასპარეზი ექნება: „დედა, მამა ისევ საცოლეს ეძებს!“ ან: „დედა, ჩვენი სასიძო საპირფარეშოში ეწევა“. ან კიდევ: „დედა, სასიძოც ჩვენთან ერთად წამოვა კინოში?“

ეს რა ხმებია?! თითქოს სოფელს კარგა ხანია გამოუცვდით და ხმაური საიდანღა ისმის?

ლუკიცა ცემენტის პარმაღზე ზის და ლობიოს არჩევს. ანიკას კი თავი ჩაუქინდრავს და მოლუშული რაღაცაზე ფიქრობს... მოსვენებას არ აძლევს მედაფდაფე, ხან გორაკზე აბრაგუნებს დოღს, ხან სოფლის ცენტრში ხან ტყის პირას.

— რას დახეტილობენ, — ფიქრობს ანიკა ხმამაღლა. — მადლობა მადლობა მიწყნარდნენ.

— ოპ, ოპ. — ოხრავს ლუკიცა და კიდევ უფრო მეტად იხრება ლობიონიან ჯამზე, სამი ვაჟი წაართვა ლუკიცას ომმა, — ნეტა კვალს ხომ არ წააწყდნენ. გმირულად დაცემულ ჯარისკაცებს ეძებენ. ახალგაზრდას, — ისევ ოხრავს ლუკიცა და ჯამში მუჭით ყრის ლობიოს. — იქნებ მიაგნონ კიდევ, ყოველ სახლში შედიან.

კიდევ რაღაცას ტუტუნებს, თავჩაქინდრული ლუკიცა და ვერც ამჩნევს, ანიკა სახლისკენ რომ წატუსტუსდა.

ანიკამ ქმარს დაუწყო გაღვიძება:

— გაიღვიძე, ფილიმონ, ადექი!

— დღეს ხო კვირაა, — უკმაყოფილოდ ბუზღუნებს ქმარი და მეორე გვერდზე ბრუნდება. — რამ აგაწრიალა ასე დილაადრიანად?

— რომ გეუბნები, ადექი, ვენახში უნდა წახვიდე!

— ვენახში რა მინდა, გათოხნილიცა მაქვს და შეწამლულიც.

— აბა, ტოლმა რით გავაკეთო? — ანიკას უხარია, ასეთი უბრალო რამის მოგონება მაინც რომ მოახერხა. — ცოცხლად, ცოცხლად!

ფილიმონს ადგომა ესიკვდილება, მაგრამ რაკი დიასახლისს ტოლმის გაკეთება გადაუწყვეტია, სხვა რა გზა აქვს, ვაზის ფოთლის გარეშე არაფერი გამოვა.

ფილიმონი დგება და იქეჭება.

— დაუჩქარე! — ანიკა გაფაციცებული უგდებს ყურს ბუკის საგანგებო ხმებს.

— ვენახი კარგა შორსაა, — ანგარიშობს ანიკა, — ფილიმონი კიდევ ახალგაზრდა აღარაა, სანამ მივა და მოვა, მოსალამოვდება კიდევ...

ფილიმონი აუჩქარებლად ჭამს, ზედ ერთ ჭიქა ღვინოსაც აყოლებს და წასასვლელადაც ემზადება.

— ფოთოლი ბლომად წამოიღე, — აბარებს ანიკა, — შელახული ფოთოლი არ მოკრიფო...

ანიკა ჭიშკარს კეტავს და შეშფოთებული იხედება აქეთ-იქით.

ახლა ეგეც მასწავლე, — იღრინება ფილიმონი, — ნაპოლეონიხა!

ანიკა უკვე ბებერი ლუკიცას ეზოშია.

— რას აკეთებ? — ეკითხება იგი და გვერდით უჭდება.

ანიკა თითქოს ცოტა დაწყნარდა, მაგრამ ყურები დაცქვეტილი აქვს.

— არაფერს... ლობიოს ვარჩევ.

— წიწაკას რას უშვები?

— წელს წიწაკა არა მაქვს, — ჩივის ლუკიცა, — თესლი დამეკარგა სადღაც, არადა, ისეთი მსხვილი თესლი მქონდა... შენც ხომ მოგეცი... არ შეგინახავს?

— რა? — შეკრთა ანიკა. მოხუცის სიტყვები არც გაუგონია. მიჩუმებული დოღი ისევ აბრაგუნდა.

— გეკითხები, თესლი თუ შეინახე-მეთქი.

— კოო, დაბნეულად უპასუბებს ანიკა, — ხედავ, როგორ ახმაურდა
 — ვისზე ამბობ? — გაბრაზდა ლუკია, როცა შეატყა რომ მეზობელ
 არ უსმენდა.

— პიონერებზე, რამდელი წელი გავიდა ომის შემდეგ და რად უნდა
 ძველ კრილობებს რომ გვახსენებენ.

ლუკიას ლობიოანი ხელი უშეშდება, მზერა ებინდება.

— არა ხარ სწორი, — თავს აქნევს ლუკია, — იცი, რამდენი დედა
 ელოდება შვილს?

— მაინც ვის ეძებენ, ნეტა? ახალგაზრდას თუ მოხუცს?

— ხომ არ დაყრუებულხარ, ახალგაზრდას ეძებენ-მეთქი. შვილიშვილი
 მეუბნებოდა, კრასნოდარსკიდან მოვიდა დედის წერილიო...

— ესე იგი, ახალგაზრდას ეძებენ... — ანიკას გულს ბაგა-ბუგი გააქვს
 ვერაფრით ვერ ერევა თავს.

ლუკია ლაპარაკობს და ლაპარაკობს, ანიკა-ნაპოლეონიხა კი ცალი
 ყურით უსმენს. მისი გულისცემა ლამის დოლის ბაგუნს ახშობს. — ყელ-
 გამომლადრავს ფილიმონი, — ფიქრობს ანიკა, უკვე დარწმუნდა, რომ პიონე-
 რები სერგეის ეძებენ. ქერათმიან ახალგაზრდა ჯარისკაცს, გასისხლიანებულ
 რომ იპოვა ტყეში. ფეხი უზანგში ჰქონდა გაჩხერილი. გონდაკარგულს ცხენი
 მიათრევდა მიწაზე... მხარში იყო დაჭრილი, ძლივს მოიყვანა გონებაზე და
 ვინა ხარო, ჰკითხა. ანიკა შიშს აეტანა, სოფელში ჯერ ისევ იყვნენ გერმანე-
 ლები. — რუსი ვარ. — ამოიჩურჩულა ჯარისკაცმა. ბევრი სისხლი ჰქონდა
 დაკარგული და ტუჩები ჩათეთქვოდა. — რა ვქნა, რა მოვახერხო... — მაშინ-
 ნაც ასევე უფანცქალებდა გული ანიკას.

ჯარისკაცს არც ერთი სიტყვა არ ესმოდა, თანაც ბოდვა დაიწყო. სხვა
 გზა არ იყო, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ჯარისკაცისათვის უნდა მოეგლო.
 თეთრი ზორბა ცხენი ჯარისკაცის ქამრით დაბორკა, მერე დაჭრილს ილღიებში
 ამოსდო ხელები და თითქმის სირბილით გაათრია ტყისკენ. მაშინ ჯან-ლონიო
 სავსე იყო ანიკა, ახალგაზრდა. შინდის ბუჩქის ქვეშ ორ მოზრდილ კაქარს
 შორის დააწვინა. სირცხვილისთვის სად ეცალა; საცვალი დახია და კრილობა
 შეუხვია. პირი მობანა. კრილობაზე მრავალძარღვის ფოთოლი დააფინა... მე-
 რე რამდენ ხანს ჰყავდა იმ ბუნაგში?!

ბამ-ბა-რა-ბამ, ბამ-ბა-რა-ბა, ტრა-ტა-ტა-ტა, ტრა-ტა-ტა-ტა.

ბუკის ხმა თანდათან შორიდან ისმის, ანიკა სულს ითქვამს.

— ვერ იპოვნეიან, — თითქოს თავისთვის ბუტბუტებს.

— ვის? — უკვირს ბებერ ლუკიას, ისიც მოგონებებშია ჩაფლული. სამ
 ვაჟიშვილთან ერთად წავიდა მისი ქმარი ფრონტზე. — ვის ანაბარა მტოვებთ?
 — ქვითინებდა მაშინ ლუკია, — მარტოდმარტო ვრჩები სხვის სოფელში. —
 ჩემი სოფელი შენი სოფელია. — ეუბნება ქმარი, არც ქმარი დაბრუნებულა
 და არც შვილები, ყველას იქ გაეთხარათ სამარე, ერთადერთი ქალიშვილი
 გადაურჩა მხოლოდ...

— ვის ვერ იპოვნეიან, ანიკა?

— აი, იმ რუსსი.. რამდენმა წელმა გაიფრინა.

— აბაა, რამდენმა წელმა...

— ეინ რა იცის, სად დაიღუპა, თუ წერილში წერენ?

— არ ვიცი... არ ვიცი... შვილიშვილი მეუბნებოდა, პუნტის სხვენზე
 ზურგჩანთა იპოვნესო.

— მისი ზურგჩანთა? — შეკრთა ანიკა.

— მისია თუ სხვისი, ვის ჰკითხონ? რაკი ზურგჩანთა იპოვნეს და წერილებიც... გაარკვევენ.

— იოანა რას ამბობს?

— რა უნდა თქვას ბებრუხუნამ? მთელი პუნტების საგვარჯიშოში — რტო ეგლაა გადარჩენილი, ორმოცდაათი წელია სხვენზე არ ავსულვარო. რა ვიცი ვინ აიტანა იქ ზურგჩანთაო... მიცემით კი მიუცია...

არა, სერგეის ჩანთა არ იქნება, ანაკამ რომ სერგეი იპოვნა, ჩანთა კი არა — და იარაღიც არ ჰქონდა, პილოტურაც არ ეხურა, მაგრამ მაინც ეშინია; ღმერთმა იცის ამ პიონერების თავი, ჩანთა თუ იპოვნეს, მალე სერგეის კვალსაც მიაგნებენ. — ესლა მაკლდა სწორედ... ორი თვე უვლიდა ანიკა სერგეის მერე კი... — ჯერ ეშინოდა ჩემი, ორს ლოდს შორის დავტოვე და მალე მოვალ-მეთქი ვუთხარი, დავბრუნდი და სადღა იყო... რა შიში ვჭამე... კინალამ შევკიეღე, ვიფიქრე, ალბათ გერმანელები წააწყდნენ-მეთქი, ის კი წყაროსთან მიცოცებულ იყო... ფეხზე წამოდგომა უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო... — მაშინ ანიკამ ერთი რუსული სიტყვაც კი არ იცოდა, მხოლოდ იღიმოდა და ეგ იყო, თითქოს ეუბნებოდა, ცხენზე ნუ იდარდებო, ყველას უთხრა, ტყისპირას ცხენი ვიპოვნეო, იხუმრა კიდევ, თავად ნაპოლეონის ცხენიაო, მის მერე დაარქვეს სულელური მეტსახელი ნაპოლეონიჩა, სინამდვილე კი არავინ იცოდა, შეიძლება ექვობდა ვინმე, მაგრამ ფილიმონმა ნამდვილად არაფერი იცოდა, რომ გაეგოო... მტრისას... ის ფრონტზე იყო, ეს კი... ან რა დამნაშავეა ანიკა... სერგეი ისე ახალგაზრდა იყო... ისეთი ქერა, თმა ჰქონდა, გოლიათებს რომ აქვთ ზღაპრებში, თანაც ისეთი უმწეო ბიჭი იყო... ფილიმონი შორს იყო, ეს კი მის გვერდით... მის მკლავებში ნეტარებისაგან გონება ეკარგებოდა... და აი, ერთ მშვენიერ დღეს სერგეიმ უთხრა, ასე ცხოვრება აღარ შემიძლიაო... უთხრა და ტყე-ტყე წავიდა... ახლა კი... — ღმერთო ჩემო, ეს პიონერები სასჯელად მომეველინენ, ჩვენი ცოდვების მოსაკითხავად — წავიდა სერგეი და ცხენიც წაიყვანა, არაფერი არ დაუტოვა, ვაითუ, რომელიმე წერილში ანიკაზე წერს? — ღმერთო ჩემო, — ფიქრობს ანიკა — ნაპოლეონიჩა, ცოცხალი ქმრის პატრონი ქვრივი, — რა მეშველება? მეც სხვენზე უნდა ავძვრე და გადავხედო, რა ხდება... ფილიმონი ხომ ყელს გამომჭრის ამ სიბერეში, სერგეი, ჩემო ოქროს ქოჩორა ბიჭო, სერიოზენკა...

— მოიცა სად მიდიხარ? — უკვირს ლუკაცას, — ახლავე მოვრჩები ლობოს გადარჩევას...

— ნათლიამამასთან უნდა გადავირბინო... — უპასუხებს ანიკა, მოსახვევში უჩინარდება და ტყისკენ მიუყვება გზას, კი არ მიუყვება, თითქმის გარბის, დოლი კი ბრავუნობს, ბუკი გაპყვირის: — ბამ-ბა-რა-ბამ... ტრა-ტა-ტა-ტა-ტა!

კაცების მომთაცხავალი ქალები

მატარებელი დილის ოთხ საათზე მოდის და არც ასაქცევამდეა მაინცა და მაინც ისე მოკლე გზა, ასე რომ ორი საათით ადრე მაინც უნდა ავდგეთ. — რას ფაციფუცობ გოგო, — თავს წევს ბალიშიდან დედა, გოგოზე უფრო გომბიო შეეფერება საყენას სიმაღლე შემობერებულ,

ბეჭებგანიერ ქალიშვილს. გათხოვების მერე რომ ყაჩაღანა ქალები დგებიან სწორედ ისეთს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— გაჩუმდი, დედა და დაიძინე.
— ისევ აპირებთ?
— გაჩუმდი, რომ გეუბნები.
— რაც გინდა ისა ჰქენი, მაგრამ ჩემი სიტყვა დაიმახსოვრე, ერთხელაც ისეთს გადაეყრები...

— თოკი სად ჯანდაბაშია, არ იცი?
— მოეშვი, გოგო, მაგ საქმეს, დაწექი და დაიძინე, რას გარგებს იმათ აყოლა. რამდენჯერ წახვედი და რა ხეირა ნახე.

— რატომაც არა, აი კუბტორიხამ ხო იშოვა...
— იშოვა! მაგას რომ ქმარი ჰყავს, ისეთის ყოლას სიკვდილამდე შინაბერად ჯდომა ჯობია.

— მერე და შენ რატომ არ იჯექი?
— მე ქმარიც არ მომიტაცებია, თითონ მომიტაცა.
— ეგ წარღვნამდე იყო, მერე კიდე თუ ასე გაგიყებულ იყო შენით, რატომ მიგატოვა?

— კარგად იცი, რატომაც...
— მაინც?
— იშოვა ერთი ბოლოქანქალა, ყამირისკენ გაუტია და აღარ დაბრუნდა.

— ტომარა სადაა, საწოლქვეშ მქონდა შენახული.
— უიმე, ტომარაში უნდა ჩატენო?
ქალიშვილი იცინის.

— მერე რა მოხდა, კუბტორიხამ ტომრით მოიყვანა თავის ქმარი! ზურგით ათრია სახლამდე. გოჭივით ჭყვიროდა კაცი; სასამართლოთი ემუქრებოდა, ის კი აინუნშიც არ აგდებდა...

— მერე კარგია? ერთი შეხედე, რასა ჰგავს, ნამდვილი ეშმაკია, გაბურძენული, დაღეული, სმისაგან გამოშტერებული. რაღა გვიჭირს, შენც მაგნაირი თუ შეგხვდა.

— რას დამჩხავი! მაგას ჯობია, რამე საქმელი გამიცხელო.
— ღმერთო ჩემო, თითქოს დახვერვაში მიდიოდეს!..
— უარესი საქმისთვის მივდივარ, მართლა, ალიკაბის წაღებაც საჭიროა.

წინაზე რომ წამელო, ასე დაკბენილი აღარ დავბრუნდებოდი, და ერთი უღვაშიანიც გაჩნდებოდა ამ სახლში, ამოვუტენიდი პირს და ჰაიდა... ნაბიჯით იარ!..

— არც უღვაშიანი გვაკლდა!
— რაღაც არ მახსოვს?!
— ბუხრიდან რომ გავიძვრა, დაგავიწყდა? ჩაკეტე და ბრიგადაში წახვედი, იმან კი ბუხარში ტუცა თავი და... რა დაგიკარგავს, რას ეძებ...

— შენ კიდე ყველაფერი აურ-დაურიე, იმას უღვაშები არ ჰქონდა.
— ეჰ, შენ ხეირიანად არც კი შეგიტვალეებია.
— რას შეათვალეებ, სამი წუთი ჩერდება მატარებელი, კაცის გამოთრევა თუ მოასწარი, ჩათვალე, რომ გაგიმართლა, თუ არა და კარგა მეყოლე...

— კიდევ ვინ მოდის?

- ბელა, სელა, სუზანა...
- სუზანას ხომ ჰყავს ქმარი.
- ჩვენი გულსთვის მოდის, მე უნდა დამეხმაროს. სამაგიეროდ მე ვაქნების სამუშაოზე მივეხმარები.
- ღმერთმა ხელი მოგიმართოს. მე კი გავიგე, მატარებელს ვიხმარებო.
- არა ერთი, მილიციამ წესრიგი დაამყარა და ისევ ჩერდება გრაფიკით.
- სანამ ყველას არ დაგიჭერენ, არ მოისვენებთ.
- არ დაგიჭერენ, არაფერ ცუდს არ ვაკეთებთ. სემიბიჩელ ზარმაცებს ქალაქში უსაქმოდ ყიპლის ნაცვლად მინდორში ვამუშავებთ. ეს სახელმწიფოსთვის ხელსაყრელია და ხელმძღვანელობაც თვალზე ზელს იფარებს. აბა მაშ სწორია, მთელი სოფლის კაცები მეეზოვებად რომ გარბიან ქალაქში და ჩვენ კი აქ სიჭა გვძვრება მუშაობით? დედა, ხომ გითხარი: საჭმელი გამიცხელე-მეთქი. — გოგო უცბად ისე ახარხარდა, რომ ფანჯრის მინებმა ზრიალი დაიწყეს. — ახლა მომიმართე ხელი! და სამაგიეროდ ერთ ვინმეს შენც მოგიჩინა.
- როგორ მიბედავ! — დედა კრუსუნით ღგება.
- ახალგაზრდას გიშოვნო, ულვაშას.
- კინწისკვრით გაგაგდებთ შენცა და იმასაც. — დედა ისევ წვება. — ნეტა შენ თავს მიხედავდე. შვილო, საცაა ორმოცი მოგიკაკუნებს...
- კარგი, დედა, ასეა თუ ისე, ვიცი მაინც კაცი რა ხილია... გასინჯული მაქვს...
- მაგ ტლიკინს ჯობია, ისეთი ვინმე იშოვნო, რომ არ გაგეკცეს... შენთან ცხოვრება უხაროდეს...
- კარგი ბატონო, დავხვდები მატარებელს და სანამ ქალები ყველას დაიტაცებენ, გამოვაცხდებ. ამხანაგო მამაკაცებო! თვალში მოგდივართ თუ არა? შრომისმოყვარე ქლი ვარ, შეძლებული, სახლიცა მაქვს, კარიც. სამეურნეო საქმეებში დედაც მომეხმარება... სოფელი ლამაზი გვაქვს, ხალხი დიდებული, მიწა ნოყიერი. ესაა მხოლოდ, მამაკაცები გვიჭირს... მოკლედ ხომ არა გაქვთ სურვილი, ცოლად შემირთოთ? მე სულ ქორთა ვარ, ჯერ ორმოციც არ შემსრულებია-მეთქი... კარგად გამომივიდა, არა?
- აბა ის აჯობებს, პირველ შემხვედრსავე ქამანდი მოსდო?
- მერე რა, აი, სოფრონიხას როგორ გაუმართლა. მართალია ცოტა ზარმაცია, მაგრამ სამაგიეროდ წყნარია, დამჯერე...
- მთელი დღე წიგნებს კითხულობს...
- იქნებ მე სწორედ წიგნების მკითხველი მჭირდება. მუშაობა მეც კარგად შემიძლია. თავმჯდომარე ამბობს ერთი სფინტა შეიდ ტრაქტორისტს შეცვლისო. მაქამე რა რამე.
- პური კასა მარაშია, ზამა, კი შენ თითონ გაათბე.
- ველარ მოვასწრებ. ერთი-ორი საათი მაინც უნდა ვიაროთ ცვრიან ბალახზე.
- აბა, კეთილად გეველოთ. უფრთხილდი არ დაგამტვრიონ. შენ ვაგონიდან ექაჩები, ის კიდე — ვაგონში მიგათრევს, ბორბლებში არ შეგაგდონ. ახლა კაცები გამოფხიზლდნენ, გაეშმაკდნენ, ასაქცევამდე კეტავენ ტამბურებს. რომელიმე თქვენგანი ფანჯარას რომ ჩამოეკონწიალება, ისინი — ერთი და

1. ქაობის კერძია.

ორი, ერთი და ორი — ხელებზე ურტყამენ, შენ ამბობ ისევ ჩერდებაო მატარებელი ასაქცევზე?

— მე მგონი, მაინც შემხვედრს უნდა დაელოდოს და... სამწუთას დგას — ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მაგრამ ისე არ მოხლოეს, როგორც მაშინ ცოლმეილიანი რომ მოათრია და კვირის თავზე ცოლს ღონისძიებადგა თავზე თავისი უჭულ-ბუჭულეებიანად.

— ცოლი თუ პყავს მოუაროს ქმარს და სახლში დააყენოს. რას დაარბინა ეს ყოველდამე ქუჩების დასაგველოდ.

— ახლა ლაპარაკობ გაბედულად, თორემ მაშინ ძალიან ჩაგიკარდა ენა გახსოვს, როგორ დაგბუბნა? სულ ბურტყლი გადინა. კიდევ კარგი, ასეთი წინიანი ხარ, თორემ...

— ერთი ახლაც სინჯოს ვინმემ, თმის ღერიც რომ არ შემარჩინონ, ჩემსა მაინც არ დავთმობ.

— მეც მაგას გეუბნები რაკი მიღიხარ, ბარემ ისეთი შეარჩიე, რომ შეგარჩეს...

— შეთანხმებული ვართ, დედა, აბა, ნადავლით მელოდე, გაჩერდება თუ არა მატარებელი, პირდაპირ დავქყოვლებ: „აბა, ცოლიანები მარჯვნივ, უცოლოები — მარცხნივ! — სფინტა ქმარს ირჩევს!“

— ეჰ, შენ ჯერ კიდევ ოფოფები გყავს! — დედა კედლისკენ ბრუნდება და ჩუმდება, შეიძლება სძინავს კიდევ.

სუზანას ფანჯარასთან.

— გააღე! რა მოგივიდა, არ გესმის?

— შენა ხარ, სფინტა?

— რას აკეთებ? მე უკვე მზადა ვარ.

— რას უნდა ვაკეთებდე, მეძინა, შემოდი!

სფინტა ოთახში შედის, სუზანა კარს ხურავს, სიცივისაგან კანკალებს, პერანგის ამარაა.

— მოდი, გაგათბობ, — ლოგიხიდან სუზანას ქმარი იქყახება.

— რასა ბრძახებ, სფინტა სკამზე იჯდეს და მე გავთბე?

— სფინტასთვისაც მოიძებნება ადგილი.

— ერთი კიდე გაიმეორე, ისეთს მოგაფეთებ რო... — ბურტყუნებს სუზანა.

— კარგი რა, სუზანა, ხომ იცი, ხუმრობს თან მეძახის და თან შიშისაგან კანკალებს, არ გამქყლიტოსო.

— ეგრე გეგონოს, შენ ამ ოხრის ამბავი არ იცი, პატარა როა ისე ნუ უყურებ, დღეს თუ უკეთესი ვინმე ვიშოვნე, ღმერთმანი, ამას გუდა-ნაბადს ავუყრავ, პირდაპირ ჩვრად ვადამაქცია.

— როგორ არა, იშოვი, — სუზანას ქმარი წრიპინა ხმით კიკინებს. — ქუჩაში კი არ ყრია კაცები, ერთი მოუყევი სფინტას, მაგანაც იცოდეს რა ბიჭიცა ვარ!

— მე შენ გიჩვენებ სეირს, — კმაყოფილებით იცინის სუზანა. — მე შენ მოგვხმარები სფინტა, მაგრამ ვანსაკუთრებული ვინმე თუ შემხვდა, არ გეწყინოს და ვერ დავითმობ!

— თუ ასეა, მარტო წავალ.

ჩუ გეშინია, სფინტა, ჩემი ცოლი გეხუმრება, ეგ თუ წამოგყვა, იცო-

დღე, თავი ქუდში გაქვს. შენთან ბოდიშს ვიხდი, მაგრამ სუზანა ისაა... შენზე უფრო ქალურია. მატარებლიდან რომ ჩამომართია, იცი რატომ დავივიწყებდი ისე ადვილად? იმიტომ რომ თვალში მომივიდა. არა, ერთი შეხედვით... ჩემი აქვს, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ... ერქენულნი

— აბა, მოკეტე!.. — შეაწყვეტინა სუზანამ. — ჩემთან ლოგინს მატარებელია, არჩიე ქალაქში ქუჩების დაგვას და იმიტომც დამმორჩილდი. შეილგების გაზრდა არ უნდა...

— მაგას შეილგები ჰყავს?

— აბა რა... არ იცოდი?

— არა.

— ოთხი, ერთმანეთზე მიყოლებული... აი ჩემთან კი არ უნდა ბავშვის გაკეთება. ალიმენტი ვილამ გადაიხადოს? უჰ, მოდი ერთი ჩაგკოცნო. შენ აზრზეც არა ხარ რა გელოდება. აი, ნახავ, ხუთს გავაჩენ ერთად. ცოლი მიმატოვე, მაგრამ მე ვერ მიმატოვებ.

— ფეხშიმედა ხარ? — სუზანას ქმარი შეშინებული დგებოდა საწოლიდან.

— აჰა, შეგეშინდა? იწეჭი, იწეჭი. ჯერ კიდევ ვფიქრობ! ერთი ეს „ზმეიკა“ შემიკარია.

— ეს სხვა საქმეა!.. — სუზანას „ზმეიკას“ უკრავს და ბურტყუნებს, თან ნახად კოცნის კეფაზე. — ფრთხილად იყავი და მალე მოდი, მე ლოგინს თბილად შეგინახავ.

— ადრე ხომ არ არის, სფინტა? — ეკითხება სუზანა. — მთვარე ჩავიდა?

— ადრე მისვლა ჯობია. შენ მზადა ხარ?

— მავთული წამოიღე?

— მავთული რად მიხდოდა, ლორივით ხომ არ გავკოჭავ?

— აბა რა, უნდა გაკოჭო. მაგათ ცოტა უხეშად უნდა მოექცე. ხელებსა და ფეხებს შეუკრავ... სიყვარულით კი მერე ილაპარაკეთ... სახლში.

— რა დაუნდობელი ხარ სუზანა! მე ღვედი წამოვიღე, არ გამაწვალოს-მეთქი. სიმართლე გითხრა, ისე მოვდივარ რა, ...არა მგონია, რამე გამოვიდეს.

— ერთ რამეს გირჩევთ და დაშიჯერეთ. — საუბარში ერევა სუზანას ქმარი და ფეხებს ძირს ჰყოფს ლოგინიდან. — ჩემი სოფლელი წამოიყვანეთ ვინმე.

— შენ სოფლელებს ვითომ ვარსკვლავი აზით შუბლზე? — ბუზღუნებს სუზანა. — მეგობრები მოგენატრა? მოგეწყინა? თუ ბუფეტთან მარტო დგობა გეზარება?

— ბუფეტი რა შუაშია. ჩემს სოფლელებს მაინცა და მაინც არაფრად ებიტნავენათ ქალაქი, აი, აქა აქვთ ამოსული, ვის არ მობეზრდება ამ ოხერი დიხელით მგზავრობა. უთენია მიდიხარ და დაღამებულზე ბრუნდები. ზოგიერთები ტყუილა მიდიხან და მოდიხან... წვერი ეზრდებათ გზაში.

— ასე ჰკვირნი თუ ხარ, წამოგვეყვი. — სუზანა სარკეში იხედება. — მაგრამ რას წამოხვალ?!

— გინდა, ცოლმა გაიგოს ჩემი ადგილსამყოფელი?.. იმათი პოვნა არ გავიჭირდებათ. ბოლო ვაგონით მგზავრობენ ხოლმე... ბილეთში ფულის დახარ-

— კარგი რა, ბელა, ეგ მე უნდა მომეხმაროს... სფინტა ხელს ჰხვევს და ამწვიდებს ამხანაგს.

— კი ბტონო, მოგეხმაროს, მაგრამ ენის კარტალი რა საჭიროა. მოგისი ჯმრის მოსაპარვად ხომ არ მივდივარ.

— ეგლა მაკლია, კარგი დღეც დაგადგებოდა! — იფოფრება სუზანა.

— გეყოფა რა, სუზანა. — ახლა სუზანას მიუბრუნდა სფინტა. — ხომ იცი რომ იხუმრა. ისე, არც ეგაა უქმროდ დალხინებული.

მეტოქენი წყნარდებიან.

— მთელი საათია ღობის ძირას ვყურყუტებ. — ბელა გათოშოილ მხრებს იზელს. — მეგონა, აღარ მოხვიდოდით და უკან დაბრუნება გადავწყვიტე. სფინტა.

— ჩემთან იყავი?

— ვიყავი, მაგრამ შუქი ჩამქრალი იყო და დაკაკუნება ვერ გავბედე. დედაშენი პირდაპირ ვერ მიტანს.

— საიდან მოიგონე, ეგ კი არადა დედაჩემს უყვარხარ კიდევ, ის ჩემზეა გაბრაზებული, შენ რა შუაში ხარ? სელა სადაა?

— წავიდა უკვე.

— დიდი ხანია?

— არ ვიცი, სახლი დაკეტილია. ისეკი მეუბნებოდა, ერთად წავიდეთო, ახლა მთელი გზა უნდა ვირბინო.

— რა იყო, გოგოებო, პირველად ვთხოვდებით თუ რა.

— სფინტა, — უჩავრდება სუზანა. — სანადიროდ მივდივართ და არ გავკვთვალო.

— მე მგონი მაშინვე ბოლო ვაგონებს უნდა ვეცეთ. — ვარაუდობს ბელა.

სუზანა ისევ ფეთქდება.

— შენც ჩემმა ქმარმა ხომ არ დაგარიგა კკუა?

— საიდან სადაო, უბრალოდ კულისკენ უფრო მეტი მგზავრია.

— მე კი მგონია. — ამბობს სფინტა. — თავში უნდა გაეჩერდეთ. თუ გაჩერების დროს ვერაფერი ჩავიგდეთ ხელში, სანამ მატარებელი სვლას აჩქარებს, რალაც იმედი მაინც გვრჩება... ქუდს მაინც ავაცლით ვილაყას თავზე.

— ჩემმა ქმარმა კი თქვა...

— ჩუმაღ, გესმით?

სუზანას ჩანაფიქრი წამში დაინგრა. სიბნელეში ბალახი შრიილებს. უამრავი ნაბიჯის ხმა ისმის აქაც, იქაც, ახლოსაც, შორსაც. მთელ კილომეტრზე ისმის ჩუმი გადაძახილები.

— შენა ხარ, ანგელინა?

— ეს ვისი ხმაა?

— სალამი, ტარტაკუცა!

— რა გაღრიალებს?

— რა იყო, ჩიტების გაღვიძების გეშინია?

— ჩიტების რა მოგახსენო და ბაყაყები კი დავაღვიძეთ.

— წვიმა იცის.

— ეგლა გვაკლია!

- წვიმა არა ისა, ხედავთ, რა მთვარეა?
 რამდენიმე ქალი გზადაგზა ელაპარაკება ერთმანეთს.
- გოგოებო, გული მიგრძნობს, ამჯერად გაგიმართლებს.
- შენ რომ კიდე არ გაგიმართლოს, არ ვიცი... სამი წელია ტყუილბრალოდ დადიხარ... ნამდვილად გაგიმართლებს, ამას უნდა გამოთლიდი ქმარს. მართლაც რა მკვდარივით გაშეშდები ხოლმე მატარებლის მოსვლისას?
- გოგოებო, რა ვქნა, არ ვიცი — ვუყურებ კაცებს და ყველა მომწონს.
- არ იცი რა ქნა? აი რა — მატარებელი ჩერდება, შენ უყურებ, თუ არავინ გამოყო თავი, შევარდი ვაგონში და დაიძახე: ხელები მალა!
- თქვენ იცინით და მე მართლა მეშინია. კაცს დავინახავ თუ არა, ღონე მეცლება, ხელები მიკანკალებს, მუხლები შეკეცება... ოჰ!
- არ უნდა შეგეშინდეს. საზამთროებს ხომ არ იპარავ ან კიდევ ხორბალს, კაცს იპარავ და ყოჩაღად უნდა იყო.
- ვეცდები! თქვენსავით მოვიქცევი.
- ამას წინადაც ასე ამბობდი, იმისთვის მაინც მოგველო, მე რომ მოგაჩეჩე.
- რანაირად უნდა მომელო, ის ხო შენი იყო!
- ჩემი იყო, მაგრამ შენი გახდებოდა, მე არ მენანება. რატომ არ წაიყვანე, პირდაპირ თვალებით გჭამდა.
- შენი შემრცხვა...
- დალაპარაკებოდი მაინც, იქნებ მოგვარებულყო საქმე.
- ოჰ, მუხლები შეკეცებოდა.
- მე კი შევამჩნიე, რომ შენ მოეწონე და მეგონა, დააქამანდებდი. კაცს თუ არ მოეწონე, ძალას ხომ ვერ დაატანდი? ვილაც ოხერი ხომ არა ვარ? არც შევხედავ, ისე წამოვიყვან. თუ ვერ შევეწყობით ერთმანეთს, კარგად მეყოლოს, ოთხივე მხარეს გზა ხსნილი ექნება. სულ უქმრობა ჯობია უხეირო კაცთან ცხოვრებას. ისე კი მენანება, ის რომ გაუშვი, კარგი ვინმე იყო.
- კარგი იყო.
- თვალები მწვანე ჰქონდა.
- მწვანე ჰქონდა.
- აი, ხედავ?
- იქნებ ისევ ჩავივარდეს ხელში.
- სულელო, კაცი მანამ უნდა მოიტაცო, სანამ შენ მოგჩერებია, თორემ მერე გვიანია. გახსოვს, როგორ ფაცხა-ფუცხით გაეკიდა მატარებელს უკან? ახლა ალბათ ცხვირს აღარ გამოყოფს ვაგონიდან. მაშინ კი რა ადვილად გავაცურე! ფანჯარაზე მივაკაკუნე და დავიძახე, კაცი არ არის მანდ, ტომრის აწევაში მომეხმაროს-მეთქი. ის ჭუკივით გამოვიდა ტამბურში მანდილოსნის დასახმარებლად. მე კი დავტაცე ხელი და ჩამოვათრიე.
- სფინტა, სუზანა და ბელა ახლად ხედებიან, რომ სოფლიდან ყველაზე გვიან წამოსულან.
- ბიჭოს! ერთი გაიხედე, მინდორში რა ამბავია! — იძახის სუზანა.
- თითქოს მიწიდან ამოდვრიაო, ქალებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე გადაუდგა წინ.
- უკან, უკან! — ყვირის თავმჯდომარე და ისე იქნევს ხელებს, თით-

ქოს დედაკაცი ქათმებს ერეკებოდეს საქათმისკენ, — ხვალ თიბვას ვიწყებთ და თქვენ სად მიდიხართ?

— ხელებს ნუ იქნევ, პიოტრ დოროფევიჩი, მუშახელი უნდა მოვიყვანოთ. — პასუხობს ვილაც ქალებიდან.

— რა ბევრს ელოლიავები, თუ არ გიჭერებს, გაკოჭე. — მხიშხისჩხილასკ მეორე მხრიდან. — მიდი და გაიგე ხუმრობს თუ მართლა ამბობს. — ასეა თუ ისე, თავმჯდომარე იქიდან სადღაც ორთქლდება.

— დილამდე დავბრუნდებით, პიოტრ დოროფევიჩი, უჩვენოდ არ მოიწყინოთ.

— ალქაჯები! — გამგეობაზე დაგიბარებთ, და ნახავთ.

— მეგონა მართო ჩვენ ვიქნებოდით და... იცი, სუზანა, რაზე ვფიქრობ?

— ამბობს სფინტა.

— თქვი და მეცოდინება.

— შენი ქმრის წერილი უნდა წამოგველო.

— უშენოდ ვერ მოვიფიქრებდი, ხომ იცი... წამოვიღე.

— უჰ, შენი ჭირიმე! როგორ მოისაზრე?

— ჩემმა ქმარმა მოისაზრა... ჯერ კიდევ წუხელ, მერე ერთი კი არა, ოთხი დაწერა. რომ წაიკითხო, სიცილით მოკვდები.

— მერე იცნობს, ვისაც სწერს?

— ისევ ამ მარშრუტით თუ დადიან, კი. ამბობს, ყოჩალი კაცები არიანო, ორი, მართალია ცოლიანია, მაგრამ ძაღლსა და კატასავით არიან ცოლებთანო, ოღონდ ეს წერილები ნახონ, და თვითონვე გამოიქცევიან.

— ოთხივე?

— არა, ოთხი რად გვინდა. ერთი მაინც რომ ჩაგვაგდებინა ხელში...

— ოჰ, სუზანა, განა იმის დრო გვექნება, წერილები წავაკითხოთ იმათ.

— წერილებს იმათ არ მივცემთ. სსს!!.. ისევ..

— რა ისევ?

— ვილაც მღერის...

ბელა ამდენხანს ჩუმად უსმენდა მათ საუბარს, ახლა კი ხელი ჩაავლო სუზანას და მუდარით ეუბნება.

— ერთი წერილი მაინც მომეცი, ოთხი კაცი რად გინდა?

მთელი მინდორი მღერის...

ასაქცევთან სიმღერა წყდება.

— ვინ ახველებს? — ბრაზობს რომელიღაც ქალი.

— რა, არ შეიძლება?

— არ შეიძლება, ასაქცევი უკვე ახლოსაა.

— ჯერ ხომ მატარებელი არ მოსულა.

— მერე რა, მეისრემ რომ გაიგონოს, სიგნალს მისცემს და არცერთი კაცი არ გამოყოფს თავს ვაგონიდან.

— მეისრე ჩემზე იყოს. — ამბობს ერთი თითქმის სფინტაზე უფრო დიდი ტანის ქალი. — ოღონდ ვინმე წაძყვეს.

სამი თუ ოთხი ქალი მეთვალთვალეს მიყვება და ალყას არტყამენ ჯიხურს, სადაც მეისრე ცხოვრობს.

ის კი ყურსაც არ აპარტყუნებს. ისე ხვრინავს, ლამის ჯიხური ჩაინ-

გრეს. ერთი დაჩაჩანაკებული ბერიკაცია. გაბურღულ წვერში/ბაპროსის ნამწვი გარჩენია.

— რომელი საათია? — კითხულობენ ქალები. — არ არის/დრო?

— საცაა გამოჩნდება.

— არა უშავს... — ერთ-ერთი მზვერავი ისევ იკვებება ფანჯარაში. — ცოტა კიდევ იძინოს. მთლად მოღებია ბოლო საწყალს.

— გაკოჭეთ? — ქალებთან სუზანა მიდის.

— მოვასწრებთ, ნუ ხმაურობ.

— მოასწრებთ კი? ამბობენ მატარებელი ახლა სამ წუთს კი არა, ორ წუთს ჩერდებაო.

— ყველაფერი რიგზე იქნება. ქალებს უთხარი, ლიანდაგის გასწვრივ გაწვინენ და ბალახებში დაიმალონ... ოღონდ არ ჩაეძინოთ.

— თოკი ხომ არ გაწყდება? — ღელავს ბელა და ნერვიულად შლის გორგალს. ბელა ჩაცუცქულ ქალებს ეკითხება, მაგრამ არავინ უსმენს.

— წინაზე ამან — სუზანა მეისრის გასაკოჭავად მისულ ერთ-ერთ ქალზე უთითებს. — ერთი კაცი ჩაიგდო ხელში, მაგრამ წინაზე დიდი კაცი გამოდგა.

— არა ერთი?

— რა არა ერთი, მედლებიც კი ჰქონდა.

— მერე რატომ გაუშვა?

— მედლები დაინახა, კაცი თათბირზე მიდიოდა და...

— მაშინ რაღას იჭერდა?

— შებლზე კი არ ეწერა, უფროსი ვარო. მედლები რომ აელრიოდო, ცივად უშვა ხელი და მოკურცხლა.

— სწორად მოქცეულა, თორემ აყალმაყალი ატყდებოდა.

— რა აყალ-მაყალი, ვინ გაიგებდა, მაგრამ შენ ისა თქვი, გამოგადგებოდა?

— ოპ, ღმერთო ჩემო! — წრიალებს ბელა. — მეც რომ ეგეთი შემხვდეს! არა, მე უბრალო ადამიანი მინდა. თავის ჭკუაზე იცხოვროს, მოწვევის ნებასაც კი მივცემ.

კეთილი სფინტა ვედრებით უყურებს სუზანას.

— მაგასაც უნდა დაეხმაროთ. — გაუბედავად ჩურჩულებს იგი.

— შენი ნებაა. — მხრებს იჩეჩავს სუზანა. — მე უკვე გითხარი, საკუთარ თავს მოუარე.

— მატარებელი! — ერთად ყვირის რამდენიმე ქალი და ყველა ხმას იკმენდს.

აღარც სიმღერა ისმის, აღარც ხუმრობა. ასაქცევი თითქოს წამში გაუკაცრიელდა. დიზელი სადგურთან უხვევს და ბრჭიალით ჩერდება. ბალახებში ჩაწოლილი ქალები „ურას“ ყვირილით ყურძნის მტევნებივით ჩამოეკიდნენ საფეხურებს. ვიღაც გამეტებით უშენს კეტს ფანჯრებს. ვიღაც უაზროდ ცდილობს სახურავზე აცოცებას, მაგრამ შეტევა უშედეგოა. არც ერთი კარი არ იღება, არც ერთი ფანჯარა არ ეშვება ძირს, სიჩუმეა.

— აჰააა! ჩვენი გაცურება მოინდომეს. — ხვდება ერთ-ერთი „მონადირე“ — კარი მეორე მხარესაა გახსნილი. — წინ, დედაკაცებო! ისინი იქით არიან.

— არ მინდა, გამიშვით. — ჩხავის ერთი ჩია კაცი. საწყალი სუფთა ჰაერზე გამოსულა მოსასაქმებლად და მგონი ექვსი დედაკაცი დაბლაუჭებია. — გოგოებო! ძვირფასებო! შეიღებებიანი ვარ! უი, მეღუტუნება!..

ქალებს კი ხუმრობისთვის არ სცალიათ. უკვე ვაგონებში შეცვივნულან.

— ამას ძილიც არ მოუნდომებია? — მტაცებელივით დასდგომია ერთ-ერთი ქალი თავზე დონდრობა მგზავრს, წელამდე რომ გაშიშვლებულა და არხეინად ხვრინავს.

— რა ამბავია, რა მოხდა? — იღვიძებენ მგზავრები და დამფრთხალე გერბიან, მაგრამ ქალების ხელში ჩავარდნილი მგზავრი გამქცევი გველარით ერთ კაცს მუთაქასავით აგორავებს ქალი და ჩასძახის:

— ჩამოდი, მოვედით!

— რა? ვინ გინდათ? უკვე კიშინიოვია? — გამოშტერებული კითხულობს ის.

სფინტას სუზანა დაპკარგვია და ხან ერთ ვაგონთან ყვირის და ხან მეორესთან.

— სუზანა, სადა ხარ, სუზანა! მე აქა ვარ!

სუზანა კი ამ დროს ფაცა-ფუცით გადარბის ვაგონიდან ვაგონში და ბართს აფრილებს.

— გრიგორე პორჩესკუ ვინ არის, გრიგორე პორჩესკუ!

— მე ვარ. — დაბნეულად ახამბამებს თვალებს ტამბურის კუთხეში მიკუნქული კაცი. — რა მოხდა?

— წერილია თქვენთვის.

— ჩემთვის ვისგან?

— აი, ინებეთ, ბაქანზე გელოდებიან.

— მე?

— ბარგი შეგიძლია, დატოვო.

კაცი თავს ყოფს ვაგონიდან, სუზანა მსუბუქად უბიძგებს და ძირს აგდებს.

— დაიჭი, სფინტა! სფინტა, სადა ხარ?

სტეპზე კი გაბმული ღმუილით მოჭქრის შემხვედრი მატარებელი — სოფიის ექსპრესი.

დიზელი მოულოდნელად იძვრის. ჯერ ნელა მიგორავს და ქალები წივილ-კივილით ცვივიან კარებიდან. მეისრის გათოკვა დაავიწყდათ. იმან მისცა დიზელის გასვლის სიგნალი. ახლა კი დგას სასტვენით ხელში და საფეხურებზე ჩამოკონწიალებულ ქალებს უყვირის.

— გაინძერით! ფრთხილად, სოფია მოდის. დაიშალეთ, ქალებო!..

საწყალ სფინტას არ ესმის, რა მოხდა. ერთ ვაგონშიც ვერ მოასწრო შეხედვა და აი, უკვე მატარებლის კუდმაც გაიელვა მის წინ. გვერდით, ორ ნაბიჯზე კი საშინელი გრიალით მოჭქრის ექსპრესი და სინათლის თეთრი ნაქახით კვეთს ღამეს.

— ო, შე საზიზლარო. — გონდაკარგული ქალი მეისრეს თავზე ტომარას აცვამს. — სულ ტყუილუბრალოდ მაინც არ წამოვსულვარ...

— რას შერები, ეს ხომ მეისრეა. — უყვირის საიდანღაც გამოვარდნილი სუზანა, მაგრამ სფინტას აღარაფერი ესმის.

ექსპრესისაგან ამოვარდნილი ქარი გრძელ თმას უწეწავს. ალქაჯივით თმაგაწეწილი სფინტა ხან ტირის, ხან იცინის. თან მაგრად უკრავს ტომარას თავს და რაღაცას ყვირის.

— თუნდაც ეშმაკი იყოს, ზურგზე მომაგდებინე ტომარა.

პორტრეტი



ავტობუსში წითური მხატვარი რომ დაინახა, თუდორას გაუკვირდა. ავტობუსში ამბობდნენ, წავიდაო.

— „პრივეტ!“ — დაუძახა მხატვარმა და მხრით გაიკვლია გზა მისკენ. ავტობუსში ტევა არ იყო, კართანაც ბლომად იდგა ხალხი, თუდორას სოფლიდან კი თითზე ჩამოსათვლელად იყვნენ ხუთი-ექვსი კაცი.

ეს ავტობუსი თუდორას სოფელზე გაივლიდა ხოლმე და ვხადავხა ბაზრიდან დაბრუნებულ მოყაყანე ხალხს ტოვებდა.

— პრივეტ! — ისევ დაუქნია ხელი მხატვარმა, თუდორამ თავი ველარ შეიკავა.

— რა გაღრიალებს? — შეუღრინა ხმადაბლა, ისე სხვებს რომ არ გაეგონათ. მხატვრის საქციელი ყოველთვის ალიზიანებდა, აბრაზებდა კიდევ თუდორას. შეხედებოდა თუ არა სადმე, ეხუმრებოდა და ებღღარძუნებოდა. ახლაც ასე მოიქცა ამ აუტანელ ქედვაში.

— პრივეტ! — როგორც იქნა მიაღწია მხატვარმა თუდორამდე და ქმუნით გაჩერდა მის წინ. უკან ჩუმად ბუზღუნებდნენ იდაყვებით უბოდიშოდ მიყრილ-მოყრილი ტომრიანი ქალები.

ახლა ლამის ერთმანეთზე იყვნენ მიკრულები, ისე რომ არც ხელის განძრევა შეეძლოთ და არც ფეხის. თუდორამ მრისხანედ შეხედა მხატვარს, იქნებ ამით მაინც ჩამოვიცილოო. მაგრამ ეს იგივე იყო ლეკვისთვის თავაზიანობის წესები გესწავლებიხათ.

ხედავ, რა შორიდან შეგნიშნე? — ისეთი ინტიმური ტონით უთხრა, თითქოს ავტობუსში მათ გარდა არავინ ყოფილიყოს.

მერე რა? — თუდორამ ტუჩები მოკუმბა. — მეც სხვებივით ბაზრიდან მოვდივარ.

— ოო... — წითურმა კოფთაზე აწყვეტილი ღილი შენიშნა, კოფთაც მისი წვერივით ქლალი ეცვა. — კიდევ დამიკარგავს, დამიკერებ?

ჩუ! — თუდორამ თავისდაუნებურად მიმოიხედა და ჩაიციხა.

ვინც აგაწყვიტა, იმას დაგიკეროს.

თუდორა როგორც იქნა შემობრუნდა და მხრით მიებჯინა მხატვარს.

— რას წრიალებ! — ჩაიბურტყუნა ვილაცამ უკან და ისე გაპკრა მხარი, კინალამ მხატვარს გადააწეა თუდორა. ძლივს შეიკავა თავი.

— ასე კო ჯობია. — თქვა ძალზე კმაყოფილმა მხატვარმა. მისი წვერი ტუჩებზე ელამუნებოდა თუდორას.

— იქით გასწი, თორემ წაგაპკრი! — მუქარით ჩაუსისინა თუდორამ. ძნელი მისახვედრი იყო, მართლა უპირებდა თუ ეხუმრა.

— ოო... ეგ არ შეიძლება, ძვირი დამიჯდება. — თქვა მხატვარმა. წვერი კი მაინც გასწია განზე.

თუდორამაც გადასწია თავი და ჭერს მიახერდა, ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ეუბნებოდა, თუ დგახარ, იდექი, ერთმანეთთან სალაპარაკო კი არაფერი გვაქვსო.

მხატვარმა ხმამაღლა გადაიხარხარა

— რაო გავბრაზდით?

და კიდევ უფრო აეკრა,

თუდორამ განირევა სცადა, მაგრამ უკან ისევ აბურტყუნდა ვილაც.

- დამიჯერე და ყველაფერი კარგად იქნება. რას წრიალებ?

თუდორას პირველად არ ესმოდა ეს სიტყვები. დამიჯერე მხატვარი, საყვარელი, აკვიატებული სიტყვა იყო. როცა კი შეხედდებოდა სოფლის გზაზე თუდორას, სათქმელს დამიჯერეთი იწყებდა... თუდორა პასუხის არ გახდიდა ხოლმე. თვალს აარიდებდა, ნაბიჯს აჩქარებდა, მის წინაშე მარტო პირიქით, თვალს თვალში გაუყრიდა და აუჩქარებლად განაგრძობდა გზას. ერთი ორჯერ თუ გაუცია ხმა. პო, მგონი ორჯერ იყო.

- რატომ უნდა დაგიჯერო? - ჰკითხა მაშინ თუდორამ.

- იმიტომ, რომ მუ მხატვარი ვარ და ვიცი, რასაც ვამბობ. ამაყად აუხსნა წითურმა. თუდორა მიხვდა. ჰკვიანურს ვერაფერს ეტყოდა მხატვარი და გზა განაგრძო. ის კი კაჰკაჰივით ატარტარებდა ენას, შენნაირი ქალი ჩვენს ეროვნულ ფერწერას ჯერ არ უნახავსო. შენი სილაშაზე ჩვენი ქვეყნის ყველა ელიმლამო მუზეუმს გაანათებდაო. ამას შენ მხატვარი გეუბნება და ეს მხატვარი მუ გახლავარ, მოდი ჩემთან და ამქვეყნად ყველაზე დიდებულ პორტრეტს შევქმნიო.

რა სასაცილო კაცია! თუდორას მობეზრდა ყოველდღე ერთისა და იგივეს მოსმენა და იმიტომ გასცა ხმა. მან კი სეტყეასავით მიაყარა სიტყვები. უფრო მეტად გაუგებარი და უინტერესო სიტყვები. თუდორას უკვირდა: დღე და დამე, რომ ჩატავდა ქალიშვილებს ძველ ეკლესიაში, ერთი პორტრეტიც კი რატომ ვერ შევქმნაო.

- იმიტომ, რომ თითქოს ფიქრს მიხვდაო მხატვარი. - თქვენი გოგონები მხოლოდ პლაკატებისთვის თუ გამოდგებიან, მე იმათ საპატიო დაფისთვის ვხატავ. რადგან თქვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე მაშინვე მიხდის გასამრჩელოს. ჩემს საუკეთესო პორტრეტს კი შენს წინაშე დაჩოქილი შევქმნი.

მხატვარი თამამად, თავხედურადაც კი ელაპარაკებოდა. თუდორა შემობრუნდა და ნაბიჯს აუჩქარა. მხატვარმა გზა გადაუღობა. მაშინ გასცა თუდორამ ხმა მეორედ. - თავს თუ არ დამანებებ, ქმარს ვეტყვიო. მხატვარი მაშინვე ჩამოშორდა და თავისი ბნელი ოთახისკენ წალასლასდა. მოწინავე მწველავთა გაღერების დასამთავრებლად. სითამამე მაინც არ დაუკარგავს. მეორე დღეს შეხვდა თუ არა თუდორას მაშინვე ჰკითხა: როდის გაანათებ ჩემს ბნელ ოთახსო შენი მოსვლით, კარგა ხნის მერე თუდორამ გაიგო მხატვარი სოფლიდან წავიდაო და აი ხედავთ? ისევე მოდის, იქნებ სხვა სოფელში მიდის? მოწინავე მწველავები ყველგან ბლომადაა.

- აკი წავიდაო. შენზე ამბობდნენ? - ჰკითხა თუდორამ, რადგან სიჩუმე ეუხერხულა. ჩვენთან მგონი ყველანი დახატე?!
- დახატვით კი ყველანი დაეხატე... - წითურმა უცბად ხმას დაუწია: თვალეში ჩახედა და ჩურჩულით ჰკითხა - ესე იგი მოხვალ?

- უშაბათო კვირას! - მოუჭრა თუდორამ, თუმცა ისიც შენიშნა, რატომღაც მხატვარს პროფირს ადარებდა, შენიშნა და თავს უხსყვედურა. ასე ახლოს არასოდეს ენახა მხატვარი და... პროფირი გაახსენდა, რომელიც სამი კვირაა სადღაც ციმბირის სატყეო მეურნეობაშია დაკარგული. შეიძლება ახლა პროფირსაც აქვს ასეთი წვერი, ოღონდ წითური კი არა, კუპრივით შავიო. შავი და მეჩხერი, აუღელვებლად. ისე, სხვათაშორის ფიქრობდა თუდორა პროფირზე. უბრალოდ წითურს შეხვდა და პროფირი გაახსენდა. წინ კიდევ გრძელი გზა ჰქონდათ გასავლელი. მხატვარი კი ეხას არ აჩერებდა. თუდორა დრო

და დრო გაჰხედავდა ხოლმე ცერად. თქროსფრად დაწინაწკლულ გუგებთან ცისფერ თვალებს, საოცრად წითელ დაბუსხულ ტუჩებს. ჩურჩულივით ნაზკანიანი სუფთა, კრიალა ხელები ჰქონდა მხატვარს. ახლოდან სულაც არ ჩანდა ისე ხნიერი, როგორსაც წვერი აჩენდა. *ერჩენულნი*

— იქით გასწიე. — ისევ შეახსენა თუდორამ, *სიგნალები* ანიჩენკო.

— შეგიძლია, შეებო. — ნება დართო მხატვარმა, რომელმაც რალაცნაირად ისევ ამოიკითხა მისი ფიქრი და ისევ ჩიუტად გაიმეორა. — მაშ მოხვალ? ერთი ღამე მაქვს, ერთადერთი ღამე! დავხატავ დიდებულ პორტრეტს და წავალ სამუდამოდ!

არ გეგონოთ, თუდორამ არ იცოდა, რა პორტრეტის დახატვას აპირებდა ეს თავხედი, მაგრამ მეტისმეტად ახლოს იყვნენ ერთმანეთთან და ჩხუბი არ შეიძლებოდა.

— მერე შენ დამელოდები? — ჩურჩულით ჰკითხა თუდორამ და გაიცინა.

— დაგელოდები!

— სანთლით ხელში? — თვალები მოწყურა თუდორამ. სოფელში ხმა დადიოდა, მხატვარს მარცხენა ხელში სანთელი უჭირავს და ისე მუშაობსო.

— ყველა სანთელს დავანთებ, რაც კი დამრჩენია! — გულმხურვალედ დაპირდა ის — გეფიცები, როგორც კი მივალ. ყველა სანთელს ავანთებ და მანამ არ ჩავეაჭრობ, სანამ პორტრეტს არ დავამთავრებ!

— არ მითხრა, ამისთვის დავბრუნდიო, — უკბინა თუდორამ.

წითური მხატვარი დანადვლიანდა.

— სიმართლე გითხრა, თქვენს თავმჯდომარესთან საჩხუბრად მოვდივარ. ამდენი ხანი გავიდა და ერთი კაბიკიც კი არ გადმომიბრია... — წითური ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მერე თითქოს უსიამოვნო ფიქრები ჩამოიბერტყა: — მაგრამ შენ... ერთი ღამე... ერთადერთი... გესმის? დავხატავ და ვერასოდეს ვეღარ მნახავ!..

— ზგურეში ჩადიან? — გაისმა მძლოლის მკახე ხმა.

თქ, მოსულან კიდევ, გარეთ უკვე თითქმის ბნელა, თუდორა ძლივს გამოეცხა გატენილი ავტობუსიდან და კაბის სწორებით ჩქარა წავიდა სახლისკენ.

— გელოდები! — მიამახა წითურმა, მაგრამ თუდორას თითქოს არც გაუგონიაო. აი, ჭიშკარიც... აივანი... ჩამრთველი გადაატრიალია... დღესაც არ დაბრუნებულა პროფირი... არ დაბრუნებულა..

ალბათ მიხვდებოდით, როგორცაა საქმე. თუდორამ არ იცოდა რა იყო სიყვარული. ცხოვრობდა პროფირთან, მაგრამ არ უყვარდა იგი. ვისი ბრალი იყო, პროფირის? თავისი? რატომ იყო ახლა ასე გულგრილი კაცისადმი, ვისთანაც ბედმა პურისა და სარეცელის გაზიარება არგუნა? ან როგორ მოხდა, რომ პროფირს გაჰყვა ცოლად?

ამ ამბავზე ათასი კითხვის დასმა და მათზე ათასივე პასუხის მოძებნა შეიძლება, მაგრამ ჭეშმარიტ პასუხს თვით თუდორაც კი ვერასოდეს იპოვის. სკოლის მერხიდან გათხოვდა, სულ პატარა გოგო. კარგად ახსოვს, სკოლიდან მოდიოდა, — სასწავლო წლის ბოლო დღე იყო. მასწავლებლებს გამოეთხოვნენ — და სწორედ მაშინ დაინახა პროფირი. თუდორა ნელა მიდიოდა, აუჩქარებლად და ვინ იცის, რაზე ფიქრობდა. ეგებ გაფრენილ ბავშვობაზე ნაღ-

ვლობდა, ან იქნებ, მომავალზე ოცნებობდა. უცბად იგრძნო, ვიღაც უყურებდა. ასე აქამდე არავის შემოეხედა მისთვის. მოიხედა, ქვის ყორზე კობტა ტანის ჯარისკაცი იჯდა. ქუდზე ვარსკვლავი უბრწყინავდა, ქურთუკის ღილებს ხომ ნულარ იტყვიო?

— გამარჯობა! — სოფლის წესისამებრ მიესალმა თუდორამ და მისი მხარე მაშინვე დატუქსა თავი, რაღა მე, ჯერ ის მომსალმებოდნო.

ბიჭი მაშინვე ჩამოხტა ყორედან და აედევნა.

— ვისი ხარ?

— სერაფიმას ქალიშვილი ვარ, — უპასუხა თუდორამ. ან როგორ არ უნდა ეპასუხა, როცა ეკითხებოდნენ?

— რომელი სერაფიმასი, გორაკზე რომ ცხოვრობს თუ ქვევით?

— ქვრივის.

— აჰა, რამხელა გაზრდილხარ!

თუდორა გაწითლდა. ჯერ ერთი ასეთი რამ დეიდებისა და ბიძების გარდა არავის უთქვამს მისთვის. თანაც დაიმორცხვა მოკლე კოფთის და ძველი ქვედატანის გამო, რომელიც მალალ წვივებს ვერ უფარავდა. კოფთის ღილების შეკვრა კი სულ უფრო და უფრო უჭირდა დილაობით. თუდორამ ფეხს აუჩქარა, მაგრამ ბიჭი ადვილად დაეწია.

— დედაშენი უნდა ამაცობდეს, რომ ასეთი ლამაზი ჰყავხარ. კლუბში მოხვალ სალამოს?

ახლა კი გადაამლაშა მოწაფეები ჩვენში თავისდღეში არ გაუშვიათ ცეკვებზე. კინოს რომ მოიტანენ, მაშინ თუ დაგვასწრებენ ხოლმე, ისიც ორგანიზებულად. ამასობაში ბიჭი გოგოს გაუსწორდა და თუდორა გამოუტყდა თავს, რომ ეს დაუპატივებელი კავალერი სიამოვნებდა, მიუხედავად იმისა, რომ, ღმერთმა იცის, რას მიედ-მოედებოდა.

— გამარჯობა თუდორა! — ხელი დაუქნია ნაცნობმა მეცხრეკლასელმა.

თუდორამ მხოლოდ თავი დაუქნია. ვინ ვინა და, მან კი იცოდა, რომ ამ გოგოს ცნობისმოყვარეობა ჰკლავდა და იმიტომ მიესალმა. მეცხრეკლასელმა თავი ველარ შეიკავა.

— ერთი წუთით შეიძლება? — საქმიანად სთხოვა მან თუდორას.

— კი ბატონო, — უპასუხა თუდორამ და გაუხარდა კიდევ, ცოტა ხნით რომ ჩამოშორდა ჯარისკაცს.

ისე, პრესტიჟი ყოველთვის საჭიროა და, შეკითხვა რომ მოისმინა, თუდორამ გაოცებული სახე მიიღო.

— მე მეგონა, მართლა საქმე გქონდა.

— ამის ვინაობა მინდოდა, გამეგო. — ჩაუჩურჩულა გოგომ და ალმაცერად გახედა ბიჭს.

— პროფირ სტიგლეტეა.

— ჯარიდან დაბრუნდა? ალბათ ყველაზე ბედნიერი ხარ, არა, თუდორა.

— რატომ გგონია? — ახლა მართლა გულწრფელად გაუკვირდა თუდორას, მათ შორის ხომ არაფერი არ იყო, ქუჩაში აეკიდა ბიჭი, ესაა და ეს.

— აბა რა, ეურნალებში დახატულივით ლამაზი!.. მომეცი რა თქვენი წერილები, წაეიკითხავ.

— რა წერილები? — გული აუჩქროლდა თუდორას.

— რა, ამ ხნის მანძილზე მიწერ-მოწერა არა გქონიათ?

— ჰოო... — ბოლოს და ბოლოს, მიხვდა თუდორა, სკოლაში ხშირად გაუ-

გონია, ესა და ეს გოგო ვილაც ჯარისკაცს წერილებს უგზავნიდა, თითონ კი არც არავის უგზავნიდა და არც არავისგან იღებდა წერილებს სწავლობდა და ეგ იყო მხოლოდ. დილით სკოლაში მიდიოდა, სადილად სახლში. ახლა კი საოცარი სურვილი იგრძნო, უნდოდა, ყველა თანატოლისსმეგზავნიდნენ, რომ არც ის იყო სხვაზე ნაკლები. — როგორ არა, ერთი-მალისთვისწერილებით მაქვს გატენილი.

მეცხრეკლასელს კიდევ უფრო აუელვარდა თვალები.

— ოჰ, როგორ მშურს. თუდორა, შენი! ახლა კი წადი, წადი შენს პრინციტან.

თუდორა შუა ქუჩაში გახევდა, მისი ამხანაგი კი გაიქცა. ახლა ვინ იცის, სად არ ილაქლაქებს ის გოგო და რას არ მიბლანდ-მობლანდავს. ჰოდა, რაკი ასეა, რატომ არ უნდა განაგრძოს გზა ჯარისკაცთან ერთად? თანაც, კაცმა რომ თქვას, ცუდი რა ჩაიდინა? პროფირი კი მოთმინებით ელოდა რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით. ასეთი რამ თუდორას ჯერ არ შემთხვევია.

არა! სიყვარულით არ გათხოვილა თუდორა. ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, პირველად რომ შეხვდნენ ერთმანეთს.

— თქვენთან არასოდეს ვყოფილვარ! შეიძლება შემოვიდე? — ჰკითხა პროფირმა უბრალოდ.

— დედა! — დაბნეულად დაიძახა ქალიშვილმა. დედისთვის ხომ უნდა ეკითხა, — დედა! — კიდევ დაიძახა თუდორამ, მაგრამ არავინ გამოეხმაურა. თუდორა კიდევ უფრო დაიბნა, — დედა, სადა ხარ? — კიბეზე აირბინა და დაიძახა. — სტუმარი მოგვივიდა...

დედა შინ არ იყო. პროფირი სახლში შევიდა... ეს იყო და ეს. მალე კი ბედნიერებით აცრემლებული თუდორა საკუთარ ქორწილში ცეკვავდა. ეს იყო ხუთი, ექვსი თუ რვა წლის წინათ, ახლა კი სამი კვირაა, რაც მარტოა თუდორა. პროფირი ციმბირში წავიდა კოლმეურნეობისთვის ხე-ტყის მასალის საშოვნელად.

ქმრის მშობლებმა თავიდანვე აითვალწუნეს თუდორა და გამოაცხადეს. არც არასოდეს მივიღებთ რძლადაო. რად უნდა მათ შვილს ისეთი ცოლი, დღისით, მზისით უცნობ ბიჭს რომ ჩამოეკიდა კისერზეო. რატომ არ გაუფრთხილდა თავის სახელსო. კა, მაგრამ ვისთან არ გავუფრთხილდით, ტიროდა თუდორა, თქვენ შვილთან, სხვასთან ხომ არაო. ან როგორ უნდა გამკლავებოდა, სულ პატარა გოგო იყო, მშობლებს კი მოსმენაც არ უნდოდათ. ასე მოვიდნენ დღემდე. ისინი ამასთან არ ადგამდნენ ფეხს და ეს — იმათთან. პროფირი მაინც შვილი იყო და დადიოდა დედ-მამასთან, თუდორა კი ერთხელაც არ ყოფილა იმათთან. თუდორას სახლს რომ ჩაუვლიდნენ, თავს გვერდზე მიატრიალებდნენ უცხოებით.

თანასოფლელებთანაც ვერ იყო კარგად თუდორა. ხალხს, საერთოდ, მიოქმა-მოთქმისა უფრო სჯერა ხოლმე, ვიდრე სინამდვილის.

პროფირთან კი ცხოვრობდა რა, ნორმალურად.

თავისმავე სლუკუნმა გამოაღვიძა თუდორა. თვალები მშრალი ჰქონდა. ლოყები — სუფთა. მხოლოდ ეს იყო. სლუკუნებდა რატომღაც. სხეული საოცრად მსუბუქი ჰქონდა. გული ისე უცემდა, როგორც ყველა ბედნიერ ქალს უცემს ხოლმე. ყველაფერი რაც იმ ღამეს მოხდა, მარტივად რომ ვთქვათ, სიყვარულთან პირველი შეხვედრა იყო. გაახსენდა, როგორ უეცრად წამოხტა საწოლიდან. ხელების კანკალით როგორ მოძებნა სიბნელეში კაბა, და რო-

გორ შეანელა ნაბიჯი, როცა კლუბს მიუახლოვდა.

— შენა ხარ?! — წითური მხატვარი მის შესახვედრად წამოხტა, წვერი, დაწვები, ტუჩები თითქოს ჯოჯობეთის აღს აეწითლებინა. ციციქნა ოთახში ორმოცი სანთელი ენთო.

— მე ვარ... — მხოლოდ ესა თქვა თუდორამ, სანთლების მოცანტვას ვერცხვან, ლანდების გიჟური ცეკვა კედლებსა და ჭერზე. მისი ჩურჩული, მისი კოცნა... და ყველგან ცეცხლი... ცეცხლი... ცეცხლისა და სიყვარულის ღამე ჩარჩა მესიერებაში.

თითონ წითურიც ცეცხლი იყო, და, ბოლოს და ბოლოს, თუდორასაც ხომ უნდა გაეგო, როგორია ნამდვილი სიყვარული? უნდა დაიწვა, უნდა დაიღუპო და არაფერზე არ უნდა ინანო, ერთი ბეწოთიც არ უნდა ინანო.

თუდორა წამოდგა, სარკესთან მივიდა, ხელები გადაისვა გულ-მკერდზე, თეძოებსა და მთელ სხეულზე, რომელსაც თითქმის არც კი გრძნობდა. ჩიტივით იყო. ეჩვენებოდა, თითქოს ამ ღამეს მისი სხეულის სიღრმეში პაწაწკინტელა ცეცხლი დაეტოვებინოს, რომელიც თანდათან უნდა გაღვივდეს, გაიზარდოს და ერთ მშვენიერ დღეს მცხუნვარე კოცონად აბრიალდეს და ეს იქნება მისი სიყვარულის ნაყოფი, სიყვარულისა, რომლისთვისაც ღირს სიცოცხლე და ყველა გასაჭირის გადატანა, რაც არ უნდა შეგხვდეს ამ ქვეყნად. ხელები მხრებზე შემოიხვია, თავის ანარეკლს გაუღიმა და სარკეში კარისკენ მზის შესახვედრად წავიდა.

თუდორა შეკრთა.

პარმალზე მამამთილი იდგა.

— ინებეთ მობრძანება, ძვირფასო სტუმარო? — იყვირა მან, — რომელმა ქარმა გადმოგაგდოთ? რას მიყურებ, მოგწონვარ? — თუდორამ მდგარი დედამთილიც შენიშნა, — შენ რატას მომჩერებიხარ?

ქმრის მშობლები მარტონი არ იყვნენ. ნათესავეები, თუდორას მეზობლები სახლის გარშემო შეგროვილიყვნენ. იღგნენ და უხმოდ უმზერდნენ, თუდორა მიხვდა, მოსულებმა ყველაფერი აცოდნენ! ყველაფერი იცოდნენ, ყველაფერი... მაშ ასე, ყველაფერი იციან!

თუდორამ ტუჩები მოკუმა, როგორც მაშინ, ავტობუსში რომ იყო და საქმიანობა დაიწყო. ქათმებს სიმინდი დაუყარა, გოჭებს კობტონი ჩაუთუთქა. ფანჯრები დაწმინდა, კარი ჩამორეცხა. ხალხს არად აგდებდა, არაფრის ეშინოდა. მიყურებენ? მიყურონ! პროფირს ეტყვიან? უთხრან, მერე რა? მცემს? წიხლებით შემდგება? გამაგდებს?.. თუდორას თავიც არ მოუბრუნებია. ჭიშკართან ქმრის შეძრწუნებული, დაბალი ხმა რომ გაიგონა.

— რა ამბავია, ხალხო, რისთვის შეგროვილხართ, ა. რა ამბავია?..

შანი სიყვარულისა

ჩაიარა მანქანამ, ერთმა, მეორემ, მესამემ. მოსახვევში მეოთხე გამოჩნდა.

— აი, ეს გავაჩეროთ, — ვამბობ მე.

— არა, ეს არა, ეს გავუშვათ, — მეუბნება იგი.

— შევეთანხმდით, — ვამბობ მე, — ესე იგი, ვაჩერებთ...

— მოიცა, რას შერებო?! — მოიცა... ეს არ გვინდა!..

— აბა რომელი?

— რომელი?

ჟჟჟ! ჩაგვიქროლა მანქანამ.

რამდენიმე წამს დაბნეულად აფახულებს წამწამებს და უცბად იძახის:

— აი ეს, ეს! — სახელოზე მექაჩება. — გააჩერე! მძღოლი მანქანას ამუხრუჭებს.

— წადი, წადი! — რაც შემოძლია ვყვირი მე, — მოუსვი აქედან!

— სულელურად მოიქეცი! რატომ არ გააჩერე? ხომ გთხოვე. გაბრაზებულია.

მომწონს, როცა ასეთი გულისამაჩუყებლად გაბუტული სახე აქვს და თავს ვუქნევ.

— კი მთხოვე, მაგრამ არ დაგიჩოქია.

— რა თქვი? — თვალები ბრაზით ენთება და რატომღაც უფრო საყვარელი ხდება.

— რა და, ვერ შეგამჩნიე, ჩემს წინ დაჩოქილი როდის იყავი.

აი, ეს კი მაგარია! საინტერესოა. რას მიბასუხებს.

— ალბათ, ოცნებაში... — ამბობს ის და ვითომც არაფერი არხეინად ლექავს ბალახის ღეროს.

ახლა ჩემი ჯერია.

— კარგად გამოგივიდა. ხომ იცი, შენი სურვილი ჩემთვის კანონია. ლოდინი თუ გინდა, ვიდგეთ და ველოდეთ. მშია თუ რა!

— აბა მუცელზე რატომ იკიდებ ხელს?

— შარვალი მძვრება.

— სიმამლისგან? — იგი გამარჯვებული იღიმება. — ეჰ, შე კეჟის კოლოფო?

აი, ახლა უნდა ვაჯობო, მაგრამ, როგორ?

— სწორედ იმიტომაც შემიყვარე, კეჟის კოლოფი რომ ვარ, სამიანი მინუსით!

— აი, აი, ეს! — ის ისევ წინ გარბის, — დაუძახე!

გზაზე კაციშვილი არ არის.

— არა, — ვეუბნები მე, — გაუშვი წავიდეს.

— ამასაც გავუშვებთ...

— დიდი ამბავი...

— კარგი, წავიდეს...

ამ დროს მოსახვევიდან შავი „ვოლგა“-გამოსრიალდა. აი, ამ შავი „ვოლგით“ კი მოუხდებოდა გასეირნება.

— ფუჰ, — ვამბობ მე, — რა სიმახინჯეა! სულ ჩვენ ღორს არ ჰგავს, ტიტის!

— ტიტის? — მეკითხება ის და თვალებს არ აშორებს მოახლოვებულ მანქანას.

— ჰო, ტიტის, მართალია. შენ იმას არ იცნობ, მაგრამ ძალიან საყვარელი ლორუჩაა. შენ სოფელში იმნაირები არ არიან... — ვცდილობ, ეესტებით ავუხსნა, რა საყვარელი კმნილებაა ჩვენი ტიტი. იქნებ თვალი მოვაცილებინო მანქანისთვის.

— ტიტი? — მექანიკურად იმეორებს იგი.

— ტიტი, დიახ, ტიტი, ის უკვე თოთხმეტი წლისაა.



- თოთხმეტი წლის? ღორი? ეგ საკენკი! სხვებს დაუყარე!
- სხვებს უკვე დაუყარე და ყველას სჯერა, რომ მსგავსი ღორი მხოლოდ ქვეყნიერებაზე ჯერ არსად ყოფილა. — მე უკნიდან ხელებს ვხევე, მანძი უსასრულოდ გაგრძელდეს ეს წუთი.
- ტიტო? — რაღაც დაბნეულად იმეორებს იგი.
- ტიტო, — ვეუბნები მე, მგონი იმასაც მოსწონს ასე დგომა, ახლავე შევამოწმებთ.
- აი, მანქანაც გვიახლოვდება.
- რა მანქანა? — გულუბრყვილოდ კითხულობს იგი. არა და, ვიცი. მთელი ამ ხნის განმავლობაში თვალი არ მოუცილებია მანქანისთვის. უცბად მეხვეწება.
- გააჩერე, რა, გააჩერე!
- ეს? არა, არ გავაჩერებ.
- რატომ?
- იმიტომ, რომ ტიტის ჰგავს. მე კი არ მინდა ჩემს ტიტის ვაწყენინო.
- შენ რა, მართლა გინდა, რომ დაგიჩოქო?
- შენ კი მართლა გინდა, მანქანა გავაჩერო?
- ერთი... ორი... სამი...
- სულაც არ მჭირდება ეგ შენი მანქანა, — მეუბნება გულგრილად.
- დაჩოქილი ხარ და ვგაა...
- მე?
- ხმამ გაგცა.
- მართლა? იცი რა? შეგვიძლია, არ გააჩერო. მით უმეტეს, უკვე წავიდა.
- აი, ეს მესმის! ახლა კი უკვე ვთამაშობთ!.. ისე კარგა ხანია, აქ ვდგავართ.
- რა თქვი? — თავს ვიკატუნებ მე. — რომელი მანქანა? მე აქ მანქანა არ დამინახავს.
- მატყუარაც ყოფილხარ, შენ არა თქვი: ჩვენს ტიტის ჰგავსო? მანქანამ მართლაც უკვე ჩაიჭროლა. ისე რომ შეგვიძლია ჯერ ისევ ვიღვებო და ვილაზღანდარაოთ.
- საიდან სადაო, ჩვენი ტიტო ულამაზესია. სახლში რომ ვიყავი, იცი რას ვაკეთებდი დილ-დილობით?
- ღორებს აკმევდი, — მეუბნება ის და გზას გასცქერის.
- არაფერიც, ღორებს დედაჩემი აკმევდა, უფრო ხშირად კი მამაჩემი. მე კი იცი რას ვაკეთებდი? — არა, ეს მანქანები მაინც სადღა გაქრნენ? ის ჩემ ფიქრს ხვდება.
- პირდაპირ მოთმინება მეკარგება, როდის მეტყვი... ცოტა ფრთხილად მითხარი არ ჩაიკეცო.
- არ ჩაიკეცები, ვანა ვერა გრძნობ, მე რომ მეყრდნობი?
- მე? — უკვირს მას.
- ნუთუ მართლა ვერა გრძნობს?
- არა, შეუძლებელია, თავს იკატუნებს.
- მე განვაგრძობ.
- შენ ხელს დახედე და მიხვდები.
- აჰ, — ხელს იღებს. — ეშმაკი და არაფრის მაქნისი... თითონ გადამეკიდა

მეტი... ზურჭინივით და ახლა მე მაბრალებს! თანაც უნდა...

— იცი, მე მგონია...

— არაფერიც არ გგონია... უბრალოდ, ტიტზე...

— ჰმ, მართლა, ტიტი მშვენიერია ხედავი კი მალე მანახა!

— კალბატონი რა კარგი სანახავეები იქნებით როდენი! ზნელოდგენილი მაქვს, როგორც არის, ექვი არ შეპარება, რომ შენი ალი-კვილია.

რა ვუქაასუხო? ეს უკვე აკრძალული ილეთია, დაუნდობელი დარტყმა წელს ქვემოთ.

— ასე თუ ფიქრობ... ებურტყუნებ მე.

— სიტყვას შუაზე მაწყვეტინებს.

— კარგი, კარგი, შენ ის მითხარო, ბოლოსა და ბოლოს წავალთ აქედან თუ არა? მომშივდა.

ამბობს იგი და ისევ ხელს მკიდებს.

— გეხვეწები, გააჩერე რა, რაიმე...

ამ წუთას ისეთი საყვარელია, ისეთი საყვარელი ხმა აქვს...

შორს, მინდორში გზატკეცილისაკენ რაღაც მოდის, ახლოს რომ მოვიდა, აღმოჩნდა, რომ პატარა ვირია და ვირზე მოხუცი ზის.

— ეი, მძლოლო! — ვეძახი მე. — გააჩერე შენი ლიმუზინი! ქალბატონს სურს, რომ...

— რას შერები? შექაჩება იგი სახელოზე.

— შენ არ მითხარო რამე, გააჩერეო?

— მერედა, მე ქალბატონი ვარ?

— ჰო, მართლა, ქალბატონი კი არა, ქალიშვილი ხარ, მაგრამ, აბა, რა მნიშვნელობა აქვს! — ზურგს ვაქცევ და უფრო ხმაძაღლა ვევირი:

— ბაბუ, ძრავა როგორი გაქვს, გაუძლებს?

— თავი დაანებე! — მეხვეწება იგი. — გააბრაზებ და ნახე მერე... შეხედე. პირდაპირ ჩემსკენ მოდის.

ეტყობა, მართლა ეშინია, მე კი მართლა ღრმად შევეტოპე.

— რისი გეშინია, ჩვენი სოფლელია, ხედავ, როგორი ქუდი ხურავს?

— შენი სოფლიდანაა? უნდობლად შეკითხება იგი.

— ცოტა მშვიდდება, მაგრამ მერე ხომ ვიცი, მოხუცი უცნობია, თანაც შუბლი ისე აქვს შეკრული...

— ჩემი სოფლიდანაა, — თავს ვუქნევ მე, — რატომ არ გჯერა?

— მერედა აქ რა უნდა?

— როგორ თუ რა უნდა? — თან ვფიქრობ, როგორ მოვეუქონო მოხუცს თავი, ფიქრით კი ვფიქრობ, მაგრამ რას ვლავებობ, ღმერთმა იცის.

— გთხოვთ, ქალიშვილო, ეს მეოცე საუკუნის საოცრებაა, კი არ დადის, დაფრინავს, თუ არ წაიქცა, ყველას გაუსწრებს.

და თითქოს განგებ, სახედარმა ისე წაიფორჩილა, კინაღამ წაიქცა, ახლოს რომ მოვიდხენ, ვხედავ, მგზავრი ძალზე მოხუცია, მგონია გადავრჩი, არ, გაგვიბრაზდება, მეტქი, — ცოტა გული დავიმშვიდე.

— გეყოფა, გეყოფა, ჩოჩორო, — ვევირი მე, — მაგრამ დადექი, იცოდე, მძლოლი, ტყავს გაგაძრობს.

— თუ მობრძანდებით... — თავს გვიქრავს მოხუცი, — მზადა ვარ გემსახურაობის გთხოვთ!

საინტერესოა, რა მოიფიქრა? რას აპირებს? დაადო თავი და პირდაპირ მოხუცისაკენ მიდის

— გამარჯობა, ბაბუ! — ესალმება იგი თავაზიანად, თან მე მიყურებს აღმაკურად. — რაჟი ასეთი გულკეთილი კაცი ხარ, იქნებ თან წამიყვანო. თორემ ასეთი კვაღერის ხელში კაცს შეიძლება, მიმშილით ამოქნეს და წაიშალოს

რა უნდა თქვა! ვნახოთ ეს ბებერი ბებრეკი რაღას იზამს!

დიდი სიამოვნებით! ხელებს შლის მოხუცი

ნუთუ კაპიტულაციას უნდა დავთანხმდე?

— ძალიანაც კარგი! — აღვნიშნავ მე. — როგორც იქნა, მოვიშორებ თავიდან. ვეუბნები მოხუცს.

— თუ არ ხუმრობ, შემოგისვამ უკან.

— გთხოვთ!

— აბა, შემოუჯექი, ლამაზო!

ვნახოთ, რას იტყვის.

ერთხანს ყოყმანობს.

— აბა, მომეხმარე, საუკუნის უკანასკნელო რაინდო! — მეუბნება ბოლოს გადაწყვეტილად.

გაგიყდა?

თუ მაეკვიანებს?

კერძო მივართვი!

— ოღონდ შენგან გავთავისუფლდე, ყოველგვარ გპირობისათვის მზადა ვარ, — წელზე ხელს ვხვევ, ხელში ამყავს და იქნებ დამითმოს-მთქი, ცოტა ხანს ვაყოვნებ, მაგრამ, შენც არ მომიკვდე!

შეც იძულებული ვარ, სახედრის ზურგზე შემოვსვა.

— ბედნიერი მგზავრობა, ბაბუ, აბა, შენ იცი, ჩემს მზეთუნახავს ცხრა მთას როგორ გადაატარებ!

და, ეჭვი რომ არ შეეპაროს, ყველა ხიდი დამწვარიან, სახედარს წიხლს ვთავაზობ.

— აჩუქე! იძახის იგი, მე ზედაც არ მიყურებს, და თან მოხუცს ეკითხება. — ესე იგი (ჩემი სოფლის სახელს ეუბნება) არც ისე შორსაა, არა?

— ეგ სოფელი სადღაა? — თავის მხრივ კითხულობს მოხუციც.

— როგორ, თქვენ (ისევ ჩემი სოფლის სახელს ამბობს) არ მიდიხართ? ღმერთო ჩემო, ან მართლა მტოვებს, ან გამასხარება უნდა, აქაოდა, მე სახედრით მივბრძანდები, შენ კი ფეხით მიჩანჩალებო.

— ამ ჩემ სახედარს იქ მივყავარ, შვილო, საითაც ჩემი გზაა.

ვხარხარებ.

იგი ხტება სასწრაფოდ სახედრიდან.

მოხუცი და სახედარი გზას განაგრძობენ.

ის კი დგას ვითომ გაბუტული და ტუჩებგაბუსხული.

— ბედი გქონია... ვიცი, მოხუცი იმ სოფელში რომ არ მიდიოდა, თორემ ვირის კედზე ჩაბლაუჭებულს მოგიწევდა ჩანჩალი. მორჩა! მეტი აღარ შემიძლია, აბა, ეს რა ხუმრობაა, ხომ ხედავ, შუადღე წამოვიდა.

რას ერჩი, მართალია, მე კი, რა თქმა უნდა, დამნაშავე ვარ.

— მერედა ვისი ბრალია? რამდენჯერ ვითხარი, მოდი, გავაჩეროთ-მეთქი? ყველაფერი პრობლემად უნდა აქციო, აბა, რა დიდი ამბავიც ამას უნდა.

გავაჩერებდი მანქანას და ორ საათში ადგილზე ვიქნებოდი, მაგრამ შენ თუ ყველაფერზე არ იყოყმანე, ისე არ შეგიძლია...

— მე?

ისეთი თვალებით იყურება და ისეთი ხმა აქვს, ეშმაკობს, აზრადაც არ მოგივა.

— ხომ მითხარი, ტყუილად ნერვიულობ-მეთქი, მაგრამ თუ არ გინდა, რომ დამიჭერო, კი ბატონო, დავიცადოთ...

მე ზურგს ვაქცევ და გზის პირას მდგარი ხეების ჩრდილისკენ მივდევარ.

— კი მაგრამ, როდის გითხარი არ მინდა... მე არ გთხოვე, გააჩერე მეთქი?

— მერე არ გავაჩერე?

— კი როგორ არა... მაგრამ იცი, არ მინდოდა იმ მანქანაში ჩაჯდომა, იმ მანქანაში არ უნდოდა!

— მეორეც ხომ გავაჩერე?

— ჰო, მეორეც...

აი, ახლა რაღას იტყვის?

— მეორის მარკა არ შეგვეფერებოდა... ასე რატომ მელაპარაკები?

აჰა, ისევ მე შემომიბრუნა იარაღი!

აჰა, ეს ხმა მაინც არა ჰქონდეს ასეთი! ეს ხმაა ფარ-ხმალს რომ მაყრე-ვინებს.

— კარგი, კი ბატონო! — ვეუბნები და ხის ჩრდილში ვჯდები. კაცმა რომ თქვას, სხვა რა გამოსავალი მაქვს! მზე აცხუნებს, მანქანა კი არა ჩანს.

ვზივარ და გავცქერი გზას.

ვხედავ ჩემთან მოდის და გვერდით მიჭდება.

მერე თავზე ხელს მისვამს.

თითებს ლოყაზე მიცაცუნებს.

აჰაა!..

თავს მუხლებზე მადებს.

ღმერთო ჩემო!.. არა, ამან არ უნდა იცოდეს, როგორ მიყვარს!

— ახლა ვისხდეთ ასე აქ საღამომდე...

— საღამომდე?

— შეიძლება, დილაამდეც...

— დილაამდე? — ამბობს იგი და თავს მაღლა სწევს.

— ო, დილაამდე... — რაიმე ხომ უნდა ვთქვა, რაიმეზე ხომ უნდა ვილაქლოქო! — ასეთ სიცხეში მანქანები არ დადიან. ღამე კი... ასეთ ადგილებში ღამით აქ მგზავრობას ვინ გაბედავს? ხომ გეუბნებოდი, სანამ მანქანებია მოვასწროთ, წავიდეთ-მეთქი? შენ კი — არა და არაო, — აიტეხე! ჰოდა, იჯექი ახლა!..

— კი ბატონო, მაგრამ შენ ხომ არ გითქვამს, აქ მხოლოდ შუადღემდე დადიან მანქანებიო...

— გითხარი... როგორ არ გითხარი.

— შენ ჩემთვის არაფერი გითქვამს, შენ ალბათ...

— რა ალბათ?

— რა და... — არ უნდა ხმამაღლა თქვას ის სახელი, ვინაიდან იმის უბრალო გაფიქრებაზედაც კი გული სტკივა.

მეც აგრეთვე...

— რა, მაინც რა? — არა და არ ვეშვები.

— კარგად იცი, რაც. — ელვის სისწრაფით მავლებს თვალს.

— მე არაფერი არ ვიცი. არა, მართლა არ ვიცი...

— ვთქვა?

— თქვი.

— იცოდე, ვიტყვი!

— ჰა, აბა გელოდები!

ზის და პირდაპირ თვალებში მიყურებს.

— რომ გამომემშვიდობე, სად წახვედი?

სად წახვედი?

— ჰო, რომ გამომემშვიდობე, სად წახვედი?

აი, ამბავი! მართლა, რა ვქენი, სად წახვედი? კუთხემდე მივედი, მერე...

— გაები, არა?, აბა, ერთი მიაამბე, ჰო, ჰო, მიაამბე! პირში წყალი რატომ ჩაიგუბე? თან ჩემს აჩქარებასაც რომ ბედავ? შენ მე სულელი ხომ არ გგონივარ? იცი, რა, შენ... შენ თითონ...

— ეე! — შუბლზე ხელს ვირტყამ, — ძლივს არ მივხვედი! აი, თურმე ვისზე ფიქრობ!..

— ?! — გაფართოებული თვალებით პირდაპირ პირში მომჩერებია. ციციამ თხარა, თხარაო და...

— აჰ, შენ იმაზე ამბობ, არა? — და ვილაცის სახელს ვუსახელებ.

— ?! — წახდა, ბრინჯივით დაიბნა, თვალს ვარიდებ.

— აბა რა მექნა, შენ როცა არ გეცალა, იმასთან ვატარებდი დროს. ისე კი, ტყუილა ბრაზობ, მართლაც რომ მშვენიერი გოგოა, არ გინახავს?

?! ჩუმი კუხილი და შავი ელვა.

გაბრაზებული წამოხტა.

მგონი გადავამლაშე.

არა, დგას, არ მიდის.

ეტყობა, მაინცდამაინც არა სჯერა.

არა, ან არა სჯერა, ანდა უფრო მეტის გაგება უნდა.

თუ დამატებითი ინფორმაცია სჭირდება, კი ბატონო.

— ის შენსავით ანჩხლი კი არ არის... სალამოობით შენ სულ გეჩქარება, სულ სახლში გარბიხარ, ის კი პირიქით, ცდილობს, მე არ მაწყენინოს... მოკლედ, მაგარი გოგოა!

დუმს, ხმას არ იღებს...

დუმს...

— რა ჰქვია? — მეკითხება ჩამქრალი ხმით.

მერე ტკივილით.

— რატომ მატყუებდი?

და ქუსლებზე ბრუნდება.

— ნახვამდის!

კეთილი, მანქანა არ ჩანს... ვნახოთ სად წავა.

— რატომ „ნახვამდის“? — ცივად ვამბობ მე, — მშვიდობით.

ჩერდება...

— მშვიდობით, ღმერთმა ხელი მოგიმართოს...

ხმას არ იღებს და ტუჩებს იკვნეტს.





ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ოპო, კარგია! გავაგრძელოთ.
 — გასაგებია, მარტოს გეშინია, გაგაცილო?
 ტუჩებს იკვნეტს.
 და ბოლოს ხმამაღლა ამბობს.
 — ჰო, გამაცილე!
 ვითომ გაბედული ვარო, მაგრამ არ გამოსდის
 ტუჩებს იკვნეტს.
 — ცოდოა, — ვამბობ მე.
 — რა არის ცოდო? — თვალს თვალში მიყრის.
 — შენი ტუჩები, თუ ძალიან გინდა დაკვნეტილი ტუჩები გქონდეს, მე
 მითხარი, თავს რაზე იწვალე?
 რამდენიმე წამს დაბნეული მიყურებს. გაღიმება უნდა, მაგრამ თავს იკ-
 ვებს. და უფრო მაგრად იკვნეტს ტუჩს.
 — იცოდე, ტუჩებდაკვნეტილი გოგოები მშობლებთან არ მიმყავს ხოლ-
 მე.
 ისე მაგრად იკვნეტს ტუჩს, რომ ნიკაპზე სისხლი მოწანწკარებს, თვალე-
 ბი უბრწყინავს!..
 — მე ასე მინდა! — გადმოდის შეტევაზე.
 — გინდა და გინდოდეს, — ვაწყვეტინებ მე, — ასეთებიც უნახავთ.
 დუმილი. დუმილი...
 დუმილი...
 ერთი წუთიც და ალბათ ვინანებ ჩემს ნათქვამს.
 მაგრამ, ის უკვე თავს ველარ იკავებს, ეტყობა, ვერ იჭერებს.
 ჩემს გვერდით იჩოქებს და ხელებს კისერზე მხვევს.
 — მანქანა! — ვყვირო.
 ისიც უკვე ფეხზეა.
 უნდა გენახათ, როგორ წამოხტა.
 და ორივენი გზისკენ გაერბივართ.
 რა მანქანა, რისი მანქანა, გზაზე ჩამიჩუმიც არ ისმის.
 ვიცი.
 ის თვალებს ხრის.
 — ჭკუის კოლოფი...
 როგორც იქნა!.. ეს უკვე კაპიტულაციაა!
 — მეც ამას არ გეუბნებოდი!..
 — ...
 — დაიმახსოვრე, რაც ახლა თქვი! ნამდვილი ჭკუის კოლოფი ვარ! ბრძენი!
 ფილოსოფოსი! ყველა გოგოს კი არა აქვს ასეთი ბედი!
 — მე ყველა არა ვარ, — ბრაზობს იგი.
 — ისევ სიტყვას გამოეკიდე არა? დამნებდი, თორემ წააგებ!
 იგი თავჩაქინდრული დგას და ფიქრობს, ფეხსაცმლის წვეტს ასფალტზე
 აცოცებს, მერე ბრუნდება და ჩრდილისაკენ მიდის.
 გაბრაზდა?
 ხის ქვეშ ზის. ხელები მუხლებზე შემოხვეული.
 — დედა ამბობს...
 — რაო, რას ამბობს!..
 თვალები ისევ დახრილი აქვს.

— დედა ამბობს, მაგას არ წაყვეო. არ მოეწონე.
ამას შერჩია, სილა გაეწნა. რა ვუპასუხო?

— თქვი... თქვი...

ზის და ისევ ბალახს წიწკნის...

— ტყუილა იცინი... ასე მითხრა, ბედნიერი არ იქნებიო.
ეს უკვე ალიყური კი არა, სუფთა ნოკაუტია.

ცა ტრიალებს. ფეხქვეშ მიწა მეცლება.

თვითონ, თვითონ რას ფიქრობს? დედა „არას“ ამბობს, მაგრამ, თითონ? ის ისევ მიწას ჩასჩერებია, თავს ზევით არ ეწევა.

— მე რა დაგპირდი. ბედნიერი იქნები-მეთქი?

— არა... უბრალოდ, ის გითხარი, რაც დედამ თქვა...

ესე იგი, ეს ამისი აზრი არ არის.

ცა ჩერდება. ფეხქვეშ მიწა აღარ მეცლება.

— დედაშენს ვისი ბედნიერება უნდა. შენი თუ თავისი?

— ...

— ხომ ხედავ, ვერ გავაბედნიერე დედაშენი, — ნაღვლიანად ვამბობ მე.
ის თვალებს მალლა სწევს თავის დიდ, ლურჯ თვალებს.

და იღიმება.

— აბა, როგორია, ანგარიში? — ვეკითხები მე, ძალზე კმაყოფილი.
იცინის.

— მშრალი ანგარიშია... შენს სასარგებლოდ.

— ნოლზე?

— ნოლზე!

— ხმამალლა თქვი! ხმამალლა, ყველამ გაიგოს, როგორ აღიარებ დამარცხებას.

მაგრამ მას ხმამალლა ლაპარაკი არ უყვარს.

და ჩუმად ამბობს.

— ვალიარებ.

მერე კი უკვე ძლივს გასაგონად.

— მიყვარხარ...

ახლა შემოდლია ვიზეიმო! მოწინააღმდეგე დამარცხებულა და თეთრი ალამი აქვს გადმოკიდებული.

— ჰეი! ჰეი! — ვყვირი და გზაზე მომავალი მანქანის შესახვედრად გავრბივარ.

— ჰეი! ჰეი! — ყვირის ისიც...

ლამეა. გვიანია.

პირველი მე ვხტები ძარიდან.

ისიც ჩამომყავს.

მსუბუქად ვუშვებ მიწაზე.

შეიძლება ითქვას, უკვე ჩამოვედით, უკვე შინა ვართ.

— წავედით! — ნელა ვეწევი ხელზე. — აი ჩემი სოფელი იქაა. ხიდზე გადავალთ და...

— იქნებ არ წავსულიყავით...

ირგვლივ სიბნელეა, მაგრამ გარკვევით ვხედავ მის ჩაქინდრულ თავს.

— რა? აი, ახალი ამბავი!

როგორც იქნა სოფლამდე მივალწიეთ და...



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ნუ ბრაზობ, რატომღაც არ მინდა. იქნებ დილაძე ვინმესთან გაგხერხებულობავით, ანდა იქნებ მინდორში გაგვეთია... ახლა თბილა... ძალიან გთხოვ გამიგო!

— რა მოგივიდა? საქმარისად ვიხუმრეთ და გვეყოფა.

ახლა უკვე მართლა მალიზიანებს მისი ახირებები უნდა.

— გეხვეწები, ნუ მიბრაზდები... მეშინია თქვენთან მოსვლა.

— გეშინია? დედაჩემი მეშვიდე ცაზე იქნება.

— ...

არა და, წარმოდგენა არა მაქვს, დედაჩემი რას იტყვის.

— წავედით, — ვიმეორებ და ხელზე ვეჭაჩები.

ის ისევ ყოყმანობს.

— დედაშენს რომ არ მოვეწონო?

დედაჩემს რომ არ მოეწონოს?!

— დიდი ამბავი! — უდარდელად ვამბობ მე, — მეც ხომ არ მოვეწონვარ დედაშენს.

— არა, დედაჩემს ძალიან მოეწონე.

— ოჰო! დედასაც და ქალიშვილსაც, არა?

დუმს.

— დარწმუნებული იყავი, დედას უსათუოდ მოეწონები. აბა, წავედით! მოდის, მაგრამ ეტყობა, ისევ იკვნეტს ტუჩებს. ჩემი შემოხედვა რომ იგრძნო, ახალი პარტია წამოიწყო.

— დილით რომ ვდგები, რას ვაკეთებო?

— რას ვაკეთებ?

— ჰო, რას აკეთებ? აი, რალაცას ტიტზე ამბობდი...

— ოჰ, ტიტო? ტიტო, ეს ჩემი მარადიული სიყვარულია! აი რა, ყოველ დილით, ავდგებოდი თუ არა, პირველად საჩეხში შევიდოდი ტიტისთან და ღრუნჩზე ვკოცნიდი.

იგი იცინის, უფრო სწორად, ცდილობს გაიცინოს.

— იმიტომაც ვჩქარობ ასე, ერთი სული მაქვს, როდის ჩავკოცნი ჩვენს ღრუნჩას.

ახლა კი გულიანად იცინის, მაგრამ ხიდთან მაინც ჩერდება.

— ჩემი კაბა რომ არ მოეწონოს დედაშენს?

მაინც გადავიარეთ ხიდი და ახლა უკვე ნამდვილად შინ მგონია. ხიდი თითქოს საზღვარივითაა. შვებით სულს ვითქვამ, ხელს ვუშვებ და ვერც კი ვამჩნევ, ჩემი სოფლის ჰაერს როგორ ხარბად ვსუნთქავ.

— გრძნობ? — ვეკითხები მე.

— რას? — ამბობს იგი და ჩქარი ნაბიჯით ფეხდაფეხ მომყვება.

— სიცოცხლეს!

— სიცოცხლეს? — უკვირს მას. ეს გაკვირვება და ჩემი სამშობლოს მართობელა ჰაერი არნახულ ბედნიერებას მანიჭებს.

— თაფლია! აქ დრო კი, არა, თაფლი მიედინება.

— თაფლი?

— თაფლი. ღრმად ჩაისუნთქე და იგრძნობ, ჩემსავით ჩაისუნთქე. ეს ის ჰაერია, რომელმაც დღეიდან მე და შენ უნდა გვასაზრდოს.

ვამბობ და მართლაც მთვრალივით ვქანაობ.

— არა, გინახავს სადმე ასეთი საოცარი სიცოცხლე?

— თქვენთან ამის მსგავსი არაფერია! მიკვირს, როგორ ცხოვრობს იქ. ნამდვილი სიცოცხლე მხოლოდ აქ. აი, აქ არის!

ლალად მივაბიჯებ. თავისუფლად ვსუნთქავ. უცბად მხარზე მკიდებს ხელს.

— მოიცადე...

თითქოს დაპატარავებულია.

— ახლა დავიცადო, როცა მშობლიური სახლიც ჩემს წინაა და მთელი ცხოვრებაც? არავითარ შემთხვევაში! არაფრის გულისთვის! აბა, წინ!

— მოიცადე, — მეუბნება ის ჩუმად, — რალაც მინდა გკითხო.

ახლა არავის და არაფრის კითხვა არ მინდა. რაც უფრო ვუახლოვდები ჩემს სოფელს, თითქოს ვიზრდები და შუქით ვივსები.

სახე მასაც განათებული აქვს. ეს ალბათ ვერცხლისფერი ქადრებიდან ამოწვერილი მთვარის წყალობაა, საპაერო ბურთივით რომ მოცურავს ცაზე.

— წავედით! — ხელზე ვექაჩები.

გაიღიმა, როგორც იქნა გაიღიმა!

იღიმება და გვერდში მეკვრის.

— სსსუ! თვალები! — ვეუბნები და ჩაბნელებულ სოფელზე ვუთითებ.

იგი ერთ ადგილას შეშდება.

— თვალები?

— თვალები, — ვიმეორებ მე. — თუ დაგვინახეს, დავიღუბეთ.

— ამ ღამეში?..

— ჩვენთან ღამე უკეთ ხედავენ, ვიდრე დღე.

— შენ გინდა თქვა, რომ ვიღაცა გვხედავს?

— რა თქმა უნდა!

— არავინ რომ არ ჩანს? — ხმა უკანკალებს და თვალებს დამფრთხალი აცეცებს.

— შენ ვერ ხედავ იმათ, ისინი კი გხედავენ... ერთი ნაბიჯიც და ყველაფერი ამოძრავდება.

— რა ნაბიჯი?

— ერთი მცდარი ნაბიჯი და მორჩა. მაშინვე გაიგონებ, როგორ აყვირდებიან. მომისმინე, მოდი, ჩქარა გავიაროთ სოფელი, ვიდრე ყველას არ გაუღვიძია. მთავარია, შინ შესვლა მოვასწროთ და მერე უკვე გადარჩენილები ვართ. სხვაგვარად კი... თქვენთან რომაა, აქაც ისე არ გეგონოს, ერთი თუ ივნოსეს, სოფელში ვიღაც უცხო შემოვიდაო, მაშინვე ცეცხლმოკიდებულებივით გამოიქცევიან, გარშემო შემოეხვევიან, ფანრებს აანთებენ და წრეში დააყენებენ.

— რა წრეში?

— სოფლის შუაგულში რალაც პატარა სცენასავითაა. იქ იყრიან თავს. თუ კაცი იმ წრეში დააყენეს, მისი საქმე წასულია, იდექი დილაამდე ფანრების სინათლეში და ილაპარაკე: სადან მოხვედი, ვინა ხარ, რისთვის მოხვედი. თუ მეგობარივით მიგიღეს, ხომ კარგი, მაგრამ თუ გადაწყვიტეს, ტყუილა აგვაფორიაქაო, მაშინ!... — როგორც ჩანს, დაიჯერა! ეტყობა, წინააღმდეგობის თავი აღარა აქვს, ასეთ დროს თავით ფეხამდე ჩემია, მთელი არსებით მე მეკუთვნის...

— მაშინ რა?

— მაწანწალად და უსაქმურად ჩაგთვლიან, დაგაკერინებენ მძიმე თოხს

და ბოსტანს გათხრობენ. ან ცოცხს მოგაჩეჩებენ ხელში და ქუჩებს და
გაგვევინებენ კარგად თუ მოვიდეს.

?

მაშინ ზღაპრების მოყოლას მოგახსოვენ. მაგრამ ისეთი ზღაპრები
უნდა უამბო, მაშინვე ძალია მოყრილით, სახლებისაკენ წავსვლამოვიდნენ და
ისევ და თანაც ისე მშვიდად და უშთოთველოდ დაიძინონ, როგორც უცხო
გამოჩენამდე ეძინათ ამას რა უჭირს, კიდევ ერთი საშინელი ჩვევაა აქეთ,
- უფრო საშინელი?

- საშინელი. ის უცხო ვინმე აქაურს თუ მოჰყავს, მორჩა, კარგს ნუ
ღარაფერს ელო... გახდა გათხრა რას შერებიან?

?! - უფრო მაგრად შეკვირის შეშინებული.

- აი, ხედავ? შენ კდე არ მოკვრებ. უცხოს წრეში აყენებენ და ზღაპ-
რებს აამბობინებენ, აქაურს კი ჩამოკიდებენ ხეზე თავდაყირა და კოლოყის
აქმევიანებენ, ხალხი მეორედ აღარ ვააღვიძოს ტყუილუბრალოდ... ახლა ხომ
ხვდები, რა დღეში ჩავეარდებით, თუ შეგეხიშნეს?

- ჯერ არ შეუუნიშნიათ? შენ ხომ თქვი...

- პო და, ახლაც გეუბნები, უცბად უნდა გავძვრეთ, მისახვევ-მოსახვე-
ვებით, მივუკაკუნოთ ხელს მოხუცებს ფანჯარაზე და თუ მოვასწართ შინ
შესვლა, ყველაფერი რაგზე იქნება... წავედით?

- წავედით... მორცხვად მძახულობს და ფრთხილად, თითის წვერებზე
დგამს, ეშინია, არაფერ შეგვენიშნოს, თან გვერდში ისე მეკვირის! ღმერთო,
სიამოვნებისაგან თამბის დავიღოთ.

ხელს ხელზე მაგრად ეუჭერ, თანდებივით უხმაუროდ მივაბიჯებთ მი-
წაზე და აი, რაღაც უშმაკად გზაზე ვიღაც მოხუცი გამოჩნდა! ვერც კი გავი-
გე თავზე ისე წამოგვადგა.

გამარჯობათ, გვესალმება წყნარად და გზას განაგრძობს.

ვადის ერთი წუთი, მეორე, იგი თანდათან გონს მოდის, გვერდიდან მიცი-
ლებს და გულმოცემული შეუბნება.

- გგონია, დავიჯერო? აი, გაიარა კაცმა და არაფერი...

- სუუ! - თითის ვიდეტ ტუჩებზე. - არც ეს კაცია ჩვენებური, თი-
თონ უცხოა, დაინახე, როგორ გაიპარა? ახლა მთავარია, აი იმ ღობეს გავც-
დეთ, მერე კი... შეუშინველოდ ვიღებ კენქს და ღობის იქით, ხეს ვესერი
უცბად მე თითონ ვშეშდები შიშისგან.

- რომელი ხარ? - მესმის იქიდან ბონი, შემზარავი ხმა.

ამის გაგონება იყო და ვხედავ, ისე გარბის, ისე გარბის, აღბათ, სოფლის
ბოლოშიაც ველარ დავეწევი.

სული რომ მოითქვა, მოშიბრუნდა და მეკითხება.

- ვინ იყო? ხეზე რა უნდოდა?

ეფექტი მართლაც კლასიკური იყო.

- საქმე ისაა, რომ ამ კაცს შვიდი შვილი ჰყავს, მაგრამ, დღემდე არ
იციხ თავისია თუ სხვისია. პო და, ღარაჯობს... უკვე რვა წელიწადია ხეზე ზის,
მისი ბებრუხანა კი ყოველ წელიწადს შვილს აჩენს...

არ ვიცი, დამიჯერა თუ არა, მაგრამ, გადავდგით რამოდენიმე ნაბიჯი და
ვხედავ ამეკრა ისევ გვერდში.

- მოიცა! - შეუბნება და თან მეკვირის, - მითხარი რა, როგორი თვა-
ლით შემხედავს დღღამუნო? რას იტყვის? არ იფიქრებს, ამ შუალამისას ნუ-

ტყევი წამოიწია მოიყვანე ეს გოგონა, მოდი, დაეზრუნდეთ, რა! გესვენები, დაე-
ბრუნდეთ.

— ე, შენ არ იცნობ, დედაჩემი როგორია, წასვლას დაგვანებებს, გზა
ზე გამოსვლას ვერ მოასწრებ, რომ უძალვე იქ გახსდება, აი, სირცხვილი მბ-
შინ ნახე!

იმდენი კელაპარაკე, იმდენი კელაპარაკე, ცოტა ვგრძნობ ახლა უკვე ჩემს
ხელთა, ხელში ხელს ჩუქად მკიდებს და ისევ გვერდით მეკვრის, კაცმა რომ
თქვას, მეც, ცოტა არ იყოს, მეშინია, არ ვიცი, რას იტყვიან, როგორ შეგვხვ-
დებიან დედაჩემი და მამაჩემი?

— რომ იკოდე, როგორ მეშინია, როგორ უნდა დავუღვე წინ და ვუთ-
ხრა: მე ესა და ესა ვარა თქვენი შეილი მიყვარს-მეთქი.

— იცი რა, დედაჩემზე რაც ვითხარი, ყველაფერი ტყუილია, დედაჩე-
მი... მაგნაირები ახლა აღარ არიან, თითონ ნახავ, როგორ გაუხარდება შენი
მისვლა... შენ არ იცი, რა ქალია! წავიდეთ.

წერილი მაინც მოგვეწერა.

— თქ, შენც ამბობ, რა! რას შეუბნებოდი? — არაფრის გულისთვის,
წერილს თუ მისწერ, აღარ გამოვყვებო! არ დაგიჭერა და ხომ ხედავ...

— ვიცი, საზიზღარი ვარ... აი, შენ კი ძალიან მიყვარხარ!

— როგორც იქნა!

— რა, მოვედი?

— ძლივს არ მიიხარი, მიყვარხარო! — შეტევაზე გადავდივარ, — გა-
კაცებ, რა!

— გაგიყდი? — განზე იწევა, — სანამ შენს მშობლებს არ გავიცნობ,
გულშიაც არ გაივლო.

— ღმერთო, დიდებულო, ეგრე ხომ ჩამოვხმი! ჩქარა მაინც წავიდეთ...
აი, ჩვენი კაც გამოჩნდა.

— ჭიშკარს ხელს ვკრავ, ეზოში შევდივარ, ორ კბეზე ავდივართ და
კარზე ვაკაკუნებ.

ტუკ-ტუკ-ტუკ - — შესმის მისი გულისცემა.

შიგნიდან ნაბიჯის ხმა ისმის.

ჩემი გულის ცემაც შესმის.

ის ჩემს ზურგს ეფარება.

მე ხელს ვკიდებ და გვერდით ვიყენებ.

არ მხებდება, დამალვა უნდა.

— ვინ არის?

დედაჩემის ხმაა.

— მე ვარ! — ვპასუხობ ყრუდ და ვგრძნობ, გული როგორი ენითუთ-
ქმელი სიხარულით მეცხება.

დედა!

კარი იღება თუ არა, უცხად ხელში ამყავს და დედაჩემის წინ ვსვამ.

— აბა, რძალი მოგიყვანე...

კიდევ რაღაცის თქმა მიზნდა, მაგრამ ვერ ვასწრებ.

უცხად, ტკაც! და ისეთ სილას მაწნის, ჩემდაუნებურად ხელიდან ვუშ-
ვებ, თვალებიდან ნაპერწკლები მცვივა, ყველა, ყველა და, ამას კი არ მოვე-
ლოდი.

— ღირსია, შეილო, ღირსია, ახია მაგაზე!

ეგეც შენი დედა. ვხედავ, როგორ ალებს კარს და ოთახში შეყავს. მე კი სხვა რაღა დამრჩენია, ვდგავარ და გულს ვასკდები.

მამა მარანში მიდის ღვინის მოსატანად. ის კი ზის სუფრის რაგში, ცხვირი აუბზეკია და მე ზედაც არ მიყურებს. თითქოს დედაჩემს ვაღა მის მეტი არაფერ იყოს. სხედან და ლაპარაკობენ. თუმცა, თუც და ვერც ვხედავ დედაჩემს ლაპარაკობს, რაღას არ ეკითხება, რა რჩევას აღარ აძლევს.

- იქედან როდის გამოხვედი?
- მანქანა როგორ იშოვეთ?
- შენ რას შერებოდი, ბიჭო? თვალეები სადა გქონდა? შეიძლება გოგი ამდენხანს აშიმშილო?
- ოჰ, ამის ფეხებს შეხედეთ! ფეხშველა მოდიოდი? ახლავე დაგაბანინებ.
- აჰა. პირსახოცი!
- წყალზე გაიქეცი, ბიჭო, რას უდგებარ?
- ის რაღას აკეთებს ამდენხანს მარანში?
- მცოდნოდა მაინც, ნამცხვარს დაგახვედრებდით.
- ბრინჯას შეჭამთ? კვერცხებსაც მოგიხარშავთ.
- ფეხშველა როგორ გატარა?!
- გესმის ბიჭო?
- ...

არაფერიც არ მესმის. გაბრაზებული ვარ. მართლა გაბრაზებული ვარ. ის სუფრის თავშია გამოქიმული, სახეგაბრწყინებული დედაჩემს! გაფაციცებული უსმენს, მე კი ზედაც არ მიყურებს. მართლაც ერთი-ორჯერ კი გამომხედა გამარჯვებულმა. მაგრამ, რას იზამ — გაიმარჯვა! მე ვითომ ვერც კი ვამჩნევ...

- აი, ნახე, გაღეშილი მთვრალი თუ არ მოვა.
- ჩემოდნები სადა გაქვთ?.. როგორ თუ ცარიელები?! თქვენ კი შემოგველოთ ჩემი თავი!
- ესეც ასე... ბარემ ხახვიც დაჭერი!..
- წადი, ჭიქები მოიტანე!.. შვილო, აბა ერთი ნახე, რა იქნა. სად დაიკარგა მამაშენი. სულ წყლის ორი წვეთივით არაა ჰგავხართ ერთმანეთს!
- აი, მამაც! თავს განგებ იმაგრებს, ცდილობს გამართულად დადგეს, მაგრამ წვერი ამხელს — ერთიანად ღვინოში აქვს ამოვლებული.
- შლანგიდან დალიე, არა?
- მამა.
- ...

— კარგი, მერე მოგელაპარაკები! — ეუბნება დედა მამას, ახლა იმას მიუტრიალდა და, — აბა, შენ იცი, შვილო, მაგრად მოჰკიდე ამას ხელი! აი, ხომ ხედავ, სულ ასე მკცარად რომ არ ვეჭყუოდე...

მამა თვალს მიკრავს.

ის ისევ სუფრის თავში ზის. ახლა მამაზე აქვს მზერა მიპყრობილი და ვხედავ, მამაჩემიც საოცრად მოსწონს.

კიდევ უფრო ვიბერები.

განა იმ სილის დავიწყება შეიძლება?

ვდუმვარ.

ვდუმვარ.

მერე სტვენას ვიწყებ.

— შეიშალე, ბიჭო? — უკვირს დედაჩემს. — დუქანში ხომ არ გგონია
თავი?

ის კი სუფრის თავში ზის. ზედაც არ მიყურებს, მაგრამ ტუჩებში ჩუმ-ჩუმად
ჩუმად დაცინვით იღიმება, ეტყობა, მოსწონს, დედა რომ გვჩაგრავეს.
მას.

— გავრილ, მეავე რატომ არ მოიტანე? აბა, გაიქეცი!.. ჰო, სადაური
ხარ, შვილო?

ის სუფრის თავში ზის და მოკრძალებით უყვება დედას, ვინ არის და
საიდან არის. მომწონს მისი პასუხები — ოდნავ შეცბუნებული, ოდნავ შიშ-
ნარევი.

მე ვუსმენ.

დედაჩემის მოსმენა სავალდებულო არ არის; წინასწარ ვიცი, რას იკით-
ხავს. აი, ახლა მკითხავს: დიდი ოჯახი აქვთ თუ არა.

ა. ბატონო!

— დიდი ოჯახი გაქვთ? დედააა! ამდენი როგორ გაგზარდეს?

შემოდის მამა. წელანდელზე უფრო მეტად იღიმება, თვალები უბრწყი-
ნავს.

— ღმერთო ჩემო — იძახის დედა. — მთლად დამშვენებულხარ! წნილი სა-
დღაა?

მამა მღუმარედ უწვდის დოქს... მე მიყურებს და იღიმება.

ის სუფრის თავში ზის და ჩემს მშობლებს არ აცილებს თვალს. სახე თან-
დათან მომლიმარი უხდება. ვიცი, რაზეც ფიქრობს — მე და მამას მსგავსე-
ბაზე. იღიმება. მომწონს მისი ღიმილი. ჩუმ-ჩუმად ვესიყვარულები... ოღონდ
არ უნდა დავივიწყო, ნაწყენი რომ ვარ.

— მანდ რატომ ზიხარ? თუ განსაკუთრებულ მოპატიუებას ელოდები? აი,
სკამი. — მეუბნება დედა.

სუფრას ვუსხედვართ, უხვი სუფრაა.

მე მას მივჩერებივარ. მშიერი საწყალი, თვალები აქეთ-იქით გაურბის,
მაგრამ რცხვენია. აი, მეც შემომხედა; ჩემი მზერა უნდა დაიჭიროს.

ჭიქას ვცლი.

ერთსაც.

კიდევ ერთს.

— ოჰო, — ამბობს დედა. — ეს მამას დაეწევა! — და მისკენ ბრუნდე-
ბა.

— მოდი, ჩვენც მივუჭახუნოთ ერთმანეთს ჭიქები, შვილო.

მამასთან ერთად ვსვამ და საჭმელს მუსრს ვავლებ.

ახლა ის გამხიარულდა და შეკითხვებს აღარ ელოდება, თითონ ლაპა-
რაკობს. ღვინო თავისას შვრება. იღიმება და მხოლოდ დედას ელაპარაკება.
მე ერთ სიტყვასაც არ მეუბნება. თავი კვლავ ამაყად აქვს აწეული... თვა-
ლებიც უბრწყინავს... თითქოს ვერც კი მამჩნევს, ასე იყოს... ის თავისთვის...
მე ჩემთვის... აი, რალაც უთხრა მამას. მამამ უპასუხა. ორივემ გაიცინა... რო-
გორ მიყვარს მისი სიცილი, თავს უკან გადაიგდებს და იცინის, მერე ისევ
დედას უსმენს.

სუფრიდან ვდგები. დედა მაჩერებს.

— შენ ვაებატონო, ბოლო ოთახში დაწევი... შენ კი შვილო, კასა მარა-

ში, ახლავე გაგიშლი ლოგინს, ოღონდ კიდევ დალიე... კარგი ღვინოა... იხის...

ხმას არ ვიღებ.

ოთახიდან გამოვდივარ.

ბოლო ოთახში შუქს არ ვანთებ, ტანზე ვიხდები და ჩაწვევებზე ვიშოტებ. როდესაც ყველანაირი გამოკითხვა მთავრდება, როდესაც დედაჩემი მკასა მარაში აგზავნის დასაწოლად, როდესაც დედა იმ ოთახში ბრუნდება სადაც საერთოდ იძინებენ ხოლმე, ის თითისწვერებზე შემოდის ჩემთან საბნის ქვეშ მიძვრება... და მკოცნის. მკოცნის და კუბოს კარამდე სიყვარულს მეფიცება...

დაქანცულია და საოცრად ბედნიერია. იმასაც ვატყობ, რაღაცის შიშს არ აძინებს.

მეკითხება: სწორია თუ არა, რაც ჩემს თანასოფლელებზე ვუამბე გზამალობათ ხვალ შუადღემდე აპირებდა. ძილს, მაგრამ შიშობს, ვაი თუ ამბავს რაღაც საშინელი ჩვევა ჰქონდეთო.

— ნათესავეებმა დილაადრიაანად იციან მოსვლა?

— შენს სანახავად უთენია მოვლენ.

— ჰოო, ძილმორეული ამბობს და მეხუტება.

არა, ასე არ დავაძინებ.

— მარტო ნათესავეები კი არა, მთელი სოფელი აქ გაჩნდება!

და უფრო გემრიელად რომ იძინოს ვუმატებ:

— ...და მე შენ არ მიყვარხარ.

ყველაზე უარესსაც ვეუბნები:

— საშინლად მძულხარ!

...და ჩვენ ვიძინებთ.



ინგლისურიდან

თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ

შეყვარებულის ჩივილი

ვიდექ ბეჭობზე, იქვე, ვიწრო ხევის ხორხიდან
ისმოდა დაბლით ველთა ყველა სორტ-კუნჭულის
ფრთხილი ფაჩუნიც; უცებ რაღაც ბგერამ მომხიბლა —
ქალის ხმა იყო, ნაღვლიანი, უფრო ჩურჩული;
გამოჩნდა ისიც... დაკმუჭნული და დაკუჭული
წერილის ფურცელს ნაკუნ-ნაკუნ გზაზე ფანტავდა
და ქვითინებდა. იყო თბელი და კაფანდარა.

სახის ნახევარს ჩალის ქუდიხ ფრთა უჩრდილავდა,
ედო უდროო უბედობის დამლა მსახვრალი
და სხივიც აკლდა ღირსებისა თვალის ჩირაღდანს,
თუმცა ამასთან სილამაზის, დაუმარხავის,
ეშხსაც იგრძნობდით და სახეზე კვალსაც ნახავდით,
მაგრამ ყოველმხრივ ეტყობოდა, ნიჭმა ქალურმა
ხალისიცა და სიამაყეც დათმო მალულად.

ქალს ცხვირსახოცი, ზედ რომ რაღაც ნაყში ექარგა,
ხშირად მიჰქონდა ცრემლებისგან დამბალ თვალებთან —
ჩანდა, ოდესღაც გარჭობილმა გულში ეკალმა
გაანადგურა, გახდა ცივი და უკარება
და ახლაც, ასე მარტოდმარტო, ვერ იკავებდა
ცრემლს და მალიმალ დაჰყურებდა ხოლმე ცხვირსახოცს,
თითქოს ნუგეშად ბედმა მეტი არც აღირსაო.

ყამი-ყამ მისი ცეცხლოვანი მზერა საომრად
თითქოს იწვევდა ცის თავანსაც. მერე უაზროდ
მიწას დამზერდა და ცხრებოდა აქ გულზეაობა —
თითქოს სიფიცხის ნედლი ფესვი სუსხმა მოაზრო
და უცებ, თითქოს უმატებენ ცომს საფუარსო.

ეკიდებოდა შურისგების ცეცხლი მბუგავი
და გახედავდა კვლავ ქვეყანას დიდის მუქარით.



თმა უწესრიგოდ ჩამოშლოდა, თავმოწონებდა
ამაყი ხელი კარგა ხანი არ პატრონობდა
შერყეულიყო ძველი ალლო შეუცთომელი —
ორიოდ ფთილა ეშვებოდა თბემის ბოლოდან:
იმავე დარღმა და ტკივილის დაუცხრომლობამ
თავისი კვალი დააჩნია თითქმის სამოსსაც —
გამოარდა ყოველს ლამაზს და საამოსა.

მიდიოდა და წყალში ყრიდა მძივებს, გულქანდას,
სამაჭურს, მან რომ ძღვნად მიართვა და ქვითინებდა —
იოლად თმობდა, რაც ყველაზე მეტად უყვარდა —
ძუნწი ამგვარად მიდის ფულით სავსე პინებთან
და შიგ რკინის გროშს აგდებს ასე მოუფრთხილებლად,
თვითონ მონარქიც — ოლონდ მდიდარს, არა
მათხოვარს —
ძვირფას საჩუქარს ზუსტად ასე უგდებს რატომღაც.

სხვა ბარათებიც ამოჰქონდა ტყავის ჩანთიდან,
აკვირდებოდა უძვირფასესს ერთდროს სტრიქონებს
იმ გულისყურით, მერე გროშად რომ არ ჩათვლის და
იმ მწუხარებით, მერე მათ რომ არ მოიგონებს
და დავიწყების რკინის სკივრში ჩაჰკეტს თვითონვე —
კითხულობდა და ცხარე ცრემლებს, როგორც ნაკურთხ
წყალს,
აღვრიდა მათ და წყალში ყრიდა ნაკუწ-ნაკუწად.

აი, წერილიც, არა მელნით, სისხლით ნაწერი,
ასე ძვირფასი, ნაფერები თუ დაკოცნილი:
„ორპირო, რა ვქნა, აღარ მჭერა-სიტყვა არცერთი,
რა შავი გული გქონებია, რა გამოცლილი!“
და კიდევ რაღაც დააყოლა ენის ბორძიკით,
ბოლოს დახია ბარათი და ისიც მდინარის
აქოჩრილ ტალღებს მიანდო და ჰქმნა უჩინარი.

ნახირს მწყემსავდა ბერიკაცი მისგან მახლობლად,
ძველი არშიყი, ნაცხოვრები ერთდროს ქალაქად,
ჭრელ ჯამაათსაც, ეტყობოდა, ბევრს გადაყროდა
და სეფე-კაცთა შვილებთანაც ეამხანაგა; —
მოკლედ, არ იყო მისთვის უცხო სოფლის ქარაგმა —
შორიდან უხმოდ ჰმზერდა, ბოლოს გაკადნიერდა
და ქალს პირველმა უთხრა სიტყვა როგორც ხნიერმა:

„მითხარი, შვილო, გული ასე რამ აგატკივა? —
ჰკითხა მორჩილად. — მარქვი შენი უბედურების...“

მერწმუნე, ასე ჭირს უფრორე დაძლევე ადვილად, —
და შორიახლო მოკალათდა, ზრდილი ბუნებით
და კაცთა წესის ვით ერთგული და აღმსრულები.
მისმა ასაკმა და მოქცევამ ქალი კეთილად
განაწყობლოს და სიტყვაც კი გააბედვინა:



„მამაო, — უთხრა. — უბედობამ ხელი დამრია,
უკვე დედაბერს დავემგვანე ჯერეთ ყმაწვილი.
წლები კი არა, უბედობა ძლევს ადამიანს —
მე ამ ცხოვრების მწარე შხამით სავსე ბარძიმი
ადრე დავლიე და სიამეს ადრე დავცილდი.
ჩემი თავი რომ მყვარებოდა დღემდე მარტოდენ,
დღეს მეც მზეს უნდა შევხაროდე და შევნატროდე!

ადრე მივუგდე, მამაე, ყური, კაცის ვედრებას,
ვერ განვერიდე ცდუნებას და ხიბლის ყიამეთს,
რითაც სხეული გიჩანყდება და გიმხედრდება,
ერთადერთ სახლად მივიჩნიე ტრფობის სიამე
და სხვა ყოველი მივაგდე და გავიიაფე.
აღარაფერზე არ ვფიქრობდი გზას გადამცდარი
და ტრფობის სახლი სალოცავი გახდა ტაძარი.

სატრფოს ხვეული თმა და რბილი ღინღლი ბაგეზე,
რომელს აროდეს შეხებოდა სამართებელი
და ქალს რომელი უმიზეზო მტრობად აქეზებს,
მაგრამ იმავე ქალის გულის მამამებელიც —
გახდა თანდათან ჩემთვის დღიურ საფიქრებელი;
ბოლოს მომტაცა გულიცა და მთელი სხეულიც
და უკვდავების ნაპერწკალიც შიგ დამწყვდელი.

შეუმჩნეველი შავი წვერი ქვემოთ, ნიკაპზე
მიანიშნებდა დაკაცებას მისას ფარულად
და ხმობდა მამრის გაუბედავ ჯერეთ სიმკაცრეს;
მე კი, მის პატრონს, უძლომელმა თინმა ქალურმა
ხელუყოფელი განმგებლობით მასიყვარულა —
ერთს ვორჭოფობდი: ლამაზია იგი უწვეროდ,
თუ რეცეპტივით ხშირი წვერი გამოვუწერო?

სხეულთან ერთად ჰქონდა სულიც ულამაზესი —
ქალებთან ნაზი მეტყველება, მაგრამ ძლიერი
და ფეთქდებოდა ძალა იგი უცებ კაცებში
ვით მარტში სიო, ყვავილების სუნთქვისმიერი,
უეცრად ხდება უტიფარი და უდიერი;
ახალგაზრდული სიუხეშე ყრმას აიძულებს
ყინჩი სიმართლის მოსასხამით მორთოს სიცრუეც.

ახლა როგორი საოცარი გახლდათ მხედარი!
 ჯირითაც რარიგ უხდებოდა! და უცნაური
 ის იყო, კაცი ახელვბდა ცხენს ჩამეტანი ურჩუნუნული
 კინით, თუ გზნებას უკიდებდა კაცს ბედატყმბჭინჩინუნუნ
 აი, თუ გინდა გამოცანა და სასწაული! —
 ამბობდნენ, ცხენი აგიეებსო მხედარს, რამეთუ
 თვითონ მხედარი ახელვებსო პირუტყვს ხამეტურ.



და მუდამ იმით მთავრდებოდა ყველა კამათი,
 რომ თვითიული სამკაული, თუ რამ საგანი
 მსწრაფლ ივსებოდა სილამაზის მთელი გამათი,
 თუ მას ყმაწვილი ეხებოდა. — დიახ, სხვაგვარი
 ჩნდა მასთან ყველა — ნივთთაგანი თუ ხორცთაგანი!
 თვით უჩვეულო სილამაზეც მისით ზეობდა
 და იმის აზლოს სათნოებად ჩნდა უზნეობაც.

უჭირდა სიტყვაც ყრმობიდანვე კარგად განსწავლილს,
 აზრის სირთულე ვერ აბნევდა; ბასრი გონება
 სხვათა ფიქრსაც კი აღიქვამდა ნაუბარსავეით,
 რაც მოპაექრეს მსწრაფლ ჩუსხავდა და იმონებდა.
 აუგ სიტყვასაც იგი იქვე, დაუბრკოლებლად,
 გადააქცევდა სასაცილოდ და კამათიდან
 კეთილ აზრამდე მოიყვანდა დია მარტივად.

სულგანაბული ყურს უგდებდა ყმაწვილს მიტომაც
 ყრმა თუ მოხუცი და კაცი თუ მანდილოსანი.
 მის საამებლად თვითიული მისკენ იღტვოდა.
 ოღონდ კი ესვათ სიტყვა მასი ვით წყაროსთვალი
 და, რა თქმა უნდა, არც ის იყო გასაოცარი,
 რომ მის სამსახურს მათგან არეინ არ თაკილობდა
 მზად იყვნენ წყალი მოეტანათ საიქიოდან.

სურდათ, როგორმე ხელთ ჩაეგდოთ მისი სურათი,
 რომ დღედაღამე განუწყვეტლივ მისთვის ეცქირათ
 და შინ, მარტონი, დამტკბარაყვნენ გულის გულამდის.
 — სხვის ლამაზ ბაღს თუ ვილას ასე უჭკრეტს მეტწილად
 უქნარა კაცი, ბედსაც ასე ელის ზეციდან
 კეთილდღეობა თუნდაც წამით იგრძნოს ოღონდაც
 და გაუტოლდეს ბედნიერთა რჩეულ კოპორტას.

ყველა ქალიშვილს უცილობლად სწამდა რატომღაც,
 რომ მას, მარტოდენ მას ეტრფოდა იგი ყმაწვილი
 რას ვიფიქრებდი, რომ გუჟანი მეც მღალატობდა.
 ვერც გრძნეულება ვერ შევნიშნე მასში მაგილისი,
 თვითონ მივედი მასთან მფრთხალი და ქანცგაყოლილი.

თვალი სულ უფრო მაცდუნებდა, მალე

გრძნულ ბაღეში გავეხვით ესე მაჩხურო

სიცრუის



ეროვნული

ბიბლიოთეკა

არ მსურდა, სხვებს რომ ვგვანებოდი — არ ვესწრაფოდი
მასთან შეხვედრას, რაც შემეძლო, თვალს ვარიდებდი.

სულ შინ ვიჯექი, ანდა ვეგდე ლოგორც ნაფოტო:

ასე მერჩივნა, მოვიკრებდი ძალას ვიდრემლის.

მაგრამ უბედურს აზრი მაინც შემრჩა იმდენი,

რომ ჩავმწვდარიყავ მის მეორე, მზაკვრულ ბუნებას

და დამეტორა ბედი უკან მიუბრუნებლად.

ეჰ, სხვისი ჭირი გაკვეთილად ვის გამოადგა,

ანდა ტკივილმა სხვისმა ქვეა რომელს ასწავლა,

რომ ერთხელ მაინც შემდგარიყო ტკბილ სატყუართან,

რაც მისთვის მალე გადიქცევა მწარე სამსაღად,

დაძვარგავს იმედს და გახდება ქვეყნის მასხარა?!

სხვისი რჩევა და გაკვეთილი წამით გვამშვიდებს

და წაშის შემდეგ კვლავ თავს ვიხრჩობთ ვნების ზღვაშივე.

ვისაც ტრფობა ჰქვავს და მხურვალე სისხლი აწვალავს

ის არც შეიგნებს შეგონებას სხვისას აროდეს,

თავს მოიტყუებს და ეწევა მაინც საწადელს,

დღედაღამ ივლის, ვით მწყურვალე მადის წყარომდე

ამდროს არცერთი ბრძნული სიტყვაც აღარ ეპაროდეს —

და სატყუარიც რაგინ იყოს საბედისწერო,

მაინც იგემოს გემო მისი და განისვენოს.

მე ხომ ვიცოდი, თუ ის რარიგ იყო გულცივი,

რარიგ ართობდა ქალის ცრემლი და საფიქრალი —

ლომს სიამოვნებს უბადრუკი ძალვა ქურციკის

ეინს ჰმატებდა და ახლებდა მზერა მიმქრალი

და უგრძობელი იყო ამ დროს ვითარ ფიქალი

მის წერილებშიც თავიდანვე ამ შეუცხოებად

ეინჩობასა და გულქვაობას ვგრძნობდი უცდომლად.

მტკიცედ ვიდექი და მჭეროდა ჩემი სიმართლის,

ის კი ყოველთვის ვითარ ბავშვი თავს მამრალეზდა:

„მთელს ჩემს სიცოცხლეს, არსებობას შენ ერთს

გამადლო.

აწ, ველარ დაგთმოს გულმა ჩემმა, ჩემმა თვალებმა

რად ხარ, ძვირფასო; ასე ეუშტი და უკარება.

ბევრმა მაწვია ტრფობის ზეიმი, მაგრამ მარტოდენ

შენ ერთს მოგტირი — გვედრებო, ჩუ მიმატოვებ!

მე გლალატობდი, მაგრამ ცუდად ნუ განმიკითხავ —
 ყმაწვილს სხეული მაცთუნებდა, სული ყოველთვის
 შენსკენ იწევდა — მე ხომ ქალის ვნება მიკვირდა!
 თანაც მართობდა ქორები და მიეთ-მოეთი. *ეჩქუნულნი*
 — ნიადაგ მწამდა ჩემს მეგობარს შენში *გჭრავდოდოდოდოდ*
 ცოდვებს ქალები ეძიებდნენ თავგამოდებით,
 ჰოდა, მათვე ზღან, საყვარელო, ჩემი ცოდვებიც!

ბედმა მრავალ ქალს გადამყარა, მაგრამ ვერცერთი
 ვერ მივიჩნიე გულისსწორად, სულის მეგობრად.
 არეინ არ იყო შენი მსგავსი, მე შენ გეძებდი,
 უცხო ხდებოდა ისიც, მე რომ ჩემი მეგონა —
 თავგზა ამებნა და შემიბყრო უიმედობამ.
 და ასე სულმთლად მარტო დავრჩი თანდათანობით,
 სიწმინდე მწადდა. გაცრუებას მწარედ ვნანობდი.

აი, შეხედე — ეს ლალია, ეს მარგალიტი,
 ტრფობის ნობათი სამახსოვრო გახლავთ ორთავე; —
 რა უმანკოა მარგალიტი, რა მიამიტი,
 ლალი კი — ჩვილთა სიწმინდესთან ვითარ მოდავე!
 და ერთი ცოდვით ორთავენი მაინც სცოდავენ,
 სდუმან და მაინც ქალის უღირს და დამამცრობელ
 გულისთქმასა და სიმდაბლეზე ლაპარაკობენ.

ჰა, ლამაზმანთა კულულებიც — ქერა, მზისფერი,
 თაფლისფერი და გიშრისფერი — ქალი რამდენი
 მჩუქნიდა ამ თმებს, ქერქეტიც და დარბაისელიც.
 ზოგს ძვირფასი ქვა თან მოსდევდა, ზოგს კი — ბაფთები
 და ყველა მათგანს მაინც ერთი ჰქონდა სათქმელი,
 დიახ, ერთ მიზანს მსახურებდა, ერთ აზრს მამცნობდა
 სიღარბაისლევ, სილამაზეც და თვალთმაქცობაც.

ჩემდამი მოძღვნილ სტრიქონებში ზოგი სმარაგდას
 ასხამდა ხოტბას, ზოგი — აღმასს, როგორც უცოდველს,
 ქება საფირონს, ნეტარების ქვასაც, არ აკლდა,
 ბევრნი კი გიშერს, ავისმთრგუნველს, თანაუგრძნობდნენ
 და გამოდნენ აქატს ვით სიშორეს და სიუცხოვეს.
 ტრფობა, განცხრომა, მოგონილი პატიოსნება —
 აი, საითკენ პტრენდა ყველა მათი ოცნება.

მიიღე თვლები, ულამაზეს ქალთა ვნებიან
 გულებს რაც ჩემთვის გაუღიათ დაუფიქრებლად.
 ღმერთია მოწმე, არასოდეს არ მდომებია
 ის, რაც წამიერ გაცრუვდება და განიმქვრევა.
 — შენა ხარ ჩემი დედოფალი, ჩემი ფსიქეა.

შენა ხარ ჩემი დასასრულიც ბინდით ბურული,
მე ტყვე ვარ შენი და მლოცველი შენზე ქურუმი.



ქართული
ბავშვთა კავშირი

გამომიწოდე ხელი შენი, ჩემო ქალღმერთო, —
წმინდა მშვენება, სინატიფე ყოვლად უზადო,
რომ გული ჩემი ჩავაბარო და შევავედრო,
რომ ბედი ვანდო და ცხოვრების გზა დავუსართო —
სულს ამ ხელს ვწირავ უყოყმანოდ და უსათუოდ,
თუ რამ განძი და ნადავლიც მაქვს, თუ რამ ნაძარცვიც,
მომიზიდავს და დამიყრია შენს დიდ ტაძარში —

ესე ბეჭედი მისახსოვრა მე მონაზონმა,
ქალმა ლამაზმა, უცოდველმა და ღვთისმოსავმა
და მას, სასახლის ვით სეფექალს, კარგად ახსოვდა
სიამეც, ტრფობაც, ზარზეიმიც, ხოტბაც მგოსანთა
და შურიც — ბევრი რამე ნახა და გამოსცადა,
მაგრამ უარყო წუთისოფლის ყველა საცთური
და აირჩია სიწმინდე და ყოფა ტაძრული.

მაგრამ, მერწმუნე, არ ეთვლება მოკვდავს დიდებად
დათმოს ის, რაიც არ ეკუთვნის, ანდა ნიადაგ
საცთურს, რომელიც არ არსებობს, განერიდება —
ეს კეკლუცობას, უღირს თამაშს უფრო მიაგავს
და ადამისშვილს აკნინებს და ამცრობს დიახაც.
— რა ბედენაა, გაიმარჯვო თითქმის უომრად,
ანდა გაქცევით აჩუმათო შენი ღრძუობა.

მე გევედრები, მაპატიო, მწარე სიმართლე —
ის ჩემი, გახდა: ჰო, რა დღესაც უცებ იღბალმა
მას გადაწყარა, ყველაფერი მოხდა იმავ დღეს —
განუკითხავად სეფექალმა რაც გადიყვარა,
კვლავ იმას დაჰყვა, კვლავ იძალა გვამმა მიმხმარმა
და რაც საკანში მარხულობით თითქოს დაკნინდა,
სწორედ იმ ძალამ გამოდევნა იგი საკნიდან.

მხოლოდ შენშია მაღლი იგი ბედის მძლევაარი!
ყოვლისმპყრობელმა ღვთაებრივმა ხელმა განგების
გულს ჩამაწურა სიყვარულის მწიფე მტევანი —
მე უპოვარი შენსკენ ვილტვი სანთელ-საკმეველით
და ვით რუ მცირე შენს უძირო ზღვაში გავქრები.
მომხედე ბედშავს, განირიდე გულით სიცივე
და ვითარ მსხვერპლი ღვთით მიმიღე და შემიწირე!

მე გავადვივე მონაზონში ცეცხლი უქრობი
და, ვითომ ერთობ გულუბრყვილომ და უცოდველმა,
განალო ბქენი სამარხვონი და საუქმონი

და მას მყისიერ დამორჩილდა, რაც აბოდებდა,
 ლოცვა ქალწულის მოაქცია ქერივის გოდებად
 ო, სიყვარულო, რა ლოცვებით მოიგუდები,
 რომელმა მარხვამ განამტკიცოს შენი ზღუდრეწესელი
 გიზღინოთქვა

სადაც შენ მეფობ, შიში ქრება, დნება გონება,
 ცრუვდება გმირის სახელი და მეფის პატივი,
 სხვისი ქირის და სატკივარის არც გაგონება
 არ გინდა, მიწა მოგრთმევეია ერთს ნობათივით
 და ყოფა შენი იოლია, განსჯა — მარტივი,
 ერთი ღიმილიც გიმსუბუქებს უღელს ცოდვილის
 და მყის გეხსნება ღრჯუ გულიდან დარდი ლოდივით.

ყველა სურვილი, დედოფალო, ყველა გულისთქმა,
 გული ჩვილი და მწყალობელი, გული ნატკენი —
 აღზევებული თუ ძლეული სიყვარულისგან —
 ერთ რამეს ამბობს, ერთი გახლავთ მათი სათქმელი,
 ჰოდა, ნუ შესცვლი სჯულს კაცისას, ნუ გადადგები
 მოკვდავის გზიდან, ყურად იღე ჩემი ვედრება,
 რაც ლამის უკვე უხორცოთა ყივილს ედრება!“

თქვა და დადუმდა, მიებუჟა თვალში ნათელი
 და ქანცგამოცლილს უცებ ცრემლი წასკდა ნიაღვრად
 ვითარ სიწმინდის, სიწრფოების გამომხატველი —
 ასე მიჩინა თავი თვისი მისმა წიაღმა
 და განიმრავლა კვლავ მშვენება და განიახლა —
 სახის აღმური ცრემლის მწუთხე ცვარში ვითარცა
 კდებმა ვარდისა კრძალულებით გამოვითარდა.

რა ძალა არის კაცის ცრემლში! — მის წინ გრანიტის
 ქალიც მარცხდება, წყლად იქცევა გულის ყინულიც —
 შემკრთალი ქალი ჯერ სინდისის ქენჯნას
 განიცდის,

მერე კი მისი გაკიცხული და განგმირული
 გულის სიღრმიდან სიყვარულის მოჩქეფს ბინული —
 კიდევ ჰგმობ თითქოს და იმავ დროს უფრო იბრალეზ,
 ეს არის ჩვენი სისუსტე და ჩვენი სიბრმავე.

ის ამ დროს უნდა შემხებოდა — უცებ წამიერ
 თითქოს გამერღვა ფეხქვეშ მიწა, მომწყდა მუხლები
 და ჩემი სითბოს მისხი მაშინ მოვაპარინე.
 და ავქვითინდი უნებურად ვით განუყრელი
 მეგობარი და მაშინ ვიგრძენ რაღაც უღელიც —
 მან უცებ ცრემლებს გაურია მწარე სამსალა
 და სითბოსა და სიღბოსაგან უცებ გამცალა.



დიდი მზაკვარი ვინმე იყო, დიდი თაღლითი,
 ნიღბებს იცვლიდა სულ იოლად, ლამის წამიწამ,
 იგი უმიზნოდ ცრემლს კი არა, წყალს არ დაღვრიდა
 და ერთი წამით მეც მოვტყუვდი, წამით წამიცდა
 ფეხი და უცებ პირი მიყო მეც დედამიწამ —
 ჯერ იცინოდა, მერე დუმდა; მერე ჰგოდებდა,
 ხან თვალს ნაბავდა და ჰკარგავდა უცებ გონებას.

ვინ გაუძლებდა ასეთ ქაჩს და ასე მშვენიერს?!
 — ბოროტი იყო, მაგრამ ხშირად ჩანდა კეთილი —
 მიტომ ეგოდენ თვალთმაქცობას ვერ მოვერიე —
 მარცხშიც უდავოდ ზეიმს ჰკრეტდა, სისხლდაწრეტილიც
 უღვთოდ იბრძოდა და არ ჰქონდა ბრძოლას წერტილი.
 იხრუკებოდა ვნების ცეცხლში, მაკდურ ფრფინავდა
 ვითარ ავსული, მაგრამ ჰგავდა ცათა ბინადარს.

— ქერუბინს ჰგავდა ყოვლად წმინდას, გამოუცდელი
 ყოველი ქალი წარიწყმედდა სულს უცილობლად
 და ქალწულებრივ ნაშენები ძრწოდნენ ფუძენი.
 სულის დათრგუნვას მისი სახით ერთად ცდილობდა
 ეშხი, გონება, რისკი, სიტყვა და ყმაწვილობა —
 ჰო, მეც დავმარცხდი, მაგრამ მის ხიბლს ვითარ
მაწყევრის
 ცთუნებას ახლაც კვლავ დავყვები და დავმარცხდები!

ო, თვალთმაქცების მწუთხე ცრემლო, ჰოი, ლიტონი
 სიტყვის სამსალავ, დათაფლულო გველის ნესტარო,
 ცბიერო მზერავ, სულ რომ ასე უცებ ითრობი,
 მზაკვრობავ, შხამო უკეთურთა გვამთა თესლთაო —
 ამდენი მტრობა და სიცრუე არ მოგბეზრდაო?! —
 თქვენი მოდგმიდან არც ღირსება, არც უბიწობა,
 არც სიბრაღული აქამომდე არვინ იცოდა!





გ ე რ მ ა ნ უ ლ ი დ ა ნ

თ ა რ გ მ ნ ა დ ა მ ი თ კ ა კ ა ბ ა ძ ე მ

ვ ა ჟ ი შ ვ ი ლ ი

ე ქ ი მ ის ჩ ა ნ ა წ ე რ ე ბ ი დ ა ნ

უ უაღამეა, მე კი ჯერ ისევ საწერ მაგიდას ვუზივარ. არ მასვენებს იმ უბედურ ქალზე ფიქრი... ვიხსენებ ბნელ ოთახს ძველ-მოდური სურათებით; საწოლს მეწამული გადასაფარებლით, რომელზეც იგი დაეწვინათ, მის ფერწასულ სახესა და სანახევროდ დახუჭულ თვალებს. მოლუშული, წვიმიანი დილა იდგა. ოთახის მეორე კუთხეში კი, სკამზე, ფეხიფეხგადადებული, ჭიუტი გამომეტყველებით, ის იჯდა, მისი წყვეული ვაჟიშვილი, დედაზე ნაჯახი რომ აღმართა... დიახ, ასეთი ადამიანებიც არსებობენ და ყველა მათგანს გიყსაც ვერ დაარქმევს კაცი. დავაკვირდი ამ ჭიუტ სახეს, ვცადე რაიმე ამომეკითხა მასზე. ბოროტი, გაფითრებული პირისაზე, არცთუ უშნო, არცთუ უაზრო, სისბლგამოცლილი ტუჩები, ჩაშავებული თვალები, პერანგის დაქმუჭნულ საყელოში ჩამალული ნიკაპი, თხელი ყელსახვევი, რომლის ერთ ბოლოს იგი გამხდარი თითებით აწვალებდა. — ასე ელოდა პოლიციას, რომელსაც უნდა წაეყვანა. ამასობაში კი კაცი, ვისაც მისი ყარაულობა დაევალა, გარეთ, კარს უკან იდგა. უბედურ დედას საფეთქელზე ჭრილობა გადავუხვიე; საბრალო უგონოდ იწვა. მერე ავადმყოფი მეზობლის ქალს გადავაბარე, რომელმაც მასთან დარჩენა ითავა. კიბეზე შემომხვდნენ ქანდარმები, დედის მკვლელის წასაყვანად რომ მოსულიყვნენ. ქალაქის გარეუბანში მდებარე ამ სახლის ბინადარნი ძლიერ აღელვებულნი ჩანდნენ; ისინი ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ სადარბაზოს კართან და ამ სამწუხარო ამბავზე მსჯელობდნენ. ზოგიერთებმა მეც მკითხეს, ზემოთ როგორ არის საქმე და დაჭრილის გადარჩენის რაიმე იმედი თუ რჩებაო. გადაჭრით ვერაფერი ვუპასუხე.

ერთმა ჩემმა ნაცნობმა, არცთუ მთლად ახალგაზრდა ქალმა, იმ პატარა მოხელის ცოლმა, უწინ დროდადრო რომ ვმკურნალობდი ხოლმე, სხვებზე მეტი ხნით გამაჩერა. ქალი კიბის მოაჯირს ჩამოყრდნობოდა და სრულიად განადგურებული ჩანდა. „ეს ყველაფერი გაცილებით უფრო საზარელია, ვიდრე თქვენ გგონიათ, ბატონო ექიმო!“ თავის ქნევით მომმართა მან. „უფრო საზარელი?“ ვკითხე მე. — „დიახ, ბატონო ექიმო! რომ იცოდეთ, როგორ აღმერთებდა თავის შვილს!“ — „აღმერთებდა?“ — „დიახ, ანებივრებდა, ხელის გულზე ატარებდა“. — „იმ არამზადას?! კი მაგრამ, რატომ?“ — „მართლაც რატომ!.., იცით, ბა-

ტონო ექიმო, ბიჭი ბავშვობიდანვე უზნეო იყო. მაგრამ დედამისი ყველაფრის ნებას აძლევდა... ყოველგვარ უმსგავსობას პატიებდა... მეზობლები შირად ვაფრთხილებდით. ეგ უსაქმური ჯერ სულ პატარა იყო, სასმელს ვერც კი უყვარდა, მერე კი, როცა წამოიზარდა... აი, მაშინ დაიწყო ეს ამბები!" —
 — „ერთხანს ვითომ საქმესაც მოჰკიდა ხელი, მაგრამ მალე სამსახურის დატოვება მოუხდა!“ — „მოუხდა?“ — „ღიაბ, რა აღარ იკადრა! თავისი უფროსიც კი გაქურდა... ფულის დაბრუნება დედას მოუწია, ამ საბრალო ქალს, ისედაც ძლივს რომ ირჩენდა თავს!“

„სადმე თუ მუშაობდა?“

„კერავდა და ქსოვდა; მეტად მწირი შემოსავალი ჰქონდა. ბიჭი კი, დაბმარების მაგივრად, იმ ოფლით მოპოვებულ მცირედ თანხასაც ართმევდა და დუქნებში, თუ ღმერთმა იცის კიდევ სად, ხარჯავდა. თუმცა ესეც არ აკმარა. დანახანგალი, ჭურჭელი, ორი თუ სამი სურათი, კედლის საათი, თითქმის ყველაფერი, რაც დალურსმული არ იყო, ლომბარდში დააგირავა...!“

„დედა კი ამას ითმენდა?“

„ითმენდაო?! — კიდევ უფრო მეტად უყვარდა შვილი! მეზობლებს გვიკვარდა კიდევ... მერე იმან ფულიც მოინდომა... დედამ ყველაფერი მისცა, რაც კი ებადა... დაემუქრა, გინდა თუ არა, ფული მომეცით!“ —

„საიდან იცით ეს ყველაფერი?“

„ერთ სახლში ვცხოვრობთ, ერთმანეთის ამბავს ვგებულობთ. მისი ღრიპალი მთელ სადარბაზოში ისმოდა ხოლმე, ხოლო თუ ღამით ან კიდევ დღისითაც ნასვამი დაბრუნდებოდა შინ, კართანვე მოჰყვებოდა ყვირილსა და ლანძღვაგინებას. საბრალო ქალი სულ ვალებში იყო ჩაფლული: პური რომ პურია, ზოგჯერ ისიც არ ჰქონდა შინ... დროდადრო მეზობლები ვუმართავდით ხელს, თუმცა არც ჩვენა ვართ მდიდრები. მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა. ქალი თითქოს სიყვარულმა დააბრმავაო. ყველაფერს მხოლოდ და მხოლოდ ცელქი ჰაბუკის ოინებად მიიჩნევდა; ზოგჯერ, როცა მისი შვილი ღამით ბრახაბრუნით აღიოდა კიბეზე, ჩვენთანაც მოიბოდიშებდა ხოლმე. აი, ასეთი შვილი ჰყავდა ამ ქალს, ბატონო ექიმო. — მაგრამ საქმე აქამდე თუ მივიდოდა...“ და საზარელი ამბის მოყოლა დაიწყო: „დღესაც მხოლოდ გამთენიისას დაბრუნდა შინ; გავიგონე, ჩვენი ბინის შესასვლელთან როგორ წამოჰკრა ფეხი კიბის საფეხურს, თან ჩახლეჩილი ხმით რალაცას ღიღინებდა. ჰოდა, ზემოთ, ეტყობა, ისევ ფული მოითხოვა. კარი არ დაუკეტავს — წარმოიდგინეთ, მისი გამძვინვარებული ხმა მეოთხე სართულიდან ჩვენამდე აღწევდა, მეორე სართულამდე. მერე კი უცებ კივილი მოგვესმა. შემდეგ კიდევ ერთხელ, ხალხი ზემოთ აცვივდა და იქ ეს სურათი დახვდა. ის თურმე იდგა გახევებული და მხრებს იჩეჩდა...!“

წასვლა დავაპირე. უკნიდან მძიმე ნაბიჯების ხმა შემომესმა. დედის მკვლე-ლი მოჰყავდათ. კიბის ბაქნებზე კაცები, ქალები და ბავშვები შეგროვილიყვნენ, მკვლელს თვალს არ აცილებდნენ; ერთი სიტყვაც არავის დასცდენია. დერეფნიდან გასასვლელისკენ გავუხვიე, კიბე ჩავიარე, სახლიდან გავედი და უსიხარულო ფიქრებით დამძიმებული ჩემს ყოველდღიურ საქმეს შევუდექი. შუადღე ახალი გადასული იყო, როცა იმ დაწყევლილ სახლში დაებრუნდი; დაშავებული იმავე მდგომარეობაში დამხვდა, როგორც დავტოვე, გონწასული, მძიმედ სუნთქავდა. მომელელმა ქალმა მიაამბო, თქვენ არყოფნაში სასამართლო კომისია მოვიდა და მომხდარის გამო ოქმიც შეადგინაო. ოთახში ისე ბნელოდა, რომ სანთელი ავანთებინე და საწოლის თავთან პატარა მაგიდაზე დავადგ-

მევიწიე... ო, რა უსასრულო ტანჯვა იყო გამოხატული ამ მომავლად სახეზე... ავადმყოფს შეკითხვა დავუსვი. მას მოუსვენრობა დაეტყო. დაიკვნესა და თვალიც ოდნავ გაახილა. ლაპარაკის თავი არ ჰქონდა. დავარდნიე, რა უნდა ექნა და იქაურობას გავშორდი... საღამოს, ავადმყოფთან რომელიმე მომეჩვენა, თითქოს საბრალო ქალი ცოტა მომჭობინებულყო. როცა ვკითხე, თავს როგორ გრძნობთ-მეთქი, მიპასუხა კიდევ: „უკეთ...“ და გალიმება სცადა. თუმცა უმალ ისევ დაკარგა გონება...

დილის ექვსი საათია! —

შუალამისას — ის იყო ჩემს დღიურში ბოლო სტრიქონი ჩავწერე — კარზე დაკინებულნი რეკვა გაისმა... ფრაუ მარტა ებერლაინი — ასე ერქვა მძიმედ დაჭრილს — ჩემთან შეხვედრას ითხოვდა. ამის სათქმელად მეზობლის ბიჭი გამომიგზავნეს; ახლავე უნდა წამობრძანდეთო, ახლავე, ახლავე... ალბათ სიცხემ თუ აუწია, ან იქნებ აღსასრულიც მოახლოვდა... ბიჭმა არაფერი იცოდა; გარდა იმისა, რომ დრო არ ითმენდა.

ბიჭს ფეხდაფეხ გავყევი და ქირურგიული ჩანთით ხელში სასწრაფოდ ავირბინე სახლის კიბე. ბიჭი ქვემოთ დარჩა, ხელში წვრილი სანთელი ეჭირა, რათა ჩემთვის გზა გაენათებინა. ბოლო საფეხურები უკვე ღრმა სიბნელეში ჩამალულიყო, მხოლოდ გზის დასაწყისში მიმიძღვებოდა მჭრქალი მოციმციმე შუქი. მაგრამ ავადმყოფის ბინის ნახევრად გამოღებულ კარიდან სინათლის სხივი შემომეგება. ბინაში შევედი და წინკარის გავლით, რომელსაც, ეტყობა, სამზარეულოდაც ხმარობდნენ, სასტუმრო ოთახში აღმოვჩნდი. მომვლელი ქალი ჩემი ნაბიჯების გაგონებაზე წამომდგარიყო და ჩემ შესახვედრად წამოსულიყო. „რა მოხდა?“ ჩურჩულით ვკითხე... „თქვენთან ლაპარაკი სურს, ბატონო ექიმო!“, მიპასუხა.

უკვე საწოლთან ვიდექი: ავადმყოფი გაუნძრევლად იწვა; თვალები ფართოდ გაეღო; მზერა მე მომაპყრო. მერე ჩუმად წარმოთქვა: „გმადლობთ, ბატონო ექიმო — გმადლობთ!“ ხელი მოვკიდე; მაჯისცემა ცუდი არ ჰქონდა, საღპარაკოდ მხიარული კილო ავირჩიე. რომელიც ექიმებს, მოგებსენებათ, მუდამ ენის წვერზე უნდა გვექონდეს მაშინაც კი, როცა სულაც არა ვართ საამისო გუნებაზე. „მაშ, როგორც ვხედავ, უკეთ გრძნობთ თავს, ფრაუ ებერლაინ, მეტად მოხარული ვარ!“

მან გამიღიმა. „დიახ, უკეთ — და თქვენთან საღაპარაკო მაქვს...“

„მართლა?“ ვკითხე მე — „ყურადღებით გისმენთ!“

„მხოლოდ თქვენთან!“ —

„ცოტა ხანს დაისვენეთ!“ მივუბრუნდი მომვლელ ქალს.

„გარეთ!“ დასძინა ავადმყოფმა.

მომვლელმა კიდევ ერთხელ შემომხედა, თითქოს სურდა რაღაც ეკითხა, რის შემდეგაც ოთახიდან გავიდა და კარი ფრთხილად გაიხურა. ავადმყოფთან მარტო დავრჩი.

„გთხოვთ!“ თქვა მან და თვალებით მიმითითა სკამზე, რომელიც ფეხებთან ედგა. მე დავჯექი, ქალისთვის ხელი არ გამიშვია და სკამი უფრო ახლოს მივწიე, რათა უკეთ გამეგო მისი საუბარი.

საკმაოდ ხმადაბლა ლაპარაკობდა. „ბატონო ექიმო“, დაიწყო მან, „ასე მოურიდებლად იმიტომ დაგიბარეთ, რომ აუცილებლად უნდა გელაპარაკოთ!“

„ბრძანეთ, ჩემო ძვირფასო!“ ვთქვი მე... „ოლონდაც თავს მეტყველებდა დაატანთ ძალას!“

„ო, არა... მხოლოდ რამდენიმე სიტყვას გეტყვით... თქვენ ისტყველებდით ნათ, ბატონო ექიმო!“

„ვინ?“

„ჩემი შვილი!“

„ჩემო ძვირფასო ფრაუ ებერლაინ“, მივუგე აღელვებულმა... „თქვენ ხომ მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ ეს ჩემს ძალას აღემატება!“

„ო, თქვენ ეს შეგიძლიათ, თუ ქვეყანაზე სამართალი არსებობს...“

„ძალიან გაბოვთ, ნუ აღელდებით... მე შესანიშნავად ვგრძნობ, რომ თქვენს მეგობრად მიგულეთ და მადლობასაც გიძღვნით ამისთვის; მაგრამ მე ხომ თქვენი ექიმოც ვარ და უფლება მაქვს, ცოტა რამ გიბრძანოთ კიდევ. ასე არ არის? — გაბოვთ, დამშვიდდეთ! ახლა მთავარია სიმშვიდე!“

„სიმშვიდე...“, გაიმეორა მან, ტკივილმა თვალებსა და პირთან ნაკვთები აუთრთოლა... „ბატონო ექიმო — კარგად უნდა მომისმინოთ... თორემ აუტანელ ტვირთად მაწევს სათქმელი!“

ჩემს მდუმარე სახეზე ქალმა, ეტყობა, თანხმობა ამოიკითხა, ხელი მაგრად მომიჭირა და დაიწყო:

„ის არ არის დამნაშავე — ან უკეთ, ნაკლებად დამნაშავეა, ვიდრე ხალხს შეიძლება ეგონოს. მე კუდი, საზიზღარი დედა ვიყავი...“

„თქვენ?“

„დიახ, მე... მე ბოროტმოქმედი ვიყავი!“

„ფრაუ ებერლაინ!“

„ახლავე ყველაფერს აგიხსნით... მე ფრაუ ებერლაინი არა ვარ... მე გახლავართ ფროილაინ მარტა ებერლაინი... ხალხს ქვრივი ვგონივარ... არა, ვინმეს მოტყუება არასოდეს მიცდია, მაგრამ ყველასთვის ხომ არ შემეძლო ჩემი თავგადასავალი შეამბნა...“

„კეთილი... მაგრამ განა შეიძლება ეს ყოველივე დღესაც ასე მწარედ გტანჯავდეთ?“

„ო, ეგ არა! უკვე ოცი წელია, რაც მიმატოვეს... მიმატოვეს ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე ჩემი შვილი დაიბადებოდა, ჩემი და მისი შვილი, და მაშინ... მხოლოდ უბრალო შემთხვევის ბრალია, რომ დღეს ის ცოცხალია, ბატონო ექიმო, რადგან... მე მისი მოკვლა მსურდა პირველ დამეს... გიკვირთ?... სრულიად მარტო დავრჩი, უიმედო და სასოწარკვეთილი... თუმცა, რად მინდა თავის მართლება... ავიღე საბნები და სხვა თეთრეული და ჩვილს დავაყარე, ვიფიქრე, გაიგუდება-მეთქი... მერე, დილაადრიან, თეთრეული ძრწოლით გადავხადე... და ბავშვი საწყლად კვნესოდა! დიახ, კვნესოდა — და სუნთქავდა — ცოცხალი იყო!“ იგი ატირდა, საბრალო ქალი, მე ენა წამერთვა, მან კი მცირე ხნის დუმილის შემდეგ განაგრძო:

„ბავშვი თავისი დიდრონი თვალებით მომაცქერდა, თან გაუთავებლად კვნესოდა! ხოლო მე ამ პატარა არსების წინაშე, ერთი დღეც რომ არ შესრულებოდა, შიშის ქრუანტელმა დამიარა ტანში... ნათლად მახსოვს, ალბათ მთელი საათი ვიდექი ასე, მივშტერებოდი და ვფიქრობდი: რა საყვედურით გიცქერს! იქნებ მიგიხვდა კიდევ, რასაც უპირებდი, და ახლა ამისთვის გსაყვედურებს, იქნებ უკვე მეხსიერებაც აქვს და მაშინ არასოდეს, აღარასოდეს გაპატივებს... ეს პატარა არსება თანდათან იზრდებოდა — და მის დიდრონ ბავშვურ

თვალეებში მე სულ ერთსა და იმავე საყვედურს ვხედავდი: როცა პაწაწინა ხე-
ლებს სახეზე მომითათუნებდა, ვფიქრობდი: დიახ, შენი დაკარგული სურს, ცდი-
ლობს შური იძიოს, რადგან კარგად ახსოვს თავისი ცხოვრების პირველი დამე-
როცა შენ იგი საბნების ქვეშ ჩამარბე...! — მერე ბავშვმა დაიწყო, და-
იწყო ლაპარაკიც. მე კი იმ დღისა მეშინოდა, როცა მართლაც ისწავლიდა ლაპა-
რაქს. მაგრამ ეს როგორღაც თანდათანობით მოხდა — ნელა და თანდათანობით.
— სულ ერთის მოლოდინში ვიყავი — პირს გააღებდა თუ არა, ველოდი: აი,
ახლა მეტყვის ყველაფერს-მეთქი. ჰო, ჰო, მეტყვის, რომ არაფერში ტყუვდება,
რომ ვერავითარი კოცნა, ვერავითარი ალერსი, ვერავითარი სიყვარული ველარ
მაქცევს ქეშმარიტ დედად. იგი მიშორებდა, არ მაკოცნიებდა, ჭირვეულობდა,
არ ვუყვარდი... ხოლო მე არ ვუშლიდი ხუთი წლის ბავშვს ჩემთვის ეცემა, დრო
რომ გაეიდა და წამოიზარდა, მერეც ვაძლევდი ამის უფლებას და თან ღიმილს
არ ვიშორებდი სახიდან... ერთიანად შემიბყრო გიყურმა სურვილმა, დანაშაუ-
ლი ჩამომერეცხა, მაგრამ ამავე დროს მშვენივრად მესმოდა, რომ ეს შეუძლე-
ბელი იყო! განა ოდესმე შევძლებდი ბრალის გამოსყიდვას?... და როცა კი იგი
შემომხედავდა, თვალეებში მუდამ იგივე საზარელი გამომეტყველება ეხატებო-
და...! ხოლო რომ წამოიზარდა და სკოლაშიც წავიდა, ჩემთვის საბოლოოდ ნა-
თელი შეიქნა, მას ჩემი საიდუმლოს განჭვრეტა შეეძლო... დანაშაულის გრძნო-
ბით აღსავსე, მზად ვიყავი ყველაფერი მიმეტევებინა მისთვის... ეჰ, თანაც დამ-
ჯერი ბავშვი როდი იყო..., მაგრამ ვერაფერზე ვუჯავრდებოდი! ვუჯავრდებო-
დიო?! ო, მე ის მიყვარდა, გაგიყებით მიყვარდა... და წამდაუწუმ ვუჩოქებდი,
ვუკოცნიდი ხელებს—მუხლებს!—ტერფებს!—მაინც არ მაპატიია.—მის თვალეებში
ერთხელაც არ შემჩნიშნავს სიყვარული, მის სახეზე ერთხელაც არ დამინახავს თბი-
ლი ღიმილი...! იგა ათი წლის გახდა, მერე თორმეტის; მე მას ვძულდი — სკო-
ლაშიც ცუდად იქცეოდა... ერთხელაც, შინ დაბრუნებულმა, ჭიუტიად განაცხა-
და: სკოლაში აღარ წავალ, ჩემი მისვლა იქ არავის უნდაო... რა შეძრწუნებუ-
ლი ვიყავი მაშინ! მინდოდა რაიმე ხელობა მესწავლებინა შვილისთვის — ვთხო-
ვდი, ვემუდარებოდი — არაფერმა გაჭრა — მუშაობის გაგონებაც არ სურდა.
უსაქმოდ დაეხეტებოდა... რა შემეძლო მისთვის მეთქვა — რა უნდა მესაყვე-
დურა?... მისი ერთი შემოხედვა კმაროდა მთელი ჩემი სითამამის გასაქრობად...
შიშის ზარს მცემდა იმ დღეზე გაფიქრება, როცა პირში მომახლიდა: დედა, დე-
და! შენ ჩემზე ყველა უფლება დაკარგული გაქვსო! — მაგრამ ამას არა და არ
მეუბნებოდა... ზოგჯერ, შინ მთვრალი რომ დაბრუნებულა, მიფიქრია: ზარხოში
ახლა მაინც ამოადგმევიინებს ენას-მეთქი... მაგრამ არა... ზოგჯერ იატაკზე დავარ-
დებოდა და შუადღემდე ასე იწვა. მერე კი, როცა გაიღვიძებდა და მის გვერ-
დით მჯდომს დამინახავდა, დამცინავად შემომხედავდა... ტუჩებზე მრავალ-
მნიშვნელოვანი ღიმილი ეხატა, თითქოს სურდა ეთქვა: ვიცი, ყველაფერი
ვიციო! მუდამ ფული სჭირდებოდა, ბევრი ფული, ეს ფული კი მე უნდა მე-
შოვნა... მაგრამ საქმე ყოველთვის ისე ხომ ვერ აეწყობოდა, როგორც მას სურ-
და. აი, მაშინ კი განრისხდებოდა, გამხეცდებოდა — ხშირად ჩემს ცემასაც არ
ერიდებოდა... ხოლო როცა დაღლილ-დაქანცული საწოლში მივესვენებოდი,
მოვიდოდა და ისევ იმ დამცინავ სიცილს მომახლიდა სახეში, თითქოს მეუბნე-
ბოდა: არა, არ მოგკლავ, ამ სიკეთეს ვერ გაჩუქებ! ...დღეს დილით, როგორც იქ-
ნა — ლანძღვა-გინებით ამოვარდა ზემოთ — ფული, ფულიო! — ღმერთო ჩე-
მო, ფული სულ არ მქონდა! როგორ თუ არა გაქვსო? — შევევედრე, მომავალ
კვირამდე მაყადე-მეთქი, ან თუნდაც ხვალამდე, ან დღეს საღამომდე! არა! —

ახლავე უნდა მომცე ფულიო — სადღაც გეჭნება გადამალულიო — ღრიალებდა და თან ეძებდა, კარადის უჯრებს ამტვრევდა, საწოლი სულ გადააქოთა... და ილანძლებოდა... მერე კი... მერე კი...“

ქალმა თხრობა შეწყვიტა... წამიერი დუმილის შემდეგ თქვა: „გაგაჩნდება ანა ამის უფლება?“

„არა“ ვუპასუხე მე... „არა, ფრაუ ებერლაინ! თქვენ კარგა ხანია გამოისყიდეთ დანაშაული. თქვენი უდიდესი სიკეთის წყალობით დიდი ხანია გამოიხსენით ცოდვა წამიერი აბნეულობის გამო, როცა თვალთ დაგიბნელდათ და სიგიჟისა თუ ეშმაკის ტყვეობაში მოექცით!“

„არა, ბატონო ექიმო!“ მომიგო მან — „ეს არ იყო სიგიჟე! მკაფიოდ მახსოვს ის ღამე..., გაგიჟებისა არაფერი მეტყობოდა, მე ვიცოდი, რაც მსურდა... სწორედ ამიტომ, ბატონო ექიმო, წადით სასამართლოში და ყველას უამბეთ, რაც აქ ჩემგან მოისმინეთ; მას გაათავისუფლებენ, მოვალენი არიან გაათავისუფლონ...!“

ვიგრძენი, რომ ვერაფერს გავაწყობდი. „მოდით“ — მივმართე ქალს — „ამაზე ხვალ ვისაუბროთ, ფრაუ ებერლაინ — დღეს თქვენ სიმშვიდე გესაჭიროებათ... უკვე ისედაც საკმაოდ გადაიღალეთ...!“

მან თავი გააქნია.

„ბატონო ექიმო! მომაკვდავის ნება წმიდათაწმიდაა... თქვენ პირობა უნდა მომცეთ!“

„თქვენ არ მოკვდებით — მხოლოდ ახლა დაისვენებთ.“ —

„მე მოკვდები — იმიტომ, რომ ასე მსურს... მაშ, წახვილთ სასამართლოში...?“

„პირველ ყოვლისა, დამემორჩილეთ და გაიხსენეთ, რომ თქვენი ექიმი ვარი გიბრძანებთ, ხმა აღარ ამოიღოთ და დამშვიდდეთ“.

ამ სიტყვებით ფეხზე წამოვდექი და მომვლელ ქალს ვუხმე. მაგრამ როცა ფრაუ ებერლაინს დასამშვიდობებლად ხელი გავუწოდე, მაგრად ჩამავლო და აღარ გამიშვა — მის თვალებში შეკითხვა ენთო.

„დიახ!“ მხოლოდ ეს ვთქვი.

„გმადლობთ!“ მიპასუხა მან. მერე მომვლელ ქალს საჭირო მითითებანი მივცე და იმ განზრახვით წავედი, რომ ხვალ, გათენდებოდა თუ არა, ისევ დავბრუნდებოდი...

დილით ავადმყოფი ცნობამიხდილი დამხვდა; შუადღისას კი გარდაიცვალა... მისი საიდუმლო ჭერ კიდევ ჩემთან, ამ ფურცლებშია ჩამარხული, ჩემი გადასაწყვეტია, შევასრულებ თუ არა მის უკანასკნელ სურვილს. წავალ თუ არ წავალ სასამართლოში — ეს სულ ერთია საბრალო დედის წყეული შვილისთვის! დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება მოსამართლე, რომელიც დედის მცდარ მოქმედებას ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნევს შვილის უმძიმესი დანაშაულისთვის, მკვლელობისთვის. ამ უბედური დედის ცოდვისთვის საკმარისზე მეტი მონანიება იყო ის მცდარი ფიქრი, თითქოს შვილის თვალებში იგი ხედავდა უსასრულო საყვედურს, მუდმივ შეხსენებას იმ საზარელი ღამისა. —

თუმცა, ვინ იცის, იქნებ ასეთი რამ შესაძლებელიც არის? იქნებ ჩვენში აღიბეჭდება კიდევ ჩვენი არსებობის თუნდაც პირველი საათების ბინდიანი მოგონებანი, რომელთაც ვეღარ ვაცნობიერებთ, მაგრამ რომელნიც არ ქრები-

ან უკვალოდ? — იქნებ ფანჯრიდან შემოჭრილი მზის სხივია კეთილი ზნის უპირველესი მიზეზი? — და როცა დედის პირველი მზერა უსასრულო სიყვარულით დაგვათბობს, განა იგი ტკბილად და სამუდამოდ არ აიზიარება ბავშვის ლურჯ თვალებში? — ხოლო თუკი ეს პირველი მზერა სანთწვერებისა და სიძულვილის მზერაა, მაშინ იგი იქნებ ყოვლისდამანგრეველი ძალით შანთავს ბავშვის სულს, სულს, რომელიც ათას მოვლენასა თუ საგანს ჯერ კიდევ მაშინ გრძნობს და აღიქვამს, როცა არ ძალუძს შეიმეცნოს ისინი? და რა უნდა მომხდარიყო იმ ბავშვის გრძნობათა სამყაროში, ვისი სიცოცხლის პირველმა ლამემ სიკვდილის საზარელ, გაუცნობიერებელ შიშში ჩაიარა? ჯერ არც ერთ ადამიანს არ მისცემია შეძლება იმისა, რომ თავისი ცხოვრების პირველი საათი აღეწერა — და ვერც ერთი თქვენთაგანი — ასე შემოიძლია ვუთხრა მოსამართლეებს — ვერ დაიჩემებს ცოდნას იმისა, საკუთარ თავში ჩაბუდებული სიკეთიდან თუ ბოროტებიდან რას უნდა უმადლოდეს ნიავის პირველ მსუბუქ შეხებას, რას — მზის პირველ სხივს და რას — დედის პირველ მზერას! — მე წავალ სასამართლოში; ახლა მტკიცედ გადავწყვიტე ეს, რადგან ჩემი აზრით, ჯერ კიდევ გამოსარკვევია, ცხოვრებაში რამდენი რამ არის დამოკიდებული ჩვენს პირად არჩევანზე, ხოლო რამდენი რამ იძულებული ვხდებით ავირჩიოთ.

მკვდრები არ ლაპარაკობენ

მობეზრდა ეტლში უსაქმოდ ჯდომა, ძირს ჩამოხტა და გაიარ-გამოიარა. გვარიანად ჩამოხტელებულიყო; უკაცრიელ, უსიცოცხლო ქუჩაში ნიავი კანტიკუნტად მდგარი ლამპიონების აღს აციმციმებდა. წვიმას უკვე გადაეღო; ტროტუარებიც თითქმის გამშრალიყო; მაგრამ მოუპირკეთებელი შარაგზა ჯერ ისევ სველი იყო, ალაგ-ალაგ პატარა გუბეებიც იდგა.

უცნაურია, გაიფიქრა ფრანცმა, პრაქტერშტრასედან¹ ეს ქუჩა სულ რაღაც ასიოდე ნაბიჯზეა დაშორებული, კაცს კი უნგრეთის რომელიმე მიყრუებულ ქალაქში გეგონება თავი. სამაგიეროდ, მშვიდად მაინც ვიქნები; აქ ნამდვილად არ გადაეყრება ნაცნობებს, მუდამ ასე რომ გაურბის ხოლმე.

საათს დახედა... შეიძლია ყოფილა — არადა, შეიძლება იფიქრო, შუალამეაო. წელს ნაადრევად დადგა შემოდგომა. ეს წყეული ქარიც თან მოიტანა.

საყულო აიწია და ნაბიჯს უმატა. ლამპიონების შუშებს ზრიალი გაჰქონდა. „კიდევ ნახევარ საათს მოვიცდი“, გადაწყვიტა, „მერე კი წავალ. ეჰ, ლამის ვინატრო, ეს ნახევარი საათიც გასული იყოს“. კუთხეში შეჩერდა; აქედან კარგად ხედავდა ორივე ქუჩას, საიდანაც ის შეიძლება მოსულიყო.

არა, დღეს აუცილებლად მოვა, გაიფიქრა, თან ხელი წაავლო ქუდს, რომელიც კინალამ ქარმა მოსტაცა. — პარასკეობით ხომ პროფესორთა კოლეგიის სხდომები ტარდება — ნამდვილად გაბედავს წამოსვლას, გვიანობამდე დარჩენასაც შეძლებს... ტრამვაის ზარის წკრიალი გაიგონა; მერე მახლობელი ნებომუკის ეკლესიის სამრეკლოდანაც გაისმა რეკვა. ქუჩას გამოცოცხლება დაეტყო. გამვლელ-გამომვლელთა რიცხვმაც იმატა; უმეტესად, როგორც მოეჩვენა,

¹ პრაქტერშტრასე — ქუჩა, რომელიც ჰვეთს პრაქტერს (ვენის ერთ-ერთი უბანია) დუნაის არხიდან პრაქტერშტერნის მოედნამდე.

იმ მაღაზიების მოხელენი იყვნენ, შვიდ საათზე რომ იკეტებოდა. ისინი ჩქარ-ჩქარა მიაბიჯებდნენ და თან თითქოს ებრძოდნენ ქარს, ასე რომ აძნელებდა სარულს. მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია; მხოლოდ რამდენიმე მოხალე გოგონამ შეხედა ოდნავ ცნობისმოყვარედ. — უეცრად ჩქარი ნაბეჭდი მოხალე ლი ნაცნობი ლანდი დაინახა. თვითონაც გაემართა ქალის შესახებ ვინაა? — გაუელვა თავში. იქნებ სულაც ის არ არის?

ის იყო; როცა დარწმუნდა, ელოდნენ, ნაბიჯსაც უკლო.

„ფეხით მოდიხარ?“ ჰკითხა კაცმა.

„ეტლი კარლთეატრთან გავუშვი. მგონი, ერთხელ იმავე შეეტლემ მომიყვანა შენთან“.

გვერდით ვილაც უცნობმა ჩაუარა და ქალი შეათვალიერა. ახალგაზრდა კაცმა მკაცრად, თითქმის მუქარით შეხედა; გამვლელმა ნაბიჯს აუჩქარა და იქაურობას გაშორდა. ქალმა თვალი გააყოლა. „ვინ იყო?“ იკითხა დამფრთხალმა.

„არ ვიცნობ. აქ საერთოდ ვერ შეხვდები ნაცნობს, შეგიძლია მშვიდად იყო. — ახლა კი ჩქარა წავიდეთ, ეტლში ჩაესხდეთ“.

„ეს ეტლი შენია?“

„ჰო“.

„შერედა, ღია?“

„ერთი საათის წინ მშვენიერი დარი იდგა“.

ისინი სწრაფად გაემართნენ ეტლისკენ; ჯერ ახალგაზრდა ქალმა დაიკავა ადგილი.

„შეეტლე!“ დაიძახა ახალგაზრდა კაცმა.

„სად შეიძლება წასულიყო?“ ჰკითხა ახალგაზრდა ქალმა.

ფრანცმა მიმოიხედა. „დაუჯერებელია“, წამოიძახა მან, „ის ვაებატონი არსად ჩანს“.

„ღმერთო ჩემო!“ აღმოხდა ქალს.

„ერთ წუთს მოითმინე, ჩემო პატარა, უთუოდ სადმე აქ იქნება“.

ახალგაზრდა კაცმა პატარა დუქნის კარი შეაღო; ერთ-ერთ მაგიდას რამდენიმე თანამესუფრესთან ერთად შეეტლევ მისჯდომოდა; ფრანცის დანახვაზე წამოხტა.

„ახლავე მოვდივარ, ჩემო ბატონო“. თქვა და ფეხზე მდგომმა გამოსცალა ღვინით სავსე ჭიქა.

„ბომ არ გაგიყებულხართ?!“

„მაპატიეთ, ჩემო ბატონო; აი, უკვე მოვედი კიდევ“.

იგი ბარბაციით მიუახლოვდა ცხენებს. „საით მიბრძანებთ წასვლას, ჩემო ბატონო?“

„პრატერში, ლუსტპაუსთან“.¹

ახალგაზრდა კაცი ეტლში ჩაჯდა. ქალი თითქმის ოთხად მოიკეცა და კუთხეში, საჩხების ქვეშ ჩაიმალა.

ფრანცი თითქმის მის ხელებს შეეხო. ქალი არც განძრეულა.

„იქნებ საღამო მშვიდობისა მაინც გაიმეტო ჩემთვის?“

„გემუდარები, ერთი წუთით დამანებე თავი; მაცადე, სული მოვითქვა“.

ახალგაზრდა კაცი ქალს მოშორდა და საზურგეს მიეყრდნო. რამდენიმე წანს ორივენი დუმდნენ. ეტლმა პრატერშტრასეზე შეუხვია, გვერდით მოიტოვა

¹ლუსტპაუსი — რესტორანი პრატერში.

ტეგეტპოფის ძეგლი¹ და ორიოდ წამის შემდეგ განიერ და ბნელ პრატერის ხეივანში შეგრიალდა. ახლა კი ემამ უცებ ორივე ხელი მოჭხვია შეყვარებულს. კაცმა ქალს ფრთხილად გადაუწია პირბადე და ტუჩებში აკოცა.

„როგორც იქნა, შენთან ვარ!“ თქვა ქალმა.

„თუ გახსოვს, უკანასკნელად როდის შევხვდით ერთმანეთს?“ ჰკითხა კაცმა. „კვირას“.

„მართალია, და ისიც მხოლოდ შორიდან გნახე“.

„როგორ თუ შორიდან? შენ ხომ ჩვენთან იყავი სტუმრად“.

„ჰო... თქვენთან ვიყავი. ეპ, აღარ შემიძლია ასე ცხოვრება! საერთოდ აღარასოდეს მოვალ თქვენთან, რა მოხდა, რა მოგივიდა?“

„ვილაციის ეტლმა ჩაგვიარა“.

„მერწმუნე, ჩემო პატარა, ვინც დღეს პრატერში სეირნობს, იმას ჩვენთვის სულაც არ სცხელა“.

„ვიცი, მაგრამ შემთხვევით ხომ შეიძლება ვინმემ შემოიხედოს“.

„ამ სიბნელეში მაინც ვერაფერს გიცნობს“.

„ძალიან გთხოვ, სადმე სხვაგან წავიდეთ“.

„როგორც გენებოს“.

მეეტლეს დაუძახა, მაგრამ, ეტყობა, ვერაფერი გააგონა. მაშინ წინ გადაიწია და მხარზე ხელი დაადო. მეეტლე მობრუნდა.

„მოატრიალეთ ეტლი და ერთი ისიც მითხარით, ასე უმოწყალოდ რატომ სცემთ ცხენებს? ჩვენ არსადაც არ გვეჩქარება, გესმით? გასწიეთ... რა ჰქვია იმ ხეივანს, რაიქსბრიუკესთან რომ მივყავართ?“

„რაიქსშტრასეზე გნებავთ?“

„ჰო, მაგრამ ცხენებს ასე ნუ ერეკებით, არსად გვეჩქარება“.

„მაპატიეთ, ჩემო ბატონო, ქარის ბრალია. ის აგიყებს ცხენებს“.

„ჰო, რა თქმა უნდა, ქარის ბრალია“. ფრანცი თავის ადგილზე დაჯდა.

მეეტლემ ცხენები მოატრიალა. ეტლი იმ გზას დაადგა, საიდანაც ის-ის იყო მოვიდა.

„გუშინ რატომ ვერ გნახე?“ ჰკითხა ქალმა.

„როგორ უნდა გენახე?“

„ჩემმა დამ, თუ არ ვცდები, შენც დამპატიეთ“.

„დიახ, დამპატიეთ“.

„რატომ არ მოხვედი?“

„იმიტომ, რომ არ მაყვარს შენთან ერთად ხალხში ყოფნა. არა, ამას ველარ ავიტან!“

ქალმა მხრები აიჩეჩა.

მერე იკითხა: „სადა ვართ?“

რკინიგზის ხიდის ქვეშ გაიარეს და რაიქსშტრასეზე გავიდნენ.

„იქით დიდი ღუნაია“², თქვა ფრანცმა, „მალე რაიქსბრიუკესთანაც მივალთ. იქ ველარ შეხვდები ნაცნობებს!“ დასძინა დამცინავად.

„ეს ეტლი რაღაც ძალიან ჯაყაყაყებს“.

„ჰო, ისევ ქვაფენილზე გადავედით“.

„ასე გიყივით რატომ მიაქროლებს?“

¹ აღმირალ ტეგეტპოფის ძეგლი ღვას პრატერის ცენტრალურ მოედანზე.

² დიდი ღუნაია — ვენელები ასე უწოდებენ მდინარე ღუნაის, განსხვავებით ღუნაის არხისგან, რომელიც ასევე ჰქვითს ქალაქს მის აღმოსავლეთ ნაწილში.

„გეჩვენება“.

თუმცა თავადაც ხედავდა, რომ ეტლი აქეთ-იქით ახეთქებდათ, მაგრამ ამის აღიარება არ ისურვებდა, ქალი რომ უარესად არ დაეშინებინა.

„ემა, დღეს ბევრი მნიშვნელოვანი რამ მაქვს სათქმელი“.

„მაშინ მალე დაიწყე, თორემ ცხრაზე შინ უნდა ვიყო“.

„ორიოდე სიტყვა, და ყველაფერი საბოლოოდ შეიძლება გადაწყდეს“.

„ღმერთო, ეს რა არის?“... შეპკივლა ქალმა. ეტლის თვლები ტრამვაის ლიანდაგის ღარში ჩავარდა და როცა მეეტლემ იქიდან ამოსვლა სცადა, ეტლი ისე ძლიერად გადაიხარა, კინაღამ გადაყირავდა. ფრანცმა მეეტლეს პალტოში სტაცა ხელი. „ახლავე გააჩერეთ“. ყვირილით უბრძანა. „თქვენ მთვრალი ხართ“.

მეეტლემ რის ვაი-ვაგლახით დააშოშმინა ცხენები.

„რას ბრძანებთ, ჩემო ბატონო...“

„ემა, მოდი, აქ გადავიდეთ“.

„სადა ვართ?“

„უკვე ხიდთან მოვედით. აღარც ქარი ქრის ისე ძლიერად. ცოტა ფეხით გავისერიანოთ. თორემ ეტლში რიგიანად ვერც დაილაპარაკებ“.

ემამ პირბადე ჩამოიფარა და კაცს მიჰყვა.

„შენ კი ამბობდი, აღარ ქრისო!“ წამოიძახა მან — მიწაზე ფეხი ჩამოდგა თუ არა. სახეში ქარის ძლიერი ტალღა მიეხალა.

კაცმა მკლავში გაუყარა ხელი. მერე მეეტლეს უბრძანა: „უკან მოგვეყვით“.

გზა ფეხით განაგრძეს, სანამ ხიდისკენ აღმართს მიუყვებოდნენ, ერთმანეთისთვის არაფერი უთქვამთ; ხოლო როცა ქვემოდან წყლის შუიდი დუღუნი მოესმათ, მცირე ხნით შეჩერდნენ. გარემო ბნელში ჩაძირულიყო. ნაცრისფრად მიედინებოდა ფართო ნაკადი. მისი ნაპირები სიბნელეში იკარგებოდა. შორს მოჩანდა წითელი სინათლეები, რომლებიც თითქოს ზემოდან დასთამაშებდნენ წყალს და მასში ირეკლებოდნენ. იმ ნაპირთან კი, სულ ახლახან რომ დატოვეს, წყალში სინათლის ზოლები კრთოდა. სინათლის ზოლები წყალში; შორს იყო ყოველივე, მდორე ნაკადი ბნელ სივრცეში იკარგებოდა. უცებ შორეული გრუხუნი მოესმათ, მოეჩვენათ, თითქოს ხმაური მათ უახლოვდებოდა; უნებლიეთ იჭითკენ გაიხედეს, სადაც წითელი სინათლეები ლივლივებდა; რკინის ორ რკალს შორის მირაბრაახებდა ფანჯრებგაჩახახახებული მატარებელი, ლიანდაგი ღამის წყვდიადიდან ხან ამოიზრდებოდა, ხან კი იმავე წამს წყვდიადშივე ქრებოდა. გრუხუნი თანდათანობით მიწყნარდა. სიჩუმე ჩამოვარდა; მხოლოდლა ქარის მძაფრი ქროლვა არღვევდა სიმუცდროვეს.

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ფრანცმა თქვა: „უნდა წავიდეთ“.

„პო, უკვე დროა“, ჩუმად მიუგო ემამ.

„უნდა წავიდეთ“, ფრანცს აღელვება დაეტყო, „სულ წასვლას ვგულისხმობ...“

„ეს შეუძლებელია“.

„იმიტომ, რომ მხდალები ვართ, ემა; აი, რატომ არის შეუძლებელი“.

„ბავშვს რაღა ეუყო?“

„ბავშვს უეჭველად შენ დაგიტოვებს, დარწმუნებული ვარ“.

„კი მაგრამ, როგორ?“ ჩურჩულით იკითხა ქალმა... „ბნელ, ნისლიან ღამეში მოვეკურცბლოთ?“

„არა, რა თქმა უნდა, არა. უბრალოდ, უნდა უთხრა შენს მეუღლეს, რომ მასთან ვეღარ იცხოვრებ, რადგან სხვას ეკუთვნი“.

„სრულ ჭკუაზე ხარ, ფრანც?“

„თუ გინდა, ამასაც აგაცილებ თავიდან -- თვითონვე შეგიყვარდება“.

„შენ არ იზამ ამას, ფრანც“.

ფრანცმა სკადა თვალეში შეეხედა ქალისთვის; მაგრამ სიბნელეში ისღა გაარჩია, რომ ქალმა თავი ასწია და მისკენ მიაბრუნა.

კაცი ერთხანს ჩუმად იყო. მერე მშვიდად თქვა: „შიში ნუ გაქვს, არ ვიზამ ამას“.

გალმა ნაპირს უახლოვდებოდნენ.

„გაიგონე?“ ჰკითხა ქალმა. „რა უნდა იყოს?“

„შორს ხმაურობს რაღაც“.

სიბნელიდან სულ უფრო მკაფიოდ მოისმოდა ხრიგინი; პატარა, მოციმ-ციმე წითელი შუქი უახლოვდებოდათ; მალე ისიც დაინახეს, რომ ეს იყო ურმის წინა ხელნაზე დამაგრებული სანათური; მაგრამ ურემი დატვირთული თუ იყო, ან ზედ ხალხი იჯდა თუ არა, ამას კი ვერ ხედავდნენ. წინა ურემს კვალდა-კვალ კიდევ ორი ისეთივე ურემი მიჰყვებოდა. სულ ბოლოზე შენიშნეს გლებურად ჩაცმული კაცი, რომელმაც, მათ რომ გაუსწორდა, სწორედ მაშინ მოუკიდა ჩიბუხს. ურემებმა გაიარეს. ერთხანს ისევ არაფერი ესმოდათ, გარდა ეტლის ყრუ რახრახისა, ოციოდე ნაბიჯის მოშორებით ნელა რომ მოგორავდა. ხიდი ახლა გალმა ნაპირისკენ დაიხარა. გამოჩნდა გზაც, რომელიც ხეებს შორის, წყვილი-ადში იკარგებოდა. მათგან მარჯვნივ და მარცხნივ, თვალუწვდენელ სიღრმეში, მინდვრები გადაჭიმულიყო; მოეჩვენათ, თითქოს უფსკრულის პირას იდგნენ.

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ უცებ ფრანცმა თქვა: „ესე იგი, დღეს უკანასკნელად ვართ...“

„რა?“ შიშატანილმა იკითხა ემამ.

„...უკანასკნელად ვართ ერთად, დარჩი მასთან, მე გემშვიდობები“.

„ნუთუ მართლა მეუბნები?“

„დიახ, მართლა გეუბნები“.

„ისევ გინდა ჩამამწარო ის ორიოდე საათი, ღმერთს რომ წყალობად მოუცილა ჩვენთვის? მე ხომ შენგან ასეთ საყვედურს არ ვიმსახურებ...“

„ჰო, ჰო, მართალი ხარ“, თქვა ფრანცმა. „წამოდი, დავბრუნდეთ“.

ქალმა უფრო მაგრად ჩასკიდა ხელი. „არა“, აღერსიანად თქვა მან, „ახლა მე აღარ მინდა, ასე იოლად ვერ მომიცილებ თავიდან“.

შემდეგ კაცი თავისკენ მიიზიდა და ტუჩებზე ვნებით დაეკონა. „ნეტავ სად ამოვეოფთ თავს, ამ გზას რომ გავყვეთ?“ ჰკითხა ემამ.

„ეს გზა პირდაპირ პრადაში მიგვიყვანს, ჩემო პატარა“.

„ასე შორს ნუ წაველო“, ღიმილით თქვა ქალმა, „მაგრამ ცოტა კიდევ გავისეირნოთ იქითკენ, თუ გინდა“, და ხელი სიბნელისკენ გაიჭნია.

„მეეტლე!“ შესძახა ფრანცმა, ვერ გააგონა.

მაშინ უფრო ხმამაღლა დაუყვირა: „გააჩერეთ-მეთქი!“

ეტლი არ ჩერდებოდა. ფრანცი გაედევნა. ახლალა დაინახა, მეეტლეს ჩასძინებოდა. ძლივს გააღვიძა. „პირდაპირ იარეთ, ცოტას კიდევ გავისეირნებთ. გესმით ჩემი?“

„დიახ, ჩემო ბატონო...“

ემამ ეტლში ავიდა; ფრანციც მიჰყვა. მეეტლემ ღონივრად მოიჭნია მათრამი.

სი ცხენები აღვიღს მოსწყდნენ და ქარის სისწრაფით გაექანენ წყლით გაყლებთილ შარაზე. ქალი და კაცი მაგრად ჩაეკრნენ ერთმანეთს, თუმცა ერთი აქეთ-იქით აბურთავებდათ.

„განა ასე ერთად ყოფნაც მშვენიერი არ არის?“ ჩაიჭურჭულა ემამ — ჰიროს თითქმის ეხებოდა კაცის ტუჩებს.



იმავ წამს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ეტლი მიწას მოწყდა — მისი სხეული კი სადღაც გადაისროლეს, სცადა რაიმეს მოსჭიდებოდა, მაგრამ ხელები სიციარიელეში გაასავესავე; მოეჩვენა, თითქოს ირგვლივ ყველაფერი დატრიალდა და თვალები დახუჭა — მერე უცებ იგრძნო, რომ მიწაზე იწვა და შემაზრზენი, მძიმე სიჩუმე ჩამომდგარიყო, თითქოს სამყაროს მოსწყვეტოდა და მარტოდმარტო დარჩენილიყო. შემდეგ ერთმანეთში არეული ხმები მოესმა: იქვე სულ ახლოს, ცხენები მიწაზე სცემდნენ ფლოქვებს, ვიღაც ჩუმად კვნესოდა; დანახვით ვერაფერს ხედავდა ქალი. უსაზღვრო შიშმა აიტანა; შეპკივლა; ვერ გაიგონა საკუთარი ხმა, რამაც შიში კიდევ უფრო გაუძლიერა. უცებ ყველაფერს მიხვდა: ეტლი რალაცას დაეჯახა, — ალბათ საგზაო ბოძს, — გადაყირავედა და ისინიც მიწაზე გადმოცვივდნენ. ის სადღაა? სწორედ ეს იყო შემდეგი ფიქრი, რომელმაც თავში გაუელვა. მისი სახელი დაიძახა, ამჯერად გაიგონა საკუთარი ხმა, მართალია ძლივს ესმოდა, მაგრამ მთავარია, რომ ესმოდა, არავინ უბასუბა, წამოდგომა სცადა. როგორც იქნა, მოახერხა წამომჯდარიყო და როცა აქაურობა ხელით მოსინჯა, ვიღაცის სხეულს შეეხო. ახლა უკვე თვალებითაც შეეძლო სიბნელის გარღვევა. ფრანცი მის გვერდით იწვა, სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. ემამ ხელი გაიწვდინა და მის სახეს შეახო; სველი, თბილი სითხე მოეცხო, სუნთქვა შეეკრა. სისხლია...? რა მოხდა? ფრანცი დაშავდა და ახლა უგონოდაა, მეეტლე კი — ის მაინც სადღა გაქრა? მასაც დაუძახა, არავითარი პასუხი. ქალი გაუნძრევლად იჯდა მიწაზე. მე არაფერი მომსვლია, გაიფიქრა, თუმცა მთელი სხეული ტკიოდა. რა ვქნა, რა ვქნა... არა, შეუძლებელია არაფერი მომსვლოდა. „ფრანცი!“ დაიძახა მან, სულ ახლოდან ვიღაცის ხმამ უბასუბა: „სად ბრძანდებით, ქალბატონო, ბატონი სად არის? ხომ არაფერი მომხდარა? ახლავე, ჩემო ქალბატონო, სანათურს ავანთებ და ყველაფერს დავინახავთ; ამ ჭახრაკებს რაღა ჰირი ეცათ? ჩემი ბრალი არ არის, ღმერთმანი... ქვის გროვას გადაუარეს ამ დაწყვეტილმა ცხენებმა“.

ემამ, თუმცა ყველაფერი სტკიოდა, წელში გაიმართა — მეეტლე რომ უვნებლად გადარჩა, ამან ცოტათი დაამშვიდა. გაიგონა, როგორ გადასწია კაცმა სანათურის საკეტი და ასანთი გააჩხაკუნა. შიშით ელოდა შუქს, ველარ ბედავდა კიდევ ერთხელ შეხებოდა ფრანცს, რომელიც იქვე, მიწაზე იწვა; თავში აზრი მოუვიდა: როცა ვერაფერს ხედავ, უფრო საშინელი გეჩვენება ყოველივე; თვალები ნამდვილად ღია ექნება... ცუდი რა უნდა მომხდარიყო.

გვერდიდან სინათლის სუსტი სხივი გამოკრთა, უცებ ემამ დაინახა ეტლი, რომელიც მისდა გასაკვირად არც კი გადაბრუნებულყო — უბრალოდ, ოდნავ დაყირავებული იდგა გზისპირა თხრილთან, თითქოს ცალი თვალი გასტეხოდა. ცხენები სრულიად მშვიდად იდგნენ. შუქი თანდათან ახლოვდებოდა; სხივმა ნელ-ნელა გადაუარა ქვის ბოძს. შემდეგ ღორღის გროვას და ორმოსაც მიაღწია; მერე ფრანცის ფეხებს ააცოცდა, სხეულსაც გადაუარა, მისი სახე გაანათა და გაქვავდა. მეეტლემ სანათური მიწაზე დადგა, მწოლიარე კაცის თავთან. ემამ დაიჩოქა და, ფრანცის სახე რომ გაარჩია, სუნთქვა შეეკრა. კაცი მთლად გაფითრებულიყო; ნახევრად გახელილი თვალების თეთრი კაკლები შემზარავად მოუ-

ჩანდა. მარჯვენა საფეთქლიდან ლოყაზე სისხლის თხელი ზოლი ჩამოსდიოდა და საყელოში იკარგებოდა. კბილები ქვედა ტუჩში ჩასობოდა. „შეუძლებელია!“ — ჩაიღუღლულა ემამ.

მეეტლემ ჩამუხლულიყო და გაქვავებულ სახეს მიმტერებოდა. მერე ორივე ხელი თავში წაავლო და წამოსწია. „რას სჩადიხართ?“ — მითხრობდა ხმით შეკვირვა ემამ და შეეშინდა კაცის თავისა, რომელიც თითქოს თვითონ წამოიწია.

„ქალბატონო, მგონი, დიდი უბედურება შეგვემთხვა“.

„ტყუილია“, თქვა ემამ. „შეუძლებელია. განა თქვენ იტკინეთ რამე? ან მე...“

მეეტლემ ნელა დაუშვა უძრავად მწოლიარე კაცის თავი და კალთაში ჩაუსვენა ემას, რომელიც კანკალს აეტანა. „ვინმე მაინც მოვიდოდეს. ან იმ გლეხებს გამოეცვლოთ თხუთმეტი წუთით გვიან...“

„რალა ვქნათ?“ აცახცახებული ტუჩებით წარმოთქვა ემამ.

„ეჰ, ქალბატონო, ეტლი მაინც რომ არ დამტვრეულიყო... ხომ ხედავთ, რა დღეშია... უნდა ვისხდეთ და ვუცადოთ, სანამ ვინმე მოვიდოდეს“. მეეტლემ განაგრძო ლაპარაკი, მაგრამ ემას აღარაფერი ესმოდა; თუმცა მოულოდნელად, თითქოს გონს მოეგოო, მიხვდა, რაც უნდა მოემოქმედა.

„რა მანძილია უახლოეს დასახლებამდე?“ იკითხა მან.

„შორი არ უნდა იყოს, ქალბატონო. ფრანც-იოზეფსლანდამდე აქედან ორი ნაბიჯია... რომ არ ბნელოდეს, სახლებსაც დავინახავდით, ხუთი წუთის სავალი არც იქნება“.

„მაშ წადით. მე აქ დავრჩები, თქვენ კი ხალხი მოიყვანეთ“.

„ეჰ, ქალბატონო, მგონი, ისევ ის აჯობებს, თქვენთან ერთად დავრჩე — არ შეიძლება არავინ გამოიაროს, ბოლოს და ბოლოს ეს ხომ რაიქსშტრასეა და თანაც...“

„მერე გვიან იქნება, მერე შეიძლება გვიან იყოს, სასწრაფოდ ექიმი გვჭირდება“.

მეეტლემ უძრავად მწოლიარე კაცის სახეს დახედა, ემას მიუბრუნდა და უარის ნიშნად თავი გააქნია.

„საიდან იცით?“ წამოიყვირა ემამ, „დაბეჯითებით მეც ვერაფერს ვიტყვი“.

„ეჰ, ქალბატონო... ექიმი სადღა ვიშოვო ამ მიყრუებულ ფრანც-იოზეფსლანდში?“

„იქიდან ქალაქში გაგზავნით ვინმეს და...“

„ქალბატონო, მგონი, მოვიფიქრე! იმათ ტელეფონი უნდა ჰქონდეთ — სასწრაფო დახმარებას დავურეკავთ“.

„მართალია, ყველას ეს აჯობებს! ოღონდ წადით, ნუ აყოვნებთ, თუ ღმერთი გწამთ! ხალხიც თან წამოიყვანეთ... და... გემუდარებით, გაიქეციოთ, რაღას უდგახართ?“

მეეტლემ ემას კალთაში მისვენებული გაფითრებული კაცის სახეს შეხედა. „ველარც სასწრაფო დახმარება გვიშველის და ველარც ექიმი“.

„წადით! თუ ღმერთი გწამთ, წადით!“

„მივდივარ, ახლავე მივდივარ — ოღონდ ეს სიბნელე ნუ შეგაშინებთ, ქალბატონო“. და ჩქარი ნაბიჯით გზას გაუდგა.

„ჩემი ბრალი არ არის, ღმერთმანი“, თან თავისთვის ჩაიბუტბუტა. „ამ შუალამისას რაიქსშტრასეზე სეირნობა მაინც რამ მოაფიქრათ...“

ემამ და კაცის უსიციოცხლო სხეული მარტო დარჩნენ ბნელ ქუჩაში. რაღა ქნას ახლა? ფიქრობდა ქალი. ეს ხომ შეუძლებელია... თავში სულ ეს აზრი უტ-

რიალებდა... შეუძლებელია, — უცებ მოეჩვენა, ვითომ სულ ახლოდან სუნთქვა მოესმა, პირი მკრთალ ტუჩებთან მიიტანა. არა, ფრანცი არ სუნთქავდა, საფეთქელზე და ლოყაზე სისხლი მიხმობოდა, ქალი მიაშტერდა თვალებს — ნახევრად გახელილ თვალებს — და ქრუანტელმა დაუარა. კი მაგრამ, რატომ არ მინდა დავიჭერო — ეს ხომ ნამდვილად ასეა... ეს სიკვდილია ქალს, სიკვდილი გრძნობა დაეუფლა. ახლა მხოლოდ ერთი იცოდა: მის გვერდით მჯდომი ვა, მე და მკვდარი, მკვდარი ჩემს კალთაში. აკანკალებული ხელებით თავი მოიშორა და ისევ მიწაზე დააგდო. აუტანელმა სიმართლემ მოიცვა, რატომ გაუშვა მეეტლე? რა სისულელე მოუვიდა! რა უნდა აკეთოს სოფლის შარაზე მკვდარ კაცთან მართო დარჩენილმა? ხალხი რომ მოვა... პო, მართლა, რა უნდა ქნას, ხალხი რომ მოვა? ან კი რამდენ ხანს მოუწევს ლოდინი? და მან ისევ მკვდარს შეხედა, მართო არა ვარ მასთან, გაუელვა აზრმა. სანათურიც ხომ აქ არის. მოეჩვენა, ვითომ სანათურის შუქი მისთვის რაღაც საყვარელი, მახლობელი იყო და მისგან მადლობასაც იმსახურებდა. ცეცხლის ამ პატარა ენაში მართლაც მეტი სიცოცხლე იყო, ვიდრე გარემომცველ უსასრულო ღამეში; თითქმის ისიც კი ირწმუნა, რომ ეს შუქი დაიცავდა იმ გაფითრებული, საშინელი კაცისგან, მის გვერდით რომ იწვა მიწაზე... იმდენ ხანს უყურა სანათურს, რომ თვალები აუჭრელდა და ალმა ციმციმი დაიწყო. უეცრად მოეჩვენა, თითქოს ახლად გამოეღვიძა, იმავე წამს ფეხზე წამოხტა! არა, ასე არ შეიძლება, ეს ყოველად დაუშვებელია მე აქ მასთან ერთად არ უნდა მნახონ... მოელანდა, ვითომ ახლა თვითონვე ხედავდა საკუთარ თავს, უკაცრიელ ქუჩაში მდგომს, მის ფეხებთან კი მკვდარი კაცი იწვა და სანათური იდო; ხედავდა მიწიდან უცნაურად აღმართულ თავის სხეულს, რომელიც სიბნელეს კიდევ უფრო მკაფიოდ გამოეკვეთა. რაღას ველოდები, გაუელვა თავში და ფიქრი მოეძალა ... რაღას ვუცდი? იქნებ ხალხს? — მათ ხომ სულაც არაფერში ვჭირდები? ხალხი მოვა და კითხვებს დამაყრის... მე კი... მე რაღა მინდა აქ? მერე ვინაობას გამომკითხავენ. რა უნდა ვუპასუხო? არაფერი. ხმას არ ამოვიღებ, ხალხი რომ მოვა, კრინტსაც არ დავძრავ, ხმას არ ამოვიღებ... ბოლოს და ბოლოს ძალით ხომ არ ამაღაპარაკებენ.

შორიდან ხმები მოესმა.

უკვე მოდიან? გაიფიქრა და შეშინებულმა მიაყურადა. ხმები ხიდის მხრიდან ისმოდა. ესე იგი, ის ხალხი არ იყო, მეეტლეს რომ უნდა მოეყვანა. მაგრამ ვინც უნდა ყოფილიყო, სინათლეს ხომ აუცილებლად შენიშნაედა — ეს კი არამც და არამც არ უნდა მომზდარიყო, თორემ მხილება არ ასცდებოდა. მან ფეხი ჰკრა სანათურს, შუქი ჩაქრა. ქალი ახლა ღრმა წყვილიაღში იდგა. ველარაფერს ხედავდა. კაცის სხეულსაც კი ველარ არჩევდა. მხოლოდ ღორღის გროვა ანათებდა თეთრად. ხმები მოახლოვდა. ქალი მთელი სხეულით ცახცახებდა. ოღონდ აქ არ ნახონს ო, ღმერთო, ახლა ხომ ეს არის მთავარი, ყოველივე დანარჩენმა აზრი დაკარგა — მისი საქმე წასულია, თუ ვინმემ გაიგო, რომ საყვარელი ჰყავდა... ქალი აკანკალებულ ხელებს ზეცისკენ აღაპყრობს. ღმერთს ევედრება, გზის მეორე მხარეს მიმავალი ხალხისთვის შეუნიშნავი დარჩეს, სმენად იქცევა. პო, ხიდის მხრიდან მოდიან... რაზე ლაპარაკობენ?... ორი ქალია, ან სამი, ეტყობა, ეტლი შენიშნეს, რადგან მასზე ლაპარაკობენ, უკვე სიტყვებსაც არჩევს. ეტლი... გადაბრუნებულა... კიდევ რას ამბობენ? ველარ არჩევს. ისინი გზას განაგრძობენ... აი, ჩაუარეს კიდევც... მადლობა ღმერთს! ახლა, ახლა რაღა ქნას? ო, რატომ თავადაც არ დაიღუპა? ფრანცს რაღა უჭირს, მისთვის ხომ ყველაფერი დამთავრებულია... მან აღარ იცის, რა არის ხიფათი ან რა არის

შიში, ემას კი ყველაფრის ეშინია. ეშინია, რომ აქ ნახავენ და ჰკითხავენ: ვინ ბრძანდებითო?... რომ მასაც წაიყვანენ პოლიციაში, რომ ემას ყველა შეიტყობს, რომ მისი ქმარი — რომ მისი შვილი —

და ვერც კი შეუნიშნავს, რომ უკვე კარგა ხანია ერთ ადგილას დგას, თითქოს მიწაში ჩაიზარდაო... მას ხომ შეუძლია წავიდეს, აქ დგომის ვერავის დაეხმარება, საკუთარ თავს კი უბედურებაში გახვევს. და იგი ნაბიჯს გადადგამს... ფრთხილად... თბილი უნდა გადალახოს... გადააბიჯა... ერთი ნაბიჯიც აღმართზე — ფეხი უსრიალებს — მერე კიდევ ორი ნაბიჯი და აი, უკვე შუა გზაზე... რამდენიმე წამს გაუნძრევლად დგას, გაჰყურებს გზის რუხ ზოლს, რომელიც თანდათან სიბნელეში იკარგება. იქ — იქ არის ქალაქი. ვერ ხედავს... მაგრამ მიმართულება რომ არ ეშლება, ამაში დარწმუნებულია. ერთხელ კიდევ მიტრიალდება. თურმე არც ისე ბნელა. გზასაც მშვენივრად იკვლევს; ცხენებსაც ხედავს... თუ თავს ძალას დაატანს, მიწაზე მწოლიარე ადამიანსაც გაარჩევს. უეცრად თვალები უფართოვდება — ეჩვენება. ვითომ აქ რაღაც ძალა აკავებს... მკვდარია, მისი აქედან გაშვება რომ არ სურს, და ემას შიშის ზარს სცემს მიცვალებულის სიძლიერე... ძალას მოიკრებს, თავს დაიხსნის მძლავრი მარწმუნებისგან და მხოლოდ ახლაღა მიხვდება: მიწა სველია; ემა ატალახებულ გზაზე დგას — თურმე სწორედ ტალახი ყოფილა, ნაბიჯის გადადგმას რომ უშლიდა. ახლა კი შეუძლია წავიდეს... ნაბიჯს აუჩქარებს... მირბის... მირბის, რათა გაეცალოს აქაურობას... დაუბრუნდეს სინათლეს, ხმაურს, დაუბრუნდეს ადამიანებს! გზას მიუყვება. რომ არ დაეცეს, გრძელი კაბის ბოლო ხელით უჭირავს. ქარი ზურგში უბერავს, თითქოს წინ მიერეკება. კარგად აღარც კი იცის, რას გაურობის. მერე მოეჩვენება, თითქოს გაურობის სახეგაფითრებულ კაცს, რომელიც იქ, შორს, თბილთან წევს... უცებ ახსენდება, რომ ემალემა ცოცხლებს, რომლებიც სულ მალე იქ გაჩნდებიან და ძებნას დაუწყებენ. ნეტავ რას იფიქრებენ? იქნებ დაედევნონ კიდევ? თუმცა ახლა რაღას დაეწევიან — სადაცაა ხიდს მიუახლოვდება. იქ უკვე აღარაფერი უჭირს, მერე კი ნიფათიც შორს დარჩება. ვერავინ შეიტყობს მის ვინაობას. ძებორციელიც ვერ შეიტყობს. ვინ სეირნობდა იმ კაცთან ერთად რაიპსტრასეზე. მეეტლე მას ველარ იცნობს. ვერც იმ შემთხვევაში იცნობს, თუ მოგვიანებით სადმე შეხვდა კიდევ. ისე, მაინცდამაინც ალბათ თავსაც არ მოიკლავენ მისი ვინაობის დასადგენად. ან კი ვის რაში აინტერესებს? — არა, ნამდვილად ჰკუთნებარა, იქ რომ არ დარჩა. უსინდისოდაც არ მოქცეულა. თვით ფრანციც კი არ უსაყვედურებდა ამისთვის. ის ხომ შინ უნდა მივიდეს, მას ჰყავს შვილი, ჰყავს ქმარი; ხომ დაიღუპებოდა, ვინმეს თავის მკვდარ საყვარელთან ერთად რომ ენახა. აი, ხიდიც გამოჩნდა. ქუჩაც თითქოს უფრო განათდა... აი, უკვე წყლის ხმაურიც მოესმა, მაშინდელივით; ახლა ზუსტად იმ ადგილას არის, სადაც მასთან ხელიხელგაყრილი მისეირნობდა — როდის — როდის? რამდენი საათის წინ? შეუძლებელია დიდი ხანი გასულიყო. შეუძლებელია? ვაითუ, მართლაც დიდი ხანი გავიდა! ვაითუ დიდხანს ეგდო უგონოდ, ვაითუ შუალამეც კარგა ხნის გადასულია. იქნებ თენდება კიდევ და უკვე შინაურებიც ეძებენ. არა, არა, ეს შეუძლებელია, მან ხომ იცის, რომ გონება არ დაუკარგავს; ახლა უფრო ცხადად იხსენებს, ვიდრე პირველ წუთებში, როგორ გადმოვარდა ეტლიდან და მაშინვე გონს მოეგო. იგი ხიდზე გადარბის და ესმის საკუთარი ნაბიჯების ხმა. აქეთ-იქით არც იყურება. უეცრად შეუნიშნავს, მოპირდაპირე მხრიდან ვიღაც უახლოვდება. ნაბიჯს ანელებს. ვინ შეიძლება იყოს? ფორმა აცვია. ემა უკვე სულ ნელა მიაბიჯებს. არ უნდა ყურადღება

მიიტყოს. ეჩვენება, თითქოს კაცის მზერა მისკენ არის მიპყრობილი. რამე რომ
 ჰკითხოს? აი, ერთმანეთსაც გაუსწორდნენ. ფორმაც იცნო; პოლიციელი ყო-
 ფილა; გვერდით ჩაუარა და იგრძნო, როგორ შეჩერდა პოლიციელი. თავს ძალას
 ატანს, რომ ისევ არ გაიქცეს; ეს ხომ ექვს გამოიწვევს. იგი უწინდელი ნე-
 ლა, აუჩქარებლად მისეირნობს. მერე მის ყურს ტრამვაის ხარის წერილი მის-
 წვდება. ესე იგი, ჯერ კიდევ შორსაა შუალამემდე. ისევ უმატებს ნაწილს; მიიჩ-
 ქარის ქალაქისკენ, რომლის სინათლეები ქუჩის ბოლოს, ტრამვაის ლიანდაგებ-
 ზე ირეკლება; ქალაქისკენ, რომლის ყრუ ხმაურს უკვე თითქოს არჩევს კიდევ.
 აი, ამ მიყრუებულ ქუჩას ჩაამთავრებს და მერე შვებასაც იგრძნობს. უცებ შო-
 რიდან მოესმის სასტვენის მკვეთრი ხმა, რომელიც სულ უფრო მკაფიო ხდება,
 სულ უფრო ახლოვდება; მერე მანქანა ჩაუქროლებს. ქალი უნებლიეთ ჩერდე-
 ბა და თავს აყოლებს, სასწრაფო დახმარების მანქანაა. ქალმა იცის, სად მიიჩ-
 ქარიან ექიმები. ასე მალე?! — გაუელვებს თავში... ეს ჯადოქრობას ჰგავს.
 მცირე ხნით ისეთი გრძნობა შეიპყრობს, თითქოს ვალდებულია ამ ხალხს დაუ-
 ძახოს. გაჰყვებს მათ, თითქოს ვალდებულია დაბრუნდეს იქ, საიდანაც მოვიდა —
 მცირე ხნით შეიპყრობს სირცხვილის საზარელი გრძნობა, რომლის მსგავსიც
 არასოდეს განუცდია; მან იცის, რომ სულმოკლედ და უღირსად მოიქცა. მაგრამ
 რაც უფრო შორდება მანქანის ბორბლების ხმაური და სასტვენის ხმა, ქალს
 მით უფრო მტკიცედ ეუფლება გიჟური სიხარული და, თითქოს განსაცდელის-
 გან თავი დაიხსნაო, წინ მიიჩქარის. ქუჩაში ხალხი მიდი-მოდის; მათი აღარ ეში-
 ნია — მთავარი საფრთხე დაძლეულია. ქალაქის ხმაური სულ უფრო მკაფიოდ
 მოისმის, ქუჩებიც სულ უფრო მეტადაა განათებული; აი, გამოჩნდა სახლების
 რიგი პრაქტერშტრასეზე. ქალს ეჩვენება, რომ იქ ხალხის ზღვა უცდის და ადა-
 მიანთა ნაკადი უკვალოდ შთანთქავს მას. ამასობაში ქუჩის ლამპიონს უახლოვ-
 დება. სადაც უკვე გულდამშვიდებით შეუძლია საათს დახედოს. ცხრას ათი
 წუთი აკლია. საათს ყურთან მიიტანს — წიკწიკებს. და თავში გაჰკრავს: ცოც-
 ხალი ვარ, არაფერი მომსვლია... ჩემი საათიც კი არ გაჩერებულა... ის კი... ის...
 მკვდარია... ეს ბედისწერაა... თავს ისე იგრძნობს. ვითომ შეუნდეს ყოველივე,
 ვითომ არც არასოდეს ჩაუდენია რაიმე ცოდვა. ეს ასეა, დიახ, ასეა. ესმის ეს
 სიტყვები. რადგან ხმამაღლა წარმოთქვამს მათ. მერედა, ბედს რომ სხვაგვარად
 განესაჯა? — იმ თხრილში ახლა თავად რომ წოლილიყო, ხოლო ფრანცი გადარ-
 ჩენილიყო? ის არ გაიპარებოდა, არა... არ გაიპარებოდა. თუმცა, ის ხომ კაცია.
 ემა კი ქალია — მას ჰყავს შვილი და ქმარი. ემა სწორად მოიქცა, — ეს მისი
 მოვალეობაა — დიახ, მოვალეობა. მშვენივრად უწყის, რომ მოვალეობის
 გრძნობა არ ამოძრავებდა... მაინც სწორად მოიქცა. უნებლიეთ... როგორც...
 წესიერ ადამიანებს ემართებათ ხოლმე. ახლა ხომ უკვე მხილებული იქნებოდა.
 ექიმები ჰკითხავდნენ: სად არის თქვენი ქმარი, პატივცემულო ქალბატონო? ო,
 ღმერთო ჩემო!... მერე ბვალინდელი გაზეთები — და ოჯახი — იგი სამუდამოდ
 დაენგრეოდა. მკვდარს კი ამით მაინც ვერ გააცოცხლებდა. პო, აი, ეს იყო მთა-
 ვარი; ტყუილუბრალოდ რატომ უნდა დაეღუპა თავი? — აი, ემა უკვე რკი-
 ნიგზის ბიდის ქვეშაა. — გზას გახაგრძობს... აი, ტეგეტპოფის სვეტიც, რომელ-
 თანაც ქუჩების გასაყარია. შემოდგომის ამ წვიმიან და ქარიან სალამოს გარეთ,
 მართალია, უკვე ცოტა ხალხია. მაგრამ ქალს ისე ჰგონია, ირგვლივ დულს და
 გადმოდულს ქალაქური ცხოვრება; რადგან იქ, საიდანაც ის მოდის, უსაზარლე-
 სი სიჩუმე მეფობდა. მას აქვს დრო, იცის, რომ მისი ქმარი დღეს მხოლოდ ათი
 საათისთვის დაბრუნდება შინ — მანამდე კი ემა ტანსაცმლის გამოცვლასაც მო-

ასწრებს. ახლავს მოისაზრებს, რომ კაბასაც უნდა შეავლოს თვალი. ტალახში ამოთხვრილი კაბის დანახვაზე გულს შემოეყრება. რას ეტყვის მოახლე გოგოს? თავში გაუელვებს, რომ უბედური შემთხვევის ამბავი ხვალ ყველა გაზეთში დაიბეჭდება. ყველგან დაიბეჭდება იმ ვილაც ქალის ამბავიც, იმავე ეტლში რომ იჯდა და ველარსად იპოვეს. ამის გაფიქრებაზე ისევ შიშის ზარი იპყრობს — ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი, და ამაოდ ჩაუვლის საკუთარ სიმბდალეს. მაგრამ, საბედნიეროდ, ბინის გასაღები თანა აქვს; თვითონვე შეუძლებს კარის გაღებას; — სახლში ჩუმად შეიპარება. სასწრაფოდ ეტლში ჯდება. ის არის, თავისი მისამართის თქმას დააპირებს, რომ ენაზე იკბენს — ეს ხომ შეცდომა იქნება — და რაც თავში პირველად მოუვა, იმ ქუჩას ასახელებს. სანამ ეტლი პრაქტერ-შტრასეს მიუყვება, ქალს გულწრფელად სურს რაიმე განცდა დაეუფლოს, მაგრამ არაფერი გამოსდის; გრძნობს, რომ მისი ერთადერთი სურვილია იყოს შინ, სადაც არავითარი საფრთხე აღარ დაემუქრება. ყოველივე დანარჩენი მისთვის სულ ერთია. რა წამსაც გადაწყვიტა მიკარგულ შარაზე მიეტოვებინა უსულო ადამიანი, მიცვალებულის დატირების გრძნობაც ჩაუკვდა. ახლა მას ერთი საწუხარია შემორჩა: საკუთარი სიმშვიდე. მაშ უგულოა?... ო, არა!... ისიც დაბეჯითებით იცის, რომ ერთ მშვენიერ დღეს სასოწარკვეთილებას მიეცემა; შესაძლოა ამან ბოლოც კი მოუღოს; მაგრამ ახლა აღარაფერი უნდა, გარდა ერთისა: იყოს შინ და თვალეზამშრალი, მშვიდად უჯდეს სუფრას თავის ქმარსა და შვილთან ერთად. სარკმლიდან გარეთ გაიხედავს. ეტლი უკვე შიდა ქალაქშია;¹ აქ ქუჩები გაჩახჩახებულა და გამვლელ-გამომვლელელებიც ბევრნი არიან. შეუძლებელია სინამდვილე იყოს ის, რაც ამ ბოლო საათებში შემემთხვაო, გაიფიქრებს უეცრივ. შემზარავ ზმანებად წარმოუდგება ყოველივე... მართლაც ვის გაუგონია ასეთი საშინელება? რინგს² რომ გაცდება, ერთ-ერთ შესახვევთან მეეტლეს ცხენებს შეაჩერებინებს, ჩამოხტება და კუთხეს მიეფარება თუ არა, იხმობს სხვა მეეტლეს, რომელსაც თავის ნამდვილ მისამართს ეტყვის. ასე ჰგონია, თითქოს სრულებით დაჰკარგა უნარი თავი მოუყაროს ფიქრებს. ნეტავ ფრანცი სად არის ახლა, მხოლოდ ეს გაუელვებს გონებაში. თვალებს ხუჭავს და ხედავს მას სასწრაფო დახმარების მანქანაში, საკაცეზე მწოლიარეს — ეჩვენება, თითქოს თვითონაც გვერდით უზის. ეტლი ოდნავ შექანდება და ქალს შიში აიტანს, მაშინდელივით არ გადავვარდეთ. მოულოდნელად შეჰკივლებს. ეტლი ჩერდება. ქალს გული გადაუქანდება; თურმე საკუთარი სახლის ჭიშკართანაა. — სწრაფად გადმოდის ეტლიდან, ჩქარი, ფრთხილი ნაბიჯით გაივლის სადარბაზოს, ისე რომ კარისკაცი არც კი გამოიხედავს სარკმლიდან, მერე ჩუმად აირბენს კიბეს და რომ არავინ გაიგონოს, ჩუმადვე ჩაკეტავს კარს... წინკარიდან თავის ოთახში შევა — მორჩა! შეუქს ანთებს, სასწრაფოდ იხდის ტანსაცმელს და საგულდაგულოდ მალავს კარადაში. ტანსაცმელი დილამდე გაშრება, დილით კი თვითონ გაფერთხავს და გაასუფთავებს. მერე ხელ-პირს იბანს და ღამის პერანგს იცვამს.

ამ დროს ზარიც აწკრიალდება. ემას ესმის, როგორ უახლოვდება მოახლე გოგო კარს და აღებს. ესმის თავისი ქმრის ხმა; ესმის, კუთხეში როგორ მიაყუდებს ხელჯოხს. ემა გრძნობს, რომ სწორედ ახლა სჭირდება სიმტკიცე, თორემ

¹ შიდა ქალაქი — ასე უწოდებენ ვენის ცენტრს.

² რინგა — ვენის მთავარი მაგისტრალი, რომელიც ფართო ქუჩების ქსელით ერთმანეთთან აკავშირებს ქალაქის ცენტრალურ უბნებს.

წყალში ჩაეყრება ყველაფერი. ჩქარი ნაბიჯით გაემართება სასადილო ოთახისკენ, სადაც ქმარი იმავ წამს შემოდის.

„ა, შენ უკვე შინა ხარ?“ ამბობს იგი.

„რა თქმა უნდა“, პასუხობს ცოლი, „კარგა ხანია მოვედი“.

„ეტყობა, შემოსვლისას ვერ დაგინახეს“, ქალს სახეზე ძალდაუტანებელი ღიმილი გადაურბენს. თუმცა ძალიან კი იღლება იმისგან, რომ ქმარი მისი დაბრუნებას ვერ დაინახა.

უნდა იღიმებოდეს, ქმარი შუბლზე კოცნის.

მათი პატარა ბიჭი სუფრას უჯის; დიდხანს მოუხდა ლოდინი, უკვე ჩასძინებია კიდეც, თევზზე წიგნი დაუდევს, გადაშლილ წიგნში თავი ჩაურგავს. ქალი ბავშვს მიუჭდება. მეუღლე კი მის პირდაპირ იკავებს ადგილს, გაზეთს იღებს და ათვალეირებს. შემდეგ გვერდზე გადადებს და ამბობს: „ისინი ჯერ კიდევ სხედან და თათბირობენ“.

„რის თაობაზე?“ ეკითხება ქალი.

და ქმარი დაწვრილებით უამბობს დღევანდელი სხდომის ამბებს. ემა, ვინაა თომ ყურადღებით უსმენდეს, დროდადრო დასტურის ნიშნად თავსაც უქნევს.

სინამდვილეში არაფერი ესმის, არც კი იცის, რაზე ესაუბრება ქმარი, იმ ადამიანივითაა, სასწაულით რომ გადაურჩა გარდუვალ ხიფათს... ვერაფერს გრძნობს, გარდა ერთისა: გადავრჩი, შინ ვარ, და სანამ ქმარი თბრობას განაგრძობს, სავარძელს ბიჭისკენ მიაჩოჩებს და შეილის თავს მკერდში ჩაიკრავს. ენით უთქმელი დაღლა ეუფლება — თავს ვეღარ იმორჩილებს, გრძნობს, როგორ ეკიდება ძილი; თვალებს ხუჭავს.

უეტრად საშინელი აზრი მოსდის თავში, რაზედაც არც კი უფიქრია იმ წუთიდან, თბრილიდან რომ წამოდგა. ვაითუ არ მომკვდარა ვაითუ... უპ, რა სისულელეა, ყოველგვარი ექვი გამორიცხულია... ის თვალები... ის პირი — და თანაც ის ხომ აღარც სუნთქავდა. — მაგრამ მოჩვენებითი სიკვდილიც ხომ არსებობს? არის შემთხვევები, როცა გამოცდილ თვალსაც ეშლება. მას კი სულაც არა აქვს გამოცდილი თვალი. ვაითუ ცოცხალია, ვაითუ გონს მოვიდა, გამოფხიზლდა და მიხვდა, რომ შეუღამისას სოფლის შარაზე მარტო მიაგდეს... ვაითუ მასაც დაუძახა... მისი სახელი წარმოთქვა... ვაითუ შეეშინდა, ემას რამე ხომ არ მოუვიდაო... ვაითუ ეჭიმებს უთხრა, აქ ქალიც იყო და ალბათ სადმე უფრო შორს გადავარდაო. მერე... მერე... პო, მერე რაღა მოხდება? მას ძებნას დაუწყებენ. ამასობაში მეეტლეს დაბრუნდება ფრანც-იოზეფსლანდიდან, ხალხსაც თან მოიყვანს... მერე ამბის მოყოლას დაიწყებს... კი მაგრამ, მე ის ქალი აქ დავტოვეო — და ფრანცი ყველაფერს მიხვდება. ფრანცი ყველაფერს იგრძნობს... იგი ხომ მშვენივრად იცნობს ემას. მიხვდება, რომ ემა გაიპარა და საშინელი ბრაზი შეიპყრობს, იტყვის მის სახელსაც, რათა შური იძიოს. ის ხომ ბეწვზე გადარჩა სიკვდილს... მისთვის იმდენად აუტანელი იქნება იმ აზრთან შეგუება, ემამ მომაკვდავი მიმატოვაო, რომ დაუფიქრებლად იტყვის: ეს ფრაუ ემა იყო. ჩემი საყვარელი... მხდალი და, ამავე დროს, სულელიც, რადგან დარწმუნებული ვარ, ბატონო ეჭიმებო, თქვენ მის სახელს არც იკითხავდით, თუ ის ვინაობის გამხელას არ მოისურვებდა. თქვენ ხომ მაშინვე მისცემდით წასვლის ნებართვას და მეც, ცხადია, ასევე მოვიქცეოდი, ო, რა თქმა უნდა — ოღონდ თქვენს მოსელამდე არ უნდა წაბრძანებულიყო. მაგრამ რაკი ასე უნამუსოდ მოიქცა, გეტყვით, ვინც არის... მისი სახელია... აჰ!

„რა მოგივიდა?“ წარბშეკვრით ამბობს პროფესორი და ფეხზე დგება.

„რა... რა თქვი?... რა ხდება?“

„რა დაგემართა-მეთქი?“

„არაფერი.“ ქალი უფრო მაგრად იხუტებს ბიჭს.

პროფესორი გულდასმით აკვირდება ცოლს. „ჩაგთვლიმა და“

„და რა?“

„და მერე უცებ შეპყვლე“.

„...მართლა?“

„თითქოს კოშმარი დაგესიზმრაო. მართლა დაგესიზმრა რამე?“

„არ ვიცი, არაფერი არ ვიცი“.

მოპირდაპირე კედელზე დაკიდებულ სარკეში ქალი ხედავს მოლიმარ სახეს, დაუნდობელსა და არეულს. მან იცის, რომ ეს მისი საკუთარი სახეა, მაგრამ ტანში მაინც ერუანტელი უვლის... ამჩნევს, როგორ უქვავდება ნაკვთები; ტუჩებსაც ველარ ამოძრავებს და მისთვის ნათელი ხდება: სანამ ცოცხალია, მისი ტუჩები ამ ღიმილს ვერ მოიშორებენ. ცდილობს დაიკვივლოს. გრძნობს, როგორ ეშვება მის მხრებზე ორი ხელი და ხედავს, რომ საკუთარ სახესა და სარკიდან მომზირალ ანარეკლს შორის კიდევ ერთი სახე შემოიჭრება: ქმრისა; კაცის თვალებში შეკითხვაცაა და გაფრთხილებაც, მისი მზერა ქალის თვალებში იძირება. ემამ იცის: თუ ვერ გაუძლო ამ ბოლო გამოცდას, ყველაფერი დაიღუპება. გრძნობს, როგორ იკრებს ძალას. ახლა უკვე უწინდებურად ფლობს თავისი სახის ყოველ ნაკვთს, სხეულის ყოველ ნაწილს; ახლა მას შეუძლია ისე მოიხმაროს ისინი, როგორც მოესურვება; მაგრამ დროის დაკარგვა არ შეიძლება, თორემ ეს წუთი გაივლის, და ქალი ხელებს შემოჭვევს მეუღლეს; მერე კი მზიარული და აღერსიანი მზერით დაატყვევებს.

საკუთარ შუბლზე ქმრის ტუჩებს იგრძნობს და გაიფიქრებს: რა თქმა უნდა, მხოლოდ კოშმარი იყო. ფრანცი არაფერს იტყვის, შურსაც ვერასოდეს იძიებს, ვერასოდეს... ის მკვდარია... მართლა მკვდარია... მკვდრები არ ლაპარაკობენ.

„რატომ ამბობ ამას?“ მოულოდნელად ჩაესმის ქმრის ხმა. შეკრთება. „რა ვთქვი?“ და მოეჩვენება, ვითომ ხმამაღლა მოჰყვა ყველაფერს... ვითომ ამ საღამოს მომხდარი ამბავი თავიდან ბოლომდე აუწყა სუფრასთან მსხდომთ... ქალი შეკითხვას იმეორებს და ძალა ეცლება კაცის შეძრწუნებულ თვალების წინაშე: „რა ვთქვი?“

„მკვდრები არ ლაპარაკობენო“, უმარცვლავს ქმარი.

„ჰო...“, ამბობს ემა, „ჰო...“

კაცს თვალებში ჩახედავს და ხედავს, რომ ველარაფერს დაუმაღლავს. დიდხანს უყურებენ ერთმანეთს. „წადი, ბიჭი დააწვინე“, ამბობს ქმარი; „თუ არ ეცდები, სათქმელი გაქვს რაღაც...“

„ჰო“, ამბობს ქალი.

მან იცის, რომ რამდენიმე წუთში სიმართლეს ეტყვის კაცს, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე ატყუებდა.

შვილთან ერთად აუჩქარებლად ტოვებს ოთახს, თან ზურგზე მიყინულ მეუღლის მზერას გრძნობს და სწორედ ამ წუთას უკიდევანო სიმშვიდე მოიცავს — თითქოს ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო.



ლოთ სიფათიდან, თორემ კონცერტის მერე ფოიეში შევხვდებით ერთმანეთს! — როგორც იქნა, მიიხედა!... რატომ არის, რომ ყველას ასე ეშინია ჩემი შეხედვის?... შენ ულამაზესი თვალები გაქვს, რომელიც კი ოდესმე მინახავს! შტეფომ მითხრა ამას წინათ... ო, შტეფი, შტეფი, შტეფი! — სწორედ შტეფის ბრალია, ახლა რომ აქ ვზივარ და ამდენი ხანია ვწუწუნებ. — ყელში ამომევიდა მისი გაუთავებელი მომიზეზება! არადა, რა კარგად შეიძლებოდა დაელოდა ჩემს ცალამოს გატარება! ახლაც დიდი სიამოვნებით გადავიკითხავდი შტეფის წერილს, წამოდებულს მაქვს, მაგრამ საფულის ამოდება რომ დავიწყო, ეს ჩემი მეზობელი ცოცხლად შემჭამს! — ისედაც ვიცი, შიგ რაც წერია... ის ვერ მოვა, ვინაიდან „მასთან“ ერთად ვახშამი უნდა მიირთვას... უპ, ძალიან კი ვიმხიარულე, რვა დღის წინ მებაღეობის საზოგადოებაში ერთად რომ მოვიდნენ და მე და კობეც კიც იქ დავხვდით; სულ რაღაცას მანიშნებდა თვალებით. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ „იმან“ ვერაფერი შეამჩნია. მგონი, ებრაელი უნდა იყოს! აბა ვინ იქნება, ბანკში მუშაობს და თანაც შავი უღვაში აქვს... თუ არ ვცდები, თადარიგის ლეიტენანტიცაა! ისე, მაგას ურჩევნია ჩემს პოლკში არ მოხვდეს საწვრთნელ მეცადინეობაზე, და საერთოდ, რა ამბავია, ამდენ ებრაელს რომ აოფიცრებენ — მიმიფურთხებია ასეთი ანტისემიტისთვის! ამას წინათ, მანჰაიმერებთან რომ გახლდით და იურისტთან ის ამბავი შემემთხვა... თვით მანჰაიმერებიც, მგონი, ებრაელები უნდა იყვნენ, თუმცა, რა თქმა უნდა, მონათლული ებრაელები... მაგრამ მათ მაინცდამაინც არც ეტყობათ — განსაკუთრებით ცოლს... ჭერაა და ტანიც შესანიშნავი აქვს... კარგი დრო გავატარეთ. კერძები — მშვენიერი, სიგარები — ბრწყინვალე... თუმცა რა მიკვირს, ფული ფულია... ბრავო, ბრავო! ახლა მაინც ხომ მალე დამთავრდება? — კი, ზემოთ ხალხი ფეხზე წამოდგა... საუცხოო სანახაობაა — მართლაც შთამბეჭდავია! — ორლანიც?... ორლანი ძალიან მიყვარს... პო, ამას როგორმე გავუძლებ — შესანიშნავია! კაცმა ხშირად უნდა იაროს კონცერტებზე... შესანიშნავი იყო-მეთქი, აი, რას ვეტყვი კობეცკის... ნეტავ დღეს კაფეში თუ შევხვდები? — ეპ, გუშინ ისე მოვიშხამე, რომ კაფეში წასვლის ხალისიც არა მაქვს! სად გაგონილა, ერთ დაჯდომაზე ას სამოცი გულდენი წააგოს კაცმა — სისულელეა და მეტი არაფერი! მერედა, ვისთან?! ბალერტთან! სკირდებოდეს მაინც — ფული ჩეჩქივითა აქვს. სულ ბალერტის ბრალია, ამ სულელურ კონცერტზე რომ წამოვედი... იმის ბრალია, აბა რა, ის რომ არ ყოფილიყო, დღესაც ვითამაშებდი, იქნებ მომეგო კოდეც ცოტაოდენი, მაგრამ, მეორე მხრივ, მაინც კარგია, ასე რომ აეწყო ყველაფერი — ჩემს თავს პატიოსანი სიტყვა მივეცი, ბანკოს ერთი თვე ხელს აღარ ვახლებ-მეთქი... ნეტა დედაჩემის სახე დამანახვა, ჩემს წერილს რომ წაიკითხავს! — რა მოხდა ბოლოს და ბოლოს, ბიძაჩემთან წავიდეს, იმას ფული თავზე საყრელი აქვს; ასი-ორასი გულდენი მისთვის რა არის. ნეტავ როგორმე იმასაც მოვახერხებდე, მუდმივად მეხმარებოდეს... მაგრამ, გიყი არ იყო, ყოველი კროიცერისთვის საგანგებოდ უნდა ემათხოვრო, მერე გეტყვიან: შარშან ცუდი მოსავალი გვქონდაო... იქნებ ზაფხულში ბიძაჩემთან წავსულიყავი ერთი-ორი კვირით? მართალია, შეიძლება მოწყენილობამ გაგაგიყოს, მაგრამ... ერთი ის... რა ერქვა?... რა მჭირს. სახელებს ველარ ვიმახსოვრები!... თუმცა პო: ეტელკა! გერმანულად ერთი სიტყვა არ ესმოდა, არც იყო აუცილებელი... მეც არაფრის თქმა დამჭირვებია!... პო, მართლა, კარგი იქნებოდა თოთხმეტი დღე სოფლის სუფთა პაერი და თოთხმეტი დამე ეტელკა ან სხვა ვინმე... მაგრამ მამასთან და დედასთანაც უნდა ჩავიდე, ერთი შეიძირ-რვა დღით მა-

ინც... წელს, შობას რომ ვიყავი, დედას შესახედაობა არ მომეწონა... ალბათ უკვე გამოკეთდებოდა, მის ადგილზე მოხარული ვიქნებოდი, მამა რომ პენსიაში გავიდა. — კლარაც ნამდვილად იშოვნის ქმარს... იქნებ ბიძაჩემსაც მისცეს რამე... ბოლოს და ბოლოს ოცდარვა წელი არც ისე ბევრია... არც მტეფი მყავს უფრო ახალგაზრდა... მაგრამ საკვირველი კია; იმნაირი ქალები უფრო გვიან ბერდებიან, რომ დაუფიქრდე, ის მარეტი, ახლაზან ^{ქალები უფრო გვიან ბერდებიან} „მადამ სან-უენში“¹ რომ ვნახე, ოცდაჩვიდმეტის მაინც იქნება, მაგრამ გეგონება... მოკლედ, უარს ნამდვილად არ ვეტყვოდი! — საწყენია, რომ არაფერი შემოუთავაზებია...
 დაცხა! აღარ თავდება? რა კარგია, სუფთა ჰაერზე რომ გავალ! ცოტას რინგზეც გავისეირნებ... დღეს ადრე უნდა დავწვე, რომ ხვალ, ნაშუადღევს კარგად ვიყო მიკვირს კიდევ, რომ თითქმის სულ არ ვფიქრობ ამაზე, არც არაფერი მადარდებს! პირველად ცოტა ვღელავდი, კი არ მეშინოდა; უბრალოდ, წინა ღამით ვერა და ვერ მოვისვენე... არც არის გასაკვირი, ობერლეიტენანტი ბიზანცი ხომ სერიოზული მოწინააღმდეგე იყო. — მიუხედავად ამისა, არაფერიც არ მომსვლია!... უკვე წელიწად-ნახევარი გავიდა მას შემდეგ, როგორ გარბის დრო! თუკი ბიზანცმა ვერაფერი დამაკლო, იმ იურისტმა რაღა უნდა დამიშავოს! თუმცა ზოგჯერ სწორედ ასეთი გაუწვრთნელი მოფარეკავეები არიან ყველაზე სახიფათო. დოშინცკიმ მიაშობო, თურმე ერთხელ ვილაც დარეზვილმა კინალამ სული გააფრთხობინა, თუმცა ხმალი პირველად ეჭირა ხელში; არადა, დოშინცკი ახლა ფარიკაობას ასწავლის ლანდვერში.² ნეტავ მაშინაც ასე კარგად თუ ფარიკაობდა?... მთავარია, რკინის ნერვები გქონდეს. რიგიანად გაბრაზებულიც აღარა ვარ, არადა, ნამდვილი თავხედობა კი იყო — წარმოუდგენელია ნამდვილად ვერ გაბედავდა, შამპანური რომ არ ჰქონოდა გადაკრული... სად გაგონილა ასეთი თავხედობა! ნამდვილად სოციალისტი იქნება! ასეთი შარიანი ხალხი ჩვენს დროში სულ სოციალისტები არიან, ყაჩაღების ბანდაა და სხვა არაფერი... ნება რომ მისცე, ჯარს მაშინვე სიამოვნებით გააუქმებდნენ; ვინ დაეხმარებათ, ჩინელები რომ თავს დაესხმებიან, ამაზე არც კი ფიქრობენ, დებილები! — მე თუ მკითხავ, ერთი ასეთი ეგზემპლარი უნდა დასპირტო და მუზეუმში მოათავსო. ცამდე მართალი ვიყავი. კარგადაც მოვიქეცი, რომ ის სიტყვები არ შევარჩინე. რომ ვიხსენებ, პირდაპირ ვცოფდები კაცია მაგრამ მშვენივრად კი მოვიქეცი; პოლკოვნიკიც ამბობს, ყველაფერი რიგზე იყო, ზოგი კირი მარგებელია. ისიც ვიცა, რომ ვილაც-ვილაცები მზად არიან ის ვიგინდარა გაამართლონ. მაგალითად, მიუღერი. მან ხომ მუდამ უნდა გამოიჩინოს ობიექტურობა, თუ რაღაც ჯანდაბა. ობიექტურობას კი ჯერ არავისთვის მოუტანია სიკეთე... ბატონო ლეიტენანტო!..., ჯერ მართო ეს „ბატონო ლეიტენანტოც“ რაღაც უტიფრად წარმოთქვა!..., ამას ყველა დამიმოწმებს... — კი მაგრამ, საქმე აქამდე როგორ მივიყვანე? როგორ გავუყადრე თავი ვილაც სოციალისტს? ერთი გავიხსენო, როგორ დაიწყო ყველაფერი... მე მგონი, ის შავგვრემანი ქალიც იქვე იყო, ბუფეტამდე რომ მივაცილე... და ის ახალგაზრდა კაციც, ნადირობის სურათებს რომ ხატავს ხოლმე — მისი სახელიც დამავიწყდა... ღმერთმანი, მთელი ეს ამბავი სწორედ მისი ბრალი იყო! იმან დაიწყო მანევრებზე ლაპარაკი, მერე იურისტიც ჩაერთო საუბარში და რა-

¹ „მადამ სან-უენი“ — ფრანგი დრამატურგების ე. სარლუსა (1831-1908) და ე. მოროს (1852-1922) პიესა.

² ლანდვერი (გერმ. Landwehr) — მეორე რიგის თადარიგის სამხედრო ვალდებულთაგან შედგენილი საქარისო ნაწილები.

ლაც ისეთი თქვა, რაც მე ძალიან არ მომეწონა. მანევრები ომობანას თამაშიაო, თუ რაღაც ამდაგვარი ბრძანა. მაგრამ მე ჯერ არაფერი მიბასუხია... ჰო, მერე კი სიტყვა კადეტთა სასწავლებლებზე ჩამოაგდო... ჰო, ნამდვილად ასე იყო... ამის მერე მე ერთი პატრიოტული ზეიმის ამბავი მოვუყევი... მერე კი იურისტმა თქვა — მაშინვე არ უთქვამს, მაგრამ ზეიმს დაუკავშირა — ბატონო ლეიტენანტო, ალბათ დამეთანხმებით, რომ თქვენი ამხანაგებიდან ყველაზე უფრო მობლოს დასაცავად როდი წავიდა ჯარშიო! გაგონილა ასეთი თავხედობა? და ამას თქმა ოფიცერს გამიბედა! რა ვუბასუხე, ის მაინც გამახსენდებოდეს... ჰო, მგონი, რაღაც ვთქვი იმ ხალხზე, ისეთ საქმეში რომ ყოფენ ცხვირს, რომლისაც არაფერი გაეგებათ... ჰო, ასე იყო... მერე კი გამოჩნდა ვიღაც კაცი, რომელსაც უნდოდა მშვიდობიანად მოეგვარებინა საქმე. ხანში შესული კაცი იყო, მგონი, ქრონიკული სურდო სჭირდა... მაგრამ ამ დროს მე უკვე გაცოფებული ვიყავი იურისტმა ის სიტყვები ისეთ კილოზე წარმოთქვა, თითქოს პირადად მე მგულისხმობდა. იმის თქმაღა აკლდა, გიმნაზიიდან გამოგაბრძანეს და კადეტთა სასწავლებელშიც ამიტომ შეგაკეცხესო. ხალხს არ ესმის ჩვენისთანების, საამისოდ ჭკუაა საჭირო... რომ ვიხსენებ, რა ბედნიერი ვიყავი, პირველად ფორმა რომ ჩამაცვეს... ასეთ რამეს ყველა კი ვერ გამოცდის!... ან კიდევ შარშან, მანევრებზე — ეჰ, რას არ მივცემდი, უცბად სინამდვილედ რომ ჭკეულიყო ყველაფერი... მიროვიჩმა მითხრა, მეც ზუსტად ასეთივე სურვილი მქონდაო. და მერე მისმა უდიდებულესობამ ფრონტი რომ ჩამოიარა და პოლკოვნიკმა სიტყვით მოგვმართა — უკანასკნელი არამზადა უნდა ყოფილიყავი. შენს გულს ბაგაბუგი რომ არ აეტეხა... და უცებ მოდის ეს მაიმახი, მთელი ცხოვრება წიგნებში კირკიტის მეტი რომ არაფერი უკეთებია, და უტიფრად მეუბნება ასეთ რამეს... ოჰ, ცოტაც მაცადე, ჩემო ძვირფასო — დამბლას დაგმართებ... ჰო, ჰო, ისეთი დამბლა დაგმართო, რომ...

რა არის, რა ხდება? ახლა კი უკვე ნამდვილად მთავრდება... „აქებდეთ სახელსა უფლისასა“... — ეს ხომ ფინალური გუნდია... ვერაფერს იტყვი, მართლაც შესანიშნავია! — ის გოგოც სულ გადამავიწყდა. ლოქაში რომ იჯდა. არადა, აშკარად მეარშიყებოდა. ნეტავ სად გაქრა?... ალბათ წავიდა... თუმცა აი, არც ეს უნდა იყოს ურიგო... რა სულელი ვარ, ბინოკლი რომ არ წამოვიღე! ბრუნტალერით თავშენახული უნდა იყო კაცი — კაფეში რომ სეიფია, ბინოკლი მუდამ იქა აქვს ჩაკეტილი... რა მოხდება, ის პატარა გოგო, ჩემ წინ რომ ზის, ერთხელ მაინც შემობრუნდეს! რამდენი ხანია ზის ასე ბეჯითად და ერთხელაც არ განძრეულა. მის გვერდით რომ ქალია, უთუოდ დედამისი იქნება. — ისე, დროა ცოლის შერთვაზეც ვიფიქრო. ვილი რა, ჩემზე უფროსი კი არ იყო, უდიდესი რომ შეპყრო თავი. ღმერთმანი, მთლად ცუდი არ უნდა იყოს შინ, მზარეულად, ერთი და იგივე ლამაზი დედაკაცი რომ გეყოლება... იმ დალოცვილ შტეფისაც რაღა დღეს არ სცალია! ვიცოდე მაინც, სად არის, ახლაც მის მოპირდაპირე მაგიდას მივუჯდებოდი. კარგი იქნება, ერთხელ „იმან“ გამოიჭიროს, მაშინ შტეფი მე ჩამომეკიდება კისერზე... რომ დავუფიქრებდი, რა უჯდება ფლისს ვინტერფელდის ქალი!... ყოველ დღის ნაბიჯზე მაინც არ ლატობდეს. ერთხელაც იქნება და ეს ყველაფერი სკანდალით დასრულდება... ბრავო, ბრავო! უჰ, როგორც იქნა, დამთავრდა!... რა კარგი ყოფილა ადგომა, წელში გამართვა... ჰა, მიდი კიდევ დიდხანს უნდა ტენო ბუდეში ეგ შენი ბინოკლი?

„პარდონ, პარდონ, იქნებ გამატაროთ?“

რა ჯგლეათაა! ჯერ სხვები გავატარო... მეტად ელეგანტური არსებაა... ბრილიანტები თუა ნამდვილი?... აგერ, იმასაც არა უშავს... თანაც, როგორ მი-
ყურებს!... ო, რასაკვირველია, ჩემო საყვარელო, უარს როგორ გეტყვი... უპ,
რა ცხვირია! ნაღდად ებრაელი იქნება... აი, კიდევ ერთი... პირდაპირ უტყვი
გაგინათლება — აქაურობა ებრაელებით არის სავსე... ორატორული მხარე-
ბასაც კი არ გაცდიან... ახლა შეგვიძლია ჩვენც შევუერთდეთ ნაკადს... რას
მაწვება ეს იდიოტი? მე შენ გიჩვენებ სეირს! უპ, მოხუცი ყოფილა!... ის ვინ-
ლაა, თავგამოდებით რომ მესაღმება?... მოგესაღმებით, მოგესაღმებით! წარ-
მოდგენა არა მაქვს, ვინ შეიძლება იყოს... ყველაზე ჭკვიანური ახლა ლაი-
დინგერთან სავაზშმოდ გადასვლა იქნებოდა... თუ მებაღეობის საზოგადოე-
ბაში წავიდდე? ბოლოს და ბოლოს იქნებ შტეფიც იქ იყოს? რა მოზღებოდა, ბა-
რემ ისიც მოეწერა, სად აპირებდა იმასთან ერთად წასვლას, ალბათ თვითონაც
არ იცოდა. რა საშინელებაა, სულ სხვაზე რომ ხარ დამოკიდებული... საწყალი
გოგო! — ესეც გასასვლელი... ო, ეს კი მართლა კალმით ნახატია! მარტოა?
თანაც როგორ აშკარად მიცინის! კარგი აზრია, ავიღებ და ამას გავყვები!... ჯერ
კიბეზე ჩავიდე... ოპ, მაიორიც აგერ ყოფილა, ოთხმოცდამეთხუთმეტედან არ-
ის... საკმაოდ თავაზიანად დამიკრა თავი... გამოდის, რომ აქ ერთადერთი ოფი-
ცერი არ ვყოფილვარ... ის ლამაზი გოგო სადღა გაქრა? ა, აგერ ყოფილა... მო-
აჯირთან დამდგარა... ახლა გარდერობამდეც მიმალწევინა და... მთავარია, ის
ფისო არ დამეკარგოს... უ, შენი! შე მამაძაღლო! კაცს თუ ელოდებოდი, მე
რადღს მიღიმოდი ასე უსირცხვილოდ! — კაპიკია ყველა ქალის ფასი... ღმერ-
თო ჩემო, რა ზედახორაა ამ გარდერობთან!... კიდევ ცოტას მოვიცდი, ასე აჯო-
ბებს... აპა! იქნებ გამომართვა ნომერი, შე უტვინო!

„ეი, თქვენ, ორას ოთხმოცდაოთხი! აგერ კიდია! თვალები სადა გაქვთ?
აი, აქ კიდია! ძლივს არ დაადგა საშველი... ახლა კი, თუ შეიძლება, გამატა-
რეთ!“

...ამ ლიპიანმაც ხომ მთელი გასასვლელი ჩაკეტა...

„ნება მიბოძეთ!“

„მოითმინეთ, მოითმინეთ!“

რაო-რაო, რას ამბობს?

„მოთმინება იქონიეთ!“

ახლა კი ნაღდად უნდა ვუბასუხო... „ბოლოს და ბოლოს გამატარებთ
თუ არა?“

„დაეტიეთ ადგილზე!“

რაო რა თქვა! მე მითხრა? ეს კი უკვე მეტისმეტია, ნამდვილად ველარ მო-
ვითმენს „წყნარად-მეთქი!“

„რა ბრძანეთ, გეთაყვა?“

აპა, ასე მელაპარაკებით, ხომ? მორჩა, მოთმინების ფიალა ამევსო.

„ხელს ნუ იკვრევინებთ!“

„ეი, თქვენ, ენას კბილი დააჭირეთ!“ ეს კი აღარ უნდა მეთქვა. ცოტა უხე-
შად მომივიდა... ეპ, რაც არის, არის!

„როგორ, როგორ?“

ახლა თავის მოტრიალებაც ინება... აი, თურმე ვინ ყოფილა! — დასწყევ-
ლოს ღმერთმა, მეფუნთუშეა, კაფეში რომ მოდის ხოლმე... აქ რადღს აკეთებს?
ამასაც ვინმე ეყოლება სიმღერის აკადემიაში, ალბათ ქალიშვილი... ეს რაღა

ეშმაკია? რას შვრება ეს ოხერი? მგონი, სულაც... ჰო, ღმერთმანი, ჩემი ხმლის ტარს ჩაბლაუჭებია... ხომ არ გადარეულა?... „თქვენ ბატონო...“

„არა, თქვენ, ბატონო ლეიტენანტო, გირჩევნიათ სიმშვიდეს მოუხმოთ“.

რაო, რაო? ღმერთო, ღმერთო, ვინმეს ხომ არ გაუგონია? — ასე საკმაოდ ჩუმად კი ლაპარაკობს... კი მაგრამ, ჩემს ხმალს მაინც რატომ ალარ ეშვება?... ღმერთო ჩემო, კიდევ ერთხელ მოქაჩა... გაცოფდა და ეგ არის... ტარს ველარ ვგლეჯ ხელიდან... ნეტავ სკანდალი მაინც არ მოხდებოდეს!... მაიორიც აქ არ არის?... ვინმეს ხომ არ შეუმჩნევია, ჩემი ხმლის ტარი რომ უჭირავს ხელში? ისევ მე მელაპარაკება? რაო, რას მეუბნება?

„ბატონო ლეიტენანტო, საკმარისია ხმაური ატეხოთ, რომ ხმალს მაშინვე ამოვადრობ ქარქაშიდან, გადავამტვრევ და თქვენს უფროსობას გავუგზავნი, ხომ კარგად გამიგეთ, ხისთავა?“

რა თქვა? ასე მგონია, სიზმარში ვარ! ნუთუ მართლა მე მეუბნება? ერთი მაგრად უნდა ვუბასუხო... მაგრამ ეს ტიპი, ეტყობა, სულაც არ ხუმრობს — გავიხედე და მართლა ამოადრო ხმალი! ღმერთო — მგონი, უკვე აპირებს კიდევს!... ვგრძნობ, როგორ ექაჩება, რას ამბობს?... ღმერთმა მაშოროს სკანდალი! — ესეც რა გაუთავებლად ლაპარაკობს და ლაპარაკობს!

„მაგრამ მე არ მსურს კარიერა გაგიფუჭოთ... ამიტომ წესიერად მოიქეცით!... ნურაფრის შეგეშინდებათ, არავის არაფერი გაუგონია... უკვე ყველაფერი რიგზეა... ასე! და რომ არავინ იფიქროს, თითქოს წავკინკლავდით, ახლა თავაზიანად მოგმართავთ! — სასიამოვნოა, ბატონო ლეიტენანტო, მეტად მოხარული ვარ, სასიამოვნოა“.

ღმერთო ჩემო, ნუთუ ყველაფერი დამესიზმრა?... მართლა ასე მითხრა?... სად არის ახლა?... აგერ იქ, მიდის... წესით ხმალი უნდა ამოვიღო და შუაზე გავაპო ის დამპალი. — ღმერთო, ხომ ნამდვილად არავის გაუგონია?... არა, ის ხომ ძალიან ჩუმად ლაპარაკობდა, თითქმის ყურში ჩამჩურჩულებდა... რატომ არ წავალ და შუაზე არ გავუბობ იმ გოგრა თავს? არა, არ შეიძლება, არაფრით არ შეიძლება... მაშინვე უნდა მექნა... რატომ მაშინვე არ ვქენი?... თუმცა როგორ მექნა, ტარს ჩააფრინდა და თანაც ჩემზე ათჯერ უფრო ღონიერია... კიდევ ერთი სიტყვა რომ მეთქვა, ნამდვილად გადამიმტვრევდა ხმალს... ის კი არა, უნდა მიხაროდეს, რომ ხმამალა არ ლაპარაკობდა! ერთ ადამიანსაც რომ გაეგონა, stante pede¹ უნდა მომეკლა თავი... იქნებ მაინც სიზმარი იყო ყველაფერი... ის კაცი რატომღა მიყურებს ასე, ბოძთან რომ დგას? — რამე ხომ არ გაიგონა?... აბა, ერთი ვკითხო... ვკითხო? — სულ გამოვშტერდი! — ნეტა როგორ გამოვიყურები? — რამე თუ მეტყობა? — ალბათ ფერი აღარ მადევს. სად არის ის ძალღი? — მოვკლავ მაგ დამპალს... წავიდა... კაცის ქაჭანებაც აღარ არის... ჩემი პალტო სადღაა?... უჰ, უკვე ჩამიცვამს... ვერც შევამჩნიე... კი მაგრამ, პალტო ვინ გამომიწოდა?... აგერ იმან... ხურდა ფულს მივცემ... ესეც ასე!... არა, ყოვლად წარმოუდგენელია!... ნუთუ მართლა მოხდა ყველაფერი? ნუთუ ვიღაც უცნობი მართლა ასე დამელაპარაკა? და თანაც „ხისთავა“ მიწოდა? მე კი ადგილზევე არ გავაფრთხობინე სული?... თუმცა ძალიანაც რომ მდომოდა, ვერ შევძლებდი... რკინასავით მუშტი ჰქონდა... ლურსმანივით ვიყავი მიჭედებული ერთ ადგილზე... არა, ეტყობა, გონება დამიბნელდა, თორემ ავიღებდი და მეორე ხელით... მაგრამ მაშინ ჩემს ხმალს ამოადრობდა ქარ-

¹ stante pede (ლათ.) — აქაა.

კობეცკის — ან ბლანის — ანდა ფრიდმაირს — ყველა ამას მეტყვის: მეტი გზა არა გაქვს!.. რა ექნება, კობეცკის ველაპარაკო?... ~~ხო უფრო მეტი სწორი~~ ალბათ ეს არის... თუნდაც ხვალინდელის გამო... ~~ხო, რასაც ვიცი~~ — ხვალინდელის გამო... ოთხზე კავალერიისტების ყაზარმაში... ~~ხვალინდელის გამო~~... დღელი მაქვს დანიშნული... ისე უკნადაა და კანონით, ~~ხვალინდელის გამო~~... დღელში გავიდე, კაცს შეუტრაცხოფა შევარჩინე... სისულელეა, სისულელე! ეს კაციშვილმა არ იცის! კაციშვილმა! — რამდენი ვინმე მიდი-მოდის, ჩემზე... სიც რომ დამართნია... რას აღარ სევებოდნენ დეკენერზე, მის დღელზე... ~~კობეცკის~~... და მერე ღირსების სამსჯავრომ გადაწყვიტა, რომ დღელი მაინც შეიძლებოდა შემდგარიყო... ახლა რა გიხდა გადაწყვიტოს? — ხისთავა — ხისთავა... მე კი ჩაველაპე! — მაშავ ზეცოერო, სულ ერთი არ არის, სხვამაც იცის რამე, თუ არა?... მე ხომ ვიცი, და მთავარიც ეს არის! მე ვატყობ, რომ ახლა ის აღარა ვარ, რაც ერთი საათის წინ ვიყავი, — მე ვიცი, რომ პირში შემაფურთხეს და ამიტომ თავი უნდა მოვიკლო... ერთ წუთსაც ველარ ვიცოცხლებ გულდამშვიდებული... სულ იმის შიში მექნება, რომ, სულ ერთია, ვილაცი მაინც ვაიგებს ყველაფერს... და რომ აღრე თუ გვიან ვინმე მოურიდებლად მომახლის პირში ყველაფერს, რაც დღეს სადამოს მოხდა! — რა ბედნიერი ადამიანი ვიყავი ერთი საათის წინ... ბელი არ გინდა! კობეცკიმაც მაინცდამაინც დღეს მაჩუქა ბილეთი — შტეფიშაც მაინცდამაინც ახლა მითხრა უარი! — აი, რაზეა დამოკიდებული კაცის ბელი... ჩერ კიდევ დღისით ყველაფერი კარგად და მშვენიერად იყო, ახლა კი ჩემი საქმე წასულია და თავის მოკვლას ვაპირებ... რა მიმარბენინებს? თითქოს სადმე მეჩქარებოდეს... საათი რეკავს, ნეტავ რომელია?... 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11... თერთმეტი, თერთმეტი... მე ხომ სავაბშმოდ ვაპირებდი წასვლას! აღრე თუ გვიან სადღაც ხომ მაინც უნდა წავიდე... დავჯდები სადმე პატარა დუქანში, სადაც კაციშვილი არ მიცნობს — ბოლოს და ბოლოს ქამით ხომ მაინც უნდა ქამოს ვაცმა, გინდაც ამის მერე თავს იკლავდეს... ჰა-ჰა, სიკვდილი განა სახუმარო საქმეა!... ვინ იყო, ამას წინათ რომ თქვა?... თუმცა რა მნიშვნელობა აქვს...

ერთი ვიცოდე, ვის შევეყოლები ყველაზე მეტად... დედაჩემს თუ შტეფის?... შტეფი... ღმერთო ჩემო, შტეფი... მას ხომ იმის უფლებაც არ ექნება, რომ თავისი დარდი გამოხატოს — „ის“ შეამჩნევს და მორჩა... საბრალო გოგო! — პოლკში? — კაციშვილი ვერ მიხვდება, რატომ ჩავიდინე ეს... მოქვევებიან ტვინის ქვლეტას, ეს გუსტლი რაღას იკლავდა თავსო? — ღმერთმა დამიფაროს, ვინმე მიხვდეს, თავი იმითომ მოვიკალი, რომ ვილაც დაწყევლილმა მეფუნთუშემ, იმ კუნთმაგარმა ვივინდარამ, რომელმაც მუშტით მაჯობა... არა, ეს წმიბდა წყლის სისულელეა, სისულელე! — განა ამის გამო ჩემნაირმა ახალგაზრდამ, ყოჩაღმა და მარჯვე ბიჭმა... დიან, მერე ყველა ნაღდად ამას იტყვის: ასე ნამდვილად არ უნდა მოქცეულიყო, თანაც რაღაც სისულელის გამო: რა საწყენია!... მაგრამ აბა ახლა ვცადო და ვკითხო ვინმეს... ყველა ერთნაირად მიპასუხებს... მე თვითონაც, საკუთარ თავს რომ ვეკითხები... შეიძლება გაგიყდეს კაცი... სრულიად უფლებბონი ვართ სამოქალაქო პირების წინაშე... ხალხს ჰგონია, რახან ხმლები გვკიდია, უკეთეს დღეში ვართ... მაგრამ აბა სკადე და იბმარე იარათი, ყველა ქარისკაცს მაშინვე პირწავარდნილ მკვლელად მონათლავენ... გაზეთშიც დაწერენ: ...„ახალგაზრდა ოფიცრის თვითმკვლელობა“... როგორ იციან ბოლშე?... „თვითმკვლელობის მიზეზები ბურჟუაზიის არას მოკვლილი“... ჰა-ჰა!... მის კუბოს დასტირიან“... — კი მაგრამ,

ეს ხომ სინამდვილეში ხდება... მე კი სულ მეჩვენება, თითქოს რაღაც ამბავს ვხედავ... პო, სინამდვილეში ხდება... თავი უნდა მოვიკლა, სხვა არა მაქვს — იქამდე ხომ არ მივიყვან საქმეს, რომ ხვალ კოპეცკიმ და ბლანჩი ჩაიკიანთი სიტყვა უკან წაიღონ და მითხრან: ვერა, ჩვენ ვერ გაგიწევთ სინამდვილეს... ტობასო!... უკანასკნელი არამზადა უნდა ვიყო, რომ ასეთი პასუხი მიმეცხენოდა... რა უნდა გქონდეს საერთო ჩემნაირ კაცთან, რომელსაც ჩინთავეს უწოდებენ, ის კი დგას და ამას ითმენს... ხვალ ყველას ყველაფერი ეცოდინება... მთლად შტერი უნდა ვიყო, რომ წუთით მაინც ვიფიქრო, ასეთი კაცი არავის არაფერს უამბობს-მეთქი... პირიქით, ყველგან მოპყვება... მისმა ცოლმა ილბათ უკვე იცის კიდევ... ხვალ კი ამ ამბავს მთელი კაფე შეიტყობს... ოფიციალტები... ბატონი შლეზინგერი — მოლარე — გადაწყვეტილიც რომ ჰქონდეს, ამაზე არ ილაპარაკოს, ზეგ მაინც ვერ გაძლებს და იტყვის... და თუ ზეგაც არ თქვა, ერთ კვირაში ხომ უკვე ნაღია... მოკლედ, თუ იმას ამალამ გულმა არ უმტყუნა, მაშინ მე ვიცი, რაც მოხდება... ვიცი... მე განა იმის კაცი ვარ, ფორმა და ხმალი ვატარო, როცა ასეთი შეურაცხყოფა ჩავყლაპე!... ერთი სიტყვით, თავი უნდა მოვიკლა, მორჩა და გათავდა! — დიდი ამბავი! — ხომ შეიძლება, ხვალ იმ იურისტს ხმლით მოვეკალი... ერთხელ მართლაც მოხდა ასეთი რამე... იმ საცოდავმა ბაუერმა ტვინის ანთება აიკიდა და სამ დღეში კიდევაც ჩაბარდა პატრონს... ბრენიჩი კი ცხენიდან გადმოვარდა და კისერი მოიტეხა... გადაწყვეტილება მიღებულია — ერთხელ და სამუდამოდ: სხვა გამოსახვა... ვალი არ არის — ჩემთვის არ არის, ჩემთვის, ჩემთვის არა! — ხომ არსებობს ხალხი, ვინც ასეთ რამეს სულ იოლად მოინებდა... ღმერთო ჩემო, რანაი-რი ადამიანი არ დადის ამ ქვეყანაზე!... რინგაიმერს ვილაც მეძებებ თავის ცოლთან შეუსწრო და სილა გააწნა, მანაც მიატოვა სამსახური — ზის ახლა სადღაც სოფელში და ცოლიც კი შეირთო... ასეთ კაცს რომ ქალი გაპყვება... ღმერთმანი, ხელსაც არ ჩამოვართმევ, ვენაში რომ ჩამოვიდეს... მაშ ასე, ხომ გაიგონე, გუსტლ: — მორჩა, მორჩა, დამთავრდა შენი ცხოვრება! მორჩა და გათავდა!... ახლა კი ნამდვილად ვიცი... ძნელი აქ არაფერია... ესეც ასე! თავი სრულიად მშვიდად ვარ... სხვათა შორის, ამაში ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი: საქმე საქმეზე რომ მიდგეს, სავსებით მშვიდად ვიქნები-მეთქი, სავსებით მშვიდად... მაგრამ საქმე საქმეზე ასე რომ მიდგებოდა, ამას კი ნაღდად ვერ წარმოვიდგენდი... იმის გამო თუ მომიხდებოდა თავის მოკვლა, რომ ვილაც... მოიცა, იქნებ სწორად ვერ გავიგე, რაც მითხრა... იქნებ სულ სხვა რამე იგულისხმა... მე ხომ მთლად გამოლაყვებული ვიყავი გაუთავებელი სიმღერისა და სიციხისგან... იქნებ ჰკუაც დავკარგე და ეს ყველაფერი სულაც ჩემი მოგონილია?... მოგონილი, პა-პა, მოგონილი! — ახლაც ყურში ჩამესმის... მთელი ეს ხანი ყურში რაღაც მიწუის... თითებითაც ვგრძნობ, ხმლის ტარს როგორ მინდოდა ამეგლიჯა მისი ტორი... კაი ჩანიანი ვინმე კი იყო... ისე, არც მე ვარ სუსტი... მთელ პოლკში მხოლოდ ფრანკისკია ჩემზე ღონიერი... ასპერნბრიუკე...! კარგა შორს წამოვსულვარ, — ასე თუ ვირბინე, შეა-ღამისთვის კაგრანში² ამოგყოფ თავს... პა-პა! — ღმერთო, როგორ გვიბაროდა, შარშან სექტემბერში იქ რომ შევედი, ვენამდე ორი საათიღა რჩებოდა... ისეთი არაქათგამოცლილები ჩამოვედით, ფეხზე ძლივს ვიდევით... მთელი დღე მკვდარივით მეძინა, საღამოს კი უკვე რონაბერთან ამოგყავით თავი... კოპეც-

¹ ასპერნბრიუკე — ხილი ვენაში, დუხაის ახლოს.
² კაგრანი — პატარა ქალაქი ვენის მახლობლად, დუხაის მარჯვენა ნაპირზე.

კი, ლადინზერი და... ღმერთო გამახსენე, კიდევ ვინ იყო ჩვენთან ერთად. — სწორია, ის მოხალისე, მთელი გზა ებრაელებზე რომ გვიყვებოდა ანეკდოტებს... ამ ერთწლიანებში შიგადაშიგ კარგი ბიჭებიც გამოვრევიან ხოლმე... მაგრამ მე თუ მკითხავ, ისინი ჩვენს თანაშემწეებად უნდა მსახურობდნენ — აბა რისთვისღა ვიკლავთ თავს... ჩვენ წლობით ვიტანჯებდით, ეს ვინაა? კი მხოლოდ ერთი წელი მსახურობს და წარჩინების ნიშნები მაინც ხუსტად ჩვენნაირი აქვს... ნაღდი უსამართლობაა! — თუმცა მე რაღას ვწუხვარ? — რაში მენადვლება ასეთი რამეები? — ვილაც არარაობა, მომარაგებაში რომ მუშაობს, ახლა ისიც კი ჩემზე მეტია... მე ხომ საერთოდ აღარც ვარ ამქვეყნად... ჩემი საქმე დამდერებულია... პატივის აყრა სიკვდილზე უარესია... ისღა დამრჩენია, დავტენო ჩემი რევოლვერი და... გუსტლ, გუსტლ, მგონი ცოტა არ იყოს ყოყმანობ? კკუას მოუბმე... სხვა გზა არა გაქვს... ტვინიც რომ იჭყლიტო, ვერ მონახავ გამოსავალს! — ახლა მთავარია ბოლო წამს ისე მოვიქცე, როგორც საჭიროა, ვიყო კაცი, ვიყო ოფიცერი, რომ პოლკოვნიკმა თქვას: ყოჩალი ბიჭი იყო, მისი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულებშიო! ნეტა რამდენი ასეთი გამოჰყავთ ლეიტენანტის დაკრძალვაზე?... წესით კი უნდა ვიცოდე... ჰა-ჰა! მთელი ბატალიონიც რომ გამოიყვანონ, ან კიდევ მთელი გარნიზონი, და თუნდაც ოცჯერ გაასროლინონ ჩემს პატივსაცემად, მე ხომ მაინც აღარაფერი გამომადვილებს! — შარშან ზაფხულში არ იყო, კაფეს წინ ბატონ ფონ ენგელთან ერთად რომ ვიჯექი, სამხედრო სტიპლ-ჩეზის¹ შემდეგ?... უცნაურია, მას მერე ის კაცი ერთხელაც აღარ მინახავს... ნეტა მარცხენა თვალი რატომ ჰქონდა ახვეული? სულ მინდოდა მეკითხა, მაგრამ მეუხერხულა... ორი არტილერიისტი მოდის..., ალბათ ფიქრობენ, რომ ამ ქალბატონს მივდეგ... მოდი ერთი, დავაკვირდები, იქნებ ღირდეს კიდევ... უპ, რა საშინელებაა! — ერთი ვიცოდე, ასეთი მახინჯი თავს რითი ირჩენს..., ამას მირჩევნია... თუმცა გაჭირვების უამს ეშმაკი ბუზებსაც ჰამსო, ნათქვამია... მახსოვს, პრემისლში — უპ, მერე კინალამ გული ამერია და ვიფიქრე, ვინც დღეიდან ქალს გაეკაროს-მეთქი... საშინელი დრო იყო, ზემოთ, გალიციაში რომ ვიყავით..., რაც მართალია, მართალია — ბედმა გაგვიღიმა, ვენაში რომ გადმოგვიყვანეს. ბოკორნი ახლაც ზამბორში ზის და იქნებ კიდევ ათ წელიწადსაც იჯდეს, სანამ არ დაბერდება და თმა არ გაუთეთრდება... თუმცა მეც რომ იქ დავრჩენილიყავი, ის მაინც ხომ აღარ დამემართებოდა, რაც დღეს დამემართა..., ისევ ის მირჩევნია, გალიციაში დავბერდე, ვიდრე... ვიდრე რა? — რა მჭირს? რა მომივიდა? — ნეტა ხომ არა ვგიჟდები? — ახლაც დამავიწყდა ყველაფერი — ღმერთმანი, ყოველ წამს მავიწყდება..., სადმე თუ გაგონილა, კაცი რამდენიმე საათის შემდეგ შუბლში ტყვიის დახლას აპირებდეს და თან ისეთ რამეებზე ფიქრობდეს, მას რომ სრულებითაც აღარ ეხება? ღმერთმანი, სიზმარში მგონია თავი! ჰა-ჰა! რა კარგი სიზმარია! მკვლელობის სიზმარი! თვითმკვლელობის სიზმარი! — ჰა! ეხუმრობ, არა? რა კარგია! — შესანიშნავ გუნებაზე ვარ — ალბათ ბავშვობიდან ასეთი ვიყავი... არა, მართლა, ეს რომ ვინმეს ვუამბო, ნამდვილად არ დამიჯერებს. — ასე მგონია, იარალი თან რომ მქონდეს..., აი, ახლა გამოვკრავდი სასხლეტს — ერთი წამი და, ყველაფერი დამთავრებულა... თუმცა ზოგჯერ არა —

¹ სტიპლ-ჩეზი (ინგ. steeple chase) — საცხენოსნო ასბარეზობა დაბრკოლებათა ვადალახეში.

ზოგი თვეობით წვალობს... აი, თუნდაც ჩემი დეიდაშვილი, ორი წელი იწვა საბრალო გოგო, განძრევაც არ შეეძლო და თანაც აუტანელი ტკივილები ჰქონდა — საცოდაობა არ არის?... არა ჯობია, მაშინვე მოკვდე? მთავარი, ყურადღებით იყო, კარგად დაუმიზნო, რომ ისეთი უსიამოვნება ექვემდებარებოდა, შარშან კადეტის თანაშემწეს რომ მოუვიდა... საცოდავი, სიჭკნაღი... საცოდავი, დაბრმავებით კი დაბრმავდა... ნეტავ რას შვრება? სად ცხოვრობს? — სად, შინელებია აქეთ-იქით სიარული, როგორც — თუმცა სად შეუძლია სიარული, ხელით უნდა ატარო — თანაც ასეთი ახალგაზრდაა, მგონი, ჯერ ოცისაც არ არის... თავის საყვარელს უკეთ დაუმიზნა... იქვე მოკლა... საოცარია, რისთვის კლავს ეს ხალხი ერთმანეთს! საერთოდ, როგორ შეიძლება ადამიანი ექვიანის იყოს?... მე, მაგალითად, არ ვიცი, რა არის ექვიანობა... შტეფი ზის ახლანათვის მებაღეობის საზოგადოებაში; მერე „ის“ სახლამდე მიაცილებს... მერე და, რა მოხდა? არაფერი! ისე, კონტად მოწყობილი ბინა კი აქვს — პატარა წითელჭალიანი სააბაზანო. — ამას წინათ, მწვანე აბრეშუმის ღამის პერანგში რომ შემოვიდა... იმ მწვანე ღამის პერანგსაც ველარ ვნახავ — და ვერც თვითონ შტეფის... ველარც იმ ღამაზე, განიერ კიბეს ავივლი გუსტლამსტრასეზე... ფროილიან შტეფი განაგრძობს დროსტარებას, ვითომც აქ არაფერიო... მოყვლითაც კი ვერაფერს მოუყვება, რომ მისმა ძვირფასმა გუსტლამსტრასეზე... სალა... მაგრამ ტირილით აუცილებლად იტირებს — ჰო, ჰო, აუცილებლად... საერთოდ, სხვაც ბევრი იტირებს... ო, ღმერთო, დედაჩემი! — არა, არა, ამაზე არ უნდა ვიფიქრო. — უჰ, არა, ამაზე ფიქრი სასტიკად აკრძალულია... სახლზე ფიქრი არ შეიძლება, გუსტლ, გასაგებია? — გაფიქრებაც კი...

მშვენიერია, სულაც პრაქტერში¹ არ ამოყავი თავი?... ამ შუალამისას... რას წარმოვიდგენდი დღეს დილით, რომ სალამოს პრაქტერში ვისეირნებდი... ნეტა ვიცოდე, რას ფიქრობს ის პოლიციელი... ეჰ, განვაგრძოთ სეირნობა... მშვენიერია... ვახშამზე ფიქრს, ეტყობა, უნდა მოვეშვა, კაფეში წასვლაც ჩაიშალა; რა სასიამოვნო ჰაერია და როგორი სიმშვიდე... სრული სიმშვიდე... თუმცა სიმშვიდე სულ მალე მექნება, თანაც ისეთი, უკეთესს რომ ვერც ინატრებ. ჰა-ჰა! — რას ვქოშინებ! სულს ველარ ვითქვამ... აბა რა იქნება, გიჟივით მოვრბოდი... ნელა, ნელა იარე, გუსტლ, არსად გაგვიანდება, გასაკეთებელიც აღარაფერი გაქვს — სრულიად არაფერი. დიან, ქვეყანაზე აღარაფერი! — მგონი, ვცახცახებ კიდევ. — ალბათ ვლელავ და იმიტომ... თანაც მშიერიც ვარ... რაღაც უცნაური სუნი მცემს... შეუძლებელია რამე ჰყვოდეს... რა რიცხვია დღეს? — ოთხი აპრილი... რასაკვირველია, ეს ბოლო დღეები სულ წვიმდა... მაგრამ ხეები ჯერ მაინც თითქმის მიშველია... აუჰ, როგორ ბნელა! შეგეშინდება კაცს!... ისე, ცხოვრებაში ერთადერთხელ ვქამე შიში, მაშინ, ტყეში, პატარა რომ ვიყავი... თუმცა არც ისეთი პატარა ვყოფილვარ... თოთხმეტის ან თხუთმეტის ვიქნებოდი... რამდენი ხნის ამბავია? — ცხრა წლის... ჰო, ასეა სწორედ... მე კი გაისად შემისრულდება... რა შემისრულდება გაისად? საერთოდ, რას ნიშნავს გაისად? რას ნიშნავს: მომავალ კვირას? რას ნიშნავს: ზეგ?... როგორ? კბილებიც მიკაწკაწებს? ოჰო! — რა მოხდა, იკაწკაწოს ცოტა ხანი... ბატონო ლეიტენანტო, თქვენ ახლა მარტო ხართ და მოსარიდებელიც არავისი გაქვთ... ო, რა მწარეა ეს ფიქრი...

მოდის, სკამზე ჩამოვჯდები... აუჰ! — კარგა შორს წამოვსულვარ. — რა

¹ პრაქტერი — ვენის ერთ-ერთი უბანი, სადაც მღებარეობს ამჟვე სახელწოდების ცნობილი პარკი — ვენელთა გართობისა და დასვენების საყვარელი ადგილი.

სიბნელეა! ჩემ უკან რომ შენობაა, მგონი, ისიც კაფე უნდა იყოს... შარშან ზაფხულში მანდაც ვიყავი, ჩვენმა მომღერალთა გუნდმა კონცერტი გამართა... კოპეცკიმ, რიუტნერმა და კიდევ რამდენიმე კაცმა... — გვარიანად კი დავილა-ლე... ისე დავიქანცე, თითქოს ათსაათიანი მარშ-გადარბენა გამეკეთებინოს... რამდენს ვიციან, აქ რომ ჩამეძინოს! — ჰა! უსახლკარო ლეიტენანტი... კი მაგრამ, სახლში აღარ მივდივარ?... თუმცა რა მინდა სახლში... მაშინ პრატერში რაღა მინდა? — ეჰ, ნეტა სულ არ ვიყო ასადგომი — აქვე ჩამეძი-ნოს და აღარასოდეს გამეღვიძოს... ჰო, ყველაზე კარგი ეს იქნებოდა! — არა, ასე იოლად ეგ არ გამოგივათ, ბატონო ლეიტენანტო!... აბა მაშინ როგორ და როდის? — იქნებ ახლა მაინც მოვიკრიბო გონება და წესიერად ავწონ-დავწო-ნო ყველაფერი... ყველაფერი უნდა აწონ-დაწონოს კაცმა... რას იზამ, ასეა მოწყობილი ეს ცხოვრება... მაშ ასე, დავიწყოთ ფიქრი... რა ფიქრი?... — არა, ჰაერი მართლა კარგია... ღამ-ღამობით ხშირად უნდა დავდიოდეთ პრატერში... ეჰ, ცოტა ადრე უნდა მომესაზრებინა, თორემ ახლა რაღა დროსია — გათავდა შენი პრატერიც, შენი ჰაერიც და სვირნობაც... ჰო, ესე იგი, რა? — ჯერ ეს ქუდი მოვიძრო, თორემ ასე მგონია, თავზე დიდი ლოდი მადევს... წესიერად ველარც ვაზროვნებ... მაშ ასე!... სასწრაფოდ მოიკრიბე გონება, გუსტლ... გაე-ცი უკანასკნელი განკარგულება! გადაწყდა! ხვალ დილით ყველაფერს ბოლო მოეღება... ხვალ, დილის შვიდ საათზე... შვიდი საათი მშვენიერი დროა. ჰა-ჰა — ესე იგი, რვაზე, მეცადინეობა რომ დაიწყება, ყველაფერი უკვე დამთავ-რებული იქნება... მაგრამ კოპეცკი ვერ დაესწრება მეცადინეობას, შეძრწუნე-ბული იქნება ჩემი ამბით... თუმცა იმ დროისთვის შეიძლება ჯერ არც არაფერი იცოდეს... აუცილებელი ხომ არ არის, გასროლა გაიგონონ... მაქს ლიპაი მხო-ლოდ ნაშუადღევს იპოვნეს, თავი კი დილით მოიკლა და ამის შესახებ კაცი-შვილს არაფერი გაუგია... კი მაგრამ, რაში მენალვლება, ეს კოპეცკი დაესწრე-ბა მეცადინეობას თუ არა?... ჰა — ესე იგი, შვიდ საათზე! — ჰო... კიდევ რა?... სხვა აღარაფერია გადასაწყვეტი. თავს ოთახში მოვიკლავ, მერე კი — ბასტა! ორბაშათს ცხედარს... ვიცი, ვისაც გაუხარდება ეს ამბავი: იურისტს... დუ-ელი არ შედგება ერთ-ერთი მოქიშპის თვითმკვლევლობის გამო... ნეტა მანჰაი-მერები რას იტყვიან? — ქმარი არა მგონია დიდად გადაიროს... აი, მისი ცო-ლი კი, ლამაზი, ქერათმიანი... აი, ვისთან უნდა მემუშავა... ო. თანაც, მე მგონი, ცოტა ხელი რომ გამენძრია, უარსაც არ მეტყობდა... შტეფი, რა თქმა უნდა, შტეფია, მაგრამ მაინც კაბაა. ეს კი სულ სხვა რამე იქნებოდა!... მაგრამ საქ-მეც ის არის, რომ ასეთ დროს კაცმა არ უნდა იზარმაცო... ქალს კიდევ უნდა გაეარშიყო, ყვავილებიც გაუგზავნო, ჭკვიანურ რალაცებზე ელაპარაკო... აბა მაშინ კი არ გამოგივა რამე, თუ პირდაპირ ახალე: ხვალ ნაშუადღევს ყაზარმა-ში გელოდებიო!... ჰო, ასეთ პატიოსან ქალთან საქმის დაჭერა სულაც არ იქ-ნებოდა ურიგო... ჩემი პრემისლელი კაპიტნის ცოლი გამახსენდა... თუმცა რა პატიოსანი ის იყო!... თავს დავდებ, იმასთან ლიბიცკიც და ვერმუტეკიც გადი-ოდნენ საქმეში და, მგონი, ის გასაცოდავებული თანაშემწეც... ქალბატონი მანჰაიმერი კი... ჰო, სულ სხვა იქნებოდა, ურთიერთობაც — სრულიად განს-ხვადებული და, საერთოდ, მასთან შეიძლება სხვა კაცად გეგრძნო თავი — კარგ საზოგადოებაში მოქცევასაც ისწავლიდი — ის კი არა, უფლება გექნებოდა, პატივი გეცა საქუთარი თავისთვის. — იმ დღეში კი, ჩვენ რომ ვართ, მარტო ვილაც გათახსირებულ დედაკაცებთან გიხდება ურთიერთობა... თან, ესეც საკმაოდ ადრე დავიწყე — სულ პატარა ბიჭი ვიყავი, ჯერ კიდევ გრაცში

ვცხოვრობდი, მშობლებთან, პირველად რომ გავისეირნე ქალებში... მე და რიდილი გახლდით — გოგო კი ჩები იყო... ჩემზე ორჯერ უფროსი უკვე თენდებოდა, შინ რომ დავბრუნდი... რა თვალებით შემომხედა მამაჩემმა!... კლარასაც არ დაუკლია... კლარასი ყველაზე მეტად მრცხვენოდა... მამაჩემმა დაინშნული იყო... არც კი ვიცი, რატომ ჩაიშალა ის ამბავი. კაცის რაღაც თქმის, მაინცდამაინც არც მიფიქრია ამაზე... საცოდავი გოგო, არასდროს არ სწყალობდა ბედი — ახლა კი ერთადერთ ძმასაც კარგავს... დიახ, მორჩა, კლარა — ველარასოდეს მნახავ! რაო, ჩემო დაიკო, ახალი წლის წინა დღეს სადგურში რომ მაცილებდი, განა იფიქრებდი მაშინ, რომ უკანასკნელად მხედავდი? — დედაჩემი... ო, ღმერთო, დედაჩემი... არა, ამაზე ფიქრი აკრძალულია... როცა დედაჩემზე ვფიქრობ, ლამის რაღაც სისულელე ჩავიდინო... ეჰ... იქნებ მანამდე ჩემებთან წავსულიყავი... მეთქვა, ერთდღიანი შვებულება მაქვს-მეთქი... კიდევ ერთხელ მომენახულებინა მამა, დედა, კლარა, სანამ სასხლეტს თითს გამოვკრავდე... გრაცისკენ პირველი მატარებელი შვიდ საათზე გადის, იმით შემეძლო წასვლა, პირველზე იქ ვიქნებოდი... ღმერთი გწყალობდეს, დედა... შენც გაგიმარჯოს, კლარა! რას შვრებით, როგორა ხართ?... რა სიურბრიზი იქნება!... მაგრამ ისინი ნამდვილად რაღაცას შეამჩნევენ... სხვისი არ ვიცი და კლარა... კლარა ნამდვილად შეამჩნევს... ძალიან ჭკვიანი გოგოა კლარა... რა თბილი წერილი მომწერა ამას წინათ, მე კი პასუხი აქამდე არ მიმიწერია — ჭკუასაც რა კარგად მარიგებს ხოლმე... საოცრად კეთილი არსებაა... ალბათ სულ სხვანაირად იქნებოდა ყველაფერი, სახლიდან რომ არ წამოვსულიყავი. ეკონომიურზე ვისწავლიდი, ბიძაჩემთან წავიდოდი... პატარა რომ ვიყავი, ყველა ამას ნატრობდა... ახლა უკვე ცოლიც მეყოლებოდა, ვინმე სათნო, კარგი გოგო... შეიძლება ანა, მას ხომ ძალიან ვუყვარდი... ახლაც კი შევატყვი, უკანასკნელად რომ ვიყავი სახლში, თუმცა უკვე ქმარი ჰყავს და ორი შვილი... განა ვერ ვხედავდი, როგორ მიყურებდა?... და დღემდე „გუსტლს“ მეძახის უწინდელივით... ალბათ გული წაუვა, როცა გაიგებს, როგორი იყო ჩემი აღსასრული — მისი ქმარი კი იტყვის: ვიცოდი, ეს იყო მისი ბოლო — ის მაწანწალა, ისაო! — ყველა იფიქრებს, იმიტომ გააკეთა ეს, რომ ვალებში იქნებოდა ჩაფლულიო... მაგრამ ისინი მწარედ შეცდებიან, მე ხომ უკვე ყველა ვალი გავისტუმრე... მხოლოდ ბოლო ას სამოცი გულდენი დამრჩა გადასახდელი — და ისიც ხვალ მომივა... ჰო, იმაზეც უნდა ვიზრუნო, რომ ბალერტმა მიიღოს თავისი ას სამოცი გულდენი... წერილი უნდა დავწერო, ვიდრე თავს მოვიკლავდე... რა საშინელებაა, რა საშინელებაა! სულაც რომ ავდგე და სადმე გადავიკარგო? — ამერიკაში, სადაც არავინ მიცნობს... ამერიკაში კაციშვილმა არ იცის, დღეს საღამოს რა მოხდა აქ... არც არავის ენაღვლება... ამას წინათ ჭაზეთში წავიკითხე ვიღაც გრაფ რუნგეზე, რომელიც რაღაც ბნელ საქმეში ყოფილა გარეული და გაქცეულა. ახლა ამერიკაშია, საკუთარი სასტუმრო აქვს და ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია... ერთ-ორ წელიწადში უკან დაბრუნებაც შეეძლებოდა... რა თქმა უნდა, ვენაში არა... არც გრაცში... აი, სოფელში კი შეეძლებდი წასვლას... თან დედაჩემსაც, მამაჩემსაც და კლარასაც ხომ ათასჯერ უფრო გაუხარდებათ, თუ ცოცხალი დაერჩი... სხვები კი სულაც არ მენაღვლება, მე თუ ვენაღვლები ვინმეს? — კობეცკის გარდა არავის აინტერესებს ჩემი ამბავი... კობეცკი ერთადერთია, ვინც... და მაინცდამაინც იმან მომცა ბილეთი... ყველაფერი ხომ ამ ბილეთის ბრალია... ბილეთი რომ არა, არც კონცერტზე წავიდოდი და არც არაფერი მოხდებოდა... მაინც რა მოხდა?...

ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მას შემდეგ ასი წელი გავიდა, სინამდვილეში კი ალბათ ორი საათიც არ იქნება გასული... ორი საათის წინ ვილაყ კაცმა „ხისთავა“ მიწოდა და უნდოდა ხმალი გადაემტვრია ჩემთვის... ღმერთო ჩემო, ახლა ყვირილსაც მოვრთავ ამ შუალამისას! რატომ უნდა მომსვლოდნენ? უნდა მომსვლიდნენ? ან ის მაინც არ მეთქვა, ენას კბილი დააქირეთ-მეთქი! მიკვირს, როგორ წამომცდა, საერთოდ ზრდილობიანი კაცი ვარ... სხვა დროს ვილაყ ლაწირაკსაც კი არ დაველაპარაკებოდი ასე უხეშად... თუმცა, ეტყობა, ალელვებული ვიყავი — ყველაფერი როგორღაც უშნოდ აეწყო... ბანქოა და, არაფრით არ მიმართლებს, შტეფია და, სულ უარს მეუბნება შეხვედრაზე — მერე კიდევ ის ხვალინდელი დუელი — და გარდა ამისა, ბოლო ხანებში ძალიან ცოტა მძინავს — თან ყაზარმაშიც გამუდმებით რაღაცას ვხლავართობ — როგორ გინდა ერთბაშად ყველაფერს გაუძლო!... ადრე თუ გვიან მაინც ავად გავხდებოდი — შვეებულებასაც მოვითხოვდი... ახლა ეს აღარ მჭირდება — ახლა ისედაც ხანგრძლივ შვეებულებაში გავდივარ — ხარჭებსაც ამინაზლაურებენ — ჰა-ჰა!...

რამდენ ხანს უნდა ვიჯდე ასე უმოქმედოდ? მგონი, შუალამე უკვე გადასულია... ახლახან არ იყო, თორმეტი რომ დარეკა? — ეს რაღა ეშმაკია... მგონი, ეტლი უნდა იყოს... საიდან ასეთ დროს? რეზინისთვლებიანია... წარმომიდგენია, შიგნით რა განცხრომაში იქნებიან... მე ვიკითხო, თორემ მაგათ რა უჭირთ! — იქნებ ბალერტია ბერტასთან ერთად... თუმცა რატომ მაინცდა-მაინც ბალერტი? — მიდი, მიდი, განაგრძე გზა! — მახსოვს მისი უდიდებულესობის ეტლი პრემისლში — აუბ, რა ლამაზი რამე იყო!... ქალაქში, როზენბერგის ქალთან რომ მიდიოდა ხოლმე, ყოველთვის იმით ჩამოივლიდა... რა ტკბილი კაცი იყო მისი უდიდებულესობა — ნაღდი მეგობარი, ყველას რომ შენობით მიმართავდა... კარგი დრო იყო... თუმცა... ისე, თვითონ ადგილი არ ვარგოდა, ზაფხულში კი ისე ცხელოდა, შეიძლებოდა ფეხებიც გაგეფშიკა... ერთ დღეს მზემ სამ კაცს დაჰკრა... მათ შორის ჩემი ოცეულის კაპრალსაც — მეტად გამოსადეგი კაცი იყო... შუადღისას სულ შიშვლები ვწვებოდი საწოლზე. — ერთხელ ჩემთან მოულოდნელად ვიზნერი შემოვიდა; ეტყობა, შუა ძილში ვიყავი, წამოვხტი და ხელი ვსტაცე ხმალს, რომელიც გვერდით მედო... რა კარგი სანახავი ვიქნებოდი... ვიზნერი კინალამ გადაფიჩინდა — ის ახლა უკვე როტმისტრია... — ნეტა მეც კავალერიაში წავსულიყავი... მაგრამ მამაჩემს არ უნდოდა — ეს სიამოვნება მეტისმეტად ძვირი დაგიჯდებაო — თუმცა ახლა ხომ უკვე ყველაფერი სულ ერთია... კი მაგრამ, რატომ? — ჰო, გამახსენდა, გამახსენდა: იმიტომ არის სულ ერთი, რომ უნდა მოვკვდე, დიას — უნდა მოვკვდე... მაგრამ როგორ? — შეხედე, გუსტლ, შენ ხომ განგებ შეხვედი ასე ღრმად პრატერში, თანაც შუალამისას, როცა ხელის შემშლელი არავინაა — ახლა შეგიძლია ყველაფერი მშვიდად აწონ-დაწონო... სამსახურიდან დათხოვნა და ამერიკაში წასვლა ხომ სრული უაზრობაა, შენ ვინ მოგცა იმის ქკუა, რომ ახალ საქმეს მოკიდო ხელი? გინდაც ასი წლისას გაგახსენდეს, რომ ვილაყ ოხერს უნდოდა ხმალი გადაემტვრია შენთვის და ხისთავაც გიწოდა, შენ კი იდექი მონუსხულივით და ხელი ვერ გაანძრიე — არა, ამას არც უნდა აწონ-დაწონა — რაც იყო, იყო — დედაჩემზე და კლარაზე რომ ვფიქრობ, ესეც სისულელეა — როგორმე გადაიტანენ — ადამიანი ყველაფერს იტანს... ხომ ისე მწარედ მოთქვამდა დედაჩემი, ძმა რომ მოუკვდა — ერთ თვეში კი არაფერი აღარ ახსოვდა... სასაფლაოზე ჯერ ყოველკვირა დადიოდა, მერე ყო-

ველთვე — ახლა მხოლოდ სიკვდილის დღეს თუ წავა. — ხვალ ჩემი სიკვდილის დღეა — ზუთი აპრილი. — ნეტა გრაცში თუ გადამასვენებენ? ააა! რას გაიხარებენ გრაცელი მატლები — თუმცა ეს რა ჩემი საქმეა — ამაზე სხვებმა იმტვირონ თავი... ახლა გავარკვიოთ, რა არის ამჟამად ჩემი საქმე? ბა-ლერტის ას სამოცი გულდენი — ეს არის და ეს — სხვა განვარდუნების გა-ცემა არ დამჭირდება. — წერილები ხომ არ დამეწერა? თუმცა რა საჭიროა? ან ვის მივწერო?... არავის არ დავემშვიდობო? — ეშმაკსაც წაუღია, დამშვი-დობება არ არის, კაცი რომ თავს იკლავს? — ისედაც მიხვდებიან, რომ ყვე-ლას დავემშვიდობე... ხალხმა რომ იცოდეს, რამდენად სულ ერთია ჩემთვის ეს ყველაფერი, ალბათ არც კი შევეცოდებოდი — არც ვარ შესაცოდო... რა მინახავს ამ ცხოვრებაში? — ისე, მაინც არის რაღაცები, რაშიც სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას: მაგალითად, ომში — მაგრამ მიდი და უცადე, რო-დის იქნება ომი... დანარჩენი ყველაფერი ნანახი მაქვს... ვილაც კახპას შტეფი ერქმევა თუ კუნიგუნდე, ამით არაფერი არ შეიცვლება. — საუკეთესო ოპე-რეტებზეც ნამყოფი ვარ — „ლოენგრინზეც“ თორმეტჯერ ვიყავი — დღეს სალამოს სულაც ორატორია მოვისმინე — და ვილაც მეფუნთუშემ ხისტავა მიწოდა — ღმერთმანი, მეყო ამაზე ფიქრი! — არც აღარაფერი მალეღვებს... — აბა, წავედით შინისაკენ, ნელ-ნელა, ნელ-ნელა... მართლაც სად მერქარე-ბა. — რამდენიმე წუთსაც დავისვენებ პრატერში, ცოტას კიდევ ვიჭლები მერხ-ზე, ღია ცის ქვეშ, თითქოს უსახლკარო ვიყო. — ველარასოდეს ჩავწვები რბილ ლოგინში — თუმცა გამოსაძინებლად დრო საკმარისი მექნება. — ეპ, რა კარ-გია სუფთა ჰაერის — მალე ამასაც უნდა დავემშვიდობო...

რა ამბავია? — ეი, იოჰან, ერთი ჭიქა ცივი წყალი მომიტანეთ... რა ხდება? სად... მგონი, სიზმარში ვარ... თავი გასკდომაზე მაქვს... დასწყევლოს ღმერთ-მა... თვალბსაც ვერ ვახელ! — კი მაგრამ, ჩაცმული რატომ ვარ? — სად ვზი-ვარ? — უფალო ზეციერო, ჩამძინებია! ასეთ დროს რომ დაიძინებ კაცი! — თენდება კიდევ! — ნეტა რამდენ ხანს მეძინა? — აბა ერთი, საათს შევხედო... ვერაფერს ვხედავ... სადღაც ასანთი მქონდა... აბა, აინთო... სამია..., ოთხზე კი დღეელი მაქვს — არა, რის დღეელი — მე ხომ თავი უნდა მოვიკლა! — დღეელი ჩაიშალა: მე თავი უნდა მოვიკლა, რადგან ვილაც მეფუნთუშემ ხისტავა მიწო-და... არა, ნუთუ ეს მართლა მოხდა? — თავი რაღაც უცნაურად მიბრუნის..., კისერიც თითქოს დაწნეხილი მაქვს — სულ ვერ ვინძრევი — მარჯვენა ფე-ხიც დამიბუჟდა. — მაინც უნდა ავდგე!... აი, ეს სულ სხვა საქმეა! — უკვე მომეშვა... ჰაერიც შესანიშნავია..., ზუსტად ისეთი, როგორც იმ დილით იყო, საგუშაგოზე რომ გამაგზავნეს და პირდაპირ ტყეში გავშალე კარავი... ის სულ სხვა გამოღვიძება იყო — მაშინ სულ სხვა დღე მელოდა... მგონი, ბოლომდე ვერც კი დამიჯერებია. — აი, ქუჩა, — ნაცრისფერი, ცარიელი — ახლა ჩემ მეტი ნამდვილად არავინაა პრატერში. — ისე, ერთხელ დილის ოთხ საათზე ვყოფილვარ აქ, მე და პაუზინგერმა ცხენებით შემოვისეირნეთ — მე კაპიტან მიროვიჩის ცხენი მყავდა, პაუზინგერი კი თავის ჯაგლაგზე იჯდა — შარშანდე-ლი ამბავია — მაისი იყო და ყველაფერი ჰყვარდა — აქაურობა სულ ამწვანე-ბული იყო, ახლა ფოთლებს თითქმის ვერ ნახავ — მაგრამ მალე გაზაფხუ-ლიც მოვა — სულ რამდენიმე დღეა დარჩა. — შროშანები, იები — რა ცუ-დია, რომ ველარ დავტკბები მათი ცქერით, ათასი გამოქლიავებული დატკბება, მც კი უნდა მოვეკვდე! რა უბედურებაა! ჩვენები ტალავერში ისხდებიან სავახშ-

მოდ, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო — მაშინ ზუსტად ასე არ იყო? — დღისით ლიპაი გაასვენეს და საღამოს ყველანი ტალავერში ვეჭვივობდით... არადა, ლიპაი ყველას ძალიან უყვარდა... უფროსობასაც ჩემზე მეტად მოსწონდა — მაშ, რატომ არ უნდა იქეიფონ ტალავერში, თუ თქვენ უნდა გაფშეკა მოვიდოდა? — საკმაოდ თბილა — გუშინდელზე მეტად... ჩემთვის კი ასეთი სურნელებაა — ზოგი მცენარე, მგონი უკვე ჰყვავის კიდევ... ნეტა შტეფი თუ მომიტანს ყვავილებს? — თუმცა სად მოაგონდება! მაშინვე გამოვარდება... აი, ადელი რომ ყოფილიყო... ეჰ, ადელი მგონი, უკვე ორი წელია, რაც ადელზე აღარ მიფიქრია... ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს, ქალს ასე ეტიროს... რაც მე ქალები მყოლია, ყველაზე ლამაზი, მგონი, ეგ იყო... ძნელად თუ შეხვდები ასეთ მოკრძალებულ, უსიტყვო არსებას — არადა, ნამდვილად ვუყვარდი, თავს მოვიჭრი, რომ ვუყვარდი. — თანაც შტეფის კი არ ჰგავდა... ვერ გამიგია, რატომ მივატოვე... ვირობაა და მეტი არაფერის უბრალოდ, ყელში ამომივიდა, პო, ასე იყო ნამდვილად... მომბეზრდა ყოველ საღამოს ერთსა და იმავე ქალთან სეირნობა... მერე შემეშინდა, ვაითუ ეს მტირალა ველარასოდეს მოვიშორო-მეთქი — ეჰ, გუსტლ, რა მოხდებოდა, ცოტა მაინც მოგეცადა — ის გოგო ხომ ერთადერთი იყო, ვისაც უყვარდი... რას აკეთებს ახლა? ოჰ ერთი, რას უნდა აკეთებდეს? — ალბათ ვინმე სხვა ეყოლება... არა, არა, შტეფისთან ყოველმხრივ უფრო მოსახერხებელია — რა ჯობია, როცა ქალს მარტო დროდადრო ხვდები, მთელი უსიამოვნო ამბები სხვის კისერზე გადადის, შენ კი მხოლოდ და მხოლოდ დროს ატარებ... კაცმა რომ თქვას, ვერც მოთხოვ სასაფლაოზე წამოსვლას... ვალდებული რომ არ იყვნენ, არც სხვები წამოვიდოდნენ — ალბათ კობეცკის გარდა. — კობეცკი წამოვა, მეტი არაფერი — სამწუხარო კია, როცა კაცს არაფერი არ გყავს...

რა სისულელეებს ვროშავს მამაჩემი? ან დედაჩემი და კლარა... მე ხომ მათი შვილი ვარ, ძმაც ვარ... მაგრამ მეტი რა გვაქვს საერთო? სიყვარულით კი ვუყვარვარ — მაგრამ რა იციან ჩემზე? — რომ ჯარში ვმსახურობ, ბანქოს ვთამაშობ და ქალებში დავდივარ... კიდევ რა? — ზოგჯერ საკუთარი თავი რომ მეზიზღება, ხომ არ მიმიწერია მათთვის — ის კი არა, მე მგონი, აქამდე წესიერად თავითონაც არ ვიცოდი — კარგი, გეყოფა წუწუნი, გუსტლი ისღა გაკლია, აზლუქუნდე... ფუი ეშმაკს! — მწყობრი ნაბიჯით... ასე! სულ ერთია, სად მიდიხარ — პაემანზე, საგუშაგოზე თუ ბრძოლის ველზე... ვილაყამ თქვა, ოღონდ არ მახსოვს, ვინ... პო, გამახსენდა, მაიორმა ლედერერმა გვითხრა სასადილოში, მაშინ ხალხი ჰყვებოდა, რა გაფითრებული იყო ვინგლედერი თავისი პირველი დუელის წინ — შიშისგან გულიც კი აერია... დიახ: პაემანზე მიდის თუ გარდუვალი სიკვდილი მოელის, ეს ნამდვილ ოფიცერს არც სიარულზე შეეტყობა, არც გამომეტყველებაზე! — დიახ, გუსტლი! — მაიორმა ლედერერმა თქვა ეს! ჰა!

თენდება... უკვე კითხვასაც შეძლებდა კაცი... ის რაღაა, რომ უსტვენს?... ა, იქით ხომ რკინიგზის სადგურია... ტეგერტჰოფის სვეტი... არც კი შემომჩნევია, ასეთი მაღალი თუ იყო... აგერ იქ ეტლებიც დგანან... მაგრამ ქუჩაში მეზოვეების მეტი არაფერი არის... ჩემი უკანასკნელი მეზოვეები — ჰა! სულ მეციინება, ამაზე რომ ვფიქრობ... ვერ გამიგია, რატომ... საინტერესოა, ყველას ასე მოსდის, ვინც ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტს თავი მოიკლას? სადგურის საათზე ოთხის ნახევარია... დასაზუსტებელი ისღა დამრჩა, შეიღზე რკინიგზის დროით მოვიკლა თავი თუ ქალაქის დროით?... შეიღზე... რატომ მაინცდა-

მაინც შეიძლება?... თითქოს სხვა დროს არ შეიძლებოდეს... მშობი — ლმერთმანი, ძალიან მშობი — არც არის გასაკვირი... როდის ვქამე პოლოს? — ვეუშინ, სალამოს! ექვს საათზე ყაფეში... სწორია კობეცკიმაც მაშინ მომცა ბილეთი — რძიანი ყავა და ორი ფუნთუშა! — ის მეფუნთუშე რას რქვს? — ამბავს რომ გაიგებს... ის ოხერ-ტილი — იმას კი ეცადინება, მისთვის ვაძლავს თავისი თხელი ჭკუით — გაიგებს, რას ნიშნავს გერქვას ოფიცერი! — ასეთი კაცი შუა ქუჩაშიც რომ გალახო, სულაც არ ინაღვლებს, მე კი ერთი ერთზე მომაყენეს შეურაცხყოფა და ადამიანად აღარ ვვარგოვარ... დუელში მაინც გამოვეწვიე იმ არამზადას — მაგრამ გიჟი არ იყო — სიფრთხილეს თავი არ სტკივარ, და ასეთ რამეს რატომ გარისკავდა... აი, იმან უნდა იცხოვროს წყნარად, მშვიდად, მე კი — უნდა ჩავძაღვდე! — არადა, სწორედ მაგან არ მომკლა?... დიას, გუსტლ, მგონი, რაღაცას ხვდები — სწორედ ის არის, მოკვლას რომ ვიპირებს! ნუთუ ასე უნდა შერჩეს ყველაფერი? — არა, არა, არა! კობეცკის წერილს მივწერ, სადაც ყველაფერი მოთხრობილი იქნება, დაწერილებით ვუამბობ ყველაფერს... ან, კიდევ უკეთესი: მივწერ პოლკოვნიკს, ოფიციალურად მოვანსეხებ პოლკის უფროსობას... თითქოს პატაკს ვაბარებდე... ცოტა ხანი მაკადე, ნუ გგონია, ასეთი რამე შეიძლება საიდუმლოდ დარჩეს! — ძალიან ცდები, თუ ასე ფიქრობ — ხალხი ამას არასოდეს დაგივიწყებს და მერე განხავ ერთი, როგორ გაბედავ ყაფეში ფეხის შედგმას — პა! „გნახავ ერთი“ კარგია!... ბევრ სხვა რამესაც სიამოვნებით ვნახავდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მოხერხდება — მორჩა, გათავდა! —

ახლა იოჰანი ჩემს ოთახში შევა, შეამჩნევს, რომ ბატონ ლეიტენანტს შინ არ უძინია. — რასაც გინდა, იმას იფიქრებს, მაგრამ ბატონმა ლეიტენანტმა პრაქტერში თუ გაათენა ღამე, ამას, ლმერთმანი, ვერ წარმოიდგენს... ოჰ, ორმოცდამეოთხელები! სასროლეთისკენ მიაბიჭებენ — ვაცადოთ, გაიარონ... ცოტა განზე გავდგები... — ზემოთ ვილაცა ფანჯარას აღებს — ქალი ყოფილა, თანაც მშვენიერი რამ არის — გეთაყვა, ფანჯარასთან რომ მიდიხარ, რაღაც მაინც უნდა მოიცვა ტანზე... გასულ კვირას ბოლო დროსტარება მქონდა... არც კი დაშესიზმრებოდა, თუ მაინცდამაინც შტეფი იქნებოდა უკანასკნელი, — ეჰ, ლმერთო, ერთადერთი ნაღდი სიამოვნება ეგ არის... პო, ზუსტად ორ საათში ბატონი პოლკოვნიკი, როგორც წესი და რიგია, თავის ცხენზე იქნება ამხედრებული... ამ ვაებატონებს რა უჭირთ — სწორდი! — კარგია... რომ იცოდეთ, როგორ მკიდიხართ ფეხებზე! ოჰ, ამას ვის ხედავს ჩემი თვალები: ეს ხომ კაცერია... კი მაგრამ, როდის მოასწრო ორმოცდამეოთხეში გადასვლა? — სალამი, სალამი! — რა მოუვიდა, რა თვალებით მიყურებს?... მგონი, თავზე სჭირს რაღაც, თითით მანიშნებს, — ჩემო ძვირფასო, ნუთუ არ გესმის, რომ შენი გოგრა ახლა ნაკლებად მაინტერესებს... ა, მივხვდი! არა, ძვირფასო, შენ ცდები: ღამე პრაქტერში გავათენე... სალამოს გახეთში წაიკითხავ. — შეუძლებელია! იტყვის ის, დღეს დილით, სასროლეტზე რომ მივდიოდით, პრაქტერშტრასეზე შემხვდა — საინტერესოა, ვის გადასცემენ ჩემს ოცეულს? — ნეტა ვალტერერს თუ მისცემენ? — კარგ დროსაც გაატარებენ — ნამდვილი ბოთია, მაგას ის ერჩივნა, ხარაზად წასულიყო... რა არის? უკვე მზე ამოდის? — კარგი დღე იქნება — ნაღდი გახაფხულის დღე... თუმცა ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი! — ვილაც ოხერი შეეტლე დილის რვა საათზე ჯერ კიდევ ამქვეყნად ივლის, მე კი... მერე რა მოხდა? ეგლა მაკლია, ბოლო წუთებში ნერვები ვიშალო ვილაც შეეტლის გამო... რა მჭირს, რატომ ამივარდა გულისცემა? — იმის

გამო ხომ არა?... არა, ნამდვილად არა... უბრალოდ, ამდენი ხანი არაფერი მი-
კამია და აბა რა იქნება! — მოიცა, გუსტლ, საქუთარ თავს მაინც გამოუტყ-
დი: — შენ უბრალოდ გეშინია — დიახ, გეშინია, რადგან არასოდეს მოგიკ-
ლავს თავი... მაგრამ ეს აღარ გიშველის, შიში კარგს რას მტკიცებს, ყოველმა
ადამიანმა ოდესმე უნდა უწიოს ეს — ზოგმა უფრო ადრე, ზოგმა უფრო
გვიან. შენი ჭერი კი უბრალოდ უფრო ადრე დადგა... დიდი დოვლათი არასო-
დეს ყოფილხარ, მაშ მოდი, ახლა მაინც მოიქეცი ნაქაყურად, მე ამას მოვით-
ხოვ შენგან! — ესეც ასე, ისლა დამრჩენია, უკანასკნელად დავფიქრდე — რაზე
ვიფიქრო? — ფიქრისა და განსჯის მეტს რას ვაკეთებ?... რა არის ამაზე ადვი-
ლი: რევოლვერი ბუდეში დევს, თანაც დატენილიცაა, მარტო ერთი რამ უნდა
გააკეთო: სასხლეტს გამოკრა — რა დიდი ცოდნა ამას სჭირდება! —

აგერ ის გოგო უკვე მალაზიაში შედის... საცოდავი დედაკაცები! ადელიც
ხომ მალაზიაში მსახურობდა — ერთი-ორჯერ საღამოს გავუარე კიდეც... როცა
გოგო მალაზიაში მსახურობს, კანბობისთვისაც ნაკლები დრო რჩება... აი, შტე-
ფი მარტო მე რომ მეკუთვნოდეს, მოღების სალონში ან კიდეც რამე ამდაგ-
ვარში ვამუშავებდი... ნეტა როგორ გაიგებს ამ ამბავს? — გაზეთებიდან...
ნაღდად გული მოუვა, რომ არაფერი მივწერე... მგონი, სულ ავიწიე ქუთი-
დან... რაში მენადვლება, გული მოუვა თუ არა... რამდენი ხანია, რაც მაგას-
თან საქმე მაქვს?... იანვრიდან... თუმცა არა, მგონი, შობამდე დაიწყო ყველა-
ფერი... მე ხომ გრაციიდან კანფეტები ჩამოვეუტანე, მან კი საახალწლოდ წერი-
ლიც მომწერა... პო, მართლა, ის წერილები, შინ რომ დავტოვე, — ნეტა რო-
მელიმე ხომ არ უნდა დამეწვა?... ჰმ, მაგალითად, ფალშტაინერმა რომ გამო-
მიგზავნა — აი, ის წერილი რომ იპოვოს ვინმემ... ყმაწვილი ნამდვილად
უსიამოვნებას გადაეყრება... ახლა ეგ მაღარდე! ისე, ქაღალდის დაწვას რა უნ-
და... მაგრამ ის ნაჯღაბნი სადღა გინდა მოძებნო... უმჯობესია, ყველაფერი ერ-
თად დავწვა... ის ორიოდ წიგნი კი შემიძლია ბლანის ვუანდერძო. — „ლამისა
და ყინულის სამეფოში“...¹ სამწუხაროდ, ველარასოდეს წავიკითხავ ამ წიგნს...
საერთოდ, ბოლო დროს სულ არ მეცალა კითხვისთვის... ორლანი — ა, ეკ-
ლესიიდან ისმის... დილის წირვაა — რამდენი ხანია, აღარ ვყოფილვარ წირვა-
ზე... უკანასკნელად თებერვალში გახლდით, ჩემი ნაწილი რომ გაგზავნეს ეკ-
ლესიაში... თუმცა ეგ არ ითვლება — სულ ჩემი ხალხისკენ მეჭირა თვალი,
რომ ყურადღებით ესმინათ და კარგად მოქცეულიყვნენ... ახლა ხომ არ შევი-
დე?... ბოლოს და ბოლოს, აქ ცუდი არაფერია... — დღეს, ნასადილევს, უკვე
ზუსტად მეცოდინება... უჰ, ნასადილევს-მეთქი, კარგი რამე ვთქვი!... ჰა, შევიდე
თუ არ შევიდე? — დარწმუნებული ვარ, დედაჩემი ამით მაინც ინუგეშებდა
თავს!... კლარას ეს ნაკლებად აწუხებს... რაც იქნება, იქნება, შევიდეთ — ცუდი
აქ რა უნდა იყოს.

ორლანი — გალობა — ჰმ! — რა ხდება? — თავბრუ მეხვევა... ო, ღმერ-
თო, ღმერთო, ღმერთო ჩემო! ნეტავ ერთი კაცი მაინც მყავდეს, ვისაც მანამდე
ერთ-ორ სიტყვას ვეტყვოდი! — სასაცილო რომ არ იყოს, ცოდვებსაც მოვინა-
ნიებდი, იმ მღვდელს თვალებიც გაუფართოვდებოდა, როცა ბოლოს ვეტყო-
დი: კეთილად ბრძანდებოდეთ, თქვენო მალაღლირსებავ; ახლა კი თავის მოსაკ-
ლავად მივდივარ!... — ის მირჩევნია, ამ ქვის იატაკზე ვეგდო და ვბლაოდე...
არა, არა, ეს არ შეიძლება! ისე, ზოგჯერ ტირილიც ცხონებაა... მოდი, ცოტა

¹ „ლამისა და ყინულის სამეფოში“ — ცნობილი ნორვეგიელი პოლარული მკვლევარის ფრიტიოფ ნანსენის რომანი, რომელშიც აღწერილია ხომალდ „ფრაამი“-ისი მოგზაურობა.

ანით ჩამოვჯდები — თუმცა ისევ არ ჩამეძინოს, როგორც პრაქტერში!... მორწმუნე ხალხს რა უჭირს... უპ. ახლა ხელებიც ამიკანკალდა!... ასე თუ გაგრძელდა, ბოლოს ისე შემძულდება თავი, რომ სირცხვილი ჩამადენინებს თვითმკვლელობას! — ის ბებერი დედაკაცი რაღაზე ლოცულობს? ... კარგი იქნებოდა მისთვის შეთქვა: უკაცრავად, ქალბატონო, მეც მომიხსენებთ, როგორ უნდა არც მისწავლია, ასეთი რამ როგორ უნდა თქვას კაცი... ჰა! მგონი, სიკვდილი ადამიანს ატვინებს კიდევ! — ავდექით! — ეს მელოდია რაღაცას მაგონებს. — ღმერთო ჩემო! რას და გუშინდელ საღამოს! — დროზე გავშორდე აქაურობას! მე ამას ვერ გავუძლებ!... ჩუ! ეს რა ხმაური ავტენე, ხმალსაც მიწაზე მოვახოხიალებ — ხალხსაც ვუშლი ხელს — აი, ასე! — გარეთ ყოფნა ჯობია... სინათლე მაინც არის... ეპ, თანდათან სულ უფრო ახლოვდება — ნეტავ უკვე მომხდარიც იყოს! — მაშინვე უნდა გამეკეთებინა — პრაქტერში... ურევოლვეროდ არსად არ უნდა წახვიდე კაცი... გუშინ მაინც მქონოდა თან... ღმერთო დიდებულო! სიამოვნებით წავიდოდი კაფეში, ვისაუზმებდი... გვარიანად კი მომშივდა... ყოველთვის მიკვირდა, ამ სიკვდილმისჯილ ხალხს რისი თავი აქვს-მეთქი, დილით ყავას რომ წრუბავენ და სიგარეტსაც აბოლებენ... ეშმაკმა დალახვროს, რამდენი ხანია არ მომიწევია! არადა, სურვილიც არა მაქვს! — უცნაური კია: კაფეში წასვლის სურვილი ხომ მაქვს... კი, უკვე გაღებულნიც იქნება, მაგრამ ჩვენებიდან ჯერ ალბათ არავინ არის მისული — გინდაც იყოს... სხვა თუ არაფერი, ჩემი რკინის ნერვების მაჩვენებელი იქნება. „ექვსზე კაფეში ისაუზმა, შვიდზე კი თავი მოიკლა“... — ახლა ისევ დავმშვიდდი... სიარული მსიამოვნებს — ყველაზე სასაცილო ის არის, რომ არავინ არაფერს მაძალებს. — თუ მინდა, სულაც ფეხებზე დავიკიდებ ყველაფერს... ამერიკა... ეს რა ვთქვი: „ფეხებზე დავიკიდებო?“ რას „დავიკიდებ ფეხებზე?“ მზის დაკვრა ხომ არ მიმიღია?... იფ, რა კარგია, იქნებ იმიტომაც ვარ ასე მშვიდად, რომ ლამის დავიჯერო, ამის გაკეთება სულაც არ არის აუცილებელი-მეთქი?... დიახაც აუცილებელია! აუცილებელი არა, ეს ჩემი სურვილია! — აბა, იმის წარმოდგენა თუ შეგიძლია, გუსტლ, რომ ფორმა გაიხადო და გადაიკარგო აქედან? ის ძალღისშვილი ხომ კიპზე გასკდება სიცილით — თვით კოპეცკიც აღარ ჩამოგართმევს ხელს... მგონი, სულ გავწითლდი. — პოლიციელი მესალმება... მეც უნდა მივესალმო... „გაგიმარჯოს!“ — ეს „გაგიმარჯოს“ რაღა ეშმაკმა მათქმევინა!... თუმცა გაიხაროს ამ საცოდავმა... ისე, ჩემზე საყვედური ვერავის დასცდება — სამსახურს რაც არ შეეხებოდა, ყოველთვის კეთილი კაცი ვიყავი — ერთხელ, მანევრებზე, ჩემს ხელქვეითებს სულ სიგარეტები ჩამოვურიგე; ერთხელაც, ჯარისკაცებს იარაღის ხმარებას რომ ვასწავლიდით, ყური მოვკარი, როგორ ჩაილაპარაკა ერთმა, ღმერთმა დასწყევლოს ეს სულელური ოფლისღერაო, თუ რაღაც ამის მაგვარი, მაგრამ ხელმძღვანელობისთვის არც კი მომიხსენებია — მხოლოდ ეს ვუთხარი იმ ბიჭს: „ეი, თქვენ, ფრთხილად იყავით, ერთხელაც იქნება ვინმე სხვა გაიგონებს და ცუდად წაგივათ საქმე!“... აი, ბურგპოფის სასახლეც... ნეტა დღეს საგუშაგოზე ვინ მორიგეობს? — ბოსნიელები — მშვენივრად გამოიყურებიან — ამას წინათ მაიორმა გვითხრა: 78-ში, მათ მხარეს რომ ვესტუმრეთ, ვერავინ იფიქრებდა, ასე მაგრად თუ დაგვიდგებოდნენო!... ღმერთო ჩემო, ნეტავ ერთი მეც ჩამაგდო ასეთ დღეში, ეს ვინ ზის მერხზე? ყველა ერთად წამოხტა ფეხზე. — სალაში, სალაში! საწყენი კია, რომ ამის საშუალება არ გვეძლევა. — რამდენად უკეთესი იქნებოდა, ბრძოლის ველზე, სამშობლოსთვის დაგვედო თავი, ვიდ-

რე... დიახ, ბატონო იურისტო, იოლად კი გადამირჩით, ვერაფერს იტყვი! — იქნებ ეგ საქმე ვინმეს გადავაბარო? — ღმერთმანი, უნდა დაეინათრო, რომ კობეცკიმ ან ვიმეტალმა ჩემ მაგივრად გამოიწვიონ ეგ არამზადა... ასე ყველაფერი ხომ არ უნდა შერჩეს ხახვივით! — თუმცა რა! სუფიქსი არის, რა მოხდება მერე? მე ხომ ამის შესახებ ვერაფერსაც ვტივტივებ... ხეებიც გათავდა... ერთხელ სახალხო ბაღში¹ ერთს გამოველაპარაკე — წითელი კაბა ეცვა — შტროციგასეზე ცხოვრობდა — ჩემ მერე როხლიცმა ასიამოვნა... როხლიცი, მგონი, ახლაც იმასთან დადის, მაგრამ ჩვენ გვიმაღავს — ალბათ რცხვენია... შტეფი ახლა შუა ძილშია... რა საყვარელი სანახავია, როცა სძინავს... გეგონება, ხუთამდე დათვლაც არ იცისო! — თუმცა როცა სძინავთ, ყველანი ერთნაირები არიან! — ისე, ერთი სიტყვა მაინც უნდა მიმეწერა მისთვის... რატომაც არა? ამას ხომ ბევრი აკეთებს, დაჯდება და წინასწარ დაწერს წერილებს. — კლარასაც უნდა მივწერო, რომ მამა და დედა ანუგეშოს — და რაღაც-რაღაცები, ასეთ დროს რომ წერენ ხოლმე! — კობეცკისაც ხომ უნდა მივწერო... ღმერთმანი, ასე მგონია, ბევრად გამიადვილდებოდა, რამდენიმე კაცისთვის რომ მეთქვა, მშვიდობით-მეთქი... მოხსენებითი ბარათიც დამეწერა პოლკის ხელმძღვანელობის სახელზე — ბალერტის ას სამოცი გულდენიც გადამეხადა... რამდენი საქმეა მოსაგვარებელი... ბოლოს და ბოლოს ხომ არავის დაუწესებია, გინდა თუ არა შვიდზე უნდა გააკეთო ეგ საქმეო... თავის მოსაკლავად რვის მერეც ქვეყნის დრო მექნება!... დიახ, თავის მოსაკლავად — ამას აღარაფერი ეშველება...

ჩინგშტრასე — კაფემდეც ბევრი აღარაფერი დარჩა... მგონი, ის მიხარია, რომ უნდა ვისაუზმო... გაგიჟდება კაცი. — დიახ, ვისაუზმებ, შემდეგ სიგარეტს მოვუკიდებ, მერე წავალ შინ და წერას შევუდგები... პო, პირველ ყოვლისა, შევადგენ მოხსენებით ბარათს უფროსობის სახელზე; მერე მივწერ კლარას — მერე კობეცკის — მერე შტეფის... მაგ საცოდავს რაღა მივწერო... „ჩემო პატარა გოგონავ, შენ ალბათ ვერც კი წარმოიდგენდი“... — უპ, რა სისულელეა! — „ჩემო პატარა გოგონავ, მსურს მადლობა გითხრა“... „ჩემო პატარა გოგონავ, სანამ ამ ქვეყანას გამოვესალმებოდე, მინდა ვისარგებლო შემთხვევით“... რაც მართალი მართალია — წერილების წერა არასოდეს მეხერხებოდა... „ჩემო პატარა გოგონავ, უკანასკნელად გემშვიდობება შენი გუსტლი“... — ერთი ის დამანახა, როგორ გაუფართოვდება თვალები! კიდევ კარგი შეყვარებული არ ვიყავი მასზე... ალბათ რა სამწუხაროა, როცა ვინმე გიყვარს და ასე... ეპ, გუსტლ, გამოტყდი: ეგ უამისოდაც სამწუხაროა... შტეფის მერეც ხომ ნაღდად შემხვდებოდა ერთი-ორი კარგი გოგო, ბოლოს კი იქნებ მართლაც ღირსეულსაც გადაეყროდი — ახალგაზრდას, კარგ ოჯახისშეილს და თანაც — მზითვიანს... ეპ, კარგი იქნებოდა... კლარას დაწერილებით უნდა მივწერო, რომ სხვა გზა არ მქონდა... „უნდა მაბატო, ჩემო საყვარელო დაიკო, გთხოვ, ანუგეშო ჩვენი საყვარელი მშობლები, ვიცი, რომ ყველას ბევრი სადარდებელი გაგიჩინეთ და ტკივილიც საკმარისი მოგაყენეთ; მაგრამ მერწმუნე, ყველანი მუდამ ძალიან მიყვარდით და იმედი მაქვს, ოდესმე შენც იქნები ბედნიერი, ჩემო საყვარელო კლარა, და მთლად არ დაივიწყებ შენს უბედურ ძმას“... — ეპ, უმჯობესია სულაც არ მივწერო!... თორემ მეტირება, ამაზე რომ ვფიქრობ... ერთადერთს შეიძლება კობეცკის მივწერო — ამხანაგუ-

¹ სახალხო ბაღი — პარკი ვენის ცენტრში.

რად გამოვემშვიდობო, ის კი მერე სხვებსაც გადასცემს... უკვე ექვსია? — ილ-
ბათ არა: ნახევარია — ან თხუთმეტი აკლია. — უპ, რა საყვარელი გოგონაა!... —
პატარა შავთვალემა ეშმაკის ფეხი, ფლორიანიგასეზე რომ მხვდება ჩრდმე! —
ნეტავ ეგ რაღას იტყვის? — თუმცა მაგან რა უნდა თქვას, არც იცის, ვინა
ვარ — უბრალოდ, გაუკვირდება, რომ ვეღარ მხედავს... გუშინწინ ვარჯიყო.
რომ გადავწყვიტე, შემდეგ ნახვაზე აუცილებლად გამოველაბნა...
თვალეებს აშკარად მიუყუყუნებდა... რა ნორჩი იყო — უმანკოების განსახიერე-
ბაა და მეტი არაფერი!... ასეა, გუსტლ, საქმის გადადება არ ვარგა, აგერ, იმ
კაცს, ეტყობა, ჩემსავით მთელი ღამე არ სძინებია. — ახლა კი წაბრძანდება
შინ და მხარეთქობზე წამოგორდება — მეც წამოგორდება! — ჰა-ჰა! ახლა უკვე
სახუმაროდ აღარა გაქვს საქმე, გუსტლ, დიახ!... ისე, ცოტა საშიში რომ არ
იყოს, ამაზე ადვილი არაფერი იქნებოდა — საერთოდ კი, უნდა ვალიარო, და-
ლიანაც მაგრად მიჭირავს თავი... უპ, სადღა მივდივარ? უკვე კაფესთან მოვ-
სულვარ... ჭერ დაგვასაც არ მორჩენილან... აბა ერთი შიგნითაც შევიდეთ...

სიღრმეში, იმ მაგიდაზე, ტაროკს¹ თამაშობენ ხოლმე... უცნაურია, ვერც
კი წარმომიდგენია, თუ ის ტიპი, კედელთან რომ უყვარს ჯდომა, იგივე ადამი-
ანია, რომელმაც მე... ჭერ კაციშვილი არ მოსულა... ოფიციალტი მაინც სად
არის?... ჰეი! აგერ, სამზარეულოდან მოდის... თან სასწრაფოდ ფრაკსაც იც-
ვამს... ნამდვილად აღარ არის საჭირო!... თუმცა მისთვის საჭიროა... ის ხომ
დღეს სხვებსაც უნდა მოემსახუროს. —

„მოგესალმებით, ბატონო ლეიტენანტო!“

„დილა მშვიდობისა“.

„დღეს ასე ადრე გვეახვლით, ბატონო ლეიტენანტო?“

„ო, ნუ შეწუხდებით — ჰევრი დრო არა მაქვს, პალტოს არ გავიხდი“.

„რას ისურვებდით, ბატონო ლეიტენანტო?“

„რძიან ყავას“.

„ახლავე, ბატონო ლეიტენანტო!“

აგერ გაზეთებიც... დღევანდელი თუა?... ნეტა უკვე წერია რამე?... რა
უნდა ეწეროს? კარგადაა ჩემი საქმე! ვაპირებდი მენახა, წერია თუ არა გაზე-
თებში, რომ თავი მოვიკალი! ჰა-ჰა! — კი მაგრამ, ფეხზე რატომღა ვდგა-
ვარ?... მოდი, აი იქ, ფანჯარასთან დაჯდები... რძიანი ყავაც უკვე დაუდგამთ...
ფარდას დავხურავ, აი, ასე; არ მიყვარს, როცა გამვლელები მათვალეირებენ...
თუმცა ასეთ დროს გამვლელიც არავინაა... უპ, რა კარგი ყავაა... არა, უაზრო
აზირება არ ყოფილა საუზმეზე ფიქრი!... სულ სხვა ადამიანად იქცევი კაცი —
დიდი სისულელე ჩავიდინე, რომ არ ვივარძლებ... ეს კიდევ რაღას უდგას აქ? —
ა, ფუნთუშები მოუტანია...

„გაიგეთ ახალი ამბავი, ბატონო ლეიტენანტო?“

„რა ამბავი?“ ო, ღმერთო ჩემო, ნუთუ ამან უკვე რამე იცის!... თუმცა რა
სისულელეა, შეუძლებელია!

„ბატონ პაბეტსვალნერს...“

რამ? ეს ხომ იმ მეფუნთუშის გვარია... რის თქმას აპირებს ეს შეჩ-
ვენებული?... იქნებ ის აქ იყო? იქნებ გუშინ აქ მოვიდა და ყველას ყველა-
ფერი უამბო?... რატომ აღარაფერს ამბობ?... თუმცა როგორ არ ამბობს...

„...წუხელ, თორმეტ საათზე, გულმა უბტყუნა.“

¹ ტაროკი — ბანკოს ნიოსახეობა.

„რა? ... რა მაყვირებს... არა, არაფერი არ უნდა შემეტყოს... ნეტა სიზმარში ხომ არა ვარ?... კიდევ ერთხელ ვკითხავ... „ვის უმტყუნა გულმა?“ — ყოჩაღ, ყოჩაღ! — ისე ვკითხე, არაფერი შემეტყობია!

„მეფუნთუშეს, ბატონო ლეიტენანტო!... ნამდვილად გეცოდნებათ, ბატონო ლეიტენანტო... აი, მსუქანი კაცი, ყოველდღე ბატონ ლეიტენანტოვთან ერთად ტაროქს რომ თამაშობდა ხოლმე... ბატონი შლეზინგერი და ბატონი ვაზნერი ხომ იცით, ხელოვნური ყვავილების მაღაზიიდან, აი, იმათ პირდაპირ იჭდა ჭოლმე!“

სრულიად ფხიზელი ვარ — ყველაფერი რიგზეა — მაგრამ მაინც ვერ ვიჭერებ — კიდევ ერთხელ უნდა ვკითხო... ოღონდ ისე, სხვათა შორის...

„გულმა უმტყუნაო? ... კი მაგრამ, როგორ? თქვენ საიდანღა იცით?“

„ეჰ, ბატონო ლეიტენანტო, მე თუ არა, აბა ვინ უნდა იცოდეს — აი, ეგ ფუნთუშა, ბატონი ლეიტენანტი რომ მიირთმევს, ისიც ხომ ბატონ ჰაბეტსვალნერის გამომცხვარია, დილაადრიან, ხუთის ნახევარზე, მისმა მოსამსახურე ბიჭმა პური და ფუნთუშები რომ მოგვიტანა, ეს ამბავიც შეგვატყობინა.“

ღმერთო შემიწყალე, არაფერი არ უნდა შემეტყოს... არადა, რას ვიყვირებდი... რას ვიცინებდი... ამ რუდოლფსაც ერთი მაგრად ჩავბროშნიდი... არა, კიდევ რაღაც უნდა ვკითხო!... გულმა უმტყუნაო, მას ხომ არ უთქვამს, მოკვდაო... უნდა ვკითხო, მოკვდა თუ არა... ოღონდ მშვიდად, რაში მენალვლება ვიღაც მეფუნთუშე — გაზეთში ჩავიხედავ და ისე, სხვათა შორის, შევეკითხები...

„მოკვდა?“

„რა თქმა უნდა, ბატონო ლეიტენანტო; იქვე გარდაიცვალა“.

ო, შესანიშნავია, შესანიშნავია! — ნამდვილად იმიტომ მოხდა ეს ყველაფერი, რომ ეკლესიაში შევედი...

„სალამოს თეატრში ყოფილა; მინ რომ დაბრუნებულა, კიბეზე წაქცეულა. სახლის პატრონს ხმაური გაუგონია... ჰო, მერე ბინაში გადაუსვენებიათ და ეჭიმი რომ მოსულა, ყველაფერი კარგა ხნის დამთავრებული ყოფილა“.

„რა სამწუხაროა, ის ხომ სულ ახალგაზრდა იყო“. — აი, ეს კი მართლა შესანიშნავად ვთქვი — ვერც ერთი სულიერი ვერ შემატყობდა რამეს... არადა, თავს ძლივს ვიკავებ, რომ არ ვიყვირო ან ბილიარდის მაგიდაზე არ შევხტე...

„ღიახ, ბატონო ლეიტენანტო, ძალიან სამწუხაროა; მეტად კეთილი კაცი იყო, ოცი წელია ჩვენთან დადიოდა — ჩვენი ბატონის კარგი მეგობარი იყო. საცოდავი მისი მეუღლე...“

მგონი, ჩემს სიცოცხლეში ჯერ ასე არაფერი გამხარებია... მოკვდა — მოკვდა! არავინ არაფერი იცის და არც არაფერი მომხდარა! — ძაღლის ბედი მქონია, კაფეში რომ წამოვედი... არადა, რა ტყუილად მოვიკლავდი თავს — აი, ბედისწერაც ამას ჰქვია... რუდოლფი რა იქნა? — ა, თამბაქოს გამყიდველ ბიჭს ელაპარაკება... — ესე იგი, მოკვდა — მოკვდა — ვერაფრით ვერ დამიჭერებია! სიამოვნებით წავიდოდი სანახავად. — გული ნამდვილად ბრაზისგან გაუსკდებოდა, გამოუთქმელი ბრაზისგან... უჰ, სულ ერთი არ არის, რისგან გაუსკდა! მთავარია, რომ მკვდარია, მე კი შემძლია ვიცხოვრო და ყველაფერი ისევე ჩემია!... სასაცილო კია, როგორ ვკბეჩ და ვკბეჩ ფუნთუშას, ბატონმა ჰაბეტსვალნერმა რომ გამომიცხო! ძალიან გემრიელია, ბატონო ჰაბეტსვალნერ! შესანიშნავია! — ესეც ასე, ახლა სიგარასაც გავაბოლებ...

„რუდოლფ! არ გესმით, რუდოლფ! თავი დაანებეთ მაგ ბიჭს!“

„დიან, ბატონო ლეიტენანტო!“
 „ტრაბუკო“¹ მომიტანეთ... — ო, როგორ მიხარია, როგორ მიხარია!... რა ვქნა, რა გავაკეთო?... რა გავაკეთო?... რამე უნდა მოვიფიქრო, თორემ სიხარულისგან მეც გამისკდება გული!... თხუთმეტ წუთში ყაზარმაში გადავალ და იოჰანსცივი ტილოთი დავაზღვლინებ თავს... რვის ნახევარზე თოფებით ვარჯიშობ და დანდნული, ათის ნახევარზე სამწყობრო მომზადებაა. — შტეფისაც გამოვწვიო, რამე კამსადამოსთვის გაითავისუფლოს თავი... ნაშუადღევს კი, ოთხ საათზე... გამაგრდი, გეთაყვა, გამაგრდი! ახლა ისეთ გუნებაზე ვარ... ცხვირ-პირს ამოვინაყავ!

ბედის წყალობა

ენგელბერტ ფრიდმაიერი, პოლიციელი ნომერი ჩვიდმეტი ათას ცხრასა თორმეტი, კაიზერ იოზეფისა და ტაბორშტრასეს შორის მდებარე საგუშაგოზე იდგა და თავის ბედუკუღმართ ცხოვრებაზე ფიქრებში წასულიყო. აგერ სამი წელი მიილია მას შემდეგ, რაც ფელდფეხელის რანგით სამხედრო სამსახურიდან თავი დაითხოვა და პოლიციელთა კორპუსში ჩაირიცხა, ახალი საქმიანობისადმი უკეთილშობილესი გრძნობებით აღსავსე, გამსჭვალული სწრაფვით, საკუთარი წვლილი შეეტანა ქალაქში უშფოთველობისა და წესრიგის დამყარების საქმეში: მისი სატრფო, მეწვრილმანე ანტონ ვესელის ქალიშვილიც ხომ სულ იმ დღის მოლოდინში იყო, ენგელბერტი კანონიერ თანამეცხედრედ როდის გამოაცხადებდა და შინისკენ გაუძღვებოდა; მაგრამ სამსახურში დაწინაურების თვალსაზრისით ფრიდმაიერის მომავალს კარგი პირი არ უჩანდა, მეტიც — დაწინაურებაზე ოცნება თითქმის გამორიცხულიც იყო. სამმა წელიწადმა ისე განვლო, ერთხელაც არ მისცემია თავის გამოჩენის საშუალება, ასეთი რამ კი, რაც ვენაში პოლიცია არსებობს, არ მომხდარა. ენგელბერტის უფროსობა უკვე ექვს თვალთ უყურებდა მის კეთილსინდისიერებას, ამხანაგებიც სულ აღარ სცემდნენ პატივს, ხოლო კატიმ, რომელიც უწინ მისი ერთადერთი ნუგეში იყო მწუხარების ჟამს, ახლა მწარედ დაუწყო დაცინვა. არადა, თავად მას მტკიცედ სწამდა, რომ ბრალი არაფერში მიუძღოდნოდა. ეგ იყო, ბედის წყალობა აკლდა, მის გარშემო ათასი ნაბიჯის მანძილზე ყოველგვარი ბოროტი ზრახვა თითქოს თავისთავად წყვეტდა არსებობას. ენგელბერტი საგანგებოდ ირჩევდა ხალხმრავალ გზაჯვარედინებს, სადაც სწვა დროს ათობით შეეტლეს აკავებდნენ სიჩქარის გადაჭარბებისთვის, დაეცნო კი, თუ ბედიც გაუღიმებდათ, ადამიანის გატანისთვისაც, დღესასწაუზოგჯერ კი, თუ ბედიც გაუღიმებდათ, ადამიანის გატანისთვისაც, დღესასწაულებზე, ღამის მორიგეობისას, ისეთ რეპუტაციაწამხდარ კაფეებთან იკავებდა ადგილს, საიდანაც უწინ არაერთხელ გამოვარდნილა კაცი ყვირილით: მიშველეთ, დამჭრესო!... ერთხელ სამორიგეოდ იმ ქუჩაზეც კი გაამწესეს, სადაც ველოსიპედით სიარული აკრძალული იყო და საიდანაც მისმა წინამორბედმა ერთ ღირსსახსოვარ დღეს სამოცდაშვიდი ველოსიპედისტი მიაბრძანა საპოლიციო უბანში — საკმარისი იყო ეს უაღრესად საპასუხისმგებლო პოსტი ენგელბერტ ფრიდმაიერს დაეკავებინა, რომ ყველაფერი მკვეთრად შეცვლილიყო. ყველაზე მოუსვენარი ცხენები, მანამდე ჩოჩით რომ მიაკვნებდნენ ეტ-

¹ „ტრაბუკო“ — ძვირფასი სივარების მარცა.

ლებს უმალ ნაბიჯს ანელებდნენ. ყველაზე საეჭვო პიროვნებები მშვიდად მიუყვებოდნენ გზას, ხოლო ყველაზე თავგადაკლული ველოსიპედისტები, რომელთაც გულაჩქროლებული ენგელბერტი წამით არ აცილებდა იმედებს მზერას, აკრძალვის ნიშანთან მორჩილად ჩამოქვეითდებოდნენ და თავიანთ ველოსიპედებს უახლოეს კუთხემდე ხელით მიაგორებდნენ ბმულს ნიშნად დარჩენოდა ენგელბერტს, ხმის ამოუღებლოვ ეცქირა, როგორც ~~როგორც~~ არც ერთი განაწესი და როგორ არ ეძუქრებოდა საფრთხე საყოველთაო წესრიგს. წვრილმან გულის მოსაფხან ამბებსაც კი, რისი მოწმენი მისი კოლეგები ასე ხშირად ხდებოდნენ ხოლმე, თავად იგი არასოდეს გადაპყრია. მაგალითად, მას ერთხელაც არ შეუვლია თვალი ფანჯარასთან მისული დედიშობილა ქალიშვილისთვის, მის სიახლოვეს ქუჩის უკანასკნელ მეძავესაც კი არასოდეს მოსვლია აზრად უწესოდ მოქცეულიყო. შორიახლოს ერთხელაც არ ჩაუვლია ეტლს, ფარდები საეჭვოდ რომ ჰქონოდა დახურული. ბედმა ერთხელაც არ არგუნა წილად, ვართობისა და დასვენების პარკში მოწყობილი რეიდის დროს რომელიმე ზომიზე მეტად შეყვარებულ წყვილს წასდგომოდა თავზე. თვით ესა თუ ის მნიშვნელოვანი ღონისძიებანიც კი, როგორც წესი, სახელს რომ უხვეჭდა მის ამხანაგებს, მისთვის როგორღაც უღიმღამოდ ჩაივლიდა ხოლმე. იგი ერთ-ერთი გახლდათ იმ რჩეულთაგან, ვისაც წილად ხვდა პარლამენტის წინ მდგარიყო სწორედ მაშინ, როცა შენობას ღრიანცელით ჩაუარა სოციალისტთა ბრბომ. ენგელბერტი სმენად იქცა — იქნებ ვინმეს ანტისახელმწიფოებრივი მოწოდება ან. — კიდევ უკეთესი, — ღრმად პატივცემული ბურგომისტრის შეურაცხყოფელი შეძახილი წამოსცდესო... არა, მის სიახლოვეს ყველა მუნჯდებოდა, თითქოს რაღაც კეთილმა თუ ბოროტმა ძალამ გააფრთხილაო. — ერთხელაც, როცა ქუჩაში გვირგვინოსან არსებას უნდა ჩაეველო, ენგელბერტი მათ შორის აღმოჩნდა, ვისაც ცოცხალი დერეფნის შექმნა დაევალა. საკუთარი თვლით უყურა, მისგან ათიოდე ნაბიჯზე ერთმა ახალგაზრდა კოლეგამ წინააღმდეგობის გაწევისთვის როგორ დააკავა სრულიად უწყინარი გამვლელი, რომელიც ამასთანავე ყრუც იყო და ვერაფრით ვერ გაეგო, რას ერჩოდნენ — ენგელბერტის უკან კი ხალხი რამდენიმე საათის განმავლობაში ისე იდგა, თითქოს უსულო კედელი ყოფილიყოს, არც მოწოლა უცდია ვინმეს და არც მწკრივიდან გამოსვლა.

მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება მას სწორედ მაშინ შეემთხვა, როცა ეგონა, მიზანთან ახლოს ვარო; აი, სწორედ ასეთ დროს სანუკვარი წარმატება უმწარეს გაწბილებად გადაექცა. დღევანდელისა არ იყოს, მაშინაც მშვენიერი დარი იდგა. ენგელბერტი როტენტურმშტრასეზე მორიგეობდა, როცა შორიდანვე შენიშნა მოხდენილი აღნაგობის მამაკაცი. პატარა გოგონასთან ხელი-ხელჩაკიდებული რომ უახლოვდებოდა მას, გოგონა დაღლილი ჩანდა, მოხდენილი მამაკაცი მას თითქოს ძალით მოათრევდა. გოგონა წაიქცა; მოხდენილმა მამაკაცმა უხეშად წამოაყენა. გოგონამ ტირილი მორთო, აღრიალდა, მოხდენილი მამაკაცი კი ისე ხმაშალა მოსდგა ლანძღვა-გინებას, რომ ენგელბერტმა ზოგიერთი ბგერაც გააჩია, რამაც დიდი იმედი აღუძრა, აქ ნამდვილად ბილწსიტყვაობას ექნება ადგილიო. გოგონა მოთქვამდა: ჩემო საყვარელო, კარგო მაშიკო, გთხოვ, მაპატიე, ძალიან დავიღალე! და მუხლებზე დაემხო; მოხდენილმა მამაკაცმა ჯოხი მოიქნია და გოგონას პირდაპირ თავში ჩასცხო. თანაც ისე ძლიერად, რომ ბავშვი მკვდარივით გაიშხლართა მიწაზე. შემთხვევის ადგილზე ხალხი შეგროვდა. სახეგაბადრული ენგელბერტიც სას-

წრაფოდ, მჭით გაეშურა. შემთხვევა გახსაკუთრებით იღბლიანი ჩანდა: ეს ხომ სწორედ ის დრო იყო, როცა ბავშვებისადმი სისასტიკის ყოველგვარი გამოვლინება, საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცეოდა: ასე და ხმავრად, ენგელბერტს შესაძლებლობა ეძლეოდა ერთი ხელის დაკვირვებით ბიოველი/კაცი გამხდარიყო, რაში ენაღვლებოდა წვრილმანი სპეკულაცია ან რაღაც უმნიშვნელო კრილობები? ენგელბერტი აენტო იმედით, ნამდვილად მკვლელობა მოხდა, უმწეო ბავშვის მკვლელობაო, და თანაც მას შესწევდა ძალა თავისი კაცური სიტყვა ეთქვა. უპირატესობის გრძნობით აღესილმა, ღირსეულად გაიკვლია გზა შეკრებილ ბრბოში... და როგორი სურათი წარმოუდგა თვალწინ? ხალხი, რომელიც მისი აზრით შეძრწუნებული უნდა ყოფილიყო, გულიანად იცინოდა, მოხდენილი მამაკაცი ამბობდა: ნება მიბოძეთ, ბატონებო, მოგიწვიოთ ჩემს დებიუტზე, რომელიც დღეს საღამოს ევაგილების სასახლეში მოეწყობათ, ხოლო მიწაზე ხის თოჯინა ეგდო მაგრამ ენგელბერტს ჯერ მაინც არ სურდა ასეთი შემთხვევა ხელიდან გაეშვა: ვინ იცის, იქნებ სულაც გამოცდილზე გამოცდილი ბოროტმოქმედია, ცდილობს მკვდარი ბავშვი თოჯინად, ხოლო საკუთარი თავი—მუცლით მეზღაპრე ცირკის მსახიობად გაასალოს. მაგრამ როცა ენგელბერტმა მუხლი მოიდრიკა და ხის ბავშვს შუშის თვალეში ჩააშტერდა, დამსწრე საზოგადოების მხიარულებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. თუმცა იმედის ბოლო ნაპერწკალი ჯერაც ღვიოდა — ცირკის მსახიობის საპოლიციო უბანში წაყვანა მაინც შეიძლებოდა საზოგადოების გაბიაბრუებისთვის, მაგრამ სწორედ ამ დროს შეკრებილთ ორი ოფიცერი-კავალერისტი მიუახლოვდა და ცირკის მსახიობთან მხიარული მუსაიფი გააბეს. — ერთ ოფიცერში შიშისგან თავგზააბნეულმა ენგელბერტმა ერცპერცოგი შეიცნო, მიხვდა, მისი საკბილო იქ აღარაფერი იყო, და სასწრაფოდ გაუჩინარდა.

იმ დღიდან მოყოლებული ენგელბერტ ფრიდმაიერი ნამდვილად დარწმუნდა, რომ მართლაც უბედურ ვარსკვლავზე იყო დაბადებული. დროდადრო შურდა კიდევ თავისი ზოგიერთი ამხანაგისა, რომლებიც განაწესებზე უფრო მკაცრნი და კანონებზე უფრო შეუფალნი იყვნენ, და გულის სიღრმეში ოცნებობდა იმაზე, რომ დამსგავსებოდა მიზნისკენ მტკიცედ და ურყევად მიმავალთ. თავის გარშემო გამეფებულ უმაგალითო წესრიგსა და მაღალ ზნეობრიობას თანდათან სულ უფრო მძაფრად აღიქვამდა, როგორც პირადად მის წინააღმდეგ მიმართულ მწარე დაცინვას. ხოლო უბნის მთელი მოსახლეობა ეჩვენებოდა შეთქმულთა ბანდად, რომელსაც თავისი წესიერებით მხოლოდ მისი მიწასთან გასწორება სურდა.

აი, დღესაც ასე სევდნარევ ფიქრებში წასული, იდგა თავის საგუშაგოზე და ფიქრობდა, თუ რა გამოუსადეგარი და სასაცილო იყო მისი არსებობა. — საღამომოვდებოდა, დაგვიანებულ გამვლელებს გეზი პრატერისკენ ეჭირათ, საიდანაც მის ყურს კვირადლის არეულ-დარეული ხმაური წვდებოდა. ენგელბერტი ბოლთას ცემდა, ზოგჯერ შეჩერდებოდა, ქუჩებს გახედავდა, მზერას ხან ნორდვესტბანჰოფს¹ მიაპყრობდა, ხან პრატერშტერნს² — მერე კი ისევ წინ და უკან სიარულს მოჰყვებოდა. ერთხელაც თვალი მოჰკრა ნაცნობ სილუეტს, ტაბორშტრასედან მისკენ რომ მოემართებოდა. ეს კატარინა გაბლდათ, თეთრკოპლებიანი ლურჯი ფულარის კაბა ეცვა, თავზე ჩალის პატარა თეთრი

¹ ნორდვესტბანჰოფი — ერთ-ერთი რეინიგზის სადგური ვენაში.

² პრატერშტერნი — ვენის ერთ-ერთი ცენტრალური მოედანი.

ქუდი ეხურა, ხელში კი წითელი მზის ქოლგა ეჭირა; ცოტა რომ მიუახლოვდა, ენგელბერტმა მის სახეზე ღიმილი შენიშნა. კატიმ იცოდა, რომ აქ სწორედ აქ მორიგეობდა... ნეტავ მისი მონახულება ხომ არ გადაწყვიტა? ამას ოცნებაშიც ვერ წარმოიდგენდა. კატი ხომ ბოლო დროს უწინდებულად აღარ ექცეოდა, ხშირად დასცინოდა კიდევ, ახლა ერთმანეთს უკვე სულსწორე მანძილი ამორებდათ. ენგელბერტმა ახლალა შენიშნა, რომ კატის უკან, დაახლოებით ათ ნაბიჯზე, ღია ნაცრისფერ კოსტუმში გამოწყობილი ახალგაზრდა ვაჟბატონი მოსეირნობდა. პირში სიგარეტი ჰქონდა გაჩრილი. თითებს შორის კი ხელჯოხს ატრიალებდა. თუმცა ეს, ცხადია, შემთხვევითი გამვლელიც შეიძლებოდა ყოფილიყო.

ენგელბერტი, რომელიც აქამდე შუა ქუჩაში იდგა, ტროტუარს მიუახლოვდა. კატარინა შეჩერდა, მიუბრუნდა და ისე მიმართა, სახიდან ღიმილი არ მოსცილებია: „უკაცრავად, ბატონო პოლიციელო. პრაქტერის გზას ხომ ვერ მიმასწავლით?“

„კატი“, წამოიძახა გახარებულმა ენგელბერტმა. „კატი, ნუთუ მე მომაკითხე?“

„როგორ გეკადრებათ, ბატონო პოლიციელო... ეს როგორ შეიძლება! თქვენ ხომ სამსახურში ბრძანდებით! მე მხოლოდ მიინდოდა მეკითხა, პრაქტერისკენ უმოკლესი გზა რომელია“.

ნაცრისფერკოსტუმიანი ახალგაზრდა ვაჟბატონი, ხელჯოხს რომ ათამაშებდა, მოპირდაპირე ტროტუარზე შეჩერდა. სავსებით შესაძლებელი იყო, რომ ტრამვაის ელოდებოდა.

„კატი“, თქვა ენგელბერტმა, „რომ იცოდე, რა მადლობელი ვარ შენი...“

„ჩემი მადლობელი? მე ხომ შემეძლო სხვისთვისაც მიმემართა, მაგრამ რადგან შემთხვევით სწორედ ამ ადგილას ჩავიარე და საერთოდაც უდიდეს პატივსა ვცემ პოლიციელებს და თანაც თქვენ ასე სანდომიანად გამოიყურებით... დიახ, მართლა, შორიდანვე შეგატყობთ კაცი, რომ თქვენს სიცოცხლეში არავისთვის გიწყენინებიათ“.

ენგელბერტს ტუჩი აუცახცახდა. რა უნდა ჩემგან? ნუთუ მარტო იმისთვის მოვიდა, რომ ისევ მაწვალოს? — ამასობაში ტრამვაიმ ჩაიარა, ნაცრისფერ ახალგაზრდა ვაჟბატონს ვაგონში ასვლა არც კი უფიქრია. მაგრამ იქნებ ეს ტრამვაი სხვა მხარეს მიდიოდა და მას ხელს არ აძლევდა?

„რატომ არაფერს მეუბნებით, ბატონო კომისარო?“ განაგრძო კატარინამ. „განა ინსტრუქციის თანახმად მოვალე არ ბრძანდებით, გამვლელთა შეკითხვებს თავაზიანი პასუხი მიაგოთ?“

„კატი, ძალიან გთხოვ, ნუ დამცინი! აღარ შემეძლია ამის ატანა, გესმის?“

„დიახ“, ფეხის წვერებზე აიწია კატარინა, შემდეგ კი კვლავ დაეშვა, „რა გაეწყობა, იძულებული ვარ სხვას მივმართო. ნება მიბოძეთ დაგემშვიდობოთ, ბატონო...“ — „კატი!“

„რა მოხდა? გთხოვთ, ასე მრისხანედ ნუ მიცქერთ, თორემ მართლა შეშინდებთ“.

ტრამვაიმ ჩაიარა — ახლა საპირისპირო მიმართულებით; ახალგაზრდა ვაჟბატონი ტრამვაიში არც ახლა ჩაჯდა. იდგა მოპირდაპირე მხარეს, თითქოს მიწას მიეზარდაო, და ხელჯოხს ატრიალებდა. — „კატი, მგონი, ვილაც აგეკიდა!“

„ნუთუ მართლა?“ კატიმ თავი მიაბრუნა და ახალგაზრდა ვაჟბატონს

აოცთუ უალერსო მზერა მიაპყრო. ახალგაზრდა ვაჟბატონმა, ეტყობა, თვალი გააყოლა რაღაც საგანს, რომელიც სწორედ ამ დროს მიწას მოწყდა და ნელა დაიძრა ცისკენ: მერცხალი თუ იყო. ან იქნებ ბუზი. ან შესაძლოა სულაც ხა-
პაერო ბუჭტი... ყოველ შემთხვევაში, ენგელბერტს არც ერთი დაუნახავს, არც მეორე და არც მესამე.

„მერედა, რას უდგახართ, ბატონო პოლიციელო, დააბატონეთ... იციბო, რისთვის? მოითმინეთ, ახლავე მოგახსენებთ... ეჰ, მეტი გამოცდილება რომ გქონოდათ, ნამდვილად გეცოდინებოდათ, რისთვის... აჰა, მგონი, მოვიფიქრე!.. სხვისი საკუთრების განზრახ ხელყოფისთვის!.. მაშ ასე, ნება მიბოძეთ დაგემშვიდობოთ, ბატონო კომისარო, თავადაც მშვენივრად ვიბოვი პრაქტერის გზას!“ — „კატი!“ — „რა გნებაეთ?“ — „მიდიხარ?“

„დიახ, იქნებ გეგონათ, აქ იმისთვის მოვედი, რომ სიფხიზლე მოგიდუნოთ? სწორედ ეგლა გაკლდათ! Adieu!“

ქალი გზას გაუდგა. ენგელბერტი დაედევნა. „კატი“ წამოიძახა მან, „შენ აქედან ფეხს არ მოიცივლი! დიახ, ფეხს არ მოიცივლი!“ — ქალი შემობრუნდა და ენგელბერტს გაფართოებული თვალებით მიაცქერდა.

„გთხოვ, კატი, ნუ წახვალ, ასე ნუ დამტოვებ. ის მაინც მითხარი, რომ...“ — „რა უნდა გითხრა?“.

„რომ ძველებურად გიყვარვარ... გემუდარები, კატი!“
„ო, არა! თქვენს სამსახურს ასეთ შეურაცხყოფას როგორ მივაყენებ... მაშ ასე, ნახვამდის — მე პრაქტერში მივდივარ!“ — „კატი, ნუთუ მართლა არ ხუმრობ?“

„როგორ გეკადრებათ, პოლიციელთან ხუმრობას როგორ გავბედავ, თანაც მორიგე პოლიციელთან! რა თქმა უნდა, არ ვხუმრობ! ჭერ კარუსელზე ვიტრიალებ, მერე ნავებზე წავალ, მერე სასრილოზე, მერე ეშმაკის საქანელაზე, მერე ტაკიმასხარების წარმოდგენასაც დავესწრები... დიახ, ბატონო კომისარო, სხვა ტაკიმასხარებისა...“ — „კატი!“

ენგელბერტს სხეულში ერუანტელმა დაუარა. ახალგაზრდა ვაჟბატონი ლამპიონის ბოძს მიყრდნობოდა და საკუთარ ფეხსაცმელებს ათვალიერებდა. კატიმ დამშვიდობების ნიშნად თავი გაიქნია და წასვლა დააპირა. ენგელბერტმა ხელი წაავლო. კატიმ თვალი თვალში გაუყარა.

„როგორ მიბედავ?“ ჰკითხა უცებ ძალიან სერიოზულად.
„კატი, არსადაც არ გიშვებ! გასაგებია?... არ გიშვებ არავითარ პრაქტერში! შემდეგ კვირას მორიგეობისგან თავისუფალი ვარ, ჰოდა, პრაქტერშიც ერთად წავალთ“.

„აბა რა, აუცილებლად! ერთბაშად არ გაგათავისუფლონ მორიგეობისგან! უშენოდ ხომ ერთ დღესაც ვერ გაძლებენ... უშენოდ ხომ ღმერთმა უწყის, რას დაემსგავსებოდა ვენა, ან რა ეშველებოდა წესრიგს, ეს ამდენი ხალხიც ხომ ყველაფრის უფლებას მისცემდა თავს, როგორც კი შეიტყობდა, რომ ენგელბერტ ფრიდმაიერი დღეს არ მორიგეობს... ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ენგელბერტ. დაბრუნებისას გამოგივლი, ამასობაში იქნებ დაგაწინაურონ კიდევ. კარგად იყავი!“

„კატი, არ გაბედო პრაქტერში წასვლა, თორემ ცუდი ამბავი დატრიალდება“.
„თავი დამანებე!“ — „კატი!“ ენგელბერტს ხმა ჩაეხლიჩა. „იციოდე, პრაქტერში თუ წახვალ, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრებულია — გესმის?“

„მართლა? პირობას მაძლევ? თუ ასეა, სულ სირბილ-სირბილით მოეკურცხლავ!“ კატი მართლაც წავიდა. რამდენიმე წამს ენგელბერტი დამბლადაცემულივით იდგა ერთ ადგილზე. მერე დაინახა, როგორ გამოერკვა ფიქრებიდან ახალგაზრდა ვაჟბატონი, რომელიც აუღელვებლად და მშვიდად, ხელჯობის ქნევით, იმავე მიმართულებით გაუდგა გზას, რომელიც კატიმ აირჩია. იმავე წამს ენგელბერტი კვლავ კატის გვერდით გაჩნდა და მის მკლავს ღონივრად ჩააფრინდა... კატიმ შეჰკივლა. „რა დაგემართა, მთვრალი ხომ არა ხარ?“

„ფენი არ მოიცვალო-მეთქი!“ ეს სიტყვები თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა, თვალები სისხლით აევსო. — „თავი დამანებე!“ თქვა კატიმ. „ახლავე გამიშვი ხელი! ღმერთმანი, ასეთი რამ ცხოვრებაში არ დამმართნია!“

ენგელბერტმა ქალს ხელი გაუშვა. „უკანასკნელად გთხოვ...“

„ბოლოს და ბოლოს დამანებებ თავს თუ არა? მორჩა და გათავდა, პრაქტიკაში მივდივარ!“ — „კატი!“ — „ნამდვილი რეგვენი ხარ!“ — „კატი..., რა თქვი?“

კატიმ ენგელბერტს უტიფარი მზერა მიაპყრო და გაუმეორა: „ნამდვილი რეგვენი ხარ-მეთქი!“

ენგელბერტი მიაშტერდა ოდნავ გაღებულ ტუჩებს, რომელთაც ეს სიტყვები მოსწყდა. თავი ძლივს შეიკავა, რომ არ ეპასუხა — ხელები გვარიანად ექავებოდა, მერე მის თვალწინ ყოველივე შეტორტმანდა, კატის სხეული რაღაც უცნაურ ბურუსში გაეხვია, ახალგაზრდა ვაჟბატონმაც თითქოს ჰაერში იწყო ცეკვა. მაგრამ ბურუსი მალე გაიფანტა და ენგელბერტიც კვლავ მკაფიოდ ხედავდა ყველაფერს. ისე მკაფიოდ, როგორც არასდროს, მთელი მისი არსება თავად მისთვისვე ამოუცნობმა სიმშვიდემ მოიცვა. ის უკვე აღარ იყო შეყვარებული ენგელბერტი. ის გახლდათ მორიგე პოლიციელი, ხოლო მის წინ მისივე სათაყვანო საცოლე კი აღარ იდგა, არამედ მდედრობითი სქესის პიროვნება, რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა. უცნაურად შეშლილმა, მაგრამ ღრმად მნიშვნელოვანმა ღიმილმა გადაუარა მის სახეს და სრულიად გამოცვლილი, მკვეთრი და მძლავრი ხმით, როგორც მისგან ჯერ არავის სმენოდა, ენგელბერტმა განაცხადა: „კანონის ძალით, თქვენ დაპატიმრებული ხართ!“, და ქალიშვილს მხარზე მძიმედ დაადო ხელი.

კატის გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა. ერთბაშად ვერც მიხვდა, როგორ მოქცეულიყო: გაეცინა თუ გული მოსვლოდა; მაგრამ კაცის მკაცრი მზერა და ფოლადისებრი ხმა სრულიადაც არ იძლეოდა იმის საბაბს, რომ ვინმეს ეჭვი შეეტანა მისი განზრახვის სერიოზულობაში.

„ენგელბერტ, შენ რა...“ — „აქ არ არსებობს არავითარი ენგელბერტი..., თქვენთვის მე ბატონი პოლიციელი ვარ!“ — ამასობაში რამდენიმე გამვლელი იქვე, შორიახლოს გაჩერებულიყო.

„ენგელბერტ“, ჩაიჩურჩულა კატიმ და კაცს მუდარით სავსე თვალებით შეხედა.

„ფროილაინ, ახლავე წამომყევით კომისარიატში, იქ თქვენ გასწავლიან, ფროილაინ, რომ პოლიციელი არ შეიძლება რეგვენი იყოს!“

ახლა სხვა გამვლულებიც შეჩერდნენ. ერთ-ერთმა ყური მოჰკრა ენგელბერტის სიტყვებს და სასწრაფოდ შეატყობინა იქვე მდგომთ: დამსწრეთა გაოცებას საზღვარი არ აქონდა.

„ნუ შევიკრიბებით!“ წარმოთქვა ენგელბერტმა და ქედმაღლურად გადახედა შეკრებილთ. „ოფიციალურად მოგმართავთ, ახლაც დაიშალეთ. თქვენ კი გთხოვთ, უკან მომყევით, ჩემო ფროილაინ!“

კატი კაცს მისჩერებოდა... ჯერაც ვერ გაეგო, რა ხდებოდა მის თავს. /
 „რალას უდგახართ, ფროილაინ?“ თქვა ენგელბერტმა. „წამოხრჩანდები!“
 ხელის მოძრაობით, ყოველგვარ შეპასუხებას რომ გამორიცხავდა, მისი ბრძანა კატის, მომყევითო, ხალხი იქაურობას გაეცალა და მომნიბვლელი ქალიშვილის დაპატიმრების სცენას შორიდან მოწიწებითა და რიდით ადევნებდა თავს.

„რისთვის აპატიმრებთ ამ ქალბატონს?“ ეს ხმა ენგელბერტს ზურგიდან შემოესმა. მოულოდნელობისგან უსაზღვროდ გაოცებულმა თავი მიაბრუნა. ამ სიტყვების მთქმელი, რასაკვირველია, ნაცრისფერკოსტუმიანი ახალგაზრდა ვაჟბატონი გახლდათ.

„რა ბრძანეთ?“ იკითხა ენგელბერტმა ისეთი კილოთი, რომელიც დაუფარავად ამჟღავნებდა სავსებით ბუნებრივ ექვს თანამოსაუბრის კკუასუსტობის თაობაზე.

„ამ ქალბატონს რისთვის აპატიმრებთ-მეთქი?“ გაუმეორა ახალგაზრდა ვაჟბატონმა და თან ენგელბერტს ყოვლად უტიფრად მიაჩერდა. კატის თვალებში, მეტი თუ არა, ერთგვარი მადლიერების გრძობა მაინც გამოიხატა. ენგელბერტმა იგრძნო, რომ შუა გზაზე ვერაფრით ველარ გაჩერდებოდა.

„თქვენც ჩემთან წამობრძანდებით!“ ილრიალა მან. „კანონის ძალით, თქვენც გაპატიმრებთ“. — „მე სიამოვნებით წამოვბრძანდები, ძვირფასო ბატონო პოლიციელო“, ღიმილით მიუგო ახალგაზრდა ვაჟბატონმა.

„ვინ არის თქვენი ძვირფასი ბატონი პოლიციელი? წინ გასწით!“
 „ბოდიშს მოვითხოვ“, თქვა ახალგაზრდა ვაჟბატონმა, „მაგრამ ეს თქვენი გადასაწყვეტი როდია; ჩემი აზრით, თქვენ სწორედ ძვირფასი ბატონი პოლიციელი ბრძანდებით“.

„შეწყვიტეთ ლაპარაკი და მომყევით! ხომ გთხოვეთ, დაიშალეთ-მეთქი“, მიმართა კვლავ თავშეყრილ ხალხს. „აქ თეატრი ხომ არ გგონიათ?“

ენგელბერტი შუა ქუჩაში მიაბიჯებდა, მარჯვნივ კატი მიჰყვებოდა, მარცხნივ კი ახალგაზრდა ვაჟბატონი. — მოსაბდენი მოხდა, ახლა ხომ მაინც უნდა მოღებოდა ბოლო ამხანაგების გაუთავებელ გაქირდვას, უფროსების უსაფუძვლო ექვებს, შეყვარებულის მხრიდან დამამცირებელ გამასხარავებას... დიახ, დიახ, ამასაც! თუმცა ალბათ ყოველივე დანარჩენსაც ბოლო მოეღო... მაგრამ ეს მისთვის უკვე სულ ერთი იყო, ეს სულაც არ ადარდებდა, უფლება არ ჰქონდა ამაზე ედარდა.

დაკავებულებმა ერთმანეთთან საუბარი გააბეს; ენგელბერტი ცდილობდა ყური არ მიეგღო, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა, ახალგაზრდა ვაჟბატონმა თქვა: „ფროილაინ, მეტად ვწუხვარ, რომ თქვენი სეირნობა ასე უსიამოვნოდ დასრულდა“.

კატიმ უპასუხა: „ო, რას ბრძანებთ, ეს მე ვწუხვარ, რომ თქვენ ჩემი გულისთვის, სრულიად უცნობი პიროვნების გულისთვის...“

„როგორ გეკადრებათ, ფროილაინ, თქვენი გულისთვის სულაც რომ მრავალწლიანი უსასტიკესი პატიმრობა მომისაჯონ, ეს მხოლოდ ბედნიერება იქნება ჩემთვის“.

ენგელბერტს ისლა დარჩენოდა, ყური ეგდო ამგვარი საუბრისთვის და ხმის ამოუღებელივ ევლო მომასლაათეთა შორის. მართალია, მათ არ უყურებდა, მაგრამ გრძნობდა, რომ დაკავებულებს შორის, საერთო ბედმა რომ შეაკავშირა, ურთიერთობის სულ უფრო მტკიცე ძაფები იბმებოდა, თვითონ კი სრულიად უძლური იყო ამის წინაშე. კატი იმდენად ახლო იმყოფებოდა, რომ ენგელბერტს მისი კაბა ეხებოდა. ამასობაში კომისარი ტსაც მიუახლოვდნენ. ნაცნობ შენობას შორიდან რომ შეავლო თვალი, ერთმა მაცდურმა აზრმა გაუელვა. იქნებ აჯობებდა, მთელი ეს საქმე ახლავე დაესრულებინა? იქნებ აჯობებდა ორივე დაკავებული გაეთავისუფლებინა და კატისთვის პატიება ეთხოვა?..

მაგრამ ენგელბერტი უმალ გონს მოეგო, არ აპყვა უკადრის ცდუნებას და დაპატიმრებულებთან ერთად მტკიცედ გადააბიჯა საპოლიციო უბნის შენობის ზღურბლს.

კომისარმა თავაუღებელივ იკითხა: „რა მოხდა?“

„ბატონო კომისარო“, მიუგო ენგელბერტმა. „საქმე ეხება მორიგე გუშაგის შეურაცხყოფას და ჩარევას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში“.

კომისარმა თავი ასწია. ენგელბერტი რომ დაინახა, სახეზე გაოცება გამოეხატა. მერე ღიმილით თქვა: „ასე არ ჯობია?“

ენგელბერტმა იცოდა, რომ ეს სიტყვები გარკვეულწილად მის დაფასებას ნიშნავდა, მაგრამ ბედნიერების ნიშანწყალსაც ვერ გრძნობდა, ნიშანწყალს იმ ბედნიერებისა, რომელზეც თავის დროზე ფიქრობდა, აუცილებლად გამოვცდი, როგორც კი უფროსობა ჩემი მოქმედების გამო კმაყოფილებას გამოხატავსო. კომისარმა საანკეტო ეურნალი მოიმარჯვა.

„გთხოვთ, ფროილაინ...“

„კატარინა ვესელი, მეწვრილმანის ქალიშვილი, ოცდაორი წლისა...“

„თქვენ?“

„ალბერტ მაიერლინგი, მედიკოსი“.

„ესე იგი — მორიგე გუშაგის შეურაცხყოფა, არა?... რაში გამოიხატა ეს მორიგე გუშაგის შეურაცხყოფა?“

„ბატონო კომისარო“, უბასუბა პოლიციელმა, „ამ ქალბატონმა რეგვენი მიწოდა“.

„კეთილი, კეთილი,“ თქვა კომისარმა. „ამ ახალგაზრდამ რაღა დააშავა?“

„ქალიშვილის დაკავებისას თავს უფლება მისცა შენიშვნები გამოეთქვა“.

„კეთილი, კეთილი. აქ მეტს ველარაფერს მოვიმოქმედებთ. ეს საქმე საოლქო სასამართლომ უნდა განიხილოს. დიდად გმადლობთ“, კომისარი დაკავებულებს მიუბრუნდა. „ამ მოკლე ხანში სასამართლოს უწყებას მიიღებთ“.

„ესე იგი, ჩვენ შეგვიძლია წავიდეთ?“ იკითხა ახალგაზრდამ, ხოლო ენგელბერტს, ეს „ჩვენ“ რომ გაიგონა, ბრაზისგან თვალი დაუბნელდა.

„რა თქმა უნდა, სადაც გენებოთ“, მიუგო მეტისმეტად თავაზიანმა კომისარმა.

კატიმ ენგელბერტს უცხოსავით შეხედა. ახალგაზრდა ვაჟბატონმა კარი გააღო და ქალიშვილთან ერთად გაუჩინარდა. ენგელბერტმა დააპირა მათ გაპყოლოდა; უცებ კომისრის ხმა შემოესმა: „ფრიდმაიერ!“

„დიახ, ბატონო კომისარო!“

„მომილოცავს. ისე, აქამდეც კი უნდა გეყოჩაღათ. პო მართლა, იმ ქალიშვილმა რეგვენი რატომ გიწოდათ?“

„ბატონო კომისარო, ნება მომეცით მოგახსენოთ, ის ქალიშვილი ჩემი საცოლუა“.

კომისარი ფეხზე წამოდგა. „როგორ?“ მერე ენგელბერტს თვალი თვალიში გაუყარა და მხარზე ხელი მოუთათუნა. „უოჩაღ! ამას არ დაგვიწყნებო“.

„თუმცა, უფრო სწორად, ჩემი საცოლე იყო, ბატონო ენგელბერტს კრემლი წასკდა.“

კომისარი კეთილად უცქერდა ენგელბერტს. მერე თქვა: „ახლა კი თქვენს სამორიგეო პოსტზე დაბრუნდით. მალე ჯილდოზეც წარგადგენთ“.

ენგელბერტი ქუჩაში გავარდა. გარეთ აღმოჩნდა თუ არა, თვალი შეასწრო კატისა და ახალგაზრდა კაცს. იქვე, კუთხეში, ეტლში რომ ჩასბდნენ და ისიც გაიგონა, როგორ უბრძანა მეეტლეს ახალგაზრდა კაცმა: „პრატერის მთავარ ხეივანში!“

სასამართლო რამდენიმე კვირის შემდეგ მოეწყო. ბრალმდებელმა ხოტბა შეასხა პოლიციელის მამაკაცურ ღირსებასა და საქმის ერთგულებას, რომელსაც პირადმა ახლო ურთიერთობამაც კი არ შეუშალა ხელი პირნათლად მოეხადა თავისი სამსახურებრივი ვალიო. დამცველმა დაგმო პოლიციელის აღმაშფოთებელი მცდელობა, სამსახურებრივი მდგომარეობა გამოეყენებინა შეყვარებულის თავიდან მოსაცილებლად, რომელთან ურთიერთობაც მობეზრდა. და გამოთქვა იმედი, რომ ამგვარი მაკიაველიზმი დედაქალაქის ღირსეულ პოლიციელთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილში შეიძლება შეხვდეს კაცს. ბრალმდებელი თავის რეპლიკაში მტკიცედ ასაბუთებდა, რომ თუ ამჯერად დამნაშავენი სამაგალითოდ არ დაისჯებიან, სახელმწიფოს საფუძველი მოერყევა. დამნაშავენი დაისაჯნენ. კატის მიესაჯა ფულადი ჯარიმა ოცდახუთი გულდენის ოდენობით. მედიკოს ალბერტ მაიერლინგს — ათი გულდენის ოდენობით; ორივე თანხა ამ უკანასკნელმა გადაიხადა. ივლისის მშვენიერი დღე იდგა; იმავე საღამოს ორივენი კვლავ პრატერში გაემგზავრნენ.

უცნაური კი ის არის, რომ ამ დღიდან მოყოლებული სადღაც გაქრა ბედდანავსულობა. მანამდე მუდამ თან რომ სდევდა ენგელბერტ ფრიდმაიერს. მის გარშემო ერთბაშად გაიღვიძა ყველა ბოროტმა ზრახვამ; ბოლო მოელო წესრიგსა და მაღალ ზნეობრიობას, უწინ მის სიახლოვეს რომ სუფევდა. ახლამას საპოლიციო უბანში ყოველდღიურად მიჰყავს წესრიგის დამრღვევნი, ხოლო ამხანაგები ალტაცებითა და შურით შეჰყურებენ. ისინი თითქმის ველარც ცნობენ ენგელბერტს. იგი იქცა უდრეკ, დაუნდობელ კაცად და თვით ყველაზე უმწიკვლო ადამიანთა ფიცაც კი მტკნარ სიცრუედ მოგეჩვენებათ მტკიცედ მიცემულ სამხედრო ფიცთან შედარებით. რომლის წინაშე ქედს იხრიან კომისარებიცა და მოსამართლეც.



თარგმნა ვაჟა ეპრიცხელმა

ვინც ლაპარაკობს...

„ვინც ლაპარაკობს — უვიცია“, აი ნაღველის
მოლაყბეთა ბრბო ქვეყანაზე როგორ ირევა.
დროის ბეჭედი აზის სიტყვას ცაში

აღვლენილს:

ცოდნა ჭირია, არცოდნა კი ბედნიერება.

ვინაც მცოდნეა, არ საუბრობს ტყუილ-

უბრალოდ,

სიტყვის სიჩუმემ ყველაფერი გაითავისა.

ვისაც უჭირავს ცოდნის ხმალი —

ის არს უფალი.

მზის ელვარება — ნათელია მისი ფარისა.

ყველა ცხოვრობს...

ქვეყნად ყოველი წამისთვის ცხოვრობს,

სიცოცხლე! ნულარ მიქციე მხარი.

სად არის შენი სახლი თუ სორო, —

უსაზღვრების ლამაზი მხარე?

დღისა და ღამის მაღალი ზღურბლი.

ცივი სიჩუმის სინათლე ბეცი.

ტყითა და მინდვრით, ზღვითა და ღრუბლით

და მერე უკვე ზეცით და ზეცით...

მოძრაობა კი სიმშვიდეს მალავს,
სიჩუმეს აფრქვევს ყოველი ბგერა.
სინათლისა თუ სიბნელის ძალა
ქეშმარიტების წრეს ქმნიან ფერადს.

წარსულის ორივე მხარეს,
ქექას და ქუხილს ახლის.
ზმანებაში კი არა, **ერყენულში**
ცხადში აშენე სახლი. **შინაშიც**



გადაშლილია გზად წიგნი სუფთა
და სიყვარული ღამეებს უთევს.
სილამაზე კი წამებში სუნთქავს
და ღამაშია ყოველი წუთი.

მომავლის ოთხივე მხრიდან, —
ელვა ნათდება მხოლოდ.
ვინც დღეებს ღუნავს მშვილდად,
ის მომავალში ცხოვრობს.



ქვეყნად არ არის ბედნიერება...

ა. ს. კუხიანი

ბედნიერება ცხოვრობს და დადის
ამქვეყნიური ჭირ-ვარამის კედლების იქით —
ამოუწურავ სიტყვა — რიცხვში...
და არის ნაღდი,
და გზა ყოველი მისკენ ისევ მიდის და
მიქრის.

მიაპყარ მზერა ყოველდღე წუთით,
გულში მზე ბრწყინავს განა ერთი და განა
ორი.

ბედნიერება! ის შენში ბუდობს,
მაგრამ გზა არის ძნელი და შორი.

სიმაღლისაკენ

სიმაღლისაკენ აიწიე შენ სულით ნაზით,
შენი პირველი ნაბიჯია — ცოცხალი აზრი.
შედი წყვარამში, სად არ არის წვიმა
და სეტყვა,
შენი მეორე ნაბიჯია — ცოცხალი სიტყვა.

თესე. მოიმკი მომავალს საქებს,
შენი მესამე ნაბიჯია — ცოცხალი საქმე.
შენი მეოთხე ნაბიჯი კი, იქ არის მართლა,
სად პირველია... და მარადის გახდები
ნათლად.

სიხარული

შენ გესმის

გესმის მოყვასო და მტერო მართლა,
უკვე გიზგიზებს კოცონი კართან.
და უკვე შენი ირწევა სახლი —
ჯერარსმენილი ქუბილი არხევს.
ტომის ბელადო! გესმის და იცი,
დრო-ყამის ზემოთ და ზემოთ სივრცის,
ზემოთ სიჩუმის და ომის ზეცის --
დანაშაულის და ტრფობის ცეცხლი.

**გულს ნუ განაწყობ სიკეთის
მკნელად**

თავს სიხარული რომ მოუტანოს,
კერპმა შეუქმნა სიბნელეს ნიში.
გადაულაზავ კლდეებს პიტალოს
შენს წინ აღმართავს ფერმკრთალი
შიში.

გულს თუ განაწყობ სიკეთის მკნელად,
აუცილებლად დაგტოვებს ყველა:
ძველი სამოსი შიშის და კილვის,
თავდავიწყების ჩენჩო და კილი.

ანდერძი

ანდერძი სიკეთის კმნაზე,
ისევ არხევს კარს გონის.
იკლავჩის მიწის ქერქი
და გრძნობს უდაბნოს ლომი.
სინათლე მიდის დიდი
უძლევი ძალით სავსე, —
ჭეშმარიტიდან ერთი
შემკმნელი ყოველ არსის.

სიხართლეს ამშვენებას...

სიხართლეს ამშვენებს სილაამაზე,
შენ მას მიჰყევ ბოლომდი.

აქ ბინადრობს ავი აზრის
ყვავილები ბორბოტი.



სიმრავლეა ურჩხულების,
გაკრთობს შინაგანს მკვლეილი.
გზა სხივივით უწყობს მკვლეს,
შენ ამ სხივზეც გაივლი.

სიხვარულია სამყაროს აზრი

მიმქრალ ლანდიდან გამოსკრა შუქი
გულში ჩაუდო მაგნიტი ნაზი.
გიყვარდეს იყო ანდერძი მისი,
სიყვარულია — სამყაროს აზრი.

ბუნებაა და არის კანონი
დასაბამიდან სულ რომ გუგუნებს.
ქვეყნად ქვა შექმნა თვით სიყვარულმა,
მაგრამ უგულო.

წლები მიფრენენ რწმენის

წინ! — მიზრწნილ ნაპირიდან,
აღთქმის კედლიდან, მიზეზ.
წინ! — კვლავ იდუმალ ზმაზე,
სინათლის თემის სხივზე.

რა არის შავი თოვლი,
როცა უფსკრულზე შიშის,
წლები მიფრენენ რწმენის
აღმდგარნი ვაი, ვიშით.

ყაზახური მზე
დაჭდა რაფაზე
და ჩამოიბრჩო სინათლემ თავი.
ბნელა, მოწყენა ვერ გადავლაზე
და მიტრიალებს
ფიქრები ავი.
ვილაცის გული ისევე ტირის
და ვარსკვლავები ყრია ბაღაბზე.



ნაღვლიან სიმღერასავით გრძელია ეს ქუჩა,
ხმაურიან ბაეშვობასავით უმწეოა და მწირი.
ვით მარტობა, უკაცრიელია და ყუჩობს,
მოგონებასავით ღარიბია და ტირის.

მე მასზე გავივლი ამაყი მარშით
ვადამდე, უხილავ ძვიდემდე, ვით წინათ.
წავალ ქარის და შემოდგომის შრიალის ლანდში
და სიტყვის ლანდში, ჩემს ლანდში რომ იბოვა ბინა.

ნათელი ელვა — აზრია მისი

გაცვდა დღეების მგრგვინავი კვეთი¹
და ჩაეძინა სიტყვას ამ სოფლად,
მაგრამ წინაა სულ სხვა სიმაღლე
და სულ სხვა ყოფნა.

იელვა ელვამ და შენ მის შუქზე,
გადაიარე უფსკრულის ზოლი.
ნათელი ელვა — აზრია მისი,
ვინაც მცოდნეა ამქვეყნად ყოვლის.

გიხაროდეს

გიხაროდეს უმეცრება,
ზეციდან რომ მოდის წვიმად.
და ამბორიც გიხაროდეს,
რაც რომ სატანჯველად გწირავს.
გიხაროდეს შავი სევდა
და იმედი — არ დაღამდეს,
ის დუმილიც გიხაროდეს —
სიყვარულზე რომ ღალადებს.

რისთვის

რიცხვი ღვთაება არარის რისთვის
და რით არარის სიტყვა?
იგავე აზრი, იგივე ნივთი,

¹ კვეთი — სიმდიდრე, დოვლათი.

იმავე ცეცხლის დვრიტა.
ყოვლისმომცველი სიტყვათა სიღრმე,
სიჩუმის სიღრმეს ერთვის.
ქლერადობას კი საიდან იღებს
უძრავი სიტყვა — ერთი.

სიყვარულშია ყველაფერი

უხილავის და ხილულის სათავე
უსასრულობაშია ნაფერი
და ერთი მზითაა გამთბარი,
სიყვარულშია ყველაფერი.

ქეშმარიტებას გვერდს ვეღარ აუვლი,
შენი სიყვარულის და აზრის ნაყოფი —
ორი არსებაა, ორი სასწაული.
ორი სიხარულია აქ ყოფნის.

სიჩუმისათვის ვაქებ და ვუვლი
მას, ვინც ყოველი უთქმელად მითხრა,
ნათელია და უფროა ბრძნული —
კეთილი თვალთ ნათქვამი სიტყვა.
ზოგჯერ ჩვენს საქმეს სიტყვები წონის,
სიტყვით უხვია გზა დალოცვილი,
იმ დროს, როდესაც სამყაროს გონი
იდუმალეებით არის მოცული.

გული ხმა

გული — ხმა არის,
გული — კოსმოსია,
რომლებიც სამყაროს აკვირდებიან.
გული — ცხოველი მაგნიტია —
გულის მიწიერი ნაპირებით.

ხმა უჩქევს ქვეყანას მოქროვილს —
გულის სივრცეებში დაჩქევილი.
უნდა დაამსხვრული გულს ბოქლომი,
სამყაროს გული სისხლითაა
გარეცხილი.

სიმყუდროვე მოძრაობას იცავს

სიმყუდროვე მუდამ, მოძრაობას იცავს,
უხილავს კი მარად, ხილულთან აქვს გეში.
და სინათლის შუქი, ის მიწა და ის ცა,
ვითარც დღე და ღამე იკვრებიან წრეში.

გზა მზადაა, გახსნილია, ამ ცხოვრების წიგნი.
ცვივა ბუნებაში სიხარულის ნამი,
და წუთები სუნთქავს სინარჩარის შიგნით,
თვითონ მშვენიებაში სუნთქვა არის წამის.

ჰუმანიტეტით

სიმართლისგან მოსული
სულ დარჩება სიმართლით.
სინათლისგან ვინც მოვა,
დაბრმავდება სინათლით.

ცეცხლით შემობურვილი
აროდეს იგვიანებს, —
სიყვარულით მოვლენილს
ტაბტი უდგას მზიანი.

ცეცხლით ვიწროებით

ცეცხლით ვიწროებით და ცეცხლით
მოვალთ,
ამაღლება და მასშია შეელა.
და აჩენს იგი წყალსაც და გლოვას,
მისგან მკვრივდება მნათობი ყველა.

შენ, ვისაც ქვეყნად მარადყამს გძინავს,
გამოდი და ცეცხლს თაყვანი ეცი.
არ შეეპუო დრო და ყამს მძვინვარს
და აღაშენე ქვეყანა ცეცხლის.

ვინც მომავლისკენ ილტვის

მაშრიყ — მალრიბით წასული
ცაში დასტოვებს ქუჩილს.
და ზმანებები წარსულის —
დგანან მგლისფერი მუხლით.

ვინც მოვა ოთხი მხრიდან,
ემსგავსის ელვას — უკვეთს,
„ვინც მომავლისკენ ილტვის,
ის მასში ცხოვრობს უკვე.“

მიწა გახსნას...

მიწა გახსნეს სამარებად,
დღისით, მზისით მიდის ელეტა.
ჰყვავის ცოდვის ტრამალები,
სულის ცეცხლი ადის სვეტად.

ბრბო კი ბლავის და ვალალებს,
ბნელია და გზაა მოკლე.
მაგრამ ნაღდი ახელს თვალებს, —
სიყვარული ველარ მოჰკლეს.

მარცვალი

ერთმა ქვა მოიტანა,
მეორემ ხე და ნაცარი,
მაგრამ უფალმა ბრძანა:
სამყაროს ტვირთი — მარცვალი.

ცა გახსნეს და ცა დახურეს,
ვინ სად... რა აქენა...
მაგრამ სამყაროს ტვირთი
მოზიდა ჭიანჭველამ.

ბროფოტა ოქროა და არა ტანჯვა

სიყვარულია სიჩუმის მაჯა.
ხსოვნაში ლანდებს დაუდგამთ ტახტი.
ტრფობა ოქროა და არა ტანჯვა,
ფფიქრობ მას მერე, რაც ცოლი გახდი.

შენ დაეძებ და თვალებით — ნუკრის
გსურს პწკარში ტრფობის იპოვო
ხემსი.

სიჩუმეს —
წვიმის ხმაურს შენ უკვე
მიეჩვიე და აღარა გესმის.

მითხარი შენთან ვინ ქიშკობს

ვინ არის შენი მტერი!
ჯერ არ მობილა იგი,
მუდამ, ტირი თუ მღერი,
გეჭიროს თადარიგი.

გადაუდექი თვისტომს,
გესმას, რომ მტერი გელტვის.
მითხარ შენთან ვინ ქიშკობს
და შენ ვინა ხარ გეტყვი.

ბრუნავს დედამიწა

დავიწყების უფსკრულზე
სისხლითა და ქვიშით
ბრუნავს დედამიწა

სიამაყის ჩრდილში,
ბრუნავს დედამიწა —
ცეცხლის თაყვანს აცდა?
სიყვარულის ძაფით
მიბმულია ცასთან.



თავი ჩააბარეთ მამისეულ

თავი ჩააბარეთ მამისეულ
აღათ-წესს რომელიც მოგყვით, —
გული მიეცით გულისათვის,
როცა დასჭირდება მოყვასს.

მამაში ნახავთ მაცხოვარს,
ხალხში კი — აღთქმულ მხარეს.
მოყვარე უდრტვინველად
გაგიღებთ გულის კარებს.

როცა ღრიალებს ბრბო

როცა ღრიალებს ბრბო
და მათი მოთქმის მტვერი —
გიქოლავს ყურთა სმენას,
გიფარავს სივრცეს მზერის.
დაჩუმდი, დაჩუმდი სხივივით,
რომელიც სიჩუმემ შობა.
ანათე, ანათე, ვით ბგერამ,
რომელმაც მიაღწია გრძნობას.



სულის კვილი მომესმა ზეცით:
ძმებს დაუბრუნდი ცისქვეშა მიწის!
ნუ გეშინია შენ თეთრი ცეცხლის,
ბედნიერებით რადგანაც იწვის!

შავი ცეცხლის კი შიში სულ გდევდა:
რადგანაც მასში ნალველი იღო.
სად ორი ცეცხლი სიცოცხლეს ჭედავს,
ჩვენ მას ვეძახით სიცოცხლის მინდორს.

სული მდგვატოვეს სამუდამოდ აზრის ხე გულში მარადის ჰყვავის

ახლა შენ წევხარ ეული,
მორჩა და გათავდა, დუმს სურო.
სული მაინც სულია უსხეულოდ,
სხეული —

უდაბნოა უსულოდ.
სიცოცხლის ცეცხლი არ ქრება
გრძნეული
და დგება ახალ საზღვართან სულ.
სული მიგვატოვებს სამუდამოდ,
თავისუფლება ეძლევა სულს.

ცა შუბლშეკრული

ცა შუბლშეკრული.
სიმშვიდის სიამაყე,
ქარი მოლოდინის
სულს კვლავ ამუნათებს.
და ვისაც რომ ვუხმე,
გულში მიდგას დარაჯად
და სიჩუმის ელვა —
გზას უნათებს.

დღეს უმშვიდობოდ არ სუფევს ბედი,
სამყაროს ყოფნას არა აქვს აზრი,
უგულობას კი არავეს ვეფერძრი,
როცა ჩემთან ხარ ჩუმი და ნაზი.

ხატებას შენსას ვატარებ გულით,
აზრის ხე გულში მარადის ჰყვავის...
მისი შრიალი სამყაროს უვლის,
და სიყვარულის მოისხამს ყვავილს.

საჭირო წიგნის მოსულა რიგი

რომ აღარ იყო უსუსურ დღეთა
მსხვერპლი, არ გახსნა შემთხვევით
წიგნი.
არ შეწყვეტილა, სისხლი კვლავ
წვეთავს,
საჭირო წიგნის მოსულა რიგი.

თავის დროზე კი მადევარს ცოდნის,
იგი რჩეული თვით მიეცემა.
წიგნი, სულის ის შუქია ოდით,
ბნელს რომ მიკაფავს და არ ეცემა.

□



თარგმნა დინარა კასრაძემ

ბაბუაწვერა („სიჩუხე“)

ბაბუაწვერა — სინაზით სავსე
სად ამოსულხარ — ზართა თარეშში? —
სად ხარობ — ქართა ავ საძოვარზე?
სად ჩაგიყვინთავს გვიან ღამეში?

ბაბუაწვერა — ვნებათა სიღრმე,
მაკრობს ნაძარცვი შენი სხეული
და საკუთარი უიღბლო სიყრმე —
ქართა საძოვარს მიმობნეული!

მოელი თითქოს შემკრთალი გზნებით,
ქარს, ისიც გწეწევს უწყალოდ მერე, —
და ავსებს შენი ფაფუკი თმებით
მკრალ შემოდგომის შორეულ ველებს.

ვქცეულიყავი ქვიშად ნეტავი, —
და ტანი მიწის სღრმეს შერთვოდა!
ჩავძირულიყავ ქვაში ნეტარი, —
და ნემულენეს* ევლო ზემოდან!

იხედი („იხედი“. ზეზმარიტება)

შენ აქ ხარ, ჩემს წინ აღმართული, ჩემო სილაღვე,
ხელში იმედის სანთელით — და ამ შუქით ვთბები. —
ღამის პეპლები მიელტვიან ნანატრ სინათლეს
და ეტრუსებათ გამჭვირვალე ფარფატა ფრთები.

თუ ჭვრეტდი, ნეტავ, იმ უძილო ღამეში ნათელს,
როცა ტილოზე დასვი ლაქა მოთხვრილი ფუნჯით, —
რომ შენ მარადი მიანიჭე ნათება სანთელს
და ვერ დასწვავდა ბედისწერა მას, მძლე და ურჩი?

ელვარე მწველ შუქს განარიდე მღელვარე მზერა, —
და აღიბეჭდა შენს თვალებში ცეცხლის თამაში!
ვინ იცის, იქნებ გულმკაცრია მაღალი ზენა, —
და პეპლებივით დამწვას შენთა თვალთა კაშკაშში?

* ნემულენე — მდინარე ნემუნასის კინობითი სახელი.

უძილო ღამეს სწორედ ამგვარ თვალების შექმნე
შენ დასვი ლაქა გრძელი ფუნჯით, გზნებით ღვთიურით...
და ვგრძნობ. მეხება თბილი ბაგე ფერგამკრთალ შუბლზე.
ვით დიაღემა, ნატიფი და მარადიული



„Rex“

მაისის დილა ისე კრთის — ვით პირველტრფობის ღვთაება,
ვით მოგონება — სავსე მზით.
თეთრი ვარდების ველებზე მთროლოვარე გულს ევალება
სიყვარული და აღერსი.

სადაა ყოვლისშემძლები „Rex“, უკვდავექმნილი ტილოზე,
და ზურმუხტ ზღვების სონატა? —
ვლიღინებთ წამით მიმოცველ განურჩევ ხვედრის კილოზე
ვერრას მხედავნი სწორადა.

ო, ანცი სიყრმის სახეა ეს ანთებულე მკერდი თუ
შავი დაღალი მორჩილი,
გზას ნახავს თავისუფლების, ავიც რომ შეხვდეს ბედი, თუნდ
ათასიკ დასდონ ბორკილი.

და ჩვენ თუ ახლა ვუგალობთ (იქნებ, სურათს ვკვრეტთ სრულიად!)
იმ წვანე ზღვების სონატას,
ო, არ გაგვიწყრე დიდო „Rex“! — სიყრმე ხომ გაზაფხულია —
და გოხოვ — მიგვიხვდე სწორადა.

გაზაფხული

(ცოკლიდან „გაზაფხული“. ხამრეკლო).

გაზაფხული — —
იასამანს აუფეთქდა ტოტი, —
ლალობს წყარო — გალობს ნაენობ
მოტიეს.

ნემუნასის* თავზე ღრუბლის ლოდებს
მიაგორებს ქარი, ავად ჰგოდებს.

გაზაფხული —
არყებს უკრთით ტანი, მკლავი, ყელი,
სწვეთავთ წვენი — ჩემი სისხლი
ცხელი.

ბობოქარი, მეამბოხე ფიქრი

ქარაშოტთან ერთად ველად მიქრის,
ღრუბლის ფრთებზე როკავს ძეწნის
ქარი.

(ვნებას სადღაც დაჰკარგვია ზღვარი)
და მდინარეს აფენს ჩრდილებს —
ვერცხლებს,
ცად მარულა გაუმართავთ მერცხლებს.

ხოლო ზარი მეათასედ მიხმობს
და სიყვარულს მეპირება თითქოს:
ბედნიერი იყავ, გაიხარე!

წინ გაშლილა უტურფესი არე, —
გულის რაშნი უგზო-უკვლოდ
ჰქრიან, —
რასაც სულის თავაწყვეტა ჰქვია!

* ნემუნასი — მდინარე ლიტვანში.

მშვილდოსანი

(ცოლიდან „ზოდიაქოს ნიშნები“
მშვილდოსანი)

მოკურავს აღმასი —
მზე გვირგვინოსანი. —
ჭვეყნად მზნე, მამაცი,
მიდის მშვილდოსანი.

ო, იქ ცივ მიწაზე დგას სევდის კარავი:
შავფერი ფრინველი აბნელებს მზეს, —
სივრცეებს ურჩხულის ფრთები მთლად
ფარავენ, —
და მგზავრი ჩრდილებში ძლივს იკვლევს
გზებს.

მამაცს გაბოვ და გვედრი
მზე — ცეცხლის გორგალი:
— შავი და ავბელი
ფრინველი მოკალი!

მშვილდი შემართულა, და რკინის
კუნთები
არ თრთიან, გული კი — რა შმაგად
ძგერს, —

რომ მიწა აღივსოს კვლავ
თავისუფლებით,
რომ თალხი დაეხსნას თავარა მზეს.

და ქრება ზმანება,
სათდება ბნელეთი. —

ო, კვლავაც გათბება
მზით ზღვა და ხმელეთი.



ქართული
წიგნიწიგნი

მზის უგავილობა

(ცოლიდან „დასაფლავება“)

მზე მეწამულ ყვავილებით ჰყვავის,
განფენილი უკანასკნელ გზაზე —
მე კი მიძღვნა მხოლოდ ფერი შავი...
ო, სამყაროვ, სილაძაზით სავსევე!

კიპარისის კოშკებს, ცამდე აწვდილს,
მოსდებიანთ ალერსი, და სულის
ჩამქრობია სხივი, — გულსაც აწი,
ო, ვერავე ვერ აღუძრავს
სურვილს —

ნათიბ ბალახს ეპარება ჭკნობა,
შენ სიფითრე გახლავს...
ქრება ღველფი...
ცივ ხელისგულს ჩაჰკრობია ობლად
ცხელი ურნა — ჩვენი ვნების ფერფლი.

ფებისწვერზე იწევს მზე და თავის,
წითელ ჩითებს აფენს მწვანე
ველებს —
ხოლო ჩემთვის — ჩემთვის შავად
ჰყვავის
ტენით სავსე მიწაყრილზე მერე .



რომანი

პოლონურიდან თარგმნა ბიორგი მათუბაძემ

ერთსართულიან ხის სასტუმროში, სადაც შჩუკამ აქეთობას კოკისპირულ წვიმას შეაფარა თავი, დაბალი, ვიწრო წინკარი ნამდვილ სოფლურ ეზოში გადიოდა, შუაში ჭა რომ იყო და უკან ბალი. წინკარსა და ეზოში არავინ ჩანდა. მალე კიშკარში ქალმა და კაცმა შემოირბინეს. ნადიმობიდან დაბრუნებულ ცოლ-ქმარს ჰგავდნენ. გამხდარ, მაღალ-მაღალ კაცს შლაპა ეხურა და შავი პალტო ეცვა. საგაზაფხულო ყავისფერკოსტუმიანი, საშუალოზე მაღალი ტანის ქალიც გამხდარი იყო. შჩუკასი არ იყოს, კოკისპირულმა წვიმამ მათ ალბათ მინგრეულ-მონგრეულ ქუჩაზე მოუსწრო და კარგა ლამაზად გაილუმპნენ, ვიდრე უახლოეს სახლამდე მიირბენდნენ. გადაუღებლად ასხამდა. წყლის ნაკადი ხმაურით ეცემოდა მიწაზე, გუგუნებდნენ წყალსადინარი მილები, ხან მეხი გაეარდებოდა და ხან ელვა გაანათებდა იქაურობას. ამ გაზაფხულზე პირველად ატყდა ქექა-ქუხილი.

ხელჯოხიანი შჩუკა ზედ შემოსასვლელთან იდგა. სიცხეში სიარულმა დაღალა იგი. გამოძიების დროს გადატეხილი ფეხის ძვლები კარგად არ შეეზარდნენ ერთმანეთს და დიდხანს ივლიდა თუ არა, მაშინვე ატკივდებოდა. ამ ბოლო დროს გულიც აწუხებდა. ახლა თავს საუცხოოდ გრძნობდა. აღარ ცხელოდა, აგრილდა, ბალიდან ნიაგმა დაუბერა, სველი მიწისა და ბალახის სუნი დადგა.

კოკისპირულ წვიმაში ნარბენი ცოლ-ქმარი სამოსიდან წვიმის წვეთებს იბერტყავდა. ჩაბნელებულ წინკარში ისინი დიდი ფრინველები გეგონებოდა, ფრთებს რომ შლიდნენ.

— აი, ხედავ, — უსაყვედურა ქალმა, — გუებნებოდი, ყოველ შემთხვევისთვის ქოლგა წამოიღე-მეთქი.

მამაკაცი უსიტყვოდ ისწორებდა პალტოს გადანაკეცებს, გაიელვა, და გავარდა მეხი.

— ოჰ, ღმერთო! — შეკრთა ქალი. — შეხედე, შლაპა სულ გაგიფუჭდა. აი, ჩემსავით რომ შეგეძლოს ჩაცმა...

— ნუ აჭარბებ, — წაიბურტყუნა კაცმა. — არაფერი მოუვა ქუდს. .

ცეცხლის ენები ჰყვეთდნენ წყვლიადს. უფრო მაგრად დაუშვა წვიმამ.

— კარგია, რომ გაწვიმდა, — წარმოთქვა კაცმა, — თორემ სუნთქვე კირ-
და.

— შინ მისვლა არ გინდა?

— ნუ გეშინია, მივალთ. წვიმა მალე გადაიღებს. კარგი დროა, ვიდრე
გავესკებთან, არა?

ჩუმად ლაპარაკობდნენ, მაგრამ შჩუკას ყველაფერი ესმოდა.

— ვერაფერს ვიტყვი, — უხალისოდ უპასუხა ქალმა, — კაცს ლაპარაკის
თავიც რომ არ გექნება...

— ისევ აჭარბებ

— შენ რომ გკითხოს კაცმა, ყოველთვის ვაჭარბებ.

— გამოტყდი...

— შენთვის ადვილია ასე ლაპარაკი, მე კი ეს ჯანმრთელობის ფასად მიჯ-
დება.

— რა „ყველაფერი“? შლაპა?

— მომეშვი! ისედაც კარგად იცი, რას ვგულისხმობ. სახლს როცა დავრ-
დომილთ თავშესაფარად აქცევენ...

შჩუკას არ უყვარდა სხვისი ამბების მოსმენა, და რომ ენიშნებინა, აქ ვარო,
პაპიროსი ამოიღო და მოუკიდა.

კაცმა ზმას დაუწია.

— რა ვქნათ, ჩემო კარგო? ვიცი, უხერხულია, მაგრამ, აბა, შენ თვითონ
მითხარი...

— ირენას უნდა მოელაპარაკო.

— რა ვუთხრა?

— დაიყაბულო, საავადმყოფოში დაწვეს.

— ჰო, მაგრამ, ძვირფასო...

— მისთვისაც კარგი იქნება და ჩვენთვისაც.

— ჩვენთვის შეიძლება, მაგრამ მისთვის, რა მოგახსენო. კარგად დაფიქრ-
დი, ერთი კვირაა ბანაკიდან დაბრუნდა, ჩვენ მეტი არავინ ჰყავს... ხომ წარმო-
გიდგენია, რა ხდება ახლა საავადმყოფოებში?

შჩუკა გულდასმით უსმენდა.

— ჩვენთან რა? კარგი პირობებია?

— საავადმყოფოში რომაა, იმაზე უკეთესი კია.

კოკისპირულად წვიმდა, მაგრამ აღარ ჰქექდა და ქუხდა. იშვიათად თუ ჩა-
მოვარდებოდა მეხი. შჩუკა წამით შეყოყმანდა: იცოდა, რომ თუ იმ ამბავს ახ-
ლავე არ გამოიკვლევდა, მერე ინანებდა. მაშინვე ჭამოერკვა.

კართან მდგარ ცოლ-ქმართან მივიდა და ქუდი მოიხადა.

— მაპატიეთ, თქვენ, მგონი, იმაზე ლაპარაკობდით, ვილაც ბანაკიდან დაბ-
რუნდაო...

მოულოდნელობისაგან ცოლ-ქმარი შეცბა.

— ჰო, — უპასუხა დაბნეულმა კაცმა. — ჩემი და დაბრუნდა.

— რავენსბრიუკიდან ხომ არა?

— დიახ.

შჩუკა ცოტა ხანს დუმდა.

— ვილაც თავხედი არ გეგონოთ...

ეტყობოდა, მამაკაცი უკვე ნდობით განიმსკვალა.

— როგორ გეკადრებათ, — თავაზიანად უთხრა მან. — რითი დაგეზმართ?

— რავენსბრიუკში ჩემი ძალიან ახლობელი ადამიანი — ცოლი იჭდა. ვიცი, ცოცხალი აღარ არის. მაგრამ ამის მეტი ჩემთვის არაფერია ცნობილი. კაცმა თავი დაუქნია. გავიგეო.

— ყველგან ვკითხულობ ხოლმე, სადაც შესაძლებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, უშედეგოდ. თქვენი და ბოლომდე იჭდა რავენსბრიუკში.

— კი, ბოლომდე. თითქმის ოთხი წელი.

— დიდხანს მჯდარა.

— ორმოცდამეორე წლიდან, ახლა საცოდავი ავადმყოფობს, მიხვდებით, ალბათ, რა გადახდა თავს... რა თქმა უნდა. ყველაფერს გეტყვით, რაც მისთვის ცნობილია. შეიძლება შემთხვევით იცნობდა თქვენს მეუღლეს, ჩემი გვარი შრეტერია, მასწავლებელი ვარ.

შჩუკამ თავი წარუდგინა.

— ნებას თუ მომცემთ...

— გთხოვთ, — უპასუხა მასწავლებელმა. — ზელიონიზე ვცხოვრობთ, მე-შვიდე სახლში. გეცოდინებათ, სადაც არის, სტეფან ბატორის გიმნაზიასთან ახლოსაა.

შჩუკას გაახსენდა, რომ წასასვლელი იყო.

— სამწუხაროდ, ხვალ არ მცალია, არც ზეგ. სამშაბათს ნაშუადღევს?

— როცა გინდათ, მაშინ მობრძანდით. ჩემი და ყოველთვის შინაა. გითხარით, ავადაა-მეთქი. აი, სწორედ ეს გვიშლის ხელს. — ეტყობოდა, ყველანაირად ცდილობდა განექარვებინა შთაბეჭდილება, ცოლთან საუბარს რომ შეეძლო მოეხდინა შჩუკაზე. — პატარა ბინა გვაქვს, სულ ორი ოთახია, ჩვენს და მოწიფული ბიჭის გარდა ცოლის შორეული ვარშაველი ნათესავეები ცხოვრობენ, ახლა კიდევ ჩემი და მოგვემატა. რა გასაკვირია, ასეთ პირობებში...

— ჩემი ქმარი გიმნაზიაში ასწავლის, — საუბარში ჩაერია ქალი, — მეცნიერულ მუშაობასაც ეწევა, მას კი საკუთარი კუთხეც არა აქვს.

მასწავლებელმა ხელი ჩაიქნია, ძალიან დაღლილი გამოიყურებოდა.

— ეჰ, განა ჩემზეა ლაპარაკი...

— რაო? შენი სამუშაო?

ბერიკაცმა მოწყალებდ გაიღიმა.

— იცით რა, ოდესღაც ათასნაირი გატაცება მქონდა: სამეცნიერო სამუშაო, კათედრა, ერთი სიტყვით, უამრავი რამ... განათლებით ისტორიკოსი ვარ. არა, ბედს კი არ ვემდური, ღმერთმა დამიფაროს! საშუალო სკოლაში სწავლებაც დიდ კმაყოფილებას მანიჭებს.

— და ძალიან ცოტა ფულს, — თქვა მისმა ცოლმა.

— ყველაფერს ამ თვალთ ხომ არ უნდა ვუყუროთ, ძვირფასო. არ ღირს გაზვიადება, ცუდად არ ვცხოვრობთ.

— ცუდადო! თხუთმეტი წელიწადია არ დაგისვენია და მეეტლეზე ნაკლებს კი იღებ.

შჩუკა არ ერეოდა საუბარში, ხმაამოუღებლივ ეწეოდა თუთუნს.

— სავსებით შესაძლებელია, — ცოტა ხნის შემდეგ უთხრა მასწავლებელმა, — რაღაც გაიგოთ ჩემი დისაგან. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ექნება, ახლა ყველა თავისიანებს ეძებს, რას იზამ? ომმა დააშორა ადამიანები, აქეთ-იქით დაფანტა... ოჰ, რა პაერია! — თქვა მასწავლებელმა და ღრმად ჩაისუნთქა. — აი, რანაირია მაისის წვიმა. ცა ნელ-ნელა იწმინდება.

მართლაც ისე აღარ წვიმდა. შჩუკამ ნამწვი გადააგდო და პალტოს საყელო აიწია.

— მაშ, სამშაბათს?

— უკვე მიდიხართ? — გაიკვირვა შრეტერმა. — მაინც წვიმს.

— დაიცადეთ. — ურჩია შრეტერის ცოლმა. — ტანსაცმელს შენცოდეთ.

მაგრამ შჩუკა, ძალიან მეჩქარებო, შრეტერს გამოემშვიდობა და ქუჩაში გავიდა. ირგვლივ კაციშვილი არ ჰაჭანებდა. ქუჩა წვიმას გადაერეცხა, პაერი კამკამებდა. ღარებში აქაფებულნი წყალი მოედინებოდა. ერთფეროვნად გუგუნებდნენ წყალსადინარი მილები. მაგრად ასხამდა, მაგრამ წინანდელზე უფრო შენელებულიყო. ელავდა, და ჰეჰა-ჰუხილი უზარმაზარი ლოდებივით იძირებოდა ღამის წყვილიაღში, ამ ხმაურში. ელვასა და ჯანღში, ლუსკუმ ღამესა და ბნელეთში, გაზაფხულის ცაზე ნელ-ნელა ჩნდებოდნენ ვარსკვლავები და ყველაფერი იმას მოასწავებდა, რომ უმშვენიერესი დღე გათენდებოდა.

პოდგურსკიმ ჯიბი პარტიის კომიტეტთან დააყენა. მორიგე მილიციელისგან საწვიმარი ითხოვა, დატბორილი ბაზარი განვლო და „მონოპოლთან“ მივიდა. სასტუმროს წინ უკვე რამდენიმე მანქანა იდგა. იფიქრა, შჩუკა ჯერ კიდევ თავის ოთახში იქნებოდა, და მალლა ავიდა. ერთი-ორჯერ დააკაკუნა, მაგრამ ხმა არავინ გასცა. სახელური დასწია, კარი დაკეტილი იყო.

დამაგვიანდაო, შეწუხებული დაბლა დაეშვა. სწორედ ამ დროს შჩუკამ მსუქან პორტიეს თავისი ოთახის გასაღები გამოართვა, პოდგურსკიმ გაიხარა.

— რა კარგია, რომ გნახეთ! ეს-ესაა თქვენთან ვიყავი და ვიფიქრე, უკვე ბანკეტზეა-მეთქი.

— მოვასწრებთ. — ჩაიბურღლუნა შჩუკამ, — ამის შიში ნუ გექნებათ.

— ქარბუქმა დაგაბრკოლათ?

— პო.

შჩუკამ ერთი წუთით მალლა ასვლა დააპირა და ორივენი ერთად ავიდნენ. ოთახში ისეთი დახუთულობა იგრძნობოდა, თავი აბანოში გეგონებოდა. შჩუკამ მაშინვე გაალო ფანჯარა. ჩუმად შრიალებდნენ სიბნელეში წვიმის წვეთები. ცაზე აენთნენ ვარსკვლავები.

პოდგურსკიმ პალტო გაიხსნა და დივანზე ჩამოჯდა.

— კოსეცკისთან ვიყავი.

შჩუკამ სველი პალტო გაიძრო და შლაპა მოიხადა.

— პო?

— გადავეცი, თქვენი ნახვა უნდა-მეთქი.

— რა თქვა?

— მოვალა, დამპირდა. საქმე აქვს-მეთქი, ეუთხარი.

— რამე იკითხა?

— პო.

— რაო?

— ჩემი აზრით, ან გნახათ სადმე ანდა ვილაცამ უთხრა თქვენი ამბავი.

— შეიძლება. — წაიბურტბუტა შჩუკამ და პიჯაკი გაიხადა.

პერანგისამარა უფრო ზორბა, მხარბეჭიანი ჩანდა. სახელოები აიკაპიწა და ხელი დაიბანა. მერე გაიმშრალა და პოდგურსკის მიუბრუნდა.

— უნდა ვითხრათ, ძალიან საინტერესო რამაა ყოველივე ეს.

პოდგურსკი გაოგნებული მისჩერებოდა.

— ბანაკში რამდენჯერმე დავიფიცე, ომის შემდეგ როდისმე ამ სალახანას თუ

ვნახავ, ჩემებურად გავუსწორდები, ყველაფერს ვაზღვევინებ-მეთქი. პოდა, აბ-
ლა? ახლა ამას ჩემთვის მნიშვნელობა აღარა აქვს. იმისი ნახვაც კი აღარ მინდა.

პოდგურსკი არ განძრეულა, მხოლოდ ფერი წაუვიდა. შჩუკას თვალი არ
მოუცილებია, მერე ახლოს მივიდა და მხარზე დაადო სველი ხელი.

— მგონია, ხვდებით, ამხანაგო პოდგურსკი, ვისზეა ლაპარაკი? —
პოდგურსკიმ თავი გააქნია.

— არა...

— მართლა არა?

— შეუძლებელია. აბა, რას მეუბნებით, ამხანაგო შჩუკა? იგი ხომ წესიერი
კაცია.

— უსაზიზღრესი ვინმეა.

— კოსეცკი?

— ჩემთვის იგი დამწყები რიბიცკია. ისე, კაცმა რომ თქვას, სულ ერთი არ
არის: რიბიცკი, კოსეცკი... სამწუხაროდ, ალბათ, არ ვცდები, გროს-როზენში
მხოლოდ ერთი რიბიცკი იყო.

შჩუკამ პოდგურსკის მხარზე დაარტყა ხელი.

— თავი ასწიეთ, ამხანაგო პოდგურსკი! ცხოვრებაში რა არ ხდება.

შჩუკა ხელსაბანთან მივიდა, სახე სველი პირსახოცით გაიმშრალა, პერან-
გის სახელოები ჩამოუშვა და პიჯაკი ჩაიცვა. წელში მოხრილი პოდგურსკი გა-
უნძრევლად იჯდა.

— რას შვრებოდა? — ჩუმად იკითხა მან.

— რიბიცკი?

— პო.

— რა უნდა ექნა? ყველაფერს, რასაც უბრძანებდნენ, და კიდევ უფრო
მეტს.

— სცემდა ვინმეს?

— სცემდა და მეტი არა? ამის ოსტატი იყო.

პოდგურსკიმ შუბლზე ხელი მოისვა.

— კლავდა ხალხს?

შჩუკამ მხრები აიჩეჩა.

— თვითონ არა, ამის შემთხვევა არ ჰქონია. მაგრამ მისი ხელი ათას მკვლე-
ლობაში ერია.

— საშინელებაა!

— რას ლაპარაკობთ? იგი ამით თავს შველოდა.

— ამნაირად? არა, ვერაფრით გამიგია, ამნაირმა კაცმა...

— ასე კია და... გამაოცა: ყოველივე იმის მერე, რაც მოხდა, როგორ გაბე-
და დაბრუნება. კი, მოწმეებიდან ცოტაღა დარჩა ცოცხალი; ამას გარდა, გვარი
გამოიცვალა... ვინ იცის, შეიძლებოდა ესეც შერჩენოდა.

პოდგურსკი ფეხზე წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა.

— ახლა კი ვხვდები... მთელი ეს საუბარი... ყოველივე გასაგებია! მე კი
სულელს არაფერი მესმოდა! ამას ვერც კი ვიფიქრებდი.

იგი მკვეთრად შემობრუნდა შჩუკასკენ.

— რატომ მაშინვე არ მიტხარით ეს?

შჩუკა დაფიქრდა.

— აბა რა ვიცი, ასე გამოვიდა. პირველად, როცა მისი გვარი გავიგე, თავ-
ზარი დამეცა.

— ასე იქნებოდა.
 — მერე რა იყო? გამოგიტყდებით, მერე ამ საქმეზე ერთი წუთითაც არ მიფიქრია.



— პირადად რაიმე საქმე გქონდათ მასთან?
 — საკმაოდ, მთელი ნახევარი წელიწადი.
 შჩუკა მოიღუშა, მაგრამ მაშინვე მოგუწებდა.
 — აი, ხომ ხედავთ, ამხანაგო პოდგურსკი, რა შეიძლება კაცს შეგემთხვეს, პოდგურსკიმ ხელა, გაფანტულად მოისვა ხელი შუბლზე.
 — დაუჭერებელია, ასეთმა კაცმა... ოჰ, ღმერთო! რას აპირებთ? სამშაბათამდე მოიცდით?

— მოვიცდი, საჩქარო არაფერია.
 — ვთქვათ, გაიპარა? ხომ იცის, ამას რა სუნი ასდის.
 — ამისი შიში ნუ გექნებათ, ლაჩარია.
 — მით უმეტეს.
 — არა, ამ ჭურის კაცი ვერ გაიქცევა. პოდგურსკის მაინც არ სჯეროდა ეს.
 — გგონიათ, აქ მოვა?
 — რა თქმა უნდა.
 — ხომ არ აჯობებდა...
 — არა, ეს მე მომანდეთ. გარწმუნებთ, ამ ყაიდის კაცი შეიძლება დამნაშავე გახდეს, მაგრამ თავზე ხელაღებული — არასოდეს. მეტიმეტად უღირთ ცხოვრებისეული კეთილდღეობა. შეიძლება კაცმა დაიჯეროს, რომ ჩვენს ნაცნობს გარემოებისდა მიხედვით ადვილად დაევიწყებინა ჩადენილი დანაშაული, მაგრამ ახალ პირობებში, ახალ ადამიანთა წრეში ვერ იცხოვრებდა, არ არის ამ ჭურის კაცი.

პოდგურსკიმ ხელები მოიფშენიტა.

— რა საზიზღრობაა!
 შჩუკამ დამცინავად გადახედა.
 — ნუ აჭარბებთ, ამხანაგო პოდგურსკი, ეს, უბრალოდ, მდაბიოს გაკოტრებაა.

მოზრდილი სირჩებით სვამდნენ არაყს. პანა კრისიამ ათასნაირი საუბრე დააწყო სუფრაზე. რა გინდა აქ რომ არ იყო: ზეთში ჩაწყობილი ქაშაყი, ცივი ხორცი, მაიონეზიანი კვერცხები, რალაცნაირი საგაზაფხულო სალათა, ქორთა ბოლოკი, ხორცი და ორნაირი წვენი — თათრული და ჩემბერლენი.

— შესანიშნავია! — თქვა ხელმიცკიმ.

ორივენი მოშივებულები იყვნენ და საკმელს დაეხარბნენ. წინასწარ შეუკვეთეს: კოსეცკიმ — ფილეს ბიფშტექსი, ხელმიცკიმ — ვენური შნიცელი, მაგრამ მაშინვე შეაცვლევინა ინდაურის ანტრეკოტით.

— ღვინოც მოვატანინოთ, ანჯეი?

ანჯეისათვის ყველაფერი სულ ერთი იყო. მკერდის ნაჭერს მიირთმევდა და ხელა იკლავდა შიმშილს.

— როგორც გინდა.

ხელმიცკიმ ერთი ბოთლი ბორდო შეუკვეთა. კრისია ბუფეტისაკენ გაემართა და თვალი გააყოლა.

— დააკვირდი! — ხელი გაჰკრა ანჯეის, — რა ფეხები აქვს, დიდებულია! შეესვათ?

არაყი ცივი იყო, პირდაპირ საყინულედან მოეტანათ. დაორთქლები გრაფინი, რომლითაც კრისიამ არაყი მოიტანა, წვრილ-წვრილად შეეფუფუღა დაფარულიყო.

ბიზლნიყთუქა

ხელშიცკიმ დაუყოვნებლივ შეავსო სირჩები.

— ანჯეი!

ანჯეიმ აზრმოუკრებლად გადაჰკრა სასმელი, ჩუმად ჭამდა. მაცეკმა ქეშად გადახედა.

— გახსოვს, ლორის კატლეტზე რომ ვოცნებობდით?

ანჯეის გაელიძა.

— მახსოვს!

— ვილგასთან ბატს რომ მივამძებნით?

— ვილგასთან? როდის?

— ნუთუ აღარ განსენდება? ვარჯიშიდან რომ დავბრუნდით.

— ორმოცდაოთხი წლის გაზაფხულზე? მახსოვს. მაშინ საშინლად გამოთვერი.

— შენ? ყველანი ოთხზე დავდიოდით.

ანჯეი გამოცოცხლდა.

— მოიცა, იმ ღამეს ვილგადან რომ გამოვედით, ჰანას არ ვესტუმრეთ?

— რა კარგი იყო, არა? გახსოვს, თითქოს არაფერი მომხდარაო, უოლიბოვი გავიარეთ. ეს შენ აიჩემე.

— მე?

— აბა ვინ? შენ და ვილგამ. გზაში, ვილსონის მოედანზე მთელი ოპერა დადგით. სახედრებივით ყროყინებდით. იცი რა, მაშინ ძალიან გაგვაშარტლა, თორემ შეიძლებოდა, პატრულს დავეჭირეთ. ისიც ხომ გაგონდება, რა ამბავი დაგვაწია ჰანეჩკამ, როცა ბოლოს ძენიკარსკას ქუჩაზე გავედით?

ანჯეიმ მოიწყინა.

— საწყალი ჰანეჩკა.

— რა კარგი გოგო იყო.

— სად დაიღუბა, მოკოტოვზე, არა?

— არა, სადღაც ცენტრში, მგონია, კრუჩეიზე. ვილგაც აღარაა ჩვენ შორის. რამდენი ვიყავით მაშინ?

— რამდენი ამხანაგი ჰყავდა ვილგას? დაიცა, ჩვენ ორი, სტაშეკ კოსობუძე...

— ქშიშტოფი.

— სწორია, ხუთი კაცი.

— ორნილა დაერჩით.

— მართალია.

ანჯეიმ არაყი დაასხა.

— მიუხედავად ამისა ჩვენი სადღეგრძელო შეესვათ! იცი რა, ანჯეი?

— რა?

— მოდი, ისიც ვთქვათ, ესეც ვთქვათ, ათასი რამ გადაგვხდენია, მაგრამ რაც მართალია, მართალია, კარგი დრო იყო.

— ასე გგონია?

— აბა არა? რა ბედნიერად ეცხოვრობდით! არაფერი გვაკლდა, რანაირი ამ-

ხანაგები გვყავდა მითხარი, მას მერე გინახავს ასეთი ბიჭები და გოგონები? რა რწმენის ხალხი იყო!



ქართული
საქმიანობა

- მერე რა? თითქმის ყველანი დაიღუპნენ!
- ეს სხვა ამბავია, კარგი დრო იყო, დაელოთ?
- ანჯემ სირჩა გადადგა.
- დაიცა, უპირველეს ყოვლისა ჩვენ ვიყავით სხვანაირები.
- უმცროსები.
- ამას გარდა, ვიცოდით, რა გვინდოდა.
- ვთქვათ, ასეა.
- ისიც გაგვეგებოდა, რას ითხოვდნენ ჩვენგან.
- შენც ახალი რამ თქვი ცხადზე ცხადია, რა უნდოდათ: ჩვენი სიკვდილი.
- ახლაც ასე უნდათ, მორჩა და გათავდა, პირველად ხომ არ ხდება?
- ანჯემ შუბლი შეიკმუხნა.
- ნუ ფახიფუხობ.
- მე?
- რა თქმა უნდა, სიკვდილი იოლია.
- გააჩნია, რანაირად მოკვდები.
- სულ ერთია, მოვასწრებთ სიკვდილს.
- განა ეს პატარა ამბავია?
- უიმედოა.
- განასაკუთრებით მისთვის, ვინც კვდება. — იხუმრა მაცეკმა. — სიტყვა-მანვილი ყოფილხარ, ვერაფერს იტყვი კაცი, მოდი, ეს ბოთლი გამოვცალოთ.
- ბარში ხალხი შევიდა, ისინი იყვნენ, თხუთმეტი წუთის წინ რესტორნის კოლში რომ შეეფეთა დრევენოვსკის, სხვაგან აპირებდნენ წასვლას, მაგრამ კოკისპირულმა წვიმამ შეუშალათ ხელი და „მონობოლში“ დარჩნენ, ხუთი მა-მაკაცი და ორი ქალი იყვნენ, ერთმა მათგანმა ახალგაზრდა, ქერა ქალმა, ამერიკელი კინომსახიობივით წარბებამოქნილმა და წამწამებაპრეხილმა, მოშიშვლებულ მუხლებზე ციყვის ქურჭი რომ მოესბა, ტაში დაუკრა.
- აი, ხომ გეუბნებოდით? არაფერს ჩანს, დარბაზი ცარიელია, სასიამოვნოა აქ ყოფნა, წავიდეთ! საუცხოო დროს გავატარებთ ბატონო ვეჭილო.
- მომსვლელები მებუფეტეს შემოერთყვნენ და ტაბურეტებზე მოიკალათეს, ადვოკატი კრავესკი ქერა ქალს გვერდით დაუჭდა, აჭარხლებული, სქელი კისე-რი მოჩარა და რაღაცას ყურში უჩურჩულებდა, ქალი გაფანტულად უსმენდა და თვალს არ აშორებდა შეგვერემან ყმაწვილ კაცს, პირდაპირ რომ იდგა.
- აგერ დაბრძანდით, ბატონო ექიმო!
- ხელმიცკი დაიმანქა და ამით გამოხატა უკმაყოფილება, არაფერი მორეოდა, სასმელით აგზნებულს, ქალიშვილისწამწამებიანი თვალები მოეჭურტა და ძალუ-მად უბრწყინავდა.
- აქ რამ მოათრია ეს ნაძირალები!
- ისინი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და ისე გართულები იყვნენ, რომ არაფე-რი ესმოდათ.
- ხელმიცკი თვალით ეძებდა კრისიას, იგი კონიაკით ავსებდა სირჩებს, რო-ცა მისი მზერა იგრძნო და მაცეკს გახედა, მან თავი დაუქნია და ანიშნა, ჩვენ-თან მოდიო, ქალს გაეღიმა და დასხმა განაგრძო, მსუქანი ვეჭილი რაღაცას ეუბ-ნებოდა.
- მაცეკი სირჩას მისწვდა.

— ანჯეი!

იგი აღარ ჰამდა, თავი ხელებზე ჩამოეყრდნო, ღია ფერის თმა შუბლზე ჩამოშლოდა.

— დავლიოთ?

ჩუმად შესვეს, მაღ. ზა ისევ გაიხედა ბუფეტისაკენ, ფართო მხარბეჭიანი ვეჭილი ეფარებოდა. ქერათმიანი ქალიშვილი, ლამაზ მეზობლისკენ თავი მარჯვნივ რომ გადაეხარა, ხმამაღლა იცინოდა. ცალი მხრიდან ქურჭი ჩამოუცურდა და ლამაზად მოყვანილი მხარი მოუშიშვლდა, ორი მამაკაცი მეორე ქალს ეარშიყებოდა. სამთავეს სიმთვრალე ეტყობოდა. ხელმიცკი კრისტინას მისჩერებოდა, მაგრამ ქალის ყურადღება ახალ სტუმრებს დაეპყრო. ბოლოს მაცეკს მოთმინება დაეკარგა.

— არ იცი, ანჯეი, ვინ არიან?

— ვინ?

— აი, ის ვიგინდარები, ბართან რომ დგანან.

ანჯეის არც კი გაუხედავს მათკენ.

— მეტი საქმე არა გაქვს?

— იცნობ მათ? აქაურებს არ ჰგვანან.

ანჯეიმ ჩამოშლილი თმა აიწია და თავი აიღერა.

— რას იტყვი?

— არა, აი, მხოლოდ ის, კისერლაცლაცა მეცნობა.

— საზიზღარი ვილაცაა. სიამოვნებით ჩავაფარებდი სიფათში, ვინ არის?

— ერთი აქაური ვეჭილია.

— ლორს არა ჰგავს?

— ძალიან.

— ყურები ხომ არ ავასრისო?

— როგორც ვინდა.

ხელმიცკი ზეზე წამოხტა, ანჯეიმ ხელი სტაცა.

— ჰკუაზე შეიშალე?

— მომეშვი! თვითონ არ მითხარი, მოარტყიო?

— დაჯექი!

— ვერ ვიტან ხარისკისრიან ტიპებს...

— დაჯექი-მეთქი, გეუბნები!

მაცეკი ხელა დაჭდა.

— მომისმინე, მაცეკ... — დაიწყო ანჯეიმ, — სერიოზულად უნდა მოგელაპარაკო, ერთი საათის წინ ფლორიანი ვნახე და დიდხანს ველაპარაკე.

მაცეკი მაშინვე მისკენ მიბრუნდა, გონზე მოვიდა, დაძაბული სახე ჰქონდა.

— გამოგათხა?

— არა.

— შეუძლებელია! არ გამოუთათხავართ? მე კი შენზე ვიფიქრე, კარგა ლამაზად შეამკო და იმიტომაცა ასე მუავე გუნებაზე-მეთქი, მაშ ასე, არა?

— ყველაფერი რიგზეა.

— დაგეთანხმა?

— ჰო.

— ჩემზე არაფერი უთქვამს?

— არა.

— დიდებულია! — გაუხარდა მაცეკს. — ცოტათი მეშინოდა, ვაითუ არ

დათანხმდეს-მეთქი. ყოველ შემთხვევაში ნიადაგი მოვამზადე, აბა, გამოიცანი, სად ვიცხოვრებ?

— სად?

— აქ.

— კბოგცეს ბინა?

— აბა, არ მომცემდნენ?! ერთი განახა, რანაირია! წარმოგიდგენია, მეზობლები ვართ.

— მისი მეზობლები?

— ჰო! როგორც იქნა, გავიცანი. გვერდით მედგა, აი, როგორც შენ ხარ ახლა. კარგი ვილაცაა. სიგარეტი მომაწვევინა. ამერიკული სიგარეტი, წარმოგიდგენია?

ანჯეიმ შეხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მაცეკი წელში გაიმართა.

— ჩინებულია! ყველაფერი რიგზეა. ნუ გეშინია, ამ საქმეს მე მოვეუვლი, გამოვასწორებ დღევანდელ ამბავს.

— ნუ ყვირი, — წაიბურტყუნა ანჯეიმ.

მაცეკმა მხრები აიჩეჩა.

— არ გინდა, აბა, აქ ვინ მოგვისმენს? — მაგრამ ხმას მაინც დაუწია.

— ნახე, რა ამბავი დავათენო. სწრაფად, მოხერხებულად, ლამაზად. მერე გავქრებით! ეს გადაწყვეტილია?

— ტყეში შესვლა? ჰო, სამშაბათს.

— შარის რაზმში?

— არა, შარი ჩავარდა.

— ოჰ, დალახვროს ეშმაკმა! სად?

— არ ვიცი, დაწვრილებით ფლორიანს არაფერი უთქვამს. ყოველ შემთხვევაში, დროა ჯვარი დავუსვათ.

— ცოდვას ბიჭი. — ეწყინა მაცეკს. — დასწყევლოს ღმერთმა, ალბათ შეცდა. მის ადგილზე ვინმე დანიშნეს?

ანჯეი შეყოყმანდა.

— ჰო.

— ვინ?

— მე.

ხელმიცკი სახტად დარჩა.

— რას მეუბნები, ანჯეი, ეს დიდებული რამაა! მომისმინე, მეგობარო, ეს უნდა აღინიშნოს! ერთი გრაფინი კიდევ მოვატანილო!

ანჯეიმ თავი გააქნია.

— არ გინდა? თითო სირჩა.

— ერთი წვეთიც არა.

— რა მოგივიდა?

— არაფერი. არ მსიამოვნებს არაყი.

— ავად ხომ არა ხარ?

— დამეხსენი, ხომ გითხარი, არ მინდა-მეთქი.

მაცეკმა უნდობლად გადახედა.

— შენი ნებაა, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— არა, არაფერი.

გრაფინში ცოტა არაყი კიდევ ესხა. მაცეკმა დაისხა და მაშინვე დალია. ცუდ გუნებაზე დადგა.

— ცხოველები, რა ხმაური ასტეხეს! — ჩაიბურღლუნა მან.

ახლახან მოსულთაგან დახლთან სულ რამდენიმე კაცი დარჩა. ქერათმიანი ქალი ლამაზ ეჭიმთან ცეკვავდა. მარტო დარჩენილმა ვეჭილმა ერთ-ერთს ამხანაგს ადგილი გაუცვალა და ახლა სხვა ქალს ეარშიყებოდა. ამ მაღალ, შავგვრემან ქალს ჩიტის პროფილი და დიდი, ძალიან წითელი ტუჩები ჰქონდა. კრისტიანამ წამით დრო იშოვა და ბუფეტთან ანგარიშებს წერდა.

ხელმიცკიმ პაპიროსს მოუკიდა და წამოდგა.

— საით? — აწრიალდა ანჯეი.

— ნუ გეშინია, ახლავე დაებრუნდები.

მონიკელებული დახლიდან მხოლოდ ერთი გასასვლელი იყო — ყავის ავტომატს გვერდს აუვლიდი და ისე გახვიდოდი. ხელმიცკი იქითკენ გაემართა და ჯიბეში ხელებჩაწყობილი გასასვლელში გაჩერდა.

კრისტიანამ მერე დაინახა იგი, წამოწითლდა და ანგარიშების ბლოკნოტი გვერდზე გადადო. წამით ჩაფიქრდა, მაგრამ მაინც მასთან მივიდა. თხელი, გაკრიალებულ ქსოვილის კაბაში ტანადი, მოხდენილი ჩანდა. შეკრთომა აღარ ეტყობოდა. ილიმებოდა კიდევაც და გაბრწყინებულ, განზე გაჭრილ თვალებს წკურავდა.

— გნებავთ რამე?

— სულ დაგვივიწყეთ.

კაცი ტუჩებში მისჩერებოდა და კრისტიანამ შეამჩნია ეს, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერაფერს ხედავსო.

— გთხოვთ, მაპატიოთ, გამოვასწორებ ამ დანაშაულს.

— მართლა?

— რა მოგართვათ? იქნებ არაყი გნებავთ?

— ჯერჯერობით არა.

— არა? მე კი მეგონა, ვისაც მაღალყელიანი წაღები აცვია, ბევრს სვამს-მეთქი.

მაცეკმა თვალი მოჭუტა.

— გამოცდილება გალაპარაკებთ?

— შეიძლება, ჰო, — ძალდაუტანებლად უპასუხა მან, — თუმცა შეიძლება მწარე გამოცდილება მაღალპარაკებდეს.

ხელმიცკიმ მხოლოდ ახლა გამოიღო პირიდან პაპიროსი.

— როდის მოვა თქვენი შემცვლელი? ათზე?

— დიახ.

— მაშასადამე, ნახევარ საათში?

— მერე რა?

ხელმიცკიმ მასთან ახლოს მიიწია.

— თერთმეტ საათზე ვერ გაითავისუფლებთ თავს?

კრისტიანას არაფერი უთქვამს, ახლა ისინი ისე ახლოს იდგნენ ერმანეთთან, რომ კრისტიანა სახეზე ვაჟის მხურვალე სუნთქვას გრძნობდა.

— განა ძნელია? ადექით და თქვით, ცუდად ვარ, თავი ამტკივდა, შინ უნდა წავიდეთ, თუ რაღაც ამის მსგავსი...

ქერათმიანი ქალი, ალბათ, თავის ადგილზე დაბრუნდა — ბარს იქიდან მისი ხმამაღალი სიცილი გაისმა. კრისტიანამ იქით გაიხედა.

— ნუ იჩქარებთ, — წაიბუტბუტა ხელმიცკიმ, — მოიცდიან, აბა, რას მეტყვიო?



ინსტიტუტი
იმე

- რა გითხრათ?
- ნა, გაითავისუფლებთ თავს?
- ვთქვათ, გაითავისუფლდი, მერე?
- ვერ ხედებით?
- ვერა, ძალზე მიუხვედრელ ვარ.
- ნუთუ? აქ ვცხოვრობ, „მონოპოლში“.

კრისტინამ თავი უკან გადახარა და მომცინარი თვალებით შეხედა.

— მართლა? ძალიან კარგია, რომ მითხარით.

— მადლობელი ვარ, მეთვრამეტე ოთახია მეორე სართულზე.

— ნამდვილად იცით?

— ამის შემოწმება იოლია, მაშ თერთმეტ საათზე?

— ძალიან ვწუხვარ...

— უკვე უარს მეუბნებით?

— მხოლოდ ანგარიშის შემოწმებას ვარ ჩვეული.

— მართო ანგარიშის?

ხელმიცკიმ ნამწვი იატაკზე დააგდო, ფეხით გასრისა და ხელები კვლავ ჯიბეში ჩაიწყო.

— მართო ანგარიშებს ამოწმებთ?

— ესაა ჩემი ხელობა, სხვა რა ვქნა?

— ამოწმეთ, ასე თუა, შეცდომა ალბათ არ მოგივათ.

— ასე ვიზამ.

— პანი კრისია! — მოისმა ბუფეტისკენ ვეჭილ კრავესკის ხმა.

კრისტინა შემოტრიალდა, მაგრამ ხელმიცკიმ გზა გადაუღობდა.

— მაშ, შევთანხმდით, ხომ?

— რაზე შევთანხმდით?

— მეთვრამეტე ოთახი, თერთმეტ საათზე.

— ეს კი დავიხსომე, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— აბა, თვითონ თქვით, განა ღირს ასეთი წვრილმანი რამის შემოწმება?

მჯერა თქვენი.

სვენცკიმ დაბნეულად მიმოიხედა ირგვლივ, სუფრასთან როცა სხდებოდნენ, ერთი პირობა აირ-დაირივნენ: დრევნოვსკიმ რაღაც მიზეზით ვერ მოასწრო სუფრაზე წინასწარ მომზადებული ბარათების დაწყობა, რომელზეც მოწვეულთა გვარები ეწერა. სვენცკი იღიმებოდა, თავისი ზრდილობით ხიბლავდა ხალხს, თან მაგრამ გულზე სკდებოდა, თავის მდივანს უყურებდა, მანეკენივით რომ უვლიდა ირგვლივ მაგიდას, და გაშმაგებული მუშტავდა ხელებს, „ვუჩვენებ ამ მასხარას სეირს!“ — გაიფიქრა მან, პენიონეეკისკენ არ იხედებოდა, მხოლოდ ხანდახან თუ ჩაესმოდა ყურში მისი ბუტბუტი.

პენიონეეკი ყველა სტუმარს იცნობდა და საუცხოოდ გრძნობდა თავს. სვენცკი ახალ სტუმრებს შეეგება, დრევნოვსკიც სადღაც გაუჩინარდა, და პენიონეეკმა, მართო არ დაერჩეო, სახელმწიფო უშიშროების ადგილობრივ უფროსს, მაიორ ვრონას მიაშურა, იგი მთლად ახალგაზრდა, ოციოდე წლის ყმაწვილი იყო; დაბალსა და კაფანდარას, მოლუშულ ბიჭურ სახეზე ღრმა ნაკდევნი

აჩნდა. ახლანდელ მდგომარეობას ვრონა თავის გმირულ პარტიზანულ წარსულს უმადლოდა. დროსტარებისა და სმის ტრფიალს, პენიონეეკი კიდევაც ესიმპათიურებოდა.

— უკვე გადაკრულში ხართ? — მხარზე ხელი დაჰკრა მან პენიონეეკს.
მან ჩაიჭირჭილა.

— გადავკარი. აბა, რას ვიზამდი. შენც მოგიხდება.

— ოპ? — დაიჭყანა ვრონა. — ვერ ვიტან ამდენ ცერემონიას, მხოლოდ დამპალ ბურჟუებს უყვართ...

პენიონეეკმა ხელები მოიფშენიდა.

— აიტან... აი, ნახავ, თუ არ აიტან...

ენად გაკრეფა ველარ მოასწრო. სვენცკის გამოგზავნილმა „ოსტროვეცის ხმის“ მთავარმა რედაქტორმა პავლიცკიმ განზე გაიყვანა. ამ უჩვეულო მაღალ, მხარბეჭიან კაცს სქელი კისერი და ტაპირივით დიდი თავი ჰქონდა. შეუხედავო პენიონეეკი მხრებამდე ძლივს სწვდებოდა. პავლიცკიმ ზემოდან გადმოხედა.

— ახლავე მოცოცხე აქედან!

— მე? — დაასლოკინა პენიონეეკს. — კიდევ რა გინდა, შენ თვითონ მოუსვი აქედან!

— არ წახვალ?

— არც მიფიქრია! დემოკრატია დამყარდა, თუ არა?

— არ წახვალ?

იღგა თავაწეული პენიონეეკი და თავხედურად იღიმებოდა.

— ძალიან მომწონს აქ ყოფ-ნა.

— ოპ, რას ვიზამ...

— მე-მუქ-რები?

— ნახავ ახლა.

— მე მე-მუქ-რები? ვინ აღიდებდა სანაციას?!

პავლიცკი გაწითლდა:

— ხმა ჩაიკმინდე. შე ცხოველო!

— რაო, არ აღიდებდი?

შეშფოთებულმა პავლიცკიმ მაიორს გახედა, იქვე გვერდით რომ იღგა და ვეინტერს ელაპარაკებოდა. შჩუკა და პოდგურსკი მივიდნენ. სვენცკი, ქალაქის კომენდანტს, პოლკოვნიკ ბაგინსკის რომ ესაუბრებოდა, ახლოს მისვლას არ აპირებდა. შორიდან უთვალთვალეზდა პავლიცკის.

— ენა ჩაიგდე! — დაუყვირა რედაქტორმა.

პენიონეეკმა ჩაიჭირჭილა:

— არ აქებდი?

— გაჩუმდი!

— არ აქებდი-მეთქი, გეკითხები?

პავლიცკის მოთმინება დაეკარგა.

— შენ?

— მე? — გაიბერა თვითკმაყოფილი პენიონეეკი. — ვაქებდი, აბა არა?

— მაშინ ენა ჩაიკვნიტე!

1 ბურჟუაზიულ პოლონეთში პილსუცკის მომხრეთა ბანაკი.

— ენის ჩასაკვნეტი არაფერი მჭირს, ნეტავი რა უნდა მიქნა? ყოველთვის ქება-დიდებას ვასხამდი მთავრობის ხალხს. შენც აქებდი.

პავლიცკი სიბრაზისაგან გალურჯდა. ერონა ცნობისმოყვარეობით ატყე-
ბული იყურებოდა მათკენ.



ერონას
გინება

— შენც აქებდი! — დაიწროპინა პენიონყეკმა.

პავლიცკიმ მუშტი მოულერა, გეგონებოდა, აგერ-აგერ მივარდება და თავისი უზარმაზარი სხეულით გაქყლევტავსო, მაგრამ თავი შეიკავა.

— დაიცა, ხვალ მოგელოპარაკები.

ეს უთხრა და ზურგი შეაქცია.

— კი, აქებდი, კი! — ვასძახა გამარჯვებულმა პენიონყეკმა.

სვენცკიმ შეამჩნია, რომ პავლიცკი პენიონყეკს მოშორდა, რაღაც მოიმიზეზა და პოლკოვნიკი მარტო დატოვა.

— რა ხდება? — მკლავზე ხელი წაავლო და უჩურჩულა. — ყველაფერი რიგზეა, ბატონო რედაქტორო?

პავლიცკიმ ხელი ჩაიქნია.

— არ შეიძლება მასთან ლაპარაკი, გალეშილია.

— ძალღიშვილი!

— ჩემი აზრით, ნურაფერს ვეტყვით, მაინც არაფერი გამოვა.

— აქ დავეტოვოთ? შეუძლებელია.

— ყვირილი რომ დაიწყოს?

— როგორმე მოვეუვლით. — წაიბუტბუტა სვენცკიმ. — მაგრამ იქნებ მართლაც არ ღირდეს...

— რა თქმა უნდა, რა საჭირო იყო ამნაირი ვინმეს მოპატიუება?

— მე ხომ არ მომიწვევია, ჩემო კარგო?

— მაშინ აქ საიდან გაჩნდა?

ახლა სვენცკიმ ჩაიქნია ხელი.

— ყველაფერი სულ ერთია.

ირგვლივ მიიხედ-მოიხედა:

— მე მგონია, ყველანი მოვიდნენ, დავსხდეთ.

ცოტა ხნის შემდეგ ყველანი სუფრას მიუსხდნენ: სვენცკი ერთ წუთს ყოყმანობდა: ჭიჭა ხომ არ ავწიო და შჩუკას სადღეგრძელო შევსვაო, მაგრამ მაშინვე დარწმუნდა, ამის დრო არ არისო. ყველანი მალიმალ იღებდნენ საჭმელს და თეფშებზე იწყობდნენ. საუზმიანი თეფში ხელიდან ხელში გადადიოდა. საშინლად მოშივებულმა სვენცკიმ არ იცოდა, სიტყვა რითი დაეწყო, პირველი სიტყვა — ამის გაფიქრებაზე ოდნავ მოლბა — როგორც მთავრობის წევრს, მიუხედავად ამისა ჭიჭა ასწია, მაგიდაზე გადაიხარა და შჩუკას შინაურულად უთხრა:

— თქვენი სადღეგრძელო იყოს, ამხანაგო შჩუკა!

კარგი არაყი არ აწყენს კაცს. — გულთბილად დაუმატა პოლკოვნიკმა ბაგინსკიმ.

სვენცკი ორი სამხედროს: ერონასა და ბაგინსკის შუაში იჯდა, პირდაპირ შჩუკა მოთავსებულიყო, მის მარჯვნივ — ვეიხერტი, მარცხნივ — საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე კალიცკი.

დრევენოვსკი მანეკენივით ნელა და ფრთხილად დადიოდა, თითქოს ამით უშველიდა თავის ტკივილს, იგი მაგიდის ბოლოს დაჯდა, ყელში ლუკმა არ გადასდიოდა, მაინც გადაიღო რამდენიმე ნაჭერი ხორცი, ერთი ლუკმა ძლივს გა-

დაეცა და შეეცადა პროფკავშირის მოღვაწეთა საუბარში ჩარეულიყო. თითო-ორი სიტყვა თუ ესმოდა, თითქოს ყურები ბამბით აქვს დაკეცილი. უახლოესი მეზობლების სახეებს ჩახჩახა შუქზე რაღაც უცნაური. შეცვლილი მოხაზულობა ჰქონდა. დრევნოვსკის გვერდით პენიონეტი იჯდა. ხმას არ იღებდა, ფიქრს მისცემოდა. ამღვრეული თვალებით იყურებოდა. ნელ-ნელა ღრიალი დაიწყო. თეთრად დაიწითლა. სასოწარკვეთილებას შეეპყრო დრევნოვსკი. ყველაფერი სამუდამოდ დაკარგული ეჩვენებოდა! ყველა გეგმა და ოცნება. მომავალი. ოკ. რა საშინელი ბედი არგუნა ღმერთმა.

უცებ მეზობლის წერილი ხმა მოესმა:

— სავსე სირჩა რად გიჭირავთ? არ დაგიღვევიათ?

გაოცებულმა იგრძნო, რომ წამში გამოაფხიზლა ამ უცხო ხმამ. გაქრა დაძაბულობა. ყურებიდან თითქოს საცობები გამოუღესო, თავი აღარ უშუოდა თავისუფლად გაიციხა და ჩვეულებრივად თქვა:

— არა, მართალი გითხრათ, დღეს უკვე დავლიე.

— არ გაწყენთ.

დრევნოვსკიმ ერთი მოთქმით დასცალა სირჩა და სვენცკის გადახედა. იგი მოღუშულ ვრონას ელაპარაკებოდა. სუფრა თანდათან გამოცოცხლდა. მომტანები უჩუმრად დადიოდნენ, თითქოს პაეროვანი არსებები არიანო. და თვალყურს ადევნებდნენ. სირჩები მაშინვე შეეცსოთ. სუფრის ბოლოს მსხდარი სტუმრები თვითონ ისხამდნენ არაყს.

შჩუკას გაუხარდა, რომ მისი მეზობელი კალიცკი აღმოჩნდა. ძველი მეგობრები იყვნენ. დიდი ხანია, ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომამდე იცნობდნენ ერთმანეთს; ომმა ენევაში მიუღწერო მათ. შჩუკას მაშინ ოცი წელი არ შესრულებოდა, სტუდენტურად, ღარიბულად ცხოვრობდა და ჭიმიას სწავლობდა. თრიოდე წლით მასზე უფროს კალიცკის იმეამად მეტი პოლიტიკური გამოცდილება და ცოდნა ჰქონდა. შჩუკასაგან განსხვავებით, რომლის მამა თერძად მუშაობდა ერთ პატარა ქალაქში, კალიცკი მდიდარი კიეველი მემამულის ოჯახიდან იყო. ჯერ კიდევ ადრე, გიმნაზიაში როცა სწავლობდა, ვარშავაში დაუახლოვდა სოციალისტურად განწყობილ ახალგაზრდობას. საექვო ამბებში გაეხვიდა და სკოლიდან ეგრეთ წოდებული მგლის ბილეთით გამორიცხეს. რაკი შეძლებული ოჯახიდან იყო, სულ არ გასჭირვებია მეფის ვარშავა ჰაბსბურგების ლიბერალურ კრაკოვზე გაეცვალა. მაგრამ მგზნებარე შლახტიჩმა სოციალიზმი მაინც ვერ ამოიგდო თავიდან, და მისი გულისათვის გასწირა შეურაცხყოფილი. სულით ხორცამდე შეძრული ოჯახი, ყოველივე იმ სიკეთეზეც უარი თქვა, უკრაინის შავი მიწიდან რომ მოდიოდა. ყველაფერს ზურგი შეაქცია. დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო და თავისუფლად დააბიჯებდა კრაკოვის ქუჩებში; როგორც მისი ახალი ნაცნობების უმეტესობას, მასაც გაცვეთილი ფეხსაცმელი ეცვა. სიმწიფის ატესტატი რომ აიღო, კოტა ხანს ინგლისს გაემგზავრა. მერე ბელგიაში ცხოვრობდა, ბოლოს შვეიცარიაში დასახლდა და სამუდამოდ შეურიგდა გამუდმებულ გაჭირვებას. კომპერაციამ ისე გაიტაცა, რომ გადაწყვიტა, მთელი სიცოცხლე მიეძღვნა. ომის წლებში ერთხანს ის და შჩუკა ერთ ოთახში ცხოვრობდნენ. იმეამად კალიცკის დიდი გავლენა ჰქონდა შჩუკაზე. მოგვიანებით, როცა სამშობლოში დაბრუნდნენ და თავ-თავის საქმეს მიხედეს, ნელ-ნელა დაშორდნენ ერთმანეთს. შჩუკას არ აკმაყოფილებდა სოციალისტების პროგრამა, უფრო შორს წავიდა და კომუნისტურ პარტიაში შევიდა. ადრე დაქორწინდა და თავისი მეუღლის მარიას სახით მხოლოდ ცოლი კი არა, ერთ-

გული, ახლო ამხანაგი შეიძინა. სამწუხაროდ, სამსახურში ყოველთვის გადაულა-
ხავ წინააღმდეგობებს აწყდებოდა. თავისი საქმის დიდი მცოდნე, თავისი პო-
ლიტიკური შეხედულებების გამო, რასაც არ მაღაფდა, უფროსებს ვერ ჩვეობო-
და, და იძულებული იყო სამუშაო დაეტოვებინა. მერე, ოცდაათიან წლებში,
პოლიციასთან მრავალგზის შეჯახებამ ჯვარი დაუსვა მის კარიერას, დიდწინააღმდეგო-
ბოვანი ინჟინრისათვის ყველა გზა გადაკეტილი აღმოჩნდა, თვითონ ცხოვრე-
ბამ გარიყა და ნელ-ნელა ააღებინა ხელი ჩვეულებრივ ადამიანურ ცხოვრებაზე.
ბოლოს და ბოლოს იგი დააპატიმრეს, და განმაურებული პროცესის შემდეგ
ციხე მიუსაჯეს. სამი წლის მერე, საპატიმროდან რომ გამოვიდა, ახალი ომი
დაიწყო. კალიცკი თავისი ახალგაზრდული იდეების ერთგული დარჩა და მთე-
ლი ის წლები მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოციალისტურ პარტიასთან,
თვალსაჩინო როლს ასრულებდა და პოლონეთში კოზპერაციული მოძრაობის
დად მოღვაწედ ითვლებოდა; ბევრს წერდა, ლექციებს კითხულობდა, სემინის
დეპუტატი იყო.

ერთმანეთს მიესალმნენ, რამდენიმე უმნიშვნელო სიტყვა უთხრეს ერთი-
მეორეს, მაგრამ შჩუკას აქამდე არ ჰქონია იმის საშუალება, კალიცკისთან გუ-
ლითადად ელაპარაკა. როგორც იქნა, ვეიხერტმა შეწყვიტა საუბარი ევ-
როპაში თანამედროვე მდგომარეობაზე და თეფშიდან თევზი გადაიღო; შჩუკამ
დრო იხელთა და კალიცკის მიუბრუნდა.

იგი ჩუმად იჯდა, რაღაცაზე ჩაფიქრებული ცოტას ჰამდა, სასმელს საერ-
თოდ არ ეკარებოდა. უკანასკნელად იგი შჩუკამ ომის დაწყებამდე ნახა. როცა
ციხიდან გამოუშვეს, კალიცკი მისი ერთ-ერთი არაკომუნისტი მეგობარი იყო,
რომლებმაც მაშინ ნახეს. მას შემდეგ იგი ძალიან მოტყდა, გაჭალარავდა, განდა
და წელში მოიხარა, გიკვირდა, როცა ამ ხმაურიან სუფრაზე ხედავდი ჯანლო-
ნიან, სიცოცხლით სავსე ადამიანებს შორის მჯდარ ამ ლამაზთავიან, ასექტურსა-
ხიან კაცს, რომელსაც გრძელი, ძველმოდური უღვაში თანამედროვე შესახედა-
ობას ანიჭებდა.

შჩუკამ ხელი ვიწრო, გამხდარ ხელისგულზე დაადო:

— მიხარია შენი ნახვა, ჩემო ძველო მეგობარო, — უჩვეულოდ თბილად
უთხრა მან.

კალიცკიმ თავი ასწია და შჩუკას დაბურჩხული წარბებით დაფარული შა-
ვი, ღრმად ჩამჯდარი თვალებით შეხედა. უწინდებურად აღარ უბრწყინავდნენ,
ცეცხლი ჩამქრალიყო და ძალიან დაღლილები ჩანდნენ.

- მეც, — უჩუმრად უთხრა მან.
- აუცილებლად უნდა ვნახოთ ერთმანეთი.
- როდის მიემგზავრები?
- ოთხშაბათ დილით.

კალიცკის ჩაეღიმა.

- დამთავრდა ომი.
- იმედი მაქვს, — წაიბურტყუნა შჩუკამ. — მაგრამ ცოტათი უცნაურად
უღერს, ასე არ არის? ომი დამთავრდაო... მაშასადამე, სამშაბათ საღამოს. აქ
ოჯახით ხარ?

- კალიცკიმ თავი გააქნია.
- მარტო.
- შენი ცოლი?
- მარინკა? აქანყების დროს დაიღუპა.

— ჰო, მაგრამ, რევოლუციის დროსაზე თქვენ სიამოვნებით წააწერდით: „გვიყვარდეს ერთმანეთი, ძმებო პოლონელებო!“

— ქვეყანა განადგურებულია, ხალხი გაიტანა, ფხიზლად უნდა ვიზრუნო-ნოთ.

— ამ ფხიზელი აზროვნების სახელით გინდათ ხალხი დაითვისოთ? — მაგიდას მუშტი დაარტყა ვრონამ. — ასე დიდხანს არ გაგრძელდება, ბოლ-შევიკები ასე არ იქცევიან. მართალია, ქვეყანა განადგურდა და ხალხი გაიტან-ჯა, მაგრამ, მგონია, ამხანაგო სვენცკო, თქვენ წარმოდგენა არა გაქვთ, რა დიდი ძალაა ამ გატანჯულ ხალხში; აი, სწორედ ეს ძალები, ჩვენი კომუნისტური ძა-ლები იმრავლებს და სხვასაც გაიტაცებს... ეჰ! — ბიჭურად ჩაუწყდა ხმა ვრო-ნას. — გული მიკვდება, რომ ბევრი ჩვენი ამხანაგი ამას ვერ ნახავს...

სვენცკიმ დაუყონებლივ ისარგებლა შემთხვევით და ეს საჩოთირო საუბა-რი სხვა თემაზე გადაიტანა.

— იძიებენ ორი მოკლულის საქმეს? — ჰკითხა მან.

ვრონამ თვალი გაუსწორა.

— ნუ გეშინიათ, — წაიბურტყუნა მან, — ყველაფერს მოეველება. ბანდი-ტებს თუ ვერ დავიჭერთ, ადრე თუ გვიან ისინი ჩავგვივარდებიან ხელში, რომ-ლებიც ამ და სხვა დანაშაულებების უკან დგანან.

სვენცკი დაფიქრდა.

— ამხანაგო ვრონა, იქნებ ეს რომელიმე თავზე ხელაღებული ფანატიკო-სის გამობდობაა?

ვრონა წამით დუმდა.

— ესეც ხომ შესაძლებელია, — განაგრძო სვენცკიმ.

ვრონამ თითები აათამაშა მაგიდაზე.

— შეიძლება, ერთი რამ გკითხოთ?

— მკითხეთ, — სწრაფად უთხრა სვენცკიმ. — გისმენთ.

— სასწაულის გჯერათ?

მინისტრის მოადგილე შეცბა.

— მე?

— ჰო, თქვენ.

— ვერ გავიგე, რატომ უნდა მჯეროდეს სასწაულის?

ვრონამ მხრები აიჩეჩა.

— ეს მე კი არა, თქვენ უნდა იცოდეთ. უბრალოდ, კითხვაზე კითხვით გი-პასუხეთ.

შჩუკა კვლავ კალიცკის მიუბრუნდა.

— ოსტროვეცში დარჩენას აპირებ?

— არ ვიცი ჯერ, — მიუგო კალიცკიმ. — ვარშავაში უნდათ ჩემი გადა-ყვანა.

— კარგია.

— შენ გგონია? იქ რა მესაქმება?

შჩუკამ პირდაპირ შეხედა.

— არ მესმის შენი. როგორ თუ რა მესაქმება? ვანა ცოტაა გასაკეთებელი?

კალიცკიმ ხელი ჩაიქნია.

— მიუკიბ-მოუკიბავად რომ გითხრა, ძვირფასო, ჩემი ყაიდის ხალხს ახ-ლა კარგად არ უყურებენ, არავის ვჭირდებით.

— ჩემი ყაიდისო? ველარ გცნობ, იან. შენ, ძველი სოციალისტი, მეუბნები ამას?

— პო, სამწუხაროდ, მართალს გეუბნები.

— მართალსო?

— დიახ, სიმართლეს ვამბობ. აი, შენ მითხარი, სოციალისტი ხარო. ეტყობა, ძველი ყაიდის სოციალისტი ვარ. მეტისმეტად წესიერი, სინდისიერი, ეკვიანი. ყველაფერზე საკუთარი აზრი მაქვს. ძალიან მიყვარს სიმართლის პირში თქმა. ეს კი ახლა არავის სიაბოვნებს.

შჩუკა მაგიდაზე გადაიხარა.

— კაცმა რომ თქვას, შენ თვითონ იცი, რომ მართალს გეუბნები, — განაგრძო კალიცკიმ. — თავი რად უნდა მოვიტყუოთ?

შჩუკას მოუთმენლობა დაეტყო.

— არაა სწორი, — შეუვალად თქვა მან. — საერთოდ არა ხარ მართალი. ნუთუ მართლა ვერ ხედავ, რა ხდება ახლა პოლონეთში? აი, სწორედ ის, რასაც მთელი სიცოცხლე ველოდით.

კალიცკის მწარედ გაეცინა.

— სიცოცხლეზე რატომ ვლაპარაკობთ? მოვეშვით ამას. რაც იყო იყო, ახლა რაღა ვქნათ? — შჩუკასაკენ დაიხარა იგი და ხმას დაუწია: — ახლა აი, ასეთი სვენცკები გჭირდებათ.

— გჭირდებათო?

კალიცკი ღუმდა. შჩუკამ ყურადღებით შეჩხედა.

— ეჰ, შე ძველო! სადღაც გზას აცდი...

კალიცკის გაფითრებული სახე წამოუწითლდა.

— მე? იქნებ თქვენ ადგახართ სხვა გზას?

— არა, იან. — მიუგო შჩუკამ. — პარტია სწორ გზას ადგას. შეიძლება აქა-იქ გაგვიმრუდდეს, შეიძლება ესა თუ ის შეცდომა მოგვივიდეს, მაგრამ სწორი გზით მივდივართ. სვენცკებო, ახსენე, მერე რა, რომ არიან ასეთები. არიან და იყვნენ. ხვალ აღარ იქნებიან.

კალიცკი დიდხანს ღუმდა.

— ეს ვიცი, — თქვა ბოლოს. — ამიტომ სვენცკების არ მეშინია.

— მაშ ვისი?

კალიცკიმ დაღლილი მზერა შეავლო ძველ მეგობარს, და წამით ძველებურად გაუბრწყინდა თვალები.

— თქვენი მეშინია, — უთხრა მას. — ის მაშინებს, საით მიგყავთ პოლონეთი.

ვეიხერტი შჩუკასაკენ გადაიხარა.

— მგონია, მოგვიწევს სიტყვის მოსმენა, — დამცინავეად გადაუჩურჩულა მან.

მართლაც, სვენცკიმ იფიქრა, დრო დადგა სიტყვა წარმოვთქვაო, ყურადღება დაძაბა, თავი ღირსეულად დაიჭირა, მარჯვენა ხელით დანა აიღო და ჭიქაზე ნელა მიაკაკუნა. თუმცა ეს ისე ფრთხილად ქნა, მხოლოდ ახლოს მსხდომებმა გაიგონეს და საუბარი შეწყვიტეს. სვენცკიმ კიდევ დააპირა დაკაკუნება, მაგრამ მაგიდის იქითა მხრიდან საშინელი წკარუნი გაისმა. თვალამღვრეული პენიონყეკი რაც შეეძლო ჩანგალს არაწყუნებდა ჭიქაზე. მაშინვე მიწყდა საუბარი, ცნობისმოყვარეობით ატანილებმა ირგვლივ მიიხედ-მოიხედეს და ამ უჩ-

ვეულო ხმაურის ამტებს დაუწყეს ძებნა. სვენცკი ჯერ წამოწითლდა, მერე თეთრი ფერი დაედო.

— სუ-უ! — წაისისინა პენიონეკმა. — ბატონი მინისტრი ლაბირებს დაბნეული სვენცკი რომ დაინახა. დრევნოვსკის ლამის ხეცილი წასკდა და ბაგეზე ხელი მიიფარა.

— ერთხელ კიდევ! — წააქეზა პენიონეკი. მაგრამ სვენცკი მალე მოეგო გონს, წამოდგა და ყველას ყურადღება მიიპყრო, პირველი სიტყვები რომ წარმოთქვა, ხმა აუთრთოლდა.

— პატივცემულო ამხანაგებო! დღეს აღორძინებულმა პოლონეთმა დიდი გამარჯვება მოიპოვა. ტყუილუბრალოდ არ გაგვიღია მსხვერპლი ფაშიზმთან ბრძოლაში. ფაშიზმმა იარაღი დაყარა...

— ასწიე? — გადაუჩურჩულა იურეკ შრეტერმა.

— ფელეკ შიმანსკი მძიმე-მძიმედ სუნთქავდა.

— ავწიე.

— აბა, პო. ერთი, ორი...

მთელი ძალით მოიქნიეს მკედარი სხეული და ბნელში გადაუძახეს. გაიტლანა წყალმა, და მაშინვე სიჩუმე ჩამოვარდა. ხეებზე წვიმის წვეთები შრი-ალებდა, შორს, ქალაქგარეთ ელავდა.

ფელეკმა შუბლზე ოფლი მოიწმინდა.

— უპ, რა მძიმეა. ეშმაკმა წაიღოს!

— ჩუმად, — დაუცაცხანა შრეტერმა.

ალეკი იქვე იდგა, ხელები უცახცახებდა. სახე გაუთეთრდა, გული ამოუჯდა. მას მერე, რაც ბუჩქებში მორივით დამძიმებულ იანუშის ცხედარს მიათრევდნენ, სულ იმას ფიქრობდა, აი, ახლა წამალეებიანებს, აი, ახლა წამალეებიანებს, პირი და-ალო და ხარბად ისუნთქავდა გრილ, ნესტიან ჰაერს. მაგრამ შვება არ უგრძნია. ცივმა ოფლმა დაასხა შუბლზე. ყელში რაღაც გაეჩხირა, მისდა უნებურად წინ გაიშვირა ხელები, ბუჩქს მოეჭიდა, სახესა და ხელებზე სველი, წებოვანი ფოთლე-ლების მოალერსება იგრძნო. წელში მოიხარა და ასაქმა.

ფელეკი აქეთ-იქით აწყდებოდა ბნელში.

— რა მოუვიდა? ჭკუაზე ხომ არ შეიშალა?

შრეტერმა გააჩერა.

— მოეშვი, არწყიოს.

ტბორის პირას, ხშირსა და სველ ბალახში იდგნენ, მხარდამხარ იდგნენ. მაგრამ ერთმანეთს ვერ ხედავდნენ, საერთოდ არ ჩანდა ტბორის მრუმე, უძრავი ზედაპირი. უკუნში ჩაყურსულიყო იჭაურობა, ირგვლივ იღუმალად შრი-ალებდნენ მალალი ძეწნები.

— იურეკ! — უჩურჩულა ფელეკმა.

— რა იყო?

— წავიდეთ.

— დაიცა ერთი წუთით.

შრეტერი ალექთან მივიდა; წელში მოკაკული ბუჩქებს მოსჭიდებოდა, ისე ახველებდა, სულს ვეღარ ითქვამდა, იკრუნჩხებოდა. ბოლოს დაწყნარდა.

— უკეთ ხარ? — ჰკითხა შრეტერმა.

ალეკმა თავი ოდნავ დაუქნია, აღარ აღებინებდა, მაგრამ ძალა გამოლევო-და, მთლად დამტვრეული იყო, აღარაფერი აღარ უნდოდა.

— რას შვრები? — მოესმა სიბნელიდან ფელეკის მოუთმენელი ჩურჩუ-
ლი

შრეტერმა თავი დაუქნია. ფელეკმა ახლოს მოიწია.

— რაო?

— მოცოცხე აქედან!

ფელეკი შეყოყმანდა.

— თქვენ რას იზამთ?

— ნუ გეშინია, მოვუვლი თავს. ერთად მაინც ვერ დავბრუნდებით. ხვა-
ლამდე.

ფელეკი არ განძრეულა.

— აბა! — მოუთმენლობა დაეტყო შრეტერს — რას ელოდები? ხომ
გითხარი, მოუსვი-მეთქი.

ფელეკი ცოტა კიდევ შეყოყმანდა და ხელი გაუწოდა.

— ხვალამდე. შენთან მოვიდე?

— მოდი, მაგრამ ფრთხილად იყავი.

— ისედაც ვიცი, — წაიბურტყუნა ფელეკმა.

გვერდით რომ გაუარა, ალექს მხარზე ხელი დაჰკრა.

— აბა შენ იცი.

აჩრდილივით გაქრა ბუჩქებში. გაიშრიალა ფოთლებმა. მიწაზე ტოტი ჩა-
მოვარდა. მერე ისევ სიჩუმე ჩამოწვა.

ალეკი არ განძრეულა. შრეტერმა გულში ჩაიკრა იგი და იგრძნო, რომ
კანკალებდა.

— რაო? კიდევ უნდა არწყვიო?

ალეკმა რაღაც გაურკვეველად წაიბლუკუნა.

— არ არწყევ?

— არა.

ალეკი წელში გაიმართა და იურეკის ხელებს გამოუსხლტა. ერთ წამს
თავდახრილი იდგა, მერე ღრმად ამოისუნთქა, მთლად ბავშვივით ამოისუნთქა,
ტირილით რომ გული ამოუჭდება ხოლმე. შემდეგ პირი ცხვირსახოცი მოიწ-
მინდა.

შრეტერი ჩუმად უცქეროდა. ალექს უმწეო, საწყალი გამომეტყველება
ჰქონდა. იგი დიდხანს ნელა იწმენდა პირს. შემდეგ ცხვირსახოცი ჯიბე-
ში ჩაიღო და ისევ ამოისუნთქა, ჩვეულებრივად, თავისუფლად ამოისუნთქა.

— ახლა როგორ ხარ? — ჰკითხა შრეტერმა.

— არა მიშავს.

— მაშინ შინ წადი.

ალეკმა თავი დაუქნია.

— გამოგივლით ხვალ მე და ფელეკი. წახვალ მარტო?

— წაველ.

— აბა, ნახვამდის!

— ნახვამდის.

შრეტერმა მხარზე ხელი დაჰკრა.

— გზაში გაზიანი წყალი დალიე, გეამება.

იურეკი მარტო დარჩა. დამამშვიდებელი სიჩუმე იდგა. ჰაერში მიწის სუ-
ნი ტრიალებდა. სურნელებას აფრქვევდნენ ხეები. გაზაფხულის სუნთქვა იგრ-

ძნობოდა. გუბურას ქათქათა ნისლი დასწოლოდა. მალე ხეზე გაიფრთხილა გამოღვიძებულმა ჩიტმა. ნამძინარევე დაიწვილა და გაჩუმდა.

ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში ხალხი ირეოდა. მაგრამ სლომკამ შორიდან დაინახა ტანმალალი ფუციაციკი. როგორც მხლებლები რესტორანში შევიდნენ. ერთმა სქელმა კაცმა ამოიქშინა და პირველივე შემხვედრი მომტანი გააჩერა.

— ყველაზე კარგი სუფრა გაუშალეთ გრაფ ფუციაციკის ყმაწვილი კაცი სულ რამდენიმე დღის წინათ მოეწყო „მონოპოლში“ და შაბათ დღეს მოძალებულ სტუმრებს ისედაც ვერ აუდიოდა. ამას გარდა ისიც არ იცოდა, ვისთვის მიეცა უპირატესობა.

— ყველა მაგიდა დაკავებულია, ბატონო უფროსო. სლომკა ვერ იტანდა სიტყვის შებრუნებას. როცა საქმე მნიშვნელოვანი იყო.

— გითხარით, სუფრა გაშალეთ-მეთქი და გაშლით კიდევაც. გასაგებია? ნუ დააყოვნებთ.

სლომკამ მომტანს მიანდო. თვითონ მოველო ამ საქმისათვის, და მაგიდებს შორის ძლივს გაეტია. როგორც იქნა, ფუციაციკისთან მივიდა. იგი თავისუფალ ადგილს ეძებდა.

— ოპ, ჩვენო ძვირფასო, პან სლომკა — გაუხარდა ფუციაციკის, სლომკა რომ დაინახა; იგი ჯერ კიდევ ომამდე, ლვოვიდან იცნობდა მას. — თქვენი მოიმედე ვარ, იშოვით მაგიდას?

— მზად ვარ გემსახუროთ. გაგონილა, ბატონ გრაფს მაგიდა არ გამოუნახონ? იცოცხლეთ, ბატონო გრაფო, — თავი დაუკრა მან ქალებთან მდგარ ტელეფინისკის, — სუფრა გაშლილია, წამობრძანდით!

— დიდებულია! — გაუწვირა ფუციაციკიმ. ქალები ტელეფინისკის შეატოვა და ლაპარაკ-ლაპარაკით სლომკას გაჰყვა. ძალიან უყვარდა საუბარი მასზე დაბლა მდგომ ხალხთან.

— საქმე თურმე კარგად მიგდით, ძვირფასო ბატონო... მუცლიანი სლომკა მარდად მიიკვლევდა გზას და საცეკვაო მოედანს გარს უვლიდა. მოცისფერო-მოყვითალო შუქზე ტანგოს პანგებს აყოლილი წყვილები ნელა ირხეოდნენ.

— ომი დასასრულს უახლოვდება, ბატონი გრაფო. ადამიანებს გართობა სწყურიათ.

— მართალია, თავისებური ინტერმეცოა.
— რა არისო?
— თავისებური ინტერმეცო, შესვენება ანტრაქტია-მეთქი, გითხარით.
— რა თქმა უნდა, ასეა.
მხოლოდ ახლა მიხვდა, რისი თქმა უნდოდა ფუციაციკის, და მრგვალი თვალებით მიაჩერდა.

— ასე გგონიათ პან გრაფო?
— აბა! — გულთბილად დაარტყა მან სლომკას მხარზე ხელი. — ნუ დელავთ, ძვირფასო, ყველაფერი კარგად იქნება. უარეს ამბავსაც შევესწრებით, მაგრამ გავუძლოთ.

— სწორი ბრძანებაა, ბატონო გრაფო. მეც ასევე ვამბობ. მთაყარია — გაუძლო კაცმა.

ორკესტრმა დაკვრა შეწყვიტა და სინათლე აინთო.

— კიდევ გვიხდა, კიდევ გვიხდა! — გაისმა ხმა საცეკვაო შედგნიდან. დირიჟორმა ჯობი ასწია, სინათლე ჩაქრა; ისევ ის ტანგო დაუკრეს.

— სად დგას მაგიდა? — ირგვლივ მიმოიხედა ფუციაციკიმ.

სლომკამ თვალი მოაელო დარბაზს და ოდნავ აღელდა.

— ერთი წამით, პან გრაფო.

ახალგაზრდა ოფიციანტი, ვისაც თავისუფალი მაგიდის მიტანა დაავალა, სწორედ მაშინ ერთ თავის უფროს ამხანაგს ელაპარაკებოდა. სლომკამ შეუტია.

— სად არის გრაფის მაგიდა?

გამოცდილმა ოფიციანტმა გადაწყვიტა თვითონ მოეელო ამ საქმისათვის.

— ახლავე, უფროსო, ყველაფერი რიგზე იქნება. თავისუფლდება მაგიდა ოთხი კაცისათვის; უკვე მივუტანე ანგარიში.

სლომკამ გამანადგურებელი მზერა შეავლო ახალგაზრდა მომტანს და გომებული მიუბრუნდა ფუციაციკის.

— ცოტაც მოითმინეთ, ბატონო გრაფო.

ფუციაციკი მოიღუშა.

— რა, არ არის? კარგი ამბავია!

ყველას დასანახავად შეაქცია ზურგი სლომკას და გაჯავრებული გაემართა ფრედ ტელეფინსკისა და ქალებისკენ.

— წარმოიდგინეთ, ყველა ადგილი დაკავებულია.

სლომკა ჩქარ-ჩქარა აქნევდა მსხვილ ხელებს და გვერდით მისდევდა გრაფს.

— ერთი წუთით, პან გრაფო, სულ ერთი წუთით. მაგიდა თავისუფლდება.

— რა გამიწყალეთ გული! — გაბრაზდა ფუციაციკი. — თავისუფლდებაო, სად თავისუფლდება? ერთ საათს ვიდგე აქ და ველოდოთ? მაპატიე, ძვირფასო, — დაინახა მან, რომ ცოლი რადიკას ანიშნებდა, — მაგრამ არავის მივცემ იმის უფლებას, ასე მომეპყროს. ეს დაცინვაა. წავიდეთ, დღეიდან ფეხს არ შემოვდგამ ამ რესტორანში.

სტანევიჩის მეუღლეს საერთოდ არ უნდოდა უარი ეთქვა გართობაზე. ისედაც ერთი საათი დაკარგეს წვიმის გულისთვის.

— ღმერთო, რა დესპოტი ხართ! მაშ, ჩვენ, ქალებმა საერთოდ ხმა არ უნდა ამოვიღოთ?

— ჯობია ბარში წავიდეთ. — ურჩია მათ ტელეფინსკიმ. — იქ მაინც იქნება თავისუფალი მაგიდა. იცი, ადამ, ვინაა ახლა იქ მომტანი?

— ვინ?

— კრისია როზბიკა.

— როზბიკა? რას მელაპარაკები ქშინოვლოგელი როზბიკების ნათესავი ხომ არ არის?

— არა, ბიძამისია ქშინოვლოგელი, თვითონ პოზნანელია. ქსავერი როზბიკის ქალიშვილია.

— მართლა? — გაოცა ფუციაციკიმ. — სად არ შეხვდება კაცი კაცს! გესმის, რუჟა? ფრედი ამბობს, აქაურ ბარში პატარა როზბიკა, ქსავერი როზბიკის ქალიშვილი მუშაობსო. უნდა გითხრათ, — აუხსნა მან სტანევიჩის მეუღლეს, — რომ ოდესღაც, უხსოვარ დროს ქსავერი როზბიკის გაგიჟებით უყვარდა ჩემი ცოლი...

სლომკამ, მთელი ამ საუბრის დროს რომ არ იცოდა, რა უნდა ექნა, უცებ დაინახა დარბაზის სიღრმეში მაგიდა თავისუფლდებოდა. შვეებით ამოისუნთქა და შუბლზე თველი მოიწმინდა.



— არის მაგიდა, პან გრაფო.
— მოძეშვით! — დაუღრინა ფუციოტიცკიმ. — არ გეინდა მაგიდა?

სოდაც იოლად გავალ ბარში წავალთ.
სლომკამ კიდევ რაღაცის თქმა დააპირა თავის გასამართლებლად. მაგრამ ფუციოტიცკიმ ხელით ანიშნა და ენა არ ამოაღებინა. სლომკამ თვალი გააყოლა გარეთ გასულებს, თავის შერცხვენაზე ფიქრობდა. უცებ წამოხტა, დარბაზი გადაჭრა, შემობრუნდა და ისევ მაგიდებს შორის გაგორდა. მაგრამ ახალგაზრდა ოფიციატი, რომელმაც საქმე ჩაშალა, ვერსად ნახა. ბოლოს მას ვიწრო დერეფანში წააწყდა, სამზარეულოსკენ მიემართებოდა. ყმაწვილკაცს კერძები მიჰქონდა და იფიქრა, უფროსს გვერდს ავუვლიო. სლომკამ მუცელი წინ წამოსწია და გზა გადაუღობა.

— ვარგია, რომ გნახე. ხვალინდელი დღიდან სხვა სამსახური უნდა მოძებნო. უმეცრებმა არ უნდა იმსახურონ „მონოპოლში“, გასაგებია? ოფიციატმა აღმაცერად გადახედა.

— წყნარად! შენობით ნუ მელაპარაკებით! თქვენთან ერთად ღორები არ მიმწყეპსია. ხვალინდელი თავისუფალი ხართ.
სლომკას ენა ჩაუვარდა აღშფოთებისაგან. წამოქარხლდა, გულზე მიღებულ ხელეები გაუშეშდა.

— რა? რა მითხარი? ოჰ, შე უსინდისო!
— აბა, აბა! — ვარშაევურად გააგრძელა ყმაწვილმა. — უფროთხილდით, თქვენ არ დაგირჩეთ საქმე პროფკავშირთან, გაიგეთ? ძალიან გთხოვთ, განზე გადგეთ, სტუმრები მელოდებიან.

სლომკას ხმა აღარ ამოუღია, ენა ჩაუვარდა. პირდაღებული იდგა, თვალები გადმოეკარკლა, თავში სისხლმა აასხა. მომტანს დიდხანს არ უფიქრია. იდაყვით გვერდზე გასწია და დარბაზში შევიდა.

„დამბლა დამეცემა“ — გაიფიქრა სლომკამ; გრძნობდა, საფეთქლებში ჩაქუჩივით ურტყამდა სისხლი. ძალიან შეეცოდა თავი. ნეტა ვინ გააცილებს სასაფლაოზე? არავინ. კოტლი ძაღლიც კი არ შეიწუხებს თავს. წაიღებენ კუბოს და მძორივით ჩაფლავენ მიწაში. თვალები ცრემლებით ავესო სლომკას. „ხვალ დღითვე სათევზაოდ წავალ, — გაიფიქრა გულაჩვილებულმა. — გამომაკეთებს. ამ ნაძირალას კი მაინც გავავადებ“.

გული მოეცა, თითქოს ცხოვრებას ისევ დაუბრუნდაო, დერეფანს დაუყვა და სამზარეულოსკენ გაემართა. ჩემს დანახვაზე ხმაური შეწყვიტესო, ეს რომ დაინახა. გამხნევდა. ქურჭლის მრეცხავებმა შეწყვიტეს ტაკატუკი; ორი შიკრიკი, უსაქმოდ რომ იდგა, მაშინვე გაქრა, ოფიციატები, გაწამებულ მზარეულს გარს რომ შემოხვეოდნენ და შეკვეთილ კერძებს ითხოვდნენ, ნელ-ნელა დაცხრნენ. „ოთხი ცივი ბორში! ორი ვენური შნიცელი!“ — გაისმა მშვიდად ნათქვამი სიტყვები. წესრიგი და სიწყნარე ჩამოდგა სამზარეულოში.

ამ სიმყუდროვით დამტკბარი და თავის თავში ჩაყურსული სლომკა მეორე დერეფანში გაიქცა. ეს მოკლე და ფართო დერეფანი სამზარეულოს საბანკეტო დარბაზთან აერთებდა.

რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლილი „მონოპოლის“ თერძის იურგელევიჩის ქვრივი, მეტსახელად „იურგელუშკა“ წელგამართული იჭდა დაბალ ჯორ-

კოზე ფეხსალაგში შესასვლელთან და საქსოვი ჩხირებით თავის ბადიშს სვიტრს უქსოვდა.



ქართული
ქართული ენის
ქართული ენის

სლომკა შეჩერდა და ამოიქშინა.

— რა ამბავია, პანი იურგელუშკა?

იურგელუშკამ პატარა, ბოცვერის სახე ახწია და სწრაფად უკვერული, ბებრული თვალები მიაპყრო.

— სიტყვებს წარმოთქვამენ.

— პო?

სლომკამ დააყურა. დახურული კარიდან სვენცკის ნარნარი ხმა ისმოდა.

— ოპ, თვით მინისტრი ამბობს სიტყვას.

იურგელუშკამ გულგრილად მოისმინა ეს სიტყვები და ისევ თავის სვიტრს მიუბრუნდა. ძალიან უყვარდა შვილიშვილი ფელეკი, რომელიც მან გაზარდა: მისი სიძე შიმანსკი სექტემბერში დაიღუპა, ქალიშვილი ორიოდ თვის შემდეგ მოუკვდა — მუცელი მოიწყვიტა და სისხლი მოეწამლა.

სლომკამ ტუალეტის თეთრი კარისკენ გააპარა თვალი, ისეთი სუფთა იყო, ბზინავდა. იურგელუშკამ ბრწყინვალედ იცოდა თავისი საქმე.

— ვინმემ არწყია? — იკითხა მან.

— რას ამბობთ? — მშვიდად უპასუხა იურგელუშკამ, თან ქსოვდა. — ჯერ ადრეა.

სლომკამ ცხვირი მოიფხანა.

— პმ...

— ყველაფერს თავისი წესი და რიგი აქვს, ჩემო ბატონო. ჯერ სიტყვას იტყვიან, მერე აქ დაიწყებენ რბენას, ირბენენ...

— დღეს ალბათ კოტა ფულს იშოვით.

— მეც ასე მგონია, მაგრამ წინასწარ ვერ ვიტყვი. ომამდე აქ ხშირად იმართებოდა ბანკეტები, ერთხელ მინისტრიც კი ესწრებოდა.

— ოპ! — გამოცოცხლდა სლომკა. — ვინ? რა გვარი იყო?

— აღარც კი მახსოვს. წარმოსადეგი ბატონი ბრძანდებოდა, არ ვიცი, რა-ღაცით მოიწამლა თუ მუცელმა გააწვალა. გამუდმებით აქ დარბოდა, მაპატიეთ და, მთელი საჯდომი ფიცარი გააბინძურა. ჰოდა, გროშიც არ მომცა, წარმოგიდგენიათ!

— ოპ, ნაძირალა! მინისტრი კი ყოფილა!

— ისე გაწვალდა, შეშინოდა, ვაითუ სული ამოძვრეს-მეთქი.

— აი, სეირი!

— ღმერთმა ნუ ქნას! მოშორდი. რა უნდა ქნა, რაკი არ მოგცა, არ მოგცა. სხვა მოგცემს. მოუხილავია უფლის გზა: ერთს სჯის და მეორეს სწყალობს.

სლომკა თითის წვერებზე აიწია და ისე მივიდა კართან.

— კიდევ ლაპარაკობს? — უფრო ზრდილობის გულისათვის, ვიდრე ცნობისმოყვარეობით ჰკითხა იურგელუშკამ.

სლომკამ ხელი გააქნია. სვენცკის ხმა კარგად ისმოდა.

— ვერაფრითაი ძალა ვერ შეარყევს და დაამცირებს ჩვენს ისტორიულ გამარჯვებებს, — თქვა მან. — მომავალი ჩვენ გვეკუთვნის და შევქმნით მას. პატივცემულო ამხანაგებო! — ხმას აუწია მან. — ბედნიერი ვარ, რომ სწორედ ამ დღეს, პირადად ჩემი და თქვენი — აქ შეკრებილთა, ქალაქ ოსტროვეცის სახელით მივესალმო ჩვენს სტუმარს, ამხანაგ შჩუკას და შევსვა ჩვენი დიადი, დემოკრატიული სამშობლოს სადიდებელი, გაუმარჯოს!

უკან გადადგმული სავარძლების ხმაური კიქების მიტახუნებისა და შეძახი-
ლებს შეერია: გაუმარჯოს!

— ვის გაუმარჯოს? — შეწუხდა სლომკა.

— ალბათ იმას, ვინც დღეობას იხდის, — აუღელვებლად ლუშკამ და ქსოვა განაგრძო.

— ვინ იხდის დღეობას? არავეინ.

— იუბილარი.

— არავითარი იუბილარი არ არის, რას შელაპარაკებით! ალბათ პოლო-
ნეთს ახსენებდნენ...

თუმცა ამ დაეჭვებას სრულებითაც არ შეუშლია მისთვის ხელი განზე გამ-
ხტარიყო, როცა უცებ კარი გაიღო და ფრაკიანი ოფიციანტი შემოვიდა.

— დაიცადე! — შეაჩერა იგი სლომკამ.

მომტანი გაჩერდა. ამ მალაღმა ყმაწვილმა იცოდა თავისი სილამაზის ფასი
და კინომსახიობის მიხვრა-მოხვრა ჰქონდა. ომის დაწყებამდე რამდენიმე წელი-
წადს ვარშავის „ბრისტოლში“ მუშაობდა და ამის გამო სლომკა დიდად აფასებ-
და.

— როგორაა საქმე, პან იუვეფ? — მეგობრულად ჰკითხა მან და ხელე-
ბი ჩვეულებისამებრ აათამაშა.

ლამაზმა ოფიციანტმა მოწყალებდ გაუღიმა.

— არა უშავს რა.

— სვამენ?

— საკმაოდ.

სლომკამ ხელი ხელზე გადაისვა.

— კარგია! არ დაგავიწყდეთ ფრანგული ღვინოები, ყაყას კი ლიქიორი უხ-
დება. კარგად გაგეტარებინოთ დღევანდელი საღამო, პანი იურგელუშკა.

სამზარეულოში ისევ იმ ნაძირალას გადაეყარა. გასასვლელში შეეფეთნენ
ერთმანეთს და წამით თვალი თვალში გაუყარეს. ოფიციანტმა თავხედურად და-
უსტვინა და უფროსს ზურგი ისევ შეაქცია, როგორც შეურაცხყოფილმა ფუ-
ციატიცკიმ.

— ბატონო უფროსო! — გასძახა მან მზარეულს. — ორი ბბოს სუკი ერთი
ხილის კრემი!

სლომკას ვულის კოვზი ასტკივდა. გრძნობდა, რომ რაღაცნაირად უნდა აე-
ნაზღაურებინა სამარცხვინო დამარცხება. ხვალ სათევზაოდ წასვლას აპირებდა.
მაგრამ ახლა ამაზე არ ფიქრობდა.

— თვალეზღაბრილმა მრეცხავეებისკენ გააპარა მზერა, ერთი მათგანი სქელ-
გავეიანი, ტანმალალი, მაგარი გოგო იყო.

სლომკა სამზარეულოდან გავიდა და დერეფანში პატარა შიკრიკს ყურში
სწვდა.

— რა გქვია?

— ტადეკი, ბატონო დირექტორო.

— მშვენიერია! პოდა, მომისმინე, ტადეკ...

— გისმენთ, პან დირექტორო.

— გაიქეცი სამზარეულოში და გამოაგზავნე სტეფკა. ხომ იცნობ?

— ვიცნობ, ბატონო დირექტორო.

— აბა, ჰე, მალე მივარდი.

წუთში იქ გაჩნდა გულამოვარდნილი სტეფკა. სახე წამოწითლებოდა, ხე-

ლები სველი ჰქონდა, ოფლისა და ნარეცხის სუნით ყარდა. სლომკა ადგილს ტკეპნიდა იქვე ახლოს.

— სტეფკა!

— რა გინდა? — წაიბუზღუნა უკმაყოფილოდ.

— ათ წუთში ზემოთ ამოდი.

— კიდევ რა გინდა? კმარა. ისედაც რას არ ამბობენ ჩემზე.

— შურთ შენი და იმიტომ, სულელო.

— აბა, არ უნდა შურდეთ?

— წინდებს მოგცემ.

სტეფკამ უნდობლად გახედა სლომკას.

— მართლა მომცემო?

— ნამდვილი ფრანგული წინდებია. ათ წუთში მოდი.

— აბრეშუმისაა?

— აბა რანაირი იქნება?

სტეფკა წამით დაფიქრდა.

— კარგი აბა, — ნელა უთხრა მან. — მაგრამ ჩემმა საქმრომ თუ გაიგო...

სტეფკას საქმრო სულ რამდენიმე კვირის წინათ დაბრუნდა გერმანიიდან, იძულებითი სამუშაოდან და ბიალიში, ცემენტის ქარხანაში მუშაობდა.

— ნუ სულელობ, — უთხრა სლომკამ. — საიდან გაიგებს?

სლომკამ კმაყოფილი მზერა გააყოლა გოგოს ბარაქიან გავას, სქელი ტუჩები გააწკლაბუნა და გაიქცა. ერთი, მეორე დერეფანი, ქალებისა და კაცების ტუალეტი, ისევ დერეფანი — რესტორნის კულისების ნამდვილი ლაბირინთი. ვიდრე ბარში შევიდოდა, ეგრეთ წოდებულ მსახიობის ოთახში შეიხედა.

ამ პატარა ოთახში მსახიობები იცვამდნენ ხოლმე სცენაზე გამოსვლის წინ. დღევანდელი პროგრამა მთლიანად განახლებული იყო და დიდი სენსაცია უნდა მოეხდინა. გამოდიოდნენ ჰანკა ლევიცკა და ორი ცნობილი მოცეკვავე — სეიფერტი და კოხანსკა.

დაკაკუნებაზე რაკი ხმა არავინ გაიღო, სლომკამ კარი შეაღო. რომელზეც „გასახდელი“ ეწერა, და შიგნით შევიდა. ოთახში სინათლე ენთო, მაგრამ არავინ იყო. ცოტა ავეჯი იდგა: უბრალო მაგიდა, რომელზეც კედელზე მიყრდნობილი დიდი სარკე დაედოთ, ჩატეხილი მწვანე დივანი, რამდენიმე სკამი, კუთხეში — წითელი შირმა. ერთ სკამზე გახსნილი ჩემოდანი იყო, რომელშიც ფერადი ჰინჯები ეყარა. ჩემოდანზე ფურჩალიანი ყვითელი კაბა გადმოეფარებინათ, სკამის ქვეშ შავი ფერის ესპანური შლაპა ეგდო, იატაკზე გადმოკიდებულიყო ცისფერი ხავერდის შარვალი. უფანჯრო, დახუთულ ოთახში ისეთი სიციხე იდგა, გეგონებოდა, სათბურში ვარო.

სლომკა წასვლას აპირებდა, როცა შირმის იქიდან მამაკაცის ხმა მოისმა:

— შენ ხარ, ლოდა?

სლომკამ ამოიქშინა, მაგრამ სანამ პასუხს გასცემდა, წითელი შირმის იქიდან მთლად ტიტველი სეიფერტი გამოვიდა. საშუალო ტანის კაცს მოცეკვავისათვის ოდნავ სისრულე დასტყობოდა, თუმცა ღონიერი, ჩამოსხმული, ჯერ კიდევ ახალგაზრდა სხეული ჰქონდა. ეტყობოდა, სიშიშვლე სრულებითაც არ აწუხებდა.

— თქვენ ხართ, ბატონო დირექტორო! გამარჯობათ. ლოდა ხომ არ გინახავთ?

სლომკა მიხვდა, რომ იგი თავის პარტნიორს კოხანსკას გულისხმობდა.

- რა გაბლავლებს, გადარეულო.
- რაო? მებრალეები და იმიტომ ვცეკვავ შენთან.
- ჰოო? ჰოდა, ნუ იცეკვებ, გეხვეწები.
- იცოდუ, სხვა ჩემს ადგილზე არც კი შეგაფურთხებდა, შემიბრწინო ბებერო!



შენ რა ქორთა მყავხარ, ვითომ! დამძალო. ეშმაკის კერძო, გათხუპნულო საფრთხობელავ!

კობანსკამ მკლავზე ხელი წაავლო სლომკას და ხმამაღლა გადაიკარკაცა.
— შეხედე, შეხედე, დირექტორო, რას დამსგავსებია! მოცეკვავაც ამას ჰქვია, ნაღდი ჭივარია! არა, აღარ შემოდია, დავიხრჩობი სიცილით...

სლომკა ჩუმად გაიპარა. მოცეკვავე ქალის სიცილი მთელ დერეფანში ისმოდა.

— აჰ! — დაიკვნესა სლომკამ.

ბარში რომ შედიოდა, ადგილობრივ იმპრესარიოს კოტოვიჩს შეეფეთა. ომამდე კოტოვიჩი რამდენიმე წელი ოსტროვეცის თეატრის დირექტორი იყო, მართავდა კონცერტებს და სხვა წარმოდგენას. იანვრის ბრძოლების შემდეგ, როცა ხის პავილიონი დაიწვა, რომელშიც თეატრი იყო მოთავსებული, კოტოვიჩმა შუამავლის როლი იკისრა, ოსტროვეცში არტისტებს იწვევდა, ამ წარმოსადგე კაცს დიდი ხელოვანის სახე ჰქონდა. მზაკვრული ბედი ხშირად აჯილდოებს ხოლმე უნიჭო ხალხს ასეთი სახით.

— საღამო მშვიდობისა, დირექტორო, — გულითადად მიესალმა იგი სლომკას. — ჯანკა ლევიცკა უკვე მოვიდა, ბარში ზის, რომ იცოდეთ, რა მომზიბვლელი არსებია.

- ესენი ჩხუბობენ, — უთხრა სლომკამ.
- კოტოვიჩი უცებ ვერ მიხვდა, ვისზე იყო ლაპარაკი.
- ესენი...
- სტეიფერტი და კობანსკა!
- გესმით?

მოცეკვავე ქალი ისე იცინოდა, აქაც ისმოდა, კოტოვიჩმა მოწყალებ ჩაიცი-ნა.

— სისულელეა, გულთან ახლოს ნუ მიიტანთ, პატივცემულო დირექტორო. ძველი ამბავია, ოცი წელიწადი ასე ჩხუბობენ, მერე უკეთ ცეკვავენ. ჭერ ქალი გააფრენს, შემდეგ კაცი და... შემდეგ შერიგდებიან, თავს იახალგაზრდავენ ბენ ამნაირად. ჰო, ჩემი ბიჭისათვის შემთხვევით სადმე თვალი ხომ არ მოგიკრავთ?

ამ ბოლო დროს იანუშ კოტოვიჩი „მონოპოლის“ ხშირი სტუმარი იყო, მაგრამ დღეს სლომკამ იგი ვერსად ნახა.

— ოჰ, რა ეშმაკი ვინმეა! ფული უნდა მოეტანა. თავი ძლივს გაგვაქვს. შიმშილით ხომ არ მოვკვდები კაცი. მარტო ხელოვნებით სულს ვერ გაიტან, ფული თუ შემოგაკლდეთ, ყოველთვის ხელს გაგიმართავთ, ვერ წარმოიდგენთ, რა ალღო აქვს ამ ბიჭს.. აბა, ჭერჭერობით! ჩვენს მსახიობებთან შევიხედავ.

მისი ლამაზი თავი დერეფანში გაუჩინარდა, და სლომკამ საათზე დაიხედა. სტეფკას მოსვლამდე ხუთი წუთიღა რჩებოდა. მაგრამ სლომკა მაინც ბარში შევიდა.

თხუთმეტი წუთის წინათ ცარიელი დარბაზი ახლა ხალხით იყო გადაჭედული. ბუფეტს ახმაურებული გოგო-ბიჭები მოსწყდომოდნენ, დიდი დარბაზი-

დან გამოსულიყვნენ, რათა ცეკვების დაწყებამდე არაყი დაეღიათ. მათი უმეტესობა კარგად იცნობდა ერთმანეთს. უცნობები კი თითო სირჩა არაყს შესვამდნენ და მალე უახლოვდებოდნენ ერთიმეორეს, ერთ მხიარულ, მეგობრულ წრედ იკვრებოდნენ. უშნო გოგოები ჭარბობდნენ, ცუდად ეცვათ, ერთხანად თმაგადავარცხნილებს კელულები შუბლზე ჩამოეყარათ. ნაადრევად მომწონებულო, თავხედი, ჭახმროელი, ახოვანი ბიჭები, რომელთაც უცნაური, გემოანული, საბჭოთა თუ ამერიკული სამოქალაქო და სამხედრო ტანსაცმელი ეცვათ, გოგოებს შერეოდნენ, ხოგირთი უკვე გამობრუებულიყო.

ვექილი კრავესკის ხალხი მაგიდასთან გადაჯდა, სადაც უფრო მშვიდად იგრძნობდა თავს. ცოტა ხანში მათ რამდენიმე ქალი და კაცი მიუჯდა, მათ შორის მიაშიტი, ბავშვური ჰაჩკა ლევიცკაც ერია, პირველად რომ უნდა წამომდგარიყო ოსტროვეცელების წინაშე. მის გამოსვლას „მონობოლში“ წინ უძღვოდა ფხიანი კოტოვიჩის მიერ მოწყობილი ხმაურიანი რეკლამა. კაცმა რომ თქვას, პანა ლევიცკას სახელი იმხანად ისედაც ყველამ იცოდა. ომამდე თუმცა მხოლოდ ვარშავის განაპირა კინოთეატრებში მღეროდა სეანსების დაწყების წინ, მაგრამ ოკუპაციის დროს განთქმულ კაფეებსა და რესტორნებში გამოდიოდა, და ამან დიდი სახელი მოუტანა. მისი ქალიშვილური, წვრილი ხმა მგრძნობიარე მაყურებელს გულზე ხვდებოდა, ხოლო სულის ამაფორიაქებელი სიმღერები ამ განწყობილებას კიდევ უფრო ამძაფრებდა.

ამ დიდი, ხმაურიანი სუფრის გვერდით მაგიდას ფუციაციკები, პანი კასია სტანევიჩი და ფრედ ტელეჟინსკი შემოსხდომოდნენ. იქით სლომკასთვის უცნობ ხალხს მოეკალათებინა, ალბათ ჩამოსულები თუ იყვნენ, სასტუმროში რომ ცხოვრობდნენ.

სლომკა წამით შეყოყმანდა: მისულრიყო თუ არა ფუციაციკების სუფრასთან? მათ არავინ ემსახურებოდა. დიდი დარბაზიდან ბარში გადმოყვანილი მომტანი შეკვეთას იღებდა ვექილ კრავესკისაგან. მაგრამ დრო გარბოდა, და სლომკა შინაურივით შევიდა ბუფეტში.

კრისტინა ძლივს აუდიოდა მოზღვავებულ სტუმრებს. ყოველი მხრიდან თითქმის ერთდროულად ითხოვდნენ არაყს: სამ, ხუთ, ისევ სამ, კიდევ ორ სირჩას, და ასე დაუსრულებლივ. ერთი მაგრად გამომთვრალი ბიჭი დახლზე გადაწოლილიყო, კრისტინას ეხვეწებოდა, ერთი არაყი დამიღიეო. სლომკა რომ დაინახა, ყმაწვილი მისკენ მიბრუნდა.

— აქ მოდი, შე სქელუა! დაგლიოთ, მე გპატიეებ. ორი დიდი დაგვიღით მე და ამ მოქალაქეს, ქალბატონო უფროსო.

ფეხზე ძლივს იდგა, ერთი ამხანაგი ხელს აშველებდა.

— თავი დაიჭირე, ჰენეკ, ეშმაკმა დაგლახვროს! რა მოგივიდა?


მას უკვე დავიწყებოდა შეკვეთილი არაყი და ცხვირში რალაც ჩაიდულუნა.

— პანი კრისია, — ამოიქშინა სლომკამ, — ერთი ბოთლი კონიაკი ამომიტანონ ოთახში, ოღონდ არ დამიგვიანონ.

ეს უთხრა და მაშინვე გაქრა.

ამასობაში ტელეჟინსკიმ რამდენჯერმე ამაოდ ანიშნა კრისტინას, ჩვენთან მოდიო. ქალმა დაინახა ფრედი, მაგრამ წამითაც ვერ დატოვა ბუფეტი. სტანევიჩის მეუღლე შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, ანჯგი კოსეცკიმ, რამდენიმე მაგიდის იქით რომ იჯდა, მარტო თავი დაგვიქნია. ჩვენთან არ მოვიდაო. უნდოდა დღეს თავდავიწყებით ემხიარულა, ეცეკვა, თავი ახალგაზრდად ეგრ-

ძნო და ახალგაზრდებში ეტრიალა; საღამო კი თავიდანვე ცუდად აეწყო და არა ისე, როგორც ქალბატონს უნდოდა. ფუციაციკი დაღლილი გამოიყურებოდა. იგი დაბალ, რბილ დივანზე იჯდა, მკვივე გუნებაზე იყო ხმას არ უღებდა, სამაგიეროდ მისი ცოლი რუჟა ძველმოდური ლორნეტით ბთვალბიერობდა კრისია როზბიციკას. დრო შეარჩია და ქმარს უჩურჩულა:



- კარგი ვინმეა ის პატარა.
- გონებაგაფანტული ფუციაციკი უცებ ვერ მიხვდა, ვისზე იყო ლაპარაკი.
- ვინ პატარა?
- როზბიციკა.
- აჰ, როზბიციკა! დაიცა, შევხედო, პო, არა უშავს, ქსავერის ჰგავს.
- ქსავერისო? რაღაც არ მეჩვენება.
- გუუბნები, მას ჰგავს-მეთქი, ვთხოვოთ ჩვენი თან მოვიდეს, ფრედ, გავიცნოთ.

— ვერ ხედავ, რა ხდება იქ? — უპასუხა ტელეაჟინსკიმ.
 პანი რუჟა ლორნეტით ბუფეტთან მისულ ახალგაზრდებს უყურებდა.
 — რა უცნაური ხალხია? ნეტა აქ საიდან გაჩნდნენ? რა საშინელი სამუშაო აქვს ამ ახალგაზრდა ქალიშვილს, წარმოძიდგენია, როგორ იტანჯება საცოდავი.

- ფრედმა მშვიდად ჩაიქირქილა.
- ნერვებს ნუ აიშლი, ძვირფასო, ბრწყინვალედ იცის თავისი საქმე, დამიჯერე, ჩვენი წრის ქალები სწორედ ამისათვის არიან დაბადებულები.
- რა საძაგელი ხარ! — აღშფოთდა ფუციაციკის მეუღლე, განა გესიამოვნებოდა, შენი და რომ ამნაირად ორჩენდეს თავს?
- რატომ არა? კარგი შემოსავალი თუ ექნებოდა...
- ფრედ!
- თავი მხოლოდ ამით გაქვთ გამოტენილი; არ გეხუმრებით, წავიდა ეს დრო, ახლა ნამდვილად ვფიქრობ იმას, ღირს კი საზღვარგარეთ წასვლა-მეთქი?
- ქკუაზე შეიშალე? — გამოცოცხლდა ფუციაციკი.
- არა, კარგი რამ შემომთავაზეს.
- შენ?
- რომ იცოდე, რა ადგილია, ნებისმიერ დროს შემიძლია მოფრად მოვეწყო მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმში.

სუფრაზე სიჩუმე ჩამოწვა, ფუციაციკიმ გაიცინა.
 — ყოჩაღ! კარგად გამოგივიდა, დიდებული ხუმრობა იყო.
 ტელეაჟინსკიმ მხრები აიჩეჩა.
 — სულ არ გეხუმრები, ამას წინათ დომინიკ პონინსკი ვნახე, იცი, რა მიოხრა? ვარშავაში უცხოეთის საელჩოს გახსნას ველოდები, მაშინვე ინგლისის ან ამერიკის წარმომადგენლობაში მძლოლად მოვეწყობიო, ძალიან საღად მსჯელობს, დომინიკი ბრწყინვალედ მართავს მანქანას; მეც.

ფუციაციკიმ ქვემო ბაგე წამოსწია.
 — იცი რა, ჩემო ძვირფასო, მაპატიე, მაგრამ დიდი ვანსხვავებაა, ინგლისის ელჩს ატარებ თუ პან ოსუბკას, ნუ გადავაქარბებთ, ყველაფერს საღად შევხედოთ.

სტანევიჩის მეუღლემ გადაწყვიტა ყველაფერი ხუმრობაში გაეტარებინა.
 — რა აუტანელი ბრძანდებით! — ნელა დაარტყა მან ფრედს მკლავზე ხელი. — რა კირვეული ბიჭივით ლაპარაკობთ, ვეცდები გაემგზავროთ, რომ არ

განდეთ... დაიცათ, რა ჰქვია იმას? არ გახდეთ პრემიერ-მინისტრის შოფერი.

— გგონიათ, უკეთესი იქნება პარიზსა ან ლონდონში ვატარო ტაქსი?
— დაწყევლოს ღმერთმა! — გაბრაზდა ფუციაციკი.



ხარი, შოფრობის გარდა არაფერი შეგიძლია ამქვეყნად?
— ეს ერთადერთი რამაა, რაც კარგად ვიცი. — მკვახედ უპასუხდა ფრედს.

მა. — გარდა ამისა, დაქირავებულ მოცუკვავად გამოვდგები.
— საგულისხმოა. — გაიცინა ფუციაციკი. — კიდევ რა შეგიძლია?

— ესაა სულ, სხვა არაფერი ძალმიძს. ასე აღმზარდეს.
ფრედსე წამოდგა და თქვა: — მამატივო. — და განზე გავიდა. პანი კასიამ

წარბები ამგება.

— რა მოუვიდა?
— გიყია! — ხელი ჩაიქნია ფუციაციკი. — ყველა ტელეფინსკი შერ-

ყეულია.
ფრედი უკანა მხრიდან მივიდა ბართან. კრისტინამ დაინახა იგი და თავი დაუქნია. წუთში მასთან მიიბრინა.

— რასა იქმ. ფრედ? ისევ „მონოპოლში“ მუშაობ? აქამედე ფხიზელი ხარ?

- როგორც ხედავ.
- ასე მოღუშული რად გამოიყურები?
- ეკ. მომბეზრდა ეს ყველაფერი!
- რა მოგბეზრდა, ფრედ? სასძელი?
- გეყოფა. მომბეზრდა ყოველივე ეს. სულ ელოდები, და არ იცი, რა

მოხდება...

კრისტინამ ყურადღებით, იდნავ გაოცებულმა შეხედა.
— ველარ გცნობ, ფრედ.

ფრედმა მკლავზე ხელი წაავლო.
— ყური დამიგდე, კრისტინა. გონიერი გოგო მგონიხარ...

- მადლობელი ვარ.
- არ გეგონოს, ქათინაურს გეუბნებოდე.
- მითი უმეტეს.
- შენი აზრით, არ ღირს... ოღონდ არ გაგეცინოს.
- სულ არ მეცინება. ჰოდა, რა გინდა ამით მითხრა?
- შაგალითად, მძლოლად რომ დამეწყო მუშაობა?
- რატომ არ ღირს? შენ ხომ ბრწყინვალედ მართავ მანქანას.

ფრედს საზე გაუნათდა.
— ბოლოს და ბოლოს ხომ გავიგონე ჰკვიანური სიტყვა. ოქრო გოგო ხარ.

— ფრედ! — თითი დაუქნია ქალიშვილმა. — გაფრთხილებ, გუშინდელი-

ვით არ გამოთერე.
— არაა გამორიცხული, მაგრამ მაინც ოქრო გოგო ხარ.

- უფრო იმატა ხმაურმა ბუფეტთან.
- სამწუხაროდ, უნდა გავიქცე, ფრედ.
- ერთ წუთს დაიცადე. მე აქ მოხუც ფუციაციკებს ვახლაეარ.
- ჰო?
- იქნებ იცი, ხვალბოგიდან არიან.
- მახსენდება. თუ არ ვცდები, შალალი სფეროს ხალხია. ჰოდა, რაო?

— ძალიან უნდათ შენი გაცნობა. მოდი. მიანიჭე ეს სიამოვნება. კი, მოსაწყენები არიან, მაგრამ...

— კარგი, მხოლოდ მოგვიანებით.

— როცა მოისურვებ.

— აი, ლილვა პანსკა გამოჩნდება და...

— კეთილი! მთელი ღამე მუშაობ?

— კრისტინა შეყოყმანდა.

— ჯერ კიდევ არ ვიცი შეიძლება ადრე გავთავისუფლდე.

— აუცილებლად მიდი მათთან.

— ვინ არის ის პიკონი, ანჯეი? — ჰკითხა ხელმიცემი. აი, ის, დარბაზში რომ მოდის.

ანჯეიმ დღეს პირველად ნახა ტელევიზიის სტანდუიების ოჯახში და მისი გვარი ვერ დაიხსოვა.

— არ ვიცი.

— იცნობ მას. მათთან ზის ხოლმე, შენ რომ მიესალმე.

— ვიცნობ, მაგრამ წარმოდგენა არ მაქვს, რა გვარია.

თეფშზე დარჩენილი ბიფშტექსი გვერდზე გადადო, ღვინო შესვა და წამოდგა. მაცეკვი მოიღუშა და მას გახედა.

— მიდიხარ?

— კო, კარგი რამ ცოტაც გეყოფა კაცს, შენ დარჩები?

— დავრჩები. ნახვამდის.

პოლში ხმაურობდნენ, ერთმანეთს ეხლებოდნენ. ის, ვინც არ აპირებდა „მონოპოლში“ მთელ ღამეს დარჩენას, შინ მიეშურებოდა. რათა საკომენდანტო საათის დაწყებამდე მისულიყო. ანჯეის ცოტა ხანს ცდა მოუხდა, სანამ პალტოს აიღებდა. ირგვლივ აგზნებული, თამბაქოს კვამლითა და ალკოჰოლით გაბრუებული ხალხის ჭედვა იყო. ანჯეიმ პალტო ჩაიცვა და კარისკენ გაემართა, როცა ზურგიდან ქალის დაბალი ხმა მოესმა.

— უკვე მიდიხარ?

შემობრუნდა და, სტანდუიჩის მეუღლე რომ დაინახა, ოდნავ შეეცბა.

— დიახ.

— საწყენია. ჩვენთან არც კი მოხვედით და მოგვესალმეთ.

— ათას რამეზე ვლაპარაკობდით მე და ჩემი ამხანაგი, — უნიათოდ იმართლა მან თავი.

— ამდენ ხანს? აკი თხუთმეტი წუთი გვეყოფათ...

ვაჟმა არაფერი უპასუხა. პანი კასიამ ალერსიანად გაუღიმა და ყურადღებით დააკვირდა. ანჯეი პატარა ბიჭივით გაწითლდა. სტანდუიჩის მეუღლემ გასახდელისკენ გაიხედა.

— რა აუტანელი ორომტრიალია! პალტოს ჯიბეში პორტსიგარი ჩამრჩა. მაგრამ აღარ დაგაყოვნებთ, ალბათ გეჩქარებათ?

— არა, ჯერ კიდევ მოვასწრებ.

— მართლა?

— ნამდვილად.

პანი კასიამ მიიხედ-მოიხედა.

— ძალიან მოწყენილობაა ამ „მონოპოლში“. ეპ, ჩემს ხალხში რომ ვიყო...

ერთხანს ელოდა, ანჯეი რაღაცას მეტყვისო, მაგრამ იგი დუმდა; მაშინ ქალმა გულდაწყვეტილობა არ შეიმჩნია და თბილად, ხმადაბლა გაიციინა.



— არა, აღარ დაგაყოვნებთ. წადით, — ხელი გაუწოდა გამოსამშვიდებლად. — სინდისის ქენჯნა აღარ შემაწუხებს, თუკი საკომენდანტო საათის დამწყობამდე მიხვალთ შინ. შემოიარეთ, გთხოვთ, მხოლოდ მაშინ კი არა, როცა ჩვენი საერთო ნაცნობები გეყოლებათ სანახავი, კარგი?

ანჯეის უნდოდა ეთქვა, სამ დღეში ოსტროვეციდან მივემგზავრებოდით — მაგრამ ბოლო წამს გადაიფიქრა; კითხვაზე პასუხი არ გაუცია. უნიტყვოდ დაიშორა და ქალბატონ კასიას ხელზე ეამბორა.

ერთი წუთის მერე, გარეთ რომ გამოვიდა, დაეკვდა, მართალი ვიყავი თუ არაო. ჩაფიქრებული ნელ-ნელა მიდიოდა, სასტუმროდან გამოსულს მასაც შემოეხვივნენ ჩამოკონკილ-ჩამოფლეთილი ბიჭები, პაპიროსსა და იის კონებს სთავაზობდნენ. ველარ მოითმინა და ისინი თავიდან მოიშორა.

— იყიდეთ, ბატონო დირექტორო, იყიდეთ, — გზა გადაუღობა ყველაზე უმცროსმა გამყიდველებს შორის, იგი დიდი-დიდი ხუთი წლის იქნებოდა.

ეს ბუთბუზა თავიდან მოვიშოროო, ანჯეიმ პალტოს ჯიბეში ხელი ჩაიყო, ფული ამოიღო, ბიჭს ჩაუჩურთა და აზრმოუკრებლად გამოართვა ნამიანი კონა. მერე უცებ გადაწყვიტა, ისევ უკან მიბრუნდა. შემხვედრები გასწი-გამოსწია და სასტუმროში შევიდა. ერთხანს კიდევ ათვალიერა, უშედეგოდ, მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ხელში იები ეჭირა; იები მოჰყლიტა და პალტოს ჯიბეში ჩაიღო. ქუჩაში გავიდა, უკანასკნელი სიტყვებით ლანძლიავდა თავს.

მშვენიერი, თბილი, ვარსკლავიანი ღამე ჩამოდგა. ნაწვიმარზე ტროტუარები გაშრა და აქა-იქ თუ ბზინავდნენ პატარა გუბეები, სამხედრო მანქანების გრძელი მწკრივი იდგა „მონოპოლის“ წინ. მძღოლები უსაქმოდ დადიოდნენ იქით-აქეთ. ერთ მანქანაში რამდენიმე კაცი არაყს სვამდა, მათ ორი მილიციონერი შეუერთდა და სმა განაგრძეს.

„მონოპოლიდან“ გამოსულები ნელ-ნელა იფანტებოდნენ. შინ მისვლა არ ეჩქარებოდათ. ამიტომაც უძნელდებოდათ განშორება, ჯგუფებად გროვდებოდნენ, იცინოდნენ და ბნელში ხმამალლა გადასძახოდნენ ზოლმე ერთმანეთს. ბაზრის ბოლოდან მთვრალების გამკივანი სიმღერა მოისმოდა. ქვაფენილზე მიგორავდნენ ფორნები და მიჰყავდათ აქედან შორს მცხოვრებლები. სადღაც ქალაქის განაპირას, სამი მაისის სახელობის ხეივანში გაისმა ტყვიამფრქვევების მოკლე ჭერი.

სიბნელეში ყველა ხმა ჩაახშო დიქტორის ხმამ. ისევ უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემდნენ.

„...საომარი მოქმედება შეწყდება დღეს, შაბათ დილით, 8 საათზე“.

ანჯეი სწრაფად გაემართა სახლისაკენ და კუთხეში, გვერდით ვიწრო ქუჩაზე პატრულს გადააწყდა. არც იარაღი გააჩნდა და არც საბუთები აკლდა, მაგრამ წამით მაინც ის უსიამოვნო სიცივე იგრძნო, ყოველთვის რომ შემოაწვეოდა ოკუპაციის დროს, როცა გერმანელების პატრულს გვერდით გაუვლიდა ამას გარდა დამამცირებელ სირცხვილსაც გრძნობდა.

იგი არ გაუჩერებიათ, ჯარისკაცები ნელა მიდიოდნენ ვიწრო ქვაფენილზე გაუსწორდა თუ არა მათ ანჯეი, ერთმა მათგანმა ფარანი მიანათა და მაშინვე ჩააქრო. მალე ნალებიანი წაღების მძიმე, თანაბარი ნაბიჯები მოსახვევში მიჩუმდა.

ალექს კარის გასაღები ჰქონდა. საკლიტეში შეყო, მაგრამ არ შედიოდა. ალბათ კარი შიგნიდან დაეკეტათ. ალექსი წამით ჩაფიქრდა. იცოდა, რომ დედა ჯერ კიდევ არ იწვა, მაგრამ დაკაკუნება ვერ გაბედა. წავიდა და სახლს შემოუარა.

ერეკუნული

სამზარეულოს დაგმანული სარკმლიდან რამდენიმე მუხტის მსახურები კიატობდა. დააკაკუნა. არ მოელოდა. მაშინვე როზალიას ფლატუნი გაიგონა. ქალი კართან მივიდა და იკითხა:

— ვინ არის?

— მე ვარ, — ხმას დაუწია ალექსმა.

როცა სახლში შევიდა, როზალიამ კარი მიიჭახუნა. ალექსმა დაუყვირა:

— ნელა მიგეხურა, მთელ სახლს გააღვიძებ.

დედაბერს უკვე გაეხადა და დაწოლას აპირებდა. თავი თბილი სახოცით წაეკრა. გრძელ, ქათქათა ღამის პერანგზე სქელი ხალათი გადაეცვა. იგი დაეჭვებით მისჩერებოდა ალექსს.

— შინ ის ბრუნდება უხმაუროდ. ვინც სინდისის ქენჯნას გრძნობს. მე კი, ჩემდა საბედნიეროდ, არაფრის მეშინია. — ალექსმა მხრები აიჩეჩა და თავ-აღერიღმა გაუარა გვერდით დედაბერს. სახლში სიჩუმე იყო. არ იცოდა, რა ექნა, გაუბედავად გაჩერდა შუა სამზარეულოში.

— უფრო გვიან ვერ მოხვედი? — უთხრა როზალიამ.

— დედას ხომ არ სძინავს?

— აბა რა დააძინებს! სულ იმაზე ფიქრობდა, რატომ არ დაბრუნდაო, ძილი მიეკარებოდა?

ალექსი როზალიასკენ არ იყურებოდა, მაგრამ გრძნობდა, მოხუცი გამომცდელ, გამსჭვალავ მზერას არ აშორებდა.

— აბა წავედი. ღამე მშვიდობისა.

— სად მიდიხარ, საით გაგიწევია, ალექს?

— დავიძინებ.

— ვახშამი არ გინდა? ხომ არ გგონია, ღამით სასადილო ოთახში მოგართმევ, აქ ჭამე. ახლავე გაგიცხელებ.

— არ მინდა ჭამა.

— რას ჰქვია, არ მინდაო. კიდევ რას მეტყვი? ქალბატონმა საგანგებოდ შემანახვინა ვახშამი, შენ უარს ამბობ...

— არა მშია! — გაცეცხლდა ალექსი. — ღამე მშვიდობისა.

როზალია აწრიალდა.

— ოჰ, ღმერთო, ცხელი ჩაი მაინც დაგელია.

— არის?

— არის, აბა არა?

ჩაიდან ნავთქურაზე იდგა და წყალი დუღილს იწყებდა. ალექსმა ხარბად მოსვა ჩაი და ტუჩები დაიწვა. როზალია მდუმარედ მისჩერებოდა. ვაჟმა ერთი მოთქმით გამოსცალა ფინჯანი და განზე გადადგა.

— კიდევ დაგისხა?

— არა, მადლობ. წავალ ახლა. ღამე მშვიდობისა.

— ღამე მშვიდობისა. — უპასუხა მან. თავი დაუქნია და ღრმად ამოიხვნეშა.

პანი ალიცია ჰოლში ელოდა შვილს. დიდი ხანია სამზარეულოს ფანჯრიდან ვარეთ იყურებოდა. ასე ეგონა, მთელი საუკუნე გავიდაო; და ბოლოს, რო-

ცა ჭიშკრიდან ტანხდი ვაყიშვილი დაინახა, თითქოს გულზე ლოდი მოეხსნა. დაბრუნდა. სულ ამას ნატრობდა, ცოცხალი ენახა. მაგრამ მაშინვე გაახსენდა, რა განიცადა. თავს ძალა დაატანა, რომ სამზარეულოში არ გაქცეულიყო, თავში ათასი აზრი უტრიალებდა; იგი შეუდგა ლოცვას და ამ ლოცვაში ჩაქცევდა ტყვი-ვილი და სასოწარკვეთილებს. ფიზიკური და სულიერი ტანჯვა.

თავჩაქინდრულმა ალექმა პოლი გადაქრა და კიბესთან დედა დაინახა, გაჩერდა, მორიდებულად გაუღიმა.

— სალამო მშვიდობისა, — ჩუმად მიესალმა დედას.

პირველად ალიციამ ხმა ვერ ამოიღო. ფერგატეტკილი, მხრებში მოხრილი და გაღახული მოეჩვენა ვაყი; თმა გასჩეჩოდა, თვალის უბეები ამოშავებოდა. ნეტა სად იყო? საიდან მოვიდა? რას შერებოდა ამდენ ხანს? რად დასჭირდა ის ფული? რა ჩაიდინა? მასთან სულ ახლოს, ერთი ხელის გაწვდენამდე იდგა, მაგრამ მისი არაფერი იცოდა. გამოუცნობ საიდუმლოებად რჩებოდა მისი ვაყი, ის პატარა ალექი, მუდამ უცოდველი, უმწიკლო რომ იყო მის თვალში. ქალის მახსოვრობას შემორჩა შვილის საწოლთან გატეხილი ღამეები, სასიხარულო წუთები და წუხილი, და თითქოს უკანასკნელად, ვიდრე საბოლოოდ გაქრებოდა, მის გულში კიდევ ერთხელ იფეთქა სიყვარულმა.

ალექი იდგა თავჩაქინდრული და ჩამოწოლილ სიჩუმეში თანდათან უწით-ლდებოდა შუბლი, ლოყები, ყურები, უკვე ყელზეც სიწითლე ეტყობოდა.

— როზალიამ მითხრა დედაშენი ძალიან შეწუხდაო, მაგრამ ჯერ ხომ ათიც არ არის...

თავი ასწია და დედის მკაცრ მზერას რომ გადააწყდა, ხმა აღარ ამოუღია.

— ალექ!

— რა იყო, დედა?

— არაფერი გაქვს ჩემთვის სათქმელი? სულ არაფერი?

— რა გითხრა, — ენა დაებორკა ვაყს. — კინოში ვიყავით.

— ის ამბავი, ალექ?

— რა?

— რანაირად ქენი ეს? შენ, ჩემო შვილო, ჩემო ბიჭო, ვისიც ასე მჭეროდა და ვენდობოდი. შენ — ქურდი? ჩუმად იბარავ...

— რა გინდა, დედა? — საშინლად გაბრაზდა იგი.

— თვითონ იცი.

— არაფერი ვიცი.

— აღიარებაც არ შეგიძლია? ალექ, ალექ, არ გრცხვენია?

ალექმა გამალებით მოიქექა ჯიბეები. ბოლოს შარვლის ჯიბეში იპოვა დაჭ-მუჭნული ფული.

— აი! — ფული ხელში ჩაუდო დედას. — არაფერი მომიპარავს. დაითვა-ლე.

— რა არის ეს? — ჩურჩულით ჰკითხა მან.

— ის ნასესხები ფულია, სამ-ნახევარი ათასი.

— ნასესხებიო?

— ჩემთვის კი არ მინდოდა, იურეკ შრეტერს სჭირდებოდა ვილაციისათვის გასაგზავნად, მამამისი კი შინ სალამომდე ვერ დაბრუნდებოდა, დაავიწყდა მის-თვის ფულის დატოვება. პოდა, შენთვის უნდა მეთხოვა, შენ კი არ იყავი... კი, შეიძლება ჩემით არ უნდა წამელო, მაგრამ მინდოდა იურეკისთვის მესიამოვნე-ბინა... მაშინვე დამიბრუნა და კინოში წავედიო, ბოლო სეანსზე.

დედა თვალს არ აცილებდა შვილს, ესმოდა მისი შეცვლილი ხმა, უყურებდა სახეზე, შეუქ-ჩრდილივით რომ აღბეჭდოდა განცდები, და გრძნობდა თავისი სიყვარულის მშვენიერებას, შეცდომით დაკარგული დაბრუნების უსაზღვრო და შეუდარებელ სიხარულს.

— ჩემო ბიჭო, — უჩურჩულა ალიციამ და ამდენი ხნის მანძილზე პირველად ატირდა ბედნიერებისაგან.

ალეკი მიიზიდა, მაგრად ჩაიკრა გულში და უმწეო, ჩვილი ბავშვივით მკერდზე მიიხუტა. დედის სინაზემ და ცრემლებმა ისე შესძრა ალეკი, რომ არ განძრეულა, სუნთქვა უქირდა, ოდნავ თრთოდა მხოლოდ, ალიციამ იგრძნო, რომ იგი ცახცახებდა.

— ჩემო ბიჭო, — სახეზე მიეალერსა და გაწეწილ თმაზე ხელი გადაუსვა დედამ. — საშინელი შეურაცხყოფა მოგაყენე. მაპატიე, რომ ასეთი ცუდი რამ ვიფიქრე შენზე. ეს აღარასოდეს განმეორდება. შეუნდობ დედიკოს, ხომ მართალია?

— აბა, რას მეუბნები, დედა, — წაიჩურჩულა მან.

— არაფერია, არაფერი. სიტყვა აღარ მითხრა. ამაზე ნუ იფიქრებ, ჩემო ბიჭო...

სტეფკამ თხუთმეტი წუთი დაიგვიანა. თვალდასიებული მოვიდა, მაგრამ ლოდინით გულგაწვრილებულმა სლომკამ ვერაფერი შეამჩნია.

— რა თავს გაგივიდა, რეგვენო! რამდენ ხანში მოდი-მეთქი, რა გითხარი?

გოგო შუა ოთახში გაჩერდა და სოფლელი დედაკაცივით აბლაგლდა. სლომკა არ ელოდა ამას. „ეშინია ჩემი“, — გაიფიქრა კმაყოფილმა და სიბრაზემ გაუარა.

— აბა, გეყოფა, გეყოფა, ნუ ღრიალებ.

— ოჰ, ღმერთო, ღმერთო! — ხმას აუწია მან. — ღმერთო დიდებულო...

— გეყოფა, სულელო! ხომ ხედავ, აღარ გიჯავრდება.

— გამიჯავრდით, მერე რა! თქვენ არაფერი იცით. ოჰ, ღმერთო, დიდებულო ღმერთო!

სლომკა დაიბნა.

— მაშინ რა გაღრიალებს? სამზარეულოში გითხრეს რამე?

სტეფკამ თავი გააქნია.

— არა? აბა რა მოხდა?

— სტაშეკი მოკლეს. ტყვია ესროლეს. ტყვია ესროლეს ვიგინდარებმა!

სლომკამ თვალეზი ააპარპალა.

— რომელი სტაშეკი? ვინ მოკლა?

— ჩემი სტაშეკ გავლიკი. არ იცნობდით? ოჰ, წყეულიმც იყავით. ავაზაკებო! ღმერთი მოგაგებთ სამაგიეროს...

სლომკა გოგოს გვერდით ფუსფუსებდა.

— სად მოკლეს, როდის, რანაირად? რა საშინელი ამბავია! დაჯექი.

სტეფკა დაჯდა, აქეთ-იქით გაფარჩხულ მუხლებზე იდაყვებით ჩამოეყრდნო და თავზე დიდი, წითელი ხელები შემოიწყო.

— ოჰ, ღმერთო, ღმერთო! — მთელი ტანით თრთოდა იგი.

— დაიცა, რატომ უნდა მოეკლათ?

— მე აბა საიდან უნდა ვიცოდე?

— მომატყუე?
 — როგორ თუ მოგატყუე? შევედი თუ არა სამზარეულოში, ეზიორეკიც იქ გაჩნდა...



— რომელი ეზიორეკი?
 — აი, ის, გუშაგი რომ არის, არ იცნობთ?
 — ვიცნობ, მერე რა?
 — მძლოლებთან დალია საასტუმროს წინ და ჩვენთან შემოიარა.
 — არაყი ხომ არ მოგთხოვათ იმ უსაქმურმა?
 — რა მოხდა ისეთი?
 — არაყი მოითხოვა?
 — ჰო.
 — ალბათ მთერალი იყო. შეეშალა.
 — რას ჰქვია, შეეშალაო. შემოვიდა და გვითხრა: „იცით რა, ნაშუადღევს ორი კაცი მოკლეს შრენიავას ხიდზე“. ამის გაგონებაზე კინალამ გული გამისკდა. „ვინ მოკლეს, ვინ?“ — ჰკითხა ფელეკმა; ამნაირი ამბების საშინელი მოყვარულია. „სმოლარსკი და სტაშეკ გავლიკი“, — უპასუხა ეზიორეკმა. ოჰ, ღმერთო, მუცელში რაღაც ჩამწყდა, ვიფიქრე, დავეცემი-მეთქი. მაშინვე გაათავაო, — გვითხრა. ვიღაც თურმე სხვა უნდა მოეკლათ, ამას კი მოუღეს ბოლო.

სლომკამ კონიაკი დაასხა.

— დალიე, — სირჩა გაუჩოჩა მან.

სტეფკას თავზე ხელები მოეხვია, ირწეოდა და მოთქვამდა. ერთადერთი, რაც შერჩენოდა, ნორჩი, ძლიერი სხეული იყო, და მხოლოდ ამ სხეულით გამოხატავდა ტკივილს. მხურვალე, მომთენთავ სითბოს ასხივებდა მისი ტანი. ქვედა კაბა მუხლს ზემოთ ასჩეჩოდა და თეთრი, ბარაქიანი ბარძაყები უჩანდა. სლომკა ხშირ-ხშირად ინაცვლებდა ფეხს.

— შესვი, კარგი კონიაკია. აბა, რა უნდა ქნა კაცმა. რაც მოხდა, მოხდა.

სტეფკამ თავი ასწია, ცხვირით შეისუნთქა ჰაერი და კონიაკი მოწრუბა. ბოლომდე შესვა.

— კიდევ გინდა?

— დამისხით.

— საწოლზე ჩამოჯექი, უფრო კარგად იგრძნობ თავს.

— უჰ, რა მზრუნველი ვინმეა!

მაინც დაუჯერა და ფართო საწოლზე დაჯდა, მისი სიმძიმისაგან რომ დაბლა დაიწია.

— ვაი სირცხვილო! — ხელი ხელს დაჰკრა სტეფკამ. — მითხარით, გეთაყვა...

— რა გითხრათ?

— განა სხვისგან უნდა გამეგო ეს ამბავი! საქმრო მომიკლეს და მისი ოჯახიდან არავინ მოსულა, არავის უთქვამს ადამიანურად, ასე და ასე მოხდაო. ყველამ იცოდა, სად ვმუშაობ, მაინც არავინ შეიწუხა თავი.

— იქნებ დრო არ ჰქონდათ?

— რას მეუბნებით! იმის დრო ხომ ჰქონდათ, სტაშეკის წინაშე გავეთათხე, როცა იგი გერმანიიდან დაბრუნდა. თხუნელებივით მიწას მითხრიდნენ, და ცილს მწამებდნენ. სტეფკა ასეთია, სტეფკა ისეთიაო. მათ ვინ ეკითხებოდა?

ოპ, მაგათი — უკან გადაიხარა იგი. — კარგი ვილაცები არიან, არ გინდა მოთმენა?

— რა იყო? — ამოიქშინა სლომკამ.

— არაფერი!

ერთი წუთის მერე ნამტირალევ დასიებულ სახეზე ღიმილი გადაეფინა.

— მაჩვენეთ ის წინდები, დაკრძალვაზე ჩავიცვამ, სტაშეკის და შურიო გულზე გასკდება. აბა, ცხვირი რას აუბზეკია იმ უნამუსოს...

— ძალიან სასიამოვნოა თქვენთან ცეკვა.

— ქათინაურებს რატომ მეუბნებით.

— ცდებით.

— არ მითხარით?

— არა, ჩემზე ამბობენ, ცუდად გაზრდილიაო.

— ჰო? ჯერ არ შემიმჩნევია ეს. კარგი ტანგოა, არა? ომამდელ დროს მაგონებს. თუ არ ვცდები, თქვენ და ანჯეი კოსეცკი ერთად ისხედით?

— ჰო.

— თქვენი მეგობარია?

— დიახ.

— ჰოდა, მარტო მიგატოვათ?

— მერე რა, გოგო ხომ არა ვარ.

— გასაგებია. იცით რა, ვიდრე გაგიცნობდით, ცოტა გაბრაზებული ვიყავი თქვენზე.

— ჩემზე?

— ბატონი ანჯეი დაგვპირდა, თქვენთან ვიქნებო.

— მერე, მოსულიყო.

— მგონია, რაღაც საქმე გქონდათ მოსაგვარებელი. მათზე, ვინც აქ არ არის, ლაპარაკი რა საკადრისია. ჯობია თქვენს თავზე მითხრათ რაიმე.

— რა ქუთხით?

— რა ქუთხითაც გნებავთ.

— ვინ არის ის ყმაწვილი კაცი, თქვენთან რომ ზის მაგიდასთან?

— ფრედ ტელეჟინსკი.

— რაღაც არ გამიგონია.

— გრაფია.

— ესაა სულ?

— ღმერთო, ჩემი აზრით, ჩვენს დროში ეს ძალიან დიდი რამაა.

— დახლთან რომ იდგა, იმ ქალიშვილის ბიძაშვილია?

— კრისია როზბიციკსი?

— როზბიციკაა მისი გვარი?

— არ იცოდით? მაგრამ მაპატიეთ. მგონია, თქვენს თავზე უნდა გელაპარაკათ.

— ვილაპარაკებ.

— მართლა?

— რასაკვირველია!

— მაშინ, სამწუხაროდ, მართალი ყოფილხართ.

— როდის?

— ცუდად გაზრდილი ვარო, რომ მითხარით.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

- აი, ხედავთ! შაშასადამე, ბიძაშვილია?
- რა მოსაწყენი ყოფილხართ. განა იმითომ გამოყვანეთ
- ლეჩინსკის სანათესავოზე გაგეგოთ რაიმე?
- უფრო პანი როზბიცკას ამბავი მაინტერესებდა.
- მაშინ სწორად ვერ მოქცეულხართ.
- რას იზამ. მიწყრებით?
- რაღაც მინდა გკითხოთ!
- გისმენთ.
- ბევრი დალიეთ?
- დავლიე, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა.
- არა აქვსო! რა სამწყურბაროა.
- რატომ?
- მაშინ თქვენს საქციელს ალკოჰოლს მივაწერდი და ცეკვას აღარ შევ-



წყვეტილი.

- გინდათ უკან დაბრუნდეთ?
- დიას, დაუყოვნებლივ. ნუ გამაცილებთ.
- კარგი.
- კიდევ რას მეტყვით?
- ძალიან კარგი ტანგოა, არა?
- მგონია, საკმაოდ...
- იქნებ თქვენი მეგობრები გამაცნოთ, პა?

ახალგაზრდა ექიმი დროზდოვსკი, ვარშავის აჯანყების შემდეგ აქაურ საავადმყოფოში რომ მუშაობდა, ვეჭილ კრაევსკის გულწრფელ საუბარს მოწყალებ ღიმილით ისმენდა.

— არა, ძვირფასო ვეჭილო, — უთხრა მან, — ეს ყველაფერი ლამაზად ეღერს, მაგრამ ამას აღარ წამოვეგები.

კრაევსკი აღშფოთდა.

— წამოვეგებო! ეს რა გამოთქმაა? ჩემო აზრით, ამჯერად სავსებით შეუფერებელია.

— ჩემი შეხედულებით კი ძალიან შესაფერისია. აი, თქვენ ამბობთ: ლონდონი, ანგლოსაქსური სამყარო, დასავლეთი, ქრისტიანული ცივილიზაცია, ნამდვილი დემოკრატიის დაცვა...

— სად ხედავ აქ დემაგოგიას? ეს მარადიული, შეურყეველი ჭეშმარიტებაა.

— სიტყვების რაბარუზია, ბატონო ადვოკატო. რამდენ ასეთ ჭეშმარიტებას ვეტყვიან აღმოსავლეთში.

— მაპატიეთ, მაგრამ ასეთ რამეს არა; აი, ესაა მთელი ამბავი.

— ყველა ეს ჭეშმარიტება იქაც მართალი ჰგონიათ.

— ამქვეყნად სიმართლე მაინც უნდა არსებობდეს.

— რა სიმართლე? სიმართლეს დაეძებთ ამ ბალაგანში? რად გინდათ

ეს?

— თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი. ცარიელი სიტყვებია. უნდა სჯეროდეს! რატომ? მირჩევნია საგნებს ფხიზლად ვუყურებდე. უკვე რამდენჯერმე გავისულელებე თავი. მადლობელი ვარ, მეტი აღარ მინდა. ყელამდე მაძლარი ვარ. ვისაც არ ჰყოფნის, მობრძანდეს. ყველა ტყუის, ბატონო ვეჭილო. სანაცია ტყუოდა, იატაკქვეშეთიც. ყველაფერი ტყუილია. ყველა ხელისუფლებას მი-

ელტვის, სიტყვები, ლოზუნგები, ეგრეთ წოდებული იდეები? ვიცი, მათი ფასი...



— ადამიანს რაღაცის უნდა სჯეროდეს, ძვირფასო.

შეღებილი ქერათმიანი ქალი დიდრონ, მიბნედილ და ლამაზ ექიმს, მისი ღვაწად მოყვანილი მრგვალი თავი, მისი მხარეები თმა რომ უფარავდა, შავგვრემანი სახე და კარგად მოხატული ნიკაპი, თმიანი ხელები — ეს ყოველივე და ქალის ალკოჰოლით აგზნებული გონება ექიმს თანამედროვე მამაკაცის იდეალად ხდიდა. თითოეული წარმოთქმული სიტყვა, მისი ხმის ბგერა აძლიერებდა იმ შთაბეჭდილებას, რასაც იგი გარეგნობით ახდენდა.

დანარჩენები პატარა გოგოსავით მოტივტივე ჰანკა ლევიცკას გარს შემოხვეოდნენ, მათი საუბარი სრულებითაც არ აინტერესებდათ. კრაევსკის დაღლილი გამომეტყველება ჰქონდა, სქელი რქისჩარჩოიანი სათვალე მოიძრო და ნელ-ნელა გაწმინდა ცხვირსახოცით; წინ იყურებოდა ბეცი, უფერული, გადმოკარკლული თვალებით.

დროზდოვსკიმ დაუფარავი სიბრაღულით გადახედა.

— ასე, ასე, ვეჭილო, ეს ცხადია, ომმა ბოლო მოუღო ყველანაირ სიმართლეს, ბევრი რამის მხილველები გავხდით, თინბაზებმა და მატყუარებმა დაგვანახვეს თავიანთი საქმე, ამიერიდან ძნელია ჩვენი გაცურება.

ვეჭილი სათვალეს წმენდდა

— ჰოდა, რაღა დაგვრჩენია?

— ბევრი რამ, ვეჭილო, უხდა ვიცხოვროთ.

— მართლა? სრულფასოვანი ცხოვრება, დინამიზმი, ისევე élan vital?

— რას მიქვია élan vital? ნუთუ არ შეიძლება ამ ფორმულების, ეპითეტებისა და ლამაზი ფრაზების გარეშე უბრალოდ, დაუფიქრებლად იცხოვრო?

— ეჰ, რა გიოხრათ; იმის მტკიცებას, ამასა და ამას აზრი არა აქვსო, თვითონ აქვს აზრი.

— და მაინც?

— რა კარგად თქვით! — წამოიძახა ქერათმიანმა ქალმა.

ვეჭილმა სწრაფად გაიკეთა სათვალე.

— გეტყვით, ეს რა არის, — და მაგიდას თითი დაჰკრა.

— ნიჰილიზმია? — გაიცინა ექიმმა.

— უარესი, სიკვდილია, ასეა, ასე, ნუ იცინით, ეს ავადმყოფობა კი არა, სიკვდილია.

— ბატონო ვეჭილო! — შეედავა ქერათმიანი ქალი.

კრაევსკიმ მოუთმენლად შეაქანა მხრები.

— სიკვდილი, სიკვდილი, — ხაზგასმით გაიმეორა მან და მთელი სხეულით გადააწვა მაგიდას, თითქოს ამით თავისი მსჯავრის სამართლიანობასა და შეურყეველობას განამტკიცებდეს.

მაგრამ დროზდოვსკიზე ამას არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია.

— ძალიან ვწუხვარ, ბატონო ვეჭილო, მაგრამ სრულებითაც არ მიმაჩნია თავი მკვდრად, მინდა საღად ვაზროვნებდე და ქვეყანას ვარდისფერი სათვალით არ ვუყურო. ცხოვრება როგორიცაა, ისე უნდა აღიქვა, და აქედან განსაზღვრული დასკვნები გამოიტანო.

— წარმომიდგენია, რა დასკვნები იქნება, — წაიბურტყუნა ვეჭილმა.

1. სიცოცხლით ტკბობა (ფრანგ.).

— ძალიან უბრალო დასკვნები. თქვენ, ბატონო ვეჟილო, თუ არ ვცდები, მორწმუნე კათოლიკე ბრძანდებით.

— დიახ.

— ჰოდა აი! მაშასადამე, ჩემი აზრით, თქვენთვის სულ ერთი არ ვეჭვება, სად აღმოჩნდებით სიკვდილის შემდეგ: ცაში თუ ჯოჯოხეთში? ვეჟილმა სათვალე გაისწორა.

— ამას ასე რატომ აუბრალოებთ, ჩემო ბატონო, შუა საუკუნეები ხომ არ არის. რასაკვირველია, მჭერა უმაღლესი სამართლიანობისა...

— მე კი არა მჭერა. ამ მიმართებით არაფერი ვიცი და, რაც მთავარია, არც მინდა ვიცოდე. ასევე არაფერი მესაქმება აქაურ იდეოლოგიასთან. მინდა უბრალოდ ვიცხოვრო, ესაა და ეს. ჰო, ბოლოს და ბოლოს რაზე ვდავობთ, პან ვეჟილო? განა თქვენ, ჩვენ შორის დარჩეს, იგივე არ გინდათ?

ვეჟილმა პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, მათ სუფრასთან კოტოვიჩი მივიდა, იგი მაშინვე დასვეს.

— უჰ! — დაჯდა ის და თავისი ლამაზი, წინ წამოწეული შუბლი მოიწმინდა. — ვერ წარმოიდგენთ, რას სჩადიან სეიფერტი და კოხანსკა. დაუჯერებელი ამბავია!

ჭიქაში ცოტა ღვინო დაისხა, სოლიანი წყალი დაამატა და ნელ-ნელა მოსვა. ყველა ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა მას.

— რა მოხდა? ვინ მოკლეს?

— არავინ მოუკლავთ, მაგრამ საშინელი ამბავია. კაცი შიშველია, ქალს კი საგარეო კაბა აცვია...

ჰანკა ლევიცკამ ცისფერი „მიამიტი“ თვალეები დააჭყიტა.

— შიშველიო? რა გინდათ ამით თქვით?

— რასაც ვამბობ, — გაეცინა კოტოვიჩს. — შიშველი, გადაუქარბებლად გეუბნებით. შესანიშნავი სცენაა! ოდნავ გრძელი და დამღლევი, მაგრამ ღირს მისი ნახვა.

— რატომაა შიშველი? — იკითხა ჰანკა ლევიცკამ.

ყველას სიცილი აუტყდა. ლევიცკა გაიბუტა.

— რა გაცილებთ? სულელური ხომ არაფერი მითქვამს. რა საზიზღრები ხართ. ძვირფასო დირექტორო. — მიუბრუნდა იგი კოტოვიჩს. — რატომ დამცინიან?

— ლამაზი ხართ, — უპასუხა მან. — მომხიბვლელი!

— მართლა? მაგრამ ესენი სხვა თვალთ მიყურებენ, დამცინიან...

ქერათმიანი ქალი მეზობლისაკენ გადაიხარა.

— დააკვირდით, რანაირად იპრანკება.

დროზდოვსკიმ გულგრილად აიჩეჩა მხრები.

— თუკი სიამოვნებს...

— მოგწონთ? ყველანი მოხიბლული არიან.

კაცს არაფერი უთქვამს, მხოლოდ უფრო ახლოს მიიწია მასთან. ქალმა მისი ცხელი სუნთქვა, ნიკოტინისა და ღვინის სუნი იგრძნო.

— ასე ნუ იქცევით... — უჩურჩულა ქალმა.

— ნუთუ ასე გედარდებათ, რას ფიქრობს ხალხი?

— არა.

— ჰოდა, მაშინ რა მოხდა?

— ნამდვილად მიდიხართ იმ კვირაში?



ქართული
ლიბრეოთეკა

— მივდივარ.
— ტოვებთ საავადმყოფოს?
— ცხადია. აქ არაფერი მესაქმება.
— საით აპირებთ?
— დასავლეთში. ქვემო სილეზია, ვროცლავი, ლუბლინის რაიონში, რა მოხდება. დადგა დრო. დიდი არეულ-დარეულობაა, საარვისო მიწაა. ახლა იქ ყველაფერს იშოვნენ, რასაც მოისურვებ.

— მშურს თქვენი, — ამოიოხრა ქერათმიანმა.
დროზდოვსკიმ მუხლები შემოაჭდო ფეხზე ქალს.
— ამ საქმეს მოევლება.
— ასე გგონიათ?
— რა თქმა უნდა.
— ქმარი რას იტყვის?
— ოჰ, ეს ქმარი! ისიც კი არ ვიცით, ცოცხალია თუ არა.
— ასე ნუ მელაპარაკებით.
— ცოცხალი რომ იყოს, კაცმა არ იცის, როდის დაბრუნდება და, საერთოდ, დაბრუნდება კი?

კოტოვიჩი კრავესკის მიუჯდა.

— როგორაა საქმე? — ჰკითხა ვეჩილმა. — არის?

კოტოვიჩმა ხელები გაასავესავა.

— აღარ ვიცი, რა ვქნა. ზუსტად ათის ნახევარზე ფული უნდა მქონდეს. კარგად მიცნობთ, პან ადვოკატო, ჯერ არ ყოფილა, ვინმე მომეტყუებინოს. დრო რაკი დავთქვი, მიწა რომ გამისკდეს...

— რამდენადაც ვიცი, არ გამსკდარა.

იმპერესარიომ კვლავ ხელები გაშალა.

— ოჰ, ღმერთო! ხვალ დილით ჩემი ხელით მოგიტანთ ფულს. არ დაგაღალატებთ.

გვერდით გაღიმებულმა სტანევიჩის მეუღლემ გაიარა, ხელმიცკი თან ახლდა. კოტოვიჩი სავარძლიდან წამოხტა და თავი მდაბლად დაუკრა.

— ხედავთ, რა ბიჭი გამოუქვრია ჩვენს მაიორის მეუღლეს?

— პოლკოვნიკის მეუღლეს, — შეუსწორა კრავესკიმ.

— ანდერსმა სტანევიჩს პოლკოვნიკობა უბოძა.

— რას მელაპარაკებით? არ ვიცოდით. მარტოა ქალბატონი?

— ფუციანტისკი ახლავს.

— ოჰ, რა თქმა უნდა, ყოველთვის დიდ ხალხში ტრიალებს.

კოტოვიჩმა შეუმჩნევლად მიიბრუნა თავი. პანი კასია თავის ამხანაგებს აცნობდა ხელმიცკის.

ლილი პანსკა ათ საათზე მოვიდა. სწრაფად გადაკრა ბარი, კრისტინას გაუღიმა და ბუფეტის იქით, დერეფანში გაუჩინარდა. კრისტინა მაშინვე უკან გამოედევნა. ლილიმ საზაფხულო, სპორტული პალტო გაიძრო.

— როგორა ხარ, გენაცვალე? სამუშაო ბევრია?

— ოჰ, ნუ იტყვი. შემეშინდა, ვაითუ აღარ მოვიდეს-მეთქი.

— წარმოგიდგენია, ძილს თავი ვერ ავართვი, — გაიცინა ლილიმ. — ნაშუადღევს მერე მძინავს, თითქოს ვირზაზუნა ვიყო. მითხარი, სახე დასიებული მაქვს?

— რას ამბობ, საუცხოოდ გამოიყურები.

ლილიმ ჩანთიდან საჯარცხელი ამოიღო და თავისი შავი ფერის, ხშირი, ხუჭუჭა თმის ვარცხნა დაიწყო.

— ყური დამიგდე, გენაცვალე... — უთხრა კრისტინამ.

— რა იყო?

— ძალიან გეწყინება, დღეს თერთმეტ საათზე რომ გავიპარე...

— გაგიყდი? შაბათს? რა მოგივიდა? ავად ხომ არა ხარ?

— არა.

ლილიმ ყურადღებით შეხედა.

— მაშ, რა მოხდა?

— არაფერი, მინდა ადრე წავიდე.

— ოჰ, კრისტინა...

— ჰო...

— გამოტყდი.

— რა გითხრა?

— ბიჭია?

კრისტინა მოეხვია და ლოყაზე აკოცა.

— რა მიძნევედრი ხარ, ლილეჩკა!

— მაშ ბიჭია?

— შესაძლოა.

— ლამაზია მაინც?

— ერთი სასაცილო, საოცრად თავდაჯერებული ვინმეა.

— შენც ახალ ამბავს მეუბნები. ლამაზია-მეთქი?

— ნუ გეშინია, არ შემიყვარდება.

— ამის იმედი კი მაქვს. ვინ არის? ვიცნობ?

— ალბათ არა.

— არა? ვინ შეიძლება იყოს? გევედრები, კრისტინა, მითხარი, ვაკვდები

ცნობის მოყვარეობისაგან, რა ჰქვია?

— არ ვიცი და რა გითხრა.

ლილიმ თვალები დააჭყიტა.

— როგორ თუ არ იცი?

— მართლა არ ვიცი.

— არ იცი, რა ჰქვია?

— ნამდვილად არა, და ეს სრულებით არ მაწუხებს, ამას რა მნიშვნელობა აქვს? აბა ჰა, გადაწყვიტე? იმ შაბათს თავისუფალი იქნები.

— დაიკარგე! — წაიბურტყუნა ლილიმ და საბუღალროს მისწვდა. — სულელო! გაგიშვებს ბებერი?

— აბა გაბედოს და არ გამიშვას, აბა ნახვამდის! ამაზე სიტყვა არავისთან

დაძრა, კარგი?

ლილიმ დარბაზში დაბრუნდა და მაშინვე ხალხი შემოეხვია. მაგრამ ქალმა მაინც თვალით მონახა ხელმიცკი. იგი მაგიდასთან აღარ იჯდა, დიდი დარბაზიდან აღარ ისმოდა მუსიკის ხმა. ნეტა სად გაქრა? ქალი აწრიალდა, მაგრამ მაშინვე თვალი ჰკიდა ხელმიცკის: იგი ფუციტიცკის სუფრასთან იჯდა, ბუფეტისათვის ზურგი შეექცია და ფრედს ესაუბრებოდა.

ოკუბაციის დროს ვეიხერტს ლონდონის მთავრობასთან ჰქონდა კავშირი. ახლა კი ვერ ასწონ-დასწონა, ვის მიკედლებოდა და ისევ დემოკრატიული პარ-

ტიის წევრობა არჩია. სვენცკისთან მეგობრული ურთიერთობის წყალობით ქალაქის საბჭოში კარგი თვალთ უყურებდნენ, მაგრამ არ იცოდა, როგორ შეიცვლებოდა მდგომარეობა, როცა ახლა ბურგომისტრს დანიშნავდნენ. ამიტომ ამ ბოლო დროს ცდილობდა პოლონეთის მუშათა პარტიის წევრებს დაახლოებოდა. პოდგურსკის, მის გვერდით რომ იჯდა, იგი თითქმის არ იცნობდა პოდგურსკის ხეობივით ბევრს სვამდა, მაგრამ მაინც ცოტას ლაპარაკობდა. იჯდა მოლუშული, ფიქრებში ჩაძირული, და თუმცა ვეიხერტი ბევრს ეცადა ლაპარაკი გაეხა, მის გულგრილობასთან ვერაფერი გააწყო.

ვეიხერტი არ იყო ექვიანი კაცი, მაგრამ მისდა უნებურად გაიფიქრა, პოდგურსკის ჩემზე ექვი ხომ არ აქვსო. დაუყოვნებლივ მოიშორა თავიდან ეს აზრი, მაგრამ ექვი ექვად რჩებოდა, გუნება გაუფუტდა. განწყობილება რომ შეცვლოდა, ერთი სირჩა არაყი კიდევ გამოსცალა. ვარშავის „ბრისტოლის“ ლამაზ-მა იუზიომ მაშინვე შეუესო ჭიქა.

უფრო თავისუფლად გრძნობდნენ თავს დარბაზში მყოფნი. ხმამაღლა ლაპარაკობდნენ სუფრის თავსა და ბოლოში, იცინოდნენ, ხელებს აქნევდნენ. სასმელი გულწრფელობისაკენ უბიძგებდა ხალხს.

სახეწამოქარხლულმა, თმაგაწითლებულმა დრეენოვსკიმ გვერდით მჯდომ-მთან დაძმობილების სადღეგრძელო დალია: იგი, მუშაკაცი — მატუსიაკი ბიალიში, ცემენტის ქარხნის პროფკაეშირის ქარხნის მდივნად მუშაობდა, დრეენოვსკი მისკენ გადიხარა და მთვრალი კაცის გულახდილობით უთხრა:

— იცი რა, ძმაო, ძალიან ძნელი ცხოვრება გამოვიარე. შენც, ხომ?

— პო, — ჩაიბურღლუნა მან. — მაგრამ არა უშავს, მაგარი ვარ.

— აი, ხედავ! მეც მაგარი ვარ, მაგრამ კმარა, ჩვენი დროც მოვიდა, ახლა ზემოთ ვსხედვართ.

მატუსიაკმა შავი, ძალზე გამოკვეთილი წარბების ქვეშიდან შეზღა.

— ოპ, ოპ! ჯერ ბევრი რამაა გასაკეთებელი.

— გაკეთდება.

— იცნობდი სტაშეკ გავლიკს?

— გავლიკს? ვინ არის?

— ამხანაგია.

— მერე რა?

— დღეს მოკლეს.

— ნუ იდარდებ ისედაც მალლა ვართ. აი, ნახავ, ქარხნის დირექტორად თუ არ დაგნიშნონ.

მერე იგი პენიონეეკს მიუბრუნდა და მხარზე ხელი მოუთათუნა.

— უპ, რა სიფათი გაქვს, პენიონეეკო...

იგი ჩუმად იჯდა მაგიდასთან, ისე მობუზულიყო, თითქოს იმას ფიქრობდა, რაც შეიძლება პატარა ადგილი დავიკავო.

— აი, ნახავ, პენიონეეკ, თუ ამ ყმაწვილს დირექტორად არ დანიშნავენ, ყველანი დირექტორები ვიქნებით. შენ თავმჯდომარედ დაგსგამენ. საით მიდიხარ, თავმჯდომარე?

ჟურნალისტი თვალებს აფახულებდა, უცნაურად არხევდა ხელ-ფეხს მაგიდის ქვეშ, რაც ალბათ იმას ნიშნავდა, რომ ფეხზე წამოდგომას აპირებდა.

— დაჯექი, თავმჯდომარე! საით გაგიწევია?

— არსად, — წაიბურტყუნა პენიონეეკმა. — სიტყვა მინდა ვთქვა.

სვენცკიმ სკამი გაიჩოჩა მაგიდიდან და მაიორ ვრონას ზურგს უკან ორი კა-

ცის იქით მჯდომარე პავლიცკის გასძახა:

— ბატონო რედაქტორო!

პავლიცკი მაშინვე მიხვდა, რაში იყო საქმე, მაგრამ მაინც შეყოყმანდა:

— მაინც რაო?

სვენცკიმ თავი დაუქნია.

— ახლავე წამოდი, დადგა დრო.

— რა მოხდა? — ჩაეკითხა ვრონა.

— სულ უბრალო რამაა, — უპასუხა სვენცკიმ.

ამასობაში პენიონეეკი გამხიარულებულმა დრეენოვსკიმ წამოაყენა, ამ საქმიანობამ კი ისე გაიტაცა, რომ ვერ შეამჩნია: მის გვერდით უცებ უზარმაზარი ტანის პავლიცკი აისვეტა.

— გაიწიეთ იქით, — დრეენოვსკისკენ დაიხარა იგი. — აბა, სწრაფად...

დრეენოვსკიმ უნებლიეთ უკან დაიხია.

მაშინ პავლიცკიმ პენიონეეკს მკლავზე ხელი სტაცა და სანამ იგი აზრზე მოვიდოდა, დარბაზიდან გარეთ გააბრძანა. მხოლოდ დერეფანში გაუწია პენიონეეკმა წინააღმდეგობა, მაგრამ პავლიცკი უკვე აღარ ებოდინებოდა. ვიდრე ბებერი იურგელუშკა ტუალეტის კარს გააღებდა, მან მოკრუნჩხულ პენიონეეკს მხარი ჰკრა და შიგ შეაგდო. მოხუცმა ქალმა სწრაფად გადაუკეტა კარი, თავის ადგილზე დაბრუნდა და სვიტრის ქსოვა განაგრძო, როცა ტუალეტიდან უცნაური ხმები მოესმა, ძლიერი გარტყმა რომ გეგონებოდა. მოგუდული თავის წრიპინსაც გაარჩევდა კაცი. მერე კაბინის კარმა გაიჭახუნა და სიჩუმე ჩამოვარდა.

ცოტა ხნის შემდეგ პავლიცკიმ თავისი ფართო, გაყინვილილებული სახე კარში გამოყო.

— მომეცით საპონი და პირსახოცი.

მოხუცმა ქალმა მაშინვე მიართვა. პავლიცკიმ პიჯაკის სახელოები აიკაპიწა და ნელა, გულმოდგინედ დაიბანა ხელები, სარკეში ჩაიხედა, გვერდზე გადაწეული პალსტუხი გაისწორა და თმაზე სველი ხელი გადაისვა.

იურგელუშკამ ამაოდ მოავლო თვალი ტუალეტს, ის მეორე კაცი არსად ჩანდა. კაბინებიდან ბაიბური არ ისმოდა. პავლიცკიმ ერთხელ კიდევ ჩაიხედა სარკეში და პიჯაკი გაისწორა. კმაყოფილი გამომეტყველება ჰქონდა.

— ყველაფერი რიგზეა! აქ მუშაობთ, ბებია?

— დიახ, ბატონო.

— დიდებულია! თვალი გეჭიროთ, არ გაუშვან ეს ნაძირალა. აქ ჩავკეტე, — კაბინისაკენ ხელი გაიშვირა მან. — იჯდეს, ვიდრე არ დავბრუნდები. მინისტრმა სვენცკიმ ასე გვიბრძანა, გასაგებია?

— გავიგეთ, ბატონო. მაგრამ...

— „მაგრამ არ გამაგონოთ! „მაგრამ“ არ არსებობს. უნდა იჯდეს, მორჩა და გათავდა.

— ნება თქვენია, ბატონო.

— დაიმახსოვრეთ ეს.

პავლიცკიმ ჭიბეში ხელი ჩაიყო, დაკმუჭნული ასიანი ამოიღო და მოხუც ქალს გაუწოდა. იურგელუშკამ თავი დახარა.

— მადლობელი ვარ, დიდებულო ბატონო.



მატუსიაკი გაფხორილი იჯდა, თავზე ხელი შემოედო. დრევნოვსკი პენიონ-
ჟეკის გაუჩინარების შემდეგ გონს მოეგო და მატუსიაკს მხარზე ხელი დაჰკრა.
— აბა რად მოგიწყენია, ჩემო ძმავო? გვეყოფა, რაც ვიტანჯეთ, ჩვენი
დრო მოვიდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მატუსიაკმა უხეშად გასწია მისი ხელი.

— მოძეშვი.

დრევნოვსკიმ სულელურად ჩაიციხა.

— დალიე, კაზეკ...

— მოძეშვი, თორემ ერთს მაგრად ვითავაზებ. გესმის შენ?

იგი ფეხზე წამოხტა, თითქოს დარტყმას უპირებსო. დრევნოვსკი გაფითრ-
და. მეზობლებმა დააწყნარეს მატუსიაკი.

— დამშვიდდი, კაზეკ! არ გრცხვენია?

— თქვენ გგონიათ, დავთვერი?

— არ დამთვრალხარ, მაგრამ ამ ცინგლიანთან რა საქმე გაქვს?

ბოლოს და ბოლოს იგი დააწყნარეს. მძიმედ დაეშვა სკამზე, მაგიდაზე თა-
ვი დახარა და გაშავებული ნაჭაფი ხელები შემოიწყო.

— კაზეკ! — მუშტი ჰკრა ამხანაგმა.

მან მხრები აიჩეჩა, თავი უფრო ჩაქინდრა და მწარედ აქვითინდა.

— ოჰ, ღმერთო, კაზეკ, რა მოგივიდა?

— რა უნდა მომსვლოდა? კარგად ვარ...

უკან რომ ბრუნდებოდა, პავლიცკი სვენცკის გამოელაპარაკა.

— ყველაფერი რიგზეა, ბატონო მინისტრო.

სვენცკის თავი არ მიუბრუნებია, მეგობრულად ჩამოართვა რედაქტორს
ხელი.

მადლობელი ვარ, ამას არ დაგივიწყებთ.

როდესაც პავლიცკი ისევ თავის მაგიდას მიუჯდა, თვალწინ წარმოუდგა
რედაქტორის ოთახი ვარშავაში. „ხანდახან ეს პენიონჟეკიც გამოგადგება ხოლ-
მე კაცს“. — გაუელვა მას თავში.

ამასობაში ვეიხერტიმა ერთხელ კიდევ სცადა პოდგურსკი ლაპარაკში ჩაეთ-
რია. მეგობრულად გადაიხარა მისკენ.

— გეტყობათ, დღეს გართობის გუნებაზე ვერ უნდა იყოთ.

— დავიღალე, — მოუჭრა პოდგურსკიმ.

— მეც, — მაშინვე აყვა ვეიხერტი. — ძალიან ბევრი ვიმუშავეთ დღეს,
ალბათ გამიგეთ, სვენცკის გამგზავრებასთან დაკავშირებით. მაგრამ უნდა ვით-
ხრათ, ასეთი შეხვედრა ერთგვარი დასვენებაც კია. მახსოვს, ომის დროს...

პოდგურსკი არც კი ცდილობდა იმის გაგებას, რას ლაპარაკობსო. ვერაფ-
რით დაედლია შინაგანი წინააღმდეგობა და საერთო სუფრულ განწყობილება-
ზე დამდგარიყო. გავერთობოთ, როგორც კი იფიქრებდა, მაინც იმას დაუწყებ-
და კირკიტს, რაც შჩუკასაგან კოსეცკიზე გაიგო. არა, კოსეცკიზე არ იყო ლაპა-
რაკი, განა უკანასკნელ წლებში ცოტა გულის აცრუება გზნიცადა? ცხოვრებამ
უხეშად ჩამოხადა მოჩვენებითი ფარდა მრავალ ქეშმარიტებას, ჩამორცხა
გრიმი და მყრალი ლეში დაახაბა. ადამიანებსაც იგივე მოუვიდათ. ყველანი,
გულგრილებიც კი, უფსკრულში გადაყარეს, და იქ, ქვეყნიერების დასასრულს,
როცა თითოეული წუთი საბედისწერო შეიძლება ყოფილიყო, უნდა მიეღოთ
გადაწყვეტილებები, კეთილ განზრახვებს ან განყენებულ იდეალებს კი არ აპ-
ყოლოდნენ. არამედ თავისი შეურყვნელი ბუნებისათვის დაეჭერებინათ. მაგრამ

ეს მწარე გამოცდილება ხომ წარსულს ჩაბარდაო, გაიფიქრებდა ხოლმე ხანდახან, მაგრამ ნამდვილად ასე არ იყო. ჩამომდგარი მშვიდობით არაფერი მთავრდებოდა, იგი არც არაფერს აღუდგებოდა წინ. და თუმცა დუმდნენ ნარბაზები, დღისით აღარ გეშინოდა კაცს, ღამით არ ზუზუნებდნენ ბოძებზე, არ აღარ ენთო ხანძრები, დახოცილებისა და ცოცხლების იმედებით აღსუქვით ვაჭრებზე ხულზე კაცობრიობა სასიკვდილოდ ავადმყოფი. საშინლად ზმუნდნენ ხეხუტის ხისხლს გაეყლინთა ყოველი გოჯი მიწა ევროპაში. ვინ იცის, რამდენი მილიონი კაცი დაიხოცა. იძინონ მშვიდად. მათი წამებული სიკვდილი იოლი მოგვეჩვენებოდა ცოცხლად დარჩენილთა ხვედრთან შედარებით, გული და სული რომ მოუკლეს. დამარცხებული დამნაშავეები თავიანთ მსხვერპლთა არსებაში ცოცხლობდნენ. რაზე აღმართა თავისი დროშა გამარჯვებამ? ნანგრევებსა და საფლავებზე, გაქვლილ ადამიანურ ღირსებასა და შიშით ატანილ. სიცოცხლის წყურვილით აღსავსე საცოდავი, დასახიჩრებული გნომების ბრბოზე. პოდგურსკიმ იცოდა, რომ ამის გარდა კიდევ არსებობდა სიმართლე ამქვეყნად. ამ ბოლო წლებში რამდენი რამ განიცადა, მაგრამ კაცმა მაინც შეინარჩუნა ადამიანის რწმენა და საქმით დაამტკიცა ეს. ბევრი გადარჩა. „გადარჩენილები არიან, — თავს ძალას ატანდა იგი. — იციან ერთმანეთის ამბავი, მარტონი არ არიან. ძალა აქვთ, ბრძოლის ძალა. კაცობრიობას ჭერ კიდევ არ უთქვამს უკანასკნელი სიტყვა. ბრძოლა გრძელდება“. მაგრამ გრძნობდა, რომ ახლა არც რწმენა გააჩნდა და არც ბრძოლა შეეძლო. არა, ადამიანებსა და ცხოვრებაში ეჭვიც კი არ შეჰპარვია. უცებ პატარა კაცად იგრძნო თავი იმისათვის, რათა დიდი რამ ჩაედინა და მსხვერპლი გაეღო, რასაც მისგან ცხოვრება ითხოვდა. ეჭვი ღრღნიდა...

ვეიხერტმა დაინახა, რომ პოდგურსკი არ უსმენდა, და გაჩუმდა. „ალბათ არ მოეწონვარო“. — ახლა საბოლოოდ ირწმუნა თავისი ნაფიქრალი. როსტბიფს გემო ვერ ჩაატანა, კუჭში სიმძიმეს გრძნობდა. „არ უნდა მექამა ის გველთევზა“, გაიფიქრა მან.

შჩუკას წინაშე თავი რომ გაემართლებინა, კალიცკიმ შეწყვეტილი საუბარი განაგრძო.

— მომისმინე, სტეფან. — ჩუქად დაიწყო მან. — დიდი ხანია მიცნობ, იცი ჩემი ცხოვრება; ამიტომ სწორად გამიგე...

- მგონია, კარგად მესმის შენი, — ამოიბურტყუნა შჩუკამ.
- დაიცა! ბავშვობიდანვე ვებრძოდი რუსეთს.
- შეფის რუსეთს.
- თექვსმეტი წლის ჩამსვეს ციხეში.
- შერე რა?
- შეურაცხყოფას არასოდეს ივიწყებს კაცი.

— რას ნიშნავს შეურაცხყოფა? — აღშფოთდა შჩუკა. — პირველად პოლონეთის საპატიმროში ვიჯექი. ამიტომ განურჩევლად მთელი სიცოცხლე ნაწყენი უნდა ვიყო პოლონეთზე?

კალიცკიმ თავი გააქნია.

— ეს არ არის ერთი, სამშობლოს არ ირჩევენ.

— ისტორიასაც არ ირჩევენ. მაგრამ ადამიანი იმიტომ ცოცხლობს, სამშობლოც გადააკეთოს და ისტორიაც. არა, არ მჯერა, რომ აქამდე მიგიყვანა შენმა თეორიამ. რა მოგივიდა? შენ სოციალიზმის იდეების ერთგული. გაკაფე-

ბული კაცი ისეთ არგუმენტებს იშველიებ... მაპატიე, მაგრამ მაინც უნდა გითხრა: ჩვენი მტრის არგუმენტებს იყენებ. პოდა, ვინ იქნები ხვალ?

კალიცკის თავი დაბლა დაეხარა და პურის ნამცეცებს სრესდა

— ხვალ? საბედნიეროდ, უკვე იმ ხნისა ვარ, აღარ ვფიქრობ. ხვალ ვინ ვიქნები.

— მართლა ვერ ხედავ განსხვავებას საბჭოთა კავშირსა და რუსეთს შორის?

— რატომ ვერ ვხედავ? არის განსხვავება. სხვა წყობილებაა. არ უარვყოფ, არის განსხვავება.

— მაშინ?

— მაგრამ რად გინდა? რუსეთის იმპერიალიზმი, რუსული მტაცებლური სული იგივე დარჩა. არა, არა! — ხელი გააქნია მან. — წინასწარ ვიცი, რას მეტყვი: არ მჭირდება თქვენი პროპაგანდა. მე ჩემი ვიცი, აღმოსავლეთი ყოველთვის აღმოსავლეთია. ამის შეცვლა შეუძლებელია. აი, ნახავ, ორიოდ წელიწადში პოლონეთი აღარ იქნება. გაქრება ჩვენი სამშობლო, ჩვენი კულტურა, ყველაფერი...

ეს რომ წარმოთქვა, ხმა გაეზარა და გაჩუმდა. ცოტა ხანს შჩუკაც დუმდა.

— მეცოდები, იან, — წაიჩურჩულა ბოლოს მან, — წაგებულება შენი სიცოცხლე.

კალიცკი შეკრთა და წელში გაიმართა.

— შეიძლება ასეც იყოს, — თავს მოერიო იგი. — მაგრამ ჩემი სიცოცხლე მხოლოდ მე მეკუთვნის. პოლონეთს კი აი, თქვენ აგებთ.

კალიცკის შემყურე შჩუკა მიხვდა, ძველი მეგობარი ვერ გაიგებდა იმ სიტყვებს, მას რომ უნდა წარმოეთქვა. არაფერს ნიშნავდა დიდი ხნის მეგობრობა, საერთო მოგონებები და საერთო ბრძოლა ოდესღაც საერთო მიზნებისათვის. ახლა ისინი სხვადასხვა სამყაროს ეკუთვნოდნენ, უცხოთა და შორეულს. ის სამყარო, რომლის ერთგულიც კალიცკი დარჩა, წარსულში დაინთქა. პაუ, რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ის სამყარო თავისუფლებას ემსახურებოდა. ისტორიამ დიდი ნაბიჯები გადაადგა წინ, მაგრამ ამას თითქოს კალიცკი ვერც ამჩნევდა და ვერც ხვდებოდა. დრო მისთვის გაიყინა, ისტორიული მოვლენები კი არ იცვლებოდნენ. რა ეთქვა შჩუკას? აეხსნა, რომ ქვეყანა, რომელმაც რევოლუციას ადამიანების მთელი თაობა შესწირა, ახლა, როცა დადგა დრო თავისი საუკეთესო შეილების სისხლით ეზლო თავისუფლებისათვის, რაღაც უფრო დიდისათვის იბრძვის, რაც საკუთარ საზღვრებს სცილდება? ეს ეთქვა კალიცკისათვის? ან პოლონეთის ტრაგიკულ ბედზე ელაპარაკა, საბჭოთა ჯარისკაცს თავისუფლება რომ არ მოუტანა?

— ძნელია შენთან კამათი, — უთხრა მან.

— არც არის საჭირო, — მოკლედ უბასუხა კალიცკიმ.

მაგის თავში ჩაფლულმა ვეიხერტმა შავი ფიქრები გადაიყარა და სიტყვის თქმა გადაწყვიტა. ჭიქაზე დააკაკუნა და წამოდგა.

პოლში ნაბიჯების ხმა რომ გაიგონა, პანი ალიციამ სასადილოდან თავი გამოყო.

— შენ ხარ, ანჯეი?

იგი კბეხთან გაჩერდა.

— მე ვარ.

— ერთი წუთით დამელოდე. — სთხოვა ქალმა და ოთახში შევიდა. იგი მაშინვე უკან დაბრუნდა, ხელში ფული ეჭირა.

— ეს რა არის? — გაიოცა ვაჟმა.

პანი ალიცია გაწითლდა.

— არ გახსოვს? დღეს რომ მომეცი.

— ოჰ, გამახსენდა. უკან მიბრუნებ? ხომ გითხარი, ამაზე არ უნდა ვაპრობო რაკი-მეტქი. დაიტოვე, დედა. რა სახსენებელია.

— არა, არა! აიღე, ძალიან გთხოვ.

ეს ისე უთხრა, ანჯეი ველარ იუარებდა.

— შენი ნებაა, — წაიბურტყუნა მან და ფული ჯიბეში ჩაიღო.

ქალი გრძნობდა, რომ ანჯეის აწყენინა, მაგრამ რანაირად აეხსნა მისთვის: არ უნდოდა და არც შეეძლო ამ წყველად ფულის დატოვება.

— ივახშმე? — გაუბედავად ჰკითხა ალიციამ.

— ჰო.

→ ხვალ რას იზამ...

— რა უნდა ვქნა?

— ხვალ კვირაა. შინ ისადილებ?

ანჯეი შეყოყმანდა.

— ვნახოთ. შეიძლება მოვიდე.

— აბა შენ იცი. მამას გაუხარდება. იშვიათად გხედავს.

— კარგი, — ამოღერლა მან. — შევეცდები. ღამე მშვიდობისა, დედა.

— ღამე მშვიდობისა, — ჩურჩულით უთხრა ქალმა.

ზემო ოთახში ბნელოდა. ყურთამდე ღია ფანჯრიდან ვარსკვლავებით მოკედელი ცა მოჩანდა. ოთახში გაზაფხულის მიწის სურნელება იდგა, ღამეული სიცივე გამხნევებდა კაცს.

ანჯეის სინათლე არ აუნთია. ერთ წუთს კიდევ დაიცდიდა ღამის სიჩუმეში. მაგრამ ფანჯარასთან მისვლა ვერ მოასწრო, ვარსკვლავებით განათებულ ფანჯრის რაფაზე მჭდარი ძმა დაინახა.

ალექს თავი მუხლებზე დაედო, მარტო საცურაო ტრუსი ეცვა.

— არ გძინავს? — უხალისოდ წაიბურტყუნა ანჯეიმ.

ალექმა თავი ასწია, მაგრამ არაფერი უთქვამს. გამხდარი ტანი ბნელში სპილენძისფრად უბზინავდა. ანჯეი გზაში სკამს წამოედო, რომელზეც ალექს ტანსაცმელი და თეთრეული ეყარა. გაბრაზებულმა სკამი გვერდზე მოისროლა და გამომრთველთან მივიდა.

— აბა, მოუსვი აქედან! — უხეშად უთხრა ალექს. — შუქი უნდა ავან-თო.

ალექი უსიტყვოდ, უხმაუროდ ჩამოვიდა ძირს და ფანჯარა მიხურა. ფარდა ჩამოუშვა. ანჯეიმ სინათლე ჩართო, ვიწრო ოთახში მაშინვე ჩამოიხუთა. ალექი ფანჯარასთან იდგა, მკვეთრმა შუქმა თვალი მოსკრა. გამხდარი ბიჭი სწორედ იმ ასაკში იყო, როცა უზომოდ გრძელი ხელ-ფეხის გამო სასაცილო სანახავია. ანჯეიმ ავი მზერა შეავლო ძმას, ზურგი შეაქცია და გაიხადა.

ორივე ლოგინი გაშლილი იყო. ანჯეიმ პიჯაკი თავის ლოგინზე დადო, კიდზე ჩამოჯდა და ფეხსაცმელების გახდას შეუდგა; მარჯვენა იოლად გაიძრო. მარცხენას გახდა კი ყოველთვის უძნელდებოდა. წვალობდა და თან ალექის მზერას გრძნობდა. ანჯეიმ შეხედა, მაგრამ ალექმა თვალი აარიდა.

— დალაზვროს ეშმაკმა, რას მომჩერებინარ? წადი. დაიძინე!



ქართული

ლიბრერი

როგორც იქნა, გაიძრო ფეხსაცმელი, მაგიდის ქვეშ შეაგდო, წამოდგა და წინდებიანი სააბაზანოში შევიდა, იქ შუქი არ ენთო, ნათურა გადამწვარიყო. ანჯემ ვიწრო სარკმელი გამოალო.

ბნელში მოჩანდა უახლოესი ვილა. პირველი სართულის ფანჯრები გამოელდოთ და სინათლე გამოდიოდა — ვილის შიდა ოთახებში შუქი ენთო. რამდენიმე კვირა სახლში საბჭოთა ოფიცრები ცხოვრობდნენ. სიჩუმეში გარკვევით ისმოდა მათი ხმები. ხანდახან გეგონებოდა, ერთი ხელის გაწვდენაზე არიანო. ეღერდა უცხო სიტყვები. ხმამაღლა იცინოდნენ. ეღარუნებდა ბალალაიკა. სუფთა ტენორმა სიმღერა წამოიწყო.

განათებულ კარის ზღურბლზე ერთი რუსი გამოჩნდა, ნელა გადაიარა ოთახი და ღია ფანჯარასთან დადგა. ანჯემ მისდა უნებურად უკან დაიხია სააბაზანოში. რაფაზე ჩამოყრდნობილი რუსი კაცი ღამეს მოეჭადოვებინა, წყნარად, მშვიდად რომ სუნთქავდა. ყმაწვილუ კაცის შესახედაობა ჰქონდა. გადაღელილ თეთრ პერანგში ნათლად ინაკვთებოდა მისი მაღალი, უძრავი სხეული.

ანჯეი მას მისჩერებოდა. ეს იყო მისი მტერი? ერთი ბარბაროსთაგანი, მილიონობით რომ შემოსეოდნენ ევროპას დასაპყრობად? ასეთი ფიქრები მოსდიოდა თავში. მაგრამ უცებ სიმპათია იგრძნო ამ უცხო, უცნობი კაცისადმი, მისთვის ასე ახლობელი რომ გამხდარიყო. ნეტა რას ფიქრობდა ახლა სამშობლოს, სახლსა და შინაურებს მოცილებული, ამ უცხო, მტრულ მხარეში გადმოვარდნილი ეს რუსი ყმაწვილი კაცი? რატომ ჩამოშორდა ამხანაგებს და განმარტოებას ეძებდა? ყველაფერი მიჯნავდა ანჯეის იმ რუსისაგან, მაგრამ ამასთან თითქოს ყველაფერი აახლოებდა. რა იყო აქ მართლაც ანგარიშგასაწევი? მტანჯველი, დახლართული ისტორიული საბუთები თუ აი, ეს ჩვეულებრივი ადამიანური მეგობრობისა და ბუნდოვანი სოლიდარობის უბრალო გამოვლინება კიდევ უფრო ბუნდოვანი და გაურკვეველი მყობადის წინაშე? უცებ საშინელი დაღლილობა იგრძნო. რის მომასწავებელი იყო ეს წუთები? არავინ იცოდა.

ფანჯარა მოხურა, ბნელში სწრაფად გაიხადა და შხაპთან მივიდა. ოთახში რომ დაბრუნდა, ალექი დაწოლილი დახვდა, პირი კედლისაკენ მიებრუნებინა. ანჯემ შუქი ჩააქრო და დაწვა. დიდხანს იწვა, ძილი არ ეკარებოდა; ხელები თავქვეშ ამოედო. უცებ ალექი შეინძრა.

— ანჯეი! — წაიჩურჩულა მან.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ალექი ლოგინში წამოჯდა.

— გძინავს, ანჯეი?

იგი გაცოფებული წამოხტა.

— ბოლოს და ბოლოს მომეშვები თუ არა, დაგწყევლოს ღმერთმა!

ანჯეი კედლისკენ გადაბრუნდა და თავზე საბანი გადაიხურა. ალექი დუმდა. ანჯემ თვალი დახუჭა. მაგრამ გრძნობდა, დიდხანს არ დაეძინებოდა. გავიდა თხუთმეტი წუთი, შეიძლება მეტიც. ბოლოს ჩასთვლიმა, როცა ჩუმი, ყრუ მოთქმა მოესმა. პირველად ეგონა. მომეჩვენაო. თავი ასწია. მერე საბანი გადაიძრო, ფეხშიშველმა ფრთხილად შემოუარა სიბნელეში მაგიდას და ძმის საწოლთან მივიდა.

— ალექ! — ალერსიანად უთხრა მან.

ალექი აღარ ტიროდა. ბალიშში თავჩარგულს ფეხები მოეკეცა. საბანი იატაკზე ეგდო. ანჯემ წამოაყენა; წამით ყოყმანობდა. მერე საწოლის კიდებზე ჩამოჯდა და ძმისკენ გადაიხარა.

— რა მოგივიდა ალექ?
 მოეხვია და თავისკენ შემოაბრუნა; იგრძნო, რომ ბიჭი ცახცახებდა.
 სახეზე გრძნობდა ძმის მხურვალე, ცრემლით სველ სახეს, მღელვარების-
 გან ყელი უშრებოდა.



— ალექ!
 უნდოდა უფრო მაგრად ჩაეკრა იგი გულში, მაგრამ ალექს შეეშინებოდა და მთელი ძალით უბიძგა ძმას.

— წადი!
 — ალექ—
 — წადი!
 ალექი საწოლის კუთხეში. კედელთან მიიყუება და ნადირივით გაიტრუნა.
 თვალები უალავდა, სუნთქვა გაუხშირდა, ანჭეიმ ხელი გაიშვირა მისკენ.

— ალექ!
 მან ხელი ჰკრა ანჭეის.
 — წადი-მეთქი, გესმის შენ! — დაუყვირა ჩაბლეჩილი ხმით. — მძულ-
 ხარ, მძულხარ...

დარბაზში სინათლე ჩაქრა და ორკესტრის იქით დადგმულმა რეფლექტორ-
 მა ცარიელი საცეკვაო მოედანი გაანათა, აღარ ისმოდა ლაპარაკი, იქით მაგი-
 დებთან მსხდარი სტუმრები წამოდგნენ, ორკესტრმა ტუში დაუკრა, ვიდრე მუ-
 სიკა მიწყდებოდა, ხალხით გაჭედოლ გასასვლელში, ბარსა და დიდ დარბაზებს
 შორის, ტაში დაუკრეს.

ჰანკა ლევიცკა ძლივს მოიკვლევდა გზას, კოტოვიჩი წინ მოუძღვოდა, ბო-
 ლოს ქალიშვილი საცეკვაო მოედანზე გამოვიდა, ყოველი მხრიდან ატყდა ტა-
 შისკვრა, ქალიშვილი მადლობას იხდიდა და გაოცებული, ოდნავ გაუბედავად
 იღიმებოდა, ხალხით გაჭედოლი დარბაზი, სადაც სიბნელე ჩამოწოლილიყო და
 მტრედისფერი თამბაქოს კვამლი დაცურავდა, ახლა უფრო დიდი გეგონებოდა,
 ვიდრე მაშინ, როცა კარგად იყო განათებული, მიწყდა ტაშისცემა, ჰანკა ლე-
 ვიცკა ერთ წუთს არ განძრეულა, ხელები ჩამოუშვა თეთრ, გრძელ კაბაზე, შეწყ-
 უდა ლაპარაკი, ირგვლივ სრული სიჩუმე ჩამოწვა, და მან ორკესტრს თავი და-
 უქნია, ვიოლინოებმა სიმღერის პირველი ტაქტები დაუკრეს.

ჩურჩულმა გადაუარა დარბაზს, მსმენელებმა ამოიოხრეს და გაბევედნენ.
 ვინ არ იცოდა ეს ჰანგი? ყველგან მღეროდნენ ამ სიმღერას: ქუჩებსა თუ ეზო-
 ებში, მატარებლებსა თუ რესტორნებში, ომის დროს შობილი სიმღერა ყველას
 პირზე ეკერა, ხსოვნაში აცოცხლებდა გარდასულ ომის წლებს, ადიდებდა ბა-
 რელსა და მთიელ ბიჭებს, სიმღერა რომანტიკული წუხილითა და სიამაყით იყო
 სავსე, ეს სიმღერა უცვლელი რეფრენივით გაისმოდა იმ წლებში სისხლითა და
 ცრემლით მორწყულ მიწაზე, როგორც ოდესღაც, ჭარისკაცები დადიოდნენ
 ტყეებსა და ქალებში, დახოცილთა თავებთან იშლებოდა თეთრი ვარდები,
 ბრძოლის ველზე ისმოდა სიმღერა ნათლიდეთა ომზე, ვისთვისაც არაფერს და-
 იშურებდნენ ლამაზი ულანები, ახლაც ლამის წყვილიადიდან ჭერარნახულად გა-
 წამებულ მიწაზე, სევდიან მიწაზე აჟღერდა ეს გულისშემძვრელი სიმღერა, გა-
 იშალა თეთრი ვარდები, მაგრამ ულანები აღარ მიაჭროლებდნენ ცხენებს,
 მუსრს აღარ ავლებდნენ მტერს, ხვატსა და წვიმაში მიდიოდა ქვეითი ჭარი, ისე-
 ვე კვდებოდნენ ქალიშვილები, დედამიწას უბედურება ატყდებოდა თავს,

14. „საუბნე“ № 7

თუმცა არაფერი იცვლებოდა იმ ქვეყანაში, ილუზიას აყოლილები იოლად სწირავდნენ თავს.

მოჯადოებულს ჰგავდა დარბაზი. სიჩუმეში, სუნთქვაც რომ არ ისმოდა, გაიჟღერა ჰანკა ლევიცკას ბავშვურმა, სუფთა, გულის ამაჩუყებელმა ხმამ.

იგი მღეროდა:

ნუ იშრიალებთ, ტირიფებო, გეყოთ შრიალი,
თქვენი შრიალი ახლა ნეტავ რაში გვარგია.
ნუ ტირი, ჩემო საყვარელო, კარგო გოგონი,
პარტიზანობა კარგი არის, მართლა კარგია!

ეროვნული
ბიზლიცისეკა

მნიშვნელობა არ ჰქონდა მომღერლის გრძელ კაბას, პარკეტსა და რეფლექტორების კაშკაშა სინათლეს. ჩვეულებრივი, უბრალო ქალიშვილი იყო; ასეთი ათასობითაა პოლონეთში, მეკავშირეებად მუშაობდნენ, დაჰქონდათ აკრძალული პრესა და ინსტრუმენტები, იარაღი და ფული, იზოცებოდნენ, ილუბებოდნენ ვარშავის ბარიკადებზე, მათთვის — ქერათმიანი და ტანად ქალიშვილებისათვის თხზავდნენ სიმღერებს, საკუთარი ცოლებისა და სატრფოების ახლად აფეთქებული სხეულები უყვარდათ ყმაწვილებს, სიკვდილ-სიცოცხლის ფასად რომ სწავლობდნენ ცხოვრებას. ტყეთა სიღრმეებიდან, თითქოს იმ წლების გულიდანო, ისმოდა გულითადი სიტყვები:

უკრავს მუსიკა, საცეკვაოდ გვიწვევენ ჩვენა,
ბუნკერებზე კი ჭურვები სკდება.
დაქრის სიკვდილი, ცელავს და ცელავს...
ყველა პარტიზანს ღიღება, ქება!

თითქოს ძილქუში დასწოლიათო, ისე გახვევებულიყვნენ ადამიანები ირგვლივ, ჩაბნელებულში ისხდნენ და თამბაქოს ბოლს ისუნთქავდნენ. თავები დაეხარათ და ხელები შემოეწყობთ, ყურადღებით უსმენდნენ ერთმანეთს, ყველა ერთ წერტილს მისჩერებოდა; ზოგიერთს თვალებზე ცრემლი მოსდგომოდა. ზოგს კიდევ მზერა გაყინოდა და ვერაფერს ხედავდა. მთვრალ ხალხს ღვინო განელებოდა. სიმღერამ, პატარა გოგონა რომ მღეროდა, თითქოს დრო მოაბრუნა, გააცოცხლა უსიამოვნებასა და უაზრობაზე, უხეშობასა და სისულელეზე, ალკოჰოლზე, იაფ საყვარულსა და იოლად ნაშოვნ ფულზე, ბუნდოვან ილუზიებსა და ამო მოლოდინზე, ამ დახლართულ ცხოვრებაზე გაცვლილი წარსული, რომელსაც, ვინ იცის, საით მიყავდი და რა მოჰქონდა: სიკვდილი თუ იმედი? მოგონებებით ცოცხლობდა ხალხი. აღდგა გარდაცვლილთა ხმები, გაჩნდნენ გარდაცვლილთა აჩრდილები, მიწის პირისაგან აღგვილი სახლები, პეიზაჟები, ყველამ დაიწყო საკუთარ ბედ-იღბალზე ფიქრი, მაგრამ სიხარულს არ ანიჭებდათ იმ წლების გახსენება; სიცოცხლე მაინც გრძელდებოდა: დაბლა, მაღლა, გვერდით.

დამთავრდა სიმღერა, გაჩუმდა ორკესტრი, მაგრამ მოხიბლული ხალხი არ განძრეულა. სიჩუმე ჩამოდგა, ყველამ სული განაბა. მხოლოდ მერე დაუკრეს ტაში — თავდაპირველად მორიდებულად, ეგერ-აგერ, რაც მქუხარე ოვაქციად იქცა. აინთო სინათლე.

VII

ანტონიმ ძლივს გაახილა თვალი; ოფლში გახვითქულს გული ყელში მობჯენოდა. უცებ ვერ მიხვდა, სად იმყოფებოდა. ირგვლივ სიბნელე ჩამოწო-

ლილიყო. სიჩუმე იდგა, მაგრამ ანტონი ვერ ისვენებდა, უნდოდა ეყვირა. ებღავლა. ისე მკაფიოდ ესმოდა ის ყვირილი, თითქოს იქვე გვერდით, ბნელში კაცი ყვირისო. იგი საწოლზე ჩამოჯდა, საშინელი ყვირილით გატყეხებულ თავზე ხელები შემოიწყო. მაინც ესმოდა ყვირილი. თავის ქალაქში ამიანობდა და სიბნელე პასუხს აძლევდა. ისე მაგრად შემოიჭირა თავზე ხელები, რომ ასტკივდა. ცივი ოფლი დაასხა საფეთქლებზე, გალიგვებულნი შეეძინა. წებოიანებოდა. მთლად კანკალებდა ხელები მოათათურა, საბანს ეძებდა. ჭერ ხეშეში ზეწარი მოხვდა ხელში. მერე საბნისპირი. საბანი რომ წამოიხურა, მაშინ იაზრა, რომ შინ იყო. ცოლთან იწვა გერმანელების მერე დარჩენილ საწოლზე.

გვერდით ეწვა ალიცია: აუჩქარებლად. წყნარად სუნთქავდა. ანტონი დაიბარა და მის წყნარ სუნთქვას ყური მიუგდო. ქალმა თითქოს იგრძნო, ამოიოხრა და გაინძრა. კაცმა თავი ვასწია. მაგრამ ალიციას არ გაღვიძებია. ისევ ეძინა.

ანტონი კვლავ ცახცახებდა. უფრო შემოიკეცა საბანი. მაგიდაზე მალვიძარა ტიქტიკებდა. მხოლოდ ახლა გაიგონა კაცმა ტიქტიკი და უსაზღვროდ გაოცდა. ამაზე მეტი სიმშვიდე შეიძლებოდა? ღამე. ჩაძინებული სახლი. გვერდით ცოლს სძინავს. საათი ტიქტიკებს, დრო კი შემოტრიალდა და სადღაც შორს, წარსულში იყინება. წინათაც არაერთხელ გაღვიძებია ღამით, მაგრამ იმის სურვილი არ გასჩენია, ძილი გაეგრძელებინა. უყვარდა მარტოობის ეს წუთები, მარტოობას რომ არ აგრძნობინებდა. იოლად შეეძლო მოეხილა თავისი უდრტვინველი და ჩუმი ცხოვრება. ღამეული სიჩუმე, ჩაძინებული სახლი და ალიციას თანაბარი სუნთქვა განაწყობდა კიდევ ერთხელ წარმოედგინა გარდასული წლები. იმ შორეულ წლებში ისეთი არაფერი მომხდარა, რომლის მოგონებაზე სინდისის ქენჯნა ეგრძნო. არაფერი იყო ისეთი რისთვისაც ხაზი უნდა გადაესვა, სირცხვილი ეგრძნო და რამე დაემალა.

მაგრამ ამ ბუნდოვანმა მოგონებამ შვება ვერ მოუტანა. სქელმა, დაბამბულმა საბანმა ზურგი და მხრები კი გაუთბო, მაგრამ მაინც კანკალებდა. დაღლილობას გრძნობდა. მაგრამ დაწოლის ეშინოდა. დახუჭვა თუ არა დამძიმებული თვალის ქუთუთოები, მაშინვე შვება იგრძნო; წყევდიადში ისე დაინთქა, როგორც უჩქამო სიცარიელეში. უცებ იგრძნო, რომ აღარ ცახცახებდა, არაფერს ფიქრობდა. თავი მუხლებზე დაიდო. სიჩუმე, სიმშვიდე. უცებ შეკრთა. ვიღაცამ ბნელში დაიყვირა. წამოდგა და სმენად იქცა. სახლთან დაიყვირა ვინმემ? აბა ქუჩაში? ჭერ ეგონა. მომესმავო, მაგრამ მერე მიხვდა: მის არსებაში ისმოდა ყვირილი. ისმოდა გულ-მკერდში, ყელში, საფეთქლებში, გალახული კაცის ყვირილს ჰგავდა, მოიბუზა და გახევდა, თითქოს უძრაობით ლამობდა ჩაეხშო ეს ხმა. „გაივლის...“ — გაიფიქრა მან. ხელები ისე მაგრად მომუშტა, რომ ფრჩხილები ხელისგულებში ჩაესო. მაგრამ ყვირილი ძლიერდებოდა. იზრდებოდა, მთელ მის არსებას ავსებდა. გრძნობდა, რომ ერთი წამიც და — ჩამოწოლილი სიბნელე, ღამე, რომლის მარწუხებში იყო მოქცეული, იბღავლებდა. ველარ აიტანა ეს, წამოხტა და თვითონ დაიყვირა.

პანი ალიციას მაშინვე გაეღვიძა. დაჯდა და ნამძინარევა ხელის ცეცებით მოძებნა ჩამრთველი. ბოლოს იპოვა და შუქი აანთო.

მძიმე, ზორზოხი ანტონი გვერდით საწოლზე დაჩოქილიყო. ფერგამკრთალი ახლა სულ სხვა ვინმე გეგონებოდა. ზოლებიანი პიყამა ეცვა, საზიზღრად თავგადაპარსული ციხიდან გამოშვებული ავაზაკი გეგონებოდა. კაცმა

როცა უჩვეულოდ გაფართოებული, გამოცივებული თვალი მიაბჯინა, ქალმა მისდა უნებურად უკან დაიხია.

— ჩააქრე! — გაუგებრად ჩაიბურღუნა კაცმა.

მაშინვე გაუგონა. ისევ სიბნელე ჩამოწვა ოთახში. ანტონი არ განძრულა. ბალიშზე გადაწოლილი ალიცია ხედავდა გვერდით მჯდომი ქალის მორივით უზარმაზარ ტანს.

გვიწოდებდა

— ანტონი!

მას ხმა არ ამოუღია.

— რა მოგივიდა?

— არაფერი.

ქალმა, როგორც იქნა, თავი მოთოკა: ხმა აღარ უთრთოდა.

— რატომ არ წვეები?

ანტონი დაწვა. კვლავ სიჩუმე ჩამოწვა.

— ანტონი...

— რა იყო?

— სიზამრი ნახე?

— ალბათ, მაგრამ არ მახსოვს.

— ყვიროდი.

— მართლა?

შენმა ყვირილმა გამაღვიძა.

ძალიან მწყინს.

მშვიდად, გარკვევით გამოთქვამდა სიტყვებს. შიშს აღარ გრძნობდა. ყველაფერში გაიარა. სიმშვიდე დაეუფლა. გულადმა იწვა თვალდახუჭული. ცდილობდა თანაბრად ესუნთქა და დასძინებოდა. თუმცა იცოდა, არ დაეძინებოდა. აუტანელი იყო მისთვის იმის შეგრძნება, რომ ცოლი გვერდით ჰყავდა. ნეტა რას ელოდება? იმის ნაცვლად, რომ დაწვეს და დაიძინოს, ისე ზის, თითქოს ვინმეს ელოდებოდეს. რას უნდა ელოდეს? არ სჭირდება ალიციას მზრუნველობა. არ სჭირდება მისი სიკეთე და სიყვარული. მისი არაფერი უნდა, მხოლოდ ოდესღაც უახლოეს ადამიანებს შეუძლიათ ისე უცხო გახდნენ ერთმანეთისთვის, რა უცხო და შორეული იყო ახლა მისთვის ეს ქალი, ცოლქმრულ სარეცელს რომ უყოფდა. რა იცოდა ქალმა მისი? ოპ, რა სასაცილოდ ეჩვენებოდა ალიციას წუხილი და სიბრაღე! რა ფასი ჰქონდა ქალის საუკეთესო შეგრძნებებსა და სურვილებს. და ანტონიმ უცებ იგრძნო, რომ სწორედ სიკეთის, ერთგულების, სინაზისა და თავდადებისათვის შეეძლო ქალის შეძულება. მიხვდა თუ არა ამას, მაშინვე შვება იგრძნო; სიძულვილისაგან ლამის სული შეეხუთა და ღრმად ამოისუნთქა.

პანი ალიცია გაიხძრა.

— არ გეძინება?

— არა.

ქალი დუმდა მაგრამ კოსეცკიმ იცოდა: ალიცია ერთ კითხვას არ აკმარებდა, და მოთმინებით ელოდა. ათასნაირი აზრი უტრიალებდა თავში. ჯერ კიდევ არ იცოდა, როდის და რანაირად მოუკლავდა გულს ცოლს, მაგრამ იმის შეგრძნება, რომ ამას აუცილებლად იზამდა, სინარულით ავსებდა.

ამის საშუალება მალე მიეცა.

— ანტონი!

— რა იყო?



— რაღაც უნდა გკითხო...

- გისმენ.
- იქნებ ხელს გიშლია ძილი გინდა?
- არა, გისმენ.

ქალი შეყოყმანდა. დღისით გამბედაობა არ ეყოფოდა უბარს ვერ წამოიწყებდა. ახლა სიძნელემ გაათამამა.

- სულ ამას ვფიქრობ.
- რას ფიქრობ?
- ყველაფერს რატომ მიმალავ, ანტონი? მე ხომ ვიცი...
- რას გულისხმობ, „ყველაფერსო“ რომ მითხარი?
- იმას, რაც თავს ვადაგხდა...
- ჰო!
- მე ხომ ვიცი, რამდენი სიძნელე შეგხვდა, რა საშინელება გადაიტანე. მაგრამ იმის სურვილი რომ გაგჩენოდა...
- რისი სურვილი?
- ადრე, როცა ცუდი ამბავი შეგხვდებოდა, ყოველთვის მეტყუიდი ხოლმე, აღარ გახსოვს?
- ჰო?
- დაგაუიწყდა?
- ალბათ.

ალიციას ხმა აუკანკალდა.
 — განა ახლა შენთვის სულ უცხო ვარ? ვერაფრით დაგეხმარები?

ქალმა ისევ წაუყრუა. „ატირდება“, — გაიფიქრა კაცმა, მაგრამ ალიცია

- არ ატირებულა.
- ჩვენ ხომ ბედნიერები ვიყავით, ანტონი, — ჩუმად უთხრა ალიციამ. ამას მეუბნები! ვიყავით ოდესღაც... წარსული ყოველნაირად ატყუებდა კაცს. მისთვის ცხოვრება, როგორც ჩანს, უცვლელი რამაა, ერთ კალაპოტში რომ მიედინება.
- განა არა?
- რა?

— ოცდაორ წელიწადს კარგად ვეწყობოდი ერთმანეთს, ანტონი. იგი დუმდა. ოცდაორ წელიწადსო? ასევე შეეძლო ეთქვა: ათ წელიწადს, ოცდაათ, ორმოც წელიწადსო. იგივე აზრი გამოდიოდა, ვინაიდან ყველაფერი უაზრო იყო. ქალი ვერ ხვდებოდა, რომ ცხოვრება ტანისამოსის დამბალი დამბალი ნაფლეთებივით შეიძლება ხელიდან გაგისხლტეს. უცებ გაქრა სიძულვილი, უგზოუკვლოდ აირთქლდა. სიძულვილსაც არავითარი აზრი არ ჰქონდა. ორი დღე და რჩენოდა ანტონის, მერე კი ყველაფერი დამთავრდებოდა. სამშაბათს შჩუკას შეხვდება და იმ წუთიდან კოსეცკი აღარ იქნება. ყველაფერი, რაც ამ გვარით გაუკეთებია მრავალი წლის განმავლობაში, ბუმბულივით მსუბუქი და უმნიშვნელო აღმოჩნდება იმ სიმძიმესთან შედარებით, რომლითაც რიბიცკის გვარის კაცი გადასწონის სასწორს. თვალწინ წარმოუდგა სასამართლო დარბაზი და ბრალდებულთა სკამზე მჯდარი თავისი თავი, როცა მათ ჩადენილ დანაშაულთა გრძელ სიას წაიკითხავდნენ. მერე უკანასკნელ სიტყვას მისცემენ. წარმოიდგინა ფართო, მაღალქერიანი დარბაზი, რომელშიც ამდენი წელია ყოველდღე ასამართლებდა იდამიანებს. რას იტ-

ყოფდა თავის გასამართლებლად? ყველაფერსა და არაფერს, სიცოცხლესთან შედარებით რა უსიცოცხლო ეჩვენებოდა ახლა სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები! თავის სიცოცხლეში შიშით უნახავს და ათასი სისამართლეც გამოუცდია. ჩვეულებრივი ადამიანური შიში, ცხოვრებამ ასწავლა. როგორ ჩაბლა-უჭებოდა სიცოცხლეს, ასწავლა ზიზლი და სიძულვილი. ცხოვრება კანონს მიღმა არსებობდა. სისხლის სამართლის კოდექსის მშრალი მუხლები ამ უფსკრულის ძალა დაცურავდნენ. კაცის გაწირვაზე იოლი რა იქნება? მაგრამ რისი ძალით? სამართლიანობის ძალით? თავში არეულ აზრებს შორის ერთი წინადადება გამოიკვეთა: „მაღალო სასამართლო...“ ადამიანების გროვა, მოსამართლეთა მანტიები, ჯვარი, სიჩუმე, ისე გარკვევით ესმოდა საკუთარი ზმა, თითქოს ჩამოწოლილი სიბნელე რეზონანსს აძლევდა სასამართლოს დარბაზს. „ისეთი ადამიანური შეცდომებიც არსებობს, — მშვიდად და ხმამაღლა ლაპარაკობდა იგი. — რომ, სამართლიანობა მოითხოვს, ეს შეცდომები სამართლიანობის სამსჯავროზე განვიხილოთ...“

პანი ალიცია მიუახლოვდა:

— ანტონი!

„მაინც რა არის სინდისი“? — გაიფიქრა კაცმა. არ გრძნობდა სინდისის ქეჩნას, სინდისისო? ბუნდოვანი ცნება? ცარიელი ბგერა, კიდევ ერთი უმნიშვნელო სიტყვა.

— არ გძინავს?

— არა.

— ნუ დარდობ...

— რას მეუბნები, — რბილად უთხრა ანტონიმ.

— ასეთი გულჩახვეული, უთქმელი რომ არ იყო, გაგიადვილდებოდა ცხოვრება. მეც უკეთესად ვიქნებოდი. — დაუმატა პანი ალიციამ ჩუმად.

— ასე გგონია?

— რა თქმა უნდა. რაც შეიძლება ვცდილობ, მშვიდად იყო, კარგად დაისვენო. მაგრამ ხომ ვხედავ, იტანჯები. მინდა რამენაირად დაგეხმარო, ანტონი. ხანდახან ასე მგონია, რომ ხელს გიშლი და, საერთოდ, არ გკირდება.

— რა მითხარი? ცოტა ხანს მარტო მინდა დავრჩე. თითქმის ხუთი წელია ეს არ მღირსებია.

— გცემდნენ? — ჩურჩულით ჰკითხა ალიციამ.

— როგორც ყველას, — ცოტა ხნის მერე უპასუხა კაცმა. — განსაკუთრებით ადრე.

— მერე ისე აღარა?

— ჰო, ისე არა. გააჩნია, ვის როგორ.

სიბნელე და სიჩუმე წამით თითქოს წონას ართმევდა მათ სიტყვებს. ანტონის წამით მოეჩვენა, რომ რასაც ლაპარაკობდა, არავის ესმოდა.

— მერე შესაძლებელი იყო, სხვა გეცემა კაცს, — დაფიქრებულმა თქვა ანტონიმ.

ალიცია უცებ ვერ მიხვდა.

— სხვა? გერმანელები?

— ოჰ არა! ტუსაღები, პოლონელები, ფრანგები, რუსები, ვინ არ იყო იქ.

სადღაც შორს, ღამის სიბნელეში გაისმა მოკლე-მოკლე გასროლა. კოსეკი იდაყვებზე წამოიწია.

პალი — ვერ გაიგე?

— ვერა. როგორ შეიძლება სხვა სცემო?

„მხოლოდ სიკეთე შეიძლება ასეთი მიაშიტი იყოს“, გაფიქრა ანტონიმ.

— ჩვეულებრივად. — წყნარად უთხრა კაცმა. — თუ გაგიმართლებდა და ამისი სურვილიც გქონდა, კაპო გახდებოდი. იცი, რა არის კაპო?

— ვიცი.

— ჰოდა, გცოდნია! გერმანელები შელავათს აძლევდნენ მათ, მაგრამ სამაგიეროდ... გასაგებია, არა? ბევრი ვინმე გადაიბირეს ამ გზით, ასეთები ყველაფერს იკადრებენ.

სიჩუმე ჩამოვარდა. ანტონი ისევ დაწვა. ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა.

— კიდევ რას მეტყვი?

— საშინელებაა. ანტონი! ძნელია კაცმა დაიჯერო.

— საშინელებააო?

— აბა ერთი იფიქრე, რა ელით იმ ადამიანებს, მართლმსაჯულებასაც რომ გაექცნენ.

ქალი ვერაფერს ხვდებოდა. ეჭვის ნატამალიც არ გასჩენია. მით უკეთესი. ანტონი დაღლილობას გრძნობდა, ძილი მოუხდა. თვალი ეხუჭებოდა. მაგრამ მანამდე უნდოდა ერთხელ კიდევ შეემოწმებინა, რომ არ შემცდარა.

— ვფიქრობდი, პირდაპირი მნიშვნელობით გაიგებდი ჩემს სიტყვებს.

— როგორ თუ პირდაპირი მნიშვნელობით? — გაიკვირვა ქალმა.

— ასე რომ მოვეწყვე.

— ეს რამ გაფიქრებინა, ანტონი?

— რა მოხდა? ბანაკში იცვლებოდნენ ადამიანები.

— ხედავ! — წამოიძახა აღელვებულმა ალიციამ. — შეგიძლია იამაყო, რომ ყველა ეს საშინელება გამოიარე, მაგრამ არ შეცვლილხარ.

კოსეცკის სიტყვა არ უთქვამს, კედლისკენ გადაბრუნდა. ეძინებოდა.

— ძილი ნებისა, ანტონი. — ცოტა ხნის მერე უთხრა პანი ალიციამ.

— ძილი ნებისა, — უპასუხა ნაზვერად მძინარე ანტონიმ.

ტუალეტში ჩაკეტილი პენიონეეკი მოსვენებას არ აძლევდა მოხუც იურგელუშკას. ჯერ მისი ხმა საერთოდ არ ისმოდა, მაგრამ გავიდა ცოტა ხანი, და იგი კედლებს ეხლებოდა, ყვიროდა, კარზე აბრახუნებდა. აბა, რა სასიამოვნო იყო ამის მოსმენა. მაგრამ რა უნდა ექნა იურგელუშკას? რამდენჯერმე შეიხედა ფეხსალაგში, პენიონეეკი რაღაცას ლულულულებდა, თავივით კარზე აფხაჭუნებდა, ვერ ისვენებდა. დაცხრებოდა, მერე კვლავ აბორგდებოდა. ვერ ბედავდა იურგელუშკა კარის გაღებას, ღრმად ამოიოხრებდა და დერეფანში გავიდოდა.

დარბაზი თანდათან ახმაურდა. ვეიხერტის შემდეგ, ძალიან დიდხანს რომ ილაპარაკა, კიდევ რამდენიმე კაცმა წარმოთქვა სიტყვა, და მერე ისმოდა ყვირილი, სკამების ხრიგინი, ბოკალების წკარუნი. ნადიმის დამთავრებას ბევრი აღარაფერი აკლდა. სუფრაზე შავი ყავა ჩამოარიგეს. მომტანები კარს რომ გააღებდნენ, მოხუცი იურგელუშკა თამბაქოს კვამლით სავსე თითქმის მთელ დარბაზს ხედავდა. სტუმრები ფეხზე დგებოდნენ, ადგილებს იცვლადნენ. ზოგი მაგიდას ირგვლივ შემოუვლიდა ხოლმე.

იურგელუშკამ ისევ შეწყვიტა სვიტრის ქსოვა და ტუალეტში შეიხედა.

სიჩუმემ შეაშფოთა. დერეფნის კარი შეაღო, კაბინასთან მივიდა და დააყურა. ბოლოს ველარ მოითმინა და ჩუმად დაუძახა:

— ხმა გამეცით!

არავინ გამოეხმაურა. კაბინიდან ჩქამი არ ისმოდა.

— ხმა გამეცით! ხმა გამეცით!

გინგლიჩიშვილი

სიცოცხლის ნიშანს არავინ იძლეოდა, მაშინ საშინელებით აღსავსე მოხუცმა ურდული გამოსწია, ფრთხილად გამოაღო კარი და შიგ შეიხედა. შიშისგან ლამის გული წაუვიდა. მოეჩვენა, მკვდარიო! იატაკზე იჭდა კუთხეში მიყუჩული კედელსა და უნიტაზს შორის. ფეხები მოერთხა და თავი ხელებზე ჩამოეყრდნო. მხოლოდ მის აუჩქარებელ სუნთქვაზე მიხვდა, რომ პენიონჯექს მშვიდად ეძინა. „მადლობა ღმერთს! — შვებით ამოისუნთქა ქალმა, ძალიან შეებრაღა ის უბედური. — ნუთუ ეს მატლი ადამიანია? და მერე საღ ღმერთო, რამდენი უნდა იტანჯოს კაცმა, სანამ იმ ქვეყანას წავიდოდეს“. ცოტა ხანს იდგა ასე, თანაგრძნობით აქნევდა თავს, მერე ნელა გამოვიდა და კარი მიხურა.

ამასობაში პავლიცკიმ დარბაზიდან დრევნოვსკი გამოიყვანა. დრევნოვსკი ფეხზე ძლივს იდგა. იურგელუშკა რომ დაინახა, პავლიცკიმ თავი დაუქნია.

— ერთი კლიენტი კიდევ მოგიყვანეთ, ბებია, ოდნავ გონს მოვა თუ არა, შინ წავიდეს, აქ აღარაფერი ესაქმება.

პავლიცკი თვითონაც ნასვამი იყო. მაგრამ თავი კარგად ეჭირა. მან ხელი უბიძგა დრევნოვსკის ტუალეტისაკენ, იგი შეტორტმანდა და კედელს მიეყრდნო. მიტკალივით გათეთრებოდა სახე, თმა შუბლზე გადმოყროდა, თავი ჩაეჭინდრა.

იურგელუშკამ მაშინვე იცნო იგი. დიდძალ ხნის მეზობლები იყვნენ ის და დრევნოვსკის მოხუცი დედა, და მის ფელეკზე ოდნავ უფროსი ფრანკი პატარაობიდანვე ახსოვდა. ახლა, როცა ფრანკს კარგი დღეები დაუდგა და დიდ ხალხში ტრიალებდა, იგი დედასთან აღარ ცხოვრობდა და გარბარის ქუჩაზე მდგარ სახლში იშვიათად თუ გამოჩნდებოდა.

— როგორ არის? — ჰკითხა პავლიცკიმ. — ჩუმადაა, არ ჩხუბობს?

— ჩაეძინა, — უპასუხა იურგელუშკამ.

პავლიცკიმ კმაყოფილებით მოიფშენიჭა ხელები.

— იძინოს, კარგია.

იგი დრევნოვსკისთან მივიდა და უბოდიშოდ მიუტანა მუშტი ცხვირთან.

— აბა, რას მეტყვი?

დრევნოვსკიმ გაოგნებული მზერა მიაპყრო.

— ჩამოგახტუნეს, ხომ? გამოეთხოვე კარიერას...

— მოუსვი აქედან! — შებღვირა დრევნოვსკიმ.

პავლიცკიმ ხმამაღლა გაიციინა.

— დაიცა, ხვალ სხვანაირად ამლერდები, მშვიდობით!

დრევნოვსკის ხმა არ გაუცია. თავი ისევ დაბლა დახარაჟ ასე გეგონებოდა, ძვლები დარბილებია. იმის ძალაც კი არ შესწევთ, ტანი ზიდონო.

იურგელუშკა ახლოს მივიდა მასთან.

— პან ფრანკ!

დრევნოვსკიმ ვერ იცნო იგი, მაგრამ როცა ქალმა მკლავზე ხელი წაავლო და ტუალეტისკენ წაიყვანა, დრევნოვსკის წინააღმდეგობა არ გაუწევია. ისე ძალიან ემძიმებოდა, ერთი-ორი ნაბიჯი რომ გადადგა, ქალს გული ამო-

უვარდა. მიხვდა, დიდხანს ველარ გაუძლებდა და სასოწარკვეთილმა მიიხედ-
მოიხედა. ტუალეტში სკამი არ იდგა. მაშინ იმ კაბინის მეზობელმა კაბინა
გააღო, სადაც პენიონეექს ეძინა. დრევენოვსკი უნიტაზზე დაჯდა. მერე იურ-
გელუშკამ ერთი კიქა წყალი მოუტანა.

იურგელუშკა
გინგლიჩიშვილი

— დალიეთ, გულზე მოგეშვებათ.

დრევენოვსკიმ კიქა ხელში ვერ დაიჭირა, და იურგელუშკამ მოასმევინა.

მან ხარბად შესვა რამდენიმე ყლუბი. მერე ზიზლით დაიმანჭა.

— მეტი აღარ გინდათ?

— არა.

ისევ დახარა თავი. იურგელუშკამ შეანჯღრია.

— ვერ მიცანით, პან ფრანეკ?

— აქ რას აკეთებთ, პანი იურგელუშკა? — წაიბურტყუნა მან.

— როგორ თუ რას ვაკეთებ? ვმუშაობ.

დედობრივი სინაზით გადაუსვა ქალმა თავზე ხელი.

— ამდენი სმა გაგიგონია, ბატონო ფრანეკ! არ უფრთხილდებით ჯან-
მრთელობას!

დრევენოვსკიმ ხელი ჩაიქნია.

— მე უკვე აღარაფერი მემუქრება, ყველაფერი დამთავრდა.

— რას მუშაობით? რა დამთავრდაო?

— ყველაფერი დამთავრდა. სვენცკისთან მივედი და რაღაც ვუთხა-
რი, მან კი ისე შემომხედა... იცით, რა მითხრა? „მეშინია, პან
დრევენოვსკი, ვაითუ ამიერიდან ერთად ველარ ვიმუშაოთ“. როგო-
რი ნათქვამია? „ერთად ველარ ვიმუშაოთ...“ ხედავთ, პანი იურგელუშ-
კა, ყველაფერი წყალში ჩაიყარა. ყველაფერი! ხუხულასავით დაიშალა. აღა-
რაფერი ვარ.

იგი წელში გაიმართა და იურგელუშკას მკლავზე ხელი წაავლო.

— ოღონდ, პანი იურგელუშკა, დედას არაფერი უთხრათ.

— რა უნდა ვუთხრა?

— მოხუცი რად უნდა შევაწუხოთ? არ ეტყვით?

— რა თქმა უნდა, არა. აი, ნახავთ, ხვალ ყველაფერი მოგვარდება.

დრევენოვსკიმ თავი გააქნია.

— რა მოგვარდება. მე ხომ ვიცნობ მას. შურისმაძიებელი ვინმეა. ყვე-
ლაფერს იზამს, ოღონდ გამანადგუროს. მაგრამ დედასთან რამე ხომ არ წა-
მოგცდებათ? სიტყვას მაძლევთ, რომ არფერს ეტყვით? პანი იურგელუშ-
კა...

— ხომ გითხარით, არ ვეტყვი-მეთქი.

— ეს ყველაფერი პენიონეექის წყალობით მჭირს. წყეულიმც იყოს!
ის რომ არა, ასე არ გამოვიღეშებოდი.

— აი, ხედავთ! რა გრჯიდათ?

— უკვე გამოშინელდა თუ ისევ მეტყობა, პანი იურგელუშკა?

— არაფერი გეტყობათ.

ისევ სტაცა ქალს მკლავზე ხელი. ცხელი, ოფლიანი ხელისგულები ჰქო-
ნდა. თვალები უბრწყინავდა.

— მე ხომ მიცნობთ, პანი იურგელუშკა? ცუდი რა გამიკეთებია? ვიფიქ-
რე, სიღარიბეს თავს დავალწევ, ადამიანურად ვიცხოვრებ-მეთქი. ნეტავ რი-
თი ვარ სხვაზე ნაკლები. არა მაქვს ამის უფლება? სვენცკი თუ დანიშნეს მი-

ნისტრად, ვითომ მე არ მეკადრება? კარგად მოგეხსენებათ, პანი იურგელუშკა, დედაჩემი ბურჟუებს ჭუჭყიან შარვლებს ურეცხავდა. მე ერთ მძულს სილარიბე. ისედაც ბევრი გაჭირვება გამომიცდია. რაღაც აღარ უნდა მელირსოს?

იურგელუშკამ თავი გააქნია.

ერქუნულნი
გინგლიჩოშკა

— ფული ყველაფერი არ არის, პან ფრანეკ. ბედნიერებას ფულით ვერ იყიდი.

— უპ, რას მეუბნებით! ბედნიერებასაც იყიდი კაცი, პანი იურგელუშკა. დიდებული რამაა ბედნიერება. ფულით ყველაფრის ყიდვა შეიძლება, ძალიან იაფადაც კი. მთავარია — დაიწყო, მერე თავისით მოხდება მოსახდენი.

ფრანეკი წამოდგა და შუბლზე ხელი მოისვა.

— ჯანდაბას! თავბრუ მესხმის.

— დაჯექით, პან ფრანეკ.

იგი კედელს მიეყუდა.

— არაფერია, ახლავე გამივლის. მაგარი ბიჭი ვარ, პანი იურგელუშკა. ხომ იცით ჩემი ამბავი, ასე ადვილად თავს არავის დავაჩავგრინებ.

— საით გაგიწევიათ? — აწრიალდა იურგელუშკა.

— რა ვიცი.

მოხუცი ამაოდ ცდილობდა მის შეყოვნებას. ფრანეკი სარკესთან მიბარბაცდა, ჭიბიდან სავარცხელი ამოიღო და თმა დაივარცხნა. მერე პალსტუხი გაისწორა.

— ყველაფერი რიგზეა! ხომ კარგი ბიჭი ვარ, პანი იურგელუშკა?

— ეჰ, პან ფრანეკ, პან ფრანეკ... — ამოიოხრა ქალმა.

— რა იყო?

— კარგი რამე არა გჭირთ.

— არა უშავს რა, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. ბოლოს და ბოლოს ჩვენც გვეშველება.

ფეხსალაგიდან კედელ-კედელ გამოვიდა და დერეფანში მიიხედ-მოიხედა.

— პანი იურგელუშკა?

— გისმენ.

— საითაა გასასვლელი?

ქალი შეწუხებული გამოეშურა მისკენ.

— დარჩენილიყავით, პან ფრანეკ. ასე გვიან სად წახვალთ?

— არაფერია. ამათი საქმე წასულია, — დარბაზისკენ გაიშვირა ხელი. — ნახვამდის. ასე აჯობებს. იქითა უნდა წავიდე, პანი იურგელუშკა? იქ რა არის?

— სამზარეულოა. სამზარეულოდან მარჯვნივ გახვალთ. გაგაცილებთ...

— ნუ შეწუხდებით! ნახვამდის, პანი იურგელუშკა.

ფრანეკი წელში გაიმართა, პიჯაკი გაისწორა და მტკიცედ გააბიჯა. მერე შუაგზიდან უკან დაბრუნდა.

— ერთი წამით, პანი იურგელუშკა, — შარვლის ჭიბეში ხელი ჩაიყო მან. — სულ დამავიწყდით.

— ეს რა არის, პან ფრანეკ! — გაბრაზდა მოხუცი.

ფრანეკმა ხუთასზლოტიანი ამოიღო.

— აიღეთ და გაჩუმდით. ფული ფულია.

ქალი შეყოყმანდა: ხუთასი ზლოტით ფელეკს ახალ პერანგსა და ორ

წყვილ წინდას უყიდდა. თეთრეული აკლდა ფელექს, განსაკუთრებით პერანგი სჭირდებოდა.

— აიღეთ, პანი იურგელუშკა! ძალიან დიდი ფულის პატრონი ხართ? ფული ხელში ჩაუბუშტა ფრანეკმა.

— რას შერებით, პან ფრანეკ, — დარცხვენით წაიბუტ ასე შეიძლება?

— რაო, არ გეკუთვნით თუ?

— ძალიან ბევრია.

დრვენოვსკის გაეცინა.

— ძალიან შეწუხდით?

— უცხო კაცს რომ მოეცა...

— მაშინ რა? უცხო კაცი რით მჯობია? აიღეთ, თორემ გავბრაზდები. ფულის მეტი რა მექნება, პანი იურგელუშკა!

მარტო რომ დარჩა, პანი იურგელუშკა დაწულ სკამზე ჩამოჯდა, საქსოვი ჩხირები აიღო და ფიქრს მიეცა. ეს ფული თითქოს ზეციდან ჩამოუგდესო. ღმერთია მოწამე, არ უნდოდა ალება, მაგრამ, ეტყობა, ქვეყანა ასეა მოწყობილი: ერთს დაანადვლიანებს, მეორეს კი გაახარებს. ვის შეუძლია თქვას, წინასწარ რა ელის? ყველას ეგონა, ვინ-ვინ და ფრანეკი შორს წავაო. ამ ბოლო დროს ძალიან უმართლებდა. და აი, უცებ... კაცმა რომ თქვას, ფელექს დიდი ხანია ახალი პერანგი ეოცნებებოდა, ყვითელი პერანგი უნდოდა...

პანი იურგელუშკა ათას რამეზე ფიქრობდა, როცა პავლიცკი ტუალეტში შევარდა. ამჯერად მარტო იყო. მის დანახვაზე იურგელუშკა ფეხზე წამოხტა. პავლიცკი შეჩერდა.

— როგორაა ჩვენი კლიენტი?

— რომელი, ბატონო?

— მეორე.

— წავიდა.

— უკვე? ძალიან კარგია! საუცხოოდ ეპყრობით სტუმრებს, ბებია.

იურგელუშკას დანაოქებულ, ბოცვრის სახეზე ღიმილმა გადაურბინა. ძალიან უყვარდა თავისი სამუშაო და სიამოვნებდა, როცა შეაქებდნენ.

— უნდა იცოდეთ, ადამიანს რანაირად უნდა მოეპყრო, — მტკიცედ თქვა ქალმა.

— მაინც რანაირად?

— ყველას თავისებურად. ზოგი, მაპატიეთ, ბავშვი გეგონება...

მაგრამ პავლიცკიმ ყური აღარ დაუგდო, ტუალეტში შევარდა. იურგელუშკამ კარი მიხურა. სანადიმო დარბაზიდან სახეწამოქარხლებული ვეიხერტი გამოვიდა. „იწყება“, — გაიფიქრა კმაყოფილმა იურგელუშკამ.

პისუართან ფეხებგაფარჩხული პავლიცკი რომ დაინახა, ვეიხერტმა ხელი ხელზე გადაისვა.

— პრესას ყოველთვის საუცხოო იდეები აქვს!

პავლიცკიმ გაიცინა.

— მართლა?

ვეიხერტი გვერდზე გადადგა.

— გააცილეთ დრვენოვსკი?

— ჰო!

— ნეტავ ასეთი რა უთხრა სვენცკის? უგონოდ მთვრალი რყო.

— ნებვია! — მოკლედ მოსჭრა პავლიცკიმ, სარკესთან მივიდა და შარვის დილები შეიკრა.

ვეიხერტი პისუარის სველ კედელს მისჩერებოდა და ფიქრობდა, რანაირად გამოეყენებინა ეს შემთხვევითი შეხვედრა პავლიცკისთან. სამწუხაროდ, არ იცოდა, რომ „ოსტროვეცის ხმის“ რედაქტორი დედაქალაქში გადასვლაზე ფიქრობდა და ადგილობრივი აღარათფერი აინტერესებდა.

ვეიხერტმა საათზე დაიხედა.

— ადრეა ჭერ...

— რომელი საათია? — ჰკითხა პავლიცკიმ.

— თორმეტი სრულდება. ჭერ ადრეა. ეს საღამო დიდებულად დაიწყო და კარგად უნდა დამთავრდეს.

პავლიცკის ეზარებოდა შინ დაბრუნება, მაგრამ ფულის დახარჯვა ენებოდა.

— კეთილი. — წაიბურღლუნა მან.

ვეიხერტმა გულდასმით გაისწორა პალსტუხი სარკეში.

— შეიძლება საერთო დარბაზსა ან ბარში გასვლა, რას იტყვით, რედაქტორო? სვენცკი წავიყვანოთ, შჩუკა ალბათ არ წამოვა?

— შჩუკა? — დაიმანჭა პავლიცკი. — აუტანელი ვილაცაა, დიდი ვიხმე კი ჰგონია თავი.

მაშინ იქნებ ერონა წავიყვანა?

— სასმელს კარგად იტანს ის ყმაწვილი, მაგრამ ძალიან ბევრს ტლიკინებს რევოლუციაზე. რას იზამ, პატარა ქალაქია. ბატონო პრეზიდენტო. ცალი ხელის თითებზე ჩამოვთვლი მათ, ვისთანაც გესიამოვნება საღამოს გატარება. კი, სვენცკი წესიერი, თავიანი ბიჭია. მაგრამ დანარჩენები?

დარბაზში რომ დაბრუნდნენ სვენცკი მაგიდიდან წამოდგა, სკამის რახუნის საერთო ხმაურს უერთდებოდა. დარბაზის იქით და აქეთ თავი მოეყარათ ადამიანებს და ხმამაღლა ელაპარაკებდნენ. გარეთ არავინ გადიოდა.

ვეიხერტი და პავლიცკი მინისტრის მოადგილესთან მივიდნენ.

— წასვლის დროა? — ჰკითხა ვეიხერტმა.

სვენცკიმ დაამთქნარა.

— გვეყოფა დროსტარება, მოწყენილობისაგან ლამის გული წამივიდეს.

მეც. — დაემოწმა ვეიხერტი. — არ იცი, რა მოუვიდა პოდგურსკის?

პოდგურსკი მაგიდის იქით იდგა და ერონას ელაპარაკებოდა.

— რა იყო? — გულგრილად ჰკითხა სვენცკიმ.

— მთელი საღამო ხმა არ ამოუღია.

სვენცკიმ მხრები აიჩეჩა.

— წარმოდგენა არა მაქვს. იქნებ მუცელი სტკიოდა? სამაგიეროდ ჩემი მეზობელი, მარცხნივ რომ მეჯდა, დაუსრულებლად ლაქლაქებდა.

— ერონა?

— კო. ერთი ის მითხარი, — ვეიხერტს მკლავზე მოკიდა ხელი სვენცკიმ. — ნადიმი კარგად დამთავრდა?

— შესანიშნავად!

— გახა ჩემზე ზედმეტი არ ილაპარაკეს?

— ძალიან გწყინს? მაშ ვისზე უნდა ელაპარაკათ?

სვენციის გაეცინა.

- ზომიერებაა საჭირო. ბოლოს და ბოლოს შჩუკასაც კეთხება.
- ალბათ, მაგრამ მომავალი ახალი წყობის ადამიანებს ეკუთვნის.
- ეს უკვე სხვა საქმეა. ჰო, სად არის ის?
- შჩუკა? მოხუც კალიცკის ელაპარაკება.



კალიცკი და შჩუკა დარბაზის კუთხეში იდგნენ და ჩუმად ეწეოდნენ პაპიროსს. შეხვედრამ, რომელსაც მღელვარებით ელოდნენ, მათთვის გულგაცრუების გარდა არაფერი მოუტანია. ორივენი გრძნობდნენ და ხვდებოდნენ, რომ ამდენი წლის განმავლობაში პირველმა ხანმოკლე შეხვედრამ სამუდამოდ დააცილჭ იხინი, მათ შორის გადაულახავი მთა აღიმართა, არაფერი ჰქონდათ სათქმელი ერთმანეთისთვის.

შჩუკამ საათზე დაიხედა. კალიცკიმ შეამჩნია ეს.

- რომელი საათია?
- მალე თორმეტი შესრულდება. წასვლის დროა. შორს ცხოვრობ?
- არა. მანქანით წავალ.
- მაშინ კარგად იყავი. გამაგრდი.
- შენც.

ხელი ხელს დაჰკრეს, მაგრამ ერთმანეთისთვის თვალებში არ შეუხედავთ. კალიცკი ცოტა ხანს შეყრვნდა, თითქოს უნდოდა რაღაც ეთქვა. მაგრამ არაფერი უთქვამს, წელში გაიმართა. თავი დაუქნია და ხელ-ხელა გაემართა გასასვლელისაკენ. შჩუკა გასცქეროდა, სანამ იგი თვალს მიეფარებოდა, და მხოლოდ მაშინ მოაგონდა, რომ განშორებისას არაფერი უთქვამთ სამშაბათს დანიშნულ შეხვედრაზე. „მით უკეთესი“. — გაიფიქრა მან.

კრისტინა შეინძრა. მაცეკმა ლოყაზე მისი თმის შეხება იგრძნო.

- ვიფიქრე, სძინავს-მეთქი, — ჩუმად უთხრა ვაჟმა.
- არ მძინავს.

მაცეკვი წამოიწია. კრისტინას წყლიანი, თბილი, ღია ფერის თვალები უფრო დიდრონი ჩანდნენ სიბნელეში. თმა ოქროსფრად უბრწყინავდა. ჩუმად იწვა, გეგონებოდა, არ სუნთქავსო.

მაცეკვიც არ ინძრეოდა. ყველაფერი ეს სინამდვილედ არ ეჩვენებოდა. სიბნელე დროისა და სივრცის გარეშე. სიჩუმე. სიმშვიდე. ყოვლისმომცველი სამუდამო ძილი რომ გეგონებოდა. ვარსკვლავიანი ღამე. უპიროველეს ყოვლისა კი ქალის სხეული, გულში რომ ჩაეკრა. ამ სხეულის მოყვანილობას ხედავდა ბნელში. მას მანამდე დაეუფლა, ვიდრე შეიგრძნობდა, რომ არ იყო მისთვის უცხო. სინათლისა და ჩრდილის ალერსიან, გახევებულ ტალღად ეჩვენებოდა. ხელით რომ შეხებოდა, გადატყეცილ კანს იგრძნობდა, და ჩრდილი სხეულად იქცეოდა. მაგრამ თითი არ გაუნძრევია. ეს განუმეორებელი წამი იმოდენა სიმშვიდით ავსებდა, რაზეც მანამდე წარმოდგენა არ ჰქონდა. ვისთან არ წოლილა, აი, როგორც ახლა მასთან იწვა, მაგრამ იმ მრავალგზის წუთიერ კავშირზე არავითარი მოგონება არ დარჩენია. უხეში იყო. ნაძალადევი, ნაჩქარევი, და ვნების დაცბრობით თავდებოდა. ამას კი ბოლო არ ჰქონდა. ვაჟი ამაზე არ ფიქრობდა. ფიქრი არ ესაჭიროებოდა. არაფერი უნდოდა იმის გარდა, რასაც ახლა განიცდიდა. არ არსებობდა გუშინდელი დღე. არ იყო ხვალინდელი. მკერდზე მიხუტებული კრისტინას თანაბარ გულისცემას გრძნობდა. მთელი არსებით უსმენდა ამ უხილავ გულისცემას, ბოლოს და კარგა იმის

შეგრძნება, ვისი გული ძგერდა: მისი თუ კრისტინასი. უჩვეულო მღვდელ-
რებამ მოიცილა, გული სინაზით აეცხო და სუნთქვა შეეკრა. მოუნდა ყველაფე-
რი, რასაც იმ წამს გრძნობდა და განიცდიდა. სიტყვით გასივსება. მაგრამ
სიტყვები ვერ ეპოვა. დაიხარა და ფრთხილად. ძალიან ჩქარა დაფიქროს ეში-
ნია, სიმშვიდე, სიჩუმე არ დაეარღვიოთ. თმა, საფეხები დაუ-
კოცნა. მანამდე არც ერთი გოგოსთვის ამნაირად არ უკოცნია. ვერც კი
წარმოედგინა, ასეთი რამ თუ შეიძლებოდა; და უცებ უცნაური შეგრძნება
დაეუფლა: თითქოს ამ პაეროვანი კოცნის წყალობით ბნელში მარტო კრის-
ტინას კი არა, საკუთარ თავსაც პოულობსო. მოუნდა გადაეჩურჩულებინა: სა-
ყვარელო, უძვირფასესო... მაგრამ შერცხვა. თვალთა კრისტინაც დუმდა.
ფიქრს მისცემოდა. თითქოს სხვა სამყაროში დაფრინაედა. მაღლა იყურებო-
და. ნეტა რას ფიქრობდა? რას გრძნობდა იმ წამს?

მაცეკი უფრო მაგრად მოეხვია.

— დაიღალე?

ქალმა თავი გააქნია. მაცეკი დაწვა და თვალი დახუჭა. წყვილიაღში სულ
ახლოს გრძნობდა კრისტინას ტანს. მთელი არსებით ისრუტავდა მის სით-
ბოსა და სიმშვიდეს. ესმოდა ქალის გულის ცემა. თანდათან დაკარგა დროის
შეგრძნება. შეიძლებოდა ეს ერთი წუთი გაგრძელებულიყო. შეიძლებოდა
მთელი საუკუნე. მოულოდნელად ისე ბედნიერად იგრძნო თავი, რომ თვა-
ლები გაახილა და იდაყვზე წამოიწია. ახლა მხოლოდ საკუთარ გულისცე-
მას გრძნობდა; გული კანის ქვეშ უცემდა.

კრისტინამ პირდაპირ შეხედა.

— რა იყო?

მაცეკი შეყოყმანდა. არა, ვერ გაუმხელდა იმას, რასაც ახლა გრძნობდა.

— არაფერი. სისულელეა.

— არ უნდა მითხრა?

— რა გითხრა? ვიფიქრე... სულ რამდენიმე საათია ერთმანეთი გავი-
ცანით, და ასე მგონია, დიდი ხანია ვიცნობ-მეთქი...

კრისტინა დუმდა.

— არ ვიცი. — უთხრა მან ბოლოს. — ამაზე არ მიფიქრია.

ქალი ელოდა, მაცეკი ისევ ცინიკურად მიპასუხებდეს, როგორც აქამდე მე-
ლაპარაკებოდაო. მაგრამ იგი დუმდა. კრისტინამ ცოტა ხანს კიდევ დაუცადა.
სიტყვა არ დაუძრვს. ქალმა იგრძნო, რომ ვაჟს ხელი აუთრთოლდა. წინ გად-
მოხრილი მისკენ არ იყურებოდა. კრისტინა ხედავდა ვაჟის სახესა და ყელს.
დააპირა მოხვეოდა და გულში ჩაეკრა. მაგრამ მაშინვე მოერია თავს. და უცებ,
მას შემდეგ, რაც აქ მოვიდა, იგი პირველად აწრიალდა. ბავშვური ახირების
გამო დაეთანხმა ვაჟს ყველაფერზე. და მეტი არაფერი. ერთ ღამეს გაათევდა
უცნობ, ღამაზე ყმაწვილთან. შეხედულად მისი შესაფერისი იყო. ეგონა, ცი-
ნიკური, თავდაჭერებული, ერთი უხამსი ვინმე იქნება; და, როგორც ქუჩის
ქალს, ისე მოძებპრობაო. იგი კი ნაზი, მოკრძალებული, ყმაწვილურად კნები-
ანი და გაუბედავი აღმოჩნდა.

სიჩუმე დიდხანს გაგრძელდა და ამან მეტიმეტად შეაშფოთა კრ. სტინა.
გამოცდილებით იცოდა, რომ ხანდახან დუმილი ყველა სიტყვაზე ძიერია.
მაშინვე გადაწყვიტა ხმა ამოელო.

— ერთი ის მითხარით, მართლა დარწმუნებული იყავით, რომ მოვიდო-
დი?

მაცეკო ისე დაიხარა, რომ კრისტინას მისი სუნთქვა მიელამუნა სახეზე.
— თქვენობით მელაპარაკები?

ქალმა გაიციხა.

— შენობით იყოს...

— არა, არ ვყოფილვარ.

— ჰოდა, იცით... მაპატიე, იცი, რატომ მოვედი?

— რატომ?

— ვერ ხვდები?

— ვერა.

— სულ უბრალო რამაა. იმიტომ, რომ არ შემყვარებოდი.

მაცეკო დუმდა.

— ჰეი! — შეეხმიანა ქალი.

— რა გინდა?

— პაპიროსს არ მომცემ?

ლამის მაგიდა იქვე, საწოლთან იდგა. ვაჟმა ხელი გაიწოდა. მაგიდის კიდეზე ერთი კოლოფი პაპიროსი იდო.

— ხელში გიჭირავს?

— ჰო.

პირში ჩაუდო პაპიროსი. მეორე თვითონ აიღო. მერე ასანთის კოლოფს გადასწვდა, მაგრამ ჯერ ხელი გაინთავისუფლა, კრისტინასთვის რომ მოეხვია და მოუკიდა. ასანთის ალი აციმციმდა ბნელში. ერთიმეორესათვის არ შეუხედავთ. ხელმიცკიმ სწრაფად ჩააქრო ასანთი. საფერფლე აიღო და მასა და კრისტინას შორის საწოლზე დადო. საფერფლე მათ გამყოფ ზღუდესავით აღიმართა. დიდხანს ხმაამოუღებლივ ეწეოდნენ. ორი სინათლე ციაგობდა ბნელში.

— რა პაპიროსია? — ჰკითხა კრისტინამ.

— უნგრული.

— მაგარია.

— გემრიელია?

— არა უშავს, კარგია.

ისევ სიჩუმე ჩამოწვა. მოულოდნელად მაცეკმა ჰკითხა:

— არ შეგიყვარდები?

— შენ?

ქალის ხმაში დაცინვა გაისმა, მაგრამ ვაჟმა ახლაც არ უპასუხა ისე, როგორც კრისტინა ელოდა.

— ოჰ, არა, ჩემს თავზე საერთოდ არ მიფიქრია.

— ჰო, ალბათ არა.

— ეს პრინციპია?

— ვთქვათ, ასეა. რატომ უნდა გაირთულო ცხოვრება?

— ისედაც რთული არ არის?

— მით უმეტეს. ჰოდა, რა საჭიროა მეტი გართულება.

პაპიროსის შუქზე კარგად მოჩანდა ქალის ხელებისა და მხრების მოხაზულობა სიბნელეში.

— მომიყევი რამე შენზე. — სთხოვა მოულოდნელად ვაჟმა.

— ჩემზე? რატომ? ეს რა აზრი მოგსვლია?

მაცეკს არაფერი უთქვამს.



— თუმცა კი შემძლია მოვიყვე. — ცოტა ხნის შემდეგ უთხრა კრისტი-
ნამ. — საგულისხმო არაფერია, ომამდე სოფელში ვცხოვრობდი.



- სად?
- პოზნანშიჩინაში, მოგილნის მახლობლად.
- მერე?
- მერე ვარშავაში გადავედი.
- გადავედი?
- დედაჩემი და მე, მამა ომის დაწყებისთანავე დააპატიმრეს გერმანე-
ლებმა.

- დაილუპა?
- ჰო, დახაუში. კიდევ რა გითხრა? მეტი აღარაფერი მაქვს სათქმელი.
- დედაშენი ცოცხალია?
- არა, აჭანყების დროს დაილუპა.
- დედაჩემიც, და-ძმა არა გყავს?
- საბედნიეროდ, არა.
- საბედნიეროდ?
- ცოტა ახლობელი დამელუპა?
- ახლა მივხვდი! — წაიბუტბუტა ვაჟმა. — მართალი ხარ, ძმა ჯერ კი-
დევ ორმოცდასამ წელს მომიკლეს.

- აი, ხომ ხედავ!
- მამაჩემი ინგლისშია, მაგრამ ვაითუ აღარ დაბრუნდეს.
- მეტი არავინ გყავს?
- ახლობელი არა, დარჩები ოსტროვეცში?
- არ ვიცი, ჯერჯერობით ჰო.
- მერე რას აპირებ?
- ამაზე არ მიფიქრია.

კრისტიანამ პაპიროსი ჩააქრო, ვაჟმა ნათაზი დაარტყა, პაპიროსი ჩააქრო და საფერფლე მაგიდაზე დადო, ერთხანს დუმდნენ, ბოლოს ვაჟი ქალისკენ გადაბრუნდა და იდაყვებზე წამოიწია.

- გძინავს?
- არა.

ისევე, როგორც ამ რამდენიმე წუთის წინათ, კრისტიანას რომ ეხვეოდა, სინაზით ევსებოდა მაცეკს გული.

- მართალი გითხრა, არ მეგონა, თუ მოხვიდოდი, — ჩუმად უთხრა ვაჟმა.

თითქოს ძალიან შორიდან გაისმა ქალის ხმა:

- ერთხელ უკვე ხომ მითხარი.
- გჯერა ჩემი?
- რატომ არ უნდა მჯეროდეს?
- შენ ხომ არ მიცნობ.
- არც შენ მიცნობ.
- გიცნობ და მეტი არა?
- მართლა?
- მართალს გეუბნები.

მაცეკს მოეჩვენა, კრისტიანას სცივარ, და ახლოს მიიწია.

- გკვირ?



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

— ოდნავ შემცივდა.
 მაცეკო მოეხვია და გულში ჩაიკრა.
 — ახლა როგორ გრძნობ თავს?
 — ყოველ შემთხვევაში, გავთბი.
 კრისტინა ვაყს გულში ჩაკვროდა და იგი ისევ გრძნობდა
 ცემას. უცებ კრისტინამ თავი ასწია.
 — მითხარი...
 — რა გითხრა?
 — მაინც რანაირი ხარ?
 — რანაირი უნდა ვიყო?
 — ახლა სულ სხვანაირი ხარ.
 სხვანაირი?
 — თვითონ ვერ ამჩნევ?
 მაცეკო ჩაფიქრდა.
 — შეიძლება ასეა... ეს კუდია?
 — ღმერთო! — ჩუმად უთხრა ქალმა. — რა მნიშვნელობა აქვს ამას.
 მაგრამ მაცეკვისკენ მიპყრობილი ქალის დიდი თვალები სხვას ლაპარაკობდნენ.
 — მართლა არა აქვს მნიშვნელობა?
 ქალმა პასუხი არ გასცა.
 — მითხარი...
 — არ ვიცი! — წაიჩურჩულა მან. — უფრო მაგრად მომხვიე ხელი.
 ვაყი მოეხვია და ქალს ესიაშოვნა. დახუჭულ თვალებს უკოცნიდა მაცეკო.
 — იცი რა, — უჩურჩულა ვაყმა. — არ მეგონა, თუ...
 — რა არ მეგონა?
 — არაფერი.
 გაჩუმდა, თითქოს სუნთქვა შეეკრაო. მერე უფრო ჩუმად თქვა:
 — შენი წყალობით გავხდი სხვანაირი.
 — ამის თქმა გინდოდა?
 — არა, თუმცა ამის თქმაც მინდოდა.
 — კიდევ რისი?
 დერეფნიდან ხალიჩით დახშული მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა. ხელმიცემ
 თავი ასწია და დააყურა. მეზობელ კარში გასაღებმა გაიჩხაკუნა, ოთახში
 კაცი შევიდა და კარი მიიხურა. გაიჩხაკუნა ამომრთველმა. ჩამოწოლილ სი-
 ჩუმეში ხმა ისე გარკვევით ისმოდა, თითქოს კედელი საერთოდ არ ყოფი-
 ლიყოს. კრაკუნობდნენ იატაკის ფიცრები.
 კრისტინამაც თავი ასწია.
 — რა მოხდა?
 — ჩვენი მეზობელი მოვიდა.
 — იცნობ?
 — არა.
 მაცეკო ისევ დაწვა. მაგრამ ყურიდან ვერ ამოეგდო ის ხმები, კარს იქიდან
 რომ ესმოდა. მას მერე, რაც კრისტინა მოვიდა, ერთი საათი გავიდა, და მხო-
 ლოდ ახლა მიხვდა, რატომ აღმოჩნდა ამ უცხო სასტუმროს ოთახში. წარსუ-
 ლსა და მომავალს დაცილებული ეს საათი, ერთი წამით რომ გაირბინა,
 შორს იყო მისი ცხოვრებისაგან. უცებ ყველაფერი გაახსენდა. გაიგონა: შჩუ-

კამ ფანჯარა გააღო. წამით სიჩუმე ჩამოუარდა. ალბათ კაცი ფანჯარასთან იდგა. მერე გაისმა ნაბიჯების ხმა. საუარძელი გადადგეს.



- რა საშინელი ხმაურია. წაიჩურჩულა კრისტინამ.
- ჰო. რას აპირებ ხვალ?
- ხვალ?
- დღეს-მეთქი. უნდა მეთქვა. შუალამეს გადასცილდა.
- საღამოს. როგორც ყოველთვის. ბარში ვიქნები.
- დღისით?
- ფუციოტიცკებმა დამპატივეს. სადილად.
- ოჰ, იმათ? შენი ნათესავები არიან?

— შორეული. მხოლოდ დღეს გამაცნო ისინი ფრედ ტელეფინსკიმ. შენც დღეს გაგიცანი.

- სასაცილო ვიყავი?
- კოტათი. მაგრამ ეს მარტო მე შევამჩნიე. რატომ მიუჩეჭი მათ?
- ვერ ხვდები?
- ოჰ, შე სულელო! — ჩურჩულით უთხრა ქალმა.

კედლის იქით შჩუკა წინ და უკან დადიოდა, ბოლთას სცემდა. დაახლოებით შუა ოთახში მისი მძიმე ნაბიჯები აჭრაჭუნებდა იატაკს. მაცეკს თითქოს არც ესმოდა ეს კრაჭუნი; თვალი მოჭუტა და უფრო მაგრად მოეხვია კრისტინას. თავდავიწყებას მისცემოდა და ვერაფერს გრძნობდა ქალის აღერსიანი ხელების შეხების გარდა. უცებ კრისტინას ხელი გაუხვევდა. მარცხნივ, ნეკნების ქვემოთ ვაჟს დიდი, ხორკლიანი ნაჭდევით აჩნდა.

- ეს რა არის?
- არაფერი, კრილობაა.
- დაგჭრეს?
- დამჭრეს.
- როდის?
- ჯერ კიდევ აჯანყების დაწყებამდე. ხათაბალაში გავები.
- ოჯახში რას გეძახდნენ?
- ოჯახში? ზოგი ამას და ზოგი იმას. მამა მაცეკს; დედა და ძმა მაცეკს.
- ამხანაგები?
- მაცეკს.

ვაჟმა იგრძნო, რომ კრისტინას გაელიმა.

- რა გაცინებს?
- მახსოვს, პატარა რომ ვიყავი, მამა ტინიას მეძახდა.
- ტინია. — ნაზად გაიმეორა მაცეკმა. — ლამაზად ეღერს.

ტუჩებზე დაეკონა ქალს. სველი, თბილი ბაგეები მაშინვე გაიპო. ისე გაშმაგებით კოცნიდა, თითქოს ამ კოცნით ლამობდა იმის გამოხატვას, რასაც გრძნობდა, და ამით თავის გადარჩენას. მაგრამ მის ძარღვებში მჩქეფარე სისხლის ხმაურში ისევ ესმოდა იმ ნაბიჯების ხმა, — იქით და აქეთ, იქით და აქეთ, — წყვილიად ლამეში თვალდახუჭულს მოჩვენებასავით თვალწინ ედგა შჩუკა, სწორედ ისეთი, როგორც დაამახსოვრდა: წელში მოხრილი და ჯოჯბუღი დაყრდნობილი კიბეზე რომ ამოდიოდა. ცუდი რა უქნა ამ კაცმა? რატომ უნდა მოეკლა იგი? მოკვლა. ეს სიტყვა პირველად გაჟღერდა მისთვის შემამფოთებლად და ავისმომასწავებლად. რამდენი კაცი მოუკლავს? ეს ხომ ძალიან იოლი იყო. სიკვდილი და სიცოცხლე გვერდიგვერდ მიაბიჯებ-

დნენ. ილუპებოდნენ მტრები, ილუპებოდნენ მეგობრები. მათი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. მკვდრები მაშინვე ავიწყდებოდათ. აი, ის, უცხო ადამიანი კი, ოთხ კედელში გამოკეტილი, აქეთ-იქით დადიოდა, იგი მისთვის უცხო იყო და ძალიან ახლობელიც, ჭერჭერობით სული ედგა. მოძრაობდა, ჰქონდა გეგმები, სურვილები, იმედები, საკუთარი ცხოვრება.

ნეტავი ჰყავდა ახლობლები? რა ფასი ჰქონდა მისთვის სიცოცხლეს? ვისთვის ცოცხლობდა? ვის უყვარდა იგი, რომელ ქალს, რომელ ამხანაგს?

მოუსვენრობამ შეიპყრო. თავი ასწია, პირი, აი, ახლა, კრისტინას რომ ჰკოცნიდა, გაშრობოდა და ტუჩები გაშეშებოდა.

— წახვალ სადილზე? — ხმადაბლა ჰკითხა მაცეკმა.

კრისტინა პირველად ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდა მაცეკი.

— სადილზე?

— ჰო, მათთან...

— ოპ, ამას მეკითხები? საიდან გაგახსენდა?

— წახვალ?

— ჭერ კიდევ არ ეიცი.

— ნუ წახვალ! — ჩურჩულით შეეხვეწა ვაჟი.

კრისტინა დუმდა.

— ნუ წახვალ, მოდი, ეს დღე ერთად გავატაროთ...

— რაო?

— ხომ მიმიხვდი, რა მინდა გითხრა...

მაცეკს თვალები უბრწყინავდა, შავი თმა შუბლზე ჩამოშლოდა.

— კრისტინა!

ქალი შეტორტმანდა.

— არა, არა!

— რა არა?

— არ მინდა, ამას აზრი არა აქვს.

ვაჟმა ხელი მოხვია, მაგრამ ქალი გაუსხლტა.

— არ მინდა, არ მინდა...

კრისტინას ხმა უთრთოდა და უწყდებოდა.

— რატომ?

— რატომ? ვერ ხვდები? ეს ხომ ადვილი გასაგებია. მიდიხარ აქედან...

ვაჟმა ვერაფერი უთხრა.

— ჰო, უნდა წავიდე.

— მაშინ რა საჭიროა ეს ყოველივე, რა საჭიროა? ხვალ ერთმანეთს გამოვემშვიდობებით...

— ცოტა ხანს კიდევ დავრჩები.

კრისტინამ თავი გააქნია.

— სულ ერთია, აღარა მაქვს განშორებისა და მოგონების თავი. ყველაფერი წარსულში რჩება, აღარ მინდა ტვირთი ვზიდო.

— არც სასიამოვნო მოგონებები?

— მხოლოდ მოგონებად რომ დავრჩება?

შჩუკა ისევ დადიოდა თავის ოთახში. მერე შეჩერდა. თითქოს ღრმა ჰაში სიჩუმე ჩამოწვაო. მაცეკი დაწვა. კრისტინა დაიხარა და თმაზე ხელი გადაუსვა.

— როდის მიემგზავრები?

უნდოდა ეთქვა, ერთ კვირაშიო, მაგრამ ტყუილი არ იყავი.
 — სამშაბათს.
 — დაბრუნდები?
 — არ ვიცი, მაგრამ შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს.
 — რა ყველაფერი?
 — ათასი რამ. უპირველეს ყოვლისა კი ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი.



საქართველოს
 მწიგნობრობის
 მთავრობის
 ბიბლიოთეკა

— შეძლებ კი?
 — შესაძლოა.
 — ღირს კი?

კრისტინა გვერდით მიუწვა მაცეკს და თავზე ხელს უსვამდა, მისი თითები თითქოს კოცნიდნენ ვაჟს.

— იცი რა, — მალლა აიხედა და უთხრა ქალმა, — მე ჩემი ცხოვრებით ვცხოვრობ, შენ — შენით. შეშთხვევით შევხვდით ერთმანეთს. ვისიამოვნეთ. მეტი რაღა უნდა ისურვო კაცმა?

— მეტი არაფერი?

კედლის იქით საწოლი აჭრაქუნდა. იატაკზე ჯერ ერთი ფეხსაცმელი დაეცა, მერე მეორე.

— ხელი მომხვიე, — უჩურჩულა ვაჟს კრისტინამ.

გამალებით უცემდა გული, უცებ მაცეკმა ყელზე ქალის ცხელი ტუჩები იგრძნო. კედლის იქით ონკანიდან წყალი წამოვიდა.

— საყვარელო.

ვაჟმა მაშინვე ისეთი შეება, გამოუთქმელი ბედნიერება და აღტაცება იგრძნო, თითქოს, ამ ერთი პატარა სიტყვით გამოეხატოს მთელი თავისი გულისთქმა, ჯადოთი შეკრა ყოველივე ამანზრენი, აუტანელი და გარდაუვალი, რაც იქვე ახლოს მიმალულიყო.

— საყვარელო, — მთელი თავისი სინაზე ჩააქსოვა მაცეკმა ამ სიტყვაში.

უკანასკნელი სტუმრები გამოვიდნენ „მონოპოლიდან“. გათუნდა დარბაზში სინათლე ჩაქრა. ოფიციალტებმა სუფრები აალაგეს. გულზე ხელებდაწყობილი სლომკა ქშინვით აჩქარებდა მათ. დარბაზის კუთხეებში სიბნელე ჩამოწოლილიყო, მაგრამ ფანჯრებიდან თანდათან დღის სინათლე შემოდითოდა. ორკესტრის მუსიკოსებმა საკრავები შეინახეს. ახალგაზრდა პიანისტი თითოთ უკრავდა „სალაშქროს“.

— ააჰ! — დაამთქნარა გაბერილმა მევიოლინემ და სკამზე დაჯდა. — ფეხები წამერთვა. გეყოფა, იულებე, ისედაც თავი მისკდება...

პიანისტს გაეციხა, პიანინო დახურა და იგივე პანგი დაუსტვინა. ბარში მთვრალი ხალხი ხმაურობდა. კიდევ გრძელდებოდა დროსტარება.

— შინ წასვლის დროა, ბატონებო! — წამოდგა მევიოლინე.

ესტრადიდან ჩამოვიდა. დანარჩენებიც ნელ-ნელა მიყვებენ. უცებ მევიოლინე შედგა.

— გესმით?

ბარში „ას წელს“ მღეროდნენ. ისმოდა ქალებისა და კაცების შეუწყობელი ხმები: „კიდევ გვეცოცხლოს, კიდევ გვეცოცხლოს...“

— მხიარულობენ! — ჩაიბურღლუხა წიაღურმა საქსოფონისტმა.

ბარიდან კოტოვიჩი გამოვარდა, ირწვოდა, ხელებს ისე შლიდა, თით-

ქოს ჰაერის დაქვერა სწადიაო. გაჩერდა. დარბაზს თვალი მოავლო და მუსიკოსებისკენ გაემართა. კვლავ დიდებული შესახედაობისა იყო. მალაქ/შეპლზე თმა ჩამოშლოდა და შთაგონებული გამომეტყველება ჰქონდა.



ხელი მალლა ასწია.

ერთი წუთით, ბატონებო! Un moment! არ შეგეპასუხებოდათ, ხართ თუ არა?

— ამ დროს, ბატონი დირექტორო? — წაიბურღლუნა მევიოლინემ.

კოტოვიჩმა პრისხანედ შეჰყარა წარბები.

— ხელოვანთათვის არ არსებობს დრო, ბატონებო. არაფერი მითხრათ! უსიტყვო მორჩილებას ვითხოვ. სრულ მორჩილებას.

დარბაზის სიღრმიდან ქშენა-ქშენით სლომკა გამოგორდა. კოტოვიჩმა მბრძანებლურად გაიშვირა ხელი და იგი შირიდან შეაჩერა.

— გაჩერდი! გაჩერდი. კეთილო კაცო! ნაბიჯი აღარ გადმოდგა. სულით ლატაკმა უნდა მიცქიროს მხოლოდ. სიტყვა არ შემობრუნო.

კოტოვიჩის დიდებულმა შესახედაობამ და ძლიერმა ხმამ ისე იმოქმედა სლომკაზე, რომ ხმის ამოუღებლად დაიხია მაგიდებისკენ. რამდენიმე მიმტანი მივიდა მასთან ახლოს. ყველაზე წინ ის ახალგაზრდა ოფიციანტი დადგა. სლომკამ რომ შეიძულა. ამასობაში ბარში მიწყნარდა ხმაური. ეტყობოდა. აწრიალებული ხალხი შინ წასვლას აპირებდა.

კოტოვიჩი ხელებს შლიდა და იდუმალი ხმით რაღაცას განუმარტავდა მუსიკოსებს. ისინი დაბნეულები უყურებდნენ ერთიმეორეს. კოტოვიჩი უკან გადადგა და ისე დააკვირდა მათ, თითქოს ამოწმებდა, ჩემმა სიტყვებმა რა შთაბეჭდილება მოახდინათ.

— როგორაა საქმე, ბატონებო?

— არაფერი გამოვა. ბატონო დირექტორო, — წაიბურღლუნა გაბერილმა მევიოლინემ.

— ჯერ ეს არასოდეს დაგვიკრავს, — ღვოვური კილოთი გააგრძელა საქსოფონისტმა.

კოტოვიჩს სახეზე დიდი აღშფოთება გამოეხატა. კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა უკან და ისეთი საშინელი მზერა შეავლო მევიოლინესა და საქსოფონისტს, რომ მასთან ახლოს მდგარმა სქელუამ სასწრაფოდ იმართლა თავი:

— გაგვიგეთ, პახ დირექტორო...

— არავითარი ახსნა-განმარტება არ შესაჭიროება.

— ჩვენი რეპერტუარიდან დავუკრავთ რამეს, — შემრიგებლურად თქვა საქსოფონისტმა, — ჰო, დავუკრავთ, რატომაც არა? ან მარშს, ან ჩარდაშს...

— ჰეი! -- იყვირა კოტოვიჩმა. — სიტყვა აღარა თქვათ! სიტყვა არ დაძრათ.

ახალგაზრდა პიანისტი, მანამდე რომ განზე იდგა, ამხანაგებთან მივიდა.

— მაზალო ვინმეა, — უჩურჩულა მან მევიოლინეს ყურში. — რას ითხოვს?

მევიოლინემ მხრები აიჩეჩა.

— შოპენის პოლონესს!

— რომელს?

— ეშმაკმა უწყის! შევძლებთ კი დაკვრას?

პიანისტი კოტოვიჩთან მივიდა.

1. ერთი წუთით (ყრახე).

— რომელი პოლონეზი დაუუკრათ, პატივცემულო?
კოტოვიჩმა ზიზლით გადახედა.

— A—dur. ყმაწვილო. A—dur.

— დიდებულია! — ხელები მოიდშვნითა პიანისტმა ტა-ტა-ტა-ტა-ტა-ტა-ტა... ეს?

კოტოვიჩი გაიბადრა.

— ჩინებულია! არაჩვეულებრივია! ბედნიერი ვარ, რომ გაგიცანით, ყმაწვილო. გმადლობთ. გესმოდათ, ბატონებო? თქვენ შორის დიდი ხელოვანია. ჰოდა, თქვენ იცით! სიტყვა აღარ თქვათ. ნუ შემეკითხებით, ეს ისტორიული მომენტია. Un moment historique!

პიანისტი ამხანაგებს რალაცას ეუბნებოდა. ყველაზე უფრო მსუქანი მევიოლინე ცხარობდა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, როგორც ჩანს, მუსიკოსებმა დათმეს, ერთმანეთს ეკამათებოდნენ, ესტრადაზე ავიდნენ და საკრავები ამოიღეს. გულხელდაკრეფილი კოტოვიჩი მათ უყურებდა.

— დიდებულია, ბატონებო! — წამოიძახა მან. — ნუ გეშინიათ. ნიშანს როცა მოგცემთ...

მიმტანმა, სლომკამ რომ ამოიჩემა, თავის ამხანაგს ხელი ჰკრა.

— დიდი ფანტაზიის პატრონია, არა?

რამდენიმე ოფიციანტი მივიდა მათთან. დარბაზის სიღრმეში სამზარეულოდან ჭურჭლის მრეცხავებმა გამოიხედეს, ერთი ბიჭი მაგიდაზე აძვრა. მაგრამ უფროსმა ოფიციანტმა კატასავით ჩამოაგდო.

კოტოვიჩი შუა დარბაზში იყო, როცა ახმაურებული ხალხი ბარიდან გამოცვივდა, სლომკა მათკენ გაექანა. მაგრამ კოტოვიჩმა გააჩერა.

— გაჩერდი, გაჩერდი, კეთილო კაცო. ნაბიჯი არ გადმოდგა, მიბრუნდი.

მისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია, შემოსულებს მიუბრუნდა. კარგა ბლომად იყვნენ. ჰანკა ლევიცკა, მაგიდაზე კანკანს რომ უვლიდა, გადამთვრალი იცინოდა, მუხლებს ზემოთ იწევდა თავის გრძელ სალამოს კაბას და ზანგურ ცეკვას ცეკვავდა. მამაკაცები — სვენცკი, ფუციატისკი და პავლიცკი — ტაშს უკრავდნენ. პირში სიგარაგარჭობილი ვეიხერტი რალაცას ეჩურჩულებოდა რუჟა ფუციატისკას. ის, ცხენის სახეზე წითელი ლაქები რომ აჩნდა, ყურადღებით უსმენდა და ხანდახან ჩაიცინებდა. სტანევიჩის მეუღლე და კოხანსკა გვერდში ამოდგომოდნენ ლამაზ ექიმ დროზდოვსკის. მის მიერ მიტოვებულ ქერათმიან მზეთუნახავს, უგრძობლად რომ გამომთვრალიყო, ადვოკატი კრავესკი ეარშიყებოდა. ხუჭუჭთმიან ლილი ჰანსკას სეიფერტი გადახვეოდა. კარგად გაუთოებული თეთრი შარვალი და ასეთივე ფართო პიჯაკი ეცვა.

— გთხოვთ!

ყველა სახტად დარჩა, დაიბნა და აწრიალდა. კაბააწეული ჰანკა ლევიცკა კი გახევდა. ერთი წუთის მერე აჩურჩულდნენ, მაგრამ განუმეორებელმა კოტოვიჩმა მაშინვე დააშოშმინა ისინი.

— სიტყვა არ გამაგონოთ! — რალაც მაგიურად შემოხაზა მან. — Un moment. ახლოს მოდით.

ერთად შეჩვეუდნენ და ხმის ამოუღებლად, მორჩილად მიუახლოვდნენ კოტოვიჩს. აქეთ, დარბაზში ბნელოდა, და ბნელში გახვევებულები საოცარ

1 ისტორიული მომენტი (ფრანგ.).

ურჩხულს წააგავდნენ. გარეთ ჩიტები ჭიკჭიკებდნენ და გათენებას ეგებებოდნენ. ფარდასა და ფარდას შორის სინათლის ზოლი ჭიატობდა.

სამზარეულოდან დერეფანში ერთიმეორის მიყოლებით გამოდიოდნენ კურჭლის მრეცხავები. მერე თეთრჩაჩიანმა მზარეულმაც გამოყო დავესწრებოდეგ ბებერი იურგელუშკა გამოჩანჩალდა. ბიჭი ისევ მაგიდაზე იჯდა. მერე ამჯერად არავის ჩამოუგდია.

კოტა ხანს კოტოვიჩი ტყებობდა, ნახეთ, რა შთაბეჭდილება მოვახდინეო. სინარულით ცას ეწეოდა, ალტაცებას ველარ მალავდა. წელში გაიმართა და უფრო მაღალი გამოჩნდა, სულ სხვანაირად გაიშვირა ხელი წინ.

— საუცხოოა! დიდებულია! ახლა ერთი უდიდესი აღმოჩენა. Une grande découverte! ბრწყინვალე დასასრული. ახალ დღეს უნდა მივესალმოთ. ქალბატონებო და ბატონებო, გენიალური აზრია! პოლონეზი ვიცეკვოთ. Voilà!

სტუმრები გამოცოცხლდნენ, მოეწონათ ეს აზრი.

— დიდებული სანახაობაა! — ხმას აუწია კოტოვიჩმა. — სიტყვა არ ვიგონო. წყვილ-წყვილად იცეკვეთ პოლონეზი. უდიდესი ფერხულია. ხალხური ფეერიია. ვინ არის წინააღმდეგი? წინააღმდეგი არავინაა. ყველა თანხმია. გაუმარჯოს თანხმობას!

— ყოჩაღ! ყოჩაღ! — დაუკრეს ტაში.

კოტოვიჩი მთელი ტანით რამდენჯერმე შემობრუნდა, ესტრადაზე ავიდა და მუსიკოსებს გადახედა, ისინი მზად იყვნენ. ყმაწვილი პიანისტი ალტაცებით უყურებდა კოტოვიჩს.

მარტო ჰანკა ლევიცკა ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა. ცეკვა უნდოდა. კაბააწეული იდგა, თეძოებს ათამაშებდა და ირწეოდა. ბავშვურ სახეზე მხოლოდ ერთი სურვილი ეხატა, ბოლომდე ეცეკვა.

— ტაშს რატომ არ უკრავთ? — თვალი მიმოავლო მან თავის ამხანაგებს. — ტაში დაუკარით. ეშმაკმა წაგილოთ!

ფუციატიცკი მხრებზე მოეხვია.

— პოლონეზს როცა ცეკვავ, ტაში არ უნდა დაუკრა, ჩემო გოგონი, — ცხვირში წაიდუღლუნა მან.

— მაშ, რა უნდა ქნა?

— ნახავ.

— მე, ცეკვა მინდა. — ბავშვურად წაისლუკუნა მან.

სვენცკიმ ყურში რაღაცა უჩურჩულა.

— მართლა? — გაიხარა ჰანკამ. — ფირფიტებიც გაქვს?

— სუ-უ!

— აბა, დავიწყით! — წამოიყვირა კოტოვიჩმა. — ასწიეთ ფარდა! კარგია, დიდებულია. გთხოვთ მაესტრო სეიფერტი!

იგი ცეკვა-ცეკვით გამოვიდა შუა დარბაზში. გაისმა ტაშისცემა. სეიფერტი ისე იხდიდა მაღლობას, თითქოს სცენაზეაო.

— მაესტრო სეიფერტი და მე დავიწყებთ პოლონეზს, — ხმა აიმაღლა კოტოვიჩმა. — გთხოვთ, მაესტრო, აი, ასე! ახლა კი წყვილებს გამოვიძახებ. Un moment. ქალბატონებო და ბატონებო! დგება ბრწყინვალე, ჯერ არნა-

1 დიდი აღმოჩენა (ფრანგ.).

2 აი ასე! (ფრანგ.).

ხული წუთი. საოცარ აღმაფრენას ვგრძნობთ. პირველი წყვილი: ბატონი მინისტრი სვენცკი, გრაფის მეუღლე რუჟა ფუციაციცა.

— ნვალბოგელი! — წამოიძახა ვეიხერტმა.

დარბაზის იქით მდგარი სტეფკა სკამზე ავიდა.

— მოდი აქ, — დაუძახა თავის ამხანაგს, — ერთი კვირის წყვილი-როტ ეს გრაფის მეუღლე. აი, ასე! ნახე, ნახე, რა აწოწილი ვინმეა...

გამოძახებულები გამოვიდნენ და ყველამ ტაში დაუკრა. სლომკაც არ ჩამორჩა. სვენცკი მოწიწებით მიესალმა ფუციაციცის მეუღლეს.

— ძალიან მესიამოვნა თქვენი ნახვა, პანი...

— შემდეგი წყვილი! — იყვირა კოტოვიჩმა. — გრაფი ფუციაციცო და სიმღერის დედოფალი პანი ჰანკა ლევიცკა.

— ლოდა აჯობებდა. — წაიბუტბუტა სეიფერტმა.

— მესამე წყვილი: ბურგომისტრის მოადგილე, ბატონი ვეიხერტი და სახელგანთქმული მოცეკვავე ლოდა კოხანსკა.

გამოძახებულები ხითხითითა და ტანის რწვევით გამოვიდნენ, ვინც თავის რიგს ელოდა. ტაში დაუკრა.

— შემდეგი წყვილი: მაიორი ვრონა...

— არ არის! — გაისმა ხმები. — ბარში დარჩა.

მართლაც ვრონა და ტელეფინსკი არ გამოყვნენ თავისიანებს, ბარში დარჩნენ.

ვრონამ სირჩა აიღო.

— გაგიმარჯოს, მე ედეკი მქვია.

— მე კი ფრედი. იცოცხლე.

ვრონა ტელეფინსკის ყელზე მოეხვია.

— მთელ ამ ბრბოში ერთადერთი ნაღდი ბიჭი ხარ, არისტოკრატი, ნამდვილი არისტოკრატი, მაგრამ ჩვენთან ყოფნაც შეგიძლია.

— ჩემი არისტოკრატობა ვის გაუგონია.

— მოდი გაკოცო. სამწუხაროდ არ იყავი ჩვენთან ტყეში.

— ტყეში კი ვიყავი, მაგრამ თქვენთან არა.

— იყავი?

— აბა, არა?

— ნეტა ჩვენთან ყოფილიყავი, მაგრამ არაფერია. კიდევ მოასწრებ იქ ყოფნას. ესენი ყველანი ნაძირალები არიან, — დარბაზისკენ გაიშვირა მან ხელი.

კოტოვიჩი განაგრძობდა წყვილების გამოძახებას. უნდოდა პავლიცკისა და სტანევიჩის მეუღლეს ერთად ეცეკვათ, მაგრამ დროზდოვსკიზე ჩაფრენილი ქალი რომ დაინახა, შეცვალა და პავლიცკის მეწყვილედ ლილი ჰანსკა გაუშვა. მათ მერე გამოვიდნენ ვეჭილი კრავესკი და ქერათმიანი ქალი, რაღაცას რომ ლუღლუღებდა, ბოლოს კი დროზდოვსკი და სტანევიჩის მეუღლე. კოტოვიჩის აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა. უჰ, რა სახელოვანი ხალხია! აი, ამას ჰქვია პოლონეზი!

— აქედან გამოდით! — მთელი ხმით დაიყვირა მან. — დაუკარი! En avant!! თენდება!

ბინდბუნდში პოლონეზის ხმაზე კოტოვიჩსა და სეიფერტს, გაცხარებით

¹ გამოდით! (გადასვლა)

რომ ლაპარაკობდნენ. უკან მიყვნენ წყვილები და გასასვლელისკენ გაემართნენ. უკან, გარკვეულ მანძილზე მიმტანები და გამობრუნებული მოხითხოვე კურჭლის მრეცხავეები მიდიოდნენ. ბოლოს სლომკა მიგორავდა.



ორკესტრში ყველა როდი უკრავდა სწორად. პიანისტი ისე ეტყობუნებდა კლავიშებს. თითქოს პიანინო ნაფოტებად უნდა აქციოს რიტმული რიტმი. რიტმი თავისას იქმნოდა. წყვილები გრძელ მწკრივად მიცურავდნენ და ამოჯიხებივით ხტუნვა-ხტუნვითა მიყვებოდნენ ერთიმეორეს. ერთსა და იმავე მოძრაობას იმეორებდნენ. თვალგამტარებულები იყურებოდნენ წინ.

პოლონეზის მოცეკვავეები და უკან ადევნებული მოსეირნეები გასასვლელს უახლოვდებოდნენ. დარბაზი თანდათან იცლებოდა. დაცარიელდა თუ არა დარბაზი, საიდანღაც, მაგიდებს ქვემოდან გამოძვრა თმაგაწეწილი და ტანსაცმელდაკმუჭნული პენიონეეკი. სიმთვრალე ეტყობოდა, რამდენიმე საათის ძილმა ვერ უშველა. ფეხზე ძლივს იდგა. პოლონეზის რიტმში ხელს იჭნევდა, მაღლა ხტებოდა და იმანჭებოდა. ცარიელი დარბაზი გადაიარა და სხვებს გაედევნა.

ისინი უკვე პოლში გავიდნენ. იქაურობა დღესაც იყო განათებული. მოხუცი მეგარდრობე, დაღლილობისაგან ფეხზე ძლივს რომ იდგა, კარის გასაღებად გაეშურა. თვლემამორეული მოცეკვავეები მუსიკის ხმაზე ნელ-ნელა გამოფარფატდნენ გარეთ.

მშვენიერი ღამე გათენდა. გამკვირვალე, ლურჯ ცას ვარდისფერი დაძვრავდა. ცივი იყო კამკამა ჰაერი. ბაზარში კაცი არ ჭაჭანებდა.

კოტოვიჩის ალტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

რა მშვენიერია, რა საოცარია. — ბუტბუტებდა იგი. უცებ მთელი ხმით იყვირა:

გაუმარჯოს პოლონეთს!

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. სასტუმროს სახურავიდან რამდენიმე მტრედი აფრინდა. მერე შორიდან, დამწვარი სახლების ნანგრევებიდან გაისმა გამოძახილი: პოლონეთს!

VIII

კვირას, 6 მაისს, ეგი შრეტერმა უბის წიგნაკში ჩაიწერა:

„დიდი ხანია ვიცი, რას ემყარება ბელადის იდეა და რა ხასიათი უნდა ჰქონდეს. ბელადობა რომ გასწიო. მაგრამ მხოლოდ გუშინ სალამოს შევიგრძენი ეს. მანამდე ვვარაუდობდი, დღეს კი ნამდვილად ვიცი. წუხანდელ სალამოს ჩემთვის გადამწვევტი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩავაბარე გამოცდა. უკვე აღარაფერი შეეძლება.“

შენიშვნები: ყველა ჩემს ამხანაგს ვერ ვენდობი. მარცინ ბ. არაფერში გამოგადგება. მისთვის ერთი ერთია ხოლო ჩემთვის ერთი არითმეტიკული პროგრესიის ნიშანია და მეტი არაფერი. ცუდად დაწერილი ციფრი უნდა შეიცვალოს. ალექ კ.-ს საითაც გინდა, იქით გადალუნავ. თიხასავით რბილია. ეს კარგიცაა და ცუდიც. ცუდი იმიტომაა, რომ იგი სილაჩრითაა გაბედული. მაგრამ ასეთებიც საჭირონი არიან. ისიც ვიცი, რომ ბრმად, უსაზღვროდ ერთგული კაცია. ეს ამბავი ცოტათი მართობს და მაცინებს. რა ნეტარებას განიცდი, როცა იცი, რომ მავანი და მავანი კაცი შენს ხელშია. მაგრამ ფელექ ს.ზე თუ ჩამოვარდება სიტყვა, ცოტათი მაშინებს მისი დამოუკიდებლობა...“

უცებ წერა შეწყვიტა და უკანასკნელი წინადადების გადაშლა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. ერთი წუთით შეყოვნდა და განაგრძო:

„ყურადღება: სიტყვა „მაშინებს“ მართებულად არ ვინძაროვნდა იყოს: არ მჯერა მისი დამოუკიდებლობის. იმის გამო, რომ ახრები ვერ დავალაგე, თავს ვისჯი. შეადღებდე ერთ პაპიროსს არ მოვწევ. სხვას გაუმელავენო შენი სისტემა. შენს თავს თუ გამოუტყდები. სისტემა და გაკლია თვითდისციპლინა. სხვას თუ გინდა ბორკილი დაადო, ჯერ შენ უნდა გაიყარო ბორკილი. გადაწყვეტილად. დაუნდობლად უნდა ჩაიკლა შენს არსებაში ზოგიერთი აზრი, გრძნობა და სურვილი. შენი თავის ისე უნდა გჯეროდეს, აი, ზუსტი მანქანისა რომ გჯერა ხოლმე.“

ფელეკ ს.-ს ვუბრუნდები: დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან მაგრად ვიჩხუბებთ. მით უარესი მისთვის მოვახერხებ...“

კარზე ხარმა გაიწყარუნა და წინადადება ველარ დაასრულა. საათზე დაიხედა. ადრე იყო — ცხრა დაიწყო. წამით დააყურა. კარს არავინ აღებდა. მშობლები, ჩვეულებისამებრ, დიდხანს იწვნენ სანთლის შუქზე ოთახში, სადაც ამ ბოლო დროს ავადმყოფი დეიდა ირენაც იმყოფებოდა. სამაგიეროდ დედის ბიძაშვილები, ორი მოხუცი ვარშაველი დომბროვსკები უკვე ფეხზე იყვნენ და სამზარეულოში ფუსფუსებდნენ. მაგრამ მათი იმედი არ უნდა ჰქონოდა. შრეტერმა უბის წიგნაკი სახელმძღვანელოების გატენილ პორტფელში ჩადო და წინკარში გავიდა.

იქ ისე ბნელოდა და ათასი რამით იყო გატენილი, რომ ვერ მობრუნდებოდი. ყველაზე დიდი ადგილი კარადას ეკავა. გვერდზე აებოხოლავებიან სხვადასხვა ზომის ზანდუკები, კალათები და ჩემოდნები. იქით კედელთან აულაგებელი რკინის საწოლი მიედგათ, რომელზეც დომბროვსკები იწვნენ.

ერთმა მათგანმა, დაბალმა, ფაშფაშა დეიდა ფელამ კვადრატული თავი გამოყო სამზარეულოდან. შეშინებული გამოიყურებოდა. ევი რომ დაინახა, ანიშნა. კარი არ გააღო. დები დომბროვსკები ოკუპაციის წლების შთაბეჭდილებით ცხოვრობდნენ და ზარის დარუკვასზე თავზარი ეცემოდათ ევიმ თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ვერაფერს მიხვდა. კარადასა და საწოლს შორის გაძვრა და პირდაპირ კარისკენ გაემართა. ამის დანახვაზე შეშინებულმა დეიდამ დაუყვირა:

— არ გააღო, ირეკ, გვედრები.

— რატომ? — მკვახედ ჰკითხა მან.

შეცბუნებული დეიდა ფელა საჩქაროდ გავიდა სამზარეულოში.

მალე კოტოვიჩი შემოვიდა. ღია ფერის კოსტუმი და ზამშის ხელთათმანები ეცვა, თეთრი შლაპა ეხურა. მარჯვენა ხელში სპილოს ძვლისბუნჩიანი ძველებური გოხი ეჭირა.

— რა კარგია, რომ თქვენ გამიღეთ კარი, ძვირფასო ბატონო ევი! — წამოიძახა მან. — პატარა საქმე მაქვს. მაპატიეთ, რომ ასე ადრე შემოგვეკერიტ... შრეტერმა თავაზიანად გაუღიმა.

— მობრძანდით, გთხოვთ. მამაჩემი ჯერ არ ამდგარა, მაგრამ ახლავე ვეტყვი...“

კოტოვიჩმა შლაპა მოიხადა და ფრთხილად გავიდა დერეფანში.

— ღმერთმა დამიფაროს, ღმერთმა დამიფაროს! — შეაჩერა მან შრეტერმა.

ტერი. — ვერ გავბედავ. ასე ადრე შევაწუხო ბატონი მასწავლებელი. ძალზე პირადული საქმე მაქვს. ისიც თქვენთან, ოქრო კაცო.

— მართლა? — გაუხარდა შრეტერს. — ნება მომეცით, წინ გავიძღვეთ, აქ საშინელი სივიწროვია.

ოთახში რომ შევიდნენ თავაზიანად დაუდგა სკამი.

— დაბრძანდით, ბატონო დირექტორო.

კოტოვიჩმა გაიხედ-გამოიხედა, შლაბა სად დაედო. მერე ქუდი და ხელთათმანები მაგიდის კიდეზე დადო და კვლავ იქაურობას მოავლო თვალი. ჯობი ხელში ეჭირა, არაფრით გამორჩეული, ჩვეულებრივი ავეჯი იმას მიგანიშნებდა, რომ სასადილო ოთახში იყვნენ. ერთ კუთხეში აულაგებელი დივანი იდგა, კუთხეში — საწერი მაგიდა და წიგნებიანი ეტაჟერი.

კოტოვიჩს კეთილმოსურნე ღიმილი მოეფინა თავის დიდებულ, თუმცა ოდნავ შემკვარ სახეზე.

— ეს, ასე ვთქვათ, თქვენი სამყოფელია?

— სამწუხაროდ, ჰო. ხომ ხედავთ, რა პატარა ბინა გვაქვს.

— ჰო, ჰო, — თავს უკრავდა კოტოვიჩი. — იანუშმა მითხრა ერთხელ.

მართლაც სამწუხაროა. მაპატიეთ, მაგრამ რამდენი ოთახია?

— ორი.

— რა საშინელებაა! რამდენი სული ხართ?

— ახლა ექვსი.

— ცუდია. — აღშფოთდა კოტოვიჩი. — მამათქვენისთანა ადამიანი, დამსახურებული მასწავლებელი, სწავლული... დაუჯერებელი ამბავია. აუცილებლად უნდა დაისვას ეს საკითხი, სადაც ჯერ არს.

ვერცხლის პორტსიგარი ამოიღო და ეჭის გაუწოდა, მაგრამ მან იუარა.

— არ ეწევი?

— ჯო, ვეწევი, მაგრამ ახლა არ მინდა.

მან მოწიწებით მიაწოდა კოტოვიჩს ასანთი და საფერფლე დაუდო. კოტოვიჩმა გააბოლა.

— სხვათა შორის, იანუში ვახსენეთ, მე მართალი გითხრათ, მის საქმეზე ვარ მოსული. ყური დამიგდეთ! თქვენ ხომ მეგობრები ხართ? შეგიძლიათ არაფერი მითხრათ, ვიცი ეს და ძალიან მიხარია. უკეთესი მეგობარი იანუშს არ ეყოლება. არა, არა, ნუ შემეკამათებთ. ზედმეტად მორიდებული ხართ. ვიცნობ ადამიანებს, ენდეთ ჩემს გამოცდილებას. ჰოდა... — პაპიროსი ჩააქრო და სავარძელში მოხერხებულად მოიკალათა. — ძვირფასო ეჭი, გულახდილად გეტყვით, რამ მომიყვანა ამ დილაადრიან. მეშინია, ძვირფასო ბატონო, მამა ვარ და მეშინია, რატომ დგახართ, ოქრო კაცო? დაბრძანდით. აი, ასე. ახლა კი ნუ დამიმალავთ და, როგორც კაცი კაცს, მითხარით...

სიტყვა აღარ დაუმთავრებია, შრეტერისკენ დაიხარა და მუხლზე ხელი დაადო.

— ყველაფერი მესმის, ძვირფასო, ყველაფერი. თავის ქება არ გამომივიდეს და ყველაზე გამგებინა მამა ვარ, ჩემს ვაჟს მოზრდილი ადამიანივით ვექცევი. სადმე გვიანობამდე დარჩება, გაერთობა, დალევს... ჩემი თავი ენაცვალოს, მისი საქმეა, არ ვერევი, ანგარიშს არ ვითხოვ. მის ასაკში მეც ბევრი რამ გადამხდენია თავს. მაგრამ თუ გამიგებთ, ჩემო ძვირფასო ეჭი, ამჯერად ნამდვილად შეშფოთებული ვარ: უამრავი ფული ჰქონდა ბიჭს. კი, შეიძლება

ვაქარბებ, მაგრამ ასეა თუ ისეა, იმდენი ფული იყო, ვერ დაითვლიდი. და რაც მთავარია — სხვისი ფული. მიბარებულნი თანხა! გასაგებია? დავთქვით, რომ ათის ნახევარზე შევხვდებოდით ერთმანეთს „მონოპოლში“ ათის ნახევარზე არ მოვიდა, არც — ათზე. ეს კიდევ არაფერი. რა არ ხდება ყველაფერი გასაგებია. მე თვითონ ძალიან გვიან დავბრუნდი წუხელში, მაგრამ იგი ჯერაც არ ჩანს. საერთოდ არ მოსულა. გესმით ჩემი?

სმენად ქცეულმა შრეტერმა ხელები გაასავსავა.

— აბა, რა გითხრათ? ალბათ ქეიფს გადაჰყვენენ.

— ჰო, ეს ვიცი, მაგრამ სად? ვისთან?.. Une femme?!

შრეტერს გაელიმა.

— რა ვიცი? შეიძლება ასეა, იანუშს არაფერი უთქვამს. თუმცა, რა თქმა უნდა, ათას რამეს ვეუბნებით ერთმანეთს, ნეტა სად დაიქარგა იგი ახლა? წარმოდგენა არა მაქვს. ისე, წუხელ საღამოს კი ვნახე.

— ნახეთ? — წამოიძახა კოტოვიჩმა.

— ჰო.

— რა დრო იყო?

შრეტერი ჩაფიქრდა.

— გეტყვით; ცხრა იქნებოდა. დიახ, ცხრა სრულდებოდა; იქამდე ვნახე, სანამ ქარიშხალი ამოვარდებოდა.

— რა გითხრათ? სად ნახეთ?

— სამი მაისის სახელობის ხეივანში. ამხანაგებს, კოსეცკისა და შიმანსკის მივყვებოდი.

კოტოვიჩმა მოუთმენლად ჩაიქნია ხელი.

— ამას არ აქვს მნიშვნელობა! რა გითხრათ, რა?

— არაფერი, საერთოდ, არ გვილაპარაკია. ვიღაც უცხო ხალხს მიყვებოდა.

— ქალებს?

— არა, მამაკაცებს. მგონი, ორნი იყვნენ. არც ის ვიცი, დაგვინახა კი? ალბათ, არა. ხომ იცით, რა ხდება საღამოობით იმ ხეივანში, მთელი ორომტრიალია, ბნელა...

კოტოვიჩმა გამომცდელი, გამსჭვალავი მზერა მიაპყრო. დარწმუნებული იყო, ამ მზერას ვერავითარი სიცრუე და ორგულობა ვერ დაემალებაო. ეს ბიჭი ნამდვილად მართლს ლაპარაკობდა. მისი გახსნილი, მიმზიდველი სახელია ფერის თმა, მის უბრალოებასა და პირდაპირობას მოწმობდა.

კოტოვიჩმა ღრმად ამოიოხრა და ხელჯოხს დაეყრდნო.

— ჯანდაბას, მაინც სად გაქრა აქამდე, ამდენი დრო გავიდა! შეუბერა, გასაგებია, მაგრამ იმ ფულს რა უყო?

— ნუ გეშინიათ! — გულითადად დაამშვიდა იგი შრეტერმა. — გამოჩნდება.

— კი, ვიცი, მაგრამ როდის, როდის-მეთქი, გეკითხებით. ფულს შეადლემდე დაგიბრუნებთ-მეთქი, დავპირდი. კოტოვიჩი სიტყვის კაცია, ძვირფასო. გამიგეთ? ახლა რაღა ექნა?

— ჰო, რა თქმა უნდა. — უთანაგრძნო შრეტერმა. — არ უნდა ექნა ეს.

— მეთანხმებით?

1 ქალი (ყრახე.)

როგორც კი ვხახავ, ეტყვი, თორღე სიტყვას.
გულაჩვილებელმა შეხედა და მაგრად ჩამოართვა ხელი.



— იცოცხლეთ, სულთ და გულით მადლობელი ვარ
შრეტერმა გაიცინა და დააყარა. ჩაწყობილი კბილები გამოაჩინა.
— არაფრის! ჩვენ რომ კოველთვის სიმართლეს ვეუბნებოდა, მისი მისწრაფების
— თქ. სიყმაწვილე, სიყმაწვილე! — ისევ ამოთხრა კოტოვიჩმა და წა-

მოდგა. — დავწყხარდი, ძვირფასო მეგობარო, მაწყენინეთ, მაგრამ დამაწყნარეთ კიდევაც. ახლა კი გამოგემშვიდობებით მოკითხვა მშობლებს და პოდიში მოძხადეთ, რომ ასე ადრე შემოგეკვირია, იანუში კი ერთი მაგრად შეახურეთ ღმერთმა უწყის, სად დაეხეტება ფულოახი...

მოხურა თუ არა კარი, სამზარეულოდან დეიდა ფელამ გამოიჩედა.
— ვინ იყო ეს, იურეკ? წაიხურჩულა მან.
— ჩემი ნახვა უნდოდა, უხეშად უმასუხა ვაჟმა.

ოთახში შევიდა, ჩაფიქრდა და მისდა უხებურად პაპიროსს წაეტანა. მაშინვე გვერზე დადო. ფანჯრიდან ხედავდა ეზოში მიმავალ კოტოვიჩს. წელში მოხრილი ჯოხს ეყრდნობოდა და ხელს მიდიოდა. კარში რომ შევიდა, შრეტერმა პორტფელიდან უბის წიგნაკი ამოიღო. წამით ჩაფიქრდა და დაუმთავრებელი წინადადების ქვეშ სწრაფად დაწერა:

„იმ ბებერ ტაკმასხარა კ-ს წესიერად ველაპარაკე, თუმცა ერთი შეცდომა მაინც მომივიდა: თავიდახვე აღვნიშნე, პატარა ბინა გვაქვს-მეთქი, არ იყო საჭირო ამის თქმა, ისიც ეოქვი, „სამწუხაროდ“-მეთქი, არ უნდა მეტყვა, არა, კი არ შრცხვენია, ეს რა სათქმელია. მაგრამ იმ გადამღრძვალ ყვეყჩს იმის საშუალება მივეცი, რამდენიმე წინადადებით გამოეხატა თანაგრძნობა. საშინელებაა, ვილაყას რომ იცოდები“.

ფელეკ შიმანსკი ბაზართან ახლოს, ძველი ქვის სახლის მეოთხე სართულზე ცხოვრობდა. შრეტერს შეეხარა მკვეთრად დაქანებულ, შვეულ კბეზე ასელა და ჯერ ეზოში შეიხედა, ჩაბნელებულ, ვიწრო ეზოში დიდი ხნის ამოუწმენდავი ნარეცხის ორმო ვარდა. შრეტერმა დაუსტვინა, ზემო სართულის ფანჯრებში მაშინვე თავი გამოყო წელამდე გაშიშვლებულმა ფელეკმა, ხელში პირსახოცი ეჭირა.

— სალაში! — გადმოსძახა მან. — ახლავე ჩამოვალ.

შრეტერი გარეთ გავიდა. ქუჩაში კაცი არ ქაჭანებდა. ქუჩის იქითა მხარეს დაბალი აფურის კედელი აღეპართათ. კედლის იქით წაბლის ხეები ყვავილობდნენ. კედელთან ოთხი პატარა დაკონკალი ბიჭი ფულობანას თამაშობდა და ცხარობდა. ბაზრიდან რადიოს ხმა ისმოდა, საციკვო პანგებს უკრავდნენ.

სამ წუთში ფელეკი დაბლა იყო ხელში ორი შაშხიანი ფუნთუშა ეჭირა.

— სალაში! — მიესალმა იგი შრეტერს. — ისაუზმე?

— არა.

— აი, — ფუნთუშა მიაწოდა ფელეკმა. — დიდებული შაშხია, ქალმა მოიტანა „მონთპოლიდან“.

კოტა ხანს ხმის ამოუღებლად მიდიოდნენ, კამდნენ.

ჩინებული შაშხია, არა? — ქეითბა პირგამოტენილმა ფელეკმა.

შრეტერმა თავი დაუქნია. ფელეკმა აღმაყვრად გამოხედა.

— მარცხითან მიდიხარ?



- ჰო!
- როგორაა საქმე?
- რას მეკითხები?
- კარგად გეძინა?

- შრეტერმა მხრები აიჩეჩა.
- ცუდად რად უნდა მძინებოდა?
 - ისე გეკითხები, მე კარგად გამოვიძინე, ალექსი რასა იქმს?
 - რა?
 - შინ წავიდა?
 - აბა, სად?

მარცინ ბოგუცკი იქვე ახლოს, ქვემო ოსტროვეცში, მდინარის ქუჩაზე, შრენიავასთან ცხოვრობდა. ბაზარში შრეტერმა მოულოდნელად უთხრა:

- იცი რა, იმ ბებერ კოტოვიჩს ვესაუბრე.
- ფელეკი გაწითლდა და გაჩერდა.

- როდის?
- ნახევარი საათი იქნება, ჩემთან იყო.
- ჰო? რა ამბავია?
- არაფერი, ყველაფერი რიგზეა.
- იპოვა იანუში?

— უფრო სწორად, იანუშის ფული, თურმე ჩემზე ეგონა, იცის, იანუშმა ღამე სად გაათიაო.

- ჰოდა, რა უთხარი?
- ისეთი არაფერი, წუხელ საღამოს დავინახეთ-მეთქი, შენ, ალექსა...
- ჰკუაზე შეიშალე, იურეკ? უთხარი, დავინახეთო?

შრეტერმა ღმობიერად გაიღიმა.

— ვირო, არაფერი გაგეგება, ასე უნდა მეთქვა, ცხრა საათი იქნებოდა, როცა სამი მაისის სახელობის ხეივანში იანუში ვნახეთ, ვილაც ორი უცნობი კაცი ახლდა, ერთი მათგანი, მაღალი, გამხდარ-გამხდარი შავკოსტუმიანი კაცი ორმოცს მიღწეული იქნებოდა... მიხვდი?

- მივხვდი. — წაიბურღლუნა ფელეკმა. — ენა არ დაგება?
- მე? გუშინ, ალბათ, შენიშნე, რომ ეს არ მჩვევია.

ფელეკს არაფერი უთქვამს, უსიტყვოდ შეუხვიეს ბაზართან ვიწრო და გრძელ მდინარის ქუჩაზე, შრეტერი უსტვენდა.

- ჯანდაბას! — შეიგინა უცებ ფელეკმა. — იცი რა?
- რა?
- არ მინდა აგყვე.
- ჰო! — გულგრილად მიუგო შრეტერმა.

ბოგუცკი ქუჩის ბოლოს, ერთსართულიან ხის სახლში ცხოვრობდა. ფართო, მზით გადანათებულ ეზოსთან ახლად გაფოთლილი თხმელები იდგა. ქვემოთ მდინარე შრენიავა მიედინებოდა.

ბარაკივით წაგრძელებული, შავსახურავიანი, სიძველისაგან დახავსებული ხის შენობა მიწას ჩაზრდოდა. პირველ სართულზე ვიწრო, წვრილსვეტებიანი გალერეა იყო. მოაჯირზე, მზვარეში დიდი, წითური კატა იწვა. იქით, გასაშრობად თოკზე გადაეფინათ ფერადი სარეცხი. აქ ისეთი სიწყნარე და სიმშვიდე სუფევდა, სოფელში რომ იცის ხოლმე.

პირველ სართულზე კიბით ახვიდოდი. შუა კიბეზე შრეტერი შედგა და ფელეკს გადახედა.

— შენ ეი!

— რა იყო?

— ბევრს ნუ იტლიკინებ.

— ოპ, ღმერთო! ვინ გგონივარ?

შრეტერმა თმაზე ხელი გადაისვა და პირველივე კარზე დააკაკუნა. კარზე სპილენძის ფირფიტა იყო მიკედებული, წარწერა თითქმის არ ჩანდა: „სტეფანია ბოგუცკა“. ქვემოთ: „მკერაფი“.

კარგა ხანს კარი არავინ გააღო.

— იქნებ შინ არავინ არ არის? — წაიჩურჩულა ფელეკმა და ოფლიანი ხელები შარვალზე შეიხოცა.

შრეტერმა უფრო მაგრად დააკაკუნა. ამჯერად ოთახში კარმა გაიჭრილა.

— გველრსა. — წაიბურღუნა მან.

კარი მარცხის დედამ, პატარა, კაფანდარა ქალმა გააღო. ბიჭები დიდი ხანია მას იცნობდნენ.

— გამარჯობათ. — თავი დაუკრა შრეტერმა. — მარცინი სახლშია?

— სახლშია. — ჩურჩულით თქვა მან. — გაგიმარჯოთ. მობრძანდით ოპ, ფელეკი აქ ყოფილა! — ქალმა მხოლოდ ახლა შეამჩნია შიმანსკის უკან მდგარი ფელეკი. — რა კარგია რომ მოხვედით.

ისინი წინკარში შევიდნენ.

— იქნებ ჭერ კიდევ სძინავს? — ჰკითხა შრეტერმა.

ბოგუცკამ თავი გააქნია.

— არა, არ სძინავს...

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა. მაგრამ ხმა ჩაუწყდა და ჩუმად აქვითინდა. ბიჭებმა ერთმანეთს გადახედ-გადმოხედეს.

— რა მოგივიდათ? — შემფოთდა შრეტერი.

ბოგუცკამ დიდხანს ხმა ვერ ამოიღო. ბოლოს ოდნავ დაწყნარდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოთქვა:

— რა უბედურებაა... მარცინი ავად გახდა. გუშინ სისხლს არწყევდა. გონება დავკარგე...

— სისხლი არწყია? — წაიჩურჩულა შრეტერმა.

ბოგუცკამ ცრემლები მოიწმინდა.

— სამზარეულოში შემოდით, ყველაფერს მოგიყვებით.

დიდი სამზარეულო ძალიან სუფთა და ნათელი იყო. შუა ოთახში სუფრაგადაფარებული მაგიდა იდგა. იქით, კედელთან მიდგმულ საწოლს პლუში ეფარა. ფანჯარასთან დაბალ სკამზე ქერათმიანი, გამხდარი, ავადმყოფური შესახედაობის რვა წლის გოგონა იჯდა. მუხლებზე დიდი თოჯინა ედო.

ბოგუცკამ კარი დაკეტა.

— დაბრძანდით.

შრეტერი გოგონასთან მივიდა.

— როგორ ხარ, ჰალინკა? დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს.

გოგონას ფერმკრთალი სახე გაუვარდისფერდა. თვალები დახარა და თავვივით გაიტრუნა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ჰალინკა! — დაუძახა პანი ბოგუცკამ. — მიესალმე ბატონებს, შენ ხომ კარგად იცნობ პან შრეტერსა და პან შიმანსკის.

ფელეკიც მივიდა გოგონასთან და ჩაცუცქდა.

— ოპ, ახალი თოჯინა გაქვს?

— ჰო. — მორცხვად წაიჩურჩულა მან.

— ვინ გიყიდა? დედამ?

— მარცინმა.

— რა ჰქვია?

გოგონას ჩაელიმა.

— ბასოა.

უკან როცა დაბრუნდნენ, ბოგუცკამ თქვა, მარცინი წუხელ სალამოს ძალიან დაღლილი დაბრუნდა, არაფერი უჭამია. მაშინვე დაწოლა დააპირაო.

— ხომ იცით, რა გადაღლილი და დასუსტებულია გაკვეთილებზე სირბილით, ჯერ ვიფიქრე, არაფერი უჭირს, უბრალოდ გადაიღალა-მეთქი. ერთი წუთით გამოვედი მისი ოთახიდან ჩაის მოსადუღებლად; როცა დაებრუნდი, თავის მაგიდასთან იჯდა თავჩაქინდრული, გულმა რეჩხი მიყო და წამოვიყვირე: მარცინ! ენა არ ამოუღია, არც კი განძრეულა, თითქოს არაფერი გაუგონიაო. მივირბინე და მაშინლა დავინახე, თვალებდახუკულს პირიდან სისხლი მოსდიოდა.

ქალი ისევ ატირდა. ფანჯარასთან ჰალინკა რაღაცას უჩურჩულებდა თავის თოჯინას. ბიჭებს თავი ჩაექინდრათ.

— ექიმი იყო? — ჰკითხა შრეტერმა.

— რას ამბობთ? რა დროს ექიმია? ვინ წამოვა ახლა, რამდენი ვეხვეწე და ვემუდარე. მაინც არაფერი გამოვიდა, გაიგებდნენ თუ არა, შორს ცხოვრობსო, მოსმენაც აღარ უნდოდათ. აი, მხოლოდ დილით მოვიდა ერთი ექიმი.

— რა თქვა?

— რას იტყოდა: დამამშვიდა, როგორც ექიმებს სჩვევიათ, მაგრამ მე ხომ ვიცი, ეპ, ფული რომ გვექონდეს... უამისოდ არაფერი გამოვა.

უცებ ქალი წამოდგა.

— ერთი წუთით, ბატონებო მგონია, მეძახის.

ქალი სამზარეულოდან გავიდა, ფელეკმა თავისებურად, ქეშად გახედა ეფის. იგი ჩაფიქრებული იჯდა, ხახვერად ღია ფანჯარაში ისმოდა, მტრედები ნისკარტს უკაკუნებდნენ ფანჯრის რაფაზე და ნამსკიციებს კენკავდნენ:

პანი ბოგუცკა მალე დაბრუნდა, ბიჭები ფეხზე აღგნენ.

— რა ამბავია? — ჰკითხა შრეტერმა.

— მარცინმა გთხოვათ, შემოდითო, აუცილებლად უნდა თქვენი ნახვა. მაგრამ ბევრს ნუ ალაპარაკებთ, ჩემო კარგებო, ექიმმა აუკრძალა.

გრილოდა ჩამობნელებულ ოთახში, ორივე ფანჯარაზე ფარდები ბოლომდე ჩამოეშვათ, მხოლოდ სულ ქვემოთ გამოკრთოდა სინათლის ზოლი, აღისფრად ღვივოდნენ ფირისულები, ქედლებზე ეკიდა ბიბლიურ თემებზე შექმნილი მოოქროვილჩარჩოიანი სურათები. ერთ ფანჯარასთან მიდგმულ მოდილო მაგიდაზე საკერაეი მახჭახა იდგა, მეორე ფანჯარასთან მიდგმულ მოდილო მაგიდაზე წიგნები და საწერი მოწყობილობა ეწყო.

მაღალ ბალიშებზე მისვენებული მარცინი საწოლზე იწვა, სახე მიტკალივით გათეთრებოდა, ლოყები და საფეთქლები ჩასცვენიოდა, ცხვირი წაწ-



ვეტებოდა და წაგრილებოდა. მოუსვენარი თვალები აგზნებოდა. შემოსუ-
ლების დახახვაზე შეეცადა თავი აეწია.

— იწევი! შორიდან დაუყვირა შრეტერმა. — სალამი! კარგს რას შე-



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტავი? მარცხი უსიტყვოდ უყურებდა თავის მეგობრებს.

— დასხედით. — წაიჩურჩულა მან.

— არა უშავს. ჩაბურღლუნა ფელეკმა. — ფეხზე ვიდგები.

ხელისგულები სულ უფრო უოფლიანდებოდა და შარვალზე იხოცავდა.

შრეტერმა სკამი მიიჩოჩა საწოლთან.

— დაჯექი. — უთხრა მან ფელეკს.

ამის შემდეგ ვურადლება აღარ მიუქცევია. მარცხის მიუბრუნდა.

— ხუ სწუხარ. მეგობართ. — მეგობრულად მიმართა მან თავისი მძლე-

რი ხმით. — სისხლის ღებინება დიდი არაფერია. იწევი. დაისვენებ და ყვე-

ლაფერი კარგად იქნება. საზაფხულოდ ნამდვილად მოიკეთებ.

მარცხი ანთებული თვალებით უყურებდა. მერე ტუჩები ააცმაცუნა.

შრეტერმა შეამჩნია ეს და მისკენ დაიხარა.

გაწყენს ლაპარაკი. შენი გადაღლა არ შეიძლება.

აუადმყოფმა თავი გააქნია.

— რა უყავით იმას? წაიჩურჩულა მან.

ფელეკი სკამზე აწრიალდა. ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა.

— ხუ ფიქრობ ამაზე. წყნარად უთხრა ბოლოს შრეტერმა. — ეს

ჩვენი საქმეა. ყველაფერი რიგზეა.

მარცხმა თვალები დახუჭა. მიცვალებული გეგონებოდა. ძლივს სუნთქავ-

და. ფანჯარა მოხურული იყო. მაგრამ მაინც გარკვევით ისმოდა მტრედების

ნისკარტების კაკუნი ფანჯრის რაფაზე. მარცხის საწოლთან დიდი ოლეოგრა-

ფია ეკიდა. წმინდა ქრისტეფორეს ჩვილი ქრისტე მიჰყავდა. შრეტერი სუ-

რათს დაავეიროდი ამაზრზენი ნაჩხაბნი იყო.

— დაეძინა. ხმას დაუწია ფელეკმა.

მაგრამ მარცხის არ ეძინა. თვალი გააჭყიტა. ჯერ ევის შეხედა. მერე

ფელეკს.

— ძინდა ეცოდე. რა უყავით იმას?

შრეტერმა მხრები აიჩჩა

— რა გინდა? ხომ გითხარი, ეს ჩვენი საქმეა-მეთქი.

— ჩემიცაა.

მარცხი საბანს მოეჭიდა და წამოდგომა მოიხდომა. მაგრამ ძალი აღარ
ეყო, ისევ ბალიშზე გადაესვენა. ერობანს არ განძრეულა.

მინდა ეცოდე. — ძლივგასაგონად ოქვა მან. — ერთადერთი...

— ფელეკმა ვეღარ მოიბმინა.

— უთხარი, იტრექ! რა დავიშავდება? რაქი უნდა...

შრეტერი ჩაფიქრებული იჯდა.

— იტრექ!

იგი ეცაბ წალში გაიბართა.

— არა! — მტარცად წარმოთქვა მან და წამოდგა. — წავიდეთ. გამაგრ-

დი. მარცხს. ყველაფერი კარგად იქნება. რამდენიმე დღეში შემოგივლით.

მარცხის თვალი არ გაუხელოა. ფელეკი დაიხარა და საბანზე დადებული

მისი ხელი ჩაბღუჭა.

- ნახვამდის. მარცინ.
- მეტი აღარ მოხვიდეთ, — წაიჩურჩულა ავადმყოფმა. მარცინმა ეს ფელეკს უთხრა. მაგრამ იქვე მდგარმა შრეტერმა გაიგონა — როგორც გინდა, — ცივად უთხრა მან. — აბა შენ იყო.
- პანი ბოგუცკა მათ სამზარეულოს კარის ზღურბლზე გამოვიდნენ თუ არა ოთახიდან. ქალმა შეწუხებული გამოვიდა შეივლო მნახველებს.
- როგორაა?
- ნუ გეშინიათ, — უთხრა შრეტერმა. — ძალიან დასუსტებულია. მაგრამ ასეა ყოველი სისხლდინების შემდეგ. გაუძლებს ამ გაჭირვებას.
- ქალი იდგა, ხელები მკერდზე დაეკრითა და შრეტერს მისჩერებოდა. თითქოს მისი ახალგაზრდული, სანდომიანი, ჯიშინი სახის დანახვაზე ძალას იკრებოდა.
- რას მეუბნებით? ღმერთმაც ქნას! ის რომ დაეკარგო...
- ნუ იფიქრებთ ამაზე.
- ქალმა თავი დაუქნია. ცრემლები აბრჩობდა.
- წავიდეთ? — წაიბურღლუნა ფელეკმა.
- შრეტერმა ხელი ჯიბეში ჩაიყო, ორი ხუთასიანი ამოიღო და პანი ბოგუცკას გაუწოდა.
- აიღეთ, — გულით უთხრა მან. — გამოგვართვით, ექიმების მოსაყვანად. წამლების საყიდლად გამოგადგებათ.
- ქალმა შეშინებულმა შეხედა.
- რა არის ეს?
- ფულია, აიღეთ. მე და მარცინს ჩვენ-ჩვენი ანგარიშები გვაქვს. ქალი შეყოყმანდა.
- აიღეთ, აიღეთ. მაგრამ მარცინს ჯერ არაფერი უთხრათ. მერე გაესწორდებით, როცა გამოკეთდება. ახლა ამით არ უნდა შევაწუხოთ.
- დედამ აღარ იცოდა, რა ექნა.
- ღმერთი გადაგიხდით, ოქროებო.
- ოთახში მარცინმა დაიკნავლა. შრეტერმა გამოთხოვება დააპირა, მაგრამ ბოგუცკამ შეაჩერა.
- ცოტა ხანს მოიცადეთ. მასთან შევიხედავ.
- მაშინვე უკან დაბრუნდა.
- თქვენი ნახვა უნდა. — თავი დაუქნია ეყის.
- ჩემი?
- ერთი წუთით.
- შრეტერი მარცინის მზერას გადააწყდა. იგი ავადმყოფის საწოლს მიუახლოვდა.
- გისმენ.
- მარცინმა ხელით ანიშნა, უფრო ახლოს მოდიო.
- შენ მიეცი დედას ფული?
- ეტი შეყოყმანდა.
- მიეცი?
- ჰო, მივეცი. მერე რა მოხდა? ასე რამ გაგაფიცა?
- მარცინმა არაფერი უპასუხა. უცებ თავი ასწია და დაიყვირა:
- დედა!

ქალი მაშინვე მოვარდა.

— რა იყო, შეილო? მე მეძახდი?

— ის ფული, დედა... კი იცი...

ქანი ბოგუცკა დაიბნა.

— რა ფული, შეილო?

— კი იცი, დედა, მიეცი ამათ... მაგიდაზე დადე...

ქალი დაბნეული იდგა, არ იცოდა, რა ექნა, მარცინმა თავი ასწია.

— დედა!

ქალი შრეტერს უყურებდა, თითქოს მისგან ელის ხსნასო.

შრეტერი ძირს იყურებოდა, ქალი ცოტა ხანს კიდევ ყოყმანობდა, მერე

წინსაფრის ჩიბიდან ფული ამოიღო და მაგიდაზე დააწყო. მარცინი, მთელი ამ ხნის განმავლობაში თვალს რომ არ აშორებდა, ბალიშზე მიესვენა.

— მადლობელი ვარ, დედა, ახლა კი წადი.

გავიდა თუ არა იგი, შრეტერი აფეთქდა.

— რას შერები, თუ იცი შენ? შეიშალე? ფული ხომ სამკურნალოდ გჭირდება?

— არ მინდა ეს ფული.

შუბლზე ოფლმა დაასხა, თვალები ჩაუცვივდა, ფერი მთლად წაუვიდა.

— აილე...

— შენი ნებაა, — წაიბურღლუნა შრეტერმა.

ფული ჩიბეში ჩაიდო და ის იყო კარისკენ მიტრიალდა, რომ მარცინის

ხმა გაიგონა:

— ეჟი!

— რა იყო?

არ გაუგონია, მაგრამ მიხვდა, მარცინი სთხოვდა, მომიახლოვდიო. ზიზღი დასძლია და თხოვნა შეუსრულა.

— ნუ გამიწყრები, ეჟი, რაცა ვარ, ისა ვარ, ძალიან მიმაჩნდი, საუკეთესო მეგობარი იყავი ჩემი...

გული ამოუჯდა და თვალები დახუჭა, მერე ისევ გაახილა.

— ეჟი!

შრეტერი არ განძრეულა, ცივი, გულგრილი გამომეტყველება ჰქონდა.

— რა გინდა?

— არ მინდა ჩემი გულისთვის სინდისის ქენჯნა გაწუნებდეს.

— მე? ნუ გეშინია.

— დამიჯერე, სიცოცხლეს ჩემთვის ფასი აღარა აქვს.

— ჰო? თუმცა ეს შენი საქმეა, ამისი თქმა გინდოდა?

— ჰო.

— მაინც უნდა გამაგრდე, ნახვამდის.

შრეტერი მიბრუნდა და ოთახიდან გავიდა, ისინი სასწრაფოდ გამოემ-

შვიდობნენ ქალბატონ ბოგუცკას და კიბეზე ჩავიდნენ; ფელეკმა ჩუმად ჰკითხა:

— რა უნდოდა შენგან?

— ისეთი არაფერი.

შრეტერს ფელიკსთვის არ შეუხედავს, სწრაფად ჩავიდა დაბლა, ფელეკმა კი ქუჩაში დაეწია.



ქართული
ბიბლიოთეკა

-- დმერთო! -- წაიბუზღუნა მან და შუბლსა და კისერზე ოფლი მოიწმინდა. -- რა გინდა რომ ქნა, ოფლში ვარ გაწურული.

შრეტერი ჩუმად მიდიოდა, და ნაბიჯებს ადგამდა. ხელეკმა/ შარვლის ჯიბეებში ჩაეწყო და უსტვენდა. შრეტერის ნაპირას მურყნარში ბილიკს აღმაჩალმა მიუყვებოდნენ. ჩრდილში ნოტიოს სუნი იდგა. გამგებნი/ მარად დაეღბო გუშინდელ კოკისპირულ წვიმას. ბარდებში ხმაძალლა ელურტულეზდნენ ჩიტები. გაღმა ნაპირზე რამდენიმე ტიტველი ბიჭი ბანაობდა. ყვირილით აძვრებოდნენ ხოლმე მდინარეზე გადაწოლილ ტირიფზე და წყალში ხტებოდნენ.

-- იურეკ! -- დაუყვირა ფელეკმა.

შრეტერი პირველი მიდიოდა და გამუდმებით უსტვენდა.

-- რა იყო?

-- რას ფიქრობ, გაუძღობს?

-- არ ვიცი.

-- ცოდვას ბიჭი, ეშინია.

თხმელას რტო მოტეხა. ფოთლები გააცილა და ბილიკზე ამოსულ ბუჩქებს დასცხო.

-- გამოტყდი, იურეკ, გამოელაპარაკა იგი ცოტა ხნის შემდეგ.

შენც გეშინია?

შრეტერი უცებ შედგა და მას მიუბრუნდა.

-- რა მითხარი?

ფელეკმა ვაოცებით შეხედა ნორწამხდარ სახეზე.

-- რა მოგივიდა...

-- აბა, გაიმეორე, რა თქვი!

შრეტერი ახლოს მივიდა მასთან; თითქმის ერთი თავით მაღალი იყო. ფელეკს ირიბად გაქრილ თვალებში შიში გაუკრთა, მაგრამ თავი ისე ექირა, თითქოს არაფერი მომხდარაო.

-- ნუ სულელობ, რა არის, ვერაფერი გითხრას კაცმა? ხომ არ გგონია, შენი მეშინია?

შრეტერი ცოტა ხანს თვალმოქუტული უყურებდა. მერე უცებ უკან დაიხია, პიჯაკი გაიხადა, მიწაზე დააგდო. წელში გაიმართა და თმაზე ხელი გადაისვა.

-- აბა!

ფელეკმა ქვეშ-ქვეშ შეხედა.

-- ჩხუბს აპირებ?

-- აბა, ცოცხლად! რა დროს ლაილიაია.

ფელეკი ერთხანს ფიქრობდა, და მერე ხელ-ხელა გაიხადა პიჯაკი. წამით შეჩერდა, პიჯაკს რა ვუყო, მისი ერთადერთი რიგიანი სამოსი ეს იყო. ბოლოს უახლოეს ბუჩქზე ფრთხილად გადაადო და ხელა აიკაპიწა პერანგის სახელოები. შრეტერი მშვიდად უთვალოთვალვინდა.

მორჩი?

-- რა გეჩქარება? დრო გვაქვს.

კვლავ სახელოებს იკაპიწებდა. ძლიერი, დაკუნთული მკლავები ჰქონდა. უცებ იდაყვის ზემოთ აკაპიწებული სახელო ჩამოუშვა.

-- არა! არ მისდა შეხთან ჩხუბი.

-- გეშინია?



ეროვნული
ბიბლიოთეკა

კი არ მეშინია, არ მიხდა.
ბუჩქზე გადადებული პიჯაკი აიღო და ჩაიკვა.
— ლაჩარი ხარ! — თავისი მკლერი ხმით უთხრა შრეტერმა.
ფელეკი გაწითლდა.
— არა ვარ ლაჩარი.
— აბა, ვინ ხარ?
— არ მიხდა გეჩხუბო, გაიგე? სულ ერთია, ვინც უნდა, ის იყოს, მაგრამ
შენთან არა.
ჩემთან რატომ არა?
არ მიხდა, მორჩა და გათავდა.
გახსოვს გუშინდელი ამბავი?
რას ამბობ, გავიყდი? გაბრაზდა ფელეკი.
მაშინ რატომ არა?
ოჰ, ღმერთო, იურეკ, მთლად გამოთავყვანდი? ჭკუა დაკარგე? ენა
ჩაიკვნიტე და მათქმევინე ორი სიტყვა ჯანდაბას შენი თავი, ჩვენი შეთაური
ხარ თუ არა? ჰო თუ არა? თუ არა, მაშინ მოდი და ვიჩხუბოთ...
— არ გინდა მცემო? ისე, საიდან იცი, რომ მომერევი?
ფელეკმა ფეხი გაჰკრა და ბილიკზე დაგდებული ქვა გადააგდო.
— არა, არც კი მიხდა ვცადო, მაქვს ამის უფლება?
მოდუშული შრეტერს გვერდით დაუდგა და ქუსლი დააჭირა სველ მი-
წას. უცებ შრეტერი სხვა გუნებაზე დადგა.
— ფელეკ!
— რა იყო?
— მომე ხელი, მიგიხვდი მართალი ხარ.
ფელეკი მისკენ მიბრუნდა, თვალები უბრწყინავდა.
— მაპატიე, — უბრალოდ უთხრა შრეტერმა.
— რა გაქვს საპატიებელი, წაიბურტყუნა მან, — წავიდეთ.
მოკლესზე წავიდნენ და გზატკეცილამდე მიაღწიეს, დაბისკენ რომ მიემარ-
თებოდა, ალექსი უკვე ელოდა მათ და როცა დაუძახეს, დაუყოვნებლივ ბა-
ღში ჩამოვიდა, ფერი ჩვეულებრივზე უფრო გაკრთომოდა, მაგრამ საუცხოო
გუნებაზე იყო.
— აი, მესმის! — ფელეკმა აღტაცებით შეავლო თვალი ალექსს. — ახა-
ლი შარვალია?
— მოგწონს?
— ცუდი არ არის, მაგრამ მე რომ ჩაძეცვა, უფრო მომეწონებოდა, ოჰ,
პერანგიც ახალია? — ხელი შეახო სელის თხელ ქსოვილს.
— ჰო!
— გიმართლებს, ყმაწვილო! ამოიოხრა ფელეკმა. — სამოთხეში ცხოვ-
რობ, მაგრამ მეც მექნება ახალი პერანგი, ხვალ მივდივარ, ბიჭებო, საყიდ-
ლად, აი, ნახავთ, რა პერანგი ვიყიდო!

მზე მაგრად აკერდა, თუმცა შუადღემდე დიდი დრო იყო, ხიდის ქვე-
მოთ, შრენიავას ნაპირას გადაჭიმულ პლაჟზე ხალხი ირეოდა, გრილოს ვერ-
სად ნახავდი, პაპანაქება იდგა, ომამდე აშენებული ყავახანის ვერანდისგან
დანახშირებული კოჭებილა დარჩენილიყო, ტანისამოსის შესანახი კაბინებიც
ვერ გადარჩენოდა დაწვას, სანაპიროზე ამოსულ დამღრალ ბაღახზე რამდენი-

მე საბჭოთა ჯარისკაცი იწვა. გზაზე განუწყვეტლივ მიდიოდნენ სამხედრო მანქანები. ქარს პლაჟისკენ მიჰქონდა თეთრი მტვრის ღრუბლები.

ხიდის მოაჯირზე გადაყრდნობილი ბიჭები პლაჟზე გაწოლილებსა და წყალში მობანავეებს გაჰყურებდნენ.

— ნახეთ, რა გადასარევი ქალიშვილებია! — წამოიხილა ფელეკმა. — იქნებ აქ დარჩენილიყავით, პა?

— შენც ერთი. — დააწყნარა იგი ალექსმა. — ჩვენს პლაჟზეც მოდიან გოგონები. გუშინ ორი ისეთი გოგო ვნახე. ჰკუაზე შეიშლებოდი...

— მაშინ ჩვენს თავს მივხედოთ! — მტკიცედ უთხრა ფელეკმა.

მენაყინისაგან ხუთი ულუფა ხლის ნაყინი იყიდეს და შრენიავას გალმა ნაპირზე გავიდნენ. ჯერ კიდევ ომამდე ამოჩემებულ ზღვის ნაპირი ქალაქ-გარეთ, კოსტიუშკოს სახელობის ბაღში მდებარეობდა.

სანაპიროს მიწაყრილს როცა მიუყვებოდნენ, შრეტერმა უამბო ალექს კოტოვიჩის ამბავი და თან მარცინთან სტუმრობაც. იგი გულგრილად უსმენდა. არც გაკვირვება გამოუხატავს და არც მღელვარება დასტყობია. სიტყვა არ შეუწყვეტინებია, არც შეკითხვა დაუსვამს. ბაგეზე კმაყოფილი ღიმილი დასთამაშებდა; უკან თავგადაწეული მიდიოდა და მაღალი ალვის ხეების კენწეროებს შეავლებდა ხოლმე გაფანტულ მზერას.

შრეტერმა არ იცოდა, ყურს უგდებდა თუ არა ალექსი.

— შენ, ეი! — ველარ მოითმინა მან ბოლოს. ალექსი ცაზე მცურავ პატარა, ბუმბულივით ღრუბელს მისჩერებოდა.

— რა იყო?

— რამე არ აგერიოს. ყველამ ერთნაირად უნდა ვილაპარაკოთ, ალექს ჰაიპარად გაეცინა.

— ნუ გეშინია! ჰო, იცი რა?

— რას მეტყვი?

— ვითომ იანუში რომ ვნახეთ, ეს კარგი აზრია. სწორი საქციელია. მაგრამ იმ ორი ვინმეს ამბავი დიდად არ მსიამოვნებს. ჰო, კარგი, ვილაცხვებ რომ მიჰყვებოდა, ეს კიდევ არაფერი. მაგრამ ჩვენ ხომ არ შეგვიძლია ზუსტად აღვწეროთ ისინი: რა სიმაღლისანი არიან, რა აცვიათ და სხვა მისთანანი, რატომ არ შეგვიძლია? ეს იმასა ჰგავს, თითქოს პირი შევიკარით. ბნელოდა და ბოლოს და ბოლოს ჩვენ რაში გვეკითხება, ვინ ვისთან დადის? მიდის და წავიდეს, რა ჩვენი საქმეა, დღე რომ ყოფილიყო, სხვა ლაპარაკია, მაგრამ ყიამეთში რა ექნათ?

— სწორია, დაემოწმა ფელეკი. — მართალი ბრძანდები, ორი ვილაცხვებდა და მორჩა. არა, იურეკ?

შრეტერი დუმდა. ალექსმა მოწყალე ღიმილით გადახედა.

— აუწერე მოხუცს ის ორი ტიპი?

— არა, — ჩაიბურღლუნა შრეტერმა. — მხოლოდ ეს ვუთხარი, ორნი იყვნენ-მეთქი.

უცებ გაიცნობიერა. ალექსის წინაშე თავს ვიმართლებო, და ბაგე მოიკვნიტა.

— ჩინებულაია! — შეაქო იგი ალექსმა. — ჩემი აზრით, ასეთ შემთხვევაში რაც შეიძლება ნაკლები უნდა ილაპარაკო კაცმა, პირდაპირ არაფერი თქვა: შესაძლოა, მე მგონია, თითქოს... და ასე შემდეგ.

ფელეკმა მოწიწებით დაჰკრა მხარზე ხელი.

— კარგად ლაპარაკობ. მართალი ხარ იურეკ, მეც არ მიყვარს ბევრი ტლიკინი. იცი რა, ძალიან მოიგე იმით, რომ მარცინთან არ წამოგვევი სულის ლაფავს.

— თვითონაა დამნაშავე, — მხრები აიჩეჩა ალექმა. — მარცინს მწიფებს ცხვირს სხვის საქმეში? ახლა იწვნიოს.

— მართალი ხარ, — წაიბურღლუნა ფელეკმა. — მაგრამ მაინც ცოდვია ბიჭი. კარგი ამხანაგი იყო.

შრეტერს სიტყვა არ უთქვამს. ჩაფიქრებული, წარბმოკმუხნული მიდიოდა მიწაყრილზე. ხელები ზურგს უკან დაეწყო.

— შენ რამ შეგაწუხა? — ჰკითხა მას უცებ ალექმა.

— მე?

— რაო, არა ხარ შეწუხებული?

— გეჩვენება.

ალექმა ეს თემა ამოწურულად არ ჩათვალა და ფელექს მიუბრუნდა.

— აბა მითხარი, შეწუხებული გამომეტყველება არა აქვს?

— მოეშვი, — წაიბურტბუტა ფელეკმა.

წყალდიდობისგან დასაცავი მიწაყრილი ამ ადგილას მარცხნივ უხვევდა და დიდი, დაჭაობებული მინდვრისკენ მიდიოდა, ბაიებს რომ გადაეყვითლებინა. შორს, ლურჯი ცის ფონზე კამკამა ჰაერში მოჩანდნენ კოსტიუშკოს სახელობის პარკის დიდი ხეები. ალექმა და ფელეკმა დაბლა ჩამოირბინეს. შრეტერი არ ჩქარობდა, ნელ-ნელა მიჰყვებოდა მათ უკან.

— სადღაც აქ უნდა იყოს, — გაიხედ-გამოიხედა ფელეკმა.

— ცოტა იჭითაა, — უთხრა ალექმა. — დაგავიწყდა?

ზედ მდინარის პირას მიჰყვებოდნენ ბილიკს. მარცხნივ ხშირი წნორნარი იყო. სიჩუმეს არაფერი არღვევდა. მზე უფრო აცხუნებდა. ბურჩებს ბუზები დაზუზუნებდნენ. ბალახიდან ამოხტებოდნენ ბაყაყები და წყალში ხტებოდნენ. შრენიავიას გაღმა, ფლატეებიან ნაპირას მზეზე წითლად ელვარებდნენ დაბის განაპირა სახლების სახურავები.

ერთადერთი კაცი შემოხვდათ გზაში — მსუქანი, ხნიერი მეთევზე. პატარა დასაკეც სკამზე იჯდა და დაძაბული მისჩერებოდა ტივტივას, ნაპირთან ახლოს წყალში რომ ირხეოდა. სქელლუას გვერდით ბალახზე დაკეცილი პიჯაკი იდო, პიჯაკზე — „გლოს ოსტროვეცკეგოს“ საკვირაო ნომერი. იქით პატარა წყლიანი ვედრო იდგა.

ფელეკმა ჩაიარა და ვედროში ჩაიხედა. ტივტივას მიჩერებული სქელლუა არც განძრეულა.

— რა ქენი? — ჰკითხა ალექმა მერე. — დაიჭირე რამე?

ფელეკი საწყალობლად დაიკყანა.

— იპ, ორთქ თითისიგრძე ნაფოტა. ნეტავი რად იტანჯავს თავს ეს გარუმბული კაცი? შეხედე. — მისკენ გაიხედა. — ფაშვი მუხლებზე უღევს. სასაცილო ვინძეა.

ალექმა გახედა და გაიცინა. შორიდან სქელლუა მართლაც ძალიან სასაცილოდ გამოიყურებოდა. მარტო შრეტერი არ იჩენდა ცნობისმოყვარეობას. ისევ დუმდა, რამდენიმე ნაბიჯით გაუსწრო ამხანაგებს. უცებ შედგა, აშკარად უკმაყოფილო გამომეტყველება ჰქონდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა ფელეკმა.

— ვერ ხედავ? ვილაც ნაძირალებს დაუკავებიათ ჩვენი ადგილი, მართლაც რამდენიმე ათეულ ნაბიჯზე, იქ, სადაც ხშირი ბალახი ხასხასებდა, წყალზე კი ტირიფი გადახრილიყო და ჩრდილს აფრქვამდა. ქალი და ცი იწვა.

— ჯანდაბას მაგათი თავი! — წაიბურღლუნა ფელეკმა ვენათ, მოდი, ბიჭებო, დავსხდეთ და გავიხადოთ.

ალეკმა შეაჩერა.

— დაიცა, რა გეჩქარება?

— დალახვროს ეშმაკმა, ბოლოს და ბოლოს მინდა გავიხადო და დამწოდებით წამოვწვე.

— იქით წავიდეთ. მოსახვევთანაც კარგი ადგილია.

— რად უღა წავიდეთ? ღმერთო, რა საოცრები ხართ! ადამიანების გეშინიათ...

— სულელო! ამ დოყლაპიებთან თავისუფლად ვერც კი დაილაპარაკებ.

— მერე რა მოხდა? ნუ ვილაპარაკებთ, მე უნდა გავშავდე.

შრეტერმა მაშინვე შეაწყვეტინა დავა.

— გეყოფათ ლაქლაქი. წავიდეთ!

— მე აქ ვრჩები. — განაცხადა ფელეკმა.

— შენი ნებაა. მე წავალ.

ფელეკმა ამოიოხრა.

— ოჰ, ღმერთო, რა უცნაურები ხართ...

ცოტა ხანს ერთად მიდიოდნენ; ხმას არ იღებდნენ. უცებ ფელეკი გაჩერდა.

— შეხედეთ, რა გადასარევი გოგოა. ღმერთია მოწამე, ასეთი არაფერი მინახავს. თქვენ რაც გინდათ ის ქენით, მე აქ ვრჩები.

თავი ისე დაიჭირა, ვითომ ფეხსაცმელებს ვისწორებო და ამხანაგებს ჩამორჩა, ცოტა ხნის მერე ისევ მათ გაჰყვა. მაგრამ როგორც კი დაინახა, რომ ალექი მიწაზე დაწოლილებს მიესალმა, დარჩენა გადაწყვიტა. ნაბიჯი შეანელა და ისინი კარგად შეათვალიერა. ახალგაზრდები იყვნენ, ქერათმიან ქალიშვილს ოქროსფერი დაჰკრავდა, ტანად ყმაწვილს შავგვრემანი სახე ჰქონდა. ფელეკს შეშურდა მისი.

— ჯანდაბას! — გაფიცხდა იგი. — ამათ რა უჭირთ.

ამხანაგებს დაეწია.

— ალექ, იცნობ მათ? ვინ არიან?

— ჩემი ძმის ამხანაგია.

— ეს ცინგლიანი? გოგო?

ალეკმა მხრები აიჩეჩა.

— არ ვიცი. ვილაც ბოზანდარა იქნება.

— ეს რა თქვი, ასეთ რამეს როგორ ამბობ. საერთოდ არა ჰგავს ამნაირ გოგოს.

— მაინცდამაინც უნდა ჰგავდეს?

— აბა, არა? ამნაირს მაშინვე იცნობ.

— აჰ, რა გალესილი გაქვს ენა! დამცინავად გაიციხა ალეკმა. — ჩვენ არ ვგავართ?

ფელეკი ოდნავ გაწითლდა.

— ჩვენ? ვის უნდა ვგავდეთ?

ალექსა მფარველურად დაჰკრა მხარზე ხელი.

— იცი რა, ფელეკ, კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ ხანდახან უბრალო რამეს ვერ ხვდები. იურეკი აგიხსნის, ვის არ ვგავართ.

ალექსი ბილიკიდან დაბლა ჩავიდა და სანაპიროს გახედა. ხშირი იყო. დაბალი. უცნაურად ტოტებგადახლართული ტირიფის ძირში გრილოდა. ახლომახლო არავინ ჩანდა. აქედან კარგად მოჩანდა მინდვრები და მდელოები. შორს ბიჟლის ცემენტის ქარხნის მიწები ილანდებოდა.

— მოდიო აქ! — დაუძახა მან ამხანაგებს. — დიდებული ადგილია.

სწრაფად გაიხადა და წელში გაიმართა. წითელი ფერის საბანაო ტრუსი ეცვა. ბიჭები ისევ ბილიკზე იდგნენ. ალექსა ერთხელ კიდევ დაუძახა მათ. და როცა ამანაც არ გაჰკრა, მხრები აიჩეჩა, ქუსლებზე შემოტრიალდა. ნაპირი გადაირბინა და წყალში ჩახტა. რამდენიმე წამს არ ჩანდა. ბოლოს შუა მდინარეში ამოცურდა, თავი გააქნია, სველი თმა უკან გადაიგდო და მოქნეულა მხარულით გაღმზ ნაპირისკენ გაცურა.

— დიდებულად ცურავს! — წარმოთქვა აღტაცებულმა ფელეკმა. — ხომ არ გაგჭეხადა?

შრეტერი უსიტყვოდ დაეთანხმა. პირველმა ფელეკმა გაიხადა. გაცვეთილი, ოფლხანი წინდები ფეხსაცმელებში ჩადო, ფართო, სატინის ტრუსი აიწია და გაუბედავად გახედა შრეტერს, ბალახზე რომ იჯდა და აუჩქარებლად იხსნიდა ფეხსაცმელს.

— წყალში არ ჩადიხარ, იურეკ?

— ჩადი. მე ცოტა ხანს არ ავდგები.

ფელეკი ყოყმანობდა. ფეხს იცვლიდა და ბანჯგვლიან მკერდზე ხელს ისვამდა.

— შედი, რაღას უცდი! — გაბრაზდა შრეტერი. — შენ რა, გადია ხომ არ გკირდება?

ამასობაში ალექსი გაღმა ნაპირზე ავიდა და წყლის წვეთებს იბერტყავდა.

— ფელეკ! — დაუყვირა მან. — მოდი, საუცხოო, თბილი წყალია!

ბოლოს ფელეკი წყალში შევიდა და გაცურა; შრეტერმა გაიხადა, ბალახზე წამოწვა და ხელები თავქვეშ შემოიწყო. მზე უკნიდან აცხუნებდა, ქოდა, შრეტერი თვალს ახელდა. მალლა-მალლა უსაზღვროდ ლურჯი, უძრავი, უღრუბლო ცა გადაშლილიყო. შრეტერი არაფერზე ფიქრობდა. უცებ დადღაღობა იგრძნო და ძილი მოერია. მალლა მერცხლები ქვიოდნენ. სადღაც ახლოს კრიკინობელა კრიკინობდა. წნორიანში შაშვები ქახქახებდნენ. უცებ სიჩუმე ჩამოვარდა და ეს სიჩუმე ისევე უსაზღვრო, უძრავი იყო, როგორც ზემოდან გადმომხობილი ზეცა. თვალი დახუჭა და დაძაბული ელოდა, როდის დაირღვეოდა სიჩუმე. ეჩვენებოდა, საშველი აღარ არისო. წამოჯდომა დააპირა. როცა სულ ახლოს ბალახის შრიალი მოესმა. თვალი გააბილა და ალექსი დაინახა. გარუჯულ სხეულზე წვიმის წვეთები უბრწყინავდა. სველი თმა შუბლზე ჩამოშლოდა. უკან გადაიყარა. მაგრამ კვლავ შუბლზე ჩამოეშალა. თავი დაანება და ზეზე წამოდგა.

— აღარ აპირებ ბანაობას? — ჰკითხა მან შრეტერს.

— ჯერ არა. სად არის ფელეკი?

— გაღმა ნაპირასაა. იქ მზე უფრო აქერს, მალე გეკიდება მზე.

— შენ რატომ დაბრუნდი?

— მე? უნდა გელაპაპაკო.

შრეტერი ერთხანს დუმდა; გულგრილად, ნამძინარევი გამრმეტყველებით ასცქეროდა უღრუბლო, ლურჯ ცას. წნორიანში შაშვები ჭახვებდნენ.

— გისმენ, — უთხრა მან ბოლოს. ერჩენული

ალეკი გვერდით მიუჯდა, მუხლებზე ხელები შემბახვროს და დაადო.

— როდის უნდა შეხვედე იმას?

— ვის?

— აი, იმას, იარალის თაობაზე.

— ჰო-ო! ეს არაა შენი საქმე, ამას მე მოვუვლი.

— ასე გგონია?

— დარწმუნებული ვარ.

— ჰოდა, ცდები, ეს ორთავემ უნდა მოვაგვაროთ.

— ჩვენ?

— ჰო, ჩვენ.

— იცი რა, შეგიძლია იოცნებო და რაც მოგეწონება, ყველაფერი ქნა, მაგრამ ამაზე მეტს ნულარ ვილაპარაკებთ, ყარგი?

— სიამოვნებით, თუკი გესიამოვნება, მაგრამ...

— კიდევ „მაგრამ“?

— ამის შემდეგ ჩემი იმედი აღარ გქონდეს, მართალს გეუბნები, მერე გაუგებრობა არ იყოს.

— მადლობელი ვარ გულახდილობისათვის.

— არ გინდა, ჯობია, შენს თავს მიულოცო წარმატება, თორმეტი საათის განმავლობაში ოთხიდან სამი კაცის დაკარგვა არ არის პატარა ამბავი.

უცებ შრეტერი ზეზე წამოხტა; სახე სულ შეცვლოდა, ფერი წასვლოდა. ალეკი დამძინაფი ღიმილით უცქეროდა.

— აი, მხოლოდ ამას გთხოვ, იურეე, არ გინდა ზედმეტი ამბები, სხვა დროს გამოგადგება, ისე, ჩემთვის სულ ერთია.

ეგი შრეტერი არ აფეთქებულა, თავს მოერია და ისევ ბალახზე წამოწვა.

— რა გინდა, კაცმა რომ თქვას?

— არაფერი.

— არაფერიო?

— მე მოვითხოვ.

— მით უკეთესი.

— ასეა, ასე.

— ასეთ ყურადღებას ანიჭებ სიტყვას?

— ამ შემთხვევაში, ჰო.

— როგორც გინდა! მაინც რა თქვი, რას მოვითხოვო?

— მომისმინე, გუშინს მერე მდგომარეობა შეიცვალა, ხუთნი ვიყავით და სამნი დავრჩით, ძალიან ცოტანი ვართ, არაფერი გამოგვივა, საჩქაროდ უნდა შეიცვალოს რამე, ფული ცოტა გვაქვს, იარალი...

— იარალი ჯერ არ გვაქვს.

— გვექნება, მეტნი უნდა ვიყოთ.

— ვთქვათ, ასე იყოს, მერე რა?

— შენ ერთ ხუთეულს უხელმძღვანელებ, მე — მეორეს, თანაბარი უფლება გვექნება.

— შესაძლოა, შემდეგ?

— შემდეგ? ყველა ჩვენს მოკმედებას შევათანხმებთ. ჩვენ მეთაურები ვიქნებით, დანარჩენები შემსრულებლები. საქმეზე თუ მიდგა საქმე, პირველ-ყოველისა, ბევრი ფული უნდა ვიშოვოთ. სულ ერთია რანაირად. ყველა ნაირი გზით. ფული უნდა გვექონდეს. ორ იატაკქვეშა სამხედრო რაზმს შევქმნით. აი, ნახავ, დიდი საქმე გავეთდება!

პირველ-ყოველსა
ყველა ნაირი
გზით
რაზმს შევქმნით

შრეტერი გვერდზე გადაბრუნდა და თავქვეშ ხელი ამოიღო.

— ახალი არაფერი გითქვამს.

— ვიცი.

— ჩემს გეგმებს იმეორებ.

— ჰო, მაგრამ შენ ერთს გინდოდა მეთაურობა, მე კი ეს ხელს არ მად-
ლევს.

— როდის მერე?

— ამიერიდან.

— ზომ არ გინდა, ახლავე გაგცე პასუხი?

ალეკი წამოდგა და ზარმაცად გაიზმორა.

— არა, ახლა არა. ვთქვათ, თხუთმეტ წუთს კიდევ დავიცდი. ფელეკთან მივცურავ და თხუთმეტ წუთში დავბრუნდები. ამასობაში მოიფიქრე.

შრეტერმა თვალი გააყოლა. ალეკი მსუბუქად, ბიჭურად მიდიოდა. ზურ-გიდან ფეხები უფრო წვრილი და გრძელი უჩანდა. მდინარესთან მისულმა ფეხის გამოხედა და ლალად ჩაიჭირქილა:

— მხოლოდ არ გაბრაზდე, შე ძველო.

შრეტერი გულაღმა დაწვა. მალლა ისევ ალერსიანი, ჩუმი ცა გადაშლი-ლიყო. მზე ზემოთ იწევდა და თვალებს სჭრიდა. შრეტერმა თვალი დახუჭა. გამთბარ ჰაერში მწერები ზუზუნებდნენ. წნორიანში შაშვმა დაიჭახჭახა და გაჩუმდა. შორიდან მეორე შაშვი გამოეჭახჭახა.

გაზაფხულობითა და ზაფხულობით სადღესასწაულო დღეებში ოთხი, ხუთი საათიდან ბალაბანოვიჩის ყავახანაში ჩვეულებრივ ბევრი სტუმარი იყ-რიდა თავს. ბალაბანოვიჩის კაფემ დიდი ხანია ნაყინით გაითქვა სახელი. ოკუ-პაციის დროს ყავახანაში, ისევე როგორც „მონოპოლში“, მარტო გერმანელე-ბი შემოდისოდნენ, და მხოლოდ ახლა, როცა საზაფხულო ვერანდა გაიხსნა, კაფემ ჩვეული, ომამდელი სახე დაიბრუნა, რაც სამი მაისის ხეივანისათვის იყო ნიშნული. წითლად შეღებილი გისოსით შემორაგული ვერანდა ხმაური-ანი ხეივანისა და წითელი არმიის მოედნის შესაყარზე გამოდიოდა. ტერასის ის ნაწილი, ხეივანს რომ გადაჰყურებდა, უფრო დიდი იყო და სასურველი. აყვავილებული წაბლის ხეები იფარავდნენ მას ახლა მზისგან. ექვსი საათი სრულდებოდა, სიცხე ისე აღარ იგრძნობოდა. ვერანდაზე ყველა მაგიდა და-კავებული იყო, და ვინც თავისუფალ ადგილს ვერ პოულობდა, მიდიოდა. ხეივანში ახმაურებული ხალხი დასეირნობდა.

მაცეკ ხელმიცკი და კრისტინა ტერასაზე, წითელი ზეთის საღებავით აყროლებულ გისოსთან ისხდნენ. რადიოთი მოედანზე უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემდნენ. გერმანია იმსხვრეოდა და ინგრეოდა. მოსკოვში ბელორუსი-ის მეორე ფრონტის ჯარების გამარჯვების აღსანიშნავად 124 ქვემეხმა 20 ბათჭი მისცა. ბრიტანეთის მეორე არმია დანიაში შევიდა. დანიის წინააღმდე-გობის ძალებმა კოპენჰაგენში ხელისუფლება ჩაიგდეს ხელში. მას მერე, რაც მოკავშირეთა ჯარები ნორმანდიაში გადმოსხდნენ, გერმანელი ტყვეების რა-ოდენობამ 5 მილიონს გადააჭარბა. ჩრდილოეთში გერმანელთა არმიის მასო-

ბრივი კაპიტულაციის შემდეგ ტყვედ ჩაბარდნენ ავსტრიულ-ბავარიული შენაერთებიც. სამი გერმანული არმია დანებდა ამერიკულ-ფრანგულ გაერთიანებულ მეშვიდე არმიას. გენერალმა პატონმა ჩეხოსლოვაკიის შეუტია. შაბათს, ნაშუადღევს იფეთქა აჯანყებამ პრაღაში. სალამოს ქალაქის უმეტესი ნაწილი აჯანყებულების ხელში იყო. ამერიკის მეშვიდე არმიის ჯარისკაცებმა ბერხტესგადენის ახლოს დაატყვევეს ყოფილი გენერალური გუბერნატორი დოქტორი ჰანს ფრანკი...

უკანასკნელი ცნობა რომ გადმოსცეს, ვერახდაზე ერთი ამბავი ატყდა. სუფრასთან მჯდომი ხალხი ახმაუროდა.

მაცი კრისტინასკენ დაიხარა.

— გაიგონე?

მხოლოდ, ახლა, მაციის ხმის გაგონებაზე გამოერკვა იგი.

— რა მოხდა?

— ფრანკი დაიჭირეს.

— ჰო?

— ჩამოაბრჩობენ?

— ალბათ.

ყურადღებით, წუხილით გადაბედა ქალიშვილს.

— რას ფიქრობდი?

— მე?

— არ გინდა მიიბრუნა?

— რატომაც არა. — სევდიანად გაიღიმა მან. — სწორედ იმას ვფიქრობდი, რაც არ უნდა მეფიქრა. მაგრამ მეტს აღარ ვიფიქრებ, მორჩა და გათავდა. ნუ გაქვს ასე საყვედურიანი გამოხედვა...

— საყვედურიანიო?

— აბა, რანაირი?

— განა არ იცი? — ჩუმად ჰკითხა მაციმ.

— შეხედე! — მის წინ დადგმულ თეფშზე თითო მიაშვირა კრისტინამ.

— ნაყინი სულ გადნა.

— დაისაჯე.

— აზრები რომ მომდის, იმისთვის?

— სამართლიანი სასჯელია.

— რა თქმა უნდა!

ცოტა ხანს ერთმანეთს შესცქეროდნენ. კრისტინა მზის სხივებში იყო გახვეული. ხანდახან ქარი წაბლის ფოთლებს შეაშრივლებდა და ქალიშვილის სახეზე, თმასა და მხრებზე ჩრდილები გადაივლიდნენ.

— მზე მოგეკიდა. — ყრუდ უთხრა მაციკმა.

— მართლა?

კრისტინამ ხალხით სავსე ვერანდასა და ტროტუარს მოავლო თვალი, მზედანათებულ წაბლის ხეებს გახედა.

— რა იყო? — ჰკითხა მაციმ.

— იცი რა, ხანდახან ეს ყოველივე სინამდვილე არ მგონია.

— ადამიანები?

— არა, დღევანდელი დღე. ზოგჯერ კი მეტისმეტად ნამდვილი მეჩვენება.

— როგორ?



— აი, ხომ ხედავ, რანაირი ვარ...
 — მითხარს, — იდაყვებით მაგიდას ჩამოეყრდნო მაცეი, —
 უცხოოდ არ გავატარეთ?
 ძალიან კარგად.
 კრისტინამ მალულად დაიხედა საათზე, მაცეიმ ეს შეამჩნევდა.
 კიდევ გაქვს დრო.
 — ჰო, ცოტა დრო კიდევ დამრჩა, შინ უნდა შევიარო, გამოვეწყო.
 გაგაცილებ, კარგი?
 კრისტინამ თავი დაუქნია.
 მხოლოდ ბარში არ მოხვიდვ.
 — არ გინდა? რატომ?
 — არ მინდა იქ შენი ნახვა, სადმე სხვაგან ივახშმე, კარგი?
 — მოგვიანებით მოხვალ? — შეშფოთებით ჰკითხა ვაჟმა.
 კრისტინას სახე ხან მოეჩრდილებოდა, ხანაც გაუნათლებოდა, სიტბო-
 ჩამდგარი, წყლიანი თვალები როგორც ღამით, ისე უელავდა.
 — ნამდვილად მოხვალ? — ჩურჩულით ჰკითხა ვაჟმა.
 — ცხადია! კიდევ გეეჭვება?
 — გუშინდელზე უფრო.
 — სულელო.
 — იცი რა...
 — რა?
 — გულით რომ გწადია, დარწმუნებული ვერ იქნები.
 კრისტინამ არაფერი უპასუხა.
 — ასე არ არის?
 — არ უხდა იყოს.
 — ასე დარწმუნებული ხარ?
 — მე შეკითხვები? აბა რა ვიცი?
 მაცეიმ ხელი თავზე შემოიღო და მაგიდას დააცქვრდა, მერე კრისტინას
 შეხედა.
 — მგონია, ვხვდები, სად შეიძლება სიმშვიდე იპოვო...
 უცებ ეილაკამ ხმამაღლა დაიძახა:
 — კრისტინა!
 ორივემ უკან მიიხედა იქვე, წითლად შეღებულ გისოსთან თმანუჭუჭა
 ლილი ჰანსკა იდგა, თეთრი კოფთა და თეთრი ქვედაკაბა ეცვა, ილიაში ჩოგ-
 ბურთის ჩოგანი ამოედო, მეორე ხელს მხიარულად უქნევდა კრისტინას.
 — ვინ არის? — ჩურჩულით ჰკითხა მაცეიმ კრისტინას.
 პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, ლილი ჰანსკა მათთან მივიდა.
 — აი, ხომ ჩაგავლეთ!
 კრისტინას გაუღიმა.
 — როგორც ხედავ, დასამალავი არაფერი გეჭირს, მგონი, არ იცნობთ
 ერთმანეთს? პან ხელმიცკი — ჩემი მეგობარი, ეს კი ლილი ჰანსკაა.
 ლილკამ ხავარჯიშევი ბიჭივით გაუწოდა ხელი ხელმიცკის და დაუფარავი
 ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა.
 — შორიდან გიცნობთ, გუშინ ბარში იყავით, არა?
 — ვიყავი.
 — აქაური არ უნდა იყოთ?



- არა.
 - რამდენიმე დღეში მიდის, — თქვა კრისტიანამ.
 - უკვე მიდიხართ? კიდევ ჩამოხვალთ?
 - შეიძლება.
 - დანამდვილებით არა?
 - ლილი! — უსაყვედურა კრისტიანამ.
- ლილიმ გაიცინა. გადაიხარა და კრისტიანას ლოყაზე აკოცა.
- ნუ გამიწყრები, საყვარელო. მოგილოცავ, — ყურში უჩურჩულა მას, — ძალიან ლამაზი ბიჭია.
- ისევ ხელმიცკის შეხედა.
- ნუ გვისმენთ, თქვენზე ვლაპარაკობთ.
 - ჩოგბურთი ითამაშე? — ჰკითხა კრისტიანამ.
 - ჰო, მაგრამ დღეს ვერ ვთამაშობდი. კარგია, რომ გუშინ ადრე აითესე. იცი, რომელ საათზე დავიშალეთ?
 - ალბათ, დილას.
 - ვერ წარმოიდგენ რა ხდებოდა.
- ლილიმ სხაპასხუბით, დაბნეულად დაიწყო წუხანდელი ამბის მოყოლა. ვეიხერტმა რუჟა ფუციაციკს მუხლებზე დაუჩოქაო, ჰანკა ლევიცკა სვენციკის სვინგს აცეკვებდაო, სეიფერტმა ზედმეტი ყურადღება გამოიჩინა და ამისთვის ერთმა ყმაწვილმა კაცმა ფეხსალაგში კარგა ლამაზად უთავაზაო, ფუციაციკიმ ყველა დამსწრე გაისად ზვალიბოგში დაპატიყაო, ქერათმიანმა ქალმა ექიმ დროზდოვსკის ერთი ამბავი აუტეხაო, სტანევიჩის მეუღლემ და დროზდოვსკიმ... ერთი სიტყვით, რამდენიმე წუთში ყველა და ყველაფერი გაქორა. ლაფში ამოსვარა.
- ხელმიცკი და კრისტიანა კი უსმენდნენ, მაგრამ ვერ მიმხვდარიყვნენ. ვისზე ან რაზე იყო ლაპარაკი.
- ვინ ფრედიო? — ჰკითხა კრისტიანამ.
 - ფრედი? დაიცა, გავიხსენო... ჰო, ისიც გამოთვრა და ბებერ ფუციაციკის წაეჩხუბა. მერე ერონას დაუშეგობრდა — სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს კომენდანტს...
- უცებ კრისტიანა თითის წვერებზე წამოიწია და მრგვალი თვალები დაახამნა.
- შეხედეთ, შეხედეთ! ნახეთ, სტანევიჩის მეუღლე თავის ექიმთან ერთად.
 - სად? — მისკენ თავი მიაბრუნა ხელმიცკიმ.
 - აი, იქით სხედან. ხედავთ, ქალს დიდი ჩაღის ქუდი ახურავს. ესეც ასე! იმ კაცმა ჰკუჟა დააკარგვინა. აჩვენებს სტანევიჩს სეირს! აბა, კარგად გნახეთ, შინ უნდა გავიქცე. ნახვამდის! — ლილიმ თავისებურად გაუწოდა ხელი ხელმიცკის. — ალბათ, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს. ძალიან სასიამოვნო იყო შენი გაცნობა. ნახვამდის, საყვარელო...
- კრისტიანას ლოყაზე აკოცა და ყურში უჩურჩულა:
- დღეს შეგიძლია ავად გახდე. ნუ გეშინია, მე შეგცვლი.
 - მართლა? — გაიკვირვა კრისტიანამ. — მეხუმრები?
- ლილიმ ხუჭუჭთმიანი თავი გააქნია.
- არ გეხუმრები. ნახვამდის!



- დაიცა. რითი გადაგიხადო მადლობა?
- ლილკამ სასაცილოდ გადაატრიალა თვალები.
- რას არ იზამ სიყვარულის გულისთვის! ნახვამდის!
- ლილი რომ წავიდა, მაცეკმა შვეებით ამოისუნთქა.
- არ მოგეწონა? — ჰკითხა კრისტინამ.
- რა გითხრა? რალაცნაირია... დამთხვეული გეგონება.
- ჰო, ცოტათი, მაგრამ საოცარი ქალიშვილია. მთელ ოჯახს არჩენს.
- თვითონ?
- და-ძმასა და სწულ დედას.
- რას მეუბნები....
- იცი რა?
- რა იყო?
- ვერ წარმოიდგენ, ბოლოს რა მითხრა.
- მაცეკმა თავი გააქნია.
- დაიხარე.
- ასეთი რა უნდა მითხრა?
- მომიახლოვდი, — უჩურჩულა კრისტინამ, — ჰმ... მთელი საღამო თავისუფალი გვაქვს.
- როგორ?
- სულ უბრალოდ. არ წავალ სამუშაოდ. ლილკა შემცვლის.
- არ-ა-ა? აი, ეს მესმის!
- კრისტინამ თავზე ხელი შემოიდო და მაცეკს მიაჩერდა.
- იცი, კიდევ რას გეტყვი? ძალიან კარგად ვარ.
- სწყვარელო. — ნაზად უჩურჩულა ვაჟმა.
- მინდა... აბა თუ მიხვდები...
- ამის გაგონებაზე მაცეკი დაიხარა და ბაგებზე დაეკონა კრისტინას.
- გაამოთ! — იყვირა პატარა ბიჭმა, გვერდზე რომ გაიარა.
- ორივეს გაეცინა. მაცეკი ჩაფიქრდა.
- რა მოგივიდა? — შეწუხდა ქალიშვილი.
- ყური მათხოვე... მინდა რალაც გითხრა...
- რამე საწყენია?
- არა. თუმცა არ ვიცი. ღამით სულ ამაზე ვფიქრობდი, დღესაც. მხოლოდ ნუ დამცინებ...
- ჯერ მითხარი.
- რალაც უნდა შეიცვალოს. სხვანაირად ვიცხოვრო. ყველაფერს ვერ გეტყვი...
- არცაა საჭირო. — ჩუმად უთხრა კრისტინამ. — ვხვდებოდი.
- მართლა?
- ვითომ ძალიან ძნელია?
- იცი, აქამდე ამაზე არ მიფიქრია, ყველაფერი თავისით აეწყობოდა ხოლმე, ჯამიგე?
- ჰო.
- მაგრამ ახლა ყოველივე ეს სხვანაირად მეჩვენება. მინდა ჩვეულებრივად ვიცხოვრო, ვისწავლო. ატესტატი მომცენ. შემიძლია პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შევიდე. არ მისმენ?
- კრისტინა ჩაფიქრებული, თითქოს თავის თავში ჩაძირული, უსმენდა.



— რაო?

— მისშენ?

— აი, ხომ ხედავ. — უსაყვედურა ქალიშვილმა, — აცი საწყენს არაფერს გეტყვიო?

— საწყენი რა გითხარი?

— ეს ყოველივე შეიძლება ამო გამოდგეს. შენს თავს ხომ არ ეკუთვნის.

— ვიცი. მაგრამ ვეცდები. რაც შემეძლება. ყველაფერს ვიზამ. აქ ერთი მეგობარი მყავს. ვისზეც ბევრი რამაა დამოკიდებული.

— ის ხომ არა, გუშინ რომ გახლდა?

— ჰო. ყველაფერს ავუხსნი და მიმიხვდება.

მაცეკს გაახსენდა გუშინდელი საუბარი ანჯიბისთან.

— გუშინ რომ მკოდნოდა ის. რაც დღეს ვიცი. საყვარელო. — სინანულით უთხრა ქალიშვილს.

— მაშინ შენთან არ მოვიდოდი. — წაიჩურჩულა კრისტინამ.

შუა ქუჩაში ჯარისკაცები მიიმლოროდნენ. უკან პატარა ბიჭები მისდევდნენ. თბილმა ქარმა დაუბერა. მზით განათებული წაბლის ხეებიდან ვერანდაზე ყვავილების თეთრი მტვერი ჩამოცვივდა. წითლად შეღებილ გისოსთან გათხუპნული ბიჭუნა მივიდა, ხელში იებით სავსე კალათი ეჭირა.

— იყიდეთ, ბატონო დირექტორო, — თაიგული გაუწოდა მან.

მაცეკმა გამოართვა ყვავილები და კრისტინას გადასცა. ქალიშვილმა თაიგული სახესთან მიიტანა.

— უჰ, რა სუნი აქვს...

— ერთი ის მიიხარი. უთხრა მაცეკმა ცოტა ხნის შემდეგ. — წაბვიდოდი აქედან?

ქალიშვილმა თავი დაუქნია.

— ნამდვილად?

— რასაკვირველია. აქ არაფერი შეკავებს.

ვაგი შეყოყმანდა. მერე გაუბედავად დაადო ხელზე ხელი.

— აბა, დაფიქრდი. — ხმა აუთრთოლდა მაცეკს, თითქოს იმედი და უიმედობა შერწყმულიყო მის არსებაში. — დაფიქრდი, აქამდე ხომ არ ვიცოდი, რა იყო სიყვარული...

— ახლა?

— ეს შენა ხარ! — უჩურჩულა აცახცახებულმა. — შენ ხარ სიყვარული.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



თარგმნა ბათუ დანელიამ

ნობელის პრემიის ლაურეატი იოსებ ბროდსკი დაიბადა 1940 წელს. ნევისპირა ქალაქში ჩაიარა, მისმა სიყმაწვილემ, მისი პირველი ლექსებიც პეტრეს ქალაქთანაა დაკავშირებული.

ბროდსკის არ ბეჭდავდნენ... მისი ლექსები ხელნაწერებით ვრცელდებოდა. ზოგი მათგანი სიმღერადაც იქცა. სამოციან წლებში ბროდსკი უკვე ცნობილი იყო. მას პოეზიაში თავის მემკვიდრედ თვლიდა ანა ახმატოვა — „პოეტების საამქროს“ უკანასკნელმა წარმომადგენელმა თავისი „ქნარი“ ახალგაზრდა პოეტს გადასცა.

1972 წლიდან ბროდსკი ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, არის რამდენიმე უნივერსიტეტის პროფესორი. 1987 წელს პოეტს მიენიჭა ნობელის პრემია, რუსულმა ლიტერატურულმა ჟურნალ-გაზეთებმა მაშინვე დაიწყეს მისი ლექსების ბეჭდვა.

აქ წარმოდგენილი თარგმანების ბოლოს ბროდსკის ცხოვრებასა და პოეზიაზე გთავაზობთ მისი მეგობრის, დღეს უკვე ცნობილი პოეტის ალექსანდრ კუშნერის მოკლე წერილს.

მთარგმნელი.

წერილები რომაელ მეგობარს

(მარციალიდან)

ახლა ქარია, ტალღა ტალღას მოსდევს და მოსდევს.
მოვა სთველი და ყველაფერი სადღაც გატოპავს...
ცვლა ამ ფერების ამშლელია გრძნობათა, პოსტუმ,
ვინემ დაქალის მორთულობის ცვალებადობა.

ქალწული? იგი თავს შეიქცევს ცნობილ ზღვარამდე, --
რდაყვებსა და მუხლებს იქით ველარსად წახვალ...
მშვენიერ სხეულს სამოსელი სანამ ფარავდეს? —
ვერც ეხვევი და ვერც ლალატობ. აღარ მსურს, აღარ!

გიგზავნი წიგნებს. ჩემო პოსტუმ, არაფერს საწყენს.
დედაქალაქში კვლავ სარეცლის თუა ხელობა?
რას იქმს ცეზარი? ალბათ, ისევ ინტრიგებს აწყობს.
სულ ინტრიგები! მასთან, ალბათ, ღორმუცელობაც!

მე კი ჩემს ბაღში ვზივარ, იწვის სანათი საწყულად.
აქ — არც დაქალი, არც ნაცნობი, არც მსახურები!

ამაქვეყნიურ უძღურთა და ძლიერთა ნაცვლად —
 ღამის მწერები შეწყობილად დაზუზუნებენ.



აქ განისვენებს აზიელი ვაჭარი ერთი,
 არ ჩანდა, თორემ აწყობილი ჰქონია საქმე.
 ციებცხელებამ მალე მოკლა, — სადაა ღმერთი! —
 უნდა ევაჭრა და ფეხი კი გაჭიმა, ვაჭმე!

მის გვერდით სძინავს ლეგიონერს მძიმე კვარცისქვეშ,
 ვინც ასახელა იმპერია ბრძოლებით, პოსტით...
 ბევრჯერ შეეძლოთ მოეკლათ და — გახდა ცარცისებრ,
 ისე დაბერდა! — არც აქ არის სიმართლე, პოსტუმ!

იყოს სიმართლე! კი, ჩიტებად ვერ აქცევ ქათმებს,
 მაგრამ რად გინდა! — ქათმის ტვინით სანამდე გასტან?!
 იმპერიაში თუკი გაჩნდი, ჯობია სადმე,
 პროვინციაში დაამთავრო ცხოვრება, ზღვასთან!

შორს ცეზარისგან! ქარბუქისგან! არ დააცალო
 გულს ლაქუცი და... შიშში ყოფნა არ უნდა გასურდეს!
 შენ მეუბნები, რომ ქურდია ყველა ნაცვალი! —
 სისხლისმსმელებზე უფრო მაინც ვაფასებ ქურდებს.

კარგი, პეტერა! — ამ წვიმაში, დაკარგულს გიზღავ,
 ოღონდ ვაჭრობა არ დამიწყო, — აი, მთავარი! —
 ვინც ტანს გიფარავს სისტერციის ალბა მისგან,
 უდრის, სახურავს გამოართვას ქერმა ყავარი...

რაო? სველდები? აქ რა უნდა, პეტერა, გუბეს?
 რომ დამეტოვოს სადმე გუბე, არ მახსოვს ჯერაც.
 იშოვი ქმარს და ის მოგივლის შენ ჩემზე უკეთ, —
 ნახავ, ის როგორ დაიღვრება ზეწარზე... მე რა!

პოსტუმ, შენ და მე ნახევარი ცხოვრება გავვლეთ.
 აი, რა მითხრა ტავერნასთან ბებერმა მონამ:
 „გახედავ უკან და ჩანს მხოლოდ ნანგრევი, ნავლი!“ —
 ჩვენს ბარბაროსულ მზერაში ხომ სიმართლე ეონავს!

ვიყავი მთაში და ვბრუნდები ყვავილთა კონით.
 თუნგს გამოვნახავ, წყლით გავავსებ, ყვავილებს ჩავდებ.
 თქვენ როგორა ხართ ლიბიაში?! — იქა ხართ, მგონი! —
 ისევე ვომობთ, პოსტუმ ჩემო! — რად ვომობთ ამდენს?

ნაცვალს და ჰყავდა, გენსომება, ძმობილო, ნაღდად.
 მკვლე იყო, მაგრამ ვერ ატევდა ბარძაყებს ნავში.
 წოლილხარ მასთან... ამასწინათ ქურუმი გახდა,
 ქურუმი, პოსტუმ! და ღმერთებთან ამყარებს კავშირს.



ჩამოდი, ღვინოს დაეყოლოთ პური ან ვაშლი,
ანდა ქლიავი და მიაბზე, ვის რად რაცხავენ.
გაგიშლი ლოგინს ღია ცისქვეშ, მშვენიერ ბაღში,
გაეცვი, რა ჰქვია ამა თუ იმ თანავარსკვლავედს.

შენი ძმაკაცი, პოსტუმ, მალე, ეპ, როგორც იქნა
ძველ ვალს გადიხდის. ვალი ჰქონდა წვიმის და ქარის...
ბალიშქვეშ ვტოვებ შემნახველი სალაროს წიგნაკს —
დასაფლავებას რომ ეყოფა იმდენი არის...

დაადექ შენი შავრა ჭაკით გზას უზიფათოს.
ჰეტერა, სადაც გემასპინძლობდა, იქ ცხოვრობს ჭერეთ.
მიეცი მაგას საფასური, რაზეც გვიყვარდა,
რადაც გვიღირდა. მივსტიროდით რომელსაც მერე.

მწვანეა დაფნა, ისე მწვანე — აგიტანს ერეოლა.
ღიაა კარი, სარკმლის მტვერი მიელტვის მიწას...
მარტოა სკამი, სარეცელიც, ეტყობა, წოლა
მობეზრებიანთ. შუადღის მზეს ფარდები იწოვს.

ფიჭვების იქით დაობს პონტო, არ ვიცი ვისთან...
ვიღაცის გემი კონცხთან ახლოს მოცურავს ქარში.
დამსკდარ გრძელსკამზე პლინიუსი უფროსი ზის და...
და კიპარისის გრუზა თმაში კახჭახებს შაშვი.

მხეცის მაგიერ გალიაში შევსულვარ. ცის და
ჩემი ტკივილი ამომიწვავს ბარაკში ლურსმნით.
ვცხოვრობდი ზღვისპირს. ვთამაშობდი რულეტს და ვისთან
გავტეხე პური ფრაკიანმა, ეშმაკმა უწყის.
ქვეყნის ნახევარს მყინვარიდან დავცქერდი. სამჯერ
მაბრჩობდა წყალი. ორჯერ გამჭრეს. კვლავ მქონდა ძალა.
დავთმე ქვეყანა მარჩენალი, — უმისოდ დავრჩი...
ვინც დამივიწყა მათი რიცხვი გაავსებს ქალაქს.
ვთელე სტეპები, გათელილი ჰუნების ქროლით.
ტანზე, მოდაში კვლავ შემოსულს ვიცვამდი ხალათს.
ქვავესა ვთესავდი, ხოლო ხულას ვხურავდი ტოლით
და მხოლოდ წყალი, მხოლოდ წყალი არ მისვამს მშრალად.
ბადრაგის მზერის საეადები სიზმარშიც მხედება.
განდეგილობის პური ვჭამე ხმელი და ნალდი.
ყმუილის გარდა სახმო სიმებს ყველაფრის ნება
დაერთე. გადაველ ფუსფუსზე და ორმოცის გავხდი.
რა ვთქვა ყოფნაზე! — იგი გრძელი გამოდგა, ვიცი.
მხოლოდ ვარამის თანაგრძნობას ვგრძნობ წრფელს და მართალს.

მაგრამ ეგ პირი ვიდრე სავსე არა მაქვს მიწით,
მისგან არაფერს გაიგონებთ მადლობის გარდა.



მოგესალმებით არსაიდან ამ... მეტ მარტომბერს,
პატივცემულო, საყვარელო! თქვენს სახელს ვმარცვლავ,
თუმც ამას აზრი არ აქვს. რადგან თქვენი ნაკვთები,
სიმართლე რომ ვთქვა, აღარ მახსოვს. არც თქვენი, არც სხვა
ვინმესი მოძმე მოგიკითხავთ ხუთს შორის ამ ერთ
კონტინენტიდან, თავს რომ ირჩენს კოვბოის გარჯით;
მიყვარდი ვინემ ანგელოზი და ვინემ თავად
ის, ამიტომაც ორივეზე უფრო შორს დამრჩი.
მძინარ დაბლობზე, გვიან ღამით, მთლად ფსკერთა ფსკერზე,
ქალაქში, სადაც თოვლი კარის სახელურს ფარავს,
ვბორგავ ზეწარზე, ვიკლავებ, ვწრიალებ, ვკვნივსი,
თუ როგორ, ქვემოთ თქმული მაინც არა მაქვს, არა:
გამოდმა ზღვათა უსასრულო სიგრძის და განის,,
„შენ“, მოღმუილე ამ ერთ სიტყვით მე ბალიშს ვთელავ
და გამოვსახავ ბნელში მთელი მტკივანი ტანით
შენს ნაკვთებს, როგორც მრუდი სარკე და არ ჩანს შველა.

მტოვებს გაგდებულ მსახურივით მე შენზე ფიქრი, —
მშორდება ტარტუს ბაჭანივით და ბნელა გულში,
მაგრამ მთლად უცხო სახეები მეხვევა ირგვლივ
და ქალაქები, რუკაზე რომ შესულან გუშინ,
და ჩემს ვაკუუმს ავსებენ და... ჩვენგან არავის
არ შეუძლია იქცეს ძეგლად. ალბათ, ჩვენს ვენებს
აკლია კირი. აქ შენ, მჯერა, დაუფარავად
ჩართავდი ფრაზას: „ჩვენს ოჯახში გმირი და ბრძენი
ჯერ არ გაზრდილა“. მართალია: ნევის უცივეს
ტალღებს ჯერ კიდევ ეჭავრებათ ერთი მირაჟი.
ვაჟის სიცოცხლის გამგრძელებლად სად შეუძლია
გადარჩეს დედას და მის ქვაბებს პერსპექტივაში!
მარმარილოა ღარიბთათვის ნამდვილად, თოვლი,
უსხეულობით დნება ის და ამტკიცებს მხოლოდ
ტვინის უჯრედთა სინაკლებეს. გაკრთება ხსოვნა:
როგორ გინდოდა ყოფილიყავ ღამაზე ბოლოს!..
რა დამრჩა! — კეფა დავიფარო მზერისგან ხელით
და ვილუღლუღო: „მოკვდა, მოკვდა“ ვიდრე ქალაქებს
შემოეხევათ ხელში ჩანთა ხამი და სველი,
რომელშიც ყველა ჩასაბარებ ჭურჭელს ალაგებს...

შვედური მუსიკა

კ. ხ-ს



როცა დაფარავს თოგა ზღვას და კვნესა ფიჭვების
 ჰაერს მარბილის კვალზე უფრო ღრმად ჩაჭრის, მერე
 რა სილურჯემდე მიდის თვალი? რა სიჩუმემდე
 ძაღვს დაეცეს უმოწყალო და გულცივ ბგერებს?
 მზიდველობიდან უგზო-უკელოდ დაკარგულ მილეთს
 სურს გაუსწორდეს სახეს, როგორც მამლუქის მძევალს.
 ...ასე ბრწყინავენ მოლუსკები ზღვის ფსკერზე წყვილად,
 დუმილს თავისკენ ასე ძაღვს ძაბილის წვევა.
 ასანთის ღეროც ასე ანთებს ქურას და თონეს,
 საათიც ასე ამეორებს თავის ხმას მწარედ,
 გაჩერებული ზღვის გამოღმა, აგრძელებს რონინს
 ზღვის გაღმა მხარეს.



მოსავეს საღამო შემოდგომის პატარა ქალაქს,
 რუკაზე შესვლით რომ ამაყოფს და ღიმილს აფრქვევს
 (ალბათ, ტოპოგრაფს იტაცებდა აზარტის ძალა,
 ან მოსამართლის ქალიშვილთან თუ ქონდა საქმე).

სოვრცე საკუთარ ანირებით დაღლილი დიდად,
 შემოსაზღვრული მთავარ ქუჩის ფარგლების თოკით,
 განდიდების ტვირთს გადაიგდებს როგორღაც, მზრიდან.
 ულონიალურ სავაჭროთა ბუმიც, დრო კი
 შეჰყურებს საათს ციკ, ძვლებამდე გამჭოლი მზერით.
 ყველაფერია აქ (რა ვიხდა აქ არ მოგვარდეს),
 ყველაფერია, რაც შექმნილა ადამის მერე, —
 ქინძისთავიდან დაწყებული — ტელესკოპამდე.

აქ არის კინო, სალუსები, კუთხეში კაფეს
 დაშვებული აქვს შტორსი ასე, როგორც წესია.
 აქ არის ბანკი ამაყ მხრებზე სივრცისკენ მსწრაფველ
 და ფრთებგაფოფრილ არწივითურთ და ეკლესიაც,
 რომელსაც თავის ქსელიანად თუ მახიანად
 დაივიწყებდნენ, მაგრამ გვერდით ფოსტა ყოფილა...
 აქ, ბავშვებს რომ არ აკეთებდეს ადამიანი,
 პასტორი ხალხად მოხათლავდა ავტომობილებს.

აქ სამჭედლოთა დაგადუგი გაისმის ყუჩში.
 საღამოს ექვსზე, ვით ატომურ ომების გამო,
 არ არის კაცის ვაჭანება და სძინავთ ქუჩებს
 და მთვარე ცურვით ფახჩრის მრუმე კვადრატში ლიმობს

გამოიკვეთოს... — აი, შენი ეკლესიასტე!!!
 ხოლო ხანდახან მიმჭროლავე სადღაც დიდგულად,
 შესანიშნავი „ბიუიკი“ სხივებს მიაცრის
 იქვე მდგარ უცნობ ჭარისკაცის ეულ ფიგურას,
 აქ სიზმრად ხედავთ არა! პორტულ ფორმაში ქალებს,
 ხედავთ საკუთარ მისამართით დადალულ კონვერტს...
 დილით აქრილ რძეს რომ მოხვდება მერძევის თვალი,
 შენი სიკვდილის ამბავს ამით შეიტყობს სწორედ.
 უკალენდროდაც შეგიძლიათ აქ ყოფნა კარგად,
 გაქვთ ბრომის ყლაპვის, კიდევ კარში არგასელის ნება
 და კიდევ — დადგეთ სარკის წინ და უცქიროთ სარკეს,
 როგორც ფარანი უცქერს გუბეს, რომელიც შრება.



ახალი თიულ ვერნი

I

თვალსაწიერი უმწიკველოა. ლისტის პროფილით
 მიდის კორექტი და მიაპობს უწყინარ ზვირთებს.
 ნატურალისტის კაბინიდან დედიშობილა,
 კივილით მოხტის მაიმუნი, — რა უნდა ჭირდეს!!!

ახლოს ცურავენ დელფინები!!! როგორც თქვა ერომა, —
 რყევას უძლებენ ბარში მხოლოდ ბოთლები კუშტი....
 ქარს ანეგდოტის დასასრული გადააქვს გვერდით
 და კაპიტანი აბაგუნებს ანძაზე მუშტებს...

ზოგჯერ კაიუტ-კომპანიიდან
 ბრამსის სულ ბოლო ქმნილებებისა აკორდი ისმის.
 შტურმანი ფარგალს ათამაშებს და ფიქრით ცმუკავს
 კურსის პირდაპირ ხაზზე, ხოლო დასაზვერ მილში
 წინ მყოფი სივრცე
 უერთდება დარჩენილს უკან.

II

მატროსისაგან განსხვავდება მგზავრი ყოველი,
 ძვირფას საცვლების შრიალა ხმებით
 და პირობებით ბინის და კვების,
 და თან უაზრო შეკითხვების განმეორებით.

სულ სხვანაირი ჩანს მატროსი ლეიტენანტთან
 უეპოლეტო მხრებით და ბაგირს
 რომ უგავს ნერვის ყოველი ძაფი,
 იმით და კიდევ თუნდაც იმით, რაც მოენატრა.

ლეიტენანტიც განსხვავდება კაპიტანისგან:
კანტებით, მზერით, ყველაფრით თითქმის, —
ბლანშის ან ჟანას ფოტოთი, კითხვით
„წმინდა გონების კრიტიკისა“ თუ „კაპიტალის“.



კაპიტანი კი ადმირალთან ჩანს მთლად პატარა —
საკუთარ თავზე მწირ აზრთა პენტევით
და ზღვის ზიზღით და იმ უიქ-ენდის
ზსოვნით, სიმამრის მამულებში რომ გაატარა.

არ განსხვავდება გემისაგან გემი მარტოკა!
გემი ტალღებს რომ ევლება თავზე,
ის ხდება ზისა და წეროს მსგავსი,
რომლებსაც მიწა გამოცლიათ ფეხქვეშ რატომღაც.

III

საუბარი გეგანაზე

„ერცპერცოგ-მონსტრო! გეთანხმებით, მაგრამ სულ გმობაც
არ შეიძლება. მას აქვს ღვაწლიც. მან დიდი როლი...“
„ყმანი მეფეებს განსჯიან და მეფენი — ყმობას.
რადაც უზნეო რგოლი არი!“ — „მაშველი რგოლი!“

„უბრწყინვალესი ხერესია!“ — „მე მთელი ღამე
ნამზეურისგან მოტყუებაც ვერ შევძელ თვალის“.
„...რომ ჩავიძიროთ! წამიკითხავს ასეთი რამეც.
წარმოიდგინეთ, ვიძირებით, შემოდის წყალი! —

თქვენ შეგხვედრიათ, შტურმანო?“ — „არა. მხოლოდ ზვიგენმა ჩამასო კბილი“.
„მართლა?.. თქვენ კიდევ წარმოიდგინეთ, რაა ჩაძირვა და დამთავრება!..“
„ქალს 12 ბ-დან ეს აიძულებს ავიდეს მაღლა“. — „ვინაა?“ — „შვილი
გახლავთ გენერალ-გუბერნატორის, კიურასაოში მიემგზავრება“.

IV

საუბარი ააიუტ-კოზაანიაში

„მეც ვოცნებობდი, პროფესორო, ყრმობისას, ადრე, —
აღმომეჩინა კუნძული ან რაიმე ხვითო“.
„რამ დაგაბრკოლათ?“ — „მენცარობას რას შევლის ნატვრა
და ლაილაი!“ — „რაო რა თქვით?“ — „ვერ ვიტან ლითონს“.

„ადამიანი! რაა იგი? — კოლოა, კოლო!“
„მუსიე, თქვენთან, რუსეთშიაც არის რეზინი?!“
„ვოლდემარ, კმარა! გეყოთ! კბენა არ გინდათ ოლონდ

და...“ — „მაპატიეთ, ბიძაშვილო, ცუდად მეძინა“.
 „ძმობილო!“ — „გისმენ“, — „შორს რომ მოჩანს, რაა ასეთი?“
 „სად?“ — „ქიმის მარჯვნივ“. — „აჰა, ვხედავ, ვეშაპს ჰგავს თითქო.
 გასახვევი რამ არ გექნებათ?“ — „მხოლოდ გაზეთი...
 ის კი დიდდება! ჰო, დიდდება! შეხედე!.. დიდდე...“

ეროვნული
 ბიბლიოთეკა

V

განსხვავებული ბევრი რამით არის ზღვა ხმელზე.
 საინტერესო უფრო არი ზღვა, ვინემ სხვა რამ.
 შიგნით, ასევე გარეთაც, თევზი
 საინტერესო ჩანს, ვინემ მსხალი.

მიწაზე ქერი კედლებითურთ საყუდარს ნიშნავს.
 მიწაზე ვუფრთხით მშიერ მგლის და დათვის ხეტიალს.
 დათვს ვუფრთხით უფრო ნაკლებად და ვეძახით მიშას,
 მაგრამ თუ გაცდა წარმოდგენა საზღვრებს — ფედიას.

ამდაგვარი რამ არაფერი არ ხდება ზღვაში.
 ვეშაპი? თავის პირვანდელი იერით იგი
 არ აღშფოთდება რომ შევარქვათ ბორია, მაშინ
 უმჯობესია მას ერქვას დიკი.

სიურპრიზებით სავსეა ზღვა და ზოგი მათგან
 უსიამოა. ვერ გაიგებ მრავალთა მიზეზს.
 ნუ დავაბრალებთ მთვარესა და ლაქების დათვლას,
 ქალთა და კაცთა ავ განზრახვას, რაც ხდება ისე!

სისხლი ცივი აქვთ ზღვის ბინადრებს, ვინემ ჩვენ. მათი
 იერი თევზის დუქანშიც კი გვზარავს სწორედაც.
 ვერ გავიცნობდით ჭუნგლის კანონს, რომ დარვინს სადმე
 იქ ჩაეყვინთა, ან მაგ კანონს ჩავასწორებდით.

VI

„აქ, კაპიტანო, აქ ჩაიძირა ის „შავი პრინცი“, აქ, სადღაც ახლო,
 რაღაც გაურკვევე მიზეზთა გამო“. — „კაიუტაში გასწიეთ ახლავ,
 შტურმანო ბენც, და გამოიძინეთ, დამშვიდდით, შიშმა არ აგიტანოთ!“
 „და ის რუსული „ვიტიაზიც“ ხომ აქ ჩაიძირა! კი, კაპიტანო!“
 „შტურმანო ბენც, თქვენ, ალბათ, გგონიათ მე ვხუმრობ, ისე
 იქცევით ახლა“. — „ამ ადგილებში გაურკვევე მიზეზ...“

დაუყოვნებლივ მიდის კორვეტი და კიჩოს მიღმა არის ევროპა,
 არის აზია, აფრიკა, — ახალ და ძველ ქვეყნების დაუდევრობა...
 და კითხვის ნიშნად მოჩანს ყოველი აფრის პროფილი,
 და მათ პასუხებს ინახავს სივრცე მზის შემკობილი.

VII

„ირინა!“ — „გისმენ“. — „ერთი ამას შეხე, ირინა!“
 „მე ვთვლემ“. — „რა მერე! მაინც შეხე!“ — „რასა? რომელი?“
 „ილუმინატორს“. — „მგონი არის ეს სუბმარინა“.
 „რომ იკლაკნება!“ — „იკლაკნება წყალში ყოველი“.
 „ირინა, გესმის?!“ — „სად მიმათრევ?! მე ხომ გახდილი
 ვარ!“ — „მაინც შეხე!“ — „რას მაწვეები!... ვაიმე, ღმერთო!
 ეს... რვაფეხაა... გიგანტური არის ნამდვილი...
 ო. ნიკოლაი!... იგი ჩვენკენ მოიწევს. ღმერთო!..“



VIII

ზღვა გარეგნულად მოსაწყენი ჩანს, მაგრამ იგი
 საოცრებებით სავსე არი შიგნით და შიგნით, —
 მათ ვერ ვიხილავთ, თუ არ წავალთ ფსკერისკენ, იქით...

ზღვის საოცრება! — ეს მტკიცდება ბადით ან ტრალით,
 ზვირთების როკვით, რაც საგნის ქვეშ კაცის და ქალის
 ამბავს ჰგავს, სარკე რომ ირეკლავს დაბზარულ თვალით...

წყლის ზედაპირზე შეუძლია კაცს სწრაფად ცურვა,
 წყლისქვეშ სიმკვირცხლე გადექცევა შიშად და ურვად,
 უეცრად წყალი მოუნდება მას, როგორც მწყურვალს.

სვამს წყალს და გამშრალ ხაზითა და გასასკდომ თავით
 წარმოუდგება ყოფნა ძალზე მოკლე და შავი,
 კაცს წყალქვეშ ძალუძს იყოს მხოლოდ წყალქვეშა ნაფი.

ხოლო პირიდან მოსკდებიან ბუშტები ჩქამით,
 თვალები ცისკრის ექვივალენტს ქმნიან და ჟამი
 წივის ყურებში — ითვლის: ერთი, ორი, სამი.

IX

„ბლანშ, საყვარელო, ვზივარ გიგანტურ რვაფეხას ფაშვში და ასე გნატრობ.
 რაბან გადარჩა შენი სურათი, რად უნდა ვიყვე იღბალთან უბრად!
 აქ ნესტია და უჰაერობა. თანაც, იცოდე, არა ვარ მარტო, —
 აქვე ჩემს გვერდით ორი ველური უკალელეზე მშვენივრად უკრავს.
 ყველაზე უფრო სიბნელე მტანჯავს, მაინც ვახერხებ თვალის მოვლებას,
 თანდათან ვარჩევ ვეება თალებს, ხოლო ყურები ბაძავენ საყვირს.
 ვვცდები კარგად გამოვიკვლიო სისტემა საკმლის მომნელებელი,
 რაც ერთი გზაა თავისუფლების... გკოცნი. გწერს შენი ერთგული ჟაკი“.

„დედის მუცელში თუ ვიყავ ასე! — რვაფეხა ცუდი არ ჩანს სრულებით, —
 მადლობა უფალს! ხომ შეიძლება, რომ ჩავვარდნოდი ხაზაში ზვიგენს!
 თუმცა ჭერ სად ხარ! სულ არაფერში არ გამომადგნენ ეს ველურები,

არც ვთხოვ არაფერს. სულ „ხული-ხული“-ის გაიძახიან, ვერაფერს ვიგებ. გარშემო არის მთლად უსასრულო, მთლად მოლიპული, მჭროლავი მღვიმე, მთლად უცნაური, მთლად ჩახლართული სისტემა არის ზემოთ და ქვემოთ. ალბათ მე ვბოდავ, იქნება ვბოდავ, მაგრამ მე გუშინ, მეფელე ვბოდავ, პანელზე უცებ ვიღაცას შევხვდი, თავი გამაცნო კაპიტან ნემოვსკი

„და ისევ ნემო! მან დამპატიყა. ამ რვაფეხაშიც აქვს, თურმე, ბინა. ნემომ მიაგებო, რომ ეს რვაფეხა მან გამოზარდა ასე არამი, როგორც პროტესტი ბრბოს წინააღმდეგ. ნემოს ოჯახი ჰქონია წინათ, მაგრამ არც ცოლი არ დარჩენია, არცა შვილები, არცა სხვა რამე. ნემომ მიაგებო, რომ ეს სამყარო ბოროტებაში ჩაფლული არის, ხოლო რვაფეხა (მოკლედ კი — რაფო) სჯის გულქვაობის მეფეს და ბატონს, რომელიც არის დედამიწაზე დამანგრეველი მთისა და ბარის. ნემომ, თუ გავძელ უკვდავებასაც მოვიპოვებო, პირობა დადო“.

„სამშაბათია, ვვანშობთ ნემოსთან, გვაქვს ხიზილალა და ღვინოები, რაც „პრინციდან“ და „ვიტიაზიდან“ ველურებს მოაქვთ კბილების კრეჭით. უკვდავებაზე ბჭობას ვაგრძელებთ (გუშინ შევწვიტეთ იგი დროებით), მერე ვიხილავთ პასკალის „აზრებს“, ლა სკალას დადგმებს. ვართ ასეთ დღეში. წარმოიდგინე სანთლის გარეშე საღამო, თანაც ირგვლივ — რვაფეხა!.. ნემო წვერით და ცისფერ თვალებით, თითქოს ყმაწვილი იყოს მარადი. როგორ მარტოა ის, რომ იცოდე! მისი ყურებით გული დამეხრა...“

(აქ წყდება ლეიტენანტი ბენცის ბლანშ დელაიესადმი ბარათი).

X

როდესაც გემი არ შემოვა განსაზღვრულ პორტში არც დათქმულ დროს და არც გვიან ერთობ და კომპანიის დირექტორი ვიშვიშებს: „მორჩა!“ ადმირალი კი ბუტბუტებს: „ღმერთო!“ —

ორივე ცდება. აბა ერთი რომელი იგებს, თუ რა გადახდა გემს, რა მოხდა, ვიღას დაკითხავ? თოლიას თუ სულ პირგატენილ, საშინელ ზვიგენს, თუ გაწვრთნილ ძაღლით წახვალ აქიდან

კვალის საძებრად?! ან საერთოდ სადაა კვალი ოკეანეში?! ეს ხომ მტკნარი ბოდვია მხოლოდ! ის კიდევ ერთი ზეიშია, — ზეიმობს წყალი, — ხმელეთთან წყალი იმარჯვებს ბოლოს.

ოკეანეში მეყსეულად ხდება მარცხები, და ტალღა მერეც დიდხანს ლეწავს ყარიბებს დამხრჩვალს: ფიცრებს და ანძებს, მაშველ რგოლებს, მაგრამ არცერთზე ანაბეჭდები თითების არ ჩანს.

შემდეგ კი დგება შემოდგომა. შემდეგ — ზამთარი.
სიროკოც დაჰქრის, მაგრამ მდუმარ ზვირთთა ფერები
ყველაზე მაგარ ადვოკატსაც ჰკვაზე გადარევეს
მზის ჩასვენების მშვენიერებით.



ნათელია, რომ საკითხავი არაფერია
რადიოზონდით და არც ყელით. ნარნარად მთრთოლავ
ლურჯ ჭავლისათვის, რაც თანდათან უფრო მშვენიერს
ხდის თვალსაწიერს გაწოლილს ზოლად.

გაზეთები კი აქვეყნებენ ისე რა, მკრთალად,
ფაქტებს, რომლებიც სიმართლესთან ჩანს ნამცეცხად.
კარის ჩარჩოზე მიეყრდნობა ვილაცა ქალი
და იატაკზე ჩაიკეცება.

კრთის კორიზონტი. ღვრის ჰაერი იოდს და მარილს.
სადღაც შორს ტალღა არწევს რაღაც შეუცნობ საგანს.
ხოლო ლოიდის სამყოფელში ყრუდ რეკავს ზარი
ყველაფრისა და არაფრისაგან.

აი, ბრუნდები სამშობლოში. ეხ, დიდი რამე! —
უკან მოგდევნ ტკივილების კრელი გუნდები:
ვინ გიმეგობრებს? გაიხედე! — ერთმანეთს ჰამენ
და ვის კირდები ახლა, მაგრამ რახან ბრუნდები, —

იყიდე ღვინო და იზრუნე მერე ვახშამზეც,
დაჯექ სარკმელთან და ფიქრებიც აქციე ყლუბად.
სუყველაფერში შენ თვითონვე ხარ დამნაშავე
და მადლიერი უნდა იყო, — მადლობა უფალს!

მადლობა უფალს, რომ არავის მიუძღვის ბრალი
და არავისთან გაქვს საერთო ყველაფრის შემდეგ,
და რომ ამქვეყნად ვალდებული არავინ არი —
სჯეროდეს შენი და უყვარდე სიკვდილის დღემდე.

რა კარგია, რომ არასოდეს ბნელ და ამაზრზენ
გზაზე ნუგეში არავისი მიგქონდა საგზლად.
რა კარგი არი, უსასრულო ამ ქვეყანაზე
აყაყანებულ სადგურიდან მარტოკა წასვლა.

რა კარგი არი, სამშობლოსკენ მსწრაფველმა უმაღლ
გამოიჭირო არაგულწრფელ სიტყვებში თავი...
და უცვებ მიხვდე, სული როგორ გულგრილად ზრუნავს
ამ ცვლილებებზე, რაც გარშემო იმედოდ ჰყვავის.

ოდისესი ტელემაქსი

ფიქსი

დამთავრდა ტროას ომი, ტელემაქე,
ოდონდ არ მახსოვს — ვინ გაიმარჯვა,
მგონი ბერძნებმა: ბერძნების მეტი
ვინ დატოვებდა იმდენ მკვლარს
სხვაგან...

მაინც შინისკენ მავალი გზები
ძალიან გრძელი აღმოჩნდა, შეილო,
თითქოს, ჩვენ ვიდრე იქ დროს
ვკარგავდით,

პოსეიდონმა გაწელა სივრცე.
არ ვიცი სად ვარ, ჩემ წინ — ბინძური
კუნძული მოჩანს... რაღაც ბუჩქები,
ნაგებობანი. ღრუტუნა ღორთა,
და ბაღ-ბარდნარში მეფე დიაკი...

ჰე, შეილო ჩემო, ტელემაქე!
ერთმანეთს გვანან ეს კუნძულები...
თუ ზღვაზე დიდხანს მიცურავ, ტვინი
გერყევა. თანაც ტალღების დათვლით
და ჰორიზონტით დასერილი თვალი
ტირის და წყალი მობეზრებული
ყურებს ჩახერგავს. შემოაკავებს.
არ მახსოვს, ომი როდის დამთავრდა,
არ მახსოვს, ახლა რამდენი წლის ხარ.

მხოლოდ ღმერთებმა უწყიან, შეილო.
ვნახავთ თუ არა ერთმანეთს ისევ.
მე მინდა, დიდი რომ გაიზარდო,
თუმც ახლაც არ ხარ შენ ის ყმაწვილი,
რომლის წინ ხარებს მე ვაჩერებდი...
ეკ, პალამედე რომ არა, ერთად
სულ ვიცხოვრებდით მამა და შეილო,
თუმც შეიძლება ის მართალია:
უჩემოდ იქნებ გადარჩენილი
ხარ თიდიპოს ცოდვებისაგან,
უჩემოდ იქნებ შენი სიზმრებიც
უცოდველია, შეილო ტელემაქე!

ალკიული ლიხევაი

რათა გავექცე მიეთმოეთით
ვაჭირვებას და დარღებთან შეხლას,
მე თავს მშვენივრად ვართმევ პოეტის
ძალზე უცნაურ ცხოვრებას ქვეყნად.
რათა გამოვყო თავი ღანჯრიდან

გამოსათხოვარ ყვირილის შექმნე...
რათა ვეფიქრო ყოფილი დასჯილია
ლიბლით მასზე, რომელიც შეძნელდა
მე თქმა ასეთი ხათვენი ქატიკის,
ამ ჩემს ხანმოკლე ცხოვრებას ბოლოს,
როგორც, როცა სამყარო იქმნა,
შექმნელზე ითქვა მხოლოდ და
მხოლოდ.

პილიგრიმები

გვერდს აუქცავენ მოედნებს, ტაძრებს,
ბარებს, ბომონებს, სოფლებს,
ქალაქებს.

გვერდს აუქცავენ უდიდეს ბაზრებს,
და უძვირფასეს ძვალშესალაგებს.
გვერდით დარჩებათ მექა და რომი,
გვერდით დარჩებათ მშვიდობაც, ომიც
და გაყვლენთილი მზით და წვიმებით,
დადიან ქვეყნად პილიგრიმები.

უძლებენ წყურვილს, იტანენ შიმშილს,
ზოგს ხელი არ აქვს, ზოგს დააქვს
კუზი,

თვალეებში უჩანთ დაისის შიში,
მაგრამ გულეებში აისი უხიო.
უკან დარჩებით ტრამალთა სტვენა,
წინ მიიწივებ გულდამშვიდებით,
სულეებს უხათებთ ვარსკვლავთა ცვეთა
და დასჩხაყიან თავზე ჩიტები,
რომ სამყარო არ შეიცვლება.

დიან სამყარო არ შეიცვლება,
ამ თოვლის შეცვლა არ შეიძლება,
არც ეს სინაზე გარდაიცვლება.
სამყარო ცრუ და სამყარო ცრუთა
მუდმივია და იქნება მუდამ.
მას იქნებ კიდე გააჩნდეს კიდევ.
და მაინც არსად არა აქვს კიდე
და მაინც არ ჩანს საშველი ბოლოს,
მაშ, ღმერთის რწმენას რა მოუცია?!
ასე, რომ დარჩა მხოლოდ და მხოლოდ
გზა, მოლოდინი და ილუზია,
კიდევ აისი მზის აღტაცება,
კიდევ დაისი მოწყება მზისა.

მიწას კვებავენ ქარისკაცები,
პოეტები კი უძღვრენ მიწას

პოეზიაში თავისი პირველი ნაბიჯებით იოსებ ბროდსკიმ კემპარტი ლიონისის ისეთი ძალით, ისეთი თრიგინალური და ტრეპური ხმით მოახდინა შეხვედრის დასრულება, რომელი ზიდა არა მარტო თავისი ტოლები, არამედ ისინიც კი, ვინც ბევრად უფროსები და შეუდარებლად ძლიერი იყო ჩვენზე.



О своем я уже не заплачу.
Но не видеть бы мне на земле
Золотое клеймо неудачи
На еще безмятежном челе.

ამ ოთხ ტაეპში ახმატოვამ შეშნეული შორსმჭვრეტელობით უწინასწარმეტყველო ახალგაზრდა პოეტს თავისი დიდი და ტრაგიკული ბედი, რაც შეეხება „ოქროს დაღს“. ეს პოეტური ეპიტაფი იტაცა მკურნებელმა: წითურ პოეტს, როცა ის ლექსებს კითხულობდა, მაღალი შუბლი ოფლის წვრილი წვეთებით ეცვარებოდა, რაც წითურ ადამიანებს მოსდით აღელვების წუთებში თავიანთი თვალისმომჭრელი თვითრი კანის გამო.

ბროდსკის ლექსები ვრცელდებოდა ხელნაწერებით, გვერდს უტყვევდა საბეჭდო დაზგებს და საოცარი დამაჭერებლობით ამტკიცებდა იმას, რომ პოეზიის თავდაპირველი და თანდაყოლილი თვისება გულების დაპყრობაა ხალასი სიტყვით.

სამწუხაროდ, რაც უფრო ძლიერდებოდა ამ ხმის ქლერადობა, მით უფრო ეპკით ეპყრობოდნენ მას ისინი, რომლებსაც ბლოკმა პუშკინზე თქმულ თავის სიტყვაში „ჩინოვნიკები“ უწოდა „რადგან მათ განზრახული ჰქონდათ „საკუთარი კალაპოტით გაეტარებინათ პოეზია, ხელეყოთ მისი იდუმალი თავისუფლება და ხელი შეეშალათ მისთვის — არ შეესრულებინა საიდუმლო დანიშნულება“.

1964 წელს ბროდსკი „მუქთახორობისათვის“ გაასამაროვეს და გადასახლებულ იქნა არხანგელსკის ოლქის მივარდნილ მიყრუებულ სოფელში; იქ მან წელიწად-ნახევარი დაჟიყველაზე განსაცვიფრებელი ისაა, რომ ეს მოხდა, როგორც იტყვიან, ლიბერალურ, ხრუშჩოვის ბოლოდროინდელ პერიოდში, დიდი პოეტები, როგორც დიდი ხეები — ელვას იტყვენ. აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ ჩვენი ყველაზე შესანიშნავი პოეტი, რომელმაც მოახერხა გადასახლებინათ ალექსანდროვსკიეში, შედარებით მსუბუქ, კისფერთვალეა, მანილოვურ დროში.

ბროდსკის გამოეკომაგნენ ახმატოვა, ტვარდოვსკი, კ ჩუკოვსკი, შოსტაკოვიჩი, მისი განთავისუფლებისათვის ბევრი გააკეთა ადრე გარდაცვლილმა ფ. ვიგდოროვამ — 1965 წელს ბროდსკი დაბრუნდა ლენინგრადში.

ოთხი ლექსი — სულ ესაა, რისი დაბეჭდვაც მოახერხა ბროდსკიმ შშობლიურ ქვეყანაში. 1972 წელს, გამგზავრების წინ, მე მან მაჩუქა დასავლეთში გამოცემული თავისი ლექსების კრებული ხუმრობაგარეული და მახვილგონივრული წარწერით: „ძვირფას ალექსანდრეს სიმპათიური იოსიფისგან კარგ ადგილას ცუდ დროში“.

ადგილი მართლაც კარგი იყო, კოტა უფრო ადრე, გაზაფხულზე, მახსოვს, ჩვენ შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს კრიუკოვის არხზე. ბროდსკი ფერმიხდილი და აღელვებული ჩანდა, სწორედ მაშინ მითხრა, მალე გავემგზავრებო (საკითხი ჯერ კიდევ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ იყო, მაგრამ წყდებოდა იმ დროს რომელიღაც მაღალ ინსტანციებში). მისთვის ძვირფას ადამიანს რომ შეუარა, ვინც რიბსკი-კორსაკოვზე ცხოვრობდა და ვისთვისაც უნდა ეცხოვებინა ეს ახალი ამბავი — მან წამიყვანა თავის სახლში, ლიტენინზე, ჩემი იქ ყოფნის დროს ტელეფონმა დარეკა, რეკავდნენ დაწესებულებიდან, ბროდსკიმ უთხრა: „დას“ — საკითხი გადაწყვეტილი იყო, უფრო რომ დადო, ხელები სახეზე აიფარა, მე უთხარი: „დაფიქრდი, ხომ შეიძლებოდა გადაეფიქრებინათ, განა უკეთესი იქნებოდა?“

არა, უკეთესი არ იქნებოდა, საჭმე ეხებოდა სიციცხლისა და ნიქის გადარჩენას, უცხო მიწაზე გადასვლა იძულებითი და მძიმე იყო, იქ, შეერთებულ შტატებში ორჯერ გულის ოპერაციის გაკეთება დასჭირდა, გახსოვს, მანდელშტამი ამბობს:

«Видно даром не проходит шевеленье этих губ, и
вершина колобродит, обрученная сруб».

არა, ნიქი არ გადარბებულა, არ მიმქრალა, მაგრამ რად დაუჯდა ეს კაცს, რომელიც იძულებული იყო ესწავლა „მათგან“ — მუხისგან და არყისბისგან? — შესაძლებელია მხოლოდ გამოცნობა.

რამდენიმე სიტყვა ბროდსკის პოეზიაზე ვაოცებს პოეტური ძალა, რაც შესანიშნავი ვი-

ტუზულობითაა შეხამებული საკვირველ დახვეწილობასთან. მისი პოეზია ერთ ადგილზე არ დგას, მოძრაობს, იზრდება, პოეტისგან აღმოჩენებს ითხოვს. მის პოეზიაში ბრძოლაა ახალი სალექსო მეტყველებისთვის, ურთულესი სამეტყველო კონსტრუქციები განსტოვებული სინტაქსი, ახირებული ფრაზული ჰერიოდები ბროდსკის პოეზიაში ეკრძნობა. ლექსის მუსიკას და მუსიკითაა გაჭერებული. არა უსიციოცხლოდ მედინი, არამედ — მატყუარა ტალღა, უზარმაზარი ლირიკული მასა დიდი სიმძიმის ქაშ, რაც გზადაგზა უკვლავით მოულოდნელ თემებს და ლექსიკურ ფესებს.

ერთხელ ბროდსკი ჩამაგონებდა, პოეზიამ უნდა „გაიწვლოს“ მკითხველი, „უნდა ყელში სწვდესო მას“. მე ვეწინააღმდეგებოდი, როგორც შემეძლო ვარწმუნებდი, რომ არის სხვანაირი პოეზიაც, რომელიც არ აიძულებს მკითხველს, უყვარდეს იგი, პოეზია, რომელიც მკითხველს უტოვებს თავისუფლების შეგრძნებას, მაგრამ რა ძლიერი და ვაჟაკურია ბროდსკის პოზიცია!

რამდენადმე რომანტიკულია, განა ასე ათაა? ბროდსკის აზრით, პოეტი ადამიანია „ბრბონა“ და სამყაროს პირისპირ მდგარი, ბროდსკის პოეზიაში გამოკვეთილია ლირიკული გმირი, მკითხველი თვალს ადევნებს მის ბედს, მისი ცქერით: ტკბება და თანაც თავზარდაცემულია იმით, რაც მას მოადის, მასთან, როგორც ყოველთვის, დაკავშირებულია წარმოდგენა ფასეულობებზე; ეს ფასეულობა იხედება პოეტის არა ცხოვრებაში, არამედ სულში. მიწიერ „ფასეულობას“ მნიშვნელობა არ ენიჭება, ამიტომაც არის ვულგარიზმები, უჩემობა, მადლისა და დაბლის მეზობლობა, შაეისა და თეთრის ურთიერთმონაცვლეობა.

ბროდსკი ბაირონისეული ცნობიერების შექცეიდრეა: მეოცე საუკუნის მისი საყვარელი პოეტი არა ანენსკი, არა მანდელშტამი, არამედ სვეტაევი, თუმცა, რა თქმა უნდა, სწავლობდა იგი მრავალთაგან, მათ შორის მანტერნაკისგანაც.

აუცილებლად საჭიროა შევეხოთ ერთ რამეს, იმუიან თავისებურებას — ორიენტაციას არა მხოლოდ სამამულო, არამედ უცხოენოვან ტრადიკიაზეც. ბროდსკი დაკავშირებული იყო პოლონურ, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ინგლისურ პოეზიასთან, მან ბრწყინვალედ თარგმნა პოლონურიდან გალჩინსკი, ინგლისურიდან — ჯონ დონი, ელიოტი, ოდენი (აი, უცხო მიწაზე გადასვლა ბროდსკისთვის, ისევე, როგორც ნაბოკოვისთვის, რატომ გამოდგა ავადმყოფური და არა დამღუპველი).

დედამიწაზე ადამიანისთვის მონიჭებულ მშვენიერ შეგრძნებათა შორის — ყველაზე უმშვენიერესი სიმართლის განცდაა, ცხოვრებაში მისი შესაძლებლობის განცდა, დღეს ჩვენ ვესწრებით ასეთ დღესასწაულს არა მხოლოდ ლიტერატურაში, არამედ სრულიად სხვადასხვა დარგში, აი, კიდევ ერთი საგულისხმო მაგალითი — ბროდსკის პოეზია დაუბრუნდა მშობლიურ ქვეყანას პოეტისავე სიცოცხლეში.

ალექსანდრე კუზნევი



სომხურიდან

თარგმნა რენე კალანდიაშ

ყვარო

ელდარ შენგელაიას

მე ვერ შევადრი მას,
 ვერც მოშრიალე ზღვას.
 ველარც ტბას,
 თავად ჭასაც კი —
 და არც ვერცხლისფერ ცვარს —
 თავთავებს შორის რომ ბზინავს —
 განთიადივით წმინდა.

იქნებ, ოდესმე — დაღლილმა, —
 გზად მიმავალმა მწირმა,
 როცა სიცოცხლე ფასობს,
 რაღაც ორიოდ წვეთი,
 ენახო იგი და დავეცე
 წყაროს წინარე — მუხლზე,
 რომ აღეავლინო ლოცვა.

დაბრუნება

ქართველ ემიგრანტებს

მთელი ცხოვრება — თოვლიც, სევდაც და ცის
 სილურჯეც —

მარადი სრბოლა ოცნებათა და ნიაღვარი —
 გრძნობის, იმედის გაცრუება, შემდეგ გაქცევა —
 დაბრუნებაში, დაბრუნება — მარადიული
 მამულ-დედულში, სადაც თუნდაც უბრალო ბუჩქიც
 მზის სხივთა ნათელს ინახავს და ადგილის დედის
 ხმით გიხმობს, კვნესის ცის სილურჯე, მდინარეებში —
 დარდი, ბეებში — კურთხეული სამშობლო მიწა
 იგრძნობა, ყივის — ნაიარევ გულს ეფერება...

მ აკრილი — ოცის ბიოგრაფია



რა სიტყვა გითხრა? ჩემს სულს მივათრევ,
შენს ჯვარს ვიტვირთვე, ჩემო...
ქა, შენგან მოძღვნილად ვიქცევი...
რომ შეიღოთ ძვლების გაიგო გემო...

რენე კალანდია

ტანჯვა-წამებით აღსავსე უსასრულო გზა,
რომელიც შორი და მოციმციმე ნათელისკენ მიემართება,
ხოლო ამ გზაზე მწვერებივით კვლავ წკავწკავებენ
გაქვავებული ხმის ნაფლეთებით — ბაგეები არარაობის...
ეკალ-ბარდებით დაფარული ჯვარცმული გზაა,
სადაც დრო-ყამი შათრაბის მსტვენი დარტყმებისგან დაძენძილა და
დაყოფილა მონაკვეთებად,
სადაც წაქცეულს უბრძანებენ: წამოდგეს ფეხზე,
სადაც განწირულს — ელოდება სიკვდილის ხახა.
ასეთ დროს მხოლოდ შენი მხრები გრძნობენ სიმძიმეს,
რომლისგან ლამის გულს გეყრება და მიწაზე დაეცემა — ღია თვალებით,
როდესაც ირგვლივ ჯალათების აჩრდილებსაც და
შორიახლო მოფუსფუსე ბრბოს — სეირის მაყურებელს
მოცახცახე ბურანში ხედავ.
ასეთ დროს უკვე გეუფლება ამალღებული და ნათელი განწყობილება,
სევდისფერი განწყობილება, რომ შენი ჯვარცმა გარდუვალია,
ასეთ დროს უკვე ტკივილს ვერ გრძნობს რწმენის გზაზე მავალი ხორცი
და მხოლოდ შორს — სივრცის მიღმა მოციმციმე ნათელს ხედავს,
ესათუთება —
შთაგონებული არსება შენი.

გალადა ქართულ მიწაზე

თქვენი მშობელი ქართული მიწის ყოველ მტკაველს
მე დავუჩოქებ!
აქ — სისხლითა და ოფლით გაყდენთილ ქართულ მიწას
მე დავუჩოქებ!
ხელახლა ამღერებულ მიწას,
ხელახლა აყვავებულ მიწას
მე დავუჩოქებ,
მე დავუჩოქებ!
მე მუხლს ვიყრი მიწის წინაშე, არა მის გამო,
რომ იგი ურცხვად გადათელეს, ბარბაროსულად გადაბუგეს
და უთვალავი ჭრილობებით დასერილია მკერდი მისი,
არა, მუხლს ვიყრი, მხოლოდ მის გამო.

რომ მან შეიძლო კვლავ აყვავება. —
ფენიქსივით აღორძინება.



ქართული მიწის ყვავილები უფრო ხასხასა და ნათელია.
ამ ჯადოსნური ხალიჩის ფერებს ბინდშიც ანათებს მომავლის სხივი.
როცა შორს — შეშლილ სამყაროში გადაბუგული მიწის შემყურე
არაფერი არ იფურჩქნება...

მარტოდენ მიწას — მორწყულს —
საკუთარი ქალწულების და ვაჟიშვილების წმინდა სისხლით
ძალუძს სიცოცხლე —
ხელახლა ფერში და ბგერაში აყვავილება.

ქართული მიწის ბილწმა მტერმა
ბევრჯერ დათესეს აქ სიკვდილის შავი მარცვალი.
დიღხანს ფიქრობდნენ აქ სიკვდილის გახარებას და მოსავლის მომკას...
მაგრამ, უფალმა დაიფარა ამღვრებული საქართველო,
ქანგმა შეჭამა აქ თურქული იატაკანი.
ველარ იხარა აქ სიკვდილის ავმა მარცვალმა,
წიაღში ჩაკვდა ბოროტება...
მხოლოდ სიცოცხლის და სიკეთის ამოციმციმდა მარცვალი!
დაე, მარადის ხარობდეს კეთილშობილი მარცვალი!
სიკვდილის თესლი ვერ ამოაღწევს ქართული მიწის სიღრმეებიდან!

თქვენი ბებერი ქართული მიწის ყოველ მტკაველს
მე დავუჩოქებ!
ფერფლიდან წმინდა ფენიქსივით აღმდგარ მიწას
მე დავუჩოქებ!
მიწას, რომელიც ეფერება და ინახავს თქვენს ისტორიას,
რომელიც გჩუქნით სიხარულს და არსობის პურს,
თან თქვენს ღრმა სევდას ინაწილებს,
მე დავუჩოქებ!

დაე, ის, ვინაც თქვენს გულმწვანე სანახებში სიკეთის მარცვალს
მიმოაბნევს — აღტაცებული
მიუძღვებოდეს გუთნისდედას ნათელი შუბლით!
ხოლო იგი, ვინც სიკვდილის ავი მარცვლების დასათესად აქ მოთრეულა, —
მოსისინე გადამთიელი, —
მიწამ ჩაყლაპოს და იქ ჩალპეს უწმინდუროვით,
ყველა ქართველის დიდი ოცნება — თავისუფლების ნათელი სხივი —
ქართული მიწის მტკაველმაც იცის
და მშობლის ტკივილს ამძაფრებს რწმენა...
სწორედ ამიტომ,
ამ ძირძველი მიწის წინაშე
მე მოვიდრიკე მუხლი.

ქვათა მდუმარება

აქ სუნთქავს მიწა ვეება მკერდით,
არვის უჩვენებს თავის იარაღს...

ერონულნი
ზიზლიწუნე ქვლანდაძე

აქ აღარ ისმის არც ყვირილი, აღარც სიცილი,
ხოლო ქარის ხმა უხეშია, თანაც დაბალი ტონის არის, როგორც ქირქილი...
მხოლოდ ქვები აღმართულან აქ ასეული წლების მანძილზე,
გარშემო ქვათა მეუფებაა.

აქ — შემთხვევით მოხვედრილი ფრინველიც ცდილობს
გადაუფრინოს და მოშორდეს ამ მიდამოს წამისებრ. ჩქარა...
და მხოლოდ ქარი ტრიალებს აქ — მიუსაფარი,
მხოლოდ ქარის სიმღერა და ქირქილი ისმის.

დადუმებულა ირგვლივ ყოველი,
რადგან ვეება სიცარიელის უსასრულო მდუმარებაში
ქვები იწვდიდნენ მზისკენ თავიანთ დამსკდარ და გაციებულ ხელებს —
ათეული წლების მანძილზე.

არც ნაფეხური ადამიანის, აღარც ცხოველის, ნადირის კვალი
არ ამჩნევია აქაურ მიწას,
მაგრამ ვილაცა ყოველდამე
მხოლოდ აქ ანთებს კოცონს.

შემდეგ ვილაცის ხელები უხმოდ კოცონს ხის ტოტებს უმატებენ,
ვილაცა ჩუმად უმზერს კოცონს
და ჩვეული სიდინჯით უშვერს
თავის ხელისგულს ცეცხლის აღს.

ხოლო, როდესაც სიშორიდან მგზავრნი ამჩნევენ ამ ღვთიურ კოცონს,
რატომღაც შიშით გვერდს უვლიან, თვალეებზე ხელებს იფარებენ,
ვით შემკრთალი უსინათლონი...
მხოლოდ მდუმარე, კუზიანი, დამსკდარი ქვები
შესცქერიან უმთვარო ღამეს.

დედამიწა

ზაზა კახიანს

დედამიწა! — მას აქვს სინდისი,
დედამიწა — მას აქვს გული.

მას აქვს გონება და ნერვები, ვით ადამიანს,
მას გააჩნია არა მარტო ხმელეთი და ოკეანენი,
არამედ იგი ჩვენ გვასწავლის —
იმ პირველი ნაბიჯების გადადგმას და სივრცეში მზერას,
სიკეთისადმი სიყვარულს და გულში გვინერგავს ქეშმარიტ
სიტბოს ყოველი სულიერისადმი.

ჩვენ კი...

ჩვენ მას ვუჭიჭვნით ნერვებს,
 თუნდაც იმით, რომ ყურს არ ვუგდებთ მის შეგონებებს...
 დედამიწა! — ის არ ილიმის — ჰა, რამდენი საუკუნეა,
 თუმცა არაა ჭირვეული...
 ის მიწისძვრათა ტალღებში ტოკავს,
 ბიძგებით სუნთქავს — სულთმობრძავევით,
 ტკივილებისგან გაფითრებული — ცის კიდურებს ჩასჭიდებია
 და არ იცის სიმშვიდის წამი.
 იგი დილიდან საღამომდე მოძრაობს ანუ საქმეებით არის გართული
 და თუ სადღაც უცებ იფეთქა ომის ხანძარმა,
 იგი კარგავს მოსვენებას — უმცირეს იმედს
 და ღამითაც ვერ იძინებს, რადგან წრიალებს,
 ვით მომლოდინე, მშობელი დედა.



დედამიწა!

მან ყოველი გამოსცადა აქ თავის თავზე,
 იწვნია ღრმა იარებიც, უბედურებაც...
 ნუთუ ოდესმე არ ექნება მშვიდი სიბერე და ნანატრი სიამტკბილობა
 პლანეტებს შორის უმშვენიერესს?..

თბილისი

ზურაბ წერეთელს

დღეს საოცრად მოძრავია სილუეტები თბილისისა,
 რომლებიც ნაზად ირწევიან, როგორც ბებერი ქადრები,
 რადგანაც მათში იგრძნობა ქარის და გულის ფეთქვა — უდასასრულო,
 რადგან მათში ჩანს გამოუთქმელი კაეშანი სიჭაბუკისა.

დღეს მე თბილისზე ფიქრი ცრემლს მგვრის,
 მძიმე, მწარე ცრემლს
 და ტკივილამდე მეკუმშება დაღლილი გული,
 დღეს, როცა ვუსმენ ჩიტების ჭიკჭიკს,
 იმ უზრუნველი და ფრთანათელი ჩიტებისა, — ტანკთა გრუხუნმა რომ
 დააფრთხო —

აპრილის ღამით...

და ჩაუარა ბედნიერებამ —
 გვერდზე...

მაგრამ, ხდება, რომ სიხარულიც მეწვევა უცებ,
 იმ მარტოხელა ვერხვის მსგავსად, რომელსაც ჭერ არც
 გამოუცვლოა მწვანე სამოსი,
 როდესაც ვუმზერ გაოცებული — ჰაერში გამდნარ თოვლის ფანტელებს,
 როცა მეწვევა სტუმრად სტრიქონი.

ჩემი ნათელი სიყვარული არის სადარო თბილისის მზისა,
გულწრფელი, მწველი და თაკარა, ვისი ზუაღლის მზე...
ვაის, მზე ჩაყა, მოვარის მუქზე ჩამოვარდა სიმებს,
ლაქე ბანს შეტყვის და სიმოქარა ეიდ იფრინდება.



და აი, ამ დროს მომინდება, რომ ხალხს ვახუქო
სინარულის და სილაპაჯის რამოდენიმე სეტარი წუთი,
რადგან ჩემს გულში — ოქროსფერა შემოდგომაა
და სულში მწვანე განახლების ქარები ქრიახ.

ჩუთი ლექსი გაბიაშვილი

1. შენი თვალეზი

ვისც მიგნური არაა, არცა ვაყუა.

(„პირამიდონი“)

რადგან ყოველი უკვე ბუნდოვან
ექვის ზღარებში გახვეულია..

2. გაიგაწვა

რანაირია შენი თვალეზი? --
რა უცნაური ფერის!
ჩაბერწყლიანი და სხივმფინარი.
რანაირია შენი თვალეზი?

ხოლო, როდესაც ხრჭიალებს
გადარეული მუხრუჭები,
ხეტაე რომელ ფერს ასკდებიან შენი
თვალეზი?

ვუშხერ: ფოლადის სრიალა ციალის
ვხედავ: თვალეზში ცეცხლი
ბრიალებს.

როცა გწყურებარ...
ხუთუ ასეთი საოცრების
წარმოსახვის უნარიც შეგწყევს?!

ამ გამოუცნობ თვალოა სიღრმეში
გაუჩინარდა ყოველგვარი ჰოცა და
არც.

მწამს, გაიხსენებ იმ გვიან ღამეს,
როცა წინწყლავდა ცისფერი წვიმა,
მოვარეული და ნათელი სევდა
მღინარესავით მიირწეოდა
და იფრქვეოდა წმინდა სინაზე --
ბედნიერების ტალღების წყებად...

გაიხსენებ და
შენს ბაგეებზე
კვლავ ათრთოლდება სახელი ჩემი...

წადი თამამად, ჩემი სულის
სიღრმეებისკენ.

ნარე შენთვის, იყავ ერთგული
და მეც დაგლოცავ, ჩემო დაია,
იყავი მარად ასე ხალდი, ასე ზალასი,
და მწამს, დაგრჩება გული წმინდა,
როგორც მთის წყარო.

3.

დღეს არ მწადია არაფერი...
მოვდივარ შენსკენ
ამ უცხვირპირო, ცრუ სოფელზე გულაცრუებული
და მხოლოდ შენთან კვლავ ვიწამებ.
როსმე წმინდანად შერაცხულ ხიბლს,
შენი ველური ბაგეების მოცახცახე უცოდველობას...

დავიჯერებ... ნისლიან ღამათ
მომზრიალეთ ვარსკვლავთ ციადი მზა
ჩემს კიდობელ თავზე ფანტელის მსებუჭი ფრთებით აფართხალოდ...



პა. როგორც იქნა,
მოვალწიე, მოვედი შენთან,
იუხუე კარგო,
ხელს ხუ მიშლი, მოვიტყუო ერთხელაც თავი...

4. შეიტან თავი შენი

როცა, უბრალოდ სევდა კი არა,
სიცარიელე დაგეუფლება,
და სიმძიმელი გამოუცნობი
მრუმე სტიქიის მარწუხებში მოგიმწყვდევს, გაგდებს
ნაპირზე, როგორც მსებუჭ ნაფოტს,
გაიქეც, მაგრამ,
ხუ გაიქცევი — მეგობრებისკენ...
ხუ წახვალ, რა ერთგულადაც ირ მოგაჩვენონ „საწყლებმა“ თავი,
რადგან იუდას ამბორია მათი ფიცის ბოლო წერტილი
და რაც უფრო შორს იქნები მათგან,
უფრო რე მოკლე მანძილი გრჩება —
ღმერთამდე!

ა. შემოდგომის ხელოვანი

სიერცეს ნისლის ნისლი ბურავს...
ინაკეთება ბინდი
და თანდათან იკვეთება
შენი მკაცრი პროფილი...

პა. დაგლანდე
და მოვედი:
გახოვ, რომ შექი ჩააქრო,
აი, გემუდარები...

მე საღამოს ლურჯი ბინდი მომენატრა,
შენს თვალებში ლურჯი სევდა აციოვდა,
შენი ტრფობით გაბასრულე გულს
მოეძალა სევდა —
უდასასრულო...
დაე, შენი პროფილი მინათებდეს
იმედის ცას.

დაე, მარად ბრწყინავდეს სხივით
გაციისკროვნებული.

დაე, ვიყო შემოსილი მარადისი
შარავანდით...

შენი სიყვარულისა...

შემოდგომის ნისლი ბურავს
ჩემს გულსა და ზეცას,
შემოდგომის ნისლის ნისლი...

ხოლო ვარდისფერი შუქი
კრთება ცის დასავალს მიღმა,
ბრწყინავს დასალივრი:
პო. ეს შენი გული იწვის —
ვეება და მოციმციმე —
მარად კეთილშობილი და უხილავი
სხივით...

სიორენ კირკეგორი



თარგმანი უჩა შერაზადიშვილმა

ანთაბიკოსის აზოკრიზიზი

ის ფაქტი, რომ დღეს სიორენ კირკეგორის სახელი ძალზე პოპულარულია, სულაც არ არის შემთხვევითი. ტექნიკური გაუცხოებისა და ტოტალიტარული რეჟიმის ეპოქაში, როცა ადამიანის თავისუფლებას, სულიერებას, უნიკალობას უამრავი მტერად ჰყავს, როცა პიროვნებას ემუქრება ნიველირება, „შეობის“ დაკარგვა, შესანიშნავი დანიელი მოაზროვნის მემკვიდრე ბრძოლას ინდივიდის უფლებებისათვის შეუძლებელია არ ჰქონდეს ფართო გამოცდილება, არ იქნება გადაშტეტებული თუ ვიტყვით, რომ ფილოსოფიის ისტორიაში ინდივიდს ყოცა ჰყოლია ისეთი თავდადებული მოსარჩლე, როგორც იყო კირკეგორი. ცალკეული, კონკრეტული ადამიანის ცხოვრება და ამ ცხოვრების თანმხლები განცდები და მიმწრაფებები, სურვილები, გრძობები, მოტყუებებები, სასოწარკვეთილება, შიში, არჩევანის გაკეთება, გადაწყვეტილებების მიღება, ტკბობა, შოწყენილობა, — შეადგენდა „დანიელი სოკრატეს“ ფილოსოფიური მედიტაციების მთავარ საგანს. სწორედ ინდივიდის, კონკრეტული ადამიანის ბედით დაინტერესებამ დააპირობა კირკეგორი თავისი დროის გავლენიან ფილოსოფიურ სკოლებთან, უპირველეს ყოვლისა კი ჰეგელიანელობასთან, რომლის ყურადღების ცენტრში სამყაროს უზოგადესი გარკვეულობები იდგა. ინდივიდის შემწეობამ აქცია დანიელი მოაზროვნე XX საუკუნის უაღრესად გავლენიანი ფილოსოფიური მიმდინარეობის — ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთ მთავარ საყრდენად.

კირკეგორის ფილოსოფიური მრწამსი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისმა ძალზე ემოციურმა ბუნებამ და იმ პირობებმა, რომელშიც იზრდებოდა მომავალი ფილოსოფოსი. ის დაიბადა 1813 წელს კოპენჰაგენში რელიგიური ფანატიკოსის ოჯახში. სიორენის მამას მთელი ცხოვრების მანძილზე ტანჯავდა გახსენება ბავშვობის წლებში ჩადენილი ცოდვისა; სიღარიბისაგან გამწარებულმა პატარა მწყემსმა დასწყევლა ღმერთი, ღვთისნოშიშობა და მწარე მელანქოლია მაძიგან მემკვიდრეობით ერგო სიორენს. 1830 წელს მამის სურვილისამებრ მომავალი ფილოსოფოსი შევიდა კოპენჰაგენის უნივერსიტეტის თეოლოგიურ ფაკულტეტზე, ყრმა სტუდენტის ყურადღებას მხოლოდ რამდენიმე ფილოსოფოსი იპყრობდა. უნივერსიტეტის თეოლოგთა ცივი, გასჯილული ლექციები ვერ აკმაყოფილებდა სიორენს, სწორედ ამიტომ იყო, რომ ბოლო საუნივერსიტეტო გამოცდა მხოლოდ 1840 წელს ჩააბარა: მომავალ ფილოსოფოსს უფრო ხშირად შეხვდებოდათ კოპენჰაგენის რომელიმე რესტორანში, თეატრში, სალონში, ან სულაც ქუჩაში უქმად მოყიადეს. უნივერსიტეტის აუდიტორთა ნაქლებად იხიდავდა მას.

1841 წელს კირკეგორმა დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია, ამავე წელს მან მიიღო უცნაური გადაწყვეტილება, რომელიც დღემდე თავსატეხად იქვით ბიოგრაფებს — თავის დანიშნულს ქორწინებაზე უარი უთხრა და ბერლინში გაემგზავრა. ფილოსოფოსმა გადადგა ეს საბედისწერო ნაბიჯი, თუმცა როგორც შემდეგ გაირკვა, სატრფოსადმი სიყვარული სიკოცხლის ბოლომდე ატანჯავდა. ეს გარეშობა თავისებურად აირეკლა კირკეგორის თითქმის ყველა თხზულებაში.

1943 წელს კირკეგორი დაუბრუნდა შშობლიურ ქალაქს. მამის მიერ დატოვებული მემკვიდრეობა საშუალებას აძლევდა ეცხოვრა განმარტოებით და მთლიანად მისცემოდა საყვარელ საქმეს — ფილოსოფიურ მედიტაციებს კოპენჰაგენში დაბრუნებიდან სიკვდილამდე — 1955 წლამდე. მან კვშიმარტად გიგანტური შრომა გასწია. შექმნა ბრწყინვალე თხზულებები „ან—ან“, „შიში და ძრწოლა“, „გახშორება“, „ფილოსოფიური ნამკვებები“, „შიშის ცნება“ „სასიკვდილო სხეულები“...

„ესთეტიკოსის ავტორიზმები“ ერთ-ერთი მონაკვეთია 1843 წელს გამოქვეყნებული შრომისა „ან—ან“ (დედანში მას სხვა სათაური აქვს). „ან—ან“, როგორც თვით სათაურიდანაც ჩანს, არჩევანის პრობლემას ეხება — კერძოდ კი სხვადასხვაგვარი ცხოვრების წესის არჩევანს. კერძოდ კერძოდ კი ამ შრომაში ძალზე თავისებურადაა დახასიათებული არსებობის ორი სახე — ცხოვრება ადამიანისა, რომელიც გრძნობად ტკბობას ეძებს, ე. ი. ესთეტიკურ ცხოვრებას (ბერძნულად ნიშნავს გრძნობას) წესი არსებობისა და ცხოვრება ადამიანისა, რომელიც ცხოვრობს ვარია არა გარეგანი, შემთხვევითი საგნებით ტკბობა, არამედ მოვალეობის შეგებება, ე. ი. ეთიკურ წესი არსებობისა. არსებობის ამ წესზე მალა დგას, კირკეგორის თანახმად, რელიგიური ცხოვრება — პარადოქსებით აღსავსე საუფლო რწმენისა. ესთეტიკური, გრძნობადი საწყისის გააბსოლუტებას, ფიქრობს დანიელი ფილოსოფოსი, მოსდევს მოყირკება, მელანქოლია, სასო-წარკვეთა. სწორედ ეს უკანასკნელი უნდა გახდეს საყრდენი ცხოვრების უფრო მაღალი წესისაკენ ნახტომისათვის.

თამაზ ბუაჩიძე

რა არის პოეტი? სულიერად გატანჯული უბედური არსება, რომლის გმინვა და კვნე-საც საუცხოო მუსიკად უღერს. მისი ბედი შეიძლება შევადაროთ იმათ ხვედრს, ვისაც ცოცხლად წვავდნენ ნელ ცეცხლზე ფაღარისის სპილენძის ხარში: ტირანს ვერ შეაძრწუნებდა მხვებრძლ-თა საშინელი მოთქმა-გოდება — ეს ხმა ტკბილ მუსიკად ჩაესმოდა. ადამიანებიც ირევიან პოეტის გარშემო და იმეორებენ: „იმღერე, კიდევ იმღერე!“. თითქოს ამბობდნენ — დაე, სული შენი ეწამოს, ოღონდ ბაგეებიდან აღმომხდარმა გმინვამ კვლავაც აგვალეღვოს და დაგ-ვატკბოს თავისი საუცხოო პარმონიით. ბრბოს კრიტიკოსებიც მხარს უჭერენ: სწორია, ასეც უნდა იყოს ესთეტიკის კანონების მიხედვით! კრიტიკოსი, კაცმა რომ თქვას, იგივე პოეტი, ოღონდ მის გულს აკლია წუბილი, ბაგეებს კი — მუსიკა. ამიტომაც, ჩემი აზრით, უმჯობესია, იყო მწყემსი, რომლისაც ესმის ფარას, ვიდრე პოეტი, რომელსაც ადამიანები ვერ უგებენ!

იხევ ბავშვებთან საუბარი მირჩევნია: ბოლოს და ბოლოს, იმის იმედი მაინცა მაქვს, რომ მათგან გონიერი არსებები დადგება, მაშინ, როცა ისინი, ვისაც თავი მოაქვთ... ემ. რას იზამ!

რა უცნაურები არიან ადამიანები! არახოდეს არ სარგებლობენ მინიჭებული ერთი რე-მედიმე თავისუფლებით და მაინცდამაინც სხვას მოითხოვენ: აზრის თავისუფლება ზომ მის-ცეს. ახლა სიტყვის თავისუფლებაც ნებავთ!

არაფერი არ გინდა, არც გამგზავრება: ერთობ დამქანცველია; არც ფეხით წასვლა: დაიღ-ლები; დაწოლა? — ან უქმად გდება მოგიწევს, ან იხევ აღგომა; არადა, არც ერთი გინდა, არც მეორე, ერთი სიტყვით, არაფერი არ გინდა.

არიან მწერები, განაყოფიერების შემდეგ რომ კვდებიან. ჩვენი სიხარულიც ასეა: უდი-დესი ნეტარების მომენტი — და უკვალოდ ქრება.

სასარგებლო რჩევა მწერლებს:

ფიქრები სახელდახელოდ უნდა ჩაიწერო და პირდაპირ დასაბუქდად გადასცე; კორექტუ-რის კითხვისას შეიძლება კარგი აზრებიც გაგიჩნდეს. ასე რომ, ვინც დღემდე რამის დაბეჭდ-ვას ვერ ბედავდა — ნულარ დააყოვნებს! არც კორექტურული შეცდომები უგულებელყო: მახვილგონიერებით თავის გამოჩენა — თუნდაც მხოლოდ შეცდომების წყალობით — ბოლოს და ბოლოს, მწერლის კანონიერი უფლებაა.

ადამიანური ბუნების მთავარი ნაკლი ისაა, რომ უოველთვის საპირისპიროს ესწრაფვის. იმდენი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომ ფსიქოლოგსაც ეკუთვა თავხატება. აი, თუნდაც — იპოქონდრიკი განსაკუთრებით ფაქიზად აღიქვამს იუმორს, ეხორცი ბალისით ლაპარაკობს იდილიაზე, გარყვნილი — ზნეობაზე, სკეპტიკოსი — რელიგიაზე. ისე, კაცმა რომ თქვას, სიწ-მინდის გზაც ზომ ცოდვაზე გადის?

უამრავი ნაცნობის გარდა შეავს ერთი გულითადი მეგობარი — ხევდა. დიდი მხიარუ-ლებისა თუ გულმოდგინე მუშაობის დროს მოულოდნელად მეწვევა. გამიხმობს თავის

პარტოობაში და მეც უსიტყვოდ ვემორჩილები. არახოდეს ჰყოლია ჩემს გულს უფრო ერთ-
გული მეგობარი და რაღა გასაკვირია, თუ მთელი არსებით მას ვეკუთვნი.

არსებობს ენაწულიანი რეზონირობა, რომელიც თავისი დაუსრულებლობით და ისტორი-
ული მნიშვნელობით თვალშეუდგამ ეგვიპტურ საგვარეულოთა ნუსხას მოგვაგონებს.

სიბერე, როგორც ცნობილია, სიკაბუკის ოცნებებს ახორციელებს. მაგალითია სვიფ-
ტი: ახალგაზრდობაში შეშლილებსთვის ააგო ხახლი, სადაც სიბერეში თვითონ დასახლდა.

პირდაპირ შეიძლება შეგეშინდეს, რა პირქუში ღრმააზროვნებით ხსნიდნენ ძველი ინგ-
ლისელები სიცილის საფუძვლის ორაზროვნებას. აი, რას ამბობს, მაგალითად, დოქტორი გართ-
ლენი: „ბავშვის ბავშვზე მომდგარი სიცილი ან ტკივილით გამოწვეული ტირილია, სადაცაა რომ
უნდა წასკდეს, ან ტკივილის გამოხატვა — გრძნობისა, რომელსაც ბავშვი უცებ მოერია, მაგრამ
დროდადრო თავს ახსენებს“. (იხ. ფლიოგელი. კომიკური ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, გვ. 50).
რა იქნებოდა, ქვეყნად უველაფერი მხოლოდ გაუგებრობა რომ უოფილიყო, სიცილი სინამდ-
ვილეში ტირილი რომ უოფილიყო!

როგორც კორნელი ნეპოტი გვიამბობს, ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრეში ცხენოსანთა
რაჭმის ერთმა უფროსმა ბრძანა. უოველდღე მათრახით ეცემათ ცხენები, რათა ხანგრძლივი
დგომისა და უმოქმედობისაგან არ დასნეულდებულყვნენ... ახლა მეც ალყაშემორტყმულივით
ვცხოვრობ და ხანგრძლივმა უმოქმედობამ ხელი რომ არ დამატყოს, განუწყვეტლივ ვტირი;
ვტირი დაოხებამდე.

„ალადინი“ სწორედ იმითომ გვახალისებს, რომ ამ პიესაში უველაზე უფრო ახირებული
სურვილების ბავშვურად გენიალურ სითამამეს ვხედავთ. განა ბევრი ბედავს ჩვენს დროში ნამდვი-
ლად ისურვოს, მოსთხოვოს რამე ბუნებას: ან ზრდილი ბავშვივით მორიდებულად სთხოვოს,
ან გააფთრებულმა, სასოწარკვეთილმა შეუტოს? დღეს ხშირად ამბობენ, ადამიანი ღვთის
სახედ და ხატადაა შექმნილიო, მაგრამ განა ბევრსა აქვს ეს შეგნებული და განა ბევრი
გრძნობს თავს ცხოვრების მბრძანებლად? იქნებ, უველა ნურედინს ვგავართ, ხულის წინაშე
თავს რომ ბრის და ეშინია, მეტისმეტად ბევრი ან მეტისმეტად ცოტა არ მოვითხოვო? ხომ
არ ვამდაბლებთ ჩვენს მოთხოვნებს საკუთარი მე-ს ავადმყოფური ჭკრებით? იმის ნაცვლად,
რომ ცხოვრებას მოვთხოვოთ, საკუთარი თავისგან ვითხოვოთ. — სხვათაშორის, საამისოდ გვამ-
ზადებენ და გვწვრხნიან კიდევ!

უძველესი ხალხური პოეზიის უკვდავება, უზარმაზარი ძალა სწორედ ისაა, რომ მას
დიდი სურვილების უნარი აქვს. ჩვენი დროის სურვილები კი ცოდვილია და უზამსი — სა-
ბოლოოდ უველაფერი მოყვანის ხარჯზე ცხოვრების, გამორჩენის სურვილამდე დადის. ხალ-
ხური პოეზია მშვენივრად გრძნობს, რომ რაც ხწყურია, ის მოყვანს არ გააჩნია და ამიტომ,
ხანდახან თუ არის კიდევ მასში ცოდვილი სურვილი, ის იმდენად დიადია, ისე შექალადადებს
ზეცას, რომ გვაკრთობს. ეს პოეზია თავისი მოთხოვნებით არ უპირისპირდება ფხიზელ განსჯას.
მაგალითად, სცენაზე დღესაც ხშირად ვხედავთ დონ უუანს თავისი „1008 საყვარლით“, მაგ-
რამ გაღიმებახაც კი ვერავინ გაბედავს, თუნდაც მხოლოდ ლეგენდის პატივისცემით. აბა, ერთი
პოეტმა შექმნას ასეთი რამ ჩვენს დროში, უსათუოდ სიცილს დააყრიან.

ლეგენდის მიხედვით, პარმენისკემ სიცილის უნარი დაკარგა ტროფონიოსის გამოქვაბულ-
ში, მაგრამ აღიდგინა კუნძულ დელოსზე, იმ უშნო კუნძობს დანახვისას, ქალღმერთ ლეტოს
გამოსახულებად რომ ითვლება. მეც რაღაც ამის მსგავსი დამემართა. სიყმაწვილეში კინალამ
დამავიწყდა სიცილი ტროფონიოსის გამოქვაბულში; დავაგუაცებულს ცხოვრებაზე თვალი
ამებილა, გავიციენე და მას მერე სულ ვაციანი. მივხვდი, რომ ცხოვრების აზრი საბოლოოდ
„თბილი ადვილია“, ცხოვრების მიზანი — სამოქალაქო ან სხვა მრჩევლის ჩინი; სიყვარულის
ქეშმარიტი აზრი და მიზანი — მდიდარი ქალის შერთვა; მეგობრობის ნეტარება — ფულით
ხელის გამართვა; ქეშმარიტება — მხოლოდ ის, რასაც უმრავლესობა აღიარებს; აღტაცება —
სიტყვით გამოსვლის უნარი; სიმამაცე — ათმანეთიანი ქარიშხის რისკი; გულითადობა — ნახა-
დილევს ნათქვამი „შეგერგოს“; ღვთისმოსაობა — უოველწლიური მარხვის შენახვა. ცხოვრებას
შევხედე და გამეცინა.

რა მხოკავს? რისგან იყო მოქსოვილი ჩაქვი, რომლითაც ფენრიხის მგელი შებოკეს? კატის ნაბიჯების ხმაურით, ქალის წვერებით, მთების ფესვებით, თევზების სუნთქვით, ჩიტების ნერწყვით. და მე შებოკილი ვარ პირქუში ფანტაზიებით, აფორიაქებული მძაპრებით, მოუსვენარი ფიქრებით, ერუანტელის მომგვრელი წინათგონობებით და ათასნაირი მისისგან შეკონწიწებული ჩაქვით. ეს ჩაქვი „მოქნილია, მსუბუქია აბრეშუმივით, უხასრულობამდე იწელება და მისი გაწყვეტა შეუძლებელია.“

ქრისტეშვილი
ბიზლიჩიძე

საოცარი: უველა ახაკში ადამიანი ერთი და იმავე საქმიანა დაკავებული, ერთი და იმავე პრობლემის გადაჭრას ცდილობს, მაგრამ არაფერი გამოსდის, პირიქით, უკან-უკან იხევს. ჩერკიდე თხუთმეტი წლის ბიჭმა, დიდის ამბით დავწერე სასკოლო თხზულება თემაზე: „ღმერთის არსებობის, სულის უკვდავების, რწმენის აუცილებლობისა და ხასწაულის დასაბუთებანი“. განმოსაშვებ გამოცდაზე ისევ სულის უკვდავებაზე მომიხდა წერა და ჩემმა თხზულებამ განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა: კოტა მოგვიანებით, იმავე თემაზე დაწერილი სხვა თხზულებისათვის პრემიაც კი მივიღე, ვინა დაიჭერებს, რომ ახეთი ბრწყინვალე, იმედისმომცემი დასაწყისის შემდეგ, ოცდახუთი წლის ახაკში, იქამდე მივედი, რომ ვერაფრით ვერ ვახაბუაებდი სულის უკვდავებას! განსაკუთრებით დამამაზხოვრდა, რომ ჩხენებულ თემაზე ერთ-ერთი ჩემი თხზულება მახვავლებელმა ხმამალა წაიკითხა და შეაქო, როგორც აზრების, ისე სტილის გამო. ხამწუხაროდ, ის თხზულება დიდი ხნის წინ სადღაც მივაგდე, დახანანია; იქნებ იმას მაინც გაეფანტა ახლა ჩემი ექვები. აი, რას ვურჩევ მშობლებსა და აღმწრდელებს: უნდა ჩააგონოთ ბავშვებს, რომ გაუფრთხილდნენ, შეინახონ თხუთმეტი წლის ახაკში მშობლიურ ენაზე დაწერილი უველა თხზულება. ეს რჩევა არის ერთადერთი რამ, რის გაკეთებაც შემიძლია კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

შეხადლოა, ჩავწვდი კიდეც ქეშმარიტებას, მაგრამ სულიერი ნეტარების შეცნობამდე ჩერკიდე ბევრი მიკლია. რა ვიღონო? მეტუვიან, საქმეს მოპკიდე ხელიო, რომელ საქმეს? რას ვეწიო? იქნებ, ჩემს კეშანზე მოვუთხოო კაცობრიობას, თან ვცადო, ახალი საბუთების წარმოდგენა ადამიანური ცხოვრების სევდიანი არარაობის დასამტკიცებლად? ან იქნებ ცხოვრების ახალი, დღემდე უცნობი, ბნელი მზარეების, ლაქების წარმოჩენას მივეო ხელი? ეს ალბათ იშვიათ ჭილდოს მარგუნებდა — ხახელს გავითქვამდი, იმ ასტრონომივით, იუპიტერზე ახალი ლაქები რომ აღმოაჩინა. — მაგრამ დუმილი მირჩევნია.

ადამიანური ბუნება უოველთვის როგორი ერთგულია საკუთარი თავისა! რა ბუნებრივი გენიალურობით წარმოგვიდგენს ხანდახან პატარა ბავშვი რთულ ცხოვრებისეულ ურთიერთობათა ცოცხალ სურათს!

რა უცნაური იყო დღეს ლუდვიგის საქციელი... თავის პატარა ხკამში იქდა და დიდი კმაყოფილებით იცქირებოდა აქეთ-იქით. ოთახში მისმა ძიძამ მარია გაიარა. „მარია!“ — უვირის ბიჭი. — „რა იყო, ლუდვიგ!“ — აღერსიანად პახუზობს ქალი და უახლოვდება, ის კი, თავს გვერდზე ხრის, დიდი, ცულლუტი თვალებით შემყურებს და სრულიად მშვიდად აცხადებს: „ეს მარია არა, სხვა!“.

ჩვენ როგორღა ვიქცევით? მთელ კაცობრიობას ვუხმობთ ხაშველად და როცა გულისთადი ადამიანები ხელს გვიწვდიან, გავიძახით: „ეს მარია არა!“.

ჩემი ცხოვრება მარადიული ღამეა, სიკვდილის წინ შემიძლია აქილევსივით წამოვიძახო: Du bist vollbracht, Nacht wache meines Dasiens!

ჩემი ცხოვრება სრულიად უაზროა, როცა ვიხხენებ განვლილ წლებს, უნებლიეთ სურვილი მიჩნდება, ჩემი სიცოცხლე შევადარო გერმანულ ხიტუვას „Schnur“ რომელიც, როგორც ცნობილია, აღნიშნავს როგორც ზონარს, ისე — რძალს, ისღა დარჩა, რომ კიდეც აქლემი და ცოცხლიც აღენიშნა.

წინააღმდეგობას აზრი არა აქვს, ფეხი მისხლტება, ჩემი ცხოვრება მაინც პოეტის ცხოვრებად რჩება. განა შეიძლება უფრო საშინელი მდგომარეობის წარმოდგენა? დალდასმული ვარ, ბედი დამცინის და ნიშნს მიგებს, ვხედავ, თუ როგორ გადაიქცევა წინააღმდეგობის უოველგვარი ცდა პოეტურ მომენტად, შემიძლია, ისეთი ცხოვრებისეული სიმართლით აღწერო იმედი.

რომ უოველი „მოიმედე და მორწმუნე“ ცხოვრებისა ხაკუთარ თავს იცნობს და მაინც ეს სიცრუეა, მხოლოდ მოგონებების მიხედვით რომ შევქმენი.



არადა, რა უსაშველოდ მოსაწყენია... მოწყენილობა. უფრო ზუსტი ან ძლიერი განსაზღვრა არ მეგულება: ტოლი მხოლოდ ტოლით გამოიხატება. უფრო ძლიერი გამოთქმა უფრო ღრუბდა მაინც ამ ისედაც უოველისდამორგუნველ ერთფეროვნებას. გაშოტილი ვარ და... არაფერს ვაკეთებ. საითაც გავიხედავ — უველგან სიცარიელეა. ვცხოვრობ სიცარიელეში, ვსუნთქავ სიცარიელეს, და ტკივილსაც კი ვერ ვგრძნობ. პრომეთეს სვავი მაინც უკორტნიდა ღვიძლს, ლოკს შხამი მაინც ეწვეთებოდა განუწყვეტლივ, რაღაც შრავალფეროვნება მაინც იყო, თუმცა ერთფეროვანი. ჩემთვის კი ტანჯვამაც დაკარგა თავისი სიტკბო. უველა მიწიერ სიკეთეს ან ტანჯვას რომც დამპირდეთ — გვერდსაც კი არ მოვიცვლი ერთის მისაღებად ან მეორის თავიდან ასაცილებლად. ნელ-ნელა ვკვდები. რას შეუძლია ჩემი გართობა? აი, უოველგვარ განსაცდელზე გამარჯვებული ერთგულება რომ შენაბა, უოველის დამძლევი გატაცება, მთების ამამოძრაებელი რწმენა, რომ განმეჭვრიტა ხასრულის უსახრულობასთან შემარიგებელი აზრის ზეიმი... მაგრამ შხამიანი ექვი უველაფერს ანადგურებს, ჩემი სული ჰგავს მკვდარ ზღვას, რომელსაც ვერც ერთი ჩიტი ვერ გადაუფრენს — შუამდე რომ მიადწევს, ძალაგამოღებული ეცემა სიკვდილის მკლავებში.

საკვირველია! როგორი შიშით ებლაუტება ადამიანი სიცოცხლეს, ერთნაირად ეშინია მისი დაკარგვისაც და შენარჩუნებისაც. ხანდახან ვფიქრობ, გადავდგა გადამწყვეტი ნაბიჯი, რომლის წინაშე უველა ჩემი აღრინდელი ექსპერიმენტი ბავშვურ გართობას დაემსგავსება: მინდა დავადგე დიდი აღმოჩენების იდუმალ გზას. ხომალდს, ვერფიდან ზღვაში ჩაშვებისას, ხოლოთ ესალმებიან, ასევე მივეხალმებოდი ხაკუთარ თავს. არადა, ამასობაში... რა, გაშხედაობა არ მყოფნის? აგური მაინც დამეცეს თავში და გამათავოს — ასე თუ ისე, საშველი დამადგებოდა.

ჩემი სხეულის აგებულების შეუსაბამობა ისაა, რომ ახალმოლანდიური კურდღელივით წინა ფეხები მეტისმეტად მოკლე მაქვს და უკანა ფეხები — მეტისმეტად გრძელი. ერთ ადგილას მშვიდად ვწვივარ ხოლმე, მაგრამ როგორც კი ნაბიჯს გადავდგამ, უზარმაზარი ნახტომი გამომდის და უველა ჩემს ახლობელსა თუ ნათესავს თავზარს ხცემს.

რატომ არ დავიბადე ღარიბ ოჯახში, რატომ არ მოვკვდი ბავშვობაში? მამა პატარა კუბოში ჩამასვენებდა, ილღიაში ამოშიჩრიდა, კვირა დილას, უთენია, წამილებდა სახაფლაოზე და თვითონ ჩამფლავდა პატარა სამარეში, თან მხოლოდ მისთვის გასაგებ რამდენიმე სიტყვას ჩაიბურტყუნებდა... მხოლოდ ბედნიერ წარსულს შეიძლებაოდა მოსვლოდა აზრად, ელიზიუმში გამოესახა ურმები, თავიანთ ნაადრევ სიკვდილს რომ დასტირიან.

არასოდეს ვყოფილვარ ბოლომდე მზიარული, არადა, მზიარულება თითქმის მუდამ თან მდევს, ჩემს გარშემო თითქოს უოველთვის დაფარფატებენ სხვებისთვის უჩინარი, მსუბუქი გენიები მზიარულებისა, რომელთა ცქერისას თვალები სიხარულით მინათდება, და ადამიანებს შურთ ჩემი, როცა გვერდით ჩავუვლი — ნახევარღმერთივით ბედნიერი და მზიარული, მე კი ვხარხარებ — მძულს ადამიანები და შურს ვიძიებ მათზე. არასოდეს ისე არ დავმციობულვარ, რომ ვინმეს ნამდვილად წყენინება მესურვა, ვინმესთვის მართლა შეურაცხყოფა მიმეუენებინა, მაგრამ ხანდახან შემეძლო საქმის ისე მობრუნება, რომ ადამიანებს, ჩემთან ურთიერთობისას, რაღაც წყენის შთაბეჭდილება რჩებოდათ, როცა მესმის, როგორ აქებენ სხვებს პატიოსნებისა და ერთგულებისათვის, ვხარხარებ, იმიტომ, რომ მძულს ადამიანები და შურს ვიძიებ მათზე. არასოდეს ვყოფილვარ გულქვა, მაგრამ უძლიერესი სულიერი მღელვარების წუთებში უოველთვის რაც შეიძლებაოდა ცივ და უგრძობელ სახეს ვიღებდი, როცა მესმის, როგორ აკყავთ ცამდე სხვები გულკეთილობისათვის, უყვართ ნაზი, ღრმა გრძობებისათვის, ვხარხარებ, რადგან მძულს ადამიანები და შურს ვიძიებ მათზე. როცა ვხედავ ადამიანების სიძულვილსა და ზიზღს ჩემდამი, მესმის, როგორ წყევლიან ჩემს სიცივესა და უგულობას, ვხარხარებ, ვხარხარებ და ჩემი ბოღმა კმაყოფილდება. აი, ამ კეთილ ადამიანებს რომ მოეხერხებინათ და იქამდე მივეყვანე, რომ მართლა რაღაც დამეშავებინა, უსამართლოდ მოვქცეულიყავ, მაშინ დავმარცხდებოდი.

ღვინო აღარ მიმხიარულებს გულს; ცოტა თუ დაელოცე, სევდას მგვრის, ბევრი — გულზე ტეხილობას. ჩემი სული უძლეურია და სუსტი: ამოდ ვურტყამ დეზებს დაფინებით, დიქანცა, აღარ გამოცოცხლდება მეფური ნაბტომით. საბოლოოდ გამიქრა ილუზიები. ამოდ ველოდები, ფრთოსან ნიშარულს მივცე თავი. აღარც მას ძალუძს ჩემი გამხნეება — უფრო სწრაფად თავად ვეღარ წამოვმდგარვარ ფეხზე. არადა, მისი ფრთის ერთი დაბერვაც უსაფრთხოების გარეშე მგვრიდა, მახალიხებდა. მამხნევებდა! ხანდახან ასეც ხდებოდა: მივდივარ ცხენო-ტყევისკენ ნაბაქიო, და მეჩვენება, რომ ქარის ფრთებზე მიფრინავ, ახლა კი ცხენი თავიდან ფეხებამდე გაქაფულია. სადაცაა, მიწაზე დაენარცხება, მე კი სულ მეჩვენება, რომ ადგილიდან არ ვიძვრი! მარტოდმარტო ვარ, უოველთვის მარტოდმარტო ვიყავი; ადამიანებმა კი არ მიმატოვეს (ეს არ შემაწყუბებდა). არამედ მხიარულების გენიებმა, ადრე უოველი მხრიდან შემომეხვე და ნენ ბოლმე, უველგან ამხანაგებს ეძებდნენ, უველგან ცდილობდნენ, ხაჩემო შემთხვევისთვის ჩაევლოთ ზედი. მხიარული ელფების გუნდი ონავარი მოწაფეებით ირეოდა ჩემს გარშემო, და მეც ვუღიმოდი. ჩემმა სულმა დაკარგა თვით გაგება „შესაძლებლობისა“. რომ შემოეთავაზებინათ, რამე მოინდომეო, ვისურვებდი არა სიმდიდრეს, არა ძალაუფლებას, არამედ „შესაძლებლობის“ თავდავიწყებულ რწმენას; მზერას — მუდამ ქაბუკურს, მუდამ ანთებულს. თავის-თავად ტკბობა გულს გიკრუებს, „შესაძლებლობა“ — არახოდეს. ხად ნახავთ ღვინოს — ისეთ სურნელოვანს, შუშუნასა და მათრობელას, როგორც „შესაძლებლობა“?

ბგერები იქაც აღწევს, სადაც შუის სხივები ვერ ატანს. ჩემი ოთახი ბნელია და პირკუში. ფანჯრის პირდაპირ აღმართული ქვის მაღალი კედელი თითქმის მთლიანად ფარავს დღის სინათლეს. მუსიკა ისმის... ალბათ მეზობელი ეზოდან... მოხეტიალე მუსიკოსი უნდა იყოს. რა საკრავია? ლერწმის სალამური? ეს რა შესწის! მენუეტი დონ უუანიდან! ძლიერო, ხავსე ბგერებო, გამაქროდეთ იქ, სადაც ცეკვებია, დაუოკებელი მხიარულებაა, ქალები არიან! აფთიქარი რაღაცას ნაუავს, მზარეული ქალი ქვავს ფხეკს, მეჭინბე ქვაფენილზე სამურველს აკაკუნებს... მუსიკა მხოლოდ მე მეკუთვნის, მხოლოდ მე მიტაცებს! ო, მადლობელი ვარ შენი, მადლობელი, ვინც არ უნდა იყო! ჩემი სული გამოცოცხლდა, აღფრთოვანებით აღივსო!

თავისთავად ორაგული ძალზე გემრიელია, მაგრამ დიდი რაოდენობით კუჭისთვის მავნებელი იცევი. როგორც უოველგვარი მძიმე საკვები. ამიტომაც, როცა ერთხელ, ქამბურგის ახლოს, მეთევზეებმა უამრავი ორაგული დაიჭირეს, კოლიციამ დიასახლისებს დაუდგინა, რომ მოსამხატრეებისთვის ორაგული მხოლოდ კვირაში ერთხელ ეჭმიათ. აი, ასეთივე ბრძანება რომ გამოსულიყო სენტიმენტალობის გამო!

ჩემი ნადველი — ჩემი ციხე-სიმაგრეა; იგი არწივის ბუდესავით, მთის მწვერვალზეა, დრუბლებშია ატუორცნილი, უველახათვის შორეული და მიუწვდომელი. იქიდან თავს ვეხხმი ნამდვილ ცხოვრებას, ვიტაცებ ნადავლს, ხახლში მომაქვს და მისგან სურათს ვხატავ ჩემი კოშკის მოსართავად. იქ განდევილი ვცხოვრობ უველაფერს, რასაც განვიცდი, დავიწყების ემბაზში ჩავუშვებ ბოლმე საზუდამო მოგონებებისათვის; უველაფერი დავიწყებულია და წაშლილი. გათეთრებული ბერიკაცივით დრმად ჩაფიქრებული ვზივარ და ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით ვუხხნი სურათებს საკუთარ თავს. მისმენს ბავშვი, ოუშცა მას უველაფერი თვითონაც ახსოვს, ჩემი ნაამბობის გარეშე.

მზე მხიარულად და აღერსიანად იცქირება ჩემს სამყოფელში; მეზობელ ოთახში ფანჯარა ღიაა. ქუჩაში სიწუნარეა — ნაშუადღევია, მესმის, როგორ გალობს ტოროლა მეზობელ ეზოში, ღამაში ქალიშვილის ფანჯარასთან. შორეული ქუჩიდან აღწევს თევზის დამტარებლის ძახილი. მერში ისეთი სითბო ჩადვრილა, ქალაქი კი თითქოს გაუკაცრიელდა... მახსენდება ახალგაზრდობა, პირველი სიუვარული, როცა ძალიან ვდარდობდი. ახლა მხოლოდ იმ პირველ დარდზე ვდარდობ. რა არის სიკაბუკე? რა არის სიუვარული? ზმანება.

მოულოდნელი სასწაული გადამხდა თავს: უცებ მეშვიდე ცაზე, ღმერთების საკრებულოს წინაშე აღმოვჩნდი. განსაკუთრებული წყალობის ნიშნად უფლება მიბოძეს, რამე მე სურვა. „რა გინდა — ახალგაზრდობა, სილამაზე, ძალაუფლება, დღეგრძელობა, ულამაზესი ქალის სიუვარული? იქნებ რამე სხვა სიამეს ამოირჩევ ჩვენი ძველმანებიდან? — მკითხა მერკურმა, — ამოირჩიე, ოღონდ ერთ-ერთი.“ წუთით დავფიქრდი და ღმერთებს მივმართე: „პატრივემულო თანამედროვენი! მე ვირჩევ უფლებას — უოველთვის ბოლოს გავიცინო.“

არც ერთმა ღმერთმა არ მიპასუხა, მაგრამ უველამ გაიცინა ამას მაფიქრებინა, რომ ჭერ ერთი, ჩემი თხოვნა შეიწყნარეს და მეორეც — ღმერთებს აქვთ ტაქტი: ხომ უნდა იქნებოდნენ რომ სერიოზულად ეპასუხათ: „იუოს ჩება შენი“



რადაც გამოუცნობი, ხევდიანი განწყობილება დამეუფლა. როცა ღია მწვანე ფერის, უვითლად მოლაპლაპე ხერთუკში შემოსილი დატაკი დაეინანე ქუჩაში შეწყვეტდა, მაგრამ განსაკუთრებით ამაღელვებელი ხელი ხერთუკის ფერმა, ცხადად რომ გამახსენდა ჩემი პირველი, ნავშვური ცდები ფერწერის კეთილშობილ ბელოვანებაში. თითქოს განგებ, ეს გახლდათ ჩემი საუვარდელი შეხამება ფერებისა. არადა, მართლა დასანანი არ არის, რომ ცხოვრებაში ხერთოდ არ უღებდა ფერი, რომელსაც დღემდე ასეთი სიამოვნებით ვიხსენებ? უველამ მიანია, რომ იგი მკვეთრია, უსიამოვნო და მხოლოდ იაფფახიანი სათაშობის გასაოჩინად გამოდგება. და თუ შემთხვევით სადმე წავაწყდი, თითქოს განგებ, უოველთვის ხევდიანი შეხვედრისას, წვლანდელივით, ეს ყოველთვის ან შეშლილია, ან ხზეა უბედური. ერთი სიტყვით, კაცი, რომელიც ამქვეყნად თავს ზედმეტად გრძნობს და აღაშინები თანამომედ არ მიიჩნევენ. მე კი უველა ჩემს გმირს სწორედ ამ დაუვიწყარი მოცვითალო მწვანე ფერით ვხატავდი — ეს ხომ არ არის ჩვენი ბავშვობის ნაირფერი საღებავების ხერთო ხვედრი? ცხოვრების ამ ეპოქის ფერები თანდათანობით ხომ არ ხდება მეტისმეტად ხასხასა და მკვეთარი ჩვენი გადაღლილი თვალებისათვის?

ხედნიერების კარები, საშფუბაროდ, შიგნით კი არ იღება — მაშინ შესაძლებელი იქნებოდა, ძალდატანებით შეღებოდა — არამედ გარეთ, და ამიტომაც ვერაფერს გააწყობ!

ღმერთმანი, მეუფოდა ვაქცაყოფა უველაფერში დახატვებლად, უველასთან საბრძოლველად, მაგრამ ვერ ვხედავ რამის შეცნობას, შეთვისებას. ბევრი ჩივის, ცხოვრება ერთობ პროზაულია, არ ჰგავს რომანს, სადაც შემთხვევა უოველთვის გახსნილი. მეც უკმაყოფილო ვარ, რომ ცხოვრება არ არის რომანი, სადაც მოქადაობული მეფის ასულების გახანთავისუფლებლად გულქვა მამებს, ჯადოქრებსა და მოჩვენებებს უნდა ებრძოლო. უველა ეს ბოროტი ძალა, ერთად აღებული, არაფერია იმ გაფითრებულ, უსისხლო, მაგრამ სიცოცხლისუნარიან ლანდებთან შედარებით, რომლებსაც ვებრძვი, ოუმცა ისინი მე თვითონ გამოვიხსნე.

ჩემი სული, ჩემი აზრი უნაყოფოა, მაგრამ მათ მაინც ჩიჩგის განუწყვეტელი, უაზრო, სურვილით სავსე ტანჯვა მშობიარობისა. ნუთუ ვერასოდეს ამოვიდგამ ენას, ნუთუ სამუდამოდ მხოლოდ დუღილული მკვებს მოსჭილი? მე შვირდება ლინცუესის მწერასავით განმგმირაკი ხმა — ძრწოლის მომგვრელი გოლიათების ოხვრასავით, ამოუწურავი ბუნების ბგერებით: ქარის დაბერვასავით დამცინავი. მოულოდნელად წვიმას რომ შემოგახსნამს სახემი; ბოროტი, ექოს უსულგულო ქილიკივით, რომლის დიაბაზონიც მათაი რინიდი დახ უხაზეს, მომაქადობელ, მკერდისმიერ ბგერებამდე გაშლილა და უოველგვარი გადახვლა აქვს აკრძალული ჩურჩულიდან სასოწარკვეთის ველურ გმინვამდე. აი, რა შვირდება, რომ შევბით ამოვიხუნთქო და ამოვთქვა უველაფერი, რაც მაწუხებს, შევანკლრიო სიუვარულისა და ბოროტების დიაფრაგმა, მაგრამ ჩემი ხმა ზრინწიანია ოლიების კვილივით და უხმოა, მუნქის ლოცვასავით.

ცხოვრების უმშვენიერესი დრო — პირველი სიუვარულის ხანა: უოველ კაემანს, უოველ მწერას ახალი სიხარული მოაქვს.


ჩემი შეხედულება ცხოვრებაზე უოველგვარ აზრს მოკლებულია — მეჩვენება, რომ ავმა სულმა ცხვირზე საოვალე ჩამოშაცვა, რომლის ერთი მინაც უნაშველოდ აღიდებს, მეორე კი — აპატარავებს.

სკეპტიკოსს მომართულ პზრიალასავით შეუძლია მეტნაკლებად დიდხანს იტრიალოს ღერძზე, მაგრამ ერთ ადგილას ვერ დამკვიდრდება.

უველაზე უფრო სახაცილოა ფუხფუხი ე. ი. როცა ამქვეყნად იმათ რიცხვს ეკუთვნის, ვისზეც ამბობენ: „ვინც სწრაფად ქამს, სწრაფად მუშაობსო“. როცა ვხედავ, რომ ასეთ ხაქშიან ბატონს გადამწყვეტ მომენტში ცხვირზე ბუწი აქდება, ან ცხვირწინ ხილს გაუბნისიან, ან ხახურავიდან ჩამოვარდნილი კრამიტი დაეცემა — გულიანად ვხარხარებ. აბა, შეიძლება სიცილის შეკავება? რა აფუსფუსებთ აღაშინებებს? განა იმ ქალს არ ჰგვანან, ციცხლმოკიდებულ

სახელში რომ აფუხფუხდა და ნახშირის ხაზბრეკი გადაარჩინა? ვითომ მეტს გადაარჩინეს ცხოვრების დიდი ხანძრისგან?

საერთოდ, მოთმინება არ მუოფნიან ცხოვრებასთვის იქნა მოსაზრებები ამ მოხატული სქოლასტიკოსის მსჯელობაზე ჰგავს. რომელმაც ცხოვრების ველი კიხრისმეტყველოდ აღიარა. ამბობენ, ღმერთი ჭერ კუჭს აძლავს, მეტი ადამიანი. მე ამას ვერ ვამჩნევ. ჩემს ცხოვრებაში ხანია, მოუიჭრებია ცხოვრება, მე კი მარტო მშავერა ვარ.



რაც გინდათ, მკითხეთ, მიწეუბნის ვარდა. როცა კმაწვილი ქალი მიწესს ვერ ამბობს და თავს იმით იმართლებს, გრძობით ვცხოვრობთ. მოუტევებენ ხოლმე, იქნა საქმე სხვათა ირადან: ჩვეულებრივ, იმდენი ერთმეორის სწინააღმდეგო მიწენი მაქვს, რომ ამ მიწეუბნით არც ერთი მიწეუბნის მოსველიება არ შეუძლია. რაც შეეხება მიწეუბნს და შედეგს შორის მიმართებას, აქაც, თუ არ ვცდები, რაღაც არ გამოდის. ხან უზარმაზარ მიწეუბნს სულ უმნიშვნელო შედეგი მოჰყვება — ხან სულაც არაფერია — ხან კი რამე სულელურ, უმნიშვნელო მიწეუბნს უღელს შედეგებამდე მიყვავარს.

ხალაც სამართალია, თავისი უნდა მკაცრად ცხოვრების ეტრით წოდებულ ქადაკა სიბარულებს. მათ ერთადერთი ნაკლი აქვს: შეტისმეტად უწინარნი არიან. თანაც ცხოვრება ამ სიბარულებით არცთუ ხშირად გვანებივრებს. . თუ დიეტას უკმაში გამომიწერს, კიდევ მო შეიძლება ერთხანს თავი შევიკავო სოფ. ეტრისგან — მაგრამ ორშაგი დიეტის დაცვა — უკვე შეტისმეტია!

ცხოვრება ჩემთვის მწარე სასძულად აქვს, თან მინა მიღება წვეთებისით ხელ-ხელა მოწევს, თანდათანობით.

უკან არავინ ბრუნდება მიცვალებულთან სამეფოდას, არავინ მოდის ამქვეყნად უცრემლოდ, არავინ გვეითდება, როდის გინდა ვაჩენა, არავინ კითხულობს, როდის გსურს წახვლა.

ამბობენ: დრო მიფრინავს, ცხოვრება წან შადისო და ა. შ. ვერ ვამჩნევ, დროც გარე რბულია და მეც, იქნა გვეშემა, კი არ სრულდება ჩემთანვე ბრუნდება; გადაფურთხება მინა და — სახეში ვიფურთხება.

რისი მაქნისი ვარ? არაფრის, ან უველაფრის, რაც გნებავთ, იშვიათი ნიქია! — შეძლებენ კი მის დაფასებას? ხეტაც თუ შაულოდენ ადგილის მოახლეები, რომლებიც განცხადებაში წერენ — „მხოლოდ მსახური“ ან სპირობებს შემთხვევაში — „ნებისმიერი სამუშაოსთვის“?

არც ერთ ფეხშიმე ქალს არ მოუვა აზრად ისეთი ახირებული და დავინებოლი სურვილები, მე რომ მიჩნდება. ისინი ხან უველაზე უბრალო, ხან უველაზე ამოღებულ სახეებს უკავშირდება, მაგრამ უველა ერთნაირად ასახავს სულის წამიერ მგზნებარე სწრაფვას. მაგალითად, ამ წუთში ერთი თეფში ფაფა მანდა! სკოლის წლები მახსენდება — უოველთვის ოთხშაბათობით გვაკმევდნენ. მახსოვს, როგორი რბილი იყო და ნაზი, როგორ დხებოდა შიგ ჩადებული კარაქი, რა ცხელი ორთქლი ასდიოდა, როგორ მშადა ზოდმე და რა მოუთმენლად ვალოდებდართვას, ჭამა დაგვეწყოს ახლა რომ მომცა ერთი თეფში ისეთი ფაფა! სანაცვლოდ არაფერს დავიშურებდი.

ქადოქარმა ვირგილიუსმა ბრძანა, ნაკრებად დამჩუბო. ქვაბში ჩამოგდეთ და რვა დღის განმავლობაში მზარშეთო: ამით საჭაბუკებს დაბრუნებდა, ქადოსნურ ქვაბს ეარაული მიუჩინა, რომ დროზე ადრე ვერავის ჩაებდა შიგ. მაგრამ ეარაულმა თვითონ ვერ გაუძლო ცდუნებას და — ვირგილიუსი ურმის ხაზით სამუდამოდ გაქტრა ტირილ-ტირილისი მე მგონი. მეც მე ტისმეტად ადრე ჩავიხედე ცხოვრებისა და ახტარის განვითარების ქვაბში და ამის შედეგია, რომ ურმობას აღარ გავცდები.

გული არახოდეს არ უნდა ვაიტებო. როცა ადამიანს უველაზე უფრო სასტიკად დავატყუება თავს განსაცდელი და უბედურება ღრუბლებში მხსნელი ხელი გამოჩნდება ზოდმე. — თქვა ბატონმა პასტირმა ცოტა ხნის წინ. მწუხრის ღოცვაზე. ცას ხშირად შევეუფრებ, მაგრამ ისეთი რამ არახოდეს შემომჩნევია ისე, რამდენიმე დღის წინ რაღაც ამდაგვარი მომეჩნა.

ვენა, თუმცა ეს ხელი როდი იყო, უბრალოდ, წააგავდა ღრუბლებიდან გამოწვდილ ხელს. დაეფიქრდი: აფსუს, ჩვენი პასტორი რომ არ არის აქ, ხომ გვეტყოდა, მაშინ სწორედ ამაზე გეუბნებოდითო. ფიქრი ვიღაც გამვლელმა შემაწვევტინა: „ხედავთ ამ ქარბორბალას?“. და იწყო მან და ღრუბლის ხელზე მიმითითა: — „ჩვენში ამას იშვიათად დინახავ, არადა, ზოგჯერ მთელი სახლები მიაქვს თანი“ ამაი მაშ ეს — ქარბორბალაა... და რაც ძალი და ღონე მქონდა, შინისაკენ მოვკურცხლდე. ბატონი პასტორი როგორ მოიქცეოდა ჩემს ადგილზე?!

ბიზლიჩიძე

ჩვენი ღროით უკმაყოფილო იმიტომ ვარ, რომ იგი არარაობაა, ხავსებით დაცლილია ვენ-ბისაგან. თანამედროვე ადამიანის აზრები მაქმანივით თხელია და სუსტი, თვითონ ადამიანები კი მემაკმანეებივით ხაცოდავები არიან. ადამიანთა აზრები ისეთი არარაობაა, რომ ცოდვილსაც კი ვერ დაარქმევ. კიანუელასთვის კიდევ შეიძლებოდა ასეთი აზრები ცოდვად ჩაგვეთვალა, მაგრამ ღმერთის ხატად შექმნილი ადამიანისთვის? ადამიანთა ხურვილი დინჯია და ღუნე, ვნებებს სძინავთ; ადამიანები მხოლოდ „მოვალეობას ასრულებენ“, ისიც იმ ვაკრუჯანა ებრაელებივით, ეროშების გამოზოგვის უფლებას რომ აძლევენ თავს. ფიქრობენ, როგორც არ უნდა გვადევ-ნოს თვალი უოვლისმხილველმა ღმერთმა, იქნებ მაინც მოვახერხოთ პატარა ლუკმის მიტაცებაო. საძაგლობაა აი, რატომ მიმართავს ჩემი სული გამუდმებით ძველ აღთქმას ან შექსპირს. იქ ის მაინც იგრძნობა, რომ ბღბმბმბმბი ლაპარაკობენ, იქ სძულთ, უყვართ, მტერს მკლავებ, მისი შთამომავლობის უველა თაობას წყევლიან, იქ — სცოდავენ!

ღროს ასე ვანაწილებ: ერთი ნახევარი — მძინავს, მეორე — ვოცნებობ. ძილში არავითარ სიზმრებს არ ვხედავ, ეს კარგია, იმიტომ, რომ ძილის უნარი — გენიალურობაა.

ჩემი სიცოცხლის შედეგი იქნება „არარა“ — ჩემი ცხოვრება მხოლოდ განწყობილებაა, მხოლოდ ერთი ფერია: ამგვარად, გამოვა რაღაც იმ მხატვრის სურათისმაგვარი, რომელსაც ებრაელების წითელ ზღვაზე გადახვლის დახატვა დაავალეს; მან მთელი ტილო წითელი სა-ლებავით დაფარა და განმარტა — ებრაელები გადავიდნენ, ეგვიპტელები კი დაიბრჩენნო.

რაც არ უნდა თქვათ, ადამიანური ღირსება კიდევ გამოდგება ბუნებაში. ხეხილიდან ჩიტების გასარეკად ფიტულს დგამენ ხოლმე. ადამიანზე ამ საფრთხობელას ოდნავი მიმსგავსებაც კი ხაკმარისია პატივისცემის გამოხაწვევად.

იმისთვის, რომ სიუყარულს რაიმე მნიშვნელობა მქონდეს, მისი პირველი ნიშანი მთვარიო უნდა იყოს გაციისკროვნებული, ისევე, როგორც აქისი, რომელიც ნამდვილი აქისი რომ უო-ფილიყო, დაბადებისას მთვარეს უნდა გაეცისკროვნებინა. აქისის მშობელი დაორსულების წუთში მთვარიო უნდა უოფილიყო გაციისკროვნებული.

ცხოვრების არარაობის ხაუკეთესო დასტურია ის მაგალითები, მისი სიდიადის დასტურად რომ მოჰყავთ.

ადამიანთა უმეტესობა ისე გულმოდგინედ დახდევს ხიამოვნებებს, რომ წინ უხწრებს მათ. ამ შემთხვევაში ადამიანები იმ ჭუჭას გვაგონებენ, მოტაცებულ მეფის ასულს რომ დარაჯობ-და. ერთ მშვენიერ დღეს, ნასადილევს, თვალის მოსატყუებლად წამოწვა. გაიღვიძა და — სადღა მეფის ასულის ფაციფუცით იცვამს თავის შვილმილიან ჩექმებს, ერთ ნაბიჯს გადადგამს და... წინ უხწრებს ქალს.

ჩემი სული რაღაც პირქუშ წინათგრძნობას დაუბრჩავებია, დაუთრგუნავს — აზრს არ ძა-ლუქს მისი ფრთაშესხმა და ამქვეყნიური კირ-ვარამიდან გაუვანა სუფთა, თავისუფალ ეთერ-ში. ვაოგნებას თავდაღწეულიც კი აგრძელებს დედამიწისკენ ლტოლვას, დაბლა განერთხ-მება მის ზედაპირზე, როგორც ჩიტები კარიშხლის წინ...

რა ცარიელია ცხოვრება, რა უბადრუკი! ადამიანს მარხავენ, კუბოს სამარუმდე მიაცი-ლებენ, ერთ მუჭა მიწას მიყრიან, ეტლებით მიდიან იქ და ეტლებით ბრუნდებიან უკან; თავს იმით ინუგეშებენ, რომ წინ კიდევ გრძელი სიცოცხლეა. არადა, კაცმა რომ თქვას, რა არის 73 10 წელიწადი? ბარემ უცებ დაგვემთავრებინა, უველა სასაფლაოზე დავრჩენილიყავით,

კენჭი გვეუარა — გაგვეხო. ვის ზედება წილად უბედურება — იუოს უკანასკნელი და უკანასკ-
ნელი მუქა შიასაროს უკანასკნელ მიცვალებულს?



ქალები!... რა ბედენაა? სილამაზე სიზმარივით. გუშინდელ დღესავით კრება. ერთგულე-
ბა... საქმეც ეგაა ან თავქარიანები არიან (რაც აღარ მაინტერესებს), ან ერთგულნი იქნებიან, ამისთა-
ნახ კიდევ შეეძლო ჩემი გატაცება, დაინტერესება... მხოლოდ და მხოლოდ როგორც მხოლოდ
ბას—ერთგული რომ გამომდგარიყო ამ სიტუციის კეშმარიტი გაგებით, მაშინ ხომ საკუთარი უკანა-
რიმენტის მსხვერპლი შევიქნებოდი: მომიწევდა, მეც მისთვის მიმეძღვნა მთელი ცხოვრება და
თუ ვერ გაუძლებდა — ისევ ძველი ამბავი გამეორდებოდა!

უხამსო ბედო! ბებერი როსკიპივით ამაოდ იფარავ ნაოქებს ფერ-უმარილით, ამაოდ აწკ-
რიალებ მახხარას ზანზალაებს. თავი მომაბეზრე! სულ ერთი და იგივე, ერთი და იგივე, სულ
idem per idem. არავითარი მრავალფეროვნება — ისევ და ისევ გუშინდელი, გაცხელებული კერ-
ძი. თქვენ მაინც მოდიო, ძილო და სიკვდილო, მხოლოდ თქვენა ხართ, რომ არაფერს ჰპირდებით
და უველაფერს ახრულებთ!

ხემის ორი ნაცნობი დარტყმა მესმის! თანაც აქ, ქუჩაში ხომ არ შევიშალე? თუ მოცარ-
ტის მუსიკაზე შეუვარებული სმენა თვითონ იტყუებს თავს? იქნებ გულმოდგინაღვე ღმერთებმა
შემიბრალებს, როგორც ტაძრის განახვლელთან ჩამოძვარი მათხოვარი და მაჩუქეს უური.
რომელსაც უნარი აქვს ესმოდეს მესხიერებაში აღდგენილი ბგერები? მესმის ეს ორი ბგერა...
სხვა არაფერი. ისე ნათლად ჩამესმის, თითქოს უკვდავ უვერტიურაში ამოცურდნენო ქორალის
დაბალი აკორდებიდან; ქუჩის ხმაურისა და ღრიანცელისგან განცალკევებული, აღმოჩენის მო-
ულოდნელობით აღსავსე ბგერები. მაგრამ სადღაც ახლოს უნდა ისმოდეს... აი, გაისმა მხიარული
ბგერები, საცეკვაოდ რომ გვიხმობენ — აჰ! ესე იგი, თქვენ უნდა გიმადლოდეთ, ღარიბო მოზე-
ტიალე მსახიობებო! ერთ-ერთი მათგანი, ჩვიდმეტი წლისა, ძვლისლილებიან მწვანე სერთუქში
გამოწყობილია. სერთუქი მოკლე აქვს, ვიოლინო ნიკაპთან მიუბჯენია, ქუდი წარბებზე ჩამო-
უფხატავს; თითებწაჭრილი თათმანი აცვია, თითები სიცივისაგან გალურჯებია. მეორეს, ცო-
ტათი უფროსს, ფარაქა აცვია, ორივე ბრმაა. პატარა გოგონა — როგორც ჩანს, მათი ხელმძღ-
ვანელი — იქვე დგას და ხელები თავშალში დაუმაღლავს. თანდათანობით მუსიკოსების გარშემო
მათი ხელოვნების თაყვანისმცემელთა წრე შეიკრა: ჩანთიანი ფოსტალიონი, ბიჭი, მზარეული
ქალი, ორი შეგირდი და მე... გაწყვილი, ბატონკაცური ეკიპაჟები ხმაურით მიგორავდა მო-
რიანლოს, ფორნების გრუნზნი თითქმის ახშობდა მუსიკის ხმას... იყით, თქვენ, ღარიბო მუსი-
კოსებო, რომ ამ ბგერებშია ცხოვრების უველა სიკეთე? — პაემანს ხომ არა ჰგავს ეს შემთხვევა?

კულისებში ცეცხლი გაჩნდა. გამბაში საზოგადოების გასაფრთხილებლად გამოვარდა. იფიქ-
რეს, ხუმრობხო და ტაში დასცხეს. გამბაში იმეორებს — დაუოკებელი აღფრთოვანება მათუ-
ლობს... მე მგონი, დადგება დრო და სამყარო დაინგრევა იმ ქუისკოლოფთა ხაერთო აღფრთო-
ვანების თანხლებით, რომელთაც მგონიათ, რომ ეს — ხუმრობაა.

ტკბობის არსი არის არა თვით ტკბობის საგანი, არამედ წარმოდგენა ტკბობაზე. მე რომ მსა-
ხურად ზღაპრული ხული მყოლოდა, მისთვის ერთი ქიქა წყლის მოტანა მებრძანებინა და იმას
სიჩრჩით საუკეთესო ღვინო მოერთმია, გავაგდებდი და ახლოს არ გავიკარებდი. სანამ არ გა-
იგებდა, რომ ტკბობის არსი რამით ტკბობა კი არ არის, არამედ ჩემი სურვილის აღსრულებაა.

დიახ, ჩემი ბედის ბატონ-პატრონი კი არა, მხოლოდ ძაფი ვარ, ცხოვრების საერთო ქსო-
ვილში ჩაწნული მაგრამ თუ ქსოვა არა, ძაფის გადაჭრა მაინც ხომ შემიძლია.


უველაფერი უნდა აღსრულდეს ხამარისებურ სიჩუმეში — სადაც იმალება მალმერთებელი
ძალა. სიტყვები:

„Mit einem Kind, dass gottlich, wehn du shweigst, Doch menschlich, wenn du das Gehe-
mniss zeigst“

მხოლოდ ფსიქეას ბავშვის ბედს როდი ეხება.

როგორც ჩანს, გამოცდილების შესაძენად უოველგვარ ხულიერ განწყობილებათა გადატა-

ნა ძაქვს მოსჯილი. და აი, უოველ წუთში იმ ბავშვის მდგომარეობაში ვარ, რომელსაც შუა ოკეანეში ახწავლიან ცურვას. ქამარი შეკეთია, მაგრამ მაინც ვუვირი (ეს ბერძენებს მასწავლებს. საერთოდ, მათგან ბევრი ნამდვილად ადამიანური რამის სწავლა შეიძლება) ვერ ვხედავ ქონს, რითაც წყალზე მარტობენ. გამოცდილების ასე შეძენა — საშინელებაა.



ფსიქოლოგიური მოძღვრებანი ცხოვრების შესახებ ისევე ტყუილია, როგორც ცველმანების პაზარში გამოკრული აბრები წარწერით: „თეთრეულის სამრეცხაო“. ვინმემ თეთრეულს რომ მოჰკიდოს ხელი და მიიტანოს, იმედგაცრუებული დარჩება — აბრა მხოლოდ გასაუიდადაა გამოფენილი.

მე მგონი, მოგონებებზე დამლუპველი არაფერია. თუ რამე ცხოვრებისეული გარემოება ან ურთიერთობა მოგონებად გადამქცევა, ესე იგი, თვით ეს ურთიერთობა უკვე დამთავრებულია — ამბობენ, განშორება სიყვარულს ანახლებსო. სწორია, მაგრამ მხოლოდ პოეტური აზრით. მოგონებებით ცხოვრება... რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო ამაღლებული: არავითარ სინამდვილეს არ შეუძლია ადამიანის ისე დაკმაყოფილება, როგორც მოგონებას; მოგონებაში არის ისეთი „სინამდვილე“, როგორიც არასოდეს არ უოფილა. როცა ვიგონებ რამე ცხოვრებისეულ ურთიერთობას, ის უკვე მარადიულობის მონაპოვარია და დროს არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს.

ეს ხაერთოდ ღირდა დღიურის წერა, სწორედ მე უნდა მეწერა; თანაც მეხსიერებისათვის. ძალიან ხშირად მავიწყდება გარკვეული დროის წინ რამ გამოიწვია ესა თუ ის ხაქციელი, თან მხოლოდ წვრილმანებთან დაკავშირებით კი არა, არამედ, ცხოვრების უველაზე უფრო სერიოზულ შემთხვევებში. თუკი შემდეგ მაინც ვახერხებ მიზეზის გახსენებას, ჩვეულებრივ ეს მიზეზი, იმდენად უცნაური მეჩვენება, რომ უბრალოდ, უარს ვამბობ მასზე. აი, უველაფერი ჩაწერა რომ მჩვეოდეს, ამგვარ ექვს თავიდან ავიცილებდი. დიახ, მიზეზი საერთოდ, უცნაური რამაა: თუ სულს ვნება მიფორიაქებს, მაშინ მიზეზი იქცევა უღიღეს აუცილებლობად, ხამუაროს შერყევა რომ შეუძლია; სულიერი სიმშვიდისას კი მას ქედმაღლურად ვუუფრებ — უკვე დიდი ხანია მაფიქრებს მიზეზი, რომელმაც უარი მათქმევინა ადიუქტურაზე. ახლა ვფიქრობ, რომ სწორედ ეს თანამდებობა შემეფერებოდა. დღეს კი გონება გამინათდა — ალბათ, სწორედ ეს იყო ჩემი უარის მიზეზი, ამ თანამდებობას თუ დავიკავებდი აღარაფრის იმედი აღარ მექნებოდა, უველაფერი მხოლოდ დასაკარგი აღმოჩნდებოდა, მომავალში მოსაგები კი — აღარაფერი... ამიტომაც ვარჩიე მოხეტიალე მსახიობთა დასში ბედნიერების ძიება: მე ტალანტი არ გამაჩნია, ასე რომ, შეიძლება ბედნიერების იმედი მქონდეს, უველაფერი წინა მაქვს.

ძალიან გულუბრუვილო უნდა იყო, რომ ამქვეყნად ხმაური და უვირილი გაბედო. თითქოს ადამიანის ბედს ეს შეცვლისი არა, ქობია, შეურიგდე, მიიღო, როგორიც არის, მაცდური ტვინისკულებტის გარეშე. ახალგაზრდობისას, ბიფშტიქსს რომ ვუკვეთავდი ხოლმე, მსახურებს შევახსენებდი: „აბა, თქვენ იცით, კარგი ნაჭერი ამომირჩიეთ. თან ძალიან მსუქანი არ იყოს“. ზომ შეიძლებოდა, მსახურს ჩემი სიტყვები ვერ გაეგონა, იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ შეიძლებოდა, საერთოდ, უურადღება არ მიექცია. გარდა ამისა, ჩემს სიტყვებს სამზარეულოშიც უნდა შეედწია და მზარეულის უურამდე მისულიყო. თუმცა, დავუშვათ, ეს უველაფერი მოხერხდებოდა, მაშინაც ზომ შეიძლებოდა, რომ სამზარეულოში აღარც ერთი კარგი ნაჭერი აღარ უოფილიყო! — ახლა აღარ ვუვირი.

მუშანურობისა და კაცთმოუყვარეობისადმი სწრაფვის გრძნობა სულ უფრო და უფრო ვრცელდება, ლაიფციფში შეიქმნა საზოგადოება, რომელმაც მიზნად დაისახა — ბებერი ცხენების ნალვლიანი აღსასრულისადმი თანაგრძნობის გამოც. მათი კამა.

ჩემი საუკეთესო მეგობარია ექო. მერედა რატომ? იმიტომ, რომ მიუვარს ჩემი ხევდა, ექო კი მას არ მართმევს. ერთადერთი მესაიდუმლე მუავს — დამეული ხიჩუმე; რატომ? იმიტომ, რომ მუნჯია.



ართურ შენცლერი — სიხვარულისა და სიკვდილის მწერალი

„გრინსტაილი“ — მიძაღერპლატზე მდებარე ეს მუდრო კაფე მე-11 საუკუნის მიწურულს ვენის ლიტერატურული ცხოვრების თავისებურ ცენტრად იყო ქცეული. აქ იკრიბებოდნენ ავსტრიული მწერლობის საუკეთესო. შეტყილად ახალგაზრდა წარმომადგენლები, ისინი, ვისაც საერთო ჰქონდა არა მარტო ასაკი და ინტერესთა წრე, არამედ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი რამ: დამოკიდებულება ცხოვრების, სამყაროს მიმართ. მაგრამ იმისთვის, რომ „გრინსტაილის“ მუდმივ ხტუმართა ლიტერატურულ თუ ცხოვრებისეულ კონცეფციებზე საუბარი შეეძლოთ, აუცილებელია თუნდაც გაკვრით ვაბხენოთ ის ხაზოგადობერივ-პოლიტიკური ვითარება, რომელშიც მე-11 საუკუნის დასასრულისა და მე-21 საუკუნის დასაწყისის ავსტრიული ლიტერატურა ეკლიბდებოდა.

ეს გახლდათ პაბსბურგთა ერთ დროს მძლავრი იმპერიის ნგრევის ხანა. სულს დაფავდა ავსტრია-უნგრეთის მრავალწლიანი მონარქია: გაცუდა და მოიშალა აშკარად დრომოკმული სახელმწიფო მანქანის მექანიზმი. საყოველთაო რღვევისა და დაკნინების ატმოსფეროს, მოახლოებული კატასტროფის წინათგრძნობას, ცხადია, არ შეიძლებოდა ღრმა დაღი არ დაემჩინა ავსტრიელთა სულიერ მდგომარეობაზე. მათ უოველდღიურ არსებობაზე და აქედან გამომდინარე — მთელს ავსტრიულ ხელოვნებაზეც.

არამდგრადობისა და არასტაბილურობის განცდა, პიროვნების სულიერი გაორება, გაუცხოება, ადამიანის მიერ ხაკუთარი „მე“-ს დაკარგვა — უოველივე ეს კიდევ უფრო ამწვავებდა ისედაც მწვავე სოციალურ თუ კულტურულ კონფლიქტებს, აღვივებდა ადამიანში ჩაბუდებულ დეკადენტურ განწყობილებებს. გახაკვირი არ არის, რომ ასეთ ვითარებაში ხელოვნებამ, კერძოდ კი ლიტერატურამ, თავისი მწერა ადამიანის შინაგან სამყაროს მიაპყრო. სწორედ ადამი-

ნი, მისი შენიღბული ლტოლვანი და მისწრაფებანი იქცა ზედმიწევნითი ფსიქოლოგიური ანალიზის საგნად. მწერლობაში აშკარად გამოიკვეთა ნატიფი ესთეტიზმის, ნიუანსირებისა და დეტალიზაციის მიდრეკილება. თანდათან ფეხი მოიკიდა ხტილმა, რომელშიც გარდუვალი კატასტროფის წინათგრძნობა მოხდენილად იყო შენიღბული შეტად თავისებური მსუბუქი ორნამენტით, ფორმების სიფაქიშითა და პაეროვნებით, ფრაზებისა და გამოთქმების უზადო, სკრუპულოზური დამუშავებით. ლიტერატურის ერთი მკვლევარის თქმით (ი. არზიპოვი), ეს იყო ხტილი, რომელშიც ფერები და ხაზები დომინირებდნენ სიტუაციებსა და სიუჟეტზე.

აი, სწორედ ამგვარ სამწერლო მეთოდს მიმართავდნენ კაფე „გრინსტაილის“ ლიტერატურული ბოჰემის წარმომადგენლები. თუმცა, აღბათ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეთოდი ხულ მალე სამწერლო მიმდინარეობად ჩამოყალიბდა. თავდაპირველად მას „ვენური მოდერნიზმი“ ან, ხხვაგვარად, „ახალგაზრდა ვენა“ ეწოდა, მოგვიანებით კი ეს ლიტერატურული მიმართულება თეორეტიკოსებმა იმპრესიონიზმად მონათლეს. თვით ამ სამწერლო სკოლის სახელწოდებიდანაც ჩანს (Impression ფრანგული ხიტუვაა და „შთაბეკდილებას“ ნიშნავს), რომ მასში გაერთიანებული ხელოვანები მიზნად ისახავდნენ პირადული, წამიერი განწყობილებებისა თუ შთაბეკდილებების ასახვას, სუბიექტურად დანახული საგნის, მოვლენის, ან, უკეთ, მომენტის მხატვრულად დაფიქსირებას.

საუკუნეთა მიქნაზე არსებული ათობით ლიტერატურული მიმდინარეობისა თუ სკოლისგან განხხვავეებით იმპრესიონისტებს არ ჰქონიათ რაიმე მკაცრად შემუშავებული პროგრამა ან მანიფესტი. გარკვეულწილად პროგრამის მაგივრობა გახწია ვენის ჩგუფის ერთ-ერთი ხულისჩამდგმელისა და თავკაცის პერმან ბარის

ნაშრომმა „ნატურალიზმის დაძლევა“... რომელშიც ავტორმა სკადა თეორიულად დაეხმებულებინა იმპრესიონისტთა სამწერლო შეხედულებანი. ბარი ფიქრობდა, რომ ახალი ხელოვნება ვენეტა ბასიათსა და სულიერ წყობას შეესაბამება — მათ უდარდულობას და ფაქიზ მგრძობელობას. მათ მიდრეკილებას მკვრეტელობისადმი, მათ გემოვნებასა და „სულიერ არისტოკრატიზმს“ და, ბოლოს, მათ სპეციფიკურ უნარს, მთლიანად შინდობოდნენ წამიერებას და ამ წამიერი ვანცდით ეცხოვრათ!

ვენელები, ეტყობა, მართლაც არ იყვნენ მოკლებული ამ უნარს. ერთი მხრივ — მოახლოებული აღსასრულის წინათგრძობა, მეორე მხრივ — მოღიშარი, ცეკვა-თამაშისა და სიმღერას უდარდულოდ აყოლილი ქალაქი, რომლის ქუჩებშიც, ხალხობებსა თუ კაფე-შანტანებში განუწყვეტლივ ეღერს შტრაუსის, ლეგარის, პოიბერგერისა და ოპერეტის სხვა დიდოსტატთა მზიარული მელოდიები. ასეთი იყო იმდროინდელი ვენა, რომელსაც ბერმან ბრონმა „ფასეულობათა ევროპული ვაკუუმის ცენტრი“ უწოდა. ამგვარი შეფასება მწერლობასთან მიმართებაში, ვფიქრობ, არ უნდა იყოს მთლად მართებული და აი, რატომ: სწორედ მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დამდეგს დაიწყო ავსტრიული ლიტერატურის მეთადსწრაფი და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბანგრძლივი აღზევება; სწორედ ამ დროს მოღვაწეობდნენ (ან მოღვაწეობას იწყებდნენ) მუგო ფონ პოფ-მანსტალი და ართურ შნიცლერი, კეტერ ალტენბერგი და რიშარდ ბეერ-პოფმანი, გუსტავ მაიჩინკი და რაინერ მარია რილკე, რობერტ მუზილი და ფრანც კაფკა... ეს კი ის მწერლები გახლავთ, რომლებმაც ავსტრიულ ლიტერატურას თავიანთ წინამორბედებთან შედარებით (გრილპარცერი, შტიფტერი, ნესტროი, რაიშუნდი და სხვ.) კიდევ უფრო ფართოდ გაუთქვეს სახელი და საბოლოოდ გაფანტეს უკვე აღგვარი ექვი თვით ტერმინის — „ავსტრიული ლიტერატურა“ — მართებულობის თაობაზე.

ჩამოთვლილ მწერალთა დიდი ნაწილი „ახალგაზრდა ვენის“ ჯგუფში შედიოდა, ანუ „იმპრესიონისტულად“ წერის მიდრეკილებას ამჟღავნებდა. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო, ორიგინალური და თვითშეოყვადი ფიგურაა ართურ შნიცლერი (1882—1921), განათლებით ექიმი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე იშვიათი წარმატებით უთავსებდა

ერთმანეთს სამედიცინო პრაქტიკასა და სამწერლო მოღვაწეობას. დღემდე სტუდენტობისადმი კერძოდ ლიტერატურისადმი მიდრეკილებას შნიცლერი ადრეულ სიკვდილამდე ავლენდა. ამაზე მეტყველებს 17 წლის მწიგნობის სტუდენტის სადღიურო ჩანაწერიც: „...სწავლავს კვლავ, რომ შეცნოერება ჩემთვის ვერასოდეს იქნება ის, რაც ხელოვნება უკვე დღეს არის“. მიუხედავად ამისა, კიდევ დაახლოებით ათი წელი გავა, ხანამ შნიცლერი მედიცინასა და მწერლობას შორის მწერლობის სახარგებლოდ საბოლოო არჩევანს გააკეთებდეს; და თან, ვერც ეს არჩევანი ათქმევინებს უარს კერძო სამედიცინო პრაქტიკაზე.

არადა, გასული საუკუნის 90-იან წლებში ართურ შნიცლერს (ცხადია, როგორც მწერალს და — რა როგორც ექიმს) უკვე კარგად იცნობდნენ: ავსტრიაშიც და მის ფარგლებს გარეთაც. ვენაში ზედზედ იდგმებოდა მისი პიესები, იბეჭდებოდა და, როგორც წესი, დაუყოვნებლივ რამდენიმე ენაზე ითარგმნებოდა მისი ნოველები. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია აღინიშნოს, რომ საზოგადოდ იმპრესიონისტებისა და კერძოდ ართურ შნიცლერის შემოკმედებით დაინტერესება საქართველოში დიდი იყო. 900-იან წლებში, მაგალითად, შნიცლერის რამდენიმე ნოველა ითარგმნა და დაისტამბა კიდევ სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში („ივერიის“ ბიბლიოთეკა, „შოამბე“, „სახალხო გაზეთის“ სურათებიანი დამატება), ხოლო 1907 წელს მისი პიესა „ფერბული“ ცალკე წიგნადაც გამოვიდა. საქართველოში ავსტრიულ იმპრესიონისტთა ასეთი პოპულარობა, შესაძლოა, იმანაც განაპირობა, რომ ამ ლიტერატურული მიმართულებით სერიოზულად დაინტერესდა და მისი გარკვეული გავლენაც განიცადა ნიკო ლორთქიფანიძემ, რომელიც სწორედ 1902—1907 წლებში (ანუ იმპრესიონიზმის აღმავლობის ხანაში) ავსტრიაში ცნოვრობდა და სწავლობდა.2 არსებობს ცნობა იმის თაობაზეც, რომ ნიკო ლორთქიფანიძე განსაკუთრებით დაინტერესებულა კეტერ ალტენბერგისა და ართურ შნიცლერის შემოკმედებით (ამბობენ, ალტენბერგს ქართველი მწერალი პირადად იცნობდა) და მათი რამდენიმე ნოველა თავადაც კთარგმნია. მეტიც, თავის ნოველაში „უიალქნოდ“ (1910 წ.) ნიკო ლორთქიფანიძე იმპრესიონისტთა აშკარა მომხრედ, მათი ენთუზიკური კონცეფციის გამზიარებლად გვევლინება. იგი წერს: „განა უფლება არა

1 იხ. რ. ყარალაშვილის წერილი „X-X საუკუნის ავსტრიული მოთბრობა“ (ბელნიწერი)

2 იხ. ნ. კაკაბაძის წერილი „ნიკო ლორთქიფანიძე და იმპრესიონიზმი“. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 1, 1982.

აქვს ბელეტრისტს შემთხვევითი შეხვედრანი, ურმოკრული ხმები, წუთიერი შთაბეჭდილებანი გადახცეს თავის მეგობარს — მკითხველს? წერლები კი, გმირის ცხოვრებას თუ მიხუვებს ხელი, დაიწყებენ იმ წამიდან, როცა პირველად ახილა თვალი მოქმედმა პირმა და ჩაუვებთან უკანასკნელ სადგომში — საფლავში. კიდევ კარგი, როცა ასე მოიქცევა ვინმე გოტე ან სარონი: თუ სინამდვილე არა, ფანტაზია მაინც კიტაცებს, სილამაზე გზიბლავს: მაგრამ წარმოიდგინე, შუათანა მწერალი რომ დაიწყებს ხელის ფათურს უცბო გმირის ცხოვრებაში, ხულში, გულში... გაკიანურებულ სიტუაცია ურქვევა ეამივით შეგაძულებს გმირსაც და მის ბიოგრაფიასაც“.

ნიკო ლორთქიფანიძის ეს მოსაზრება იქნებ მეტიმეტად რადიკალურადაც მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ მასში მკაფიოდ ჩანს მწერლის კოზიცი, მისი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი. „გაკიანურებულ სიტუაცია ურქვევას“ მართლაც ვერსად შეხვედებით იმპრესიონისტთა ნაწერებში. პირიქით, სიტუაციისადმი უადრესად ფაქიზი, სათუთი დამოკიდებულება, ფრაზების სკრუპულოზური დამუშავება მათ ნაწარმოებებს სრულიად განუყოფრებელ ზიბლს სძენს. სიტუაციის წინაშე იმპრესიონისტთა ერთგვარი მოწინება აშკარად იგრძნობა თუნდაც რიპარდ ფონ შუჟალის ცნობილ გამონათქვამში: „სიტუაციები ინსტრუმენტებია, რომლებზე დაკვრაც უნდა იყოღ“.

თუ მართლა ასეა, თუ სიტუაციები მართლა ინსტრუმენტებია, შნიცლერი-ნოველისტი მათზე დაკვრის უზადო ოსტატად უნდა მივიჩნიოთ. თომას მანის შეფასებით, შნიცლერს ახსიათებს „სტილის გამჭვირვალობა და დახვეწილობა, გემოვნების მაღალი კულტურა, სამყაროსა და ადამიანის წვდომის უნარი, ძლიერი ინტელექტი“. ხვათა შორის, შნიცლერისადმი მიძღვნილ წერილში არაორაზროვანი სათაურით „მადლობა“ თომას მანი მართლაც მადლობას უხდის ავსტრიელ მწერალს ამისთვის, რომ მისმა დიდმა ნიჭმა „ამამოძრავა, დამშოძღვრა, შემძრა, ხიამოვნება მომანიჭა“.

შნიცლერი ადამიანის ხულის სიღრმეებში გარკვევას ესწრაფოდა, ცდილობდა სიტუაციით გამოებატა ხულის უფაქიზესი მოძრაობები მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ნიუანსებითურთ, აეწერა პიროვნების ხულიერი ვაორება და შინაგანი დისმარმონია. ერთი სიტუაციით, შნიცლერი ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების იმპრესიონისტი იყო. მაგრამ საექიმო ტერმინოლოგიას თუ მოვიშველიებთ, მისი ძლიერი მხარე დიაგნოზის დასმა გახლავთ. რეცეპტების გამოწერა და მით უმეტეს, მკურნალობის ჩა-

ტარება მას არ ეხერხება და, კაცმა რომ თქვას, არც ელტვის ამას. შნიცლერი არახოდეს ხაუვედურობს თავის გმირებს, თუშცა მის შემოქმედებაში გაგიჟირდებათ ე. წ. „დადებითი“ პერსონაჟების მოძებნა. მწერალი მჭუნდ — მჭრისახავს მათ „გამოსწორებას“ [იხ. წ. 113-114] მჭრლრმად ჩასწვდეს მოვლენათა არსს, გამოიკვლიოს მიზეზები, რომლებმაც ესა თუ ის ადამიანი აქცია ეგოისტ, თანამოდმიხადმი სრულიად გულგრილ არსებად, რომელშიც ხშირად რაღაც იდუმალი ძალები ამარცხებენ საღ გონებას, გულისხმეირებასა თუ სიკეთეს.

მართლაც, რა იდუმალი ძალებია, უოველი ადამიანის ხულში რომ ბუდობს და არაიშვიათად განსაზღვრავს კიდევ მის ქცევასა და მოქმედებას? ალბათ სწორედ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემის სურვილმა განაპირობა შნიცლერის დაინტერესება თავისი თანამედროვისა და თანაქალაქელის, მოგვიანებით კი მეგობრის ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზური მოძღვრებით. გერმანელი მკვლევარის პოსსტ აღტკაუსის აზრით, შემთხვევითი როდი იყო, რომ შნიცლერის სამწერლო ვარსკვლავის ამობრწყინება და ფროიდის მიერ ფსიქოანალიზის საფუძვლების ჩამოყალიბება თითქმის ერთდროულად მოხდა. ერთმაც და მეორემაც მთელი გულისხური შიპყრო ქაოსს, მახსბურგთა თითქმის დაშლილი იმპერიის საზეიმო ფახადებს მიღმა რომ ხუფყვდა, ქაოსს, რომელმაც აქედან გამომდინარე ადამიანის ხულშიც დაისადგურა. მაგრამ მკვეთრად განსხვავებული აღმოჩნდა გზები, რომლებიც ფროიდმა და შნიცლერმა ადამიანის ფსიქიკის სიღრმეებისკენ სავალად აირჩიეს. შნიცლერისთვის ფროიდის მოძღვრება მეტიმეტად დოგმატური იყო. იგი, მართალია, აღიარებდა ინსტინქტის (უპირველეს უოვლისა, სქესობრივი ინსტინქტის) დიდ მნიშვნელობას ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ არ ხქეროდა, თითქოს სამყაროს მხოლოდ და მხოლოდ ფროიდისეული ლიბიდო მართავს. ამ, და კიდევ სხვა რამდენიმე საკითხში შნიცლერი კატეგორიულად არ ეთანხმებოდა ფროიდს, რაც არახოდეს დაუმაღავს. სწორედ ეს გარემოება გვაფიქრებინებს. ექვი შევიტანოთ საქმოდ გავრცელებულ მოსაზრებაში იმის თაობაზე, თითქოს შნიცლერის შემოქმედება ფსიქოანალიზის მხატვრული გამოხატულება, ხორცშენხმა უოფილიყოს.

ხვათა შორის, თვით ფროიდი დიდად აფახებდა შნიცლერის უნარს, სეისმოგრაფივით აღენუსხა ხულის უფაქიზესი რხევები. ვენის ფსიქოანალიზური სკოლის მამამთავარმა მწერალს თავისი „ორეულიც“ კი უწოდა. ახლობლების წრეში მას არაერთხელ უოქვამს ისიც,

რომ ზოგჯერ ესა თუ ის პოეტი ან მწერალი შედმიწევნით ზუსტ დასკვნებს აკეთებს და მინის შინაგანი სამყაროს, მისი ბუნების შესახებ, რასაც თავად იგი, მეცნიერი, მხოლოდ პაციენტებთან ხანგრძლივი ანალიზური მუშაობის შედეგად აღწევს, იგივე აზრია გამოთქმული შნიცლერისადმი გაგზავნილ ფროიდის ერთ-ერთ წერილშიც (1922 წლის მაისი): „ისეთი შთაბეჭდილება შრჩება, რომ ინტუიციის სამუალებით — უფრო სწორად კი ფაქიზი თვითდაკვირვების შედეგად — თქვენ იცნობთ უკველივე ის, რაც მე დაუდალავა შრომითა ფახად სხვა ადამიანებში აღმოვაჩინე“. აღბრუნწორედ ამ გაგებით შეიძლება მწერალი ფხიკოანალიტიკოსის ორეულად ჩაითვალოს.

და მაინც, როგორც შემოთავაზებდა, ერთურ შნიცლერი არასოდეს ეოფილა ფსიქოანალიზის ორთოდოქსული ხეოდის ერთგული მიმდევარი. მართალია, მისი ზოგჯერთი ნოველა თავისა არხით აშკარად ფროიდისტულია და ადამიანში ბიოლოგიური ინსტიქტებისა თუ შიშივე ხულიერე ტრავმების კვალს ეძებს. მაგრამ ფროიდისტული მოტივები არ ქცეულა შნიცლერის ნაწარმოებთა ერთადერთ მაცოცხლებელ წყაროდ. მოლო ეს რომ ასეა, შესანიშნავად ჩანს 1900 წელს გამოქვეყნებული ნოველის — „ლიტენანტი გუსტლი“ — მაგალითზე. ეს ნაწარმოები შრავალმზრივ არის საუურადღებო და კვიქრობ, ცალკე საუბარს იმსახურებს.

ნოველაში მოთბრობილია ამბავი ერთი აბალგაზრდა ლეიტენანტისა, რომელსაც სრულიად არხეინი და უდარდელი ბუნებ განწრობა უცურად თვითმკვლელობის გარდუვალობის შეგრძნებით ეცვლება. შემდეგ კი ამ გადაწყვეტილებას ასევე მოულოდნელად ცვლის უხანღვრო სიხარული იშის გამო, რომ თავის მოკვლა... ხულიაყ აღარ არის ხეიარო. ასეთი გახლაყთ ამბავი, რომლის უკან, რა თქმა უნდა, ღრმა და შნიშვნელოვანი აზრია იმალება. „ლიტენანტი გუსტლი“ დაუნდობელი ხატირაა ოფიცერთა კასტის ღირსების კოდექსზე ავტორია—უწგრეთის ფუვე, ბუტაფორული არშიაზე და მისი მანვილი, ცნადია, შაბსბურგთა შოელს დაქინებული იშპერიასაც სწვდება. ამიტომ არაფერია გახაკვირი იმაში, რომ ვენის გაშეტ „ნოიე ფრაიე პრესეს“ ხაშობაო დამატებაში „ლიტენანტი გუსტლის“ გამოქვეყნებას დიდი და ხმაურიანი ხეანდადი მოჰყვა. ვენის „ლანდვე-

რის ოფიცერთა და კადეტთა ღირსების სახე-მართლომ“ ნოველას ავტორის ავტორია... გრეთას არშიის ღირსებისა და კატორიტული შეღაბვისთვის“ ოფიცერთა დამოუკიდებლობა ენიშის წოდება ხაშობაო დამატებაში... ცალკე ჩამოაქვეყნა.

ამ გადაწყვეტილებას დაუფარავი ენთუზიაზმით შეხედნენ ავტორის ნაცოანალისტურ და ანტიემპირიურ წრეებში. ვაშეთმა „ოტტერჩაიშიე ფოლქსპრესემ“ შნიცლერის ნოველას „ვილაყ ებრაელის ხანავეში გადახაძახებელი ოხზულება“ უწოდა, შოლო „დოაზე ცაიტუნგი“ წერდა, შორალდრე პანლურა არასეპარისის ხანჭელია ასეთი სიმტრა ასრების მქონე ხუსიექტისთვისო. მსგავსი შეძახილი თუ მოწოდება სხვაყ ბევრა ფაიხმა.

ასე ძლიერ რამ გაანაწყენა ავტორის მკითხველი ხანოგადოების დიდი ნაწილი? ნუთუ მხოლოდ იმან, რომ მწერლის კრიტიკის ხანადა ავტორია... უწგრეთის ნაქება არშია იქცა? ცნადია, არა. უნდა ვაფარადიოთ, რომ უქმეოფილება ერთი მზრივ გამოიწვია იმან, რომ ნოველაში გამსხარავებულია ახალგაზრდა ლეიტენანტი — ავტორის იმდროინდელი რესპექტაბელური საზოგადოების ფრიალ მომულოარული, სახურველი და, თუ გნებავთ, ბევრისთვის ხამაგალითო წევრა; სოლო შოორე შირიფთვით ბერბმა, რომელითაც ნაწარმოების ღრმა დასატული.

თავის ნოველაში შნიცლერმა მიმართი „ნაცანა შონოლოგის“ ებაკურ ტექნიკას, რათაც თანაშედროვეებს შესაფავა არა გარედან დანახული ოფიცრის ღირსებით აღჭურვილი და უკველიგვარი სიყეით შემეული ახალგაზრდა ლეიტენანტის პორტრეტი, არამედ შიგნიდან ურყენა ის, რაც აქამდე ხანიშედოდ იყო შენიღბული ოფიცრის მუნდარით, საზოგადოებაში ქცევის ნორმებით, თუ სხვა გარეჯანი ატრისუტებით ხულიმოკლეობა, სიმშდალე, უპრინციპობა, ეგოიზმი, საკუსთარს თავით ტკბ... ერთი სიტყვით, ჯუსტლში მკითხველმა დაინახა ხულიერიად დატაკი ადამიანი-არსარობა და თუ ამასაც ვაფითვალანწინებო, რომ მის წარმოდგენაში აქამდე ოფიცრის თითქმის ადელან შიანლოებული ხატი ცხოვრობდა, გახანები ვანდება, შერუაცნუოფილადა რატომ იგრძნო მან თავი.

რაც შეეხება თავის „შინაგანი შონოლოგის“, ანდა „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკას, შნიცლერმა იგი პირველად გამოიყენა გერმანულენოვან ლიტერატურაში. მოგვიანებით ამავე ტექნიკას, ვაცოლებით უფრო სისტემატურად და სრულიქმნილად, მიმართეს ასეთმა დიდმა მწერლებმა, როგორც არიან შარხელ პრუსტი, ჟე-

მ. ი. ზიგმუნდ ფროიდის კალიშვილის, ანა ფროიდის წერილი ჯეფრი ბენეტ ბერლინისადმი. In: H.—V. Lindken, Arthur Schnitzler. Aspekte und Akzente Materialien zu Leben und Werk. Frankfurt a. M., Bern, New York, S. 147.

მე ქოხი, ვირჯინია ვულფი, ალფრედ დი-
 ბლინი და სხვანი. ხაინტერესია, რომ ზოგი-
 ერთი მკვლევარი ხწორედ ქოხის მიიჩნევს „ში-
 ნაგანი მონოლოგის“ ლიტერატურის ფუძემ-
 დებლად. ეს, რა თქმა უნდა, არ არის ხწორი.
 რადგან ქოხის „ულისებს“ პირველი ფრაგმენ-
 ტები გამოქვეყნდა მხოლოდ 1919 წელს. ანუ
 შნიცლერის „ლიტერენტ გუბტლზე“ 14 წლით
 გვიან. თუმცა ეს ხაკითხი იქნებ არც იუოხ
 მარცადაშაინც პრინციპული. ხაყურადღებო სხვა
 რამ გახლავთ: „ულისება“ და „ლიტერენტ
 გუბტლის“ ავტორებმა თავიდან ნაწარმოებების
 შექმნისას ერთი და იმავე ნიშნით ისარგებ-
 ლეს. კერძოდ, სტეფან შალარშეს მოწაფის,
 ფრანც შწერლისა და კრიტიკოსის ედუარდ
 დიუვარდენის რომანით „შოკრილი დაფნა“. რო-
 მელიც 1887 წელს ეურნად „რვიო ენდე-
 კანდენტში“ დაიბეჭდა. ხოლო ერთი წლის
 შემდეგ წიგნადაც გამოიცა. მხატვრული თვალ-
 საზრისით დიუვარდენის რომანს დიდი ლი-
 რებულება არ ჰქონდა და თავიდან შეუმჩნევე-
 ლიც დარჩა (პირველი გამოცემიდან მხოლოდ
 400 ცალი გაიყიდა). მაგრამ მაინც შევიდა ლი-
 ტერატურის ისტორიაში როგორც ახალი მი-
 მართულების ფუძემდებელი.

„შინაგანი მონოლოგისთვის“ დამახასიათებ-
 ლია მოკლე სინტაქსური კონსტრუქციები, კავ-
 შირების სიმცირე. ფრაზები უწინარეს ყოვე-
 ლისა გმირის გრძობადი ხამყაროს, ემოციე-
 ბის გამოშხატველად გვევლინებიან და ხშირად
 ლოგიკურად არ უკავშირდებიან ერთმანეთს.
 თვით მთხრობელი უკან იხევს და თავის გმირს
 საშუალებას აძლევს ობიექტურად, შუამავლის
 დაუბმარებლად წარსდგეს მკითხველის წინა-
 შე. მეტიც, მწერალი თითქოს პერსონაჟის ტვინ-
 ში მოკალათებულა, უურს უგდებს მის ფიქრთა
 დინებას და სკრუპულოზური სინუსტით აღ-
 ნუსხავს თვით უმცირეს ნიუანსსაც კი. მაგრამ
 ზოგჯერ ასოციაციათა ნაკადი სცილდება ზღვარს,
 რომლის იქით ენა უძღურია გადმოსცეს გმი-
 რის ესა თუ ის ემოცია. ახეთ შემთხვევებში
 სიტყვების ადგილს სხვადასხვა სახვენი ნიშნე-
 ბი, უმთავრესად წერტილები აკავებენ. ეტ-
 ყობა, ამით უნდა აიხსნას შნიცლერის უმეტეს
 ნაწარმოებთა მეტად თავისებური, უჩვეულო
 პუნქტუაიცა.

ადამიანის ფსიქიკის ამგვარი ნიუანსირებული
 ასახვა უშუალო კავშირშია მე-19 საუკუნის
 მიწურულის მეცნიერულ აღმოჩენებთან. ამის
 ერთ მაგალითზე — ლიტერატურისა და ვენის
 ფსიქოანალიზური სკოლის ურთიერთმიმართე-
 ბაზე — ზემოთ უკვე ვინაუბრეთ. უაღრესად
 დიდი იუო, აგრეთვე, იმდროინდელ ზელოვნე-
 ბაზე, კერძოდ მწერლობაზე ერნსტ მაზის გავ-

ლენაც. „ემპირიოკრატისციზში“ აღქმულ მე-ს
 იგი განიხილავდა არა როგორც მათემატიკურ
 ერთიანობას, რასაც წესრიგი შექმნის, არამედ
 ში, არამედ როგორც შეუთავსებელ შეგრძნე-
 ბათა და წარმოდგენათა შენაერქმის წინააღმდე-
 გობა, რომელ „ქვეშარიტეტი“ უმცირესეს
 დაშავდა, განსაკუთრებით პოპულარული იუო
 „ახალგაზრდა ვენის“ წევრთა შორის. შერ-
 მან ბარი, მაგალითად, მაზის ფილოსოფიას
 „იმპრეზიონიზმის ფილოსოფიასაც“ კი უწოდებდა.

1891 წელს ბარმა გამოაქვეყნა წერილი
 ხათაურით „ახალი ფსიქოლოგია“, რომელშიც
 თანამოკალმეებს მოუწოდებს, ახლებურად ახა-
 ხონ ადამიანის შინაგანი ხამყარო, მისი ოქმით,
 ნატურალიზმს ეს არ ძალუძს, რადგან მოკლე-
 ბულია ფსიქოლოგიზმს. მთავარი, რასაც ბარი
 მოითხოვს, მხატვრული ნაწარმოების ობიექტუ-
 რობაა. მან — ნაწარმოებმა — უნდა ასახოს
 იმგვარი ხამყარო და იმგვარი ადამიანი, რო-
 გორიც ისინი სინამდვილეში არიან. მწერალი,
 რომელიც ახსნა-განმარტებებსა და კომენტა-
 რებს გვთავაზობს, მხოლოდ ზელს გვიშლის
 და წარმოსახულ სინამდვილეს რეალობის ელ-
 ფერს უპარგავსო.

შნიცლერმა პირველმა მოახერხა ყოველივე
 იმის მხატვრული ხორცშესხმა, რასაც ბარი თა-
 ვის თეორიულ შრომებში ქადაგებდა. ამაში მას
 უწინარესად ზემოთ უკვე ნახხენები „შინაგანი
 მონოლოგის“ ტექნიკა დაეხმარა. მაგრამ მხედ-
 ველობაში მინალები მარტო ეს არ არის. არ
 უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ ადამიანის სუ-
 ლის სიღრმეებში ჩახადწევად შნიცლერმა (და
 „ახალგაზრდა ვენის“ სხვა წარმომადგენლებმა)
 სიკვდილისა და სიყვარულის, ანუ ერთობისა და
 ტანატოსის ურთიერთმოქმედების პრობლემას
 მიმართა. სიყვარული როგორც მარმონიის
 უმაღლესი საფეხური, სიკვდილი როგორც უკა-
 ნახკნელი, საბოლოო სინთეზი, სიკვდილი და
 სიყვარული როგორც მარადიულად მოქიშე,
 მაგრამ განუყრელი თანამგზავრები — აი, თემა,
 რომელსაც მწერალი თავის საუკეთესო ნო-
 ველებსა და პიესებში მიმართავს. შნიცლერს
 შესანიშნავად ესმის, რომ ნებისმიერი დაბა-
 ლება კვდომის დახაწვისია, რომ ყვავილი მაშინ
 იწუებს ქნობას, როცა გაფურჩქვნის უმწვენი-
 ერეს სტადიაშია, რომ ჩვენ ყველანი ვიმყო-
 ვებით ტალღაზე, რომელიც ადრე თუ გვიან
 ქვემოთ უნდა დაეშვას. სხვაგვარად — შნიცლე-
 რისთვის სიკვდილი სიცოცხლის შემადგენელი
 ნაწილია. ამიტომაც არის, რომ მე-19 და მე-20
 საუკუნეთა მიჯნისთვის ესოდენ დამახასიათებ-

+ ის, რ. ყარალაშვილის წერილი „XX საუ-
 კუნის ავსტრიული მოთხრობა“.

ლ• memento mori შნიცლერთან ხაშყაროს, სიციხლის დაშვიდრების ერთ-ერთ გზად იქცევა.

იქნებ ამის პრაქტიკ იყოს, რომ დღეს ხავსებით ბუნებრივად გვეჩვენება სიტუაციები, რომლებიც მაინც მანმა გარდაცვალებულ მეგობარს უძღვნა: „სხვა გარდაცვლილნი ჩვენში, ქერ

კიდევ ცოცხლებში, იწვევენ ბრწინებისა და პატივისცემის, სიდიდის, პრაქტიკული ძრწოდვის შეგრძნებას. იმას, რასაც „როტურ შნიცლერ“ გვითვებს, ბევრი სტრუქტურული მნიშვნის გამოცდილება, თავისი სტრუქტურული კონსტრუქციის ორ დიდ ძალას მიუძღვნა, ეს ძალებია: სიყვარული და სიკვდილი, და ისინი მოკავშირენი არიან”



დანიელ გოლაშანი

გერმანულიდან
თარგმნა ლაშა დადიანმა

ბუდას მოძღვრება მედიტაციაში და ცნობიერების მდგომარეობაში

წინამდებარე ნაშრომი დაწვრილებით ეხება ბუდას მოძღვრებას მედიტაციისა და ცნობიერების მდგომარეობების შესახებ, სკრუპულოზურად რომ აღწერა ბუდაგოზამ (მე-5 საუკუნე) თავის ვრცელ თხზულებაში — „ვისუდდჰიმაგგა“-ში (Visuddhimagga), რომელიც წარმოადგენს ზუსტ და ყოვლისმომცველ აღწერას იმ უმთავრესისა, რაც კი ადამიანს სულიერ სფეროში შეუქმნია.

ვისუდდჰიმაგგა: ბუდას მიერ ცნობიერების უმაღლესი მდგომარეობების აღწერა

ცნობიერების უმაღლეს მდგომარეობათა უველაზე უფრო ვრცელ და დაწვრილებით განხილვას გვთავაზობს ენციკლოპედიური აბჰიდჰამა (Abhidhamma), რომელიც წარმოადგენს გაუტამა ბუდას გამოხატულებათა (რაც 40 წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე იქმნებოდა) გადმოცემას ბუდას მოწაფეთა მიერ. მე-5 საუკუნეში ბუდაგოზამ თავის მონუმენტურ კმნილებაში „ვისუდდჰიმაგგა“-ში, რაც „ნათელხილვის ვჯას“ ნიშნავს, მოგვცა აბჰიდჰამას განვითარება. ბუდაგოზა „ნათელხილვაში“ ნიშნავს გულისხმობს, ამ პროცესის აღწერისას, პრაქტიკულად, მოკლედ და დახასიათებული მედიტაციური მდგომარეობათა უველა სხვა გზებით, რომელთაც ნიშნავსკენ მივყავართ. გადმოცემის თანახმად,

ბუდამ უველა ეს გზა განვლო, ვიდრე ნიშნავს მიაღწევდა. უველა ამ გზის გამკვალავი ბერებებისა და მეთოდების, შესაბამისი ცნობიერების სფეროების „ვისუდდჰიმაგგაში“ აღწერილი სისტემა მოიცავს და განიხილავს აღმოსავლეთის სკოლების (რომლებიც ამჟამად დასავლეთშიცაა დანერგილ-გავრცელებული) უმნიშვნელოვანეს პრაქტიკულ მოძღვრებებს.

ბანმშენდი სილა

ბუდას სისტემა იწეება „სილა“-თი, რაც ნიშნავს კეთილშენობას, მორალურ სინპეტაქეს, აზროვნების, მეტყველებისა და მოქმედების სისტემატურ წვრთნას, ჩვეულებებისამებრ, ფუჭად დაბარჭულ ენერგიას ხახარგებლო, ხახიკეთო მიმართულებით რომ წარმართავს. „ხახიკეთო“ აქ იხე უნდა გავიგოთ, როგორც ეს დჰარმა-ში (Dharma) გვხვდება: ამ ცნებაში იგულისხმება

ის, რასაც ადაშიანი მედიტაციური (meditativ) ცნობიერების მდგომარეობებში, ბოლოს კი ნირვანაში (nirvana) შეძევს. ხილა წარმოადგენს იმ პროცესის გადამწვევტ ფაქტორს, რომელიც აბოგვანს საბოლოოდ ნირვანაში აღწევს; ეს არის უნარი, შენარჩუნებულ იქნას ფიზიკური, ხალი გონება, რომელიც ხაპირთა სპეციფიკური მედიტაციური ცნობიერების მდგომარეობების მიხაღწევად. ხილა ბუდას მოძღვრების ერთ-ერთი მთავარი შეშადგენელი ნაწილია; შემდეგი ორია სამადხი (samadhi), ანუ კონცენტრაცია (რაიმესხადში მთელი უურადღების მიპრობა) და პრაინა (prajna), ანუ წვდომა, შეცნობა. ხილას, სამადხისა და პრაინას შორის არსებობს ფსიქოლოგიური ურთიერთმოქმედება — თუ ხილასათვის მთელი ჩვენი ძალების მობილიზებას მოვახდენთ, მაშინ გაცილებით უფრო ადვილად მივაღწევთ უურადღების სრულ მოპრობას (კონცენტრაცია), რაც თავის მხრივ ხანგრძლივ ჩადრმავებას, წვდომას ხდის შესაძლებელს. ხილა, რომელიც თავდაპირველად ნეისიუოფის გამომვლენ აქტად გვევლინება, ადვილი და ბუნებრივი ხდება, როდესაც სამადხიში ანდა პრაინაში გადადის. პრაინა განამტკიცებს სისპეტაკეს და იმავდროულად კონცენტრაციასაც უწყობს ხელს. ძლიერი კონცენტრაცია განამპრობებს ჩადრმავება-წვდომას და სულიერ განწმენდას. ინტერაქციის (Interaction) დინამიკა ცალკეულ კომპონენტებს შორის ხაზობრივი არ არის: ერთ-ერთი მათგანის განვითარება აადვილებს გადახვლას დანარჩენ ორ კომპონენტზე. ამ დროს მედიტაციის პროცესი ხდება არა მაინცდამაინც როგორც წრფივი (ხაზოვანი) სვლა, არამედ უფრო სიმულტანური (ერთდროული, სინქრონული) სპირალური ინტერაქციის ფორმით. თუმცა ეს პროცესი აქ მაინც წრფივად უნდა იქნას წარმოდგენილი. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ინდივიდუულობან მორალური სისპეტაკის, კონცენტრაციისა და წვდომა-ჩადრმავების განვითარება სინამდვილეში ამ სამი კომპონენტის კომპლექსური ურთიერთმოქმედებით ხდება. ისანი ერთი მთლიანი პროცესის სამ წახნაგს წარმოადგენენ.

თუ გვხურს, ხილას ადვილად მივაღწიოთ, ხაპირთა „მოკვდეს“ ეგო. მაშახადამე, ჩვენს აზროვნებაში, ჩვენი პიროვნების შიგნით წარმოქმნილმა სურვილ-მისწრაფებებმა აღარ უნდა განსაზღვრონ ჩვენი უოფა-ქცევა (როგორც

ჩვეულებრივ აქვს ამას ადგილი). როდესაც ეს „კვდომა“ სამადხის საშუალებით მიიღწევა, ეგო, ვისუდღხიმავგას თანახმად, შენარჩუნდება ლატენტური სურვილის, ნდომის სახით და არჩება უმოქმედოდ (რომლის დროსაც გუნება-კონცენტრაციის მდგომარეობაში), რაც უფრო მაშინ გააქტიურდება, როცა კონცენტრაცია წყდება. თუ ეგოს „კვდომა“ პრაინას მომწიფების შედეგია, იგი (ეგო) აღარ გვევლინება ჩვენი ქვეყნის, მოქმედების განმაპრობებელ ძალად. თუმცა შესაძლოა გონებაში, ცნობიერებაში კვლავ ძველი სააზროვნო თვისებებით განაგრძობდეს არსებობას. სრული ჩადრმავების, წვდომის მდგომარეობაში გონება თავისუფლდება ეგოს სურვილ-მისწრაფებებისაგან, რომლებიც უკვე მკრთალი და არაარსებითი ხდება. როცა ნირვანა მთლიანად მიიღწევა, ხილაც სრულყოფილია — საბოლოოდ ვძლევეთ რაიმე უმარტებულ მოქმედების ჩადენის სურვილს, მოთხოვნილებას, აღმოხავლური თვალსაზრისით ეს ბოლო ხტადია არის რაიმე არჩევანის შეგავლენისაგან, შემოქმედებისაგან გათავისუფლებული ხილა, ანუ Vairagya; ხილა მბოლოდ რაიმე კონკრეტულ მოქმედებაზე, ქცევაზე უარის თქმას კი არ ნიშნავს, არამედ აგრეთვე განსაზღვრულ ჩარჩოებში მოქცეული აზროვნებისაგან გათავისუფლებასაც. რამეთუ აზროვნება ქცევის, მოქმედების საფუძვლადაა მიჩნეული. ასე მაგალითად, ვისუდღხიმავგა დაბეჭითებით ურჩევს მედიტაციის მაწარმოებელს, რომ ავბორცულ, უკეთურ აზრებს, რომლებიც შესაძლოა მას დაებადოს, დაუპირისპიროს ის, რომ უურადღების კონცენტრაცია მოახდინოს ხაპირისპირო, გამაბათილებელ სხეულებრივ ასპექტებზე. მორალური სისპეტაკის გამომუშავების მიზანს წარმოადგენს მედიტატორის გათავისუფლება ფუქი სინანულის, მოვალეობის და მორცხვობის გრძნობისაგან.

დასაწყისში ძნელი სავარჯიშოები შემდგომში აიოლებენ ცნობიერების გადახვლას მაღალ მდგომარეობებში, რომლის დროსაც ხილაში საფუძველჩაყრილი ქცევის სახეები ცნობიერების ამ მდგომარეობათა ადვილ, ბუნებრივ თანამდევ მოვლენებად გვევლინება. ცნობიერების ამ მაღალ მდგომარეობებში აზროვნებას და ცნობიერებას უკვე აქ დომინირებული ნეტარების, კმაყოფილების და თვითყოფადობის განცდა-გამოცდილება განსაზღვრავს. დასავლეთის ძველი ფსიქოლოგიები, რომელთაც ხეყსუალობის დინამიკა და ძალაუფლებისადმი მისწრაფება ედო საფუძვლად, გამოყენებას ვეღარ პოულობენ გონების ახალ სფეროებში, ისევე როგორც არახაქმარისი აღმოჩნდა ნიუ-

1. დხარმა — სიტყვაპიტყვით: მსოფლიო კონონი, წესრიგი; მოძღვრება ხსნა-გათავისუფლების. სიკეთის, ბედნიერების შესახებ ბუდისტური ტრადიციის მიხედვით.

ტონის ფიზიკა ატომური ფიზიკის გაგებისათვის. მედიტაცია და ცნობიერების მაღალი მდგომარეობები დასავლეთის ფსიქოლოგიის თვალსაზრისით იმდენად არიან ტრანსცენდენტალური, რამდენადაც მიეკუთვნებიან იმ სფეროს, რომელიც მათი სპეციფიკური სააზროვნო სისტემის მიღმა მდებარეობს; მაგრამ მედიტაციურ-სპეციფიკური ცნობიერების მდგომარეობებსა და მაღალი ცნობიერების მდგომარეობებშიც შეინიშნება განსაზღვრული წესები და კანონზომიერებანი.

ვისუდღეობაშია ტრადიციის მიხედვით სილა იწყება ერისკაცთა¹, მორჩილთა და ბერთათვის გათვალისწინებული ზნეობრივი წვრთნის წესებით. არასახულიერო პირთათვის მხოლოდ ზუთი ცნება არსებობს: არა კაც კლა, არ იჭურდო, არ იცრუო, აგრეთვე უარის თქმა სქესობრივ ურთიერთობასა და ნარკოტიკების მიღებაზე. მორჩილთათვის ეს რიცხვი ათამდე იზრდება, ხოლო ბერებისათვის დადგენილია 227 აკრძალვა და სავალდებულო წესი, რომლებიც განსაზღვრავენ მონასტრულ ცხოვრებას. სილაში დაოსტატებისას, მიხედვლობაში მიიღება რა ყოველი ადამიანის ცხოვრებისეული ხტილი და თავისებურებანი, მიზანი მუდამ ერთია: მედიტაციისათვის მომზადება. გარკვეულწილად ეს ვალდებულებანი მიზნად ისახავენ სწორი სოციალური ქცევის ნორმების ფორმირებას, მაგრამ აქ აღწერილი ბუდისტური ტრადიციის მიხედვით ეს ასპექტი მეორეხარისხოვანი მნიშვნელობისაა იმ მოტივაციებთან შედარებით, რომლებიც მთელ ცხოვრებას განსაზღვრავენ და უზადო, კრიხტალურ ყოფა-ქცევაში კოულობენ გამოხატულებას. სილა გაგებულ უნდა იქნას არა ჩვეულებრივი ფორმალური მნიშვნელობით, არამედ აგრეთვე როგორც სულიერი აღუშფოთველობა (ქცევის მანერა) და განწყობილება, რომლითაც ხათავებს იღებს უნაკლო, ჭეროვანი აზროვნება, მეტყველება და ყოფა-ქცევა. ჩვენი მოქმედება, ქცევა, რამდენადაც იგი შემოქმედებას ახდენს ცნობიერებაზე, კონტროლს უნდა დაექვემდებაროს, სილა არის შეგნებული, გამიზნული (წარ)მართვა ჩვენი ყოფა-ქცევისა, მოქმედებისა, რაც მოწოდებულია წყნარი, ზომიერი, უშფოთველი სულიერი გუნება-განწყობილების ჩამოყალიბებისა. მორალური ზანწმენდა მხოლოდ და მხოლოდ სულიერ სიწმინდეს ისახავს მიზნად.

გონებრივი (სულიერი) სიტყვითა და მედიტაციის



რადგან სილას მიზანი გონების დახვეწა-დამორჩილებაა, სავარაუდოდ, სწორი მეთოდებს განეკუთვნება აგრეთვე ცნობიერების კონტროლი. იგი მიიღწევა სატიპათანას (satipathana), ე. ი. გონებრივი ცხოველყოფილობის, უნარის მეოხებით. ამ დროს სწავლობენ გრძნობის ორგანოების დაუფლებას, კონტროლს და იძენენ ჩვევას, რომ თუშეა ბორცოვლდება გრძნობადი აღქმანი, მაგრამ მათ საფუძველზე გონებაში აღარ უნდა წარმოიქმნას რაიმე აზრთა წეება (ე. ი. გონისმიერ პროდუქციას ადგილი არ უნდა ჰქონდეს). თუ გრძნობადი გამლიზიანებლების საპირისპიროდ ურადლები სრული კონცენტრაციის ეს მდგომარეობა თანდათანობით ვიპასანად¹ (vipassana) იქცევა, მაშინ იგი ჰკვალავს ბილიკს ნირვანას მდგომარეობის მისაღწევად. ყოველდღიური პრაქტიკის საფუძველზე იგი განაპირობებს საკუთარი შინაგანი სამყაროს აღქმებისა და აზრებისაგან გათავისუფლებას. ადამიანი ხდება საკუთარი ცნობიერების განვითარების პროცესის გარე დამკვირვებელი და ამგვარად გზას უბნის იმ მდგომარეობებს, რომლებიც ჩვეულებრივი ცნობიერების ფარგლებს მიღმა არსებობენ.

საწყის სტადიაში, ვიდრემდის კეშმარტი, ცხოველყოფელ გონებრივ უნარიანობას განივითარებდეს, ადამიანს ადვილად უფანტავს ურადლებას სხვადასხვა გარეშე მოვლენები. ამიტომ ვისუდღეობაშია და მწეებ მედიტატორს აძლევს რჩევა-დარიგებას, როგორ მოაწყოს მან თავისი პირადი ცხოვრება. მან პატიოსანი გზით უნდა ირჩინოს თავი, რათა მის მიერ გამოყენებული ფინანსური საშუალებები უნდობლობას არ იწვევდეს. სწორედ ამიტომ ბერებს სასტიკად ეკრძალებათ ასტროლოგიის პროფესიის არჩევა, ქირომანტია და სიწმირის ახსნა: მათთვის რეკომენდებულია მათხოვრად ცხოვრება. ბერმა საკუთარი ქონება მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს. მას შეუძლია თავისთვის დაიტოვოს მხოლოდ რვა ნივთი: ხაში ბელი ტანსაცმელი, ქამარი, სამათხოვრო ქამი, საპარხი, ნემსი და ხანდლები. უნდა ქამოს ზომიერად. მას, ცხადია, შეუძლია ქამის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მაგრამ არა იმდენად, რომ თვლემო მოერიოს: უნდა ცხოვრობდეს ქვეუნიხგან მოშორებით, ხადმე უკაცრიელ ადგილზე. მას, ვიხაცოჯახი ჰეავს, ცალკე ოთახი უნდა ჰქონდეს;

¹ აქ: იგულისხმება პირი, რომელსაც არ გააჩნია სასულიერო წოდება.

¹ საგნის დანახვა ისე, როგროც ის სინამდვილეშია.

რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ მედიტაციის-
თვის გამოიყენებს. სხეულის მოთხოვნილებებ-
ზე შედგება არ უნდა გაამახვილოს ყურად-
ღება, მაგრამ ავადმყოფობის შემთხვევაში წა-
შალი უნდა მიიღოს. ოთხი ბუნებრივი რამ—
ქონება, საკმელ-ხახმელი, ბინა და მედიკამენ-
ტები — უნდა ბქონდეს მხოლოდ იმდენი,
მისი მატერიალური კეთილდღეობისათვის რომ
იქნება აუცილებელი ისე, რომ ეს მატერია-
ლურადაც აუცილებელიც წმინდა და უზადო
იყოს.

რადგან ადამიანის ხულიერ განწყობილებაზე
ირგვლივ მყოფი ხალხი შემოქმედებენ, მედი-
ტატორი თანამოაზრეთა საზოგადოებაში უნდა
ცხოვრობდეს. ეს ხანგზას (ხანსკრიტში: სატსანგ
(satsang) ერთ-ერთი ღირსებათაგანია. ვიწრო
გაგებით, ეს ის ადამიანებია, რომლებმაც ნირ-
ვანას მიაღწიეს, ხოლო, ფართო გაგებით, მათი
წრე, ამ ბილიკს რომ დაადგინენ. გონებაფი-
ზიკური და ყურადღებაშოკრებული ადამიანების
საზოგადოებაში მედიტაცია იოლდება, ხოლო
მათთან ერთად, რომელთაც აწუხებთ ამქვეყნიუ-
რი საზრუნავი, გონებადაფანტული და აბსორ-
ბირებული არიან, იგი ძნელდება. ეს ხალხი,
ჩვეულებრივ, ყოვლად უმნიშვნელო და ფუჭი
ხაუბრიითაა გართული, რომლისთვისაც დამახა-
სიათებელია მოუხვენრობა, ცმუსკვა, აღელვ-
ება, შფოთვა და სხვ. ბუდა ჩამოთვლის მაგა-
ლითებს, ამგვარი უსარგებლო ღაპარაკისთვის
რომ არის ტიპური: ხაუბრები მეფეების, ქურ-
დების, მინისტრების, არმიების, უბედურება-
გაპირვების (შემშინი რომ იწვევს) და ომების
შესახებ; საკმელ-ხახმელის, ხამოსელის, სახლის,
უვავილების, მორთვა-შოკაზმვის, და კეთილ-
ხურნელება-ნელსაცხებლის, ნათესავების, საშ-
ვარო საშუალებების, ქალაქებისა და ქვეყნე-
ბის, ქალების და ღვინის შესახებ; კორიკანობა
ქუჩებში და ქებთან; წინაპრების შესახებ; ხა-
ერთოდ უოველგვარი წვრილმანის შესახებ; სამ-
უაროს წარმოშობისა და იმის შესახებ, თუ რო-
გორი სახისაა საგნები და მოვლენები და ა. შ.
(მაჰასი სანადავი, 1965, გვ. 282).

მას შემდეგ, რაც ხანგზას დამახასიათებელ
თვისებებს და ღირსებებს ჩაწვდება და მათი
შეშვეობით მედიტაციაში გაიწაფება, მედიტა-
ტორმა შეიძლება ცნობიერების უფრო მაღალ
საფეხურზე დაბრკოლებად აღიქვას ის, რაც მა-
ნამდე პირიქით, დახმარებას უწევდა. ვისუდ-
ხიმაგვა ჩამოთვლის დაბრკოლებათა ათ სახეს,
რომელთაც შეუძლიათ შეაფერხონ მედიტაციის
განვითარება: 1. უოველგვარი მყარი საცხოვრე-
ბელი, რომელიც წესრიგში არ არის, მოუწყო-
ბელია და ადამიანს აწუხებს; 2. ოჯახი, რომე-
ლიც მუდმივ ყურადღებას და ზრუნვას მო-

ითხოვს; 3. საჩუქრები და კომპლარობა, როცა
ადამიანი იძულებული ხდება, დრო თავის თავ-
ვანისმცემლებთან გაატაროს; 4. სამასწავლებლო
საქმიანობა და მოსწავლეთა აშალია; 5. სხვა-
დასხვა სახის აქტიურობა-შექმედებანი და
ზრახვები; „რაიმე საქმის ქონა“; 6. მოგზაურობა;
7. ახლო დამოკიდებულებაში მყოფი ადამია-
ნები, რომლებზეც ზრუნვაა საჭირო; 8. ავად-
მყოფობა, რომელიც მკურნალობას მოითხოვს;
9. თეორიული გამოკვლევები, რომელთაც თან
ახლავს პრაქტიკული საქმიანობა—გამოყენება;
10. სუპრანორმალური ფსიქიკური ძალები, რო-
მელთა მოქმედება-განხორციელება შეტ ინტე-
რესს იწვევს, ვიდრე მედიტაცია. ამ ნუსხას
საფუძვლად უდევს ის, რომ მედიტაციაზე ყუ-
რადღების სრული გამახვილება მხოლოდ მა-
შინაა შესაძლებელი, როცა ადამიანი ამქვეყ-
ნიური ზრუნვა-მოვალეობებისაგან გათავისუფ-
ლდება. ეს არის გონების განწმენდა—გათავი-
სუფლება უოველივე იმისგან, რაც მას ხელს
შეუშლის მედიტაციის განხორციელებაში.

ასკეტიზმი

სილასთან ერთად ვისუდდხიმაგვაში აღწერი-
ლია 18 სავარჯიშო, რომლებიც თვითგაკეთილ-
შობილების, თვითგანწმენდისთვისაა გამიწ-
ნული. ეს ასკეტური სავარჯიშოები ბუდას
მოძღვრების შესწავლისას სავალდებულო არ
არის. თუ ადამიანი, რომელმაც თავისი ცხოვ-
რება კონტემპლაციას მიუძღვნა, გრძობს, რომ
რამდენიმე ამ სავარჯიშოთაგანი მიზანს აახ-
ლოებს, მაშინ ისინი უნდა შეასრულოს. მაგ-
რამ ეს უნდა გააკეთოს თავშეკავებით, შეტ-
ლებისდაგვარად სხვებისაგან შეუმჩნეველად.
განწმენდის ამ ასკეტურ შეთოდებს განეკუთვნება
ის, რომ ადამიანს ძონძები აცვია, მოწყალე-
ბით საზრდოობს, დღის განმავლობაში მხო-
ლოდ ერთ რამ საკმელს ქამს, ტყეში ბის ძი-
რას ხძინავს, სასაფლაოებზე და ღია ცის
ქვეშ იმყოფება და მთელ ღამეებს ფხიწლობს.
თუმცა ეს სავარჯიშოები ნებაყოფლობითია,
ბუდა ქებით იხსენიებს მათ, ვინც „ზომიერე-
ბის, თავდაჭერა-თავშეკავების, თვითშოფა-
დობის და თვითგვემის გულისათვის“ ცხოვრე-
ბის ეს ფორმა არჩია, და პირიქით, მკაცრად
გმობს ბაღსს, რომლებიც ამაყობენ თავიანთი ას-
კეტური საქმიანობით და ქედმაღლურად იქ-
ცევიან. სპირიტუალური ქედმაღლობა ზიანს
აყენებს და ვნებს სიწმინდეს. ეს სილას უველა
ასკეტს ეხება. სილას მიზანია მშვიდი, ამქვე-
ყნიური საზრუნავისაგან გათავისუფლებული
გონება, რომელიც მოწმინდებულია საიმისოდ,

რომ უურადღება შიგნით. სიღრმისკენ მიმართოს მედიტაციისათვის.

სამადხი: კონცენტრაციის გზა

სილას განვითარება ფსიქოლოგიურ საწყის ბაზას კმნის კონცენტრაციაში დასახელოვნებლად (სამადხი). კონცენტრაციის არსს წარმოადგენს უურადღების გაუფანტველობა, მისი ერთი ხაგნისადმი, ობიექტისადმი მიმართვის უნარი. სილაში ხდება ზეღის შემწლელი ფაქტორების სისტემატური დაქლევა. ახლა მედიტატორის ამოცანაა გონის დაუნაწევრებლობა, ერთიანობა, მისი ერთადერთი პუნქტისადმი მიმართვის უნარის მიღწევა. ჩვეულებრივ აზრთა ნაკადი შედგება უთვალავი გვერდი-გვერდ მიმქროლი ცალკეული ნაწილაკებისაგან. სამადხიში მიმდინარე აზრის კონტინუუმი გონის ფიქსირების მეოხებით უნდა შეწყდეს და შეჩერდეს ერთადერთ აზრზე. ეს ერთადერთი აზრი წარმოადგენს მედიტაციის საგანს. სამადხიში გონება მხოლოდ ამ ერთადერთი ობიექტისკენ კარ წარმართება, არამედ იგი (გონი) იქრება მის არსში, აბსორბციას განიცდის მისგან, მას შეერწყმება. წუდება აზრთა ნაკადის უმიზნო, ქაოსური დინება, რომლის დროსაც იგი მიპრობილი იქნება ამ ერთადერთი საგნისადმი, ამ ერთადერთი დანიშნულების პუნქტისადმი, უოველივე, რაც შესაძლოა უურადღების საგანს შეადგენს, შეიძლება გახდეს აგრეთვე მედიტაციის ობიექტი. სამადხი უბრალოდ კონსტანტური, ერთადერთი მიპრობილი უურადღებაა. მაგრამ სამედიტაციო საგნის სახეობა ძალზე მნიშვნელოვანია მედიტაციის შედეგისათვის. ნიკაის (Nikayas) საბუნწოდებით ცნობილ სურტების კრებულში მოცემულია იმ საგანთა სრული სია (დასახელებულია 101 საგანი), რომელსაც ბუდა მედიტაციისათვის გვთავაზობს. ვისუდდხიმაგაში ჩამოთვლილია 41 სამედიტაციო საგანი:

ათი კასინა (Kasinas), ე. ი. კონტემპლაციის საშუალებანი: მიწა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი, მუქლურჯი, უვითელი, ალისფერი, თეთრი, ღია ფერი, შემოსაზღვრული სივრცე.

ათი ასუბხა (asubhas), ე. ი. ამაზრზენი, გაბრწნის სტადიაში შესული გვამი; მაგალითად, შეშუპებული გვამი, ღპობაშეპარული გვამი, მატლის შექმული, მატლშესეული გვამი, ჩონჩხი.

ათი სააზროვნო ობიექტი: ბუდას შინაგანი მესათვის დამაზახსიათებელი ნიშან-თვისებები,

1 კონსტანტური — მუდმივი, უცვლელი.

მისი მითითებები, სწავლება, სანგზა, სილა, თავისუფალი აზროვნება, სიკეთის გარდაუვალობა, მედიტაციის წარმოება სხეულის მიშემადგენელ ნაწილზე, შექმნილ კამოხუნთქვა.

ოთხი ამაღლებული ცნობიერების მდგომარეობა: სიკეთე, თანაგრძნობა, სიხარულის თანაგანცდა, სიმშვიდე-უშფოთველობა;

ოთხი უფორმო მდგომარეობა: მედიტაციო უსასრულო სივრცეზე, უსასრულო ცნობიერებაზე, არასაგნობრივის სფეროზე, შესაცნობისა და შეუცნობლის სფეროზე; გულისამრევი საქმლის ამაზრზენობაზე; და ოთხ ელემენტზე (მიწა, ჰაერი, ცეცხლი, წყალი), როგორც აბსტრაქტულ ძალებზე.

უოველი შემოჩამოთვლილი საგანთაგანი (მოვლენა) თავისებურ ზეგავლენას ახდენს კონცენტრაციის სახეებზე, სიღრმეზე და მათ თანამდევ მოვლენებზე, უოველ მათგანს შეუძლია განავითარებინოს კონცენტრაციის ის სიღრმე, რომელიც საჭიროა ნარვანას მდგომარეობის მისაღწევად. მიუხედავად მისი განსაზღვრული სამედიტაციო საგნით გაპრობებული თავისებურებებისა, კონცენტრაციის უოველ მდგომარეობას განსზვავებული ფსიქოლოგიური თანამდევი მოვლენები ახასიათებს. მაგალითად, როდესაც მედიტატორი სიკეთეზე, (როგორც სამედიტაციო ობიექტზე) მედიტაციას აბორციელებს, მას გულდამშვიდებით უოველგვარი საფრთხის შეგრძნების გარეშე სძინავს და ღვიძავს, ცუდი სიზმრები არა აქვს და უველგან კეთილგანწყობას ხვდება. იგი ადვილად იქრებს უურადღებას, მუდამ უშფოთველი და გაწონახწორებულია და ბოლოს მშვიდად კვდება. სამედიტაციო საგნით გაპრობებული უმნიშვნელოვანესი მომენტია „ჩაშვება სიღრმეში“ (опускание, погружение) — თხიანა (jhana) — რომელიც შესაბამის მომენტში დგება.

ბუდამ დაადგინა, რომ განსაზღვრული ტემპერამენტის მქონე ადამიანებისათვის განსაზღვრული სამედიტაციო საგნებია შესაფერისი; ტემპერამენტების მიხეული ტიპოლოგია, რომელიც მან შექმნა ადამიანისათვის სამედიტაციო საგნის შერჩევის საფუძველზე, მოიცავს ოთხ მთავარ ტიპს: 1. გულღვარძლიანობის, სიავისადმი მიდრეკილების მქონენი, 2. ტკობის, ნეტარების სურვილით შეპრობილნი და აღგზნებისადმი მიდრეკილების მქონენი; 3. მორწმუნენი; 4. ინტელიგენტები.

პირველი ტიპის წარმომადგენელთათვის რეკომენდებულია ოთხი უმაღლესი ცნობიერების მდგომარეობა და ოთხი კასინა — ფერი (სამედიტაციო საგნებად); მე-2 ტიპისათვის სამედიტაციო საგნებად რეკომენდებულია ათი ასუბ-

ბა (asubhas), სხეულის შემადგენელი ნაწილები და ხუნთვები. მე-3 ტაძისათვის აზროვნების პირველი 8 ობიექტი, ხოლო მე-4 ტაძისათვის ფიქრები სივრცულზე, გულისამრევი საჭმელზე და ოთხ ელემენტზე. დანარჩენი საგნები შეესაბამება ყველა კოგნიტიურ (ანუ შემეცნებით) დისპოზიციებს.

ბუდა იყო მედიტაციის ადვოკატი მასწავლებელი, რომელმაც განავითარა უნარი, ჩაებდა სხვა ადამიანთა თავსა და გულში და ამიტომ შეუცდომლად შეეძლო უოველი ადამიანისათვის სწორი სამედიტაციო საგნის შერჩევა. ვისუფლებინებოდა ურჩევს დამწყებს მედიტატორს, მოძებნოს ისეთი მასწავლებელი, რომელიც შეესაბამება მის მიერ მიღწეული მედიტაციის საფეხურს. მისი მხარდაჭერა და რჩევა გადაამწყვეტ როდეს თამაშობს ურჩეულო სულიერ სამყაროსთან შეხვედრისას. მოსწავლე მასწავლებელთან „პოულობს თავშესაფარს“ და მას უნდა ემორჩილებოდეს. დამორჩილებული უნდა აქნას ეგოს მიხწრაფვა-მიდრეკილებანი, „დაბრკალებანი“, რომლებიც ხელს შეუშლიან მოსწავლეს. მიზანმიმართულად განავითაროს მედიტაცია იმ პუნქტამდე, იმ მომენტამდე, რომლის მიღწევის შემდეგაც დაძლეული იქნება ეგოს ეს თვისებები. ეგოს ამ ხელისშემშლელ მიდრეკილებათაგან გათავისუფლება მოსწავლეს ეკისრება და არა მასწავლებელს; მასწავლებელი ტრადიციული აღმოსავლელი გურუ კი არ არის, არამედ „კარგი მეგობარი“, რომელიც მას გზის გავლაში ეხმარება. მასწავლებელი გზას უჩვენებს, მაგრამ მოსწავლემ იგი თვითონ უნდა გაიაროს. ამ ტრადიციის მიხედვით ქენრინი მასწავლებლის როლის მნიშვნელობას შემდეგნაირად განმარტავს:

თუ გსურს იცოდე ბილიკი მთისკენ რომ მიდის, უნდა ჰკითხო მას, ეინც იმ გზით დადის.

თხინანა (Jhana): ჩაღრმავების, წვდომის საფეხურები.

თუ მედიტატორმა მოძებნა შესაფერისი მასწავლებელი. შეურჩიეს შესაბამისი სამედიტაციო საგანი და რამდენადაც სილაშიც გაცნობიერდა, მაშინ შეუძლია სერიოზულად შეუდგეს საქმეს. ეს პირველი სტადია ბასიათდება შინაგანი ფსიქიკური დაძაბულობით უურადღების უშუალო საგანზე კონცენტრაციასა (რაც მედიტაციის ობიექტს წარმოადგენს) და უურადღების გამფანტველ აზრებს შორის, რომლებიც ხელს უშლიან კონცენტრაციას. ეს დაბრკალებანი, უპირველეს უოვლისა, თავს იჩენენ შემდეგი სახით: სხვადასხვა სურვილები; ნების-

ყოფის სისუსტე, სასოწარკვეთილება და ბრახი; უხალისობა და უმოძრაობა; ალღელები და მოუსვენრობა; ეჭვი და სკეფზისი. შეუპოვარი მეცადინეობის მეშვეობით ადამიანი შეიძლება დაძლევს ამგვარ დაბრკალებებს, რას შედეგადაც ძლიერდება კონცენტრაციის უოვლობა. რევენ ცნობიერების ის კომპონენტები, რომლებიც მოგვიანებით ჩაღრმავების, წვდომის პროცესში სრული ძალით ამოქმედდებიან. ეს სამადლის პირველი მნიშვნელოვანი რეზულტატია. რადგან ეს ის საფეხურია, რომელმაც ადამიანი სრულ ჩაღრმავებაში შეჰყავს. მას „საწყის“ კონცენტრაციას უწოდებენ.

კონცენტრაციის ეს მდგომარეობა შეიძლება შევადაროთ ბავშვის სიტუაციას. რომელიც, მართალია, ჯერ კიდევ ვერ ახერხებს სწორად დგომას, მაგრამ განუწყვეტლივ ცდილობს ამას. სრული ჩაღრმავებისათვის დამახასიათებელი მენტალური (ე. ი. აზრობრივი) ფაქტორები საწყის საფეხურზე ჯერ კიდევ არამყარია. ეს მომენტი ასე იოლად არ დგება, ხოლო გონება განუწყვეტლივ შერეობს მათხა და „შინაგან მონოლოგს“, ჩვეულებრივ ფიქრებსა და უწყსრიგოდ, უმიზნოდ მიმდინარე აზრებს შორის. მედიტატორი ჯერ კიდევ ახდენს რეაგირებას გრძნობად გამლიწიანებლებზე და აღიქვამს გარესამყაროს ხმაურსა თუ თავის სხეულებრივ მდგომარეობებს. პირველადი ობიექტის, (ანუ სამედიტაციო საგნის) მეოხებით, მართალია, ითრგუნება აზრები, მაგრამ მედიტატორი მთლად მაინც ვერ ეუფლება გონებას. ამ საფეხურზე შეიძლება (მაგრამ ხაჭირი არ არის) წარმოიქმნას შემდეგი გრძნობები: სიზარული და დიდი აღტაცება (ექსტაზი), ბედნიერება და კმაყოფილება, სრული სიმშვიდე; პირველად ობიექტზე უურადღების პირველივე მიქცევისას ადამიანს შეიძლება ეგონოს, რომ ის შემთხვევით აღმოჩინა, შემთხვევით წააწყდა, ხოლო კონსტატური კონცენტრაციისას კი ობიექტს კვლავ და კვლავ ახლიდან აღიქვამს. ზოგჯერ ჩნდებიან მოციმციმე ფიგურები და კაშკაშა გაელვებანი, უპირველეს უოვლისა კი მაშინ, როცა სამედიტაციო ობიექტი კამინა (kamina), ე. ი. სუნთქვაა ამ საფეხურზე, რომელზეც გონება „გახსივოსნებული“ კი არის, მაგრამ ჯერ კიდევ უთმობს უურადღებას საგნებისა და მოვლენების სახელებსა და ფორმებს, ზოგჯერ მედიტაციის სპეციფიკური ცნობიერების მდგომარეობებთან დაკავშირებული ბილვები იჩენს თავს. შესაძლოა წარმოიქმნას აგრეთვე სხეულის სიმსუბუქის შეგრძნება, თითქოს ადამიანი ჰაერშიაო. საწყისი კონცენტრაცია ჯერ კიდევ ძალზე დაბილურ მდგომარეობას წარმოადგენს და თუ ახლა მისი სტაბილიზაცია შეუძლებელია, ე. ი. სრულ ჩაღრმავებას ვერ ვახდენთ, მაშინ

იგი იმით მაინც უნდა იქნას შენარჩუნებული, რომ მოკვირიდოს ხელისშემშლელ, ე. ი. უურადღების გამფანტველ მოქმედებებს და შეხვედრებს. პირველად ობიექტზე გონების განუწყვეტელი მიმართების შედეგად დგება მომენტი, რომლის დროსაც პირველად ხდება კავშირის სრული განწყვეტა ბუნებრივი ცნობიერების მდგომარეობასთან. ეს არის თხიანა (jhana), სრული ჩაღრმავება, „ჩაშვება“ გონება თითქმის ობიექტში „ეშვება“, „ეფლობა“ და მთლიანად შედის „იჭრება“ მასში. აღარ არსებობს უურადღების, გონების გამფანტველი აზრები, გრძნობადი აზრები, გრძნობადი აღქმა, საკუთარი ტკივილი. უწყვეტი უურადღების გარდა პირველად ობიექტიან აღარაფერს „აქვს საქმე“ აღტაცებით და ნეტარების გრძნობის გამოკლებით. „აღტაცებას“ და „ნეტარებას“ შორის განსხვავებაა: თხიანას პირველ საფეხურზე აღტაცება (ექსტაზი) მგავს დაკმაყოფილებას და სიხარულისაგან აღელვებას, რომელსაც ადამიანი მაშინ განცდის, როდესაც ბოლოს და ბოლოს რაიმე დიდი ხნის ნანატრს მიიღებს. ნეტარება კი ამ დიდი ხნის ნანატრით ტკბობაა ექსტაზი შეიძლება გამოვლენილ იქნას როგორც სხეულზე ბუხესების დაყრა. ელვისებურად წარმოქმნილი და კვლავ გამქრალი სიხარული. სიხარულის, ხალისის სულ უფრო და უფრო ახალი ტალღებით სხეულის შეფრქოვლება, უწონობის გრძნობა და უოვლისმომცველი ბედნიერების განცდა. რომელიც მთლიანდ ეუფლება ადამიანს. ნეტარება არის ხანგრძლივი ექსტაზის წყნარი, სტაბილური მდგომარეობა.

თხიანას პირველი განცდა წარმოადგენს მხოლოდ მოკლე აღქმის მომენტს. მაგრამ დაუღალავი შეყვანილობის წყალობით ადამიანი ახერხებს თხიანას ხანგრძლივი დროის მანძილზე შენარჩუნებას. სანამ მედიტატორი თხიანას მტკიცედ არ დაეუფლება, იგი (თხიანა) არასტაბილური ცნობიერების მდგომარეობად რჩება, რომელიც კვლავ „ხელიდან უსხლტება“. ნამდვილ ოსტატობასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა მედიტატორს თხიანას პირველი საფეხურის მიღწევა შეუძლია — როცა უნდა, რა სწრაფად და რამდენ ხანსაც უნდა.

საწყისი საფეხურის მიღწევისას ხერხოდ აღარ ხდება უურადღების გაფანტვა; (თხიანას პირველ საფეხურზე ყველა აზრი, ფიქრი დაღაგებულია). თხიანას მეორე საფეხურის წდვარზე წყდება კონსტანტური უურადღება საკონცენტრაციო საგნის (ანუ პირველი ობიექტის) მიმართ. ეს პროცესი შემდეგნაირად ხდება: ჩაღრმავება—წვდომის პირველი საფეხურის მიღწევა პიჭველადი ობიექტის მეოხებით და შემდეგ წინასწარ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე გონების მიმართვა, „შეჭრა“ ექს-

ტაზსა და ნეტარებაში პირველად ობიექტზე რაიმე აზრის გაშახტალების გარეშე წვდომის ეს საფეხური უფრო სუბტილურია ვიდრე პირველი. მაგრამ უფრო სტაბილურია. გონება უკვე სრულიად თავისუფალია ვერბალური ფორმულირებებისაგან და უფორმალური ხანის წარმოდგენებისაგან, რომელზეც გამოიყვებით პირველადი ობიექტით. თხიანას საფეხური ისევე უნდა იქნას დაძლეული, როგორც მისი წინამავალი. როცა მედიტატორი დაძლევს თხიანას მეორე საფეხურს, „გამოვა“ მისგან და მას რეტროსპექტულად „შეხედავს“. მას ექსტაზის ერთგვარი მღელვარების გრძნობა შეიპყრობს. თხიანას მესამე საფეხური მიიღწევა პირველადი ობიექტის ხელახალი კონტემპლაციით, რომლის დროსაც ყველა აზრი თანამიმდევრულად ჯერ პირველად ობიექტს, შემდეგ კი შემოადნიშნული ექსტაზის მდგომარეობას შეერწყმის; ენივთება. ჩაღრმავების მესამე საფეხურს ახასიათებს სიმშვიდე-უშფოთველობა და ახლა უკვე „გულგრილი დამოკიდებულება“ უმაღლესი აღტაცების გრძნობის მიმართაც კი, რაც ამ ექსტაზის თანდათანობით ქრობაში გამოიხატება. თხიანას ეს საფეხური წარმოადგენს განსაკუთრებულ სუბტილურ მდგომარეობას და ამ ეტაპზე მიღწეული უშფოთველობა-სიწყნარის გარეშე გონება კვლავ ექსტაზის მდგომარეობაში იქნებოდა. მედიტატორს უსაზღვრო ნეტარების გრძნობა იპყრობს და როდესაც ამ საფეხურს ტოვებს, მას სხეულის უკანასკნელ უჭრედებამდე აქვს გასიგრძელებული ეს ნეტარება, რის მეოხებითაც გონება ამ სუბტილურ სფეროებში ერთაზროვნად მხოლოდ თავისი მიზნისკენ არის მიმართული და ექსტაზის ტალღებსაც თრგუნავს.

როდესაც მედიტატორი ხელახლა გაივლის თხიანას საფეხურთა რიგს და ამახთან მენტალური და ნეტარების უოველგვარი სახისაგან გათავისუფლდება, იგი მეოხზე საფეხურს მიაღწევს. ნეტარების გაქრობის შემდეგ სრული ძალით ამოქმედდებიან და ვითარდებიან სიმშვიდისა და კონცენტრაციის ფაქტორები. დაძლეულია ყველა მენტალური ცნობიერების მდგომარეობა, რომლებიც შესაძლებელია დამაბრკოლებელი უოფილიერ ამ ორი ჯერ კიდევ არსებული ფაქტორისათვის. ამ დროს სრულიად გამქრალია სხეულეებრივი ვნება-მოთხოვნალებანი; ტკივილის შეგრძნებანი თხიანას პირველ საფეხურზევე შეწყდა. აღარ არსებობს შეგრძნებანი და ფიქრები, რაიმე აზრი. ამ განსაკუთრებულ სუბტილურ საფეხურზე გონება აბსოლუტურად წყნარია და მხოლოდ ერთადერთ საგანზეა მიპყრობილი. ჩაღრმავების უოველ საფეხურზე თანდათანობით წუნარდება როგორც გონება, ასევე ხუნთქვა. მეოხზე სა-

ფაქტურზე სწრაფად მოდიანად წყდება. აქ კონცენტრაციის უკვე ხელს აღარაფერი უშლის თბიანას ყოველი საფეხური მის ქვემოთ საფეხურს ეფუძნება. ვიდრე გონება თბიანას ერთ საფეხურს მიადევნებს, იგი თანმიმდევრულად გაივლის ყველა ქვემოთ საფეხურს და ახდენს მათი კომპონენტებას ელიმინირებას. გარკვეული წვრთნის შემდეგ თითქმის მომენტალურად ხდება თბიანას საფეხურების გავლა, რადგან გონება ცალკეულ საფეხურების გავლისას თვითოეულ საფეხურზე მხოლოდ მცირე ცნობიერების მომენტის განმავლობაში ყოველდება, იმის მიხედვით, თუ რამდენად ხდება მენტალური ფაქტორთა ელიმინირება. ძლიერდება კონცენტრაცია.

„უფორმო“ თხიანა

კონცენტრაციის განვითარების შემდეგ ეტაპს წარმოადგენს ოთხი ცნობიერების მდგომარეობა, რომლებიც დახასიათებულია როგორც „უფორმო“, მას შემდეგ, რაც გავლილია თბიანას პირველი ოთხი საფეხური მატერიალურ ხაზზე ნიშარტული კონცენტრაციის მეოთხით და მიხვან წარმოქმნილი წარმოდგენით. ვაღწევთ ცნობიერების უფორმო მდგომარეობებს საგანთა ფორმისა და გამოსახულების ყოველგვარი აღქმის მიღმა, როდესაც მენტალური ფაქტორების „გამორთვათ“ თბიანას პირველი ოთხი საფეხური მიადწევა, თბიანას უფორმო ცნობიერების მდგომარეობის დროს ხდება ტოტალური დაძლევა იმ საფეხურისა, რომელიც მომდევნო საფეხურის მიდწევას ხელს შეხაძლებდეს. თბიანას ყველა უფორმო ცნობიერების მდგომარეობისათვის ხაერტოა, დახასიათებულია კონცენტრაცია და სიწყნარე, რომლებიც უფრო და უფრო სუბტილური ხდება საფეხურიდან საფეხურამდე.

პირველი უფორმო ჩადრმავება — თბიანას მეხუთე საფეხური — მიადწევა მას შემდეგ, როცა ერთ-ერთი „კახიანას“ ხაშუალებით ხდება თბიანას მეოთხე საფეხურის გაცნობა. მედიტატორი გონებაში შეძლებისდაგვარად აფართოებს „კახიანას“ ხაზდრებს და როგორც ასეთი, ყურადღებას მიმართავს ხაზდრებს, მიღმა ყოფს სივრცეზე. კონტემპლაციის ობიექტის უხასრულო სივრცისა, სრულად გამოვლენილი განვითარებული კონცენტრაციისა და გონების სრული გაწონასწორების მეოთხით გონება ახლა უკვე ისეთ სფეროში ექცევა, რომელშიც შეწევნულია საგანთა ფორმისა და გამოსახულების ყოველგვარი აღქმა, იგი ისე მტკიცედ მკვიდრდება სუბლამურ ცნობიერების ამ საფეხურზე, რომ მას ხელს ვეღარ უშლის ანდა

ვერ „ამოადრებს“ გარე გრძობადი გამდიდრებელი. თუმცა გრძობადი აღქმის მქონეები ყველა ინარჩუნებენ არსებობას თბიანას მეოთხე საფეხურზე. მაგრამ თუ ყურადღებას შევნიშნავთ, მაშინ ჩადრმავება შეეძლება შემდეგი საფეხური (მეხუთეს დაუფლების გავლის შემდეგ) მაშინ მიადწევა, როცა მედიტატორი, ნათლად აღიქვას რა უხასრულო სივრცეა, ყურადღებას უხასრულო ცნობიერების, აღქმის ელემენტს მიაყრობს, ამით აზრი გადადის უხასრულო სივრცეში, რომლის დროსაც რჩება უობიექტო უხასრულო ცნობიერება. ეს არის თბიანას მეექვსე საფეხურის დახასიათებული ნაშანი. როდესაც მედიტატორი თბიანას მეექვსე საფეხურს დაძლევა, იგი შეშვიდეს მიადწევს, რომლის დროსაც იგი ჯერ მეექვსეში შედის, შემდეგ კი უხასრულო ცნობიერების არარსებობას თავისი კონტემპლაციის საგნად აქცევს. მაშახადამე, თბიანას მეშვიდე საფეხური ჩადრმავება არახაზობრიობაში, სიწყნარეში, ეს ნიშნავს, რომ ცნობიერების საგანი არის ყოველგვარი ობიექტის არარსებობა, როდესაც მედიტატორი თბიანას ამ საფეხურს დაძლევა და შემდეგ ყველა მოხედავს გონების ყველაფერს, მისთვის ყოველგვარი აღქმა დაბრკოლებად ჩანს, რადგან მხოლოდ მის გარეშე შესაძლებელი უმაღლესი ცნობიერების მდგომარეობა.

ამგვარი მოტივებით მედიტატორს შეუძლია მიადწიოს თბიანას მეჩვიე საფეხურს, რომლის დროსაც იგი ჯერ მეშვიდეში შევა, შემდეგ კი ყურადღებას (რომელიც სიყარელის აღქმაზე იყო გამახვილებული), სრულ სიწყნარეზე გადაიტანს; როდესაც გონებას დრმა სიწყნარე დაუფუფლება, იგი აღწევს ულტრა-სუბტილურ მდგომარეობას, რომელშიც მხოლოდ მენტალური ფორმების ნიშნებია არსებობენ. აქ უკვე აღარ არსებობს ჩვეულებრივი აღქმა, ამდენად, ადგილი აქვს „არააღქმას“. თბიანას ეს მეჩვიე საფეხური დახასიათებულია როგორც „არც აღქმა“ და არც „არააღქმა“ აქ ცნობიერების ყოველ ფაქტორს ყოფის სუბტილურობის იგივე ხარისხი ენიჭება ვისუფდენიშაგა თბიანას მეჩვიე საფეხურის მენტალური ცნობიერების მდგომარეობის შესახებ წერს: ის, რაც არ არსებობდა, არ იყო, გაჩნდა, გაჩნდა თუ არა, ყველა გაქრა“. ლამა გოვინდა (1881) ცნობიერების ამ მდგომარეობას ახასიათებს როგორც აღქმის უკიდურეს ზღვარს. გონება ისეთივე მდგომარეობაშია, როგორც სხეული: თბიანას უფორმო ცნობიერების მდგომარეობებში ნივთიერებათა ყველა სულ უფრო ნელა მიმდინარეობს, მეჩვიე საფეხურამდე, რომლის დროსაც კახიანასი (kashyaps) დეფინიცია უხი-

ქოლოგიურ პროცესებსაც ეხება: საქმე გვაქვს იხეთ განსაკუთრებულ სუბტილურ მდგომარეობასთან, რომ ვერ დავახვეწით, არსებობს ცნობიერების ეს მდგომარეობა თუ არა.

თხიანაში წარმოქმნილი ცნობიერების მდგომარეობები შეესატყვისება იმას, რასაც ვისუდღბიმაგვას სისტემაში „ბრამას საშფლობედო“, „ნათელბილვის სფეროები“ და „წმინდა სამყოფლის საფეხურები“ ეწოდება. რამდენადაც თხიანას ცნობიერების მდგომარეობები თავისუფლდებიან გრძობადი აღქმის, აზროვნების, დროისა და სივრცის რელატიურობებისაგან და აღივსებიან ნეტარებისა და აბსოლუტური უშფოთველობა-სიწუნარის მდგომარეობით. იმდენად უოფიერების ეს სხვა სფეროები თხიანას დიმენსიებში (განზომილებებში) არსებულად აღიქმება.

სუპრანორმული ძალები

თხულები ნაწილი სუპრანორმული ძალების შესახებ დასავლური თვალსაზრისით ვისუდღბიმაგვას, უველაზე უფრო საკამათო ადგილია რადგან იგი (ვისუდღბიმაგვა) ფენომენებს განიზილავს როგორც რეალურ ფაქტებს, იმ ხაზღვრებს მიღმა რომ იჩენენ თავს, რომლებიც აღმოჩენილ იქნა თანამედროვე საბუნებისმეტყველო კვლევის შედეგად. ვისუდღბიმაგვას მიხედვით სუპრანორმულ ძალებს მიეკუთვნებიან: ტელეპათია (სხვათა აზრების წაკითხვა), წინასწარკვრეტის უნარი, საგნების მატერიალიზაცია, დიდ მანძილზე ზედვა და სმენა, წვალზე სიარული, პაერში ფრენა და ა. შ. კიდევ უფრო საინტერესოა შემდეგი: ვისუდღბიმაგვა სკრუპულოზურად აღწერს, როგორ სრულდება, როგორ მიმდინარეობს ეს პროცესები. მაშინ როცა დასავლური მეცნიერება ჭერაც ვერ შეჭყუებია იმ აზრს, რომ ეს საერთოდ შესაძლებელია. მაგრამ ეს ფაქტები აღიარებულა უველა საშედიტაციო სკოლის მიერ როგორც უშაღღესი ცნობიერების მდგომარეობათა თანამდევი მოვლენები. ვისუდღბიმაგვა მათ მიიჩნევს კონცენტრაციის შედეგად მიღწეულ რეზულტატად. მაგრამ ამასთანავე თვლის, რომ ეს ძალები დაბრკოლებას წარმოადგენს უშაღღესი ცნობიერების მიღწევის გზაზე და აუენებს მკაცრ პირობებს (განმარტავს რა, რომ ამ ძალების დაუფლება ძალზე ძნელია და „ხელიდან ადვილად სხლტება“). რომელთა მიხედვითაც უნდა იქნას გამოყენებული სუპრანორმული ძალები. მათი გამოყენება მოითხოვს გონების უშაღღეს ფლობას, უპირველეს ყოვლისა კი ადამიანი უნდა ფლობდეს გონებაზე კონტროლის

სხვადასხვა მეთოდს. გარდა ამისა, მას გავლილი უნდა ჰქონდეს თხიანას უველა რვა საფეხური რომლის დროსაც საჭიროა ურველი მეორე კახინასა და თხიანას ურველი მეორე საფეხურის გამოტოვება. შემდეგ ურველივე ეს უნდა ვაკეთდეს შებრუნებულ მდგომარეობით. ვისუდღბიმაგვა თვლის, რომ ურველი 100 000 ანდა ერთი მილიონი ადამიანიდან მხოლოდ ერთი თუ აზრებს ამ ძალების დაუფლებას. მოთხოვნილება იმისა, რომ უურადღება გამაზვილდეს, ვინმეს აჩვენონ თავისი უნარ-შესაძლებლობანი, „ნაკლოვანებად“ არის მიჩნეული. რა განაკვირია, რომ დასავლელი პარაფსიქოლოგები ჭერაც ეჭებენ ადამიანს, რომელიც ფლობს აღნიშნულ სუპრანორმულ ძალებს, როგორცაა, მაგალითად ტელეკინეზი (Telekinese) და სუპრანორმული სმენა.

ბუდისტური თვალსაზრისით სუპრანორმული ძალების ფლობას ნაკლები ხარგებლობა მოაქვს და მას სულიერი გათავისუფლების გზაზე არავითარი ღირებულება არ გააჩნია. ასეთი ძალები დაბრკოლებას უქმნიან ადამიანებს, რომელთაც ჭერ არ მიუღწევიათ ნირვანას მდგომარეობისათვის, რადგან ისინი (სუპრანორმული ძალები) ზრდიან საკუთარი თავის ფასის შეგრძნებას და ამით აძლიერებენ მე-სთან კავშირს. ბუდისტური ტრადიციის მიხედვით ეს ძალები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სხვათა საკეთილდღეოდ. ბერთა კავშირის წევრებისათვის შეურაცხყოფად ითვლება, თუ ბუდისტი ბერი არასახულიერო პირობა თვალწინ ახდენს ფსიქიური ძალების დემონსტრირებას, რასაც ვერ ფლობენ ჩვეულებრივი ადამიანები. ხოლო ცრუ მტკიცება იმისა (ანუ ტყუილის თქმა), ამ ძალებს ვფლობო, ორდენიდან გაძევებას მოასწავებს.

პრაქტიკა

ვისუდღბიმაგვას თვალსაზრისით, თხიანას დაუფლება, იხევე როგორც მისგან წარმოქმნილი უშაღღესი ნეტარება და სუპრანორმული ძალები დაქვემდებარებული მნიშვნელობისაა პრაქტიკაში — შესაცნობი სიბრძნის განვითარებასთან შედარებით. თუმცა თხიანა დასრულებული სავარჯიშო პროგრამის ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ მისი მიზანი, უპირველეს ყოვლისა ის არის, რომ გონება დახვეწილი და მოქნილი გახდეს პრაქტიკაში განსავარჯიშებლად. მართლაც, კაღის, ანუ ვისუდღბიმაგვას ენაზე სამადხის ქვედა საფეხურებს ზოგჯერ კონცენტრაციის თამაში ეწოდება, იმ პირობა „თამაში“, რომლებმაც უკვე უშაღღეს დონეებს მიაღწიეს ამ სა-

ვარჯიშოთა დაუფლებისას. მაგრამ ამ წვრთნის არსებითი ნაწილია გზა, რომელიც იწუება გონების უნარ-მოქმედების დახვეწით, მისი ცხოველშეყოფილობით (satipatthana) და წვდომის ჩაღრმავების (vipassana) წყალობით) რასაც მედიტატორი ნირვანაში შეხვავს.

პირველ ფაზაში წყდება სტერეოტიპული აღქმა. ადაშიანს თანდაყოლილი მიდრეკილება აქვს, „მიეჩვიოს“ თავის გარემომცველ სამყაროს, უშუალო გრძნობადი გამოცდილება აბსტრაქტული სააზროვნო ანდა თავიდანვე მზა აღსაქმელი მოდელებით შეცვალოს. ადაშიანი გამოიმუშავებს ისეთ გონებრივ თვისებებს, რომ ამ დროს ხდება ადრინდელი თვალთახედვის შეგნებული გადაჩვევა, ე. ი. გამოცდილების ფაქტებზე უურადლების გამახვილება და უოველი მოვლენის ისეთი თვალთ დახახვა, თითქოს ის პირველად ხდებოდეს. გადაჩვევის მეთოდი გამოიხატება იმაში, რომ მედიტატორი აღქმის პირველ ფაზას, რომელშიც გონება უფრო რეკეპტულად მოქმედებს, ვიდრე რეაქტიულად (ე. ი. რეაქციისაგან გამოწვეული), განუწყვეტელ კონტროლს უწევს. ამასთან უურადლება მიპრობილია მხოლოდ დაკვირვების საგნების აღქმაზე. როდესაც მედიტატორი უურადლებას ამახვილებს გრძნობად შთაბეჭდილებებზე, მისი რეაქციები მხოლოდ დაკვირვებამოხდენილი ფაქტებით არის შემოფარგლული. თუკი ამის გარდა მას რაიმე კომენტარი, აზრი, ან მსჯელობა მოუვია თავში, მაშინ ისინი თავის მხრივ უშუალო უურადლების საგნად იქცევიან. მათი არც უკუგდება ხდება და არც გახდენა, არამედ, მას შემდეგ, რაც მათი რეგისტრირება მოხდება, ისინი უბრალოდ გაქრება. გონებრივი ქმედითობის, ცხოველშეყოფილობის არსი ნიანაპონიკა ტბერას სიტუაციით წმინდა, დაუმახინჯებელი ცნობიერებაა იმი-სა. რაც აღქმის ცალკეულ მომენტებში ნამდვილად ჩვენთან ერთად და ჩვენში ხდება.

გონებრივი ქმედითობის გამომუშავების ინტენსიური მცდელობისას პრაქტიკულ გამოცე-ნებას პოულობს მანამდე განვითარებული კონცენტრაცია. გონებრივი ქმედითობის განვითარებისათვის ოპტიმალური კონცენტრაციის საფეხურს წარმოადგენს უველაზე ქვედა: საწყისი საფეხური: გონებრივი ქმედითობა თან უნდა სდევდეს ბუნებრივი ცნობიერების გააზრების პროცესს. მაგრამ თბიანას პირველი საფეხურიდანვე ეს პროცესები შეჩერდებიან. მეორე მხრივ კონცენტრაციის ერთ-ერთ საფეხურზე გონებრივი ქმედითობის ვარჯიშებს აფერხებენ ხელისშემშლელი აზრები და გონების ადრინდელი მდგომარეობა. სრული წონასწორობა მხოლოდ საწყის საფეხურზე ხუფეხს:

სააზროვნო და აღქმის შესაძლებლობანი სრულ-უნარიანი რჩება, კონცენტრაცია კი საქმოდ ძლიერია, რომ აღკვეთოს გონების უოველი გადაზრა სააზროვნო და აღქმის პროცესების მუდმივი დაკვირვებიდან.

გონებრივი ქმედითობის განვითარების უველაზე უფრო მიღებული მეთოდი თბიანაში წინახწარ ვარჯიში. მას შემდეგ, რაც მედიტატორი სამადბიში წვრთნისას ოსტატობის გარკვეულ დონეს მიღწევს, იგი კონცენტრაციის უნარს გონებრივი ქმედითობის გამოსამუშავებლად იყენებს. არსებობს აღქმის, ჩაღრმავების ისეთი მეთოდი, რომლის საშუალებითაც ეს ვარჯიშები ჩაღრმავების წინახწარი მიღწევის გარეშე მიიღწევა. აქ ჩაღრმავებისათვის საჭირო საფეხური თვითონ მიიღწევა გონებრივი ქმედითობის განსავითარებელი სავარჯიშოების შესრულების დროს. ამ დროს მედიტატორს განუწყვეტლივ ეფანტება გონება „მოფარფატე“, ხელისშემშლელი აზრებისაგან, რომელთაც ადგილი აქვთ დაკვირვების მომენტებში. ეს აზრები, ფიქრები ზოგჯერ აღიქმება, ზოგჯერ კი არა. დასაწყისში გონების ხანმოკლე კონცენტრაცია ფენომენების დაკვირვებაზე ისე ძლიერდება, რომ ბოლოს, პრაქტიკულად, უველა „მოფარფატე“ აზრის რეგისტრირება ხდება. ისინი რეგისტრირებისთანავე ქრებიან და იმწამსვე შეიძლება ვარჯიშის კვლავ გაგრძლება. ბოლოს მიიღწევა მომენტი, რომლის დროსაც გონება გაუფანტველი ხდება. მაშინ უკვე დაუბრკოლებლად ხდება დაკვირვება აღქმისა და სააზროვნო პროცესებზე. ცნობიერების ამ მდგომარეობას იგივე ფუნქცია აქვს, როგორც კონცენტრაციას ქმონდა საწყის საფეხურზე.

პრაქტიკაში გონებრივი ქმედითობის ოთხი სახე ვხვდებო, რომელთაც, მართალია, იდენტური ფუნქცია აქვთ, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმ პუნქტით, რომლისკენაც განსაზღვრულ დროს თვითონვე არიან მიპრობილი. კონტემპლაცია შეიძლება მიპრობილ, მიმართულ იქნას სხეულზე, გრძნობებზე, გონებაზე და აზროვნების ობიექტებზე. ამ დროს ხდება სხეულებრივი მოქმედების, აქტიურობის უოველი მომენტის, მაგალითად, სხეულის ორგანოების მდგომარეობის და მოძრაობის გააზრება შესრულებული მოქმედების სახისაგან დამოუკიდებლად. უოველდღიურ ცხოვრებაში სხეულის უველა, უოველგვარი მოქმედება ზუხტად, ზედმიწევნით უნდა იქნას აღქმულ-გააზრებული მისი მიმდინარეობის უბრალო რეგისტრირების საფუძველზე. ამ დროს საჭიროა უოველ შინაგან შეგრძნებაზე კონცენტრაციის მოხდენა, სახამოვნო არიან ისინი, თუ არა. ჩვეულებრივ ხდება უოველი პროპრიოცეპტი-

ტანჯვა-კაშინის წყაროდ (პალი: dukkha).

კონტემპლაცია უკვე ამ ხაზის გააზრებების გარეშეც გრძელდება. ამას მოჰყვება სტაღია, რომლის დროსაც ნათლად აღიქმება უოველი ერთმანეთის მომდევნო კონტემპლაციის ობიექტების წარმოქმნა და გაქრობა. იმავედროულად, აღქმის ახეთივე სიმძაფრით წარმოჩნდება იმ შემდეგი ფენომენები:

ხილვა მოციმციმე. მბრწყინავი სინათლისა ანდა სინათლის სხვაგვარი ფორმისა, რომელიც მხოლოდ რამდენიმე წამი, ზოგჯერ კი უფრო მეტხანს გრძელდება.

უდიდესი აღტაცება (ექსტაზი). რომელიც ბუნების დაურას იწვევს. სხეულის ორგანოების თროთლა, ლევიტაციის შეგრძნებები და ა. შ. (შდრ. თხიანას პირველი საფეხურის აღწერა).

გონებისა და სხეულის დრმა სიმშვიდე; ორივე მსუბუქი და მოქნილი ხდება და მედიტატორი თავისუფლად ფლობს მათ.

გატაცება და რწმენა, რომელიც ემუარება მედიტაციის უპირველესი მახასიათებლის — ბუღას მოძღვრებას და სანჯხას (sanga). რასაც თან ახლავს სიხარულით სავსე ნდობა მედიტაციის ეფექტურობისადმი და სურვილი — ურჩიოდ მედიტაციის ჩატარება შეგობრებნა და ნათესავებს:

უშრეტო ენერჯია კონტემპლაციის დროს (რომელიც არც დუნედ შესრულდა და არც ზედმეტი დაძაბვით).

მთელ სხეულს ამადლებული, დაბვეწილი ბუნდირების გრძნობა ეუფლება: ჩერაც გაონუსდელი, უსასრულო ნეტარება „აიძულეებს“ მედიტატორს, სხვებსაც გაანდოს ეს არაჩვეულებრივი განცდა.

დასაკვირვებელი ფენომენების სწრაფი და მკაფიო აღქმა; დაკვირვება ზუსტი, ინტენსიური და მკაფიოა და წამსვე ნათლად ცნობიერდება ცვალებადობის, „უშეობის“, დაუკმაყოფილებლობის დამახასიათებელი ნიშნები:

ინტენსიური გონებრივი კმედითობა ჩადრმავების, წვდომის სავარჯიშოების შებრუნების დროს ისე, რომ დამკვირვებელი, შემშვეცნებელი გონება იოლად „ბუღავს“ უველა რიგ-რიგად წარმოქმნილ ფენომენს:

სუბტილური „ტყვეობა“. კავშირ-დამოკიდებულება სინათლის მოვლენებთან, სხვა აქ ხამოთვლილ ფაქტორებთან და კონტემპლაციის სურვილთან;

სრული სიმშვიდე უოველი მენტალური წარმოსახვისადმი;

მედიტატორი ამ ათი ფენომენის წარმოჩენისას მდელვარე სიხარულს გრძნობს და შესაძლოა სხვებსაც გაუზიაროს თავისი განცდები, მიიჩნევს რა, რომ მან განახორციელა ნათელ-

ხილვა და მიადწია მიზანს სამედიტაციო სავარჯიშოების მეშვეობით. თუნდაც არ ფიქრობდეს, რომ ეს მის ვითარებისთვის (ე. ი. ნათელხილვის მიღწევას). მოახსენებს მან შეიძლება მაინც შეწუვიტოს სავარჯიშოები მცირე ხნით, რათა მთლიანად მისთვის განკუთვნილ მოგერილ სიხარულს, ამითვე სავარჯიშო საფეხური, რომელსაც „ცოდნა წარმოქმნისა და ქრობის“ შესახებ ეწოდება, უსრულდებინაგვაში მოხსენიებულია ქვესათაურით — „შეცნობის, ჩადრმავების ათი კორუფცია“. ეს უსრულდონირუანა: ამასთან მთავარი საშისროება იმაში გამოიხატება, რომ „რაც არ არის ბილიკი, მიჩნეულ იქნას ბილიკად (ე. ი. განავლელი საფეხური)“ და მერუეობა წვდომის, შეცნობის დროს, რადგან მედიტატორი შემოადრინული ფენომენების ტყვეობაშია. თუ მედიტატორი არ გაითვალისწინებს საკუთარ ძალას ან მახასიათებლის რჩევას იმის შესახებ, რომ ეს განცდა მხოლოდ ეტაპია განავლელ გზაზე და არა უკვე მიზანი, მაშინ იგი მათზე ანდებს კონტემპლაციის კონცენტრირებას, რაც სრულიად არა სწორია.

ამის შემდეგ მედიტატორი ამჩნევს, რომ ამგვარი შეგრძნებები თანდათანობით ქრება, ხოლო ობიექტების აღქმა კი მეტ სიმძაფრეს იჩენს. გაყოლებით მატულობს განსხვავება ერთმანეთის მომდევნო ფენომენებს შორის, ხოლო ობიექტების აღქმა ხდება შეუმცდარად და სულ უფრო და უფრო სწრაფად. ობიექტების გაქრობა უფრო ნათლად შეიგრძნობა, ვიდრე წარმოქმნა; დამკვირვებელი, განმჭვრეტი გონება და კონტემპლაციის ობიექტი ერთდროულად „იხსნება“ უოველ ახალ მომენტში ამ განცდისაგან გამომდინარეობს მთელი რიგი აღქმებისა — გონებას ეუფლება შიში და თროთლვა: უოველი მენტალური წარმოსახვა რადაც ხაშინელება ეჩვენება; გახდობა — ე. ი. აზრის წარმოქმნა — შიშის მდგომარეობაში ვლინდება. მენტალური ფენომენების წარმოქმნა, რომელიც ჩვეულებრივ სიხარულის წყაროა, წარმოუდგება როგორც შედმივად შემავიწროვებელი მდგომარეობა, რომელსაც უმწეოდ ემორჩილება გონება.

ამის შემდეგ ხაცნაური ხდება, თუ როგორი მცდარია და არადამაკმაყოფილებელი უველა: ფენომენი, თითოეული მენტალური წარმოსახვა მოკლებულია უოველგვარ მნიშვნელობას და არადამაკმაყოფილებელია, ისინი მხოლოდ საშისროებას შეიცავენ. მედიტატორი გრძნობს, რომ უოველი მენტალური წარმოსახვა დასაკვირვებელი თუ როგორღაც ჩერ კიდევ განებაში არსებული, ევლინება უსიამოყნოდ და ცარიელად. უველაფერში, რასაც აღიქვამს, შე-

დიტატორი ხედავს მხოლოდ წვალებას და სიძნელეს.

ამგვარად, როდესაც მედიტატორი უოველ მოვლენაში ფარულ გასაქირს, სიძნელეს, შეიცნობს, იგი მის მიმართ ღრმა ზიზღს იგრძნობს. თუცა იგი კვლავაც ასრულებს ცნობიერების განხავითარებელ ვარჯიშებს, მაგრამ მის გონებაში უკმაყოფილება და უხალისობა დასადგურებელი მენტალურ წარმოსახვათა მიმართ. ავით ფიქრი სრულყოფილ, ბედნიერ ცხოვრებაზე და სასურველ-სანატრელ ამბებზე მას ნაკლებად მიმწილველად და მოხაწუნად უჩანს. იგი სრულიად უგრძობელი გახდა და ანტი-პატიურად განეწყო უოველგვარ მენტალურ წარმოსახვათა ხფეროსადმი და რაიმე ახალი მოვლენის, წარმოქმნის, ბედისა თუ ცნობიერების ნებისმიერი მდგომარეობისადმი.

დაკვირვების, გვრეტის ცალკეულ მომენტებს შორის იბადება, თავს იჩენს აზრი, რომ ხსნა მხოლოდ უველა მენტალურ წარმოსახვათა შეწყვეტაშია. ახლა გონება უკვე აღარ არის „შიღურსმული“ ამგვარ წარმოსახვებზე. მედიტატორს სურს გათავისუფლდეს ამ ფენომენებით მიუყნებული უსიამოვნო შეგრძნებებისაგან. შესაძლოა მთელ სხეულს ტკივილები დაეუფლოს და მას აღარ შეეძლოს ერთ მდგომარეობაში დიდხანს უოფნა. მისთვის უალრესად ცხადი ხდება საკუთარი გონების შინაარსით გამოწვეული უმწეობა, სულის სიდრმემდე გრძნობს მისგან გათავისუფლების მოთხოვნილებას. ეს ძლიერი მოტივაცია, წერტილი დაუსვას უოველ მენტალურ წარმოსახვას, ინტენსიურს ხდის მის მკდელობას, შეიცნოს ეს წარმოსახვანი, რათა მისგან გათავისუფლდეს. ახლა უკვე სრულიად ნათელი ხდება ამ ფენომენების ნატურა — მათი არამდგრადობა, ცვალებადობა — მერუეობა, წვალების ელემენტი და მათი უმეობა. მედიტატორი ამ საფეხურზე ჩვეულებრივ სულ უფრო მეტ სხეულებრივ ტკივილს განიცდის. აქ შემდგომი შეცნობის მკდელობა შესაძლოა დაბრკოლდეს მდეღვარების, მოუსვენრობის მიერ. მაგრამ ტკივილები თანდათან გაქრება მათი შეგნებულად გაცნობიერებით. ამ დროს მედიტაცია სრულიად მახვილი და ცხადი ხდება. მედიტატორი უოველ მომენტში სრულიად ნათლად გაიანგრებს ამ ფენომენების სამ დამახასიათებელ ნიშანს და ამ სამთაგან ერთ-ერთი ეუფლება მის გონებას. ახლა კონტემპლაცია ავტომატურად გრძელდება, სრულიად ძალდაუტანებლად, თითქოს თავისთავად მიმდინარეობს და ვითარდება. ქრება შიშის, სასრწარკვეთილების, გაჭირვება-სიძნელის და სხვა უსიამოვნო შეგრძნებები. სრულიად ქრება ფიზიკური ტკივილები, რაიმე

შეგრძნება მენტალური ობიექტისადმი. მედიტატორს ეუფლება გონების უზომო ხუბლიმური სიყბადე და ღრმა სიმწვიდე უოველი მენტალური წარმოსახვის მიმართ. მედიტატორს აღარ ესაქირება რაიმე შეგნებულ მოვლენის, დონისძიების გამოყენება. მედიტაცია რამდენიმე საათის განმავლობაში რეგულარულად შეუწყვეტლად და დასრულდა. კონტემპლაცია თავისთავად მიმდინარეობს, ხოლო ჩადრმავების წვდომის პროცესი უალრესად სწრაფი და აქტიურია.

ჩადრმავება უკვე კულმინაციას უახლოვდება. მედიტირება ინტენსიური და ნათელია. უოველი მენტალური წარმოსახვა, სახე შეიცნობა, გაიანგრება როგორც არამყარი, მტკივნეული და „უმეო“. უოველი მათგანი აღიქნება როგორც არასასურველი, უსიამოვნო და უცხო. ხდება მათგან სრული გამიჯვნა. მედიტაცია ჩადრმავების კავშირს წყვეტს უოველგვარ მენტალურ სახესთან. შემდეგ წარმოიქმნება ისეთი ცნობიერება, რომელსაც საფუძვლად უდევს „უნიშნობა“, არ მიმდინარეობა, უპროცესობა: ნირვანა. ამ დროს მთლიანად ქრებიან ფიზიკური და მენტალური ფენომენები. ნირვანას განცდის მომენტი პირველად ერთ წამსაც კი არ გრძელდება. უკვე უშუალოდ ამის შემდეგ გაიანგრებს გონება ახლახან მომხდარ ახლახან განვლილ განცდას.

ნირვანა

ნირვანა არის დიდ ფსიქოლოგიურ, თანამიმდევრულ მოვლენათა შედეგად მიღებული კოგნიტიური (შემეცნებითი) შოკი. იგი განეკუთვნება მოვლენათა შეფარდებითი სინამდვილის მიღმა არსებულ იმ სფეროს, საიდანაც წარმოშობილია ჩვენი ენა, მეტუველება და მასასადამე, ნირვანა, განუპირობებლობის ცნობიერების მდგომარეობა, მხოლოდ იმის საშუალებით შეიძლება აღიწეროს, რაც არ არის. ეს არის წარმოუქმნელი, დუბადებელი, შეუქმნელი, განუპირობებელი. თვითონ სიტყვა წარმოშობილია ნეგატიური პრეფიქს ნირ-ისა და ძირის ვანა-საგან (წვა): მასასადამე, იგი არის მეტაფორა რაიმედ გახდომის, განხორციელების, მომავლად ქცევის უველა ფორმის ქრობისა; უოველგვარ სურვილ-მისწრაფებათა და ეგოს ქრობისა. ნირვანას მიღწევის შედეგად საბოლოოდ მოიხსნება ეგოსი და ჩვეულებრივი ცნობიერების ახპექტები. ახლა წვდომის ჩადრმავების პროცესი არსებითად განსხვავდება სამადების დროს არსებულ ჩადრმავების პროცესისაგან ამ ერთადერთ პუნქტში: ნირვანა სპობს ეგოს „საძრახის“ თვისებებს — სი-

ენელობა. მედიტატორი უკვე არაჰანტი (arahant). „აბსოლუტური ნათელმხალველი“, წმინდაა. აგა მანოქსოდ თავანუფლდება ტანჯვა-წვალებებისაგან, უხუცესიდან და ახალი კარმისაგან (ადაჰიანის ბედის დამოკიდებულება მის მოქმედება-საქციელთაგან). რადგან მას მე-ს ცნობიერება აღარა აქვს, მისი უოველი მოქმედება აბსოლუტურად ფუნქციონალურია. საკუთარი წარსულიდან აღარა აქვს შერჩენილი არავითარი შინაგანი ცნობიერების მდგომარეობა, რომლის საფუძველზეც შესაძლოა გონებაში წარმოქმნოდა რაიმე სურვილ-მოთხოვნების, სიძულვილის და სხვა მსგავსი ემოციები. უველა წარსული ნამოქმედარი აღმოფხვრითია, ისევე როგორც უოველი მომავალი ამბავი ეგოს უკანასკნელი „კვალი“, რომელიც ამ ბოლო სტადიაში ქრება, არის: ნებისმიერი სურვილი თუ წყურვილი უოველგვარი ამქვეყნიურა მოგება-სარგებლობისადმი, სახელისადმი, სიამოვნებისადმი და განდიდებისადმი; უოველგვარი სწრაფვა-მოთხოვნალება თვით მატერიალური და უფორმო თბიანას ცნობიერების მდგომარეობებისაოვის დამახასიათებელი ნეტარებისადმი; უველა მენტალური აკვიატება-სიჭიუტე და აღელვება; ნებისმიერი სწრაფვა ამქვეყნიური საგან-მოვლენებისადმი. წარმოუდგენელი, შეუძლებელი ხდება უოველგვარი უხამსი ფაქტები თუ მოქმედება. არაჰანტის დონეზე „უშეობის“, ტანჯვა-ვნებისა და მერყეობა-ცვალებალობის — ამ სამი უველაზე უფრო სუბლიმური ქეშმარიტების შეგრძნება—მოქმედება უოველ მომენტში ევიდენტურია (ნათელია, ცხადია). ვაი ვუ ვაი ცნობიერების მდგომარეობის ამ სფეროს შესახებ ამბობს: „როდესაც ბუდა გამოერკვა, მან ირწმუნა, რომ რასაც იგი აქამდე ტანჯვა-ვნებისაგან განსხვავებით და მასთან შედარებით ბედნიერებად მიიჩნევდა, ის სულაც არ უოფილა ბედნიერება. ამის შემდეგ მისი ერთადერთი „სტანდარტული ზომა“ იყო ანანდა (ananda), ე. ი. ის, რის წარმოდგენასაც ჩვენ ნეტარებად ვცდილობთ. ტანჯვა-ვნება მას წარმოუდგა, განუხაბიერდა როგორც ბედნიერების ნეგატიური სახე, ხოლო ბედნიერება კი როგორც ტანჯვა-ვნების პოზიტიური სახე, ორივე ერთად კი როგორც განცდის, ცნობიერების მდგომარეობებისათვის დამახასიათებო ნეგატიური და პოზიტიური ანპექტები. მაგრამ შედარებით ნუშინოზური მდგომარეობასთან, რომელსაც მხოლოდ იგი ჩაწვდა, შესაძლებელი იყო ორივეს... დუკხად (ტანჯვა, ვნება) მიჩნევა-დახასიათება. დუკხა იყო სუკხას (სიამოვნება, კეთილდღეობა) და მატება, შევსება“.

არაჰანტს „არა მეს“ ქეშმარიტება ადვილად წარმოეხაზება. სუცუკი ამას შემდეგნაირად აღ-

წერს: ვინც ამ საფეხურს მიაღწევს, ჩაწვდება, შეიცნობს „თავისთავად, უშუალო ცოდნით, რომ იმ მომენტში, როცა გონი გაწმენდილ იქნა ჩვეულებრივი ეგოცენტრიკებული იმპულსებისა და მძაფრი სურვილ-მისწრაფებებისაგან, აღარაფერი უნდა ქრებოდეს. რაც ეგოს „თავშეხაფარი იქნებოდა“ მატებისათვის სრულყოფილია აღქმა ვიპასანაში: იგი იცნობიერებს მენტალური პროცესების უმცირეს ხეგმენტებს, ცნობიერების მომენტებს. გადმოცემის თანახმად ბუდამ 17x10²¹ სხვადასხვა ცნობიერების მომენტში უოველი მათგანი წინამავალისაგან და მისი მომდევნოსაგან გამოყოფილად) ერთადერთ წამში შეიგრძნო. როგორც იგი, ასევე არაჰანტიც „ხედავს“, რომ ცნობიერების საკადის ცალკეული ელემენტები უოველ წამში იცვლებიან. ადაჰიანური გონის უნივერსუმში არაფერია კონსტანტური და გარეშე რეალობა გამომდინარეობს საკუთარი შინაგანი უნივერსუმიდან. მაშასადამე, არხად არ არის მუდმივი უცვლელიობა (ან უცვლელი მუდმივობა) და ხანგრძლივობა.

ნიროდი (Nirodh)

ნიროდანთან ერთად არხებობს აგრეთვე მდგომარეობა, რომელიც დასავლეთისათვის თითქმის უცნობია: ეს არის ნიროდი, ე. ი. ჩაქრობა, შეწვეტა. ნიროდანაში ცნობიერების, წვდომის ობიექტია ცნობიერების ქრობა, ნიროდში კი თვითონ ცნობიერება წყდება. ეს არის ცნობიერების და მასთან დაკავშირებული ფაქტორების საბოლოო ქრობა. მხოლოდ „აღარ დაშრუნებულს“, არაჰანტს შეუძლია ნიროდში „შესვლა“, რომელმაც თბიანას უველა საფეხური განვლო. არც ნაკადში „ჩამურყუშულავე“ ბელს“ და არც „დაშრუნებულს“ საქმარისად არ „მოუცილებია“ ეგოს ელემენტები, რათა მან შეძლოს ნიროდისათვის აუცილებელი უშაღლესი კონცენტრაციის განხორციელება ამ სრული სიყარიელის, უმოქმედობის მდგომარეობაში (აქ უკვე აღარ ათქმის ცნობიერების მდგომარეობა, რადგან ნიროდში ცნობიერება აღარ არხებობს) შესვლისას არავითარი შეგრძნება აღარ არხებობს.

ნიროდის მიღწევა მოითხოვს ვიპასანაში დახელოვნებას თბიანას საფეხურებრივად გავლის საფუძველზე, მერვე საფეხურამდე, რომლის დროსაც არც აღქმა და არც არააღქმა. ამ უკანასკნელი ულტრახუბტილური ცნობიერების მდგომარეობის ქრობის შემდეგ მედიტატო-

1. ნუშინოზური — ლეთიებრივი, ზეთშავონებული.

რი ნიროდში შედის. ქრობა აქ „ხვავჯვარად არის რეაქტორი“. ბოლოდან აღარ არსებობს არავითარი რეალობის განცდა-შეგრძნება. აღარ არსებობენ უფორმანობის-სივრცის ცნობიერების მდგომარეობებიც. თუმცა ნიროდი შეიძლება გრძელდებოდეს დროის-დანიშნულიდან შვიდ დღემდე, ეს მდგომარეობა „არ იცნობს“ დროის ცვლილებათ-სხვდებობას. მოქმედი უშუალოდ აღარ და უშუალოდ შემდეგ განიცდება პირდაპირი თა-ნამიმდევრობით. ნიროდის ხანგრძლივობის შეი-დლიანი ზღვარს, შესაძლოა მისი ფსიქოლოგიუ-რი პროცესის თავახებურებით იყოს გაპირობე-ბული: პრაქტიკულად, ცნობიერების ქრობასთან ერთად წყდება გულისცემა და ჩვეულებრივი ნივთიერებათა ცვლა, თუმცა გარვეული ნაწილი ნივთიერებათა ცვლის პროცესისა მაინც გრძელ-დება, ასე რომ, მედიტატორის სხეული გვაში-საგან განსხვავდება. ამ მდგომარეობაში შეს-ლაძლე მედიტატორმა გარკვეული დროის პერი-ოდი უნდა დაინიშნოს, რომელსაც იგი ნიროდში დაქყოფს. ნიროდიდან გამოხვლის შემდეგ იგი უკუთანმამდევრობით კვლავ გაივლის თბიანას უველა საფეხურს, ვიდრე ჩვეულებრივი ცნო-ბიერების მდგომარეობას დაუბრუნდებოდეს. თბიანას შერვე საფეხურზე კვლავ ბრუნდება ცნობიერება, მესამე საფეხურზე აღდგება სხე-ულის ნორმალური ფუნქციები, ბოლო პირველ საფეხურზე კრიტიკული აზროვნება და გრძნო-ბადი აღქმანი

თბიანასა და სამადის შორის არსებობს გან-საკუთრებით სუბტილური, მაგრამ არსებითი განსხვავება. თბიანას შემზადე საფეხური არის უობიექტო აღქმის ცნობიერების მდგომარეობა: არასაგნობრიობა. თბიანას შერვე საფეხურზე თვითონ არასაგნობრიობის აღქმაც კი აღარ შეიძლება დაბასათდეს როგორც მოქმედი. მისი ფუნქცია ლატენტური რჩება და ამიტომ არ შეიძლება მიჩნეულ იქნას არარსებულად: ეს არც აღქმის სფეროა და არც არააღქმისა. ნირ-ვანაში იწვევა საბოლოო ქრობა ცნობიერების მდგომარეობისა, რომელიც არარსებული ცნო-ბიერების შეცნობადობაა. ეს პროცესი ამოგვას პოულობს ნიროდში, სადაც საერთოდ აღარ არსებობს შეცნობადობა. თვითონ თბიანას უშაღდესი საფეხურის მიღწევაც არ შემოქმე-დებს ჩვეულებრივ ეგო-ფუნქციაზე ცნობიერე-ბის მდგომარეობიდან გამოხვლის შემდეგ. მაშინ როცა ნიროდა აუცილებლად იწვევს ეგოს ფუნქციების შეცვლას. ეს ირი განსხვავებული გზა გამოხატავს გონების გამოკვლევისა და დაუფლების კონტინუუმის ორ უკიდურესო-ბას. ვინაც საკმარისი გამოცდილება აქვს, მა-გალითად, თბიანას უფორმო ცნობიერების მდგომარეობაში შესვლისა, იგი ადვილად შეს-ქ-

ლებს ნიროდანს მიღწევასაც. თუკი განიზრახავს, რომ თავისი ძლიერი განიცხიერი კონცენ-ტრაციის ძალა ამოქმედოს, ამიტომ იხინი, რომელთაც ერთ-ერთი ამ ორი მნიშვნელოვნად განსხვავებული გზებისა, ბოლომდე განვლეს, რომელიმე ამ მიმართულებით განსხვავებული არ ეკუთვნის, არამედ ორივეს შორის მდებარე მათიანად დაძლევა სამადის, მაშინ იგი ად-ვილად გაივლის ცნობიერების სხვა მდგომარეობებსაც, რომლის დროსაც განსხვავება მე-დიტაციის გზებს შორის მცირდება. ძენრინში (Zenrin) წერია:

„ძველთაგანვე ერთი გზა არსებობდა“, ვინც „ჩამოვიდა“, ვვილა ამ ერთი გზით „მოვიდი“. დანიელ ბოლუშანის (ამ თავის ავტორის) ბოლოთქმა.

ეს ნარკვევი, რომელიც ბუდას მიერ აღწე-რილ მედიტაციური სპეციფიკური ცნობიერე-ბის მდგომარეობებს ეფუძნება, დაეხმარება მას, ვინაც ამ სფეროში თეორიების დამუშავება და თეორიული გამოკვლევების ჩატარება სურს. ეს იყო ჩემი მიზანი.

მათ, ვინც ხაკუთარ პრაქტიკაზე დაყრდნო-ბით იკვლევენ მედიტაციური ცნობიერების მდგომარეობებს, შეიძლება გამოსადეგად ჩათ-ვალონ და შეიძლება არა ჩემი მოხაზრებები და მედიტაციის სპეციფიკური ცნობიერების მდგო-მარეობების ბუდასეული აღწერები. ზშირად ძალ-ზე ძნელია „გათავისუფლების“, „ნათელხილვის“ მიღწევის გზების, ზერზების, საშუალებების მე-თოდების აღწერა, აქ საზღვრები ცვალებადია დაუდგენელი და განუკვრეტელია. უშაღდესი ცნობიერების მდგომარეობების, ბოლოს კი „ნა-თელხილვის“, „გათავისუფლებისაკენ“ მიმა-ვალი იმდენი მრავალი, სხვადასხვაგვარი გზა არსებობს, რამდენიც ადამიანია ამ გზის გავ-ლის მოსურნე. ამ გზის უოველი აღწერა, ახს-ნა როდი შეესაბამება ცალკეული ადამიანის ცხოვრებისეულ სიტუაციას. სუფიებს აქვთ ასე-თი ანდაზა: „ვინც ეცდება, შეიცნობს, ჩასწვ-დება“. მეხერ ბაბა (Meher Babas) ამბობს: „სულიერი სფეროში არ არის აუცილებელი ზუს-ტად დამუშავებული „საგზაო რუკის“ ქონა. ინსისტირებამ გზის სრულად ცოდნაზე შესაძ-ლოა უფრო დააბრკოლოს განვითარება, სა-ფეხურების გავლა, ვიდრე ხელი შეუწყოს მას. ...ვინც ნაპირიდან აბდენს ზღვაზე დაკვირვებას, იგი მხოლოდ მის ზედაპირს აღიქვამს, ბოლო ვინაც მისი სიღრმეების გამოკვლევა სურს, იგი ჩახაყვინთადაც შაად უნდა იყოს. (1987, გვ. 191)“

ბიკუ ნანამოლის (Bhikku Nanamolis) თარგმანის გარდა ამ ნარკვევის ავტორმა გამოიყენა აგრეთვე Visuddhimagga-სადმი მიძღვნილი თანამედროვე კომენტარები: ბიკუ სომა (Bhikku Soma, 1949), კონცე (Conze, 1956), დამარატანა (Dhammaratana, 1954), კასხიპა (Kashyap, 1954), ლამა გოვინდა (Lama Gy-

vinda, 1969), ლედი საიდავ (Ledi Sayadaw, 1965), მახასი საიდავ (Mahasi Sayadaw, 1965, 1976), ნარადა თერა (Narada Thera, 1956), ნიანპონიკა თერა (Nyanaponika Thera, 1949, 1962, 1968), ნიანათილოკა (Nyanatiloka, 1952) და მახატხერა (Mahathera, 1962).



მანია გოლუზანი

სამხრეთული მითის მოტივები ტენესი უილიამსის დრამატურგიაში

ტენესი უილიამსის შემოქმედების ეროვნული სპეციფიკის საფუძვლები საძიებელია სამხრეთული მითისა და ამერიკული რომანტიკული ლიტერატურის; — ბრიუსელის ბრაუნის, ნათანიელ პოთორნის, მენრიხ მელვილის ფილოსოფიურ-რომანტიკული რომანის ტრადიციებში. ამერიკული რომანტიკული რომანის მსგავსად, უილიამსის დრამაში აშკარად კარბობს ადამიანურ გრძნობათა უფლება, სამყაროს პირადული, ემოციური აღქმა-განცდა, სინამდვილის პოეტური გადმოცემა, ავტორისეული განცდის სუბიექტური მომენტი, ემოციური დამუხტულობა, ტრაგიკული განცდებისა და კოლიზიების წარმოსახვისკენ ხწრაფვა, პოეტური სიმბოლოება და სახეების შექმნა, მძაფრი, დინამიური სიუჟეტის საფუძველზე აღმოცენებული კონფლიქტის წარმოსახვა არაუოველდღიური სიტუაციებისა და ხასიათების გამოყვანა, რომანტიკული ამბოხი სოციალურად და მორალურად მანკიერი გარემოსადმი, ჰუმანიტური იდეების ძიებაში სამხრეთის მითური წარსულისადმი მიშაქთვა და ა. შ.

უილიამსის დრამა, ამერიკის სამხრეთული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი იმ მსოფლმხედველობრივი სირთულითა და წინააღმდეგობრიობით აღინიშნება, რომელიც ამ კუთხის ისტორიულ-სოციალური განვითარების თავისებურებებითაა პირობადებული.

ტენესი უილიამსი სამხრეთული მწერალია, სამხრეთული ხელოვნების ტრადიციებს, მის რომანტიკულ მსოფლმხედველობას ნაზიარევი მისთვის ისევე როგორც უილიამ ფოლკნერის, თომას ვუდფის, თორნტონ უაილდერის, დონ კასლის და სამხრეთული სკოლის სხვა მწერ-

ლებისთვის, არსებობს პრინციპული სხვაობა ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთისა და ჩრდილოეთის შორის.

თავისი მშობლიური კუთხის პატრიოტი და გულშემატკივარი, ტენესი უილიამსი არ გამხდარა მონათმფლობელური სამხრეთის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების დამცველი, ისტორიული სამხრეთის აპოლოგეტი. მას, როგორც ჰუმანიტ ჰუმანიტს, სძულდა ძალადობა, სისასტიკე, რასობრივი დისკრიმინაციის გამოვლენის ნებისმიერი ფორმა. მიუხედავად ამისა, მისი ხიშპათიები აშკარად სამოქალაქო ომის შედეგად გაცამტვერებული სამხრეთის არისტოკრატიის მხარეზეა.

როგორც ცნობილია, სამოქალაქო ომის მიზეზი არა ხამართლიანობის დამკვიდრების სურვილით, არამედ სოციალურ-პოლიტიკური ინტერესებით იყო ნაკარნახევი. მიუხედავად უოვლად შეუწყნარებელი დამოკიდებულებისა რასობრივი დისკრიმინაციისადმი, სამხრეთელი მწერლები თვლიდნენ, რომ მონობა სამხრეთში თავისთავად, ომისა და სისხლისღვრის გარეშე გაუქმდებოდა, მაშინ როდესაც სამოქალაქო ომის შედეგებმა, სამხრეთის დამარცხებამ სასუგეშო ვერაფერი მოუტანა ადამიანს. სოციალური უკუღმართობის ახალი ფორმები წარმოშვა და რაც მთავარია, ურბანისტული ჩრდილოეთის განვითარების გზა, თავისი ანტისულიერი მიმართებით ადამიანის მორალურად გამოფიტვისა და დაცემის გზად იქცა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წრდის პარალელურად, ადამიანის არსებობის რადიკალური კრიზისის განცდა მოიტანა.

გავერანებულ, დამარცხებულ სამხრეთში წარმოიშვა პლანტატორული სამხრეთის განმა-

დიდებული ლეგენდები, რომლის მიხედვითაც ძველი ურთიერთობების მთელი ხისტემა, მათ შორის პლანტატორების ზანგებთან ურთიერთობა მაღალწინებრივ საწყისზე იყო აგებული, ლამის კრისტიანული მორალის იდეალს უახლოვდება. სამოქალაქო ომამდელი სამხრეთი, ამდღეობული შარავანდედით შემოსილი, მითითურ წარსულად იქცა.

მიუხედავად გარკვეული კარადოქსული წინააღმდეგობრიობისა, — მონათმფლობელური სამხრეთის სოციალურ ვითარებასთან ადამიანური კეთილშობილების მაღალი იდეების შეუსაბამობის, ამ უტოპიურ საფუძველზე აღმოცენებულ ლეგენდებში, სამხრეთელები იმ მუშაურ საზრისს პოულობდნენ, რომლისგანაც დაცლილი აღმოჩნდა მათი თანადროული სინამდვილე.

თავისთავად ისტორიულ სიმართლეს მოკლებულმა მითმა მაღალი ეთიკური შინაარსი შეიძინა, ძლიერი გავლენა მოახდინა სამხრეთელების სულიერ წყობასა და მსოფლმხედველობაზე. სამოქალაქო ომში დამარცხებული სამხრეთელები ამ შეთხზული მითური წარსულის, რომანტიკული ლეგენდების სამყაროში გარკვეულ მაცოცხლებელ ძალას, მორალურ მხარდაჭერას პოულობდნენ.

სულიერ ღირებულებათა დევალვაციის პროცესის აშკარად გაღრმავების კარადეფურად ამერიკის პატრიარქალური სამხრეთის ინდუსტრიალიზაციის გზით განვითარებამ პროგრესიზმში ურწმუნობა, იმედგაწყვეტა, მომავლის შიში დაბადა და ამასთანავე ხელი შეუწყო ისტორიულად განწირული, სამოქალაქო ომში დამარცხებული სამხრეთის შესახებ შექმნილი იდეალიზირებული მითის დამკვიდრებას. სამხრეთელების ცნობიერებაში აღრეული, ურთიერთშეჭრილი, ურთიერთგადახლართული აღმოჩნდა ისტორიული და მითური, რეალური და შეთხზული სინამდვილის რეალიები; — რაც გამოვლინდა ერთის მხრივ მონათმფლობელობის არაადამიანური არსის მხილებაში, სამხრეთის ცოდვისა და დანაშაულის აღიარების ფაქტში, ხოლო მეორეს მხრივ ამ კუთხის ისტორიის მიმართ რომანტიკული თვალთახედვის დაბადებაში, თავისთავად მაღალი ეთიკური შინაარსის შემცველი სამხრეთული რომანტიკის აღიარებაში, თანადროული სინამდვილის უარყოფასა და წარსულის მითითურ სამყაროში შეზიზვნის მისწრაფებაში.

ამდენად თორნტონ უაილდერის, უილიამ ფოლკნერის, თომას ვულფისა და სხვა სამხრეთელი მწერლების მსგავსად, ტენესი უილიამსისათვისაც სამხრეთის ბედუკუდმართობამ კიდევ უფრო ღრმა შეუსაბამობანი გამოავლინა მუშაინისტურ იდეალებსა და სინამდვილეს შორის;

თუმცა ხნას ის ისევ რომანტიკული კეთილშობილების მაძიებელ სამხრეთელებში, მაღალწინებრივი იდეალისტური სწრაფვა იხედვს, რომელიც მოუვახისადმი სიყვარულად, შემწყნარებლობას, თანაგრძნობას და სხვა მხრეებს ქადაგებს. უილიამსთან სწრაფვათა რომანტიკას ნაზიარვეი მეოცნებე უპირისპირდება თანამედროვე მექანიკური ცივილიზაციის პირშოს ურომანტიკო, უგრძობ, მიზანდასახულ პრაქტიკოსს, წმინდა სამომხმარებლო ინტერესების ბატონობის სასტიკ ღოგოვას.

უილიამსის პიესის სულიერად მდიდარი, კეთილშობილი, ჭეშმარიტად ადამიანური ღირებულებები ძიებით შეპურებული გმირები სოციალური თვალსაზრისით სამხრეთის წარსულთან დაკავშირებულნი, ხშირად ყოფილი პლანტატორული ისტორიის შთამომავლები არიან. ბლანშ დიუბუა („ტრამვაი, რომელსაც ხურვილი ჰქვია“) თავისი წარმომავლობით ამერიკული მონათმფლობელური სამხრეთის არისტოკრატის წარმომადგენელია. მისი პიროვნული ტრადიცია, უბედობა სამხრეთის დაცემასთან არის დაკავშირებული. დიუბუას მამულის აუქციონზე გაუიფვა, ისევე როგორც ჩებოვთან აღუბლის ბაღისა, სამხრეთის არისტოკრატის დაცემის სიმბოლოდ წარმოგვიდგება. მამულის დაკარგვას მოჰყვება დიუბუას ოჯახის წევრების გაუთავებელი სიკვდილიანობა, რომლის მუდმივი მოწმე ხდება ბლანში.

ბლანში ისევე როგორც ალმა უაინშილერი („ზაფხული და კვამლი“) თავისი დახვეწილობითა და არაპრაქტიკულობით სამხრეთული წყობის ანუ წარსულის ორიენტაციის გმირია.

წარსულს ეჭიდება სამხრეთის იდილიური ცხოვრების მოგონებებით შეპურებული ამანდა უინგფილდი („მინის სამხეცე“). მისი ცხოვრება, ავტორის სიტყვით მუდმივი პარანოია; — ამ პარანოიის თავისებური გამოვლენაა გაუწყვეტელი ლაპარაკი თავვანისმცემლებზე, ბლუ-მაუნტინგში მოწყობილ მეჭლისებზე. ბლანშის მსგავსად, ამანდას სიცოცხლისმოყვარულობა ერწყმის სრულ არაცხოვრებისუნარიანობას, იგი ფიქრობს, რომ თუკი შესძლებს ქალიშვილის გათხოვებას, ამით იხსნის მას მარტოობისა და მიუხაფრობისგან, ამ მიზნით ამანდა დააპატიებინებს ტომს მასთან ერთად ფეხსაცმლის მაღაზიაში მომსახურე ახალგაზრდას, ჯიმ კონენს და კიდევაც სჭერა თავისი „გვგმების“ წარმატებით განხორციელებას.

ცნობილი კრიტიკოსი და თეატრალური მხატვარი, რობერტ ემეტ ჯოუნსი, უილიამსის აღრეული პიესების განხილვისას მისი გმირი ქალების — ამანდას, კასანდრას, ბლანშის, ალმას, მართლაც ბევრ ასპექტში მსგავსი თვისებების მატარებელ სახეებს. აღიქვამს, როგორც ცხოვ-

რების სხვადასხვა ხტადიანე ერთი და იგივე პიროვნების სულიერი მდგომარეობის წარსახად. ჯოუნის აზრით, მათი საერთო დამახასიათებელი თვისებაა წარსულთან მიჩაჭვულობა. მეოცე საუკუნის სინამდვილის უარყოფა და მითითური, ძველი სამხრეთის ლეგენდარულ სამყაროში გადატანა.

მართლაც, ისევე, როგორც სამხრეთმა პირიბრუნა ხასტიკი რეალობისაგან, ასევე უილიამის სულიერად მდიდარი გმირები წარსულისკენ იხედებიან და წარმოსახვით სამყაროში ცხოვრობენ. იმის გამო, რომ მათ ხოციალურ რეალობაში არ გააჩნიათ არავითარი საყრდენი, მათი თვითდადგენა უილიამსთან შეხამდებელია მხოლოდ მათსავე შინაგან სამყაროში.

პიესის „ორფეოსი ჯოჯონეთში ჩადის“ ეპიგრაფად წამდვარებული, ავგუსტ სტრინდბერგის პოლ გოგენისადმი მიწერილი წერილის სტრიქონები — „მეც შევიგრძნობ დაუძლეველ სწრაფვას ვიქცე ველურად და შევქმნა ახალი სამყარო“, დიდი ხელოვანის სინამდვილესთან შეუთავსებლობის, მასთან ტრაგიკული განხეთქილებით გაპირობებულ, უძირო სასოწარკვეთილების ხილრმეებში გვახედებს, და ამასთანავე ოცნებისა და რეალობის შეუთავსებლობის უილიამისეულ განცდას ეხმიანება.

პიესის „ახალგაზრდობის ტკბილბმიანი ჩიტუნას“ შესავალში უილიამსი წერს — „თოთხმეტი წლის ასაკში აღმოვაჩინე, რომ მწერლობა სინამდვილისგან გაქცევის საშუალებაა, სინამდვილისაგან, რომელშიც ძალზედ დიკონფორტულად ვგრძნობდი თავს“.

ახლოლუტური უსაყრდენობის გრძნობითაა გაპირობებული უილიამის გმირებისათვის დამახასიათებელი შინაგანი კონფლიქტები და სულიერი გაორება. საშინელი სინამდვილისაგან თავშესაფარს ისინი ოცნებაში ეძიებენ და ამდენად, როგორც წესი, ორ განზომილებაში არსებობენ — რეალურ-ყოფითში და წარმოსახვითში. მხოლოდ ამ უკანასკნელში ისინი ახერხებენ შეინარჩუნონ თავისი „მეობა“. მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც ტყდებიან და იღუპებიან. ამ ადამიანებს ველ ზეგაიერი („ორფეოსი ჯოჯონეთში ჩადის“) ადარებს ისეთ ფანტასტიურ ფრინველს, რომელსაც არა აქვს თათები და ამიტომ მთელ თავის სიცოცხლეს ფრენაში ატარებს, დედაშიწას კი მხოლოდ მკვდარი ეცემა.

„მინის სამხეცის“ პერსონაჟებიც მკაცრი, ხასტიკი სინამდვილისაგან გარბიან და თავშესაფარს ოცნების სამყაროში ეძიებენ.

უინგფილდების ოჯახის ყველა წევრი ორ სამყაროში — ყოფითსა და წარმოსახვითში ცხოვრობს. ყოველი მათგანის თავისებურად გამოვლენილი უმოქმედობა გამოწვეულია იმ სრული შეუსაბამობით, რომელიც არსებობს რეალურ

სინამდვილესა და მათ შინაგან მისწრაფებებს შორის. ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა მათ ისევე არ შეუძლიათ, როგორც მინის ფიგურებს არ შეუძლიათ გადმონვლა თავიანთი თაროებიდან. ამ მხრივ მინის უსაძინეს იდენტოფიცირებულია უინგფილდების სამყაროსთან.

ლაურა უინგფილდმა, დედის მსგავსად, ვერ დაამყარა კონტაქტი ცხოვრებისეულ სინამდვილესთან, მაგრამ მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დრამატულია. ლაურა, განსაკუთრებული ხიმწვავით განიცდის თავის ფიზიკურ ნაკლს, ცდილობს არ მიიქციოს სხვისი უურადლება, რის გამოც საბოლოო ჯამში საკუთარ თავში ჩაკეტილი, გარე სამყაროსაგან იზოლირებული აღმოჩნდება. აქ მთავარია არა იმდენად მისი ფიზიკური ნაკლი, არამედ მისი საოცარი სულიერი მგრძნობელობა.

ტომ უინგფილდი, ფეხსაცმლის მაღაზიაში მომსახურე პოეტი, ასევე ოცნებობს მოგზაურობაზე, ოცნებობს რომანტიკაზე და ძლიერი ვნებების განცდის საშუალებას კინოში ეძიებს, სადაც დროებით მაინც შეუძლია იქცეს ეკრანულ პერსონაჟად, რომანტიკულ შეყვარებულად ან დაუშინებელ მეომრად. პიესაში „ტრამვაი, რომელსაც სურვილი ჰქვია“ ბლანშის თითქოს სიყალბეზე აგებული ურთიერთობა მიტჩთან, ისევე როგორც უოფილ თაყვანისმცემლებისაგან დახმარების მოლოდინზე ლაპარაკი, არ არის ჩვეულებრივი სიცრუე. მისი ფანტაზიები განზრახული და შეგნებული უარყოფაა იმ ხასტიკი, ურომანტიკო სინამდვილის, რომელსაც სტენლი კოვალსკი წარმოადგენს. ამიტომ უკეთებს ბლანში გაშიშვლებულ ნათურებს ქალაქის თავსახურებს, წარმოადგენს მოვლენებს არა ისე, როგორც სინამდვილეშია, არამედ ისე, როგორც მას სურს რომ იყოს. ბლანში უპირისპირებს თავის მოგონილ ამბებს სტენლის „მეშჩანურ“ სიმართლეს.

უილიამის სხვა გმირების მსგავსად შენონიცი („გუანას ღამე“) ორ განზომილებაში ცხოვრობს — რეალურსა და არარეალურში და ეს არარეალური იმ სამყაროდ მიაჩნია, რომელშიც ვლინდება მისი ნამდვილი მეობა.

უილიამის შემოქმედების სამხრეთულ ტრადიციებთან მიმართების შესახებ განსხვავებული პოზიციების გამომხატველი აზრებია გამოთქმული. უცხოურ კრიტიკაში უილიამსს ხშირად დაცემის პოეტს უწოდებენ, სამხრეთული არისტოკრატის ფიზიკური და მორალური დაცემის, გაზრწნისა და დეგრადირების ჩვენებით გატაცებულ მწერლად წარმოადგენენ.

ჯოზეფ ვუდ კრატჩი წერილში „მოდერნიზმი ამერიკულ დრამაში“ გამოთქვამს სრულიად მიუღებელ აზრს, თითქოს უილიამსი, თავად ავადმყოფურ ხილვათა ტყვეობაშია მოქცეული.

განდიდების იდეა — ფიქრით დავადებული სა-
მხრეთული არისტოკრატის ფსიქოლოგიას
კვლევით დაინტერესებული მწერალია ასე. მა-
გალითად, პიესაში „ტრამვაი, რომელსაც სურ-
ვილი მკვია“, კრატის სიტყვით, ექსპრესიონი-
სტული ტექნიკა გამოყენებულია იმ მიზნით,
რომ მაუურებელმა მოვლენები აღიქვას არა
ობიექტური თვალთახედვით, (ხავარაუდოა, რომ
ასეთად კრიტიკოსი სტენლი კოვალსკის „ჯან-
სად“ თვალთახედვას მიიჩნევს), არამედ გმირი
ქალის, ბლანშ დიუბუას არანორმალური ფსი-
ქიკის პრიზმაში გატარებული.

საერთოდ, კრატის სიტყვით, უილიამის გმი-
რები — ამანდა უინგფილდი, აღნა უაინშილდ-
რი, ბლანშ დიუბუა მათი ავტორის მსგავსად
არისტოკრატული სნობიზმით არიან შეპყრობი-
ლნი და პათეტიკურად ჩაქიდებიან მკვდარ ტრა-
დიციებს. ამდენად კრატის წერილში, სამხრე-
თული თემატიკა უილიამის შემოქმედებაში
წარმოდგენილია, როგორც მწერლის ჭიუტი მი-
ჩაქვედლობა უსიკოცნლო ტრადიციებთან.

სიგნი ფოლკი მონოგრაფიაში „ტენესი უილი-
ამის“ სამხრეთულ მოტივებს მწერლის შემოქ-
მედებაში, მართალია, უკავშირებს უილიამის
დახვეწილ ემოციურ სამყაროს, მდიდარ ფან-
ტაზიასა და აღქმის სინატიფეს, მაგრამ ამას-
თანავე გამოთქვამს ისეთ მოსაზრებასაც თით-
ქოს ამერიკელი დრამატურგისთვის თავისთავად
მიზნიდველ სანახაობას წარმოადგენს სამხრე-
თული არისტოკრატის გაზრუნისა და დაცემის
სურათის წარმოსახვა.

პეტი უ. კლენშოუ სტატიაში „ტენესი უილი-
ამის პარადოქსული სამყარო“ წერს იმის შე-
სახებ თითქოს ტენესი უილიამის პიესებში
სახვას მპოვებს სამხრეთული სამყაროს პარა-
დოქსული არსი. ასე, მაგალითად ამანდა უინგ-
ფილდის „პარადოქსულ“ სახეში კლენშოუ ხე-
დავს როგორც დახვეწილი ტრადიციის მომხიბ-
ვლელობას, ასევე ამანდას ხელოვნურობასა და
პრეტენციოზულობას, ფაქიზ არამიწიერებას,
რომელიც კლენშოუს, ვფიქრობ ბუნდოვანი გა-
ნსაზღვრებით, გაუცნობიერებლად ატარებს ექ-
სპლუატატორულ ხასიათს.

ჭერად უილში ხავესებით სამართლიანად
ხაზს უსვამს უილიამის დრამაში ძველი და ახა-
ლი სამხრეთის ურთიერთგამიჯვნასა და დაპი-
რისპირებას: ერთის მხრივ, დასაღუჟად განწი-
რულ ძველ სამყაროს, ხოლო მეორეს მხრივ ახ-
ალ, ვულგარულ სოციალურ სინამდვილეს გა-
მოპყოფს. მიუხედავად ამგვარი მიდგომისა, უილ-
ში არ უარყოფს სტერეოტიპად ქცეულ, მეტად
გავრცელებულ აზრს ტენესი უილიამსზე ადამი-
ანის სულიერი, ფიზიკური თუ სოციალური დე-
გრადირების პროცესების თითქოსდა მომწეს-
ველი შემოქმედების შესახებ.

შეუძლებელია უარყოთ მწერლის კავშირი
სამხრეთულ ტრადიციებთან, როგორც ამას კო-
რენევა აეთებს, როდესაც ამტკიცებს თითქოს
უილიამისათვის უცხოა სამხრეთულს / კომპ-
ლექსი. წარსულზე ნოსტალგია, თითქოს პლან-
ტატორული სამხრეთისადმი აქვს მწერლის კრი-
ტიკულ დამოკიდებულებას — [სტენლი კოვალსკის] მაგ-
რამ ასევე ძნელია დავთანხმდეთ იმ უცხოელ
მკვლევარებს, რომლებიც ცხოვრების ბატალი-
ებში უმოწყალოდ დამარცხებული სამხრეთელი
არისტოკრატის ხაზის ბშირ განმეორებადობას
უილიამის პრესებში, მწერლის არაქანსალი ინ-
ტერესებით, სასიკვდილო კონფულსიების აგო-
ნიური მდგომარეობის ეხთეტიზაციისკენ მიდ-
რეკილებით ხხნიან.

რაც შეეხება უილიამის სამხრეთული არის-
ტოკრატის წარმომადგენელი გმირის პათოლო-
გიურობის მტკიცებას, ამ აზრს სრულიად მარ-
თებულად უპირისპირდებიან მაროლდ კლერ-
მენი, კენტ ტაინენი, ბენჯამენ ნელსონი, ნენსი
ტიშლერი, რომლებიც მწერლის სულიერად მდი-
დარ პერსონაჟში სწორედ პოტენციურ ხელო-
ვანს, პოეტური ბუნების ადამიანს ხედავენ, თა-
ვისი ინდივიდუალური ცნობიერების გამო, და-
მთხვეულ მეოცნებედ რომ აღიქმება გარემო-
ცველი საზოგადოების მიერ.

უილიამის პერსონაჟის ე. წ. „პათოლოგიუ-
რობას“ უარყოფენ საბჭოთა მკვლევარებიც:
ნედელინი, ზლობინი, ტუროვსკაია, ვულფი, კო-
რენევი, ცებანოვსკაია და სხვები.

რაც უფრო მრავალმხრივი, დახვეწილი, სუ-
ლიერად მდიდარია უილიამის გმირი, მით უფ-
რო მეტადაა მასში გარემომცველი სინამდვი-
ლის ანტიპუშმანიზმის, შინაგან და გარე სამყა-
როს შორის შეუსაბამობის და ამ შეუსაბამობი-
პირობადებული, შინაგანი გაორების მძაფრი
შეგრძნება.

გამძაფრებელი აღქმის უნარი, ემოციური და-
ხვეწილობა და სიფაქიზე, ბშირად მიხი ხათუ-
თი ფსიქიკის ერთგვარ დეფორმაციას, ნერვო-
ზულ დეპრესიას იწვევს. ანტიხულიერი გარე-
მოს დაშორგუნველი შემოქმედებიდან გაქცე-
ვას იგი წარსულის მოგონებებში ან ოცნების
სამყაროში ცდილობს, მაგრამ წარსულის მო-
გონებები ბშირად საკუთარი ცოდვის, უნებლიე
თუ იძულებით ჩადენილი სისასტიკის მტანჯველ
ხილვათა მოწოდებს იწვევენ. უილიამის გმირე-
ბი, — ტომ უინგფილდი, ბლანშ დიუბუა, ლო-
რენს შენონი, ბრიკ პოლიტი, ჩანს ოუენი და
სხვები, საკუთარი პიროვნების რღვევის კრიზი-
სული შეგნებით შეპყრობილნი, ვერც გარე სა-
მყაროს ხულისშემზურველ ანტიხულიერებას
და ვერც საკუთარ დაცემასა და მარცხს ურიგ-
დებიან და ვერც ამ მარცხიდან გამოხავალს პო-
ულუობენ. თავისუფლება მათთვის მხოლოდ პო-

ეტყვი ცნობიერების თავისუფლება, რაც საზოგადოებაში ჩამოშორების ილუზორულ საშუალოში ილუზორული გაქცევის მეტს ვერაფერს იძლევა. ამ პერსონაჟებისგან განსხვავებით, უილიამსის ერთგანზომილებიანი, ცალმხრივი ნასიათები, მიზანდასახული პრაქტიკონები, მშვენივრად ეგუებიან აწმყოს, წარსული მათთვის არც არსებობს და არც აინტერესებთ: მათი მარტივი ფსიქიკისათვის სრულიად უცხოა რცხება, მათ უფრო რცხება მიუწვდომელზე. სწორედ ამ თვისებამაყვანილი ფილისტერებისაგან შემდგარი ჯგუფი უმრავლესობის აწრით, მხოლოდ „გვიგება“ იტანჯებიან სულიერებად დეფიციტისაგან და ამდენად უილიამსის ფსიქოლოგიურად დახვეწილი მეოცნებე, რაფინირებული, რეფლექსიის უნარით გამოჩენილი გმირი სულიერად დაავადებულ პარანორმალ აღიქმება აგრესიული უმრავლესობის მიერ.

სოციალური თვალსაზრისით ამერიკის სამხრეთთან დაკავშირებული უილიამსის პერსონაჟები რომანტიზირებული წარსულის მოგონებებით ხულდგმულობენ. სამხრეთი მათთვის ისევე აღმოჩნდა დამარცხებული, როგორც ადამიანურაობა გაუფასურდა პრაგმატული იდეალების გაბატონების შედეგად. უილიამსის არაორდინალური გმირები არიან ტრაგიკულნი და განწირულნი, მაგრამ მათი განწირულობა არა უდღეურია უსუსურობის. არამედ თავად პუშკინისტურ სწრაფვითა განწირულობის შედეგია.

ადამიანის დაცემისა და გადაჯვარების, ურთიერთგაუცხოების, სულიერი სინასტიკის დამკვიდრებისა და კეთილშობილების უმოწყალოდ გათელვის რეალურმა სინამდვილემ, უილიამსი დამარცხების წინაპირი უპირატესობის იდეამდე მიიყვანა.

ტენესი უილიამსის რწმენით, კომერციული და ურბანისტული ცივილიზაციის მიერ, დამარცხებული ადამიანურობის ხაუკუნეში მარცხი რჩეულთა ხვედრია. ამ თვალსაზრისით, მას განსაკუთრებით აინტერესებს დამარცხებულის ფსიქიკის წარმოსახვა. სწორედ ამ თვალსაზრისით პრაგმატული რეალობის უარყოფელი, დამარცხებული სამხრეთის ბედ-იღბალი თანამედროვეობის მეტაფორადაა ქცეული მის პიესებში.

შემთხვევითი არ არის მწერლის მიერ თავის საუვარედ გმირად დონ კიხოტის დასახელება. უილიამსის რომანტიკოსი გმირები დონ კიხოტის მსგავსად, დეკლასირებული რაინდობაა სიმბოლოდ გვევლინებიან. სამხრეთული ლეგენდებით, რომანტიკული ფატალიზმით შეპყრობილნი, ისინი პირს იბრუნებენ ყოველდღიური რეალობისგან, უარს ამბობენ საკუთარი პიროვნების ჩაკვლაზე, მარადიული რომანტიკოსის მეამბოხე სულისკვეთებით უპირისპირდებიან

სოციალურად და მორალურად მანკიერ გარემოს.

თავად მწერალი, პრაგმატული რეალობის გაშიშვლებულ უბადრუკობას პუშკინისტურ სწრაფვითა კეთილშობილურ იდეას უპირისპირებს. პიესაში იკუმინო რეალი" (ესპანურად — სინამდვილის გზა) უილიამსი უილიამსის კიხოტი ამბობს „იასამანი მთებზე და მთებში ვიწროვავებს კლდეებს“. უილიამსის აწრით, ყაღბმა სინამდვილის გზამ, ანუ სულიერ ღირებულებათა უარყოფელი სინამდვილის გზით სვლამ, უფსკრულის პირამდე მიიყვანა თანამედროვე კაცობრიობა, ტოტალიტარიზმითა და ტერორით ემუქრება მას, მაგრამ ადამიანის ღირსების დამამკვირებელ ტოტალიტარიზმსა და სხვადასხვა სახის სოციალურ-პოლიტიკურ ბაროტებას „იასამანი დაამბობს“. რადგანაც, მწერლის რწმენით, ხანამ არსებობს თავისუფლებისკენ სწრაფვის, სიყვარულისა და თანაგანცდის მოთხოვნილება, კემშარიტი ფახეულობების ძიებით შეპყრობილ ერთეულ ადამიანთა მაგალითიც კი ნებისმიერ ბაროტების (მთ უფრო დიქტატორული რეჟიმის სახით მოვლენილის) საბოლოო გამარჯვება შეუძლებელი იქნება.

უილიამსი, თორთონ უაილდერს უახლოვდება სინამდვილის პოლიტიკური ბრძოლის გზით უარყოფაში. უაილდერს სოციალური პროგრესის უარყოფის იდეის დასტურად, კაცობრიობის განვითარების მრავალხაუკუნოვანი ისტორია მოჰყავს, რომელშიც ფაქტურად უცვლელად მეორდება ადამიანური გრძნობები, ურთიერთობები, მიწრაფებები, მოქმედება-საქციელი. არც კოლექტიურ ბრძოლებს შეუცვლიათ სოციალური იერარქიის მარადიული არსი, თორთონ უაილდერის, უილიამ ფოლკნერის, თომას ვულფის მსგავსად, ტენესი უილიამსიც ფიქრობს, რომ არსებობს ერთადერთი კემშარიტი გზა, რომელსაც მორალური თვითშეგნების, მორალური სრულყოფის განვითარებისკენ მივყავართ.

უილიამსისეული დონ კიხოტი იმედს გამოთქვამს ეგონიშის ოკეანეშიც პუშკინისტის დამკვიდრების შესაძლებლობის თაობაზე. თავად უილიამსი, საკუთარ თავს ძველ, გამოუხსნორებელ რომანტიკოსს რომ უწოდებს, ადამიანური ბუნების კეთილშობილურ არსში, მის ამაღლებულ სულიერებაში პუშკინისტური რწმენითაა აღსავსე. ამდენად მისი გმირების დამარცხება, უმოწყალოდ დადუჟა, არის არა მწერლის უიმედობისა და პეხიმოზმის, არამედ მისი რწმენის გამოვლენა. რწმენისა მის თაობაზე, რომ ადამიანი ერთადერთი სულიერი არსებაა, რომელიც ეთიკურ ღირებულებათა რეალიზაციის შესაძლებლობით მოდის სამყაროში" ადამიანის უდიდესი უპირატესობა იმაშია, რომ მას შეუძლია

იცხოვროს მის მიერვე თავისუფლად არჩეულ იდეალების შესატყვისად. ისე თითქოს იგი, ლიტერატურული გმირის მსგავსად საიმედოდ და დაცული დროის მხაზრელი ხელისაგან, მოვიპოვოთ მარადიული უიმედოდ წარმავალი-საგან სასწაულია, რომლის მოხდენაც შეხწევს მოკვდავს". — წერს იგი. კენეტ ტაინენის ხატოვანი განსაზღვრებით არტურ მილერი და ტენესი უილიამსი ერთნაირი ვირტუოზულობით წერენ, მილერი — კლდეებზე უილიამსი — იასამანზე.

მაგრამ აქამანზე წერა, უილიამსის დრამის ემოციური პოეტურობა. ლარიშმა, რომანტიკულობა არც ერთი წუთით არ გამორიცხავს სინამდვილის შეუღამაზებელ, მართებულ წარმოსახვას. ადამიანის სულის სიღრმეში წვდომას, კონკრეტული მანკიერებების მზილებას, უილიამსის მემობზე რომანტიზმი შორს არის განუყენებული ასოციალურობისაგან, უოველთვის კონკრეტული ისტორიული და სოციალური შენაარსობა დატვირთული.

ტენესი უილიამსის მრავალპლანიან, მრავალგანზომილებიან დრამაში უოველთვის მწიფნელოვან ადგილს იკავებს სოციალური თემატიკა, სხვადასხვა სახით გამოვლენილი სოციალური ბორკლების მზილება. იქნება ეს თანამედროვე ურბანისტული კალაქი-ურჩხული („მინის სამხეცე“) თუ მექანიკური ცივილიზაციის პირშო, მახობრივი ცნობიერების პერსონიფიცირებული სახე („ტრამვაი, რომელსაც „სურვილი“ ჰქვია“), რასობრივი დისკრიმინაციის პრობლემა („ორფეოსი, ჯოჯობეთში“, „ახალგაზრდობის ტკბილ-მზიანს ჩიტუნა“, „ამქვეყნიური სამეფო“) პოლიტიკური დიქტატურა („ემინო რიელი“), მატერიალურ ღირებულებათა გაფეტიშების დამდუბველი შემოქმედება (კატა გაბურებულ საბურავზე, „თოქინა“) და ა. შ.

ამასთანავე უილიამსის პიესებში თანამედროვეობის უმწვავესი პრობლემები, სოციალური სინამდვილე არა მხოლოდ განუყოფელია ადამიანის ბედისაგან, არამედ სწორედ გმირის ცნობიერებისა და სუბიექტური აღქმის პრიზმაშია გატარებული, მისი განცდის საშუალებითაა წარმოსახული.

ქერ კიდევ იუჯინ ო ნილი, ამერიკული თეატრის ფსიქოლოგიური ტრადიციების შემქმნელი. წერდა მკუფრებლამდე ნაწარმოების იდეის მხოლოდ ხასიათის საშუალებით მიტანის შესაძლებლობაზე.

უილიამსთან ახვე, წინა პლანზე უოველთვის დგას ხასიათი, მრავალმხრივი წინააღმდეგობრივი, ბშირად ბოლომდე ამოუცნობი და დაუმო-რჩილებელი ზუსტი ფორმულირებებისადმი. ამასთანავე დრამატურგი, ადამიანის ხულიერ სამ-

უაროში წვდომას, მისი არაერთგვაროვანი ბუნების წარმოჩენის მიზანს უმორჩილებს ვველა სხვა საშუალებას; — მხატვრულ სრმზოდო, პოეტურ მეტაფორასა თუ სკენურა შედეგის პლასტიკური მონახაზის შექმნას.

უილიამსის აზრით, ადამიანის ბოლომდე შეცნობა შეუძლებელია. უილიამსი ზედმეტად ცნობისმოყვარე მკუფრებელი პიესის „კატა გაბურებულ საბურავზე“ მიხედვით დადგმული წარმოდგენის ნახვის შემდეგ დაუკაცოფილებლობას გამოხატავდა ბრეკის ნახის ორანზოვნებასთან დაკავშირებით, თავად ავტორს კი მაინტრიგებულ გასაიდუმლოებაში ხდებდა ბრალს. უილიამსმა არამც თუ სხვისი, არამედ ზოგჯერ საკუთარი გრძნობების ბოლომდე გაგების შეუძლებლობა გაგვახსენა. „ემინო რიელის“ ბოლოსიტყვაობაში იგი წერს ადამიანის ბუნების წინააღმდეგობრივ ხასიათზე, რომელიც ბოლომდე მაინც ამოუცნობია. ბშირად ვერ იტანს ზუსტ განსაზღვრებებს, ზედმეტად გამოკვეთილ, დაბრულეულ ფორმულირებებს, არ ცნობს სწორზაზოვნებასა და სიმარტივეს. თავად მწერლისვე სიტყვით, ის არ არის მისაღები დრამატურგი იმათთვის, ვისაც სურს ზედმიწევნით ზუსტად იცოდეს ვველაფერი პერსონაჟის შესახებ, გარკვეული საიდუმლო უნდა დარჩეს გმირის ხასიათში, ისევე როგორც თავად ცხოვრებაშია ბევრი რამ საიდუმლოთი მოცული. უილიამსის სიტყვით, თუკი პერსონაჟი, რომელიც ავტორმა შექმნა, მისთვისვე არ წარმოადგენს საიდუმლოს, მაშინ მწერლის კალამი ცრუობს, მის მიერ შექმნილი პერსონაჟი კი უაღბია.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ხასიათის სირთულე, წინააღმდეგობრიობა არახოდეს ქცეულია მწერლისთვის თვითმიზნად. უილიამსი არასოდეს ცდილობს მკითხველის ხელოვნურ დაინტერესებას, სინამდვილის მიხტიფიცირებას, უბრალოდ მისი შემოქმედება ადამიანის ხულის მართებულად წარმოსახვისას გმირის შინაგანი სამყაროს ამოუწყურავ სიღრმეებს გული-სმობს.

თანამედროვე სამყაროში ადამიანის ბედზე, მის რაობაზე ფიქრით გამსჭვალულმა, ღრმა განცდაზე, დიდ შინაგან ტემპერამენტზე აგებულია, ხასიათისა და მოვლენის ფსიქოლოგიური წვდომითა და ამასთანავე პოეტური ღირიშმით, სამხრეთელის რომანტიკული წარმოსახვითა და თვალთახედვით, ადამიანური კეთილშობილების რომანტიკული იდეალების ძიებით აღსავსე ტენესი უილიამსის პიესებმა ღირსეული ადგალი დაიმკვიდრეს მხოფლით თეატრების რეპერტუარში.



საქართველოს
კომუნისტური
პარტია

ბენის ანუ პრეპროკურატორის ორსახეობა

ბ ამოჩენილი ლიტველი კომპოზიტორისა და მხატვრის მიკალოაუს კონსტანტინას ჩიურლიონისის (1875-1911) შემოქმედების ერთ-ერთი სტილი, კომპოზიციური აგებულება და აზრთა თავისებურება თავის ერთი გადავლებითანავე კა გამოარჩევს მის ავტორს ყველა დროისა და მიმართულების მხატვართა შემოქმედებისაგან. ყოველადღიერმა მაღალმა ღმერთმა იმთავითვე მიპყრობა ჩიურლიონისს ხელოვნების ორი დარგის მსახურება, ორი დარგისა, არსებითად რომ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გამოსახვის საშუალებებითა და ხერხებით, მაგრამ ერთიანნი არიან თავიანთი უზუნაესი მიზნისა და დანიშნულების თვალსაზრისით.

მსგავსად ძე-ღმერთის ორბუნებოვნებისა, ჩიურლიონისს პიროვნებაშიაც ბგერათა და ფერთა ორი სამყარო შედგენილი-შენიჭებულა ერთ დიდ ტაძრად, რომელშიაც ერთდროულად ორი ღმერთი სუფევს დიდებითა თვისითა, ღმერთი მუსიკისა და ღმერთი ფერწერისა.

ჩიურლიონისი შემოქმედების უხილავი ძაფებით აერთიანებს მუსიკისა და ფერწერის ორ მშვენიერ კოლუსს, მსგავსად ძველი ეგვიპტელებისა, სხინქსი რომ შექმნეს ადამიანის თავითა და ღომის სხეულით, ან ბერძნებისა — ენტავრები რომ შექმნეს საუკუნეთა მიღმა, ქართველმა მხატვარმა კი 1188 წლის ქართულ ხელნაწერზე მშვილდოსნის გრაფიკულ სახეებში ქალის, ღომის სხეულისა და ურჩხულის თავი გაანავთა.

ჩიურლიონისის სამყაროშიაც ორი დამოუკიდებელი პლანეტა მოძრაობს; არც ერთ მათგანს თანამგზავრი არ გააჩნია. თანამგზავრები ეს ჩვენა ვართ მხოლოდ, თაყვანისმცემენი ამ დიდი შემოქმედისა, ვინაც მმ წლის ასაკში გარდავიდა ამა ქვეყნიდან.

ამ ორი პლანეტის ერთ მამოძრავებელ დარში მუსიკისა და ფერთა ორი მძლავრი ნაკადია მიშვებული, რომელთა თავანჯარა ნაკადულები მხატვრისა და კომპოზიტორის გონებიდან, გულიდან და თითებიდან იღებენ ხათვეს. მიდიან ისინი და თან შიაქანებენ ზელთუქმნელ აზრებსა და ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებულ სახეებს, რომლებიც ბოლოს ნოტებსა თუ ნახატებზე იღებენ მათთვის სასურველ ფორმას.

ჩიურლიონისმა ჩვენი საუკუნის დასაწყისში ბრწყინვალედ შეძლო მუსიკისა და მხატვრობის — ამ ორი უძველესი დარგის მსახურება, მათ გზაჯვარედინთა თუ მოუთვინიერებელ ხადავეთა წარმართვა დიდების ევარცხლებილსაკენ.

ფერუსალიმის ერთ-ერთ ტაძარში დღემდე ინახება ერთი არცთუ ძალზე ძველი ფერწერული ხატი — ქალარა მებაღისა და იმ არსებულთა მის გამოსახულებით, რომლისგანაც თითქოს გამოუქრიაო მაცხოვრის ქვარი და რომლის სხეული და ტოტები ერთდროულად ნაძვის, კიპაროსისა და კედარისაგან არის შექმნილ-შეძერწილი.

ერთი შეხედვით ჩიურლიონისიც იმ ბეს წაგავს, რომლის ვარტები მუსიკისა და ფერებს ამოუძერწავთ მის სხეულზე და ამ ტოტებითვე შეუქმნიათ გუმბათი იმ ერთიანი ტაძრისა, ხადაც მუსიკოსსაც შეუძლია ილოცოს და მხატვარსაც.

მხოფლიოს დიდი მოაზროვნეები მუდამ ცდილობდნენ ხაშყაროს შექმნის ასახვას რელიგიური, მეცნიერული თუ ხელოვნების გზებითა და საშუალებებით ძველი აღთქმის პირველ ქვეთავში: „წიგნი დაბადებისა, რომელსა ეწოდების ებრაელთაგან ბერესით“, დასაწყისშივე ვკითხულობთ სამყაროს შექმნის ჩვენთვის მარად შეუცნობი ისტორიის შესახებ: „დახაბამად ქმნა ღმერთმან ცაი და ქუეყანაი.“

ხოლო ქუეყანაი იყო უხილავ და განუმხადებელ და ბნელი ზედა უფსკრულთა და ხული ღმერთისაჲ იქცეოდა ზედა წყალთა.

და თქუა ღმერთმან: იქმენინ ნათელი და იქმნა ნათელი.

...და თქუა ღმერთმან: იქმენინ სამყარო შორის წყლისა და იყავნ განწყოფელ შორის წყლისა და წყლისა. და იქმნა ეგრეთ.

და განყო ღმერთმან შორის წყლისა, რომელი ქუო ქუეშე კერძო სამყაროჲსა და შორის წყლისა ზედა კერძო სამყაროჲსა.

და უწოდა ღმერთმან სამყაროსა ცაი და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ და იქმნა მწყობრი და იქმნა განთიად დღე შუორე.

და თქუა ღმერთმა შეკრბინ წყალი ქუეშე კერძო ცისა შესაკრებელსა ერთსა, და გამოჩნდიან ქმელნი...“

აქ „დაბადების“ ის პირველი მუხლები

საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებში მიუძღვნა მისი საზოგადოებრივი ცხოვრების „ხამყაროს შექმნისადმი“ მიძღვნილი და ცამეტჯერ ნაბატონად შექმნილი ცოცხალი, პირველი გამოცდისთანავე რომ განადიდებს 81 წლის მხატვრობა და კომპოზიტორის სახელი.

ვიტაუტის ლანდსბერგისის განმარტებით, ჩიურლიონისი ბშირად „ჩრეული ბიბლიურ და კოსმიურ თემებს, რაიც ბუნებრივად ესაბარებოდა მას აღნიშნულ ცოცხალ მუშაობის დროს. ამ ნაბატონებს ხელდასაყრდენი პასტელიზაცია კმნიდა.

სწორედ მათ შესახებ აუწყებდა ჩიურლიონისი თავის ძმის: „ცოცხალი ჭერ კიდევ დაუმთავრებელია; განწარმული მკვებ მთელი სიკაცებზე ვიმუშაო ამ თემის ირგვლივ, ეს იმისდა შეხებად, თუ რამდენად გაშვლავნდება ჩემში ახალი აზრები. ნატვას ვაპირებ არამარტო ბიბლიის მიხედვით, არამედ ჩემს-ყაბაღაზე დაყრდნობითაც. ვისურვებდა შექმნა ახელი ცოცხალი არაუშეცდეს 100 ნაბატონა.“

მაგრამ ეს ჩანაფარს მხოლოდ მხატვრის აუხდენელ ოცნებად დარჩა...

ახლა დროებით ვავემეცადებოთ ბაბლიის უძველეს წიგნთა ცხოვრულ ეპოქას და ვეწვიოთ მიქელანჯელო ბუნარატის ფრესკებს სიქსტის კაპელაში, რომლის კედლებზედაც მხატვარს ხაბუდავდა შეუჩინებელი „დაბადების“ პერსონაჟები და ქრისტაიანულ ღმერთ-მთავრობათა უპირველესი წარმომადგენლები და ამით გადაუწყვეტა „ნატვადი ხედვის“ პარაბოლა მათ შორის. ადარებულა რელიგიური უფსკრული, რაც ხაბუდავდა მხატვრობა და ახლად აღიქმის შორის.

ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი — მამა-ღმერთი — უზენაესი უპირველესი ღვთაება და ქვეყნიერების შემოქმედი, სოლიდურით მიქელანჯელოს მხედვან ჭერ კიდევ მოუწყენიებელ კოსმიურ სამყაროში. ხალხმანის რელიგიის დიდოსტატის — მიქელანჯელოს ფუნჯის თაფნი უფალო უძღაერეს, აღმოსავლური სამხრეთით დაშვებულ მტრინაც მამაკაცად წარმოუჩინა კედელზე.

აი, სწორედ აქ იწვევა „დაბადების“ პირველ სტრატეგიათა ფრესკით განსხვავება, სიტყვებისა და ბიბლიურ აზრთა სახეობად და ფრესკად გარდახმება, დახურვა-მხატვრობა ანუ უცრელ ხმარადე სამყაროს შექმნის ფუნჯით ხმება, რათა ამით მოკრძეუნეთა მთელ თაობებს მშაშვარეულის წერტილ-წერტილად სხვა-ახლად ამოქნილი, ღამის სიარული-მეცნიერი, კედელთან ფუნჯით შექმნილი და მატერიალად გარდასახული ბიბლიურა სიუჟეტები ეხილათ...

მტვრიდან და ქოსიდან კმნის და აწერბობს მთელ სამყაროს მამა-ღმერთი მიქელანჯელოს ფრესკაზე, თანდათანობით გაშუქვ ცხატასა და ზოდიაქოთ, წყაღვ და ხედვს.

მიქელანჯელოს ნიქმა იქვეა, სიმაღლეებზე აზიდა მხოლოდ ღმერთები სახლობენ: მათ შორის არის თვით დიდი მიქელანჯელოც, ვინი ფრესკებითაც შეძრული ფრანგი მოქანდაკე ემილ ანტუან ბურდელი 1928 წლის 20 სექტემბერს პარიზში ჩუგოტ მოცტამ ანდრე სიუჟარებს აუწყებდა... „მიქელანჯელო ღმერთთა ჩემთავის...“

აი, სწორედ ეს ბატონი განახვავებენ ერთსა და იმავე თემაზე — სამყაროს შექმნისადმი — მიძღვნილ მიქელანჯელოს ფრესკებსა და ჩიურლიონისის ნაბატონებს; ამ უკანასკნელთან ამოდ შევეცდებით ბიბლიურ პერსონაჟებთან შებვედრას, თუცა მინი „სამყაროს შექმნისადმი“ მიძღვნილი ცოცხალი იმავე ბიბლიითაა მოაგონებული, რითაც დიდი იტალიელი მხატვრის შემოთხსენებული ფრესკები, ან თუნდაც გენიალური გუსტავ დორეს ნაბატი — ბიბლია, ვახილი კორინთის ნაბატი — ბიბლია, ბოდბის წმინდა ნინოს ეკლესიისა თუ ტიეპოლოს ფრესკები..

რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ! ჩიურლიონისის არცერთ ნაბატონე არავითარი ღმერთი არა ჩანს, ღმერთი, ვინაც „ქმნა ცა და ქვეყანა და ვინაც შებუნებრივი ძალის მტრინაც მამაკაცად გაიზრა მიქელანჯელომ თავის ფრესკაზე.

ღმერთი აქ ნაბატონა და მოქმედების მადმა შეიგარძნობა.

იგი ყველგან და ყველადგრა განივთებული-როგორც ჩანს, ჩიურლიონისი უსაყვს ბორცოელი, ადამიანური სახით განსხვავებულ ღმერთს და მას გაიზრებს ყოველსმომცველ და ყოველსშემოქმედ უხილავ ძალად.

ეს ძალა „დაბადების“ პირველივე მუხლიდან იწვევს მოქმედებას და კმნის და აწერბობს ჩვენთვის ბიბლიასა და მიუწვდომელ სამყაროს.

12 ნაბატონაგან შექმნილი სერია) მამიფნაბი მიუყვება „დაბადების“ პირველ 8 მუხლს, არაბული ციფრებით რომ გამოიყოფიან ერთმანეთისაგან, და მხოლოდ სამყაროს შექმნის ამ კოსმიურ მომენტებს მოიკავს, როდესაც ღმერთმა იხ-ის იყო ნაწილობრივ მოაწერბივა ქვეყანა, შექმნა ცა და წყალი, როგორცაა შორის „გამოჩნდიან ქმელი“. აქ გამოიყოფილია ყოველგვარი სულიერი, ცოცხალი სამყაროს არსებობა, რადგან მიხთვის გატეო ჭერ კიდევ არაა შექმნილი.

ამ ხედვებულა 8 მუხლის შემთავრებით

ჩიურლიონისი 18 ნაბატს ქმნის. ე. ი. თითოეული მომენტიდან ბევრად მეტ ხურათს გვაძლევს. იგი შემოქმედის სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით ცდილობს ერთ დროს ქაოტური სამყაროს მოწესრიგებას, რის განხორციელებასაც თავად ბუნება მილიონ წლებს ანდომებდა. ასე აუღალიბებდა იგი ჩვენს გარემომცველ სამყაროს თავისი კლანტებით, გალაქტიკითა თუ კვაზარებით.

ასე გადავდივართ ნაბატიდან ნაბატში, სადაც მოწმენი ვხდებით კოსმიურა პროცესების წელი, მაგრამ ჩიუტი ხვლისა, ვიდრე უსახურა სხეულები ღამაზ, სრულქმნილ ბადროებად არ გარდაიქმნებიან.

არის შემოქმედი ადამიანები, რომელთაგან ერთნი წარსულის სივრცეებს გადაჭურებენ. მეორენი თავიანთი ეპოქის შუაგულში ტრიალებენ. შესაშენი კი მომავალს გვრეტენ და დროს ზოგჯერ საუაუნეებითაც უხსრებენ.

იოლი მისასვლელი არსად არ არის: უველგან გზაჯვარედინებია. უველგან ლაბირინთებია გასავლელი, მით უფრო, თუ წარსულთან გვაქვს საქმი. აქ უკვე არიანდას ძაფი ვეღარაფრის გვშევიის. ერთად-ერთი გზის მაჩვენებელი ეს ჩვენი გონების სხივია, რომელმაც უნდა გაგვატაროს მთელი ეპოქები, უკან ჩამოგვატოვებინოს თამარის, ვახტანგ გორგასლის, ფარნავაზის; კომპიუტის, ალექსანდრე მაკედონელის, ფარაონთა ეპოქები; ჩვენ უნდა განვვლოთ უკლასო საზოგადოების, დედისეული და მამისეული გვარის წარმომადგენელთა და ბოლოს მღვიმეების მოხინაღრეთა შორის.

უველაზე ძნელი გზა კი აქედან იწყება. სცილისა და კარიბდას შორის გასასვლელი საბედისწერო გზა, უკაცრიელი ან უკეთეს შემთხვევაში ისეთი, ინგლისელი კინორეჟისორის ჯონ ჩეფრის ფილმიდან „მილიონ წელს ჩვენს ერამდე“ რომ ვიცილობთ.

ბევრ ბელოვანს ვერ მიუღწევია ამ შორეული მანძილისათვის. ნიკოლოზ რერისმა მხოლოდ კერპების ეპოქამდე მიადწია; პარნახელთა სკოლის მთავარმა წარმომადგენელმა ზოზე-მარია დე პერედია (1842-1905) მხოლოდ ანტიკური საბერძნეთისა თუ ძველი რომაული სამყაროების მოხილვა შეძლო.

მშვენივრად წერდა მისი „ტროფების“ მთარგმნელი მიქელ პატარიძე: პერედია წარსულის სივრცეს გაჭურებს შარბი თვალით და ხურს დავიწყებას გამოხატაცობს — დავიწყებას მიცემული გმირება, კულტურები, ისტორიული მოვლენები, უველაფერი ის, რასაც აქვია ადამიანის წარსული...

თუ მისი მამაცია წინაპარი შეზღვაურები ზომალდებით სერავდნენ ოკეანეებს და აღმოაჩენ-

დნენ ახალ კონტინენტებს, პერედია პოეზიის ზომალდით იწყებს წარსულის სივრცეებზე მოგზაურობას, სადაც ბევრი რამ მიხვედია დავიწყებას. პერედია პოეტური არააღით, ვით ზღაპრული პერსეი, ვებტძვის დავიწყების გორგონებს, თუ გველგ მანტის ბრძოლაში მას გამარჯვება ხვდა წილად და თავისი 118 სონეტი უათანასწორო ბრძოლაში გამოსტაცა დავიწყებას...

ამ შორავ არქეოლოგები, პალეოლოგები თუ გეოლოგები უფრო შორს მიდიან ზომალდე. მათ მიეკვლიეული კულტურები: ბენეტიტელასა თუ ქაფურის ბის ფოთოლთა, ნივარებისა თუ ვეშაპთა ძვლების გაქვავებული ნაშთები, გაქვავებული ტყეები უკვე იმის ნიშანია, რომ ისინი ბევრად აბლოს მიდიან სამყაროს შექმნის გარიერაჯამდე.

მაგრამ იყო შემთხვევა, როდესაც ჩვენმა ბის ზომალდმა „ოქროს საწმისმა“ — 1970 წელს თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო ექსპედიციისათვის ქალაქ ფოთში რომ ავაგეთ და შორაპნიდან მდინარე უვირილასა და რიონის გავლით მეფე აიეტის, გრძნეული მედეასა და მომეროსის ეპოქების მოსახილველად დავტარით, ვერა და ვერ მიადწია კიდევ უფრო შორეულ საუაუნეებს და ლუზა ძველი კლხეთისა და ანტიკური საბერძნეთის სამყაროებთან ჩავუშვით. უფრო იქით წასვლა ჩვენს ზომალდს აღარც შეეძლო...

ამიტომაც იქცა ჩემთვის ჩიურლიონისის ნაბატები სათაყვანებელ კერპებად, რომელთა წყალობით თამამად შეიძლება გავისიერნოთ იმ უშორეს ეპოქებში, სადაც ქაოხი, მტვერი, უინული, ცეცხლი, წყალი და ღითონი ერთმანეთში იყო არეული და აბორგებული. არაფრის თავისი ფორმა არ გააჩნდა, არც ხაზღვარი, არც პორიზონტი; არც ზესკნელი არხებობდა, არც სკნელი და არც ქვესკნელი. „კაცთა მავროვანთა“ შესახებ თვით გამჩენსაც არ აქონდა რაიმე წარმოდგენა...

აი სადამდე მივიდა ჩიურლიონისის ფუნჯი და გენია! სადამდე მიადწია მისი ოცნების, წარმოსახვისა და დიდების ზომალდმა! მაგრამ მარტოოდენ ფუნჯითაც ვერაჩას გახდებოდა იგი, მის პალიტრას მეგზურად უზენაესი ბგერები, მუსიკალური ციკლები რომ არ წაყოლოდნენ, მათ რომ არ გაეკვლიათ მილიონ წლებით ჩვენგან მოწყვეტილი და დავიწყების აკლდამებში ღრმად მიძინებული სამყაროები. მხოლოდ მიქელანჯელო ბუნონაროტის ფრესკებსა და ჩიურლიონისის ნაბატებზე არ კვდებიან კაცთა პეროვანთაგან დაუთარიღებელი საუკუნეები. დროის „ხისწრაფის უღმობელობა“ ხამუდამოდ გარინდებულა მათ ქმნილებებზე. თუ არა ეს სურათები, მაშ რა დავვაბრუ-

მართლაც და, ჩიურლიონისი — ეს სხვა პოლუსია, სხვა სიმაღლე. მისი ნაბატები — ეს ფერხად გარდასახული ბატები: ეს ფერხებში განსხვავებული მუსიკა. აქ მუსიკის ენით ფერხები ლაღადებენ სამყაროს შექმნის უბსო ვარ ისტორიას.

ამიტომაც არის მასთან ეველადური მსუბუქი და ციბკენ აღვლენილი. ჩიურლიონისი უფრო დირიჟორს ჰგავს. რომელიც ჯერ ფერხებს ბატებად გარდაქმნის, ფერხებიდან კი ლაზარებს შევდრებით აღდგინებას ანუ წარსულის გადვიძებას იწყებს ლეჟარტიული ძილიდან, რაიც დღეს აღარც მიწიერსა და აღარც ზეციერს აღარ შეუძლია.

მინდა ისევ დავხსენებო ვიუტაუტას ლანდსბერგის ჩიურლიონისის პიროვნებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ წერილს, რომელიც წამოღვარებული აქვს 70-იან წლებში გამოცემულ მხატვრის დიდ აღბრუნს. იგი წერს:

ჯერ კიდევ 1908 წელს, ვარშავის ნატიფი ხელოვნების სკოლის მომავალმა სტუდენტმა ჩიურლიონისმა დაბატა „სამყაროს შექმნისადმი“ მიძღვნილი ციკლი, იგი იყო პროფესიონალი კომპოზიტორი, ავტორი სიმფონიურის, სიგუნდო და კამერული ნაწარმოებებისა. და ამთავრა რა ვარშავისა და ლაიფციგის კონსერვატორიები, 1909 წლიდან იწყებს აქტიურ მუშაობას გრაფიკაზე და ფერწერაში... მას იზიდავდა ისეთი თემები, როგორცაა „დაკრძალვა“, „წარღვა“... ზშირად ირჩევდა ბიბლიურ და კოსმიურ თემებს...

მხატვრის პირველი ციკლი გამოფენილი იყო პეტერბურგში 1908 წლის გაზაფხულზე. უშუალოდ სამხატვრო აკადემიის შერობაში, სადაც წარმოდგენილ იქნა ვარშავის ნატიფი ხელოვნების მოხდავლეთა ნამუშევრები.

1906 წლის ბოლოს ვილნიუსში გამოჩნდა მისი სამყაროს შექმნისადმი მიძღვნილი ციკლი, რომელიც შეიძინა მხატვრის ნიჟის თავუანისმცემელმა ბ. ვოლმანმა, ვინაც 1904 წელს ხელახლა მიუიდა ჩიურლიონისის გაღერებას ქ. კაუნასში, — დღეს ჩიურლიონისის ხაზელობის სამხატვრო მუზეუმს. სადაც დღემდე გამოფენილი.

მის დროს მხატვრები კმნიდნენ ახალ სამყაროს ხელოვნების ამ კანონებით. რეალურსა და ირეალურს შორის რომ მოქმედებდნენ. ამ

სამყაროს შექმნაში დიდი როლი შეასრულეს როგორც მხატვრებმა, ისე მუსიკოსებმაც ჩიურლიონისი კი ერთიც იყო და მეორეც.

ჩიურლიონისს თავისუფლად შეეძლო დემიურხად ეგრძნო თავი მხატვრობებელ სამყაროში, გამოეხატა „სამყაროს მხატვარი“ და ბეცნიერული წარმოდგენები, ვველაზე მაღალ მწვერვალებს იქ აღწევდა, სადაც იგი პლასტიკური სილამაზის კანონებით მოქმედებდა.

წერილს კი ახეთი სიტყვებით ამთავრებს: ჩიურლიონისს ბიბლავდა ადამიანის შინაგანი ცხოვრება. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აბსტრაქტულ გაგებას, ზედავდა რა მასში უოფის ხაფუძვლებს, და ცდილობდა უოველივე ამის პლასტიკური ბერხებით გადმოცემას. რათა მის ნაბატებს თავის თავში გაენივთებინათ როგორც ფილოსოფიური სიღრმის უოვლის მომცველობა, ისე ესთეტიკური შემოქმედების უშუალობა...

სამყაროს შექმნისადმი მიძღვნილ ნაბატებს გარდა, ჩიურლიონისს სხვა, ფსიქოლოგიური ხასიათის ნამუშევრებიც დარჩა, როგორცაა „გაზაფხული“, „ზღაპარი“, „დაკრძალვა“, „ზოდიაქოს ნიშნები“, „შეგობრობა“, „სიჩუმე“, „REX“, „იმედი“ და სხვა. ეს ის ნაბატებია, სახელგანთქმულ პოეტ ქალს ხალომეა წერისს საქვეწმოდ ცნობილი ლექსები რომ შთააგონა და იმავე ნაბატებს შიგო ძღვნად.

ჩიურლიონისის რამდენიმე ნაბატზე შიშ ერთობ დიდი თვალები აქვს. სატანურ, კაცობრიობის შემშუსვრელ ძალად აღიქმებიან „ზღაპარში“ და „ზოდიაქოს ნიშნებზე“ გამოსახული ფრინველები, მაგრამ მხატვარი არც მთლად ხასოწარკვეთილებასაა მოცემული და, კორნელი ხელახთან დამარცხებული მაკედონელივით, იტოვებს იმედს, რასაც ის მამაკაცის ძლიერ მარტვენაში ჩაბლუჭული ხანთელის საბიწარმოგვიდგენს ჰვენს მიერ შემოთხსენებულ ნაბატზე.

ამ ნაბატს „იმედი“ იქვია სახელად. ერთ დროს ეკლიკური წერდა: რამდენი ადამიანაც კვდება იმდენი სამყარო იღუპებაო... შევფიქრობ, უფრო მოკვდავ ადამიანებზე იოქმის, თორემ ჩიურლიონისის სიკვდილით არათუ სამყარო არ დაღუპულა, პირიქით: მისი ფიზიკური არყოფნის მიღმა ირი დიდი სამყარო — ფერი და მუსიკა დარჩა.

«САУНДЖЕ»


ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ

На грузинском языке

1990 № 2


СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ



მთაწმინდას რაიონის. მზე ყვავის

6 859 / 78



მიქალოიუს ჩიურლიონისი. გაზაფხული